

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
International Scientific Conference

სახელმწიფო ენის სწავლების
საკითხები

პრობლემები და გამოწვევები

Issues of State Language Teaching

Problems and Challenges

ბათუმი, საქართველო

Batumi, Georgia

თვეობა 14-15, 2011

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი



SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პრობლემები და გამოწვევები

Issues of State Language Teaching; Problems and Challenges

საერთაშორისო კონფერენცია
International Conference

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთობების
ცენტრი

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული.

თბილისი, ბათუმი
2011 წლის 14-15 ივლისი

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



14-15 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ორგანიზებით ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, არსებული პრობლემები, გამოცდილება და თანამედროვე გამოწვევები განიხილეს. კონფერენციის პლენარული სხდომა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ გახსნა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მიიღო.

კონფერენცია დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

კონფერენციის მთავარი თემა სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით არსებული სიტუაციისა და მსოფლიოში მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა იყო, რომელშიც ქართველი და უცხოელი პროფესორები, ექსპერტები და დარგის სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე საქართველოსა და მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით ჩატარებული კვლევებისა და ახალი მიდგომების პილოტირების შედეგები შეჯამდა, ქართველი სპეციალისტები ენების სწავლებაში დასავლურ გამოცდილებასა და უცხოელი კოლეგების მიღწევებს გაეცნენ.

წინამდებრე კრებული კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებებს მოიცავს. სტატიები იბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მთავარი რედაქტორი

კახა ბაბუნია

სარედაქციო კოლეგია:

**დარეჯან თვალთვაძე, მზია წერეთელი,
შალვა ტაბატაძე, ბიჭული შაბაშვილი**



შინაარსი

ეკატერინა პროტასოვა - მრავალენოვანი განათლება ფინეთში	5
ბეატრის შულტერი - მულტილინგვური განათლება და ბავშვის უფლებები	15
კატრი რაიკი - შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლება: ბილინგვური სკოლის პერსპექტივა ესტონეთში	29
ზენტა ანსპოკა, დაცე დალბინა, ვინეტა ვაივადე - ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეები ლატვიურ სკოლებში: პრობლემები და გამოწვევები	33
ლიგია გრიგულე - სახელმწიფო ენის სწავლებისას არსებული პრობლემები და გამოწვევები მულტილინგვური განათლების განხორციელების პროცესში	41
კარინა ბრიკმანე, ლაიმა გეიკინა - ზოგადი განათლების შეფასების ასპექტები ლატვიის უმცირესობათა სკოლებში.	52
აპოლენ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე - არაბული (ეგვიპტური) ბილინგვიზმი და სწავლების პრობლემები	61
ირინე შუბითიძე - ბილინგვური განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში	65
ნათელა იმედაძე, მარინე ჯაფარიძე - ბილინგვიზმის ფორმირების მოდელები ქართულის როგორც მეორე ენის დაუფლების პროცესში	75
შალვა ტაბატაძე - ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები	80
ხათუნა ბერიძე - სახელმწიფო ენის სწავლების წინაპირობები	103
მაყვალა ხარშილაძე, თამარ კერძაია - სახელმწიფო ენა და ინტეგრაციის პრობლემები	109
ზაალ კიკვიციანი, ირინე ჩაჩანიძე - ენობრივი სიტუაციის მოდელირება ტერმინთა და ცნებათა მანიპულირების მეშვეობით	114
სოფიო მუჯირი - ენობრივი კომპეტენციების მიკუთვნების პრობლემები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს დონეებისადმი	118
უგურ დემირეი, ილკანურ ისტიფცი - მეტაკომუნიკაციის კონცეფციის როლი და ფუნქცია, როგორც არავერბალური კომუნიკაცია ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლის პროცესში	128
ნათია გორგაძე - ენის შესწავლის სტრატეგიები და მისი აქტუალობის კვლევა ქართულის, როგორც მეორე ენის დასწავლის გაუმჯობესებისათვის	132
თამარ ჭანტურია, ეკა კვიციანი - „ხმადაღლა ფიქრი“ - ეფექტური მკითხველის აღზრდის სტრატეგია	147
ქეთევან გორჩილაშვილი - ინტერკულტურული ასპექტები მეორე ენის სწავლებისას ბილინგვურ კლასებში	153
თინათინ კიდურაძე - ქართულის, როგორც მეორე ენის თანამედროვე სახელმძღვანელოების მეთოდური ანალიზი	162
ნათია ნაცვლიშვილი, პაატა პაპავა - დავეხმაროთ მეორე ენის მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტის გაგებაში	168
ნაირა ბეპიევი - შედარებითი გრამატიკა ბილინგვური სწავლების დისკურსში (ქართული და ოსური ენების მაგალითზე)	177
ზეინაბ გვარიშვილი - „თარჯიმნის ცრუ მეგობრების“ პრობლემა მეორე ენის შესწავლის პროცესში	181
თამარ გოგოლაძე, მარია შერაზადიშვილი - ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრაქტიკული გამოცდილებიდან	189
ნინო პოპიაშვილი - ენობრივი მიქსი და ქართული ენის სწავლების ზოგიერთი ასპექტი	195
რუსუდან სადინაძე, ჰარუნ ჩიმქე - „ზე და -ში“ თანდებულებიან ფორმათა გადმოცემასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულსა და თურქულში	198
ინგა სანიკიძე - „იმიტომ“ კორელატის ფუნქციური ცვლილებისათვის თანამედროვე ქართულში	203
რამაზ ქურდაძე - ერთი სახის დერივატა წარმოების საერთო წესის შესახებ ქართულსა და ინგლისურში	212
რუსუდან ზეჟალაშვილი - ქართული ზმნების კლასიფიკაცია გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში	217



CONTENT

Ekaterina Protassova - Multilingual Education in Finland (with a special focus on the Russian language)	227
Beatrice Schulter - Multilingual Education and the Rights of the Child	238
Katri Raik - Content and Language Integrated Learning: Prospects for Bilingual School in Estonia	248
Zenta Anspoka, Dace Dalbina, Vineta Vaivade - Minority students in the Latvian schools: some problems and solutions.	251
Ligita Grigule - Problems and Challenges of Teaching State Language in the Implementation Process of Multilingual Education.	258
Karina Brikmane, Laima Geikina , Aspects of General Education Evaluation in the Minority Schools of Latvia.	267
Apollon Silagadze, Nino Ejibadze - Arabic (Egyptian) Bilingualism and the Problem of Teaching	276
Irine Shubitidze - Bilingual Education for Ethnical Minorities in Georgia	279
Natela Imedadze, Marine Japaridze - Bilingualism Model in Mastering Georgian as a Second language.	286
Shalva Tabatadze - The Factors influencing the Effectiveness of Bilingual Educational Programs; the Prospects of Pilot Bilingual Educational Programs in Georgia	289
Khatuna Beridze - Preconditions of Teaching GLL Students	305
Makvala Kharshiladze, Tamar Kerdzaia, Nana Berekashvili - State Language and Integration Problems	311
Zaal Kikvidze, Irine Chachanidze - Modelling of Language Situations by Means of Manipulating with Terms and Notions.	314
Sophie Mujiri - The Problems of Adjusting linguistic competences to the levels of the European Framework of Reference.	317
Ugur Demiray, Ilknur ISTIFCI – Role and Function of Meta Communication Concept as nonverbal Communication for Teaching English as a Foreign Language	326
Natia Gorgadze - Strategies of language learning and analysis of its actuality in case of Georgian, as the way of improvement the second language learning.	340
Tamar Chanturia, Eka Kvirkvelia - Thinking Aloud - The Strategy of Rearing an Effective Reader.	351
Ketevan Gochitashvili - Integration of the Cultural Component in The Elearning Language Course.	356
Tinatin Kiguradze - Methodological Analysis of Contemporary Textbooks of Georgian as Second Language.	362
Naira Bepieva - Comparative Grammar in the Discourse of Bilingual Teaching (on the example of Georgian and Ossetian languages)	367
Natia Natsvlishvili, Paata Papava - Assisting Second Language Learners to Comprehend Informational Texts.	371
Zeinab Gvarishvili - Issue of Georgian-English False friends in Second Language Acquisition.	375
Tamar Gogoladze, Marika Sherazadishvili - From the practical experience of teaching Georgian, as a secondary language	380
Nino Popiashvili - Linguistic Mixing and Some Aspects of Teaching Georgian Language.	384
Rusudan Saginadze, Harun Chimke - Expression of -ze and -shi Propositions in Georgian and Its Counterparts in Turkish Language.	386
Inga Sanikidze - On Functional Alteration of “[Imitom]” (because) Correlate in Modern Georgian.	390
Ramaz Kurdadze - Towards the Common Rule of Forming one Type of Derivatives in the Georgian and English Languages	397
Rusudan Zekalashvili - Classification of Georgian Verbs in German Language Textbooks.	401



ეკატერინა პროტასოვა

ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი

მრავალენოვანი განათლება ფინეთში

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია, დააკავშიროს ფინეთის განათლების სისტემის ენობრივი პოლიტიკა მის ისტორიულ განვითარებასთან.

ფინეთი იყო და არის მრავალენოვანი ქვეყანა, ამიტომაც ენათა კომბინაცია სასკოლო გეგმებში მუდამ მისდევდა ხელისუფლებისა თუ ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს. ფინეთის საგანმანათლებლო რეფორმის უამრავი წარმატება, რაც არაერთგზის დადასტურდა პიზას კონკურსებსა და სხვა საერთაშორისო კვლევებში, განპირობებულია ენებისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით.

ენათა სწავლების სფეროში ამჟამინდელი ვითარება სტატიაში წარმოდგენილია რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების მაგალითზე.

ისტორიული მიმოხილვა

პირველი მოსახლენი ფინეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 ათასწლეულში. ფინურ-უგორული წარმომავლობის ხალხი ურალიდან გადმოსახლდნენ; ფინეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ აგრეთვე გერმანული, ბალტიური და შვედური წარმომავლობის ტომები. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ ფინელებს შვედებთან: 800 წელზე მეტია, ფინეთის თანამედროვე ტერიტორიაზე შვედები კომპაქტურად არიან განსახლებული, ისევე, როგორც ფინელები - შვედეთის ტერიტორიაზე; აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთელი 600 წლის განმავლობაში, 1809 წლამდე, ფინეთი შედიოდა შვედეთის სამეფოს შემადგენლობაში, მოსახლეობა ფინური და შვედური ენების რამდენიმე განსხვავებულ დიალექტზე საუბრობდა, ოფიციალურ ენად კი ლათინური (მოგვიანებით - შვედური) გამოიყენებოდა.

ფინეთის დაუფლებისათვის გამაღებული იბრძოდნენ რუსეთი და შვედეთი, იყენებდნენ რა ამ ბრძოლაში რელიგიურ ფაქტორს. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ფინეთს დაეუფლა რუსეთის იმპერია და 1917 წლამდე იგი, საჰერცოგოს სტატუსით, რუსეთის ნაწილი გახლდათ. ოფიციალურ ენებად გამოიყენებოდა შვედური და ფინური, თუმცა, 1863 წელს ფინურმა მიიღო ოფიციალური ენის სტატუსი. ფინურმა სალიტერატურო ენამ სწრაფად იწყო განვითარება: იქმნებოდა შესანიშნავი ლიტერატურა, გამოიცემოდა გაზეთები და ჟურნალები ფინურ ენაზე, იქმნებოდა და ვითარდებოდა სამეცნიერო ტერმინოლოგია... თვით შვედურენოვანთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციის Fennoman-ის წარმომადგენლები აქტიურად ეუფლებოდნენ უმრავლესობის ენას, რათა სახელმწიფო ინტერესებისთვის გაეწიათ ანგარიში (ლინდგრენი და სხვ., 2011). ამ პერიოდში რუსულ ენას უყურებდნენ, როგორც რუსიფიკაციის იარაღს და ფინელებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი მესამე ოფიციალური ენის (რუსულის) წინააღმდეგ ათწლეულების განმავლობაში...

1905, 1917 წლის რევოლუციებმა, შემდეგ კი 1918 წლის სამოქალაქო ომმა ხელი შეუწყო ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1917 წლის 6 დეკემბერი) და ამ დღიდან დაიწყო საკუთრივ ფინური კულტურის არნახული განვითარება. აღსანიშნავია, რომ 1841 წლიდან 1917 წლამდე ფინური სკოლებში ისწავლებოდა, მხოლოდ როგორც საგანი, ამის შემდეგ კი აუცილებელი გახდა მისი, როგორც სწავლების ენად ჩამოყალიბება.

ეს არ გახლდათ მარტივი საქმე: შვედურენოვანი ელიტა ფინურს არ მიიჩნევდა „ელიტურ“ ენად - მით უფრო, განვითარებულ ევროპულ ენებთან შედარებით... მაგრამ ეს



იყო პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხი: ფინურენოვანი უმრავლესობისთვის შვედური ოდესღაც „მზავრელთა კლასთან“ იდენტიფიცირდებოდა და გარკვეულწილად, არასრულფასოვნების კომპლექსს ქმნიდა; ალბათ ამითაც იყო განპირობებული სულ ახლახან მომხდარი ცვლილება საგანმანათლებლო სივრცეში, როცა შვედური, როგორც სავალდებულო საგანი, ამოიღეს სასწავლო გეგმებიდან და ახლა ფინელებს სეუძლიათ მეორე (/უცხო) ენად აირჩიონ სხვა ენებიც (ბუზბერგერი, 2002).

1939-1940 წლებში ფინეთ-საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდგომ - 1941-1945 წლებში მეორე მსოფლიო ომის შედეგად, ფინეთი იძულებული გახდა, სსრკ-სთვის დაეთმო კარელია, რამაც გამოიწვია ლტოლვილთა (მეტწილად ფინელების) მოზღვავება ქვეყანაში. 430000 იძულებით გადაადგილებული პირის დამატება ისედაც ომგადატანილი ქვეყნისათვის, რასაკვირველია დიდი ეკონომიკური პრობლემების დამატებას ნიშნავდა; თუმცა, სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების წყალობით, ფინეთის ხელისუფლებამ მოახერხა, გამხდარიყო წარმატებული ქვეყანა; განსაკუთრებულ მიღწევებს ვხედავთ ფინეთის განათლების სისტემაში.

მოსახლეობის შემადგენლობა და ენობრივი პოლიტიკა

ფინეთის მოსახლეობა, ენობრივი თვალსაზრისით, არაერთგვაროვანია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ფინურ ენას მიიჩნევს მშობლიურ ენად, რომელიც ურალური (ფინურ-უნგრული) ენათა ოჯახის ქვეჯგუფს განეკუთვნება. რუსულ ენას ფინეთში არანაირი ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია, მაგრამ დაახლოებით 6 მილიონამდე ფინეთის მოქალაქე საუბრობს ამ ენაზე.

დღესდღეობით ფინეთის სკოლებში მოსახლეობის 63 % ფლობს ინგლისურს, როგორც უცხო ენას; 18 5 ფლობს გერმანულს; 3 5 - ფრანგულს; 2 5 - ესპანურს, 1 % იტალიურს, 2 % კი - რუსულს (ეგრობარომეტრი, 2006).

2 სავალდებულო და რამდენიმე უცხო ენის შესწავლა - ფინეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის უადრესად მნიშვნელოვანი ნაწილია. ვფიქრობ, სწორედ ეს მიდგომა განაპირობებს პიზას უმაღლეს შეფასებებს, თუმცა, როგორც წესი, ამ ფაქტორს გადამწყვეტად არ მიიჩნევენ კოგნიტური განვითარების ეფექტურობის კვლევისას (მდრ. პიზა, ლევინი, 2011). და მაინც - რუსულენოვანი სკოლების გამოცდილებამ ფინეთში (ორიენტაცია უცხო ენებისა და მათემატიკის გაძლიერებულ სწავლებაზე) - აშკარად დაგვანახა ამ სკოლების კურსდამთავრებულთა თვალშისაცემი წარმატებები.


როგორც ზემოთ ითქვა, ფინეთში 2 სახელმწიფო ენაა: ფინური და შვედური; ამასტან, ენობრივი პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ ამ ორივე ენაზე მოლაპარაკებებს ჰქონდეთ თანაბარი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ შვედურენოვანი მოსახლეობა ქვეყანაში სულ 6 %-მდეა (ისინი ძირითადად სახლობენ შვედეთთან მოსაზღვრე სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და დიდ ქალაქებში. შვედური ერთადერთი ოფიციალური ენაა ალანდის ავტონომიურ ოლქში (ალანდი, 2011); ფინეთის კონსტიტუცია თანაბარ უფლებებს უზრუნველყოფს ორივე ენისათვის ლაპლანდიაში. ფაქტობრივად 3 ენაზე საუბრობენ რეგიონში სამი (ანარასი, ლეჰტოლა, 2002; პასანენი, 2010).

ფინეთში რეგიონულ ენებად აღიარებულია რომა (5000-6000 ადამიანი), თათრული (დაახლ. 800 კაცი), იდიში. უნდა აღინიშნოს, რომ უმცირესობათა ენობრივი უფლებებისა და ბილინგვიზმის საკითხი მეტად პოპულარულია მეცნიერთა შორის (იხ. მაგ. ლინდგრენი, 2011).

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
 Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges




ცხრილი №1 დაბადების, მოქალაქეობისა და მშობლიური ენის გადანაწილების სქემა (OSF1)



დაახლოებით 140-მდე იმიგრანტულ ენაზე საუბრობენ ფინეთში (მათ შორის – არაბულზე, ალბანურზე, ჩინურზე და ა.შ.); მთლიანობაში, იმიგრანტთა რიცხვი დაახლოებით 2, 7 5-ა. უმცირესობათა უფლებები დაცულია კონსტიტუციით.


ცხრილი № 2 ყველაზე დიდი ენობრივი ჯგუფები 2000 და 2010 წლებში (OSF2)



ისტორიულად, ფინელებისთვის დამახასიათებელი იყო ემიგრაციული პროცესების მაღალი ხარისხი; ამჟამად იმიგრაცია სჭარბობს ემიგრაციას:



ცხრილი № 3 იმიგრაცია, ემიგრაცია 1971-დან 2010 წლამდე (OSF3)



ფინეთს უნდა განვიხილოთ ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების საკუთარი სტრატეგია, რაშიც მას დაეხმარა მულტილინგვიზმის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

ენათა სწავლება სკოლებში

სწავლების ენა ფინეთის სკოლებში ფინური ან შვედურია განათლების ყველა საფეხურზე - დაწყებული საბავშვო ბაღებიდან. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგალითად, ჰელსინკის უნივერსიტეტში) ორენოვანი სწავლებაა. ორენოვანი სწავლება დაშვებულია სამის რეგიონში.

ბილინგვიზმის თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შვედურენოვანი მოსახლეობისათვის, მით უფრო დღეს, როდესაც იმატა შერეული ოჯახების რიცხვმა; შვედების დიდი ნაწილი ფინურს უკვე სახლებში, ოჯახებში სწავლობს. თუმცა, ბევრი მათგანი ამ ენას სკოლებში ეუფლება (ბიორკლუნდი, 2002).

ფინეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ფინურის სწავლება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს: A1 აღნიშნავს დონეს, რომელიც შედარებით დაბალი სტადიიდან შეისწავლება და სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის; A2 აღნიშნავს ენის ფლობის დონეს, რომელიც, ასევე, ადრე შეისწავლება; B1 გამოხატავს დონეს, რომელიც მაღალ საფეხურზე შეისწავლება და ასევე, სავალდებულოა; 2 გამოხატავს იმ დონეს, რომელიც შეისწავლება უმაღლეს საფეხურზე; 3 - არასავალდებულო დონეა ამავე საფეხურისთვის.

იმისათვის, რომ დაასრულოს სწავლება უმაღლესში, სტუდენტმა უნდა შეისწავლოს მინიმუმ 1 ენა A1 დონეზე და ერთიც - B1 დონეზე. ფაკულტატიური ენების სწავლა სავალდებულოდ არ ითვლება (ფინეთის განათლების სისტემის სტრუქტურა, 2010).



ჩვეულებრივ, A1 ენის სწავლება იწყება მესამე კლასიდან; თუმცა, ზოგი სკოლა უცხო ენის სწავლებას იწყებს I-II კლასებიდან და ზოგჯერ ბაღიდანაც კი (მაგალითად, კაპილას სკოლა ჰელსინკიში; იხ. ოჯალა, 2010). ენების ადრეული სწავლება ფრიად პოპულარული გახდა და ახლა მშობლების უმრავლესობას სურს, საბავშვო ბაღშივე მათი შვილი დაეუფლოს ერთ-ერთ უცხო ენას მაინც. რასაკვირველია, ეს უცხო ენა ინგლისურია (დაახლ. 95 % მას ირჩევს, როგორც პირველ უცხო ენას).

A2, ჩვეულებრივ, მე-5 კლასიდან იწყება, თუმცა, ზოგ სკოლაში ერთი წლით ადრეც იწყებენ (როგორც წესი, ირჩევენ ინგლისურ ან გერმანულ ენებს, თუმცა რამდენიმე მუნიციპალიტეტში რუსულსაც). თითქმის ყველა მოსწავლე ასრულებს კურსს შედურსა და ინგლისურ ენებში; დამატებით ენად 50 %-ს არჩეული აქვს გერმანული, 20 %-ს - ფრანგული, 6 %-ს - რუსული, 5 %-ს - ესპანური და 2 %-ს - იტალიური (პიიპონენი, 2009).

როგორც ითქვა, შედური ოფიციალური ენის სტატუსით სარგებლობს ფინეთში და ამიტომაც საშუალო სკოლის საფეხურზე კვირაში 6 საათი ეთმობა (ადრე, 1985 წლამდე, 12 საათი ეთმობოდა, შემდეგ - 1994 წლამდე - 9; ამჟამად შედარებით შემცირდა შედური ენის სწავლების საათები სკოლებში). ფინურენოვან მოსწავლეთა უმრავლესობა შედურის სწავლას იწყებს 14 წლიდან (90 პროცენტი); 8 % - 13 წლიდან, ხოლო დანარჩენი - 9 წლის ასაკიდან (pekarineni, 2011). შედურის, როგორც A1 ენის პოპულარობა აშკარად დაცემულია, თუმცა, სამაგიეროდ, მასზე მოთხოვნილებამ აიწია, როგორც A2 ენაზე.

ფინეთის განათლების სახელმწიფო საბჭო ხაზს უსვამს, რომ ოფიციალური ბილინგვიზმი მხარდაჭერილი უნდა იქნეს. განსაკუთრებით პოპულარულია იმერსიული პროგრამები, რომლებიც ვასის რეგიონში განხორციელდა პროფესორ კრისტერ ლორენის ინიციატივით 1980 წლიდან. ეს პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა იმ მსურველისთვის, რომლებიც მშობლიურ ენას ოჯახებში დაუფლენ: ეს ენა იმერსიული პროგრამის ფარგლებში, ისწავლება, როგორც საგანი, ხოლო სწავლების ენად გამოიყენება მეორე ენა. მესამე და მეოთხე ენები კომუნიკაციური მიდგომით შეისწავლება და უადრესად პოპულარულია ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება (CLIL); ამ მიდგომას მიყვაროთ ფუნქციონალურ კომპეტენციებამდე ყოველ ენაში (ბიორკლუნდი, 2011).

ფინეთის განათლების სახელმწიფო საბჭომ გამოსცა შესაძლებელი (ასარჩევი) ბილინგვიური პროგრამების აღწერა; გამოცხადდა, რომ პროგრამების შეფასება უნდა მომხდარიყო დიდი პასუხისმგებლობით, შედეგებზე ორიენტირებული. ყველა ექსპერიმენტი (იგულისხმება სხვა ენების გამოყენება სწავლების ენებად) დეტალურად გამოიკვლევა, რაც საშუალებას იძლევა, სკოლებში გამოიყენონ მრავალფეროვანი სტრატეგიები (FNBE).

ასე რომ, ფინურისა და შედურის გარდა, სხვა ენებზე განათლების მიღება სულ უფრო და უფრო მიღწევადი ხდება ფინეთში. ამ სკოლებით სარგებლობენ როგორც ფინურენოვანი მოსწავლეები, ასევე იმიგრანტები. მაგალითად, ჩინური ენის სწავლება ჰელსინკიში, მეილაჰტის სკოლაში, დაიწყო 2008 წლიდან. 380 მოსწავლიდან 42 ჩართულია ბილინგვიური (ფინურ-ჩინურ) პროგრამაში (აპოლა, 2011).

არსებობს სხვა შესაძლებლობებიც: ბავშვებს, რომელთა საოჯახო ურთიერთობის ენაც ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსულია, შეუძლიათ ისწავლონ მშობლიურ ენაზე ჰელსინკსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში – ინგლისურენოვანი სწავლება სასკოლო სწავლების ყველა ეტაპისთვის გარანტირებულია, მაგალითად, ჰელსინკის საერთაშორისო სკოლაში, ინგლისურ სკოლაში, მაუნულას სკოლაში და ა.შ. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრის ხარისხის მიღებაცაა შესაძლებელი ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.

მე-19 საუკუნეში უადრესად პოპულარული გერმანულენოვანი სკოლები დღეს აღარ სარგებლობენ მაღალი მოთხოვნით, თუმცა, ჰელსინკიში დღესაც ფუნქციონირებს 1881 წელს დაარსებული გერმანული სკოლა, რომელსაც, აგრეთვე საბავშვო ბაღიც აქვს.

ჟიულ ვერნის სახელობის სკოლა მოიცავს საბავშვო ბაღსა და 1-9 კლასებს, სადაც სწავლების ენა ფრანგულია. აქ შემუშავებულია სპეციალური ორენოვანი პროგრამები.



ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ფინეთში აბსოლუტურად ყველა მოსწავლეს საშუალება აქვს, შეისწავლოს მინიმუმ 3 ენა: ფინური, შვედური და ინგლისური; თუმცა, სხვა ენების შესწავლისთვის თანდათან უფრო მძლავრი შესაძლებლობები იკვეთება (ნიკულა და სხვ., 2010). განათლების პოლიტიკის ლოზუნგად იქცა: „მადალხარისხოვანი განათლება და ყველასთვის მისაწვდომი განათლება“.

ენობრივი განათლება იმიგრანტებისათვის

უცხო ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობა ძირითადად კონცენტრირებულია ფინეთის სამხრეთ ნაწილში. მხოლოდ ჰელსინკიში სწავლობს 4000-მდე იმიგრანტული წარმომავლობის მოსწავლე. მათ გარკვეული პრობლემები ექმნებათ, რომელთა აღმოსაფხვრელადაც მიმდინარეობს მუშაობა მრავალენოვანი განათლების მიმართულებით (ცენოზი, გარსია და სხვ., 2009, პროტასოვა, როდინა, 2011, სკუტნაბ-კანგასი, 2009).

ერთი მხრივ, ამ ადამიანებს სრული უფლება აქვთ, განათლება მიიღონ მშობლიურ ენებზე; მეორე მხრივ, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს მათ, საფუძვლიანად დაეუფლონ სახელმწიფო ენას; ეს ქვეყნის ინტერესებშიც შედის: მრავალ ენაზე მოლაპარაკე მოქალაქეები ქვეყნის სიმდიდრეა, ისინი, ასე ვთქვათ, ქმნიან „ხიდებს“ უმცირესობათა და ქვეყნის ძირითად მოსახლეობას შორის. ამიტომ ფინეთის იმიგრანტული განათლების პოლიტიკის მიზანია, მისცენ საშუალება იმიგრანტებს, ისეთივე განათლება მიიღონ, როგორსაც იღებენ „აბორიგენი“ მოსახლენი. მიუხედავად განსხვავებული კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობისა, ისინი უნდა ინტეგრირდნენ ფინურ საზოგადოებაში, თუმცა, ამავედროულად, არა თუ დაკარგონ, არამედ განავითარონ კიდევ საკუთარი ენა და კულტურული იდენტობა (ECRE; შდრ. ნისენი, სჩიბელი, 2007).

იმიგრანტების ცნების ქვეშ იგულისხმებიან საკუთრივ მიგრანტები, დევნილები, მეუღლეები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, თავშესაფრის მიღების მსურველნი და ა.შ. თუკი იმიგრანტი 7-17 წლის ასაკობრივ შუალედშია, მას უფლება აქვს, მიიღოს ისეთივე განათლება, როგორც ფინეთის სრულუფლებიანმა მოქალაქემ. თუმცა, შემუშავებულია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ასევე ზრდასრული მოქალაქეებისთვის ენობრივი და სხვა აუცილებელი უნარების განვითარებას.

იმიგრანტთა ბავშვების ნაწილი სახელმწიფო ენას უკვე ბალებშივე ეუფლება: მათთვისაც შემუშავებულია სპეციალური ორენოვანი პროგრამები (მოუნა, 2009). ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით, დაშვებულია სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება მშობლიურ ენებზე, თუმცა, როგორც წესი, ამ უფლებას არ იყენებენ და ირჩევენ ბილინგვური განათლებს ფორმას.

იმიგრანტთა იმ ბავშვებისთვის, ვინც ახალი ჩამოსულია ფინეთში, მოქმედებს სპეციალური წინასწარი კლასები და მათ ინტენსიურად შეასწავლიან სახელმწიფო ენებს (ფინურსა და შვედურს). ამ კლასებში მათი მშობლიური ენა გამოიყენება, როგორც ახსნა-განმარტების ენა და, ამავედროულად, შეისწავლება, როგორც საგანი. ამგვარი კლასების ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 1 წელია და მაქსიმუმ 10-12 ბავშვი ერთიანდება ჯგუფში. 450-500 საათი ეთმობა სახელმწიფო ენის სწავლებას ამ ინტენსიური კურსის განმავლობაში. ხდება ენის ფლობის დონის რეგულარული და ხშირი შეფასება. გასათვალისწინებელია, რომ კვირაში მინიმუმ 2 საათი აუცილებლად უნდა დაეთმოს მათს მშობლიურ ენებს. ამ მხრივ მართლაც დიდი სამუშაოა ჩატარებული და ფინეთში 50 ენის კურსის მოსმენა შეუძლიათ იმიგრანტთა ბავშვებს. ასეთების რაოდენობა ფინეთში 11 000-ა (IEF; ლატომაა, 2007).

იმიგრანტთა საბოლოო მიზანი მაინც ისაა, რომ მოხდეს მათი საზოგადოებრივი ინტეგრაცია და მოიშორონ „ღამურას“ სტატუსი... (საუკონენი, 2010).



რუსული ენის მაგალითი

ფინეთში რამდენიმე კატეგორია გამოიყოფა იმ ადამიანებისა, რომლებიც რუსულ ენაზე ლაპარაკობენ: ე.წ. „ახალი რუსები“ (მათ შორის ეთნიკური რუსებიც), რუსეთიდან ადრე ემიგრირებული ფინელები, საბჭოთა ან დსთ-ის დროიდან გადმოსახლებული ეთნიკურად ფინელი თუ არაფინელი მოქალაქეები, ბიზნესმენები, ჯარისკაცები, ლტოლვილები და ა.შ. ყველა ამ ჯგუფს აერთიანებს ის, რომ ენა, რომელსაც ისინი ფლობენ, როგორც მშობლიურს (ან პირველ ენას), ფინეთში უმცირესობის ენაა.

რასაკვირველია, მშობლიური ენის დავიწყება არ ხდება - ისინი კვლავ ლაპარაკობენ რუსულად, მაგრამ ფაქტია, რომ ემათა ურთიერთგავლენით, სტილისტური ნიუანსები მათს მეტყველებაში განსხვავებულია. ხდება ლექსიკის შერევა, ჩნდება სინტაქსური კალკები, ხშირია არასწორი მახვილები... რუსულენოვანი რეგულარული განათლების არარსებობამ შესაძლოა, გამოიწვიოს ენის ეროზია. თუმცა, ასიმილაციის საფრთხე არ არსებობს ბილინგვიზმის ეკონომიკური ბიგოდის გამო. გარდა ამისა, ისინი არ კარგავენ ინტერესს რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ და საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენენ რუსულ კულტურასთან. მათ ეშინიათ მომავლისა, რომელიც, ფინურ კულტურასთან ზიარებით, თითქოსდა, საკუთარს დააკარგვინებთ (პროტასოვა, 2004).

ფინეთში რუსული ენისა და კულტურის სპეციფიკის კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ვრცელი საერთო საზღვარი რუსეთსა და ფინეთს შორის, მათი არაერთგვაროვანი ისტორიული თუ თანამედროვე ურთიერთობები. ობიექტურია, რომ ფინეთს სჭირდებოდა ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ რუსულ ენაზე საუბარი (რინე, 2010). მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ფინეთში რუსულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი არ არის მაინცდამაინც დიდი, რაც გამოწვეულია სხვადასხვა სტერეოტიპითა და მცდარი წარმოდგენებით. სამწუხაროდ, იმიგრანტები ძალიან მალე კარგავენ მშობლიურ ენას და უკვე მომდევნო თაობა კარგავს იმ ძირებს, რაც წინა თაობის ძალისხმევით შენარჩუნდა... ფაქტია, რომ რუსული ენისა და კულტურის შენარჩუნება, ფინურის (ან შვედურის) ათვისებასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი იდენტობის ფორმირებას. (მუსტაჯოკი..., 2010, ბ).

დასკვნა

ენების და ისტორიის სწავლება, იმიგრაციისა და, ზოგადად, განათლების პრობლემები სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფისათვის ფინეთში მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. მნიშვნელოვანია, გავლენა ვიქონიოთ მოზარდის კოგნიტური, ემოციური თუ ინტელექტუალურ განვითარებაზე ოჯახსა თუ საზოგადოებაში, გავითვალისწინოთ რა მისი ლინგვისტური აწმყო თუ წარსული... სოციალურ სტრუქტურებში მშობლიური ენების შენარჩუნება აუცილებელ პირობას წარმოადგენს თაობათა საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისათვის. ენათა სწავლებას ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და მიუხედავად ფინეთში მიღწეული წარმატებებისა, საჭიროა კიდევ უფრო გამრავალფეროვნება ენობრივი სპექტრისა.

უკანასკნელ წლებში დიდი დრო ეთმობოდა დისკუსიას ინგლისური ენის წამყვან როლზე ფინეთში. ტარდებოდა კვლევები როგორც ამ ენის გამოყენების პერსპექტივებზე, ასევე სწავლების მეთოდებსა და ხერხებზე. ენობრივი გარემოცვის საკითხი, საზღვარგარეთის სკოლებთან გაცვლები, ე.წ. „ჩაყურყუმაღაგების“ პრობლემები არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი... ენობრივი პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ფინეთის ევროკავშირის წევრობასთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან, გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან. ამასთან, მნიშვნელოვანი ხდება სხვადასხვა კულტურის მიმართ ტოლერანტობისა და შემწვანარებლობის თემების წინა პლანზე წამოწევა.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



ბამოყენებული ლიტერატურა:

- აშანი, ნადინი, 2011 - Aschan, Надин. 2011. *Kaksikieliset koulutusohjelmat ovat valttikortti tulevaisuuden työmarkkinoilla*. Helsingin yliopisto, verkkotoimitus.
- აჰოლა, მია, 2011 - Ahola, Mia. 2011. Farmari Wang ja mystiset merkit. *Opettaja*, Номер 22-23, s. 22-26.
- ანარაში, 2011 - Анарвь. *Инари Sõmis*. www.samimuseum.fi/anaras/english/yleistietoa/yleistietoa.html (получил доступ к августу 2011).
- аланди, 2011 - Eland 2011 в цифрах. *Статистика и исследование Eland*. Mariehamn: ESUB. www.asub.ax (получил доступ к августу 2011).
- ბიორკლუნდი, 2011 - Björklund, Siv. 2011. Шведское погружение как способ продвинуть раннее многоязычие в Финляндии. В: Bangma, Idske; ван дер Мир, Боже мой; Riemersma, Алекс (редакторы).. *Трёхязычное Первичное Образование в Европе. Некоторые события относительно условий трёхязычного первичного образования в языковых сообществах меньшинства Европейского союза*. Leeuwarden/Ljouwert: Fryske Akademy, стр 13-31.
- ბიორკლუნდი, 2002 - Björklund, Siv. 2002. Социологическое исследование: трёхязычная школа в Вассе, Финляндия. В: Beetsma, Дэнни (редактор).. *Трёхязычное первичное образование в Европе. Инвентарь условий для трёхязычного первичного образования в языковых сообществах меньшинства Европейского союза*. Меркаторское образование. Европейская сеть для регионального или языка меньшинства и образование. Leeuwarden/Ljouwert: Fryske Akademy, стр 14-32.
- ბახბერგერი, 2002 - Buchberger, Ирина. 2002. Многоязычная Идеология в Одноязычной Стране: Языковое Образование в Финляндии. *CAUCE, Ревиста де Филология у су Didòctica*, Номер 25, постскриптум 185-202.
- ჯენოზი, 2009 - Cenoz, Jasone. 2009. *К Многоязычному Образованию*. Бристоль: Многоязычные Дела.
- ეკ, 2011 - CLIL. Европейская комиссия <http://ec.europa.eu/index_en.htm>. *Многоязычие* <http://ec.europa.eu/education/languages/index_en.htm>, *Содержание и язык объединяло изучение*. http://ec.europa.eu/education/languages/language-teaching/doc236_en.htm (получил доступ к августу 2011).
- ეკ, 2006 - ECRE. 2006. Европейская комиссия. Неправительственная организация Сеть Доступа Фокусов Интеграции к профессиональному обучению и (более высокому) образованию. *Рекомендации для интеграции беженцев и мигрантов в Европе*. Общественные действия ИНТИ.
- ევრობარომეტრი, 2006 - Евробарометр 2006. Европейский Comission. *Европейцы и их Языки*. Специальный Евробарометр 243.
- ფინიტოკო რომასეელე, 2004 - Финитико romaseele 2004. *Люди Финляндии Romani*. Брошюры Министерства Социальных Дел и Здоровья 2004:2. Хельсинки.
- ფგსს, 2011 - FNBE. *Финский Государственный совет Образования (OPH / FNBE)*. www.oph.fi (получил доступ к августу 2011).
- გარსია, ტორეს-გაზმანი, 2006 - Гарсия, Ofelia; Skutnabb-Kangas, Tove; Торрес-Газман, Мария (редакторы).. 2006. *Воображение Многоязычных Школ: Языки в Образовании и Globalization (Лингвистические Права Разнообразия и Языка)*. Clevedon: Многоязычные Дела.
- ლატომაა, 2007 - Latooma, Sirkku (toim). 2007. *Oma kieli kullaan kallis. Opas maahanmuuttajien Oman didinkielen opetukseen*. Хельсинки: Opetushallitus.
- ლეჰტოლა, 2002 - Lehtola, Veli-Pekka. 2002. *Люди Sõmi: традиции в переходе*. Инари: Puntsi.
- ლეჰტონენი, 2008 - Lehtonen, Heini. 2008. Maahanmuuttajataustaisten koululaisten monet kielet. В: Routarinne, Сапа; Uusi-Hallila, Tuula (toim).. *Nuoret kielikuvassa. Kouluikäisten kieli 2000-luvulla*. Хельсинки: Суомэлэйсен Кирджаллизууден Сеера, s. 103-124.



- ლეპანენი და სხვ., 2011 - Leppänen, Sirpa, Pitkänen-Huhta, Anne, Nikula, Tarja, Kytölä, Samu, Tuomikangas, Timo, Nissinen, Kari, Kdntt, Leila, Rdisnen, Tiina, Laitinen, Mikko, Pahta, Rdivi, Koskela, Heidi, Ldhdesmki, Salla & Jousmki, Хна. 2011. *Национальный обзор на английском языке в Финляндии: Использование, значения и отношения*. Juvdskylд, Финляндия: Juvdskylдn yliopisto. Исследования в Изменении, Kontakтах и Изменении в английском языке (eVarieng), 5.
- ლევი, 2011 - Levine, Джошуа. 2011. Школа Finishing. *Время*, 11 апреля, стр 45-46.
- ლინდგრენი ა-რ, ლინდგრენი კ., 2011 - Lindgren, Анна-Риитта; Lindgren, Klaus; Сари, Mirja. 2011. От шведского до финского языка в 19-ом столетии: исторический случай емансипатору языкового изменения. *Международный журнал Социологии Языка*, Проблема 2011 Издания 209, стр 17-34.
- ლინდგრენი მ., 2011 - Lindgren, Minna. 2011. Марко Вуорихеимо. Viitomakielinen hip-hopmuusikko Signmark taistelee ihmisoikeuksien puolesta. *Suomen Kivalehti*, Номер 31, s. 52-55.
- ლაპტევმაკი, 2010 - Ldhteenmki, Мика; Вэнхэла-Анисзьюски, Marjatta (редакторы).. 2010. ეობრივი იდეოლოგიები - *Языковые Идеологии в Переходе: Многоязычие в Финляндии и России*. Франкфурт на Майне: Питер Лэнг.
- მოუნა, 2009 - Mouna, Travis. 2009. *Домой языковой эффект окружающей среды на развитие языка ребенка в многоязычном дневном уходе*. Тезис Степени бакалавра. Университет Pirkanmaa Прикладных Наук.
- მუსტაჯოკი, 2010ა - Mustajoki, Arto; Протэссова, Ekaterina; Vakhtin, Николай (редакторы). 2010а. *Instrumentarium Лингвистики: социолингвистические подходы к Нестандартному русскому*. Студия Слэвика Хельсингсина 40. Хельсинки: Yliopistoraino.
- მუსტაჯოკი, 2010ბ - Mustajoki, Arto; Протэссова, Ekaterina; Копотев, Mihail; Nikunlassi, Ahti; Huttunen, Tomi (редакторы). 2010б. *Izuchenie я преподаvanie russkogo jazyka v Finljandii*. Санкт-Петербург: Златоуст.
- ბისეი, სიბელ, 2007 - Ниссен, Ян; Schibel, Yongmi. 2007. *Руководство на Интеграции для высших чиновников и практиков*. Европейские Сообщества: Публикации Office.
- ბიკულა და სხვ., 2010 - Nikula, Tarja; Рцухцен, Сари; Huhta, Aги; Hildйн, Raili. Когда МП + 2 недостаточно: Напряженные отношения в пределах образования иностранного языка в Финляндии. В: Амон, Улрич; Darquennes, Jeroen; Мастер, Предъявите иск (редакторы).. 2010. *Иностранные языки в школах Европейского союза*. Sociolinguistica Jahrbuch. Берлин: де Грюитэ, стр 25-42.
- ფოგ - IEF. *Иммигрантское Образование в Финляндии*. Финский Государственный совет Образования (OPH / FNBE).
- ქესუ - NCC. *Национальные Основные Учебные планы*. Государственный совет Образования (OPH / FNBE)..
- ოჯალა, 2010 - Ojala, Ulla. 2010. *Ÿ Hola! i Qui tal? Opettaja*, Номер 43, s. 22-25.
- ფოს1 - OSF1: Официальная статистика Финляндии. Популяционная структура. *Страна рождения, гражданства и родного языка населения*. Хельсинки: Статистика Финляндия.
- ფოს2 - OSF2: Официальная статистика Финляндии. Популяционная структура. *Наибольшие группы родным языком 2000 и 2010*. Хельсинки: Статистика Финляндия.
- ფოს3 - OSF3: Официальная статистика Финляндии. Перемещение. *Иммиграция и эмиграция в 1971-2009*. Хельсинки: Статистика Финляндия.
- პასანენი, 2010 - Pasanen, Annika. 2010. Языковые гнезда изменяют направление языковых изменений?: На языковых гнездах Инари Saamis и Karelians <<http://tuhat.halvi.helsinki.fi/portal/en/publications/> "будут языковые гнезда" (3cf7b96d-32a1-4676-a0af-cacd5afebd65).html>. В: Sulkala, Хелена; Mantila, Harri (редакторы). *Планирование нового стандартного языка: языки меньшинства Finnic встречают новое тысячелетие*. Хельсинки: Суомэлэйсен Кирджаллизууден Сеера, стр 115-131.
- პეკარინენი, 2011 - Pekkarinen, Айну. 2011. Мама mia, mitд ruotsia! *Opettaja*, Номер 14, s. 28-32.
- პიზა, 2011 - ПИЗА. *Программа OECD для Международной Студенческой Оценки*. www.pisa.oecd.org (получил доступ к августу 2011).

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



- პოპონენი, 2009 - Рцуһцен, Сари. 2009. Иностранн҃й язык, преподающий в основном и среднем образовании в Финляндии: текущая ситуация и будущие проблемы. В: Lucietto, Сандра (редактор). *Apprendimento delle lingue straniere e la formazione degli insegnanti*. Rovereto: IPRASE дель Трентино, 143-174.
- პროტასოვა, როდინა, 2011 - Протэзова, Ekaterina; Rodina, Наталия. 2011. *Interkul'turnaja pedagogika mladshego vozrasta*. Москва: Форум.
- პროტასოვა, 2004 - Протэссова, Ekaterina. 2004. *Fennorossy: zhizn' я upotreblenie jazyka* [Fennorosses: жизнь и использование языка]. Санкт-Петербург: Златоуст.
- პროტასოვა, 2008 - Протэссова, Ekaterina. 2008. Обучающий русский язык как Язык Наследия в Финляндии. *Языковой Журнал Наследия*, Номер 2, V 5, www.heritagelanguages.org (получил доступ к августу 2011),
- რინე, 2010 - Rinne, Raila. 2010. Tuuli kääntynyt venäjän taakse. *Kielipolku turvattava lukion loppuun. Opettaja*, Номер 48, 6-9.
- სამედი ვინეტი, 2011 - Sámi в Финляндии. *Финская Парламентская начальная страница Sámi*, www.samediggi.fi (получил доступ к августу 2011).
- საუკონენი, 2010 - Saukkonen, Pasi. 2010. Kotouttaminen ja kulttuuripolitiikka: tutkimus maahanmuutosta ja monikulttuurisuudesta suomalaisella taiteen ja kulttuurin kentällä. <http://www.cupore.fi/julkaisut_19.php> Cuporen julkaisuja 19. Хельсинки: Калттуериполииттизен tutkimuksen edistämiskeskus.
- სკუტნაბ-კანგასი, 2009 - Skutnabb-Kangas, Tove; Филлипсон, Роберт; Mohanty, Ajit K.; Панда, Minati (редакторы).. 2009. *Социальная справедливость через Многоязычное Образование*. Бристоль: Многоязычные Дела.



ბეატრის შულტერი

პესტალოცის ბავშვთა ფონდი;
საერთაშორისო პროგრამების დირექტორი, შვეიცარია

მულტილინგვური განათლება და გავშვის უფლებები

აბსტრაქტი

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე და 29 სტატიებში გაცხადებულია, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება შესაბამისი, ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობისა, რომელიც მხარს უჭერს მისი სრული პოტენციალის განვითარებას, ეთნიკური, ენობრივი, თუ სხვა შეხედულებების დისკრიმინაციის გარეშე. მოცემული ნაშრომი/პრეზენტაცია შეისწავლის განათლების პროცესში ბავშვის უფლებების კონვენციასთან დაკავშირებით სახელმწიფო ვალდებულებების შედეგებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სწორედ ზემოთ ნახსენებ 2 სტატიაზე. ნაშრომი შეისწავლის ბავშვის ფსიქოლინგვისტურ განვითარებას განსხვავებულ ლინგვისტურ სიტუაციებში განათლების მიღებისას, ასევე განიხილება მულტილინგვური განათლების ფორმების პოტენციური მულტიეთნიკურ და მულტილინგვისტურ სახელმწიფოში განათლების მიღებისას ბავშვის უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. წარმოდგენილ პრეზენტაციაში ფოკუსირება მოხდება განათლების ლინგვისტური სენსიტიურობის მნიშვნელობაზე ინდივიდუალურ დონეზე და, ამავე დროს, თითოეული ინდივიდის უფლების რეალიზებისა და მშვიდობიანი, დემოკრატიული და ფუნქციონირებადი საზოგადოების აღმოცენების თვალსაზრისით.

შესავალი

დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიერ აღებულ ენობრივ განათლებასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე და განიხილავს მას ბავშვის უფლების საერთაშორისო კონვენციასთან მიმართებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება კონვენციის 28 და 29 პარაგრაფებზეა გამახვილებული. ორივე პარაგრაფის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს იმგვარი ხარისხის განათლების მიღების უფლება, რომელიც მისი პოტენციის სრულად განვითარებას უწყობს ხელს და იცავს მას ეთნიკური, ლინგვისტური და სხვა სახის დისკრიმინაციისაგან განათლების მიღების პროცესში. დოკუმენტი იკვლევს ბავშვის ფსიქო-ლინგვისტურ განვითარებას სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში და განიხილავს მულტილინგვური განათლების პოტენციალს, როგორც ინსტრუმენტს ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის მრავალეთნიკურ და მულტილინგვურ სახელმწიფოებში.

ენობრივი განათლების დომინანტური მოდელი: მონილინგვური განათლება

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ტრადიციისამებრ, არსებობს 2 გზა ბავშვის სახელმწიფო სისტემის განათლების მიღებისათვის: პირველი შესაძლებლობა გულისხმობს ბავშვის სწავლებას სკოლაში, სადაც სწავლების ენა მშობლიურია, ხოლო დანარჩენი ენები (მათ შორის სახელმწიფო ენაც, თუ ის განსხვავდება ბავშვის მშობლიურისგან) ისწავლება როგორც საგანი, სადაც გამოყენებულია მეორე ან უცხო ენის სწავლების შესაბამისი მეთოდოლოგია. მეორე შესაძლებლობა გულისხმობს ბავშვი სწავლობს სკოლაში, სადაც



სწავლების ენა განსხვავდება მისი მშობლიურისგან. ამის მაგალითად შეიძლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები დასახელდნენ საქართველოში, რომლებიც განათლებას ქართულ სკოლაში იღებენ. რომელი კლასიდან იწყება ენის შესწავლა, ბავშვის მშობლების სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა, თითოეული ბავშვი თავისი ენობრივი კვალიფიკაციით ერთმანეთისგან განსხვავდება და ეს განსხვავება ერთი მხრივ მის მშობლიურ ენასთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრივ კი, განსაკუთრებულ საჭიროებებთან, რომელიც სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოსა და ენის პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს მოითხოვს. ეს განსხვავებები ჩვეულებრივ, არ არის სათანადოდ გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროცესში.

რამდენადაც პიროვნების იდენტურობა მსოფლიოს ამ ნაწილში მოქალაქეობრივ სტატუსზე მეტად ეთნიკურ კუთვნილებასთან არის დაკავშირებული, ენაც ეთნიკურ იდენტურობასთან ასოცირებული ფაქტორია. შესაბამისად, აზერბაიჯანული ენა - აზერის ენად აღიქმება, ხოლო სომხური კი სომხების ენად. ის სკოლები, სადაც სწავლების ენები სწორედ აზერბაიჯანული და სომხურია, მეტწილად სწორედ ამ ეთნიკური წარმოშობის ჯგუფებით არის დაკომპლექტებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები განათლებას განცალკევებით იღებენ. ზოგ ქვეყანაში, სწავლების ენის მიხედვით გამიჯნულია ეროვნული სასწავლო გეგმაც, იმისდა მიუხედავად, რომ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები გვერდიგვერდ ცხოვრობენ. სწავლების განსხვავებული მიმართულებები კი, ბავშვებს ცხოვრების არათანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს და საზოგადოების გახლეჩას უწყობს ხელს, რაც თავისთავად კომფლიქტის მაღალი პოტენციალის შემცველია.

სახელმწიფო ენა ყველა უმცირესობის წარმომადგენელთა სკოლებში აუცილებელი სასწავლო საგანია, თუმცა დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვერ იძლევა. ტრადიციული ენის გაკვეთილები ძირითად აქცენტს გრამატიკასა და ენის ფორმალურ ასპექტებზე აკეთებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს ენის შესწავლის საშუალება არა კომუნიკაციური, არამედ ანალიტიკური და გრამატიკაზე დაფუძნებული მეთოდებით ეძლევათ, იმის მიუხედავად, რომ 6-9 წლის ასაკის ბავშვი ფსიქოლოგიურად არ არის მზად მიიღოს და აღიქვას ენის ანალიტიკურ-კორელაციური ფორმები. სწავლების ეს ფორმა, რომელიც გრამატიკულ წესებთან შესაბამისობას აქცევს უმთავრეს ყურადღებას, მეტწილად ფორმალურ დატვირთვას იძენს. მასწავლებელი და მოსწავლე ენის ფორმალურ ასპექტებზე არიან კონცენტრირებული და უმთავრესი, კომუნიკაციური ასპექტი უგულებელყოფილია. ნააზრევის შინაარსობრივი ასპექტი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო მისი სწორად ფორმულირება კი – უმთავრესი ამოცანა. შედეგად, მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობებისა და ენერჯის უმეტეს ნაწილს ფორმალურ ასპექტებზე ხარჯავენ და კომუნიკაციურ უნარებს სამიზნე ენაში ნაკლებად ავითარებენ. ტრადიციულად, გაკვეთილებზე სწავლება არ მიმდინარეობს სამიზნე ენაზე. შესაბამისად, ბავშვები ვერ აღიქვამენ ენას კომუნიკაციის ინსტრუმენტად. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვებს მხოლოდ სწავლების ძირითად ენაზე შეუძლიათ თავისუფლად იმეტყველონ და წერონ. სამართლებრივ სტატუსს შორის არსებული მცირე განსხვავებების მიუხედავად, ზემოთაღნიშნული ქვეყნების უმრავლესობაში, სახელმწიფო ენად მხოლოდ ერთია მიჩნეული. ამიტომ არის როგორც ინდივიდუალურად პიროვნებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისათვის ეფექტური საშუალებების განვითარება. ბოლო წლებში საქართველომ დიდი ძალისხმევა გასწია მეორე ენის სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად, თუმცა სწავლების ხარისხის ზრდის მიუხედავად, უმცირესობების ენობრივი კომპეტენციები მკვეთრად ჩამორჩება ქართულის, როგორც მშობლიური ენის ფლობის ენობრივ კომპეტენციებს. ამ სიტუაციაში მხოლოდ ცალკეულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა სახელმწიფო ენის ცოდნისთვის და, შესაბამისად, დაბალია უმცირესობების ჩართულობაც ქვეყნის საგანმანათლებლო, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.



ბავშვებისთვის რელევანტური და ხარისხიანი განათლების უფლება

ადამიანის უფლებების ჩარჩო, სადაც ბავშვის უფლებების კონვენცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ნაწილია, სასარგებლო განმარტებას იძლევა სხვადასხვა ლინგვისტურ გარემოში ენობრივი განათლების შეფასებასა და განვითარების ფორმებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებების კონვენცია ყურადღებას ამახვილებს ერთი მხრივ, პიროვნების ინდივიდუალურ, ხოლო მეორე მხრივ კი, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისა და მთლიანად სახელმწიფოს საჭიროებებზე და განიხილავს განათლების განვითარების კონსტრუქციულ გზებს მსოფლიოში მიმდინარე დინამური ცვლილებების პირობებში. სახელმწიფო, რომელიც უპირველესად არის ანგარიშვალდებული ყველა მოქალაქის წინაშე, მოვალეა შექმნას ყველა პირობა, რათა ყველა ადამიანს მიეცეს მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენების საშუალება. ეს ვალდებულებები, პირველ ყოვლისა, შესაბამის სახელმწიფოებრივ საკანონმდებლო ბაზის შექმნას და შემდგომში კი, იმ პროცესების წარმართვასა და პრაქტიკაში დანერგვას გულისხმობს, რომელიც კონკრეტული ფონდების გამოყოფას, დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, სენსიტიურ და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას მოიცავს.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი პოლიტიკურად და ემოციურად სენსიტიური საკითხების გადაჭრისას, როგორცაა ენობრივი საკითხები. ნა, როგორც იდენტურობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი. იგი მნიშვნელოვანია ერთდროულად სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის და ასევე წარმოადგენს კონფლიქტის პრევენციის საშუალებას. განიხილება სხვადასხვა გზები და მიდგომები, იმ ბერეკეტების ასამოქმედებლად, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ენობრივ პროცესებში არსებული წინააღმდეგობებისა და სიძნელეების გადასალახად. სწორეს ეს მიდგომებია რეკომენდაციების სახით წარმოდგენილი ადამიანის უფლებების კონვენციაშიც.

გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის 28-ე და 29-ე პარაგრაფები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ფორმალური განათლების ასპექტებზე:

პარაგრაფი 28

1. სახელმწიფო მხარეები ცნობენ ბავშვის განათლების უფლებებს და ამ უფლებების თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე თანდათანობით დამკვიდრებისთვის ისინი ვალდებულებას იღებენ:

ა. განსაზღვრონ დაწესებითი განათლება, როგორც სავალდებულო და ყველასათვის ხელმისაწვდომი;

ბ. ხელი შეუწყონ საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას. საშუალო განათლება, რომელიც ზოგად და პროფესიულ განათლებას მოიცავს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისათვის. ამასთან, უფასო განათლება და ფინანსური დახმარება უნდა გაეწიოს ყველა ბავშვს საჭიროების შემთხვევაში.

გ. ყველა ბავშვს უნდა მიეცეს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, უნდა მოხდეს თითოეული ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების განვითარება;

დ. ხელი შეუწყონ განათლებისა და პროფესიული განათლების საკითხებზე ინფორმაციისა და რჩევების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

ე. მიიღონ ზომები სკოლაში რეგულარული დასწრების უზრუნველსაყოფად და სკოლის მიტოვების ფაქტების შესამცირებლად;

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



2. სახელმწიფო მხარეებმა ყველა ზომას უნდა მიმართონ, რათა სკოლაში ბავშვის ღირსების შესაბამისი დისციპლინარული ადმინისტრირების ფორმა იყოს მიღებული, რომელიც ასევე თანხვედრაში იქნება მოცემულ კონვენციასთან.
3. სახელმწიფო მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ საერთაშორისო ურთიერთ თანამშრომლობა განათლების საკითხებზე, ასევე წერა-კითხვისა და გაუნათლებლობის შემცირების, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების გავრცელების უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებად ქვეყნებს.

პარაგრაფი 29:

1. სახელმწიფო მხარეები თანხმდებიან, რომ ბავშვის განათლება შემდეგი მიმართულებით უნდა წარიმართოს:
 - ა. უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის პიროვნული თვისებების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება და განვითარება;
 - ბ. უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის იმ ძირითადი უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების პრინციპების დანერგვა და გაზიარება, რომელიც გაეროს სქემის ნაწილსაც წარმოადგენს;
 - გ. უზრუნველყოფილ იქნეს ყოველი ბავშვის მშობლიური კულტურული იდენტურობის, ენისა და ფასეულობების პატივისცემა, ასევე იმ ნაციონალური ფასეულობების პატივისცემა, რომელშიც ბავშვი იზრდება. აღიარებულ იქნეს ის კულტურული განსხვავებები, რომელიც მათ მშობლიურ ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს;
 - დ. უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის მომზადება თავისუფალ საზოგადოებაში თანაარსებობისათვის. უნდა მოხდეს თითოეულ ინდივიდში თავისუფლების, მშვიდობის, ტოლერანტობის, გენდერული თანასწორობის პრინციპის განვითარება და სხვადასხვა ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების ადამიანებს შორის თანამეგობრობის პატივისცემა.
 - ე. უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებრივი გარემოსადმი პატივისცემის დამკვიდრება;

4. არც 28-ე და არც 29-ე პარაგრაფის რომელიმე ნაწილი არ უნდა იყოს იმგვარად ინტერპრეტირებული, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდეს პიროვნულ და ორგანიზაციულ უფლებასთან. არ უნდა მოხდეს საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო განათლების სისტემაში შემუშავებული მინიმალური სტანდარტების დაცვის უგულებელყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების საკითხები არც სხვა პარაგრაფებშია უგულებელყოფილი, განათლებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს მაინც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ორო (28,29) პარაგრაფები განიხილავს. ასევე საგულისხმოა 30-ე მუხლი, რომელშიც განხილულია ენობრივი განათლების მოდულები.



30-ე მუხლი

იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც მკვიდრი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობას, მათი შვილები ვერ სარგებლობენ განათლების ხელმისაწვდომობის უფლებით, ასევე არ ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საკუთარ რელიგიურ რიტუალებსა თუ ცერემონიალებში, ისიამოვნონ საკუთარი კულტურით, ან გამოიყენონ მშობლიური ენა მათი სურვილისამებრ.

არადა, ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს შესაბამისი ხარისხიანი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის სრული პოტენციალის განვითარებას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც შესაძლოა ეფუძნებოდეს ეთნიკურ, ლინგვისტურ ან სხვა მახასიათებლებს. ენობრივი განათლება, ისევე როგორც ენობრივი განათლების ფორმები განსაკუთრებულია და განსხვავდება ერთმანეთისგან სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით.

მონოლინგვური განათლების პოტენციალი და ლიმიტი

განათლება მშობლიურ ენაზე.

ისეთი ცნობილი ენათმეცნიერები და პედაგოგები, როგორებიც არიან პიაჟე ან ვიგოდსკი, დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლიური ენის როლს მეორე ენის სწავლების პროცესში, ესე იგი იმ ენის როლს, რომელზეც ბავშვი ლაპარაკობს ოჯახში. 1990-იანი წლებიდან ლინგვისტები, პედაგოგები და ნევროლოგები ინტენსიურ კვლევებს ატარებენ ბავშვის ენობრივ და კოგნიტურ განვითარებაზე სკოლის დაწყებით საფეხურზე მრავალფეროვანი ლინგვისტური გარემოს პირობებში. ამას ამტკიცებს ბეიკერის, ვოუდის და ტომას/კოლიერის კვლევის შედეგებიც. ვიგოდსკის და პიაჟეს მოსაზრებებს სწავლების ენის მნიშვნელობაზე ბავშვის ზოგადი განვითარების პროცესში, ამყარებს არაერთი მათ მიერვე ჩატარებული კვლევაც.


ქართულად მოსაუბრე ბავშვებს, რომლებიც სწავლობენ ქართულენოვან სკოლებში, მონოლინგვური გარემო ხელს უწყობს ლინგვისტური და ფსიქოლოგიური განვითარების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ენაში მათი მაღალ შედეგები, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათს განვითარებას და ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში სრულ ჩართულობას, ასევე, უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას, რადგან ამ ქვეყანაში სწავლების ენა არის სახელმწიფო ენა. თუმცა, ის ბავშვები, რომლებიც საუბრობენ უმცირესობების ენაზე და ცხოვრობენ ისეთ რეგიონში, სადაც სახელმწიფო ენა არ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერ სარგებლობენ ვერც სრული ზოგადი და, მითუმეტეს, ვერც უმაღლესი განათლების უფლებით – სახელმწიფო ენის არცოდნის გამო.

მიუხედავად იმასა, რომ ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესები მიმართულია არსებული სიტუაციის შეცვლისკენ, არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ვითარება ჯერ ისევ არასახარბიელოა. მოცემული დიაგრამა¹ ასახავს ბავშვის ენობრივი განვითარების ტენდენციას, რომელიც სწავლობს მშობლიურ ენაზე (ეი

¹ The diagram shall be understood as an aid to illustrate the arguments. The line referring to the language development combines various aspects, including language skills, communication competence and general cognitive development. The line labelled "norm" in the diagram denotes a level of linguistic and cognitive development that enables a person to fully participate in all aspects of life.



ენა, რომელზეც მან დაიწყო საუბარი და რომელიც არის კომუნიკაციის ენა მის ოჯახში), ამასთან, სწავლობს სახელმწიფო ენას, როგორც მეორე ენას ზოგიერთ გაკვეთილზე.



ეს ბავშვები მუდამ ვითარდებიან მათ მშობლიურ ენაზე, სანამ არ მიადწევენ გარკვეულ ნორმას, რადგან სასკოლო საგანმანათლებლო პროცესში მუდმივად აქვთ ამ ენაზე კომუნიკაციის საჭიროება. კოგნიტური განვითარება, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა საგნების შინაარსზე დაფუძნებული სწავლებით, ასევე ავითარებს ენობრივ კომპეტენციასაც. მეორე ენაში მაღალი დონე არ მიიღწევა, თუ მხოლოდ ტრადიციული სწავლების მეთოდები იქნება გამოყენებული. თანამედროვე მიდგომები ძველი, ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, ავითარებს კომუნიკაციურ უნარებს.

ადამიანი, რომელსაც განათლება აქვს მიღებული მშობლიურ ენაზე, მიუხედავად იმისა, მეორე ენაზე კომუნიკაციასაც ნორმალურად ართმევდა თავს, მაინც ითვლება მონოლინგვალად. მეორე ენაზე კომუნიკაციის დროს, ისინი უბუნლიედ თარგმნიან მიღებულ ინფორმაციას მშობლიურ ენაზე, ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით.

ეს მიდგომა შეესაბამება სახელმწიფოების ვალდებულებების შესრულებას, რაც არის გაცხადებული კონვენციის 29-ე მუხლის 1c პუნქტში, კერძოდ კი, განათლება “...უნდა ემსახურებოდეს [...] ადამიანის კულტურული იდენტობის, ღირებულებებისა და ენის განვითარებას [...] “. კონვენციის 28-ე მუხლის 1c პუნქტი სახელმწიფოს ავალდებულებს, უმაღლესი განათლება გახადოს ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი. თუმცა კონვენცია არ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ენა იყოს უმცირესობებისთვის მშობლიური ენა. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას ძალიან ცოტა ახერხებდა, აღნიშნული სირთულე აშკარა გახდა 2005-2006 წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. 2005 წელს გადადგმული



პირველი ნაბიჯი უმაღლეს სასწავლებლებში არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა მოხვედრის შესაძლებლობას იძლეოდა ქართული ენის ადაპტირებული ტესტის მეშვეობით, მაგრამ ეს უპირატესობა გაუქმდა 2006 წელს. როგორც ჩანს, მონოლინგუური განათლება მშობლიურ ენაზე უმცირესობების უმეტეს ნაწილს ართმევს შესაძლებლობას, სწავლა განაგრძოს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო ენაზე. წმინდა ლინგვისტური ხარვეზების გარდა, უმცირესობების მოსწავლეებთან სხვა სახის პრობლემებიც შეინიშნება. მაგალითად ის, რომ უმცირესობების და უმრავლესობების სკოლები არსებობენ ერთმანეთისგან განცალკევებულად, ბავშვები სწავლობენ იზოლირებულად ადრეული ასაკიდან, ისინი დაყოფილნი არიან მათი ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მიკუთვნებულობის მიხედვით და მათ ასწავლიან განცალკევებით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ეს მოსწავლეები ცხოვრობდნენ ერთსა და იმავე ან მეზობელ ქალაქში/რაიონში. მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე, ვიდრე ისინი იზრდებიან ერთმანეთისგან იზოლირებულ გარემოში, უყალიბდებათ შეხედულება, რომ ისინი არიან ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები. აღნიშნული კი, ეწინააღმდეგება ერთიანი სახელმწიფოს ცნებას, რომელიც გაწერილია 29-ე მუხლის 1.d) პუნქტში. “...განათლებამ უნდა უზრუნველყოს [...] მთავარად ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თავისუფალ საზოგადოებაში, რომელსაც ექნება თავისუფლების, მშვიდობის, თანასწორუფლებიანობის გაგების უნარი; ეთნიკური, ნაციონალური და რელიგიური ჯგუფების და პიროვნებების პატივისცემის გრძნობა”. უმცირესობების განათლების იგნორირება უზრუნველყოფს ბავშვების შესაძლებლობების არათანაბარ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოების დანაწევრებას და მატულობს ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის წარმოშობის რისკებს.

ქართულ ენაში დაბალი ენობრივი კომპეტენცია არის როგორც მცირე მოტივაცია, ასევე მცირე შესაძლებლობა უმცირესობების ენაზე მოსაუბრეებისთვის, თავიანთი პროფესიული ცხოვრება დაუკავშირონ ქართულენოვან საზოგადოებას. მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგება მოქალაქეობრივ თვითშეგნებაზე დაფუძნებულ ერთიანი სახელმწიფოს ფორმირებას.

განათლება უმცირესობებისთვის, რომელთათვისაც სწავლების ენა არის – სახელმწიფო

ქართული ენის მნიშვნელობის გაზრდა, ისევე როგორც სახელმწიფო ენის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ, უფრო და უფრო მეტ ეთნიკური უმცირესობის მშობელს უბიძგებს მისი შვილი მიიყვანოს ქართულენოვან სკოლაში. აღნიშნული ზრდა სახელმწიფო ენის მიმართ მოთხოვნისა წარმოდგენილია CIMERA-ს მიერ 2005 წელში ჩატარებულ გამოუქვეყნებელ გამოკითხვაში, რომელიც ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ და ამ ოჯახების ბავშვები განათლებას იღებენ მშობლიურ ენაზე. მიუხედავად ამისა, მათი ლინგვისტური და კოგნიტური განვითარება არის უზულებელყოფილი.

ბავშვებისთვის სწავლებას მხოლოდ იმ ენაზე, რომელიც მათთვის მშობლიური არ არის ეწოდება *სუბმერსია ან სრული იმერსია*. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ მოდელით ბილინგვიზმი მიიღწევა იშვიათად, მხოლოდ ძალიან განსაკუთრებულ ენობრივ გარემოში, სადაც ბავშვების მშობლიური ენა სარგებლობს დიდი პრესტიჟით და ფართოდ გამოიყენება სკოლის გარეთ კომუნიკაციისთვის. ჩვეულებრივ, უმეტეს შემთხვევაში საქართველოში ეს მოდელი ვერ გამოდგება ბილინგვიზმის მისაღწევად. უფრო მეტიც, შესაძლოა საფრთხე შეექმნას ბავშვების ინტელექტუალურ და ენობრივ განვითარებას. თუ არაქართულად მოსაუ-



ბრე ბავშვი დადის ქართულენოვან სკოლაში ქართველ ბავშვებთან ერთად, ის გაივლის მთელს საგანმანათლებლო პროცესს იმ ენაზე, რომელიც მისთვის უცხოა და დაემართება “სრული იმერსიული შოკი”. ეს შოკი ხელს შეუწყობს ბავშვში ინფორმაციის მიღებისა და სწავლის უნარის დაქვეითებას. არსებობს მოლოდინი, რომ ისინი შეძლებენ მეორე ენის შეთვისებას ქართულად მოსაუბრე ბავშვების გარემოში და გაუთანაბრდებიან მათ ენობრივ კომპეტენციას, ისწავლიან შინაარსზე დაფუძნებულ საგნებს მათსავით. თუმცა მოსწავლეები მუდმივად არიან ისეთ სიტუაციაში, სადაც ვერ გებულობენ დასმულ შეკითხვას, ვერ ახერხებენ კომუნიკაციას და წარმოიქმნება პრობლემები და კონფლიქტები მათსავე პიროვნებაში: ისინი თავს გრძობენ სულელებად და ეკარგებათ სწავლის სურვილი და მოტივაცია, რადგან საკუთარი თავი მიაჩნიათ უუნაროდ. ამ სიტუაციაში ბავშვები იკეტებიან საკუთარ თავში და ქართული ენაც თავისთავად ვერ აღწევს განვითარებას. ეს შოკი აფერხებს ბავშვების უნარების განვითარებას და დიდ საფრთხეს უქმნის ბავშვის კოგნიტურ განვითარებასაც. უმცირესობების განათლება და განვითარება არის მსოფლიო მასშტაბის პრობლემა, არასრულყოფილი საშუალო განათლება კი, თავის მხრივ, პრობლემას უქმნის უმაღლეს განათლებას.


ამ გარემოში ბავშვის უფლებების კონვენციის მოთხოვნა წარმოდგენილია 29 1.a) მუხლში “... ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს მისი პიროვნული განვითარებისაკენ, მისი ნიჭი, მენტალობა და ფიზიკური შესაძლებლობები უნდა ემსახურებოდეს მისი სრული პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას.

ამავე დროს, მშობლიური ენის განვითარებასაც ექმნება საფრთხე მსგავს საგანმანათლებლო გარემოში (იგულისხმება სუბმერსია), რადგან ბავშვი ვერ ახერხებს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას და, თავისთავად, ზედმეტია საუბარი რაიმე აკადემიურ წარმატებაზე მის მშობლიურ ენაში.

მაშინაც კი, თუ ბავშვები ოჯახში და სამეგობრო წრეში ახერხებენ კომუნიკაციას მშობლიურ ენაზე, ეს ვერ უზრუნველყოფს მათი მშობლიური ენის აკადემიურ განვითარებას, ლინგვისტური განვითარება ჩერდება ყოველდღიურ სასაუბრო ენობრივ დონეზე. დი-გრამაზე ნაჩვენებია, რომ მშობლიური ენის განვითარება არა მხოლოდ ფერხდება, არამედ უკან მიდის 14-15 წლის ასაკში. ამ ფენომენს ხსნიან იმ ფაქტით, რომ ამ ასაკში მოსწავლე იწყებს ქვეცნობიერად აზროვნებას და მისი მშობლიური ენა ამ შემთხვევაში უქმნის სირთულეს სკოლაში. მოსწავლეები, რომლებიც სახლში საუბრობენ სახელმწიფო ენაზე, გაცილებით მეტ აკადემიურ შედეგს აღწევენ სკოლაში, მაგრამ თუ ასე არ არის, რასაც ბავშვები იღებენ სახლიდან (ენის ჩათვით) – აფერხებს მათი ცხოვრების განვითარებას. ამ პროცესმა შესაძლოა მიადწიოს მშობლიური ენის სრულ უარყოფამდე და, თავისთავად, იმ კულტურის უარყოფამდე, რომელიც დაკავშირებულია ამ ენასთან. ამასთან, შესაძლოა ჩამოყალიბდეს მტრული/არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება უმრავლესობის ენისა და კულტურის მიმართ. ეს ფსიქოლოგიური დაძაბულობა არის „ორი განსხვავებული კულტურის შეუთავსებლობა“ (“bicultural ambivalence”): „სირცხვილი მშობლიური კულტურის მიმართ და მტრული დამოკიდებულება სხვისი კულტურისადმი: („shame towards the native culture and hostility towards the other)”. როცა მასწავლებელმა იცის ბავშვის მშობლიური ენა, იგი ცდილობს თარგმნოს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ვერ იგებს. მაგრამ ფაქტია: თუ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მუდმივად თარგმანის თანხლებით, ბავშვი ვერასოდეს გაიგებს სრულ, თანმიმდევრულ ტექსტს სასწავლო ენაზე, რადგან მასწავლებელი მუდმივად ახდენს ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლას. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ქვეცნობიერად ენების აღრევა, რის გამოც ინდივიდი ვერ მიადწევს საშუალო შედეგსაც კი



სახელმწიფო ენაში, რომ აღარაფერი ვთქვათ აკადემიურ შედეგებზე. ამასთანავე, ადამიანები, რომლებიც განათლებას იღებენ არამშობლიურ ენაზე სშირად ხდებიან სემილინგვალები semi-lingual, (ან თვითმყოფადი ბილინგვალი subtractive bilinguals), ისინი ვერ აღწევენ საჭირო ენობრივ კომპეტენციას ვერც მშობლიურ და ვერც სახელმწიფო ენაში.



მულტილინგუური განათლების პოტენციალი

იმისათვის, რომ არსებული პრობლემების დაძლევა მოხდეს, მულტილინგუური განათლების მრავალი მოდელი შესაძლოა იყოს სასარგებლო. მულტილინგუური განათლება გულისხმობს ორი ან მეტი ენის მონაცვლეობით გამოყენებას სწავლების პროცესში, როგორც ეს განსაზღვრულია იუნესკოს მიერ. ბილინგუური განათლების არსის მიხედვით სხვადასხვა საგნები ისწავლება სხვადასხვა ენაზე: მაგალითად, მათემატიკა, სპორტი და გეოგრაფია ისწავლება პირველ ენაზე, ისტორია და ხელოვნება მეორე ენაზე და ა.შ. განსხვავებული ენები შესაძლოა ისწავლებოდეს ორი ან მეტი მასწავლებლის მიერ ერთ გაკვეთილზე. სხვადასხვა ენა გამოიყენება გაკვეთილზე სხვადასხვა მიზნისთვის. ასევე სხვადასხვა ენა შესაძლოა გამოიყენებოდეს დროის სხვადასხვა მონაკვეთში. მაგ: ერთი ენა დილას, მეორე შუადღით; ან ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ენა გამოიყენებოდეს კვირის სხვადასხვა დღეებში და ასე შემდეგ. მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ გაკვეთილზე, როცა სასწავლო პროცესი წარიმართება იმ ენაზე, რომელიც მათთვის ცნობილია, რადგან ადვილია მათთვის ყველაფრის გაგება და გაანალიზება, რაზეც საუბარია გაკვეთილის მსვლელობის პროცესში. ენის ცოდნის გამო მათ უვითარდებათ თავდაჯერებულობა, რადგან ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. ამ გზით ხდება მშობლიური ენის განვითარების უზრუნველყოფა: ბავშვი სწავლობს წერას, კითხვას ნააზრვეის კომპლექსურად გამოხატვას მშობლიურ ენაზე, იღებს სრულფასოვან განათლებას, რომელის




უფლებასაც მას ანიჭებენ კონვენციის 29 1.c) მუხლი, რომლის მიხედვით "განათლება უნდა ემსახურებოდეს პიროვნების კულტურული იდენტობის, ენის განვითარებას." შექმნილი თვითრეალიზაციის უნარი მშობლიურ ენაში, უმარტივეს ბავშვს მეორე და მესამე ენის შეთვისებას.

მშობლიურ ენაში მიღებული გამოცდილება გადააქვს ბავშვს მეორე და მესამე ენაში. ბავშვები, რომელთა მშობლიური ენა არ არის სახელმწიფო ენა, მაგალითად ისეთი როგორცაა ქართული ენა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის, მეორე ენის განვითარდება ხდება მათი მშობლიური ენის განვითარების და შენარჩუნების პარალელურად.

ბავშვები, რომლებიც მშობლიური ენის დახმარებით სწავლობენ ორ ან მეტ ენას, არამხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით ვითარდებიან, არამედ აღწევენ მაღალ დონეს სხვადასხვა აკადემიურ საგნებშიც. ისინი ხდებიან მულტილინგვალეები, რაც გულისხმობს არამხოლოდ იმას, რომ თავისუფლად ფლობენ და სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ ორ ან მეტ ენას, არამედ მათ პარალელურად უვითარდებთ სხვა დამატებითი უნარ-ჩვევებიც. პირველ რიგში, მულტილინგვალს უვითარდება შემეცნებითი აზროვნების უნარი. ისინი ხდებიან უფრო მეტად კრეატიული და მეტი შესაძლებლობები აქვთ გადაჭრან დამოუკიდებლად ზოგადად არსებული პრობლემები. ასევე, აღსანიშნავია, რომ მულტილინგვალ ადამიანი ზრდასრულობის ასაკშიც გაცილებით ადვილად ართმევს თავს სხვადასხვა ენების სწავლას ვიდრე მონოლინგვალი.

ამ თვალსაზრისით, აღნიშნული მოდელი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომელიც ასახულია ბავშვთა უფლებების კონვენციის 29 1.a) მუხლში: "თითოეული ბავშვის სრული პოტენციალის განვითარება, რომელიც გულისხმობს პიროვნულობის, ნიჭის, მენტალური და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას.





მშობლების დიდ ნაწილს აქვს შიში, რომელიც დაკავშირებულია ორი ენის ერთდროულად შესწავლასთან და იმ სირთულეებთან, რომელებიც ჩვეულებრივ თან ახლავს ამ პროცესს. როცა ბავშვზე ორიენტირებული, ინტერაქტიული მეთოდები გამოიყენება, ბავშვი ძალიან ადვილად ართმევს თავს ორო ან მეტი ენის თანადროულად შექმნას, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ბავშვისთვის ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს მულტილინგვურ კლასში სწავლა, ვიდრე მხოლოდ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. მულტილინგვურ კლასში კი შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სრული იმერსიული მოდელი. ამასთანავე, მულტილინგვური განათლება ესმარება, როგორც ლინგვისტური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კონკრეტული და კრეატიული აზროვნების განვითარებას. ბეიკერი (1988) განასხვავებს მულტილინგვური განათლების სამი სახის ნაწილობრივი იმერსიის მოდელს: *ტრანზიტული იმერსიული პროგრამები* იწყება სკოლის დაწყებით საფეხურზე და მშობლიური ენის გაკვეთილები სჭარბობს მეორე ენაზე ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობას, შემდეგ ეტაპობრივად იზრდება მეორე ენაზე გაკვეთილების რაოდენობა და გარკვეული პერიოდის შემდეგ აღწევს 100%-ს, ეს ძირითადად ხდება სკოლის მესამე, ბოლო საფეხურზე. მსგავსი პროგრამები წარმატებით გამოიყენება დასავლეთ ევროპაში მცხოვრები მიგრანტების განათლებაში. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს უმცირესობების დაახლოებას უმრავლესობის ენასა და კულტურასთან. მულტილინგვური განათლების მოდელების დადებითი მახასიათებლები ასახულია კონვენციის 28 1.c) and e), მუხლში, რომელიც ხელს უწყობს სრული იმერსიული შოკის შემცირებას და, ამასთანავე, ზრდის უმაღლესი განათლების შესაძლებლობას სახელმწიფო ენაზე. *შემნარჩუნებელი იმერსიული პროგრამები* გამიზნულია მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი უმცირესობების ენაზე მოსაუბრე ჯგუფებისთვის. ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს აზრის თავისუფლად გამოხატვას და წიგნიერების განვითარებას ორ ან სამ ენაზე ერთდროულად. *შემნარჩუნებელი იმერსიული პროგრამები* (Maintenance immersion programmes) არის პოპულარული კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანი საზოგადოებისთვის. მაგალითად, ყირგიზეთში აღნიშნული პროგრამა გამოიყენება ყირგიზეთ ენაზე მოსაუბრე რეგიონებში ამ ენის შენარჩუნებისთვის, რადგან აქ ოფიციალური ენა არის რუსული. აღნიშნული მიდგომით, სახელმწიფოს ახდენს კონცეფციის 18. 1.c) მუხლის რეალიზებას, სადაც წერია „უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა“ და 29 1.c) მუხლი: რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს „ბავშვის კულტურის, იდენტობის, ენის და ღირებულებების პატივისცემას“.

ორმაგი იმერსიული პროგრამები მიზნად ისახავს მულტილინგვიზმისა და მულტიკულტურალიზმის ხელშეწყობას არამხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის, არამედ რეგიონის ყველა მცხოვრებისთვის. აღნიშნული მოდელი აერთიანებს ენის სწავლისა და შენარჩუნების ყველა შესაძლო რესურსს მულტი-ეთნიკურ ქალაქსა და რეგიონებში. ორმაგი იმერსიული პროგრამების საბოლოო მიზანია სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებში ინდივიდის მულტილინგვიზმის, მულტიწიგნიერების და მულტიკულტურალიზმის მიღწევა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მულტიკულტურულ კლასში გამოიყენება ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, რომელიც ბავშვებს საშუალებას აძლევს სასწავლო პროცესში იყვნენ აქტიურნი, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობები და სამიზნე ენაზე უნდა მიმდინარეობდეს ინტენსიური კომუნიკაცია ენის სწავლის სხვადასხვა მეთოდების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შინაარსზე დაფუძნებულ სწავლებას. თითოეული ბავშვი სწავლობს მის მშობლიურ ენაზე და მეორე ენაზე პარალელურად, კლასები არის ეთნიკურად და ენობრივი თვალსაზრისით შერეული, არაერთგვაროვანი და სწავლის პროცესი დამოკიდებულია რეგიონის საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე. მულტილინგვური განათლების დროს მშობლები დგანან დიდი წინაშე, რომელი ენა აირჩიონ მათი შვილებისთვის სწავლების ენად. მსგავსი სახის მულტილინგვური განათლება წარმატებით გამოიყენება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. მაგალითად რუმინულად მოსაუბრე (Rumantsch-



speaking) რეგიონები შვეიცარიაში, სადაც ზოგიერთ სოფელში გერმანულად და რუმინულად მოსაუბრე ბავშვები იღებენ გერმანულ და რუმინულ ენებზე ერთდროულად განათლებას. ამ გზით რუმინულენოვანი (Rumantsch) ბავშვები თავისუფლად საუბრობენ გერმანულ ენაზე, რაც მათ უქმნის უმაღლესი განათლებისთვის ხელმისაწვდომ პირობებს. ბავშვები საუბრობენ რა გერმანულად, გარდა უმაღლესი განათლებისა და პროგრესის მეტი შესაძლებლობისა, ახერხებენ სხვა კულტურის ხალხთან ურთიერთობას, რის შედეგადაც ეცნობიან სხვათა კულტურას, ტრადიციებს და ხდებიან ბილინგვალები. სწორედ ორმაგი იმერსიული მოდელები საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს ბავშვთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესურება. ეს პროგრამა იძლევა შესაძლებლობას, რომ თითოეულმა ბავშვმა ისწავლოს სახელმწიფო ენა ისეთ დონეზე რომ მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს უმაღლესი განათლების მიღება და განვიითაროს ცხოვრების უნარები. ამის შესახებ საუბარია კონვენციის 28-ე მუხლის 1. c). პუნქტში. ასევე ჩვენს მიერ აღნიშნული იმერსიული პროგრამა არის ერთგვარი პრევენცია სრული იმერსიული შოკისა, რომელიც შეიძლება გავითარდეს ბავშვში არასწორი სწავლების მეთოდებითა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტების გაუთვალისწინებლობით. კონვენციის 28 მუხლის 1. e). პუნქტში ნათქვამია რომ, ის დამატებით შეიცავს სხვადასხვა ღირებულებებსა და კულტურული მახასიათებლების განვითარების მაღალ პოტენციალს, რომელიც ასევე გადმოცემულია კონვენციის 29-ე მუხლშიც: “ბავშვის ინდივიდუალური განვითარება, მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული გამოვლენა, ბავშვში მისი საკუთარი კულტურის, ენის და ღირებულებების პატივისცემის განვითარება, იმ ქვეყნის კულტურისა და ღირებულებების პატივისცემის პარალელურად, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს. განათლებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის იმგვარად აღზრდა, რომ მან შეძლოს თავისუფალ საზოგადოებაში ადვილად ადაპტირება და იმ ღირებულებების პატივისცემა, რომელიც ამ საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღებია. მნიშვნელოვანია, ისეთი ღირებულებების პატივისცემა, როგორცაა, გენდერული თანასწორობა, მშვიდობა, ხალხებს შორის ურთიერთგაგება, ეთნიკური, ნაციონალური და რელიგიური ჯგუფების და ცალკეული პიროვნების პატივისცემა, მისი წარმოშობის მიუხედავად.”

ორმხრივ იმერსიასა და სხვა მულტილინგვური განათლების მოდელებს შორის თვალშისაცემი განსხვავება არის ის, რომ ამ მოდელში არამხოლოდ უმცირესობების მოსწავლეები სარგებლობენ მულტილინგვური განათლების უპირატესობებით, არამედ ყველა ბავშვი განურჩევლად მისი ეთნიკური და ნაციონალური წარმოშობისა. ამ თვალსაზრისით ორმხრივი იმერსიული პროგრამები სრულად ჯდება ადამიანის უფლებების დაცვის შინაარსობრივ ფარგლებში.

დასკვნა

მულტილინგვური განათლების მოდელები არის ყველაზე მძლავრი და პრაგმატული მიდგომა მულტილინგვური სახელმწიფოებისთვის, რათა მათ განახორციელონ მათი კომპლექსური ვალდებულებები, რომელსაც აკისრებს ბავშვთა უფლებების კონვენცია ენობრივი განათლების მიმართულებით. ეს მიზნად ისახავს თითოეული ბავშვის განათლების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მისი ლინგვისტური შესაძლებლობები (linguistic background), ასევე უნდა მიეცეს ყველას შესაძლებლობა განათლება მიიღოს მათ მშობლიურ ენაზე, რასაც გადამწყვეტი როლი ეკისრება მისი ინტელექტუალური, ინდივიდუალური, კოგნიტური და სოციალური შესაძლებლობების განვითარებისათვის. (მუხლი 29 1. a), ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვის კულტურული და ენობრივი ღირებულებების ჩამოყალიბება და განვითარება. (მუხლი 29 1. c). მსგავსი მიდგომა ყველა ბავშვს თანაბარ საშუალებას აძლევს უმაღლესი განათლების მიღებისათვის სახელმწიფო ენაზე, (მუხლი 28 1. c). მულტილინგვური განათლება ამცირებს იმ ჩავარდნებს, რომლებიც ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს სრული იმერსიული პროგრამების დროს სახელმწიფო ენაზე. (მუხლი 28 1. e). მულტილინგვურ სა-



განმანათლებლო პროგრამებში აუცილებელია გამოიყენებოდეს ენის სწავლის თანამედროვე მეთოდები და მიდგომები, რომელზეც საუბარია კონვენციის 28.3 მუხლში.

ორმხრივი იმერსული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან უმცირესობების მოსწავლეები უმრავლესობების მოსწავლეებთან ერთად, ყველაზე პრაგმატული და ეფექტური გზაა ინტერკულტურული განათლებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური ღირებულებების განვითარებას (მუხლი 29 1.d) განათლებაში უნდა უზრუნველყოს ბავშვის მომზადება თავისუფალ საზოგადოებაში ადაპტაციისათვის, მშვიდობის, შემწეობის, გენდერული თანასწორობის, სხვადასხვა კულტურის, ნაციონალობის, რელიგიის და წარმოშობის ხალხთა მიმართ პატივისცემის განვითარება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ბეიკერი, 1988 - Baker, Colin, *Key Issues in Bilingualism and Bilingual Education*. Clevedon: Multilingual Matters, 1988.
- ბეიკერი, 1993 - Baker, Colin. *Foundations for bilingual education and bilingualism*. Clevedon: Multilingual Matters, 1993.
- კაზაბონი, 1988 - Cazabon, Mary T., Elena Nicoladis, and Wallace E. Lambert (1988). *Becoming Bilingual in the Amigos Two-Way Immersion Programme*. <http://www.cal.org/crede/pubs/research/rr3.htm>, 1988.
- კროუფორდი, 1997 - Crawford, James, 'Research on Language-Minority Education: The State of the Art'. *Best evidence: Research on language-minority education*. Washington, DC: National Clearinghouse for Bilingual Education. <http://www.ncbe.gwu.edu/ncbepubs/reports/bestvidence/research.html>, 1997.
- კუმინსი, 1980 - Cummins, James, *The construct of language proficiency in bilingual education*. In: ალატის, ჯ. ე. - Alatis, J.E. (ed.), *Current Issues in Bilingual Education*. Washington. Georgetown University Press, 1980.
- გარსია, 2000 - Garcia, Augustine, 'Informed parent consent and Proposition 227'. *Bilingual Research Journal* 24, (1, 2): 57-74, 2000.
- კრაშენი, კროუფორდი და კიმი, 1988 - Krashen, S., Crawford, J. and Kim H. *Bias in polls on bilingual education: A demonstration*. <http://ourworld.compuserve.com/homepages/JWCRAWFORD/USCpoll.htm>, 1988.
- ლემონი და გოგინი, 1989 - Lemmon, C.R. and Goggin, J.P., 'The measurement of bilingualism and its relationship to cognitive ability'. *Applied Psycholinguistics*, 10, 144-155, 1989.
- პიაჟე, 1975 - Piaget, Jean, *Sprechen und Denken des Kindes*. Düsseldorf: Schwann, 1975.
- გადავარჩინოთ ბავშვები (2005) - Save the Children, *Child Rights Programming*. Lima, 2005.
- შულტერი, 2006 - Schulter, Beatrice, 'Language learning and multilingual education from the point of view of the child - linguistic, cognitive and personal development in education forms with various linguistic settings'. In: Bachmann, C. (ed.), *Language Policies and Education in Multilingual Societies*. CIMERA Conference Proceedings 7, Tbilisi, 2006.
- სვითმენი, 2001 - Sweetnam Evans, Moyra (2001). *Academic achievement, underachievement and bilingual/multilingual education: What the university can contribute*. <http://general.rau.ac.za/aameeld/junie2001/achievement.htm>, 2001.
- ტომასი, კოლიერი, 1997 - Thomas, Wayne P. and Virginia Collier (1997). 'School effectiveness for language minority students'. *National Clearinghouse for Bilingual Education*. www.ncbe.gwu.edu.
- ტუიფორდი, 1988 - Twyford, Charles W. (1988). 'Age Related Factors in Second Language Acquisition'. *The National Clearinghouse for Bilingual Education*, 2. <http://www.ncbe.gwu.edu/ncbepubs/classics/focus/02bage.htm>. 1988.



- იუნესკო, 2003 - UNESCO (2003) Education Position Paper: *Education in a multilingual world*. 2003.
- გაერთიანებული ერები, გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისრის ოფისი ადამიანის უფლებებისთვის, 1989 - United Nations, Office for the United Nations High Commissioner for Human Rights (1989), *Convention on the Rights of the Child*.
<http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm>
- გაერთიანებული ერები, გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისრის ოფისი ადამიანის უფლებებისთვის, 2006 - United Nations, Office for the United Nations High Commissioner for Human Rights (2006), *Frequently Asked Questions on a Human Rights-based Approach to Development Cooperation*. New York and Geneva.
- ვოუდი, 1995 - Wode, H. *Lernen in der Fremdsprache: Grundzüge von Immersion und bilinguaem Unterricht*. Ismaning: Hueber. 1995.
- ვიგოდსკი, 1974 - Wygotski, Lew. *Denken und Sprechen*. Frankfurt am Main: Fischer. 1974.



კატრი რაიკი

ტარტუს უნივერსიტეტთან არსებული
ნარვას კოლეჯი, ესტონეთი

შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლება: ბილინგვური სკოლის პერსპექტივა ესტონეთში

აბსტრაქტი

შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლება გამოიყენება ზოგადი განათლების სკოლებში, რომლებშიც წამყვანი ენა არის რუსული. ასეთი სკოლები ესტონეთის სკოლის სისტემის ერთ მესუთედს შეადგენს. შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლების მეთოდის ნებაყოფლობითი, სისტემატური დამკვიდრება ესტონეთის რუსულენოვან სკოლებში დაიწყო ათი წლის წინ, თუმცა, შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების შესახებ აქტუალურია არა მხოლოდ რუსული საშუალო სკოლებისათვის ესტონეთში. ესტონეთში რუსულენოვანი სკოლების გარდა, არსებობს ინგლისურ ენოვანი და ფინურ ენოვანი სკოლებიც, ასევე სკოლები, რომლებშიც სწავლება ნახევრად გერმანულად და ფრანგულად მიმდინარეობს ამ მეთოდის განვითარებისა და მომავალი წარმატების გასაღები არის მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაცვლა. აუცილებელია შესაბამისი კომპეტენტურობა და მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტებისა და მასწავლებელთა ტრენინგების მნიშვნელობის განსაზღვრა.

ბავშვებისთვის მათი მშობლიური ენისგან განსხვავებულ ენაზე სწავლების პრაქტიკა ესტონეთში 1960 წლის დასაწყისიდან დამკვიდრდა. თავდაპირველად, სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლები, რომლებმაც შემოიღეს ინგლისურენოვანი სწავლება, მიიჩნეოდა ელიტურ სკოლებად ესტონეთში. თანამედროვე ესტონეთში "შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლების" ცნებაში მოიაზრება მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსისა და ენის ერთდროულ ათვისებას, რაც ხდება კონკრეტული ენობრივი უნარების განვითარებით (მეჰისტო, მარში..., 2008). შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლება გამოიყენება ზოგადი განათლების სკოლებში, რომლებშიც წამყვანი ენა არის რუსული. ასეთი სკოლები ესტონეთის სკოლის სისტემის ერთ მესუთედს შეადგენს. შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლების მეთოდის ნებაყოფლობითი, სისტემატური დამკვიდრება ესტონეთის რუსულენოვან სკოლებში დაიწყო ათი წლის წინ პროექტით "language immersion" კანადის მაგალითის მიხედვით. სწავლების ეს მეთოდი გამოიყენება როგორც ბალებში, ასევე საბაზო სკოლებში. ასე რომ, language immersion-ის მეთოდი ესტონეთში გამოიყენება ნაწილობრივი და მთლიანი ფორმით. სწავლების ამ მეთოდის ეფექტურობა უკვე დამტკიცებულია (იხ. შესაბამისი კვლევები <http://www.kke.ee/index.php?lang=est&pages_ID=46&menus_ID=1&active_link_ID=55&mark=0>).

1997 წელს ამჟამინდელ „კანონს საბაზო და საშუალო სკოლებისათვის ესტონეთში“ დაემატა ახალი დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც რუსულენოვან სკოლებს უნდა დაეწყოთ საგნების ნახევრად ესტონურად სწავლება საშუალო სკოლებში არა უგვიანეს 2007 წლის 1 სექტემბრისა. ეროვნული კურიკულუმის მიხედვით, ბავშვებს, რომლებმაც სწავლა დაიწყეს 2011 წელს უნდა ასწავლონ ესტონურ ენაზე სავალდებულო საგნების მინიმუმ 60 %. ასეთი ცვლილების მიზანი არის რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ესტონური ენოვანი სკოლების მოსწავლეებთან, მას შემდეგ, რაც ისინი სკოლას დაამთავრებენ - სწავლის გაგრძელებისა და სამუშაოს პოვნის თვალსაზრისით. (კანონი ძალაშია 2011 წლის 6 იანვრიდან).



საბაზისო და დაწყებითი სკოლის ახალი ეროვნული კურიკულუმის რეკომენდაციით, ცვლილებათა ამ პროცესში გამოიყენება შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლების მეთოდი. ასე რომ, ამ მეთოდის გამოყენება ესტონეთის განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იქნება მომავალი წლების განმავლობაში. ესტონური ენა უკვე გამოიყენება სკოლების უმრავლესობაში (განათლებისა და კვლევების სამინისტროს მიხედვით, ესტონური ენა გამოიყენება სულ მცირე სკოლების სამ მეხუთედში).

2010/2011 აკადემიურ წელს საშუალო სკოლებში ესტონურად წარმართული საგნების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა არის 4. მაგრამ, განათლებისა და კვლევების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, სკოლების 90%-ში 4 საგანზე მეტი ისწავლება ესტონურ ენაზე. (კანონი ძალაშია 2007 წლის 23 ნოემბრიდან) დღემდე განხილვის საკითხია რას ვგულისხმობთ ცნებაში "შინაარსი/საგნის ესტონურ ენაზე სწავლება". ვითვალისწინებთ თუ არა მოსწავლეთა მიერ ინგლისური ენის ფლობის დონეს, რომელიც დამოკიდებულია მოსწავლის ასაკსა და მეტყველების უნარებზე მშობლიურ ენაზე.

კვლევის საგანია მოსწავლეებისა და მასწავლებლების განწყობის შეფასება იმ ცვლილებების მიმართ, რომელიც განხორციელდა რუსულენოვან სკოლებში უკანასკნელი წლების განმავლობაში. პირველი ასეთი კვლევების შედეგი (2009) აჩვენებს, რომ ვდგავართ გზაგასაყარზე: მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საბოლოო დასკვნების გამოტანა ადრეა, ცვლილებებისადმი მასწავლებლებისა და მოსწავლეების უარყოფითი დამოკიდებულების დონე ძალიან მაღალია. მნიშვნელოვანია განსხვავებები იდა-ვირუმის რეგიონს, ტალინსა და ესტონეთის სხვა რეგიონებს შორის. მოსწავლეებისა და მასწავლებლების თვალთახედვა ასევე განსხვავდება: როგორც კვლევა აჩვენებს, მოსწავლეები უფრო ღია არიან ინგლისურ ენაზე ისწავლონ. პოზიტიური შედეგი არის მოსწავლეების მზარდი ინტერესი საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისადმი ესტონეთში. სწავლების მეთოდოლოგია და მოსწავლეთა მოტივაცია კი ისევ პრობლემურ სფეროებად რჩება (მასო, კელო, 2010).

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს მონაცემები იმ მეთოდების შესახებ, რომლებსაც სკოლები იყენებენ მეორე და უცხო ენების სასწავლებლად და არც ამ მეთოდების ეფექტურობის შესახებ. TALIS-ის მასწავლებლების კვლევა (2007-2008) OECD-ის ჩარჩოებში, ავლენს ისეთ ფაქტს, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება: ესტონეთში მასწავლებლების მსოფლმხედველობა არის ლიბერალური და თანამედროვე, მიუხედავად იმისა, რომ სწავლების პრაქტიკა უფრო ტრადიციულია სხვა ქვეყნებთან შედარებით (ლუგმა, რუუსი..., 2009). მასწავლებელთა მიერ ესტონური ენის ფლობის საკითხიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან იმ მასწავლებელთა უმრავლესობა, რომელიც ინტეგრირებულ კლასში მუშაობს რუსულენოვანია.

რუსულენოვანი საშუალო სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგები მოცემულია OECD PISA -ს კვლევებში (2006, 2009), რომლის მიხედვითაც რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეები აჩვენებენ უარეს შედეგებს. (<http://www.ekk.edu.ee/vvfiles/0/PISA_2009_Eesti.pdf>) სახელმწიფო გამოცდების მონაცემების მიხედვით რუსულად მოლაპარაკე ახალგაზრდების აკადემიური შედეგები უფრო დაბალია, ესტონურად მოლაპარაკებულთან შედარებით, განსაკუთრებით ისტორიაში, მეცნიერებებში, გეოგრაფიასა და უცხო ენებში. აღსანიშნავია, რომ რუსულენოვანი სკოლები, სადაც ესტონური ენა დაინერგა და უფრო აქტიურად გამოიყენება თანაბარ მდგომარეობაში არიან ესტონურად მოლაპარაკე სკოლებთან (განათლებისა და კვლევების სამინისტრო 2010/2011). რუსული საშუალო სკოლების დირექტორები ამ ბოლო დროს მედიის საშუალებით ყურადღებას აქცევენ იმ პრობლემას, რომ ნიჭიერი მოსწავლეები ესტონურ საშუალო სკოლებში დადიან (მასწავლებლის გაზეთი, 14 იანვარი, 2011, გვ. 2). რუსული საშუალო სკოლები გზაგასაყარზე იმყოფება: მნიშვნელოვანია რუსული ენის სტატუსის დადგენა სკოლებში და მისი ბედი. ახალ კულტურაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ რუსულად მოლაპარაკე მასწავლებლებს, რომლებმაც უნდა შეინარჩუნონ თავიანთი ერის კულტურა.

შინაარსისა და ენის ინტეგრაციული სწავლების მეთოდის წარმატება (რომელიც უკვე დამტკიცდა საერთაშორისო გამოცდილებით) ესტონეთში დამოკიდებულია ქვეყნის



განათლების კანონებზე, მასწავლებელთა მზადყოფნაზე რომ გამოიყენონ იგი, სწავლების შესაბამისი მასალების ხელმისაწვდომობაზე და მასწავლებელთა უნარებზე-გამოიყენონ მასალა, რომლითაც ასწავლიან.

ამჟამინდელი კანონის თანახმად, საშუალო სკოლებში სწავლება ესტონურ ენაზე უნდა იყოს, მაშინ, როცა პროფესიულ სასწავლებლებში სწავლება შეიძლება რუსულ ენაზეც. სამინისტროს მონაცემების მიხედვით, რუსულ ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებსაც სურს პროფესიულ სასწავლებლებში განაგრძოს სწავლა 10%-ით მეტია ესტონურ ენაზე მოსაუბრე თანატოლებზე. საბაზო და საშუალო სკოლების შესახებ კანონის მიხედვით, რუსული საშუალო სკოლების მფლობელებს უფლება აქვთ გადაავადონ ესტონურ ენაზე სწავლებაზე გადასვლა, ხოლო კერძო სკოლებს შეუძლიათ განაგრძონ რუსულ ენაზე სწავლება. ამ მომენტამდე, სკოლის რეფორმის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე, მსგავსი გადავადების სურვილი არც ერთ სკოლას არ გამოუთქვამს. ასე რომ, ძირითადი საკითხი არის არა ცვლილებების აუცილებლობა განათლების სფეროში, არამედ ცვლილებებისთვის შესაბამისი გზების პოვნა.

რუსული საშუალო სკოლების მასწავლებელთა ტრენინგები ათი წლის წინათაც განხილვის საგანი იყო (ვასილენკო, 1998). მასწავლებელთა ტრენინგები, რომელიც კურიკულუმით არის გათვალისწინებული, არ არის საკმარისი: საგანი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მულტიკულტურულ განათლებაზე უფრო გამონაკლისია, ვიდრე კანონი მასწავლებელთა კურიკულუმში. დღესდღეობით, ესტონეთში ყველა მასწავლებელს ჭირდება სპეციალური მომზადება რათა გამოიყენოს შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მეთოდი. მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა განსაკუთრებით ისეთი მასწავლებლებისთვის, რომლებიც მუშაობენ ორივე - რუსული და ესტონური ენის გამოყენებით. რუსულის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლების საქმიანობა შეთავსებული უნდა იყოს მათ ახალ როლთან: შეინარჩუნონ ენა და კულტურა, რომელიც განაპირობებს იდენტურობას.

ზემოთ ნახსენები მეთოდი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების შესახებ აქტუალურია არა მხოლოდ რუსული საშუალო სკოლებისათვის ესტონეთში. ესტონეთში რუსულ ენოვანი სკოლების გარდა არსებობს ინგლისურ ენოვანი და ფინურ ენოვანი სკოლებიც, ასევე სკოლები, რომლებშიც სწავლება ნახევრად გერმანულად და ფრანგულად მიმდინარეობს. მომავალი წარმატების გასაღები არის მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაცვლა, მათ შორის უცხოელ კოლეგებთანაც. ენაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიის საკითხს მოჰყვება არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: ესტონური სკოლების მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული კულტურული წარმომავლობა და მათი მშობლიური ენა არ არის აუცილებლად ესტონური ან რუსული. ეს გარემოება ესტონეთის განათლების სისტემას და მის მასწავლებლებს განსაკუთრებულ დავალებებს აკისრებს. კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ მულტიკულტურულ გარემოში სწავლა არ არის ბოლომდე შეფასებული, პირველ რიგში ესტონურ საშუალო სკოლებში (ლუგმა, რუუსი..., 2009). აუცილებელია შესაბამისი კომპეტენტურობა და მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტებისა და მასწავლებელთა ტრენინგების მნიშვნელობის განსაზღვრა.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching;
Problems and Challenges



გამოყენებული ლიტერატურა:

- ესტონეთის მასწავლებელთა განათლების სტრატეგია 2009-2013 წლებისთვის -
In:<http://www.hm.ee/index.php?0511752>. 20.02.2011.
- ვასილენკო, 1998 - Vassiltšenko, Asser, Trasberg, Muukeelne haridus ja õpetajakoolitus, 1998.
- კანონი საბაზო და საშუალო სკოლებისათვის ესტონეთში, 1997
- ლუგმა, რუუსი, ტალტსი, პულ-ვალისკისი, 2009 - Loogma, K., Ruus, V-R., Talts, L. & PoolValickis, K., 2009. Õpetaja professionaalsus ning tõhusama õpetamis- ja õppimiskeskkonna loomine. OECD rahvusvahelise õpetamise ja õppimise uuringu TALIS tulemused. (Teacher's Professionalism and Creation of More Effective Teaching and Learning Environment. Results of OECD International Survey in Teaching and Learning TALIS). Tallinn: Tallinna Ülikooli haridusuuringute keskus.
- მასო, კელო, 2010 - Masso, I. & Kello, K., 2010. Vene õppekeelega koolide valmisolek eestikeelsele gümnaasiumiõppele üleminekuks (Readiness of Russian Medium Schools for Transfer to Upper Secondary School Studies in Estonian Language.) In:
<http://www.hm.ee/index.php?048181>. 20.02.2011.
- მასწავლებლის გაზეთი, 2011 - "Õpetajate Leht (Teachers' Newspaper)", 14 იანვარი, 2011.
- მეჰისტო, მარში, 2008 - Mehisto, P., Marsh, D. and Frigols, M.J.: 2008, Uncovering CLIL. Macmillan, Oxford
- PISA -ს კვლევები, 2009 – http://www.ekk.edu.ee/vvfiles/0/PISA_2009_Eesti.pdf
http://www.kke.ee/index.php?lang=est&pages_ID=46&menus_ID=1&active_link_ID=55&mark=0



ზენტა ანსპოკა
დაცე დალბინა
ვინეტა ვაივადე
LVA, ლატვია

ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეები ლატვიურ სკოლებში: პრობლემები და გამოწვევები

აბსტრაქტი

კვლევის აქტუალობა დაკავშირებულია პრობლემასთან, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გახდა, რადგან ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეების დაახლოებით 6% სწავლას იწყებს ლატვიურენოვან სკოლებში. ეს რიცხვი გაცილებით მეტია ლატვიურენოვანი სკოლების საშუალო საფესურზე. მონოლინგვალური ოჯახებიდან წამოსული მოსწავლეები სწავლობენ პარმონიულ ბილინგვალურთან ერთად (harmonic bilinguals) და იმ მოსწავლეებთან ერთად, რომლებიც თანდათანობით ხდებიან ძლიერი ბილინგვალური, მათ შორის არიან ასევე ასიმეტრიული ბილინგვალური (asymmetric bilinguals). მასწავლებლები, რომელთაც ასეთ მრავალფეროვან გარემოში უწევთ სწავლება საჭიროებენ პროფესიული უნარებისა და კომპეტენციის განვითარებას-როგორც იმუშაონ ეთნიკურ უმცირესობებთან ლინგვისტურად ჰეტეროგენულ (მრავალფეროვან) კლასში.

შესავალი

განათლებას უდიდესი როლი ეკისრება სოციალური განვითარების, სტაბილურობის, ინტეგრაციისა და ენობრივად მრავალფეროვანი მსოფლიო კაპიტალის განვითარების ხელშეწყობის პროცესში. სკოლა არის გარემო პიროვნების წარმატებული განვითარებისათვის თანამედროვე საზოგადოების ახალი სტანდარტების შესაბამისად. სწავლა/სწავლების პროცესი ზოგადად მოიცავს ინტელექტუალური, სოციალური, ფიზიკური, ემოციური, ლინგვისტური და მორალური შესაძლებლობების განვითარებას ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, როგორც ინდივიდის ისე ფართო საზოგადოების დონეზე.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მოსწავლეების რაოდენობა ლატვიურენოვან სკოლებში თანდათანობით იზრდება და ეს პროცესი არ არის დაკავშირებული ლატვიელების საერთო პროპორციების ზრდასთან. 2001 წლიდან დაახლოებით უმცირესობების მოსწავლეების 6%-მა სწავლა დაიწყო ლატვიურენოვან სკოლებში. გაკვეთილები ლატვიურენოვან სკოლებში თანდათანობით ხდება უფრო მეტად ეთნიკურად და ლინგვისტურად ჰეტეროგენული (მრავალფეროვანი). საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრის დ VI შ-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მოსწავლეების 19.3%-ი სკოლის საშუალო საფესურზე ლატვიურს სწავლობს, როგორც მეორე ენას. ყველაზე ხშირად მშობლები მათი შვილების ლატვიურენოვან სკოლებში გაგზავნის არგუმენტად ასახელებენ შემდეგს: საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა ლატვიური ენის ცოდნა, ლატვიურ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის წინაპირობაა ლატვიური ენის აკადემიურ დონეზე ცოდნა; ასევე ადვილია შრომით ბაზარზე თავის დამკვიდრება და კარიერული წინსვლის მეტი პერსპექტივა აქვს მას ვინც ფლობს სახელმწიფო (ლათვიურ) ენას და ა.შ. (შუსტერსი, გოლუბევა, კოვალენკო, შტროდე, 2006).



რაც უფრო ცვლადია სოციალური გარემო, მით უფრო მნიშვნელოვანია მასწავლებლის პასუხისმგებლობა დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს მისი საკუთარი იდენტიფიკაციის გაანალიზებაში და შენარჩუნებაში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ყურადღება მიექცეს ფსიქოლოგიურ, ლინგვისტურ და პედაგოგიურ თავისებურებებს ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობის პროცესში ლატვიურენოვან სკოლებში და გაკეთდეს გამოცდილებაზე დაყრდნობით ანალიზი, როგორ უნდა მოხდეს არსებული სირთულეებისა და გამოწვევების გადაწყვეტა.

მეთოდები და მასალები: არსებობს განსხვავებული თეორიები ენისა და კულტურის ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით; თეორიები კომუნიკაციურ მიდგომებზე, ამოცანების გადაწყვეტაზე დაფუძნებული სწავლება (task-based learning) და როგორც ემპირიული დაკვირვებები აჩვენებს ყველაზე მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის განვითარება მულტიკულტურულ გარემოში ეფექტურად სწავლებისათვის.

შედეგები და დისკუსია

მულტილინგუური განათლების მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი იდენტიფიკაციის განვითარებაში; ჩამოაყალიბოს თითოეულ ინდივიდში სოლიდარობის გრძნობა და განავითაროს კრიტიკული აზროვნება. მულტიკულტურული განათლება მოიცავს კულტურაზე ორიენტირებულ შინაარსს, რომელიც ეხმარება ეთნიკურ უმცირესობებს ინტეგრაცია მოახდინონ დომინანტ საზოგადოებაში, გამოხატონ საკუთარი აზრი ინტერკულტურული დიალოგის ფარგლებში და უკეთ გაიაზრონ არამხოლოდ უმრავლესობის კულტურა, არამედ საკუთარი კულტურული ტრადიციები და ღირებულებები, რათა უკეთ დაინახონ კულტურული მსგავსება და განსხვავება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხს შორის. თითოეული პიროვნების ინდივიდუალური კულტურა დაკავშირებულია სათანადო ცოდნასთან და გარემოს მიმართ ჯანსაღ დამოკიდებულებებთან, თითოეული კულტურა ავლენს თავისებურებებს, რაც იწვევს ვითარდება სოციალურ ცვლილებებს. (ბანკი, 2005; გიდენსი, 2003; ჰარმერი, ბლანკი, 2000).

მოცემული მულტიკულტურული მახასიათებლები მოულოდნელად გამოჩნდა ლატვიურ სკოლებში, მაგალითად, განსხვავებული კულტურული ტრადიციები, სამეტყველო ჩვევები, ჩაცმის სტილი, ლინგვისტური გამოცდილება, ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი განვითარება, მატერიალური და სულიერი ღირებულებები, რწმენა, სწავლის მოტივაცია, სწავლის უნარ-ჩვევები და სხვა. ემპირიული დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია გარემო ლინგვისტური და ეთნიკური თვალსაზრისით მოსწავლეების უმრავლესობა ცდილობს შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა საკუთარ ენისა და კულტურის მეშვეობით.

ლატვიაში განსხვავებული ეთნიკური წარმოშობის უმცირესობების მოსწავლეები არ არიან იზოლირებულნი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისგან, პირიქით ისინი თანაარსებობენ მშვიდობიანად განსხვავებული კულტურული და ეთნიკური ღირებულებების პირობებში, თუმცა თითოეული მოსწავლე საჭიროებს საკუთარი იდენტურობის განვითარების ხელშეწყობას - როგორც ინდივიდი, როგორც საზოგადოების სრულყოფილი წევრი. როგორც დაკვირვებები და უმცირესობების მოსწავლეების და მათი პედაგოგების გამოკითხვა ცხადყოფს მრავალფეროვან საზოგადოებაში სწავლა/სწავლებას თან სდევს გარკვეული ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და პედაგოგიური პრობლემებიც.

ფსიქოლოგიური პრობლემები დაკავშირებულია ემოციურ სტრესთან. 52.8%-ს 154 გამოკითხული მოსწავლიდან აქვს სწორედ მსგავსი სახის პრობლემები, რაც იწვევს დისკომფორტს. ამ შემთხვევაში ახალი კულტურული გარემო აძლიერებს აღნიშნულ დისკომფორტს. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ემოციური შფოთვა, გაღიზიანება, თავშეკავება აზრის თავისუფლად გამოხატვისაგან შეცდომების დაშვების შიშის გამო, მოულოდნელი და გამაოგნებელი ცვლილებები განწყობაში. მოსწავლეების ნაწილი ცდილობს მსგავს შიშებს



მოერიოს, ცდილობს იზოლაციიდან თავის დაღწევას თანატოლებთან ურთიერთობების და ყურადღების ცენტრში მოხვედრის მეშვეობით, (თუმცა მოსწავლეების სწავლის პროცესი ყოველთვის არ შეესაბამება დადგენილ კულტურულ ნორმებს) (ანსპოკა, შილინა-იასუკევიცა, 2006).

მოსწავლეთა ლინგვისტური პრობლემები ყოველთვის ინდივიდუალური და მრავალფეროვანია. მოსწავლეები, რომელიც იწყებენ სწავლას სახელმწიფო ენაზე შესაძლოა დაიყოს ორ ჯგუფად: მათი ერთი ნაწილი ლატვიურს სწავლობს როგორც მშობლიურ ენას, ხოლო მეორე ნაწილი - როგორც მეორე ენას ან ზოგჯერ როგორც უცხო ენას. ლატვიურის, როგორც მეორე ენის სწავლა ეხებათ იმ მოსწავლეებს, რომლებიც თავის მშობლებთან ერთად დაბრუნდნენ ევროპის ქვეყნებიდან, მათი მშობლების სამუშაო კონტრაქტის სასრულების გამო ან იმ მშობლების შვილები, რომლებიც მიეკუთვნებიან მესამე მსოფლიოს ქვეყნებს (countries of the third world). ეს მოსწავლეები ლატვიურ ენას ეუფლებიან სხვადასხვა საგნების სწავლით სუბმერსიის მოდელის მიხედვით. ემპირიული დაკვირვებებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები განსხვავებული პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ფლობენ განსხვავებულად მოსმენის, საუბრის, კითხვის და წერის უნარებს.

ლინგვისტური პრობლემები უმცირესობების სტუდენტებს აწუხებთ არამარტო განსხვავებული შინაარსის მასალის სწავლის გამო, არამედ მათი გაგების, ანალიზის, ინფორმაციის კლასიფიკაციის, მოვლენების აღქმის უნარიც განსხვავებულია, ამ პროცესში მნიშვნელოვანია დიალოგი მასწავლებელსა და მოასწავლეს შორის არსებული პრობლემების დასაძლევად.

უმცირესობების მოსწავლეებს შორის არიან ისეთებიც, რომელნიც ადვილად ახდენენ გადასვლას მშობლიური ენიდან ლატვიურ ენაზე, თუმცა არსებობენ ისეთებიც რომელთა ცნობიერებაში ხდება ენის კოდების აღრევა, რაც ხშირად შესამჩნევი ხდება ზეპირი საუბრის დროს, სიტყვებში, ფრაზებში, წინადადების სტრუქტურაში და გრამატიკულ ფორმებში. კოდების აღრევა გამოწვეულია მოსაუბრის მიერ არასაკმარისი სამეტყველო უნარების, დაბალი მოტივაციის ან სხვა მიზეზების გამო.

როცა უმცირესობების მოსწავლეები მუშაობენ ტექსტთან აქვთ შეცდომები მათი კულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე, რაც ხელს უშლის ტექსტის შინაარსის გაგებას. უმცირესობების მოსწავლეები მეტს ფიქრობენ თითოეულ სიტყვაზე და იწყებენ შინაარსის დაკარგვას და აზრის გაფანტვას.

საკმაოდ ხშირად უმცირესობების მოსწავლეები საგნებისა და მოვლენების დახასიათებისას იყენებენ ყოველდღიურ სიტყვებს არაფორმალური მეტყველებიდან თანატოლებთან და სკოლის გარეთ კომუნიკაციისათვის, რადგან მათი სიტყვათა მარაგი არ შეიცავს ფორმალური და ლიტერატურული ენისთვის საჭირო მარაგს. უმცირესობების მოსწავლეებს ხშირად არ შეუძლიათ უპასუხონ დასმულ შეკითხვას ან რაიმე ამბავი გადმოსცენ ნარატივის ფორმით. ამ შემთხვევაში ჩვენ გვმართებს სიფრთხილე რათა გავარკვიოთ არის ეს ენობრივი კომპეტენციის შედეგი თუ მოსწავლე ვერ ფლობს საკმარის ინფორმაციასა და ცოდნას შესაბამის საკითხთან დაკავშირებით.

უმცირესობების მოსწავლეებს შეუძლიათ დაუშვან შეცდომა ლინგვისტური დაბრკოლებების გამო. მაგალითად ლატვიური სიტყვებს აყალიბებენ მშობლიური ენის მოდელის მიხედვით. რესპონდენტთა 49.9% -ს არ აქვს სრულფასოვანი ცოდნა ლატვიური კულტურისა და ისტორიის შესახებ, რას ართულებს მაგალითად ფოლკლორული ტექსტის, ანდაზებისა ან გამონათქვამების გაგებას.

იმავედროულად, უმცირესობების მოსწავლეები ხშირად არ ფლობენ ცოდნას და ინფორმაციას არც თავის საკუთარ ენაზე და კულტურაზე და ხდებიან ლატვიური ტრადიციების მატარებელი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, რის გამოც ისინი არიან ასიმილაციის ან წინააღმდეგობების საფრთხის ქვეშ და ყალიბდება არაშემწყნარებლური დამოკიდებულება სხვისი ტრადიციებისა და კულტურის მიმართ (ანსპოკა, შილინა-იასიუკევიცა, 2006).

რესპონდენტთა 17.8%-სგან მიღებული შედეგის საფუძველზე პრობლემები ექმნებათ იმ მონოლინგვალური ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს, უმთავრესად რუსულენოვანი ოჯახების



შილებს, რომლებსაც არ უვლიათ ლატვიურენოვან საბავშვო ბაღებში. ხშირად ამ ბავშვებს არც შემდგომში არ აქვთ ლატვიურენოვანი გარემო სკოლის გარეთ, რადგან ოჯახის წევრების საკომუნიკაციო ენას წარმოადგენს რუსული, უყურებენ ძირითადად რუსულენოვან გადაცემებს, კითხულობენ რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებს, აქვთ მჭიდრო კულტურული ურთიერთობა რუსეთთან, გარდა ამისა მშობლებს არ შეუძლიათ დაეხმარონ მშვილებს საშინაო დავალების მომზადებაში, რადგან მათი სამეტყველო ლექსიკა მეტად მწირი და ღარიბულია, გარდა იმისა რომ ვერ ფლობენ შესაბამის წერით და კითხვით უნარებს სახელმწიფო ენაში. თუ კი მოსწავლეს აქვს სწავლის მოტივაცია, მხარდაჭერა უნდა იყოს ოჯახიდანაც. გამოკითხულ პედაგოგთა 42.2%-მა აღნიშნა, რომ თუ უმცირესობებისა და უმრავლესობის მოსწავლეებს შორის სკოლის დაწყებით საფეხურზე დიდი განსხვავებაა ლატვიური ენის ფლობისა და სწავლის უნარების მხრივ, საბაზო საფეხურზე ხდება შედეგების დაბალანსება და განსხვავება უმნიშვნელოა.

ძალიან ხშირად უმცირესობების მოსწავლეები, რომლებიც თანდათან ხდებიან ბილინგვალები მეტ შედეგს აღწევენ სწავლაში და მათი გამოცდილება სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით არის უფრო ფართო და ღრმა ცოდნაზე დაფუძნებული, რადგან ისინი არამხოლოდ ორ ენას იყენებენ არამედ მათ აქვთ ორი ან მეტი ენისა და კულტურის შეგრძნების უნარი (ანსპოკა, შილინა-იასიუკევიცა, 2006; შუსტერსი, გოლუბევა, კოვალენკო, შტროდე, 2006).

მასწავლებლებისთვის არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელიც უკავშირდება მულტიკულტურულ გარემოში ბილინგვალ მოსწავლეებთან მუშაობას ლატვიური ენის სწავლების პროცესში. ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ ის ასევე გულისხმობს აზრების ისე გამოხატვას, რომ მსმენელამდე მივიდეს ისე როგორც მთხრობელი ფიქრობს. სიტყვების მნიშვნელობის გაანალიზება, ენის მეშვეობით კულტურული ღირებულებების გაზიარება, ეს ნიშნავს რომ ინდივიდს აქვს უნარი მულტიკულტურულ დიალოგში საკუთარი ნააზრების სათანადოდ გამოხატვისა და მსმენელამდე მიტანისა.

სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით ენის სწავლა არ ისახავს მიზნად მხოლოდ კომუნიკაციისთვის საჭირო უნარების განვითარებას ან მხოლოდ გამართული კომუნიკაციისთვის საჭირო გრამატიკული ფორმების შეთვისებას, არამედ ენის მეშვეობით კონკრეტული კულტურული და ეროვნული თავისებურებებისა და მატერიალურ-სულიერი თუ კულტურული ღირებულებების შექმნა ხდება. ენის მეშვეობით მოსწავლე წერილობით ან ზეპირად გამოხატავს თავის დამოკიდებულებებს, წარმოაჩენს მის ღირებულებებს სხვადასხვა საკითხის ირგვლივ. კომუნიკაციის პროცესში მოსწავლე ავლენს მის კულტურას კონკრეტული ენის დახმარებით, იძენს ახალ გამოცდილებას სხვა კულტურული ფასეულობების და მემკვიდრეობის გაცნობის პროცესში. ენა ნააზრების გამოხატვის საშუალებაა, რომელის მიზანია ინდივიდების იდენტობის მიმღებობა და თანამშრომლობა მრავალფეროვან სამოქალაქო საზოგადოებაში (ანსპოკა, 2008).

ენა არ მხოლოდ კულტურულ იდენტობას განსაზღვრავს, არამედ ასახავს კულტურას. რომელიმე კონკრეტული ენა შესაძლოა ვერ იქნეს გაგებელი და ათვისებული კულტურული ფესვებისა და წარსული ისტორიის ცოდნის გარეშე. კულტურა შესაძლოა მოიცავდეს ენის სწავლის პროცესს, როგორც ენის სწავლის ერთ-ერთი ფუნდამენტურ კომპონენტს. ის უნდა იყოს აღქმული, როგორც ენის სწავლის განუყოფელი ნაწილი, რადგან განსაზღვრავს კომუნიკაციის და შექმნილი ენის გამოყენების ხარისხს. კულტურული ფენომენის გაგების უნარის განვითარება საშუალებას აძლევს მოსწავლეს უკეთ ჩაწვდეს ლინგვისტურ სტრუქტურას, ენისა და კულტურის თანადროულად დაუფლება მკაფიოდ განსაზღვრავს პიროვნების საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობას. (კრასნერი, 1999; გიდენსი, 2003; ვიგოცკი, 1997).

ერთ-ერთი მთავარი ასპექტია პედაგოგის როლი ენის სწავლის პროცესში, რათა დაეხმაროს მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ენა უფრო მეტია ვიდრე სიმბოლოების განყენებული სისტემა; რომ ენის სწავლა ხდება განსხვავებული კულტურის ცოდნის გაღრმავების პროცესის პარალელურად.



ავთენტური ტექსტების მიზნობრივი გამოყენება, ხელს შეუწყობს როგორც ენობრივი კომპეტენციის განვითარებას ასევე კულტურისა და ტრადიციების შესახებ ინფორმაციის მიღებას, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა კულტურისათვის დამახასიათებელი სიმბოლოებისა და კონტექსტის გაგებაში.

იმავედროულად პედაგოგების ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს გრამატიკული სისტემის სწავლა, რომელიც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ზეპირი ან წერილობით აზრის სრულყოფილად გამოსახატავად. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, დადებითი შედეგისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენის შეთვისების პროცესი არ იყოს განცალკევებული კომუნიკაციური კულტურის შესწავლისაგან.

ენის ფლობა ინტერკულტურული დიალოგისთვის ისევე მნიშვნელოვანია სრულყოფილი ზეპირი და წერილობითი ნააზრევის გამოსახატავად, როგორც სხვისი ნააზრევის, სიტყვათა წყობის, ფრაზების, გამოთქმების გაგების და გაანალიზებისთვის.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა რამდენიმე პრობლემა, რომელიც პედაგოგიკას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა 85% პატივს სცემს უმცირესობების მოსწავლეებისა და მათი მშობლების არჩევანს ისწავლონ ლატვიურენოვან სკოლებში, მასწავლებლების მუშაობა თანდათანობით რთულდება მრავალფეროვანი კლასში. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული მოსწავლეების ასიმილაცია აუცილებელია პედაგოგმა მათი იდენტობის, ენისა და კულტურის შენარჩუნებას და განვითარებას შეუწყუთ ხელი.

საგანმანათლებლო პროცესში სულიერი ღირებულებების შექმნა ხდება მოსწავლის მიერ მასწავლებლის დახმარებით. ეს მოიცავს ცოდნას, უნარებს, გონებრივ განვითარებას, მორალურ თუ სხვა მახასიათებლებს, რომელიც ქმნის ერთ კერძო კულტურას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხრიდან გააზრება მასზე დაკისრებული მოვალეობისა მრავალკულტურული საზოგადოების შენების პროცესში.

მოსწავლეებისთვის აუცილებელია კრიტიკული აზროვნების განვითარება, რათა დამოუკიდებლად შეძლონ დღეს მსოფლიოში არსებული გამოწვევების და მათ გარშემო არსებული პრობლემების გადაჭრა. მასწავლებლები უნდა ისწავლონ ყველა მოსწავლეში აკადემიური უნარების თანაბრად განვითარებისაკენ, რომელიც დაეხმარება მათ შექმნილი ცოდნა გამოიყენონ საზოგადოებაში ადვილად ინტეგრაციისათვის. (ბანკი, 2005; რამსეი, 2004; ზოგლა, 2001; ჰარმერი, ბლანკი, 2000).

მასწავლებლების წარმატებას განაპირობებს მისი ზოგადი ინტელექტი, საგნის ცოდნა, გაკვეთილის წარმართვის სწორი მენეჯმენტი, კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მშობლებთან და ა.შ. დიდი ყურადღება ექცევა პედაგოგთა ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, როცა საქმე ეხლება ეთნიკურად და ლინგვისტურად მრავალფეროვან გარემოში მუშაობას, ისევე როგორც გაკვეთილის სტრუქტურას, როგორც სწავლების ერთ-ერთ ფორმას და მასწავლებლის, როგორც ხელმძღვანელის მახასიათებლებს.

ერთ-ერთი კრიტერიუმი პედაგოგის პროფესიონალიზმის გაზომვისა არის მისი ზოგადი ინტელექტის დონე (IQ), რომელშიც მოიცავს მასწავლებლის ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ და სამოქალაქო მზობას, მიუხედავად მათი სოციალური ღირებულებების მასშტაბებისა, იდეალებისა, ქცევის ნორმებისა. სწორედ ამის ნათელი დასტურია ლატვიელების პრაქტიკული, მრავალწლიანი გამოცდილება. თუ ჩვენ გვსურს მოსწავლე მოვამზადოთ დემოკრატიულ საზოგადოებში ცხოვრებისა და თვითგადარჩენისათვის, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მათი ცნობიერების ამაღლებას კულტურული მრავალფეროვნებისათვის. უფრო მეტიც, მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს მოსწავლეების სწორად განვითარების სტრატეგია, რომელიც თანაბრად შეუწყობს ხელს მათ ფსიქიკურ, ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას.

მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლები (მგრძობელობა, ტოლერანტობა, მოთმინება) მისი წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის მრავალეთნიკურ და მულტილინგვურ კლასში მუშაობისას. ეს დამოკიდებულია მასწავლებლის პირად გამოცდილებაზე თუ როგორ ემოციურ კლიმატს შექმნის



მრავალფეროვან ჯგუფში. თუ პოზიტიური ემოცია ჭარბობს სამუშაო ჯგუფში მასწავლებლის მიერ მიწოდებულ მასალას უდრო სწრაფად და ღრმად ითვისებს მოსწავლე. ემოციები ახდენენ ზემოქმედებას ტვინის მუშაობის, მახსოვრობის და ფსიქოლოგიურ პროცესებზე. პეტეროგენულ გარემოში ზოგიერთი მოსწავლე შესაძლოა ყურადღებას ამახვილებდეს შინაარსზე, ზოგი ფორმაზე, იმის მიხედვით თუ როგორია მოსწავლის ემოციური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა. (მუში, 2004; სოუსა, 2001; რამსეი, 2004).

მასწავლებლის მაღალი პროფესიული კომპეტენცია ვლინდება მის მიერ დაგეგმილი და წარმართული პედაგოგიური მოღვაწეობის შესაბამისად. კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლები, რომლებიც ნაწილობრივ მაიც იცნობენ ეროვნულ სტანდარტს, ქმნიან კარგად სტრუქტურირებულ პროგრამას და შესაძლებელი ხდება მოსწავლე-მასწავლებლის თანამშრომლობა, ადვილდება სასურველი პროგრამის პოვნა რომელიც დაარეგულირებს საგანმანათლებლო პროცესს და დაეხმარება პროფესიული საქმიანობის უკეთ წარმართვაში. მეორე მხრივ შესაძლოა არსებობდეს გარკვეული რისკები თუ სხვების გამოცდილება და სხვადასხვა მოდელები პირდაპირ იქნება გადმოტანილი და არ მოხდება კონკრეტული გარემოს გათვალისწინება.

ერთ-ერთი კრიტერიუმი პედაგოგის საგნობრივი კვალიფიკაციისა არის უნარი, მასალის შესაბამისად შეარჩიოს სწავლების მეთოდი შინაარსის სწორად გააზრებისათვის. ერთი მხრივ სწავლა-სწავლება ეთნიკურად და ლინგვისტურად მრავალფეროვან გარემოში გულისხმობს მხედველობაში იქნეს მიღებული თითოეული მოსწავლის კულტურული თავისებურება, მეორე მხრივ გაკეთდეს გარკვეული დაკვირვებები და პარალელები მრავალფეროვან კულტურებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების გასამიჯნად.

ყველა მოსწავლე უნდა გრძნობდეს თანადგომასა და დახმარებას მიუხედავად მათი ეთნიკური წარმოშობისა. ლინგვისტური საქმიანობის გამოცდილება ლატვიაში, რომელიც გულისხმობს შინაარსზე დაყრდნობით სხვადასხვა საგნის სწავლას, მიუთითებს რომ მასწავლებლები საგანმანათლებლო პროცესს გეგმავენ მრავალფეროვანი გარემოს გათვალისწინებით, მოსწავლის ინდივიდუალური, კოგნიტური, ემოციური და სოციალური მახასიათებლების მიხედვით, განსაკუთრებით ენის სწავლის პროცესში რაც თავისთავად ქმნის დადებითი შედეგების მოლოდინს.

ასწავლო ენა გულისხმობს შექმნა სწავლისთვის შესაფერისი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციას და ენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. გრამატიკული სისტემა შეუძლებელია იყოს იზოლირებული ენის სწავლის პროცესისგან.

თითოეული მოსწავლის დახმარება დამოკიდებულია მასწავლებლის პროფესიონალიზმზე, მის ცოდნაზე როგორც საგანში ასევე საკითხის ირგვლივ მის ზოგად განათლებაზე. სწავლების პროცესში მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს მის პირად გამოცდილებასაც. თუმცა, მისი გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ზოგადად მასწავლებლის წარმოსახვისგან ნებისმიერ საკითხთან მიმართებით. მასწავლებლის გამოცდილება შესაძლოა არ ემთხვეოდეს სილაბუსს, სასწავლო მასალას ან თემების თანმიმდევრობას. პედაგოგი უხეშად არ უნდა ჩაერიოს როცა მოსწავლეს აქვს შემუშავებული საკუთარი კითხვის სტილი (განცალკევებული ცნებების გაგება და მათი დეფინიცია, სიტყვის აღქმის ჩვევა, ისევე როგორც მთელი საკითხისა, ახალია ინფორმაციის გაგების უნარი მის გონებაში უკვე არსებული ინფორმაციის საფუძველზე და ა.შ), მაგრამ თუ მოსწავლე ცდილობს, მისი ჩვევების უზულვებელყოფით დაემორჩილოს მასწავლებლის ყველა მოთხოვნას, წარმოიშვება კოგნიტური დისონანსი (არეულობა).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მასწავლებელთა მხრიდან არასაკმარისი თანამშრომლობა წმინდა საგნობრივი მასალის გაგებისა და ათვისების პროცესში. ეფექტური კომუნიკაცია მოითხოვს საკმარისი ყურადღება მიექცეს როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად გამოხატულ აზრს მოსწავლის მხრიდან.

მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა ასევე დამოკიდებული გამოიყენოს ისეთი პედაგოგიური მიდგომები, რომელიც წაახალისებს და სწავლის სურვილს გაუღვიძებს მოსწავლეს. მულტიკულტურულ კლასში მასწავლებლის ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა იქნეს გათვალისწინებული როცა ხდება კლასის შერჩევა, როგორ



გართმევს მასწავლებელი თავს სასწავლო პროცესს და კლასის მართვას კონკრეტულ შემთხვევაში.

სწავლების პროცესში არ უნდა იქნეს იგნორირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში ხელს შეუწყობს გრამატიკული კომპეტენციის განვითარებას სხვადასხვა კონტექსტში და საკომუნიკაციო ასპექტში. ვებ-სერვისი, როგორც პლატფორმა სასაუბრო და წერითი კომუნიკაციისთვის ავთენტურ (რეალურ, არაგამოვლილ) მსჯელობაში წარმატებით გამოიყენება ენის სწავლა-სწავლების პროცესში, რომელიც ზრდის მოსწავლის ინტერესს სწავლის მიმართ და ქმნის დადებითი შედეგის შესაძლებლობას ავტომატურად შეთვისების პირობებში.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მონაცემებით არსებული პრობლემები იქნა მხედველობაში მიღებული, როცა ლატვიური ენის სახელმწიფო სააგენტო სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებებთან თანამშრომლობით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარებით, ქმნიდა სისტემას მასწავლებლების მომავალი განვითარებისათვის, როგორც მეთოდური ასავე სასწავლო მასალის თვალსაზრისით. ლატვიური ენის სააგენტოს ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ლატვიური ენის სტატუსის გაძლიერებას-როგორც ლატვიური სახელმწიფოს ოფიციალური ენა, ასევე ორგანიზებას ეწვეს კურსებისა და სემინარების ჩატარებას პედაგოგებისათვის. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის განვითარებისთვის ჩატარებული კურსები და სემინარები მოიცავს ძირითადი სასწავლო უნარების განვითარებას ინტეგრირებული სწავლისა და განსხვავებული საგნების შინაარსობრივ სწავლებას, მეტყველებისთვის საჭირო პრაქტიკული გრამატიკის სწავლებას და ა.შ. ეს არამხოლოდ ენის შესწავლის საშუალებას იძლევა, არამედ მოსწავლეები ენის მეშვეობით ეზიარებიან ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას.

დასკვნა

- ლატვიურენოვანი სკოლები თანდათანობით ხდებიან ლინგვისტური თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანი. მონოლინგვალური ოჯახებიდან წამოსულ ბავშვებთან ერთად სწავლობენ ჰარმონიულად ბილინგვალური, ასევე მოსწავლეებთან ერთად ვინც თანდათანობით ხდება ძლიერი ბილინგვალური და მათ შორის ასევე არიან ასიმეტრიული ბილინგვალურიც (asymmetric bilinguals).
- როგორც კვლევები აჩვენებს, სასწავლო პროცესის ხარისხზე გავლენას ახდენს ემოციური სტრესი, რომელიც დაკავშირებულია მოსწავლეების ახალ კულტურულ სამყაროში მოხვედრასთან. ზოგჯერ მასწავლებლები ყოყმანობენ სწავლების რომელი მეთოდი შეარჩიონ, რომელიც სასარგებლო და შედეგიანი იქნება სასწავლო პროცესში, რაც გამომდინარებს მათი არასაკმარისი პედაგოგიური პრაქტიკიდან. უმეტეს შემთხვევაში თანამშრომლობა და კომუნიკაცია უმცირესობების მოსწავლეების მშობლებთან ვერ ხერხდება, მშობლების მიერ ლატვიური ენის არასათანადოდ ფლობის გამო.
- იმის გამო, რომ უმცირესობების მოსწავლეები ხშირად ვერ იცნობენ სათანადოდ საკუთარ კულტურას ისინი ვერც ლატვიურ კულტურას აფასებენ სათანადოდ, ან საერთოდაც ვერ ხვდებიან ამ კულტურის და ტრადიციების არსს და დანიშნულებას. სწორედ მსგავსი გარემოება წარმოადგენს ასიმილაციის საფრთხეს ან ყალიბდება შეუწყნარებელი (არატოლერანტული) დამოკიდებულება ლატვიური კულტურის მიმართ. ნაკლები პრობლემები იქმნება იმ მოსწავლეებთან, რომელთაც აქვთ ლატვიურენოვანი სკოლაშედილი განათლება და ოჯახისგან შესაბამისი მხარდაჭერა და დახმარება სწავლის პროცესში.
- მასწავლებლები საჭიროებენ პროფესიული უნარების მუდმივ განვითარებას - როგორ იმუშაონ ეთნიკურად და ლინგვისტურად ჰეტეროგენულ (მრავალფეროვან) კლასში.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა პედაგოგიური ხასიათის პრობლემები. პედაგოგები აღიარებენ, რომ ისინი ხშირად ვერ ფლობენ სრულ ინფორმაციას



განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების და მათი ტრადიციების შესახებ, ასევე კომუნიკაციას და თანამშრომლობას ართულებს უმცირესობების ენის ცოდნა იმ დონეზე მაინც რომ მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლის დახმარება საჭიროების შემთხვევაში.

- არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს მეთოდური პრობლემები, სხვადასხვა წიგნებისა და სასწავლო თუ დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მოსწავლეების უმეტესობისათვის სწავლის პროცესში. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, რომ უმცირესობების მოსწავლეები ლატვიურს, როგორც მეორე ენას ისე სწავლობენ იმ უმრავლესობების მოსწავლეებთან ერთად, რომელთათვისაც ლატვიური ენა არის მშობლიური.
- იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლის ძირითადი უნარების განვითარება ლატვიურ ენაში, აუცილებელია სხვადასხვა საგნის მასწავლებლების თანამშრომლობის შედეგად შინაარსობრივი კავშირების დამყარება ლატვიურ ენაზე შესასწავლ სხვადასხვა საგნებს შორის.
- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ლატვიური ენის სახელმწიფო სააგენტოს მიერ უკანასკნელ წლებში გამოვლენილი და შესწავლილი პრობლემები, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ქმნიან სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა განათლების ხარისხის შემდგომ განვითარებას; ასევე მეთოდური და სასწავლო მასალის სრულყოფას და ა.შ.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ანსპოკა, შილინა, იასუკევიცა, 2006 - Anspoka Z. & Silina-Jasjukevica G. (2006). Latvian Language for Ethnic Minority Students in Elementary School with Latvian language as a language of Instruction. Riga: Lielvards. [In Latvian].

ანსპოკა, 2008 - Daži latviešu valodas mācību satura kultūrvides komponenta aspekti 1.-4. Klasē [Some aspects of ensuring cultural environment in Latvian content for 1st to 4th grade]. Letonikas 2. kongresa materiāli. Valodniecības raksti-2. Rīga: Latvijas Zinātņu akadēmija, 168.-79. lpp. (In Latvian).

ოსტერსი, გოლუბევა, კოვალენკო, სტროდე, 2006 - Austers, I., Golubeva, M., Kovaļenko, M., Strode, I. (2006) Daudzveidība ienāk latviešu skolās. Mazākumtautību bērnu integrācija latviešu skolu vidusskolas klasēs. Rīga: Sabiedriskās Politikas Centrs PROVIDUS.

ბანკი, 2005 - Bank, A.J. (2005) Improving Multicultural Education. Lessons from the intergroup education movement. New York: Columbia University.

გიდენსი, 2003 - Giddens, A. (2003) Runaway World: How Globalisation is Reshaping Our Lives. Taylor & Francis, p.124.

ფიშმან, 1999 - Fishman, J. (1999). Handbook of Language and Ethnic Identity. New York: Oxford University Press.

ჰამერსი, ბლანსი, 2000 - Hamers, J. F., Blanc. M. (2000). Bilinguality and Bilingualism. Cambridge, England: Cambridge University Press.

კრასნერი, 1999 - Krasner, I. (1999). The role of culture in language teaching. Dialogue on Language Instruction, 13(1-2), 79-88.

ლარსენ-ფრიმანი, 2000 - Larsen-Freeman, D. (2000). Techniques and principles in Language Teaching. Oxford: Oxford University Press.

მუში, 2004 - Mushi, S. (2004) Multicultural competences in teaching; a typology of classroom activities.// Intercultural education. Vol.15., No.2, June, p.179-194

რამსეი, 2004 - Ramsey, G.P. (2004) Teaching and Learning in a Diverse World . New York: Columbia University.

სოუსა, 2001 - Sousa, A. (2001) How Brain Learn. 2nd edn. Thousand Oaks: Corvin.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



ზოგლა, 2001 - Žogla I. (2001) Didaktikas teorētiskie pamati. Rīga: RaKa.
ვიგოცკი, 1997 - (1997). Вопросы детской психологии. С -Пб.: Союз.

ლიგია გრიგულე

ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა
უმაღლესი კომისიის მულტილინგუური განათლების
პოლიტიკის ექსპერტი, ლატვია

**სახელმწიფო ენის სწავლებისას არსებული
პრობლემები და გამოწვევები
მულტილინგუური განათლების განხორციელების პროცესში**

სახელმწიფო ენის სწავლება და მულტილინგუური განათლება არის კომპლექსური საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. თუ წარსულს გადავხედავთ, ბევრ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემაჯავალ რესპუბლიკებს, რომელთაც ჰქონდათ სერიოზული დამოკიდებულება მულტილინგუური განათლების განხორციელებისადმი, პროცესი დაიწყო სახელმწიფო ენის, როგორც მეორე ენის სწავლების გაუმჯობესებით. მულტილინგუური და მულტიკულტურული განათლების დანერგვისკენ მიმართული მომდევნო ნაბიჯი იყო პოლიტიკოსების, საზოგადოებისა და განმანათლებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ენის სწავლებასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე და სწავლების პარადიგმების გაცნობა, რათა თითოეული მათგანისთვის გასაგები ყოფილიყო, რომ მულტილინგუური განათლება არ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლებას და ის გაცილებით კომპლექსური მოვლენაა. მეორე ენის სწავლების მიზანი შეუძლებელია იყოს მხოლოდ მულტილინგუური განათლების პროგრამებზე გადასვლა, არამედ მულტილინგუური განათლების განვითარებას თავისთავად აქვს გავლენა მეორე ენის სწავლა-სწავლებაზე. მულტილინგუური განათლების მიზნისკენ ახალი მოთხოვნების შესაბამისად ხდება მეორე ენის შეთვისება (აცქუისტიონ) და აშკარაა, რომ აღნიშნული მიდგომა ცვლის მეორე (სახელმწიფო) ენის სწავლების ფორმას.

მოსხენება/პრეხენტაცია იქნება ერთგვარი შეჯამება მეორე ენის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებისა, ასევე ანალიზი, თუ რა პრინციპებით უნდა მოხდეს პროცესის ხელმძღვანელობის დაგეგმვა, რათა შეიქმნას შესაბამისი ინსტრუმენტი სახელმწიფო ენის სწავლებისთვის - სწავლება, რომელიც უზრუნველყოფს მულტილინგუური განათლების პროცესის განვითარების ხელშეწყობას. პრეხენტაციაში ასევე წარმოდგენილი იქნება საქართველოს და ლატვიის მაგალითები.

მონაცემები ეფუძნება მეორე ენის სწავლების თეორიულ საფუძვლებს და ლატვიაში ლატვიური ენის სწავლების გამოცდილებას.

შესავალი

რა შეიძლება ითქვას ახალი ლატვიის შესახებ?

როგორც იცით, ლატვია არის საკმაოდ პატარა ქვეყანა ჩრდილო აღმოსავლეთ ევროპაში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 2.2 მილიონს, რომელიც დასახლებულია 65 ათას კვადრატულ კილომეტრზე. ლატვია იმ ქვეყნების მცირე ჩამონათვალს განეკუთვნება, რომლის მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო 20 წლის წინ, 100 წლის წინაც კი – ვიდრე არის დღეს. ეს არის მეორე მსოფლიო ომის, ასევე დეპორტაციების, ემიგრაციისა და



დემოგრაფიული კრიზისის შედეგი. ეს ნიშნავს, რომ, ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, ლატვიაშიც ეთნიკური თუ რელიგიური ცნობიერება ამკარად დომინანტურია.

ლატვიის მაგალითიდან შესაძლოა ითქვას, რომ მეორე ენის, ანუ სახელმწიფო ენის სწავლა ეთნიკური უმცირესობებისთვის ატარებს როგორც პრაგმატულ ხასიათს, ასევე ის ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობას კარიერული წინსვლის და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს; ასევე, სახელმწიფო ენის ცოდნა იწვევს ქვეყნისადმი და კულტურისადმი ღოილურ დამოკიდებულებას. სახელმწიფო ენის ცოდნის გარკვეული ზღვარია დაწესებული ლატვიის მოქალაქეებისათვის.

მიუხედავად ამისა, ყველა ვთანხმდებით, რომ ლატვიას ბოლო 15 წლის განმავლობაში ბილინგვური სწავლების თვალსაზრისით აქვს დიდი მიღწევები, ეს თემა კვლავ აქტუალური და საკამათო არა მხოლოდ საგანმანათლებლო პოლიტიკაში არამედ ეს საკითხი კამათს იწვევს სახელმწიფო პოლიტიკურ დონეზე. საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება წინასაარჩევნო პერიოდში. უმცირესობების განათლების საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზად მიიჩნევა უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის, როგორც სწავლების ენის არჩევა ან რუსული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების საკითხი. როგორც ბილინგვური განათლების სპეციალისტი კრისტინა პაულტსონი ამბობს, ეს საკითხები უნდა განიხილებოდეს ბილინგვური განათლების მეთოდისტების მიერ.

„... თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ სოციოისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებმაც უნდა განსაზღვროს ბილინგვური განათლების კონკრეტული მოდელი, ვერასოდეს იქნება მიღწეული სასურველი შედეგები“.

ბილინგვური განათლების რეფორმის განხორციელების ისტორია ლატვიაში

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ენობრივი პოლიტიკა და ბილინგვური განათლება ინტენსიურად იყო განხილვისა და მსჯელობის საგანი. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში მოხდა ნაციონალური კულტურის აღორძინება და სათანადო სტატუსის დაბრუნება. გამოჩნდა ლატვიური ენის პირველი წიგნები, რომლებიც ბავშვებს მოუთხრობდა ლატვიის ცხოვრებასა და ეთნოგრაფიაზე. (შილოვა, 1996).

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სწრაფვამ ევროკავშირისკენ, განსაკუთრებით ბალტისპირეთის ქვეყნებში, ესტონეთსა და ლატვიაში, საჭირო გახდა ეთნიკური უმცირესობების მიმართ გარკვეული პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობდა დასავლური ღირებულებების, პლურალიზმის ადამიანის უფლებების, კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნებების გაზიარებას. მულტილინგვური განათლება კი წარმოადგენდა პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტს.

დღეს დღეობით ლატვიაში არის რვა ენობრივი უმცირესობის ჯგუფი: რუსული, პოლონური, უკრაინული, ბელარუსული, ლიტვური, ბოშათა, ესტონური და ებრაული ენობრივი ჯგუფები.

2010/2011 სასწავლო წლებში ლატვიური ენა 724 სკოლაში წარმოადგენდა სწავლების ენას, 132 სკოლა იყო რუსულენოვანი, 81 სკოლას ჰქონდა 2 სექტორი (რუსულენოვანი და ლატვიურენოვანი ერთდროულად). 5 სკოლაში სასწავლო პროცესი წარმართებოდა პოლონურ ენაზე, ერთი სკოლა იყო უკრაინულენოვანი, ერთი – ბელარუსული და არც ერთი – ინგლისურენოვანი. ერთ ესტონურენოვან, ერთ ლიტვურენოვან სკოლაში და ორ ებრაულენოვან სკოლაში საგანთა გარკვეული ჯგუფი ისწავლებოდა მხოლოდ უმცირესობების მშობლიურ ენაზე. ორ სკოლაში ბოშების ენა წარმოდგენილი იყო მხოლოდ როგორც საგანი და არა როგორც რომელიმე საგნის ან საგანთა ჯგუფის სწავლების ენა. სახელმწიფო უნივერსიტეტებში ლექციები წარმართება მხოლოდ ლატვიურ ენაზე, მხოლოდ რამდენიმე კერძო უმაღლეს სასწავლებელში ტარდება ლექციები სხვა ენაზე. ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს, რომელ ენაზე სურს უმაღლესი



განათლების მიღება და რა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში – იქნება ეს სახელმწიფო უნივერსიტეტი - ლატვიურენოვანი, თუ კერძო უნივერსიტეტი, რომელშიც სწავლა არის რომელიმე უცხო / უმცირესობის ენაზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აირჩია ერთიანი სტანდარტი დაწყებითი და საშუალო სკოლისათვის, რომლის მიხედვითაც ეროვნული ტესტირება მიმდინარეობს როგორც უმცირესობების, ასევე ლატვიურ ენაზე. უმცირესობების მოსწავლეების სასწავლო პროგრამების მიხედვით, მოსწავლეს ან სკოლას ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს უმცირესობის ენა გარკვეული საგნების ჩასაბარებლად სახელმწიფო გამოცდაზე.

განათლების რეფორმა ლატვიაში არსებულ უმცირესობების სკოლებში 1995 წლიდან მიმდინარეობს. ორი განსხვავებული – რუსული და ლატვიური სასკოლო სისტემა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში, არსებობდა ოთხმოცდაათიან წლებამდე. სკოლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა განსხვავებული სასწავლო გეგმებითა და სხვადასხვა სახის წიგნებით: რუსულენოვან სკოლებში ლატვიურ ენაზე ისწავლებოდა გარკვეული საგნები, თუმცა სწავლების მეთოდები და სტრატეგიები იყო სრულიად არაეფექტური.

1992 წლიდან ლატვიაში საგანმანათლებლო სისტემის აქტური რეფორმირება დაიწყო. მიღებულ იქნა ყველა საგნის სწავლების სტანდარტი, ვალდებულებები ლატვიაში არსებული ყველა სკოლის, მოსწავლისა და მასწავლებლის მიმართ იყო ერთიანი მიდგომაზე დაფუძნებული, მიუხედავად სწავლების ენისა, თუმცა კურიკულუმის განვითარება და ახალი მეთოდების არჩევა იყო მუდამ მასწავლების პრეროგატივა.

რეფორმამდე მოსწავლეების მიერ მიღებული ცოდნა და უნარები ვერ პასუხობდა ლატვიის საგანმანათლებლო დოკუმენტებში გაწერილ სტანდარტს. ერთ-ერთი გზა პრობლემის მოგვარებისთვის რეფორმის პროცესში იყო სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მოსწავლეების უზრუნველყოფა ლატვიური ენის დამატებითი გაკვეთილებით.

1996 წელს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავდა 1995 წელს, რომლის მთავარი მიზანი იყო „...ხელი შეეწყო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესისთვის ლატვიური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების გზით“. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ლატვიურენოვანი ტრენინგპროგრამები უზრუნველყოფდნენ დაწყებით საფეხურზე – ორი, ხოლო საშუალო საფეხურზე – სამი საგნის ლატვიურად სწავლების მეთოდის გაუმჯობესებას.

1996/1997 სასწავლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიზნად დაისახა უმცირესობების სკოლებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესება ლატვიაში არსებული რეალობის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფში ჩრთეს საერთაშორისო ექსპერტები, უმცირესობების სკოლების დირექტორები, მულტილინგვური განათლების სპეციალისტები, რომელთაც ჰქონდათ უმცირესობების სწავლების კუთხით გამოცდილება მიღებული სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში.

1998 წლის მაისში მთავრობამ დაამტკიცა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობდა სხვადასხვაენოვანი სკოლების ლატვიურ ენაზე თანდათანობით გადასვლას და რომელიც დაწერილი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, (გარდამავალი ეტაპი მოიცავდა 2004 წლამდე პერიოდს). 1998 წლის ნოემბერში ლატვიის პარლამენტმა მიიღო კანონი განათლების შესახებ, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამებს და ბილინგვური განათლების პროგრამებს ეთნიკური უმცირესობებისთვის. სკოლის საშუალო საფეხურზე, რომელიც არ იყო სავალდებულო, ეთნიკური უმცირესობებისთვის საგანმანათლებლო რეფორმები დაიწყო 1995 წლიდან და დასრულდა 2007 წლისათვის.

1995/1996 წლებიდან მოყოლებული, საშუალო საფეხურზე სამი საგანი ისწავლება ლატვიურად, ასევე, 2004/2005 წლებიდან ეთნიკური უმცირესობების სკოლებში, რომლებიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია, მე-10 - მე-12 კლასებში საგანთა 60% ისწავლება ლატვიურ ენაზე, ხოლო 40% – უმცირესობების ენაზე. მაშინაც და დღესაც შესაძლებელია განათლების მიღება მხოლოდ ლატვიურად, ისევე, როგორც ბილინგვური განათლების გზით.



2007 წლიდან ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეთორმეტე კლასის მოსწავლეები ტესტებს აბარებენ ლატვიურად, თუმცა მათ აქვთ ასევე შესაძლებლობა, აირჩიონ რუსული ენა. მხოლოდ 2007/2008 სასწავლო წლიდან ხდება ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო პროგრამების სრულად განხორციელება პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით.

ლატვიაში განხორციელებული მულტილინგუური განათლების რეფორმა ეთნიკური უმცირესობებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულია და ის შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის.

უნდა ითქვას ისიც, რომ უმცირესობების განათლებისა და ინტეგრაციის საკითხებში ჩარევამ გამოიწვია პროტესტი, რომელმაც 2003 წელს პიკს მიაღწია, როდესაც პოლიტიკურმა პარტიამ „ადამინის უფლებები დამოუკიდებელ ლატვიაში“ და ახლად შექმნილმა რუსულენოვანმა სკოლამ დაიწყო საპროტესტო აქციები ლატვიაში. შედეგად – 2004 წლის თებერვალში, განათლების კანონი შეიცვალა რომლის მიხედვითაც საგანთა 60% იყო ლატვიურ ენაზე ხოლო დანარჩენი 40% ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე.

შეკითხვა - რატომ გახდა აუცილებელი ლატვიაში ეთნიკური უმცირესობების განათლების რეფორმა, ლატვიის მთავრობას აქვს შემდეგი პოზიცია: ახალი ენის კანონით, ლატვიური ენა გახდა სავალდებულო როგორც უმრავლესობების ასევე უმცირესობების სკოლებისთვის, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში. ამ რეფორმის გატარება კი განაპირობა თანაბარი სამუშაო და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნის სურვილმა. ბილინგუური განათლება არის უპირატესობა უმცირესობების სკოლებისთვის, რადგან იგი იძლევა საშუალებას, ლატვიური ენა ისწავლებოდეს არა როგორც ერთი რიგითი საგანი, არამედ საგანთა გარკვეული ჯგუფის სწავლის შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფო ენაზე.

მეორე ენის დაუფლებისა და სწავლების კვლევა

მეორე ენის დაუფლების თეორიების უმრავლესობა, რომლებიც ფუნქციონირებს ლატვიაში, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს წინასწარ შემუშავებულ გეგმას, განხორციელებულს პრაქტიკაში, ხოლო უმეტესწილად ეს სტრატეგიები შემუშავებულია რომელიმე სხვა ქვეყანაში და გამოიყენება ფრაგმენტულად ან ნაწილობრივ, ისე, რომ არ არის სრულად დაკავშირებული თეორიის ავტორთან ან თეორიის პირვანდელ ვარიანტთან. განსაკუთრებით 80-90-იანი წლები იყო ის პერიოდი, როცა პირველად დაიწყო მსგავსი თეორიებისა და მეთოდების შემუშავება, თუმცა პროფესიონალურ დონეზე მსგავსი თეორიები მოგვიანებით განვითარდა.

ლატვიის შემთხვევა არის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსი, თუმცა, საკმაოდ განსხვავდება ევროპის სხვა ქვეყნებისგან, ამიტომ შეუძლებელი იყო სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების სრულად გაზიარება (ან პლაგიატი). მაგალითად, 80-იანი წლების მიწურულს ლატვიელმა მასწავლებლებებმა დანერგეს კომუნიკაციური მიდგომა, რომელიც უკავშირდებოდა რუს ლინგვისტს ჯ. პასოვს. მოგვიანებით ლატვიელი მეთოდისტები ხუმრობდნენ, რომ „მხოლოდ „რკინის ფარდის“ განადგურების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ხელისუფლება იყო მეთოდების კარგი მთარგმნელი“. იგივე პრობლემა წარმოჩინდა, როცა უკანასკნელ წლებში ევროპული ექსპერტები ესტუმრნენ ლატვიას საერთაშორისო პროექტის „ტემპუსის“ ფარგლებში, რომელთაც გამოთქვეს აზრი, რომ სასწავლო მასალა და „ჰენდაუტები“ შემუშავებული იყო კონტექსტისა და ყოველგვარი მითითებების გაუთვალისწინებლად.

მე შევეცდები განვიხილო მეორე ენის სწავლების რამდენიმე კვლევა იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც შემორჩა. ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე მათგანზე:

- პირველი და მეორე ენის დაუფლების შედარება და კონტრასტულობა.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
 Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges



- მეორე ენაზე სასწავლო საგნების შესაბამისობა მულტილინგუური განათლების პროცესთან.
- კულტურის სწავლების ხელახალი კონცეპტუალიზაცია.

პირველი და მეორე ენის დაუფლების შედარება და კონტრასტულობა

პირველი და მეორე ენის ურთიერთდამოკიდებულება არის ფუნდამენტური საკითხი ენის შეძენის პროცესში. მეორე ენის სხვა მასწავლებლების მსგავსად, მე დავიწყე კარიერა ისეთ გარემოში, სადაც ყველა მოსწავლის მშობლიური ენა იყო ერთი და იგივე - საერთო, პრესტიჟული ენა, რომელიც იცოდა ყველა მასწავლებელმა. ეს იყო ცდუნება კურიკულუმის და სწავლების ისეთი ფორმით დაგეგმვისა, რომელიც დაეფუძნებოდა სამიზნე ენის კონტრასტულ ანაზღიბს. ლატვიურ ენას, რამდენიმე სხვა ენის მსგავსად, აქვს დრმა ისტორიული ფესვები. ლატვიური ენის გრამატიკის პირველი კვლევა ჩატარდა გერმანიაში, გერმანელი ლინგვისტების მიერ.


მცირე ლირიკული გადახვევა: მსურს აღვნიშნო იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომელიც არის ყველა ქართველის საყვარელი სახელმძღვანელო. (ნახატი 1. როცა მე დავიწყე ქართულის შესწავლა, ჩემი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა ამ წიგნით. როდესაც ასოების შესწავლა დავიწყე, დავინტერესდი, რატომ იწყებოდა ეს წიგნი ასო-ბგერებით – „ა“ და „ი“... თუმცა მოგვიანებით გავაანალიზე, „განა გასაოცარი არ არის, რომ პირველი გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეს შეუძლია წინადადების წაკითხვა და შინაარსის გაგება? შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩემთვის, როგორც ენის ზრდასრული შემსწავლელისთვის, დედაენა არ იყო შესაფერისი, თუმცა მინდა დაგარწმუნოთ, რომ პოზიტივი, რომელსაც ეს წიგნი ატარებს და დადებითი ემოცია – წიგნის პირველივე გვერდიდან ვიგრძენი, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა - მე ვსწავლობდი ენას ფუნქციური მიზნისთვის...

იმისათვის, რომ ეპოვათ ყველაზე ეფექტური გზა ლატვიური ენის შესასწავლად 1945 წლიდან 1997 წლამდე დაახლოებით 10 სასწავლო სახელმძღვანელო შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ენის შეთვისება ათწლეულების განმავლობაში, რომელიც იწყებოდა ასო-ბგერებით: „კ“ და „ა“ (ნახატი 2.) ისმის კითხვა: რატომ? ეს ასოები არის სლაჟურ დამწერლობაში, რომელიც ნაცნობი და ახლობელია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთათვისაც რუსული არის პირველი/მშობლიური ენა.

ნახატი 1



ნახატი 2



სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



კონსტრუქციული ანალიზი შესაძლოა გამოიყენებოდეს სხვადასხვა საფეხურზე - როგორც სასწავლო კურსი მასწავლებელთა განათლების პროგრამებში, ისე კურიკულუმში და სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნაში. ლატვიაში ენის ტესტების შექმნა წლების განმავლობაში ეფუძნებოდა ხშირად დაშვებული შეცდომების გასწორებას, რომლითაც ავარჯიშებდნენ ძირითადად უმცირესობების მოსწავლეებს. მას შემდეგ, რაც ეს ტესტები გახდა პოპულარული, მეორე ენის შემსწავლელებმა უფრო დიდ წარმატებას მიაღწიეს შეცდომების გასწორებაში, ვიდრე მათმა თანატოლებმა, ვისთვისაც ლატვიური იყო მშობლიური ენა.

შეცდომების გასწორება დაკავშირებულია ენის შესწავლის სისტემასთან, გრამატიკასთან - რომელშიც მოცემულია თითოეული შეცდომის გაანალიზებისათვის წესები.

ეს მიდგომა ენის სწავლებაში გამოიყენეს ასევე საქართველოშიც (მაგ. ლ. თუშურის მიერ შემუშავებული სასწავლო მასალა). თუმცა მულტილინგუურ საქართველოში სამიზნე ჯგუფი უფრო მცირე იყო, ვიდრე ლატვიაში.

შეცდომების გასწორების კონცეფცია

დიდემას წარმოადგენს ენის შინაარსის შესწავლა; უფრო ეფექტურია ფართო, დომინანტური მახასიათებლებით ენის დაუფლება.

თუმცა, ტრადიციულად, ენის სწავლება, რომელიც მემკვიდრეობით ერგო ბევრ ყოფილ საბჭოთა ქვეყანას საბჭოთა პერიოდიდან, ყურადღებას ამახვილებს განსხვავებებზე. რაცგონებაში ინგლისურის გაკვეთილებიდან რჩება, არის ზეპირად ნასწავლი განსხვავებები (გამონაკლისები), მაგალითად, არაწესიერი ზმნებიდან (go - went ტიპისა) ან არაწესიერი მრავლობითის ფორმები (mouse - mice).

ინგლისურის ამ გამონაკლისების მსგავსად, ლატვიური ენის თავისებურებაა გრძელი და მოკლე ხმოვნები. ბევრ შემთხვევაში სასწავლო მასალის მიმართ საუკეთესო მიდგომაა, რომ მასწავლებელმა ასწავლოს სიტყვათა წყვილები, რომელთა შორის განსხვავებაა მხოლოდ ერთი ასო, მაგალითად kazas - kāzas (goats-weddings); pile - pīle (drop-duck). თუმცა, ყველა შემთხვევაში მსგავსი სწავლების მეთოდი არ არის პროდუქტიული, რადგან ეს წყვილები იშვიათად გამოიყენება ერთად და უკეთესი იქნება, მათი მნიშვნელობა გაგებულ იქნას კონტექსტიდან.

აღინიშნება ტენდენცია, რომ ყურადღება გამახვილდეს ხშირად დაშვებულ შეცდომებზე ტესტებში, იქ სადაც მოსწავლის ცოდნა შესაძლოა უფრო გასამყარებელი იყოს. მასწავლებელი, რომელიც ამზადებს ბავშვს ამ ტესტებისთვის, ცდილობს, მოსწავლის კონცენტრაცია მიმართოს აღნიშნულ გამონაკლისებს.

მეორე მიდგომაა, რომ მასწავლებელი აკონტროლებს ენის შემსწავლელის მიერ იმ მასალას, რომელიც უზრუნველყოფს შეცდომებისგან თავის არიდებას, რომლის გამოსწორების საჭიროება აღარ დგება მომავალში.

მნიშვნელოვანი ცნებების ცოდნა

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მიაწოდოს მნიშვნელოვანი ცნებები ენის შესახებ, როგორც კუმინსი აღნიშნავს - ზოგადი გაგების უნარის ერთიანი ძირითადი



ცოდნის თეორიში (Common Underlying Proficiency theory), როცა იწვება მიზანმიმართული თეორიული ცოდნის მიღებისათვის ნიადაგის შემზადება ლატვიური ენის შესწავლისათვის.

ინტერენა (Interlanguage) - არის განვითარებადი ენობრივი სისტემა, რომელიც შემუშავებულია მეორე ენის შემსწავლელის მიერ, რომელიც ჯერ ვერ გახდა ენის სრული მფლობელი (fully proficient), მაგრამ უახლოვდება ენის სრულყოფილი ფლობის დონეს, რომელიც თავისი მშობლიური ენის წესების განზოგადებით ქმნის ახალ ინოვაციებს ენის სწავლის პროცესში. ინტერენა ეფუძნება მეორე ენის სწავლის პროცესში მიღებულ მოსწავლეთა გამოცდილებას. ეს პროცესი შესაძლოა განვითარდეს, ისევე, როგორც შესაძლოა შენერდეს და შეწყვიტოს განვითარება. ინტერენის შექმნა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: მათ შორის, პირველ ენაზე, ტრენინგის მსვლელობისას აზრის გადაცემის აუცილებლობამ, მეორე ენის სწავლების სტრატეგიის განვითარებამ (მაგ: გამარტივება), მეორე ენაზე კომუნიკაციის სტრატეგიის განვითარებამ. ჩვენ არ შეგვიძლია ამას ვუწოდოთ მნიშვნელოვანი ენობრივი კვლევა, თუმცა მსგავსი მიდგომის გაცნობა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მეორე ენის სწავლებისას მოსწავლეს მიუდგეს ინდივიდუალურად, მისი საჭიროებების გათვალისწინებით.

კუმინსის ერთიანი ძირითადი ცოდნის თეორია Common Underlying Proficiency theory წარმოადგენდა მნიშვნელოვან არგუმენტს ბილინგვური განათლების მხარდასაჭერად. ორენოვანი განათლების პროგრამის შეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთდამოკიდებულება პირველი და მეორე ენის ცოდნას შორის ძალიან დიდია, გარკვეულწილად, პირველ ენაში მიღწეული აკადემიური წარმატება განსაზღვრავს მეორე ენაში მიღწეულ წარმატებასაც. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულებები კუმინსმა გადმოსცა შემდეგნაირად (კუმინსი, 1981):


ერთი ენის ცოდნის გაღრმავების ეფექტური ხელშეწყობა გავლენას ახდენს მეორე ენის განვითარებაზეც. ცოდნის შეძენა, რომელიც ხდება მიზანმიმართული სწავლის გარეშე, იწვევს ენის შემსწავლელის მოტივაციას გაზრდას.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრებ სომეხ და აზერბაიჯანელ ეთნიკურ უმცირესობებს, რომლებიც სწავლობენ ბილინგვურ პროგრამებზე, მშობლიურ ან სახელმწიფო ენაზე მიღებული ცოდნა, გამოცდილება და უნარები, რომელიც განავითარებს მათ წიგნიერების დონეს, ერთი ენიდან ტრანსფორმირდება მეორე ენაზე. ანუ თუ მშობლიურ ენას კარგად ფლობს სომეხი ან აზერბაიჯანელი მოსწავლე, ის უფრო ადვილად აკადემიურ წარმატებას ქართული ენის სწავლებაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სრულიად განსხვავდება სომხური ან აზერბაიჯანული ენებისგან, რაც, თავისთავად, ენის შესწავლას ართულებს. თუმცა ქართული ენის სწავლის ხელშეწყობ ფაქტორთა შორისაა მძლავრი სოციალური გარემო, რომელიც უბიძგებს უმცირესობებს, ისწავლონ სახელმწიფო ენა.

პლურილინგვიზმი და პლურილინგვური კომპეტენციები

ევროპაში დღეს პლურილინგვიზმი არის ევროსაბჭოს პოლიტიკის განმსაზღვრელი და ენობრივი პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპი. პლურილინგვიზმის კონცეფცია მჭიდრო კავშირშია ენობრივი უნარების შეფასებასა და ენის სწავლის უნარის განვითარებასთან. ევროსაბჭომ შეიმუშავა ენათა ფლობის დონეთა ზოგადი აღწერილობა. ეს აღწერილობა საშუალებას იძლევა, ენის ფლობის დონე შეფასდეს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სტანდარტის შესაბამისად. (A, B, C დონეები).

უმცირესობებისათვის ლატვიური ენის სტანდარტისა და პროგრამის დახვეწისას (2001 წელს) შემასწავლელებისთვის დადგინდა და ზუსტად განისაზღვრა ენობრივი კომპეტენციები.





ახალი ენების ათვისებისას შემსწავლელი იყენებენ ადრე შესწავლილი ენების გამოცდილებასა და უნარებს: უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენის უნარებს – ლატვიური ენის (როგორც მეორე ენის) შესასწავლად უმცირესობებისთვის შექმნილ სასწავლო გეგმებში, აგრეთვე – უცხო ენების შესასწავლად, როცა იყენებენ როგორც მშობლიური, ასევე შედარებით ადრე შესწავლილი მეორე ენის უნარებს...

მეორე ენის დაქვემდებარებული როლის განხილვა მრავალენოვანი განათლების პროცესში

მრავალენოვან განათლებაზე გადასვლისას მნიშვნელოვანი ასპექტია მეორე ენის დომინირებული როლის განსაზღვრის საჭიროება. ბილინგვური / მრავალენოვანი მეთოდი – ედს არის ენათა სესწავლის თანამედროვე საშუალება. მეორე ენის სწავლების პროგრამები, ტრადიციულად, ისახავდნენ მიზანს – შემსწავლელს „დაეგროვებინა“ გარკვეული ნაკრები ენობრივი უნარებისა. ენობრივი პროგრამა, საზოგადოდ, მკაფიოდ განსაზღვრული თანამიმდევრობაა ისეთი აქტივობებისა, რომელთაც ძალუძთ საკლასო ოთახში შეიტანონ ახალი ენობრივი უნარები – ახალი ლექსიკა, იდიომები, გრამატიკული კონსტრუქციები და ა.შ.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც გასათვალისწინებელია მრავალენოვან სწავლებაზე გადასვლისას – მეორე ენის დახვეწილი სწავლების საკითხია. ბილინგვური / მრავალენოვანი სწავლების მეთოდი – ეს არის ენათა სწავლებისადმი ახალი მიდგომა. საზოგადოდ, მეორე ენის სწავლების პროგრამების მიზანია, შემსწავლელმა „დააგროვოს“ გარკვეული ენობრივი უნარები ამ ენებზე: ახალი სიტყვები (ლექსიკა), იდიომები, გრამატიკული საშუალებები და სხვა... ბილინგვური პროგრამები იყენებენ შესასწავლ ენას, როგორც ინსტრუქციების მიცემის საშუალებას საგნობრივი სწავლებისათვის: მაგალითად, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია – შესაძლებელია შევასწავლოთ მეორე ენის მაქსიმალური ჩართვით საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელი იყენებს მთლიანად ენას – ლექსიკას, იდიომებს, საჭირო გრამატიკულ კონსტრუქციებს შინაარსის გადმოსაცემად; ასე რომ, შემსწავლელი ერთდროულად იღებს როგორც საგნობრივ, ასევე ენობრივ უნარებსაც.

ამ თვალსაზრისით, ბილინგვური პროგრამები, ერთი შეხედვით, თითქოს ახლოს დგანან მონოლინგვური სწავლების პრინციპებთან. თუმცა, სხვაობა თვალშისაცემია: ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენას სწავლობენ და იყენებენ ერთმანეთთან, ოჯახში კომუნიკაციისას და არ შეისწავლიან მას მშობლიური ენის გაკვეთილებზე გრამატიკისა თუ ლექსიკონების მეშვეობით; ასევე, მეორე ენის შესწავლა გაცილებით ეფექტურია, თუკი ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ გრამატიკა-ლექსიკის სწავლებით...

ასე რომ, ბილინგვური პროგრამები გვთავაზობენ არა მხოლოდ მეტი დროის გამოყოფას მეორე ენის შესწავლისთვის, არამედ განსხვავებულ მიდგომებს ენობრივი ინსტრუქციების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში კომუნიკაცია არის სწავლების საფუძველი და ინსტრუქციების მიცემის პროცესში შესასწავლი (მეორე) ენის ჩართვა, რასაკვირველია, ხელს უწყობს ახალი ენობრივი უნარების შექმნა-განვითარებას. შემსწავლელისთვის დამატებითი სტიმულია მეორე ენის გამოყენება პასუხის გაცემისას, იზრდება მათი დიაპაზონი – ისინი მუდმივად ჩართულნი არიან აქტიურ კოგნიტურ პროცესებში, არკვევენ რა ენის „მუშაობის“ ასპექტებს.



დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ აუდიოვიზუალური მიდგომა უადრესად პროპულარული გახდა ლატვიაში. თუმცა, ეს მხოლოდ მცირე ხანს გაგრძელდა. თანამედროვე მიდგომების მიხედვით, კონცენტრირება ხდება 4 ენობრივი უნარის (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა) განვითარებაზე. სწორედ ეს იქცა მასწავლებელთა ერთი ჯგუფისათვის ბილინგვურ განათლებაზე გადასვლის შემაფერხებელ ფაქტორად. ბევრი პედაგოგისთვის წინააღმდეგობრივი გამოდგა საგნობრივი მეთოდოლოგიისა და 4 უნარზე ორიენტირებული მიდგომის ურთიერთშეთავსება: მართლაც, ყოველი საგნის სწავლებას ხომ საკუთარი მეთოდიკური საფუძვლები გააჩნია... თუმცა, აღსანიშნავია, რომ ენობრივი ქმედებები გაუცნობიერებელი ქმედებებია. ამ შემთხვევაში ოპტიმალური ჩანს ბრუმფიტისა და ფუნქციონალური მიდგომის უპირატესობა.

ბრუმფიტის მოდელი იმის დემონსტრირებაა, თუ როგორ შეიძლება მასწავლებელმა გააიოლოს მერე ენის სწავლების პროცესი: ბრუმფიტის მიხედვით, მეორე ენაზე მიცემული ინსტრუქციები მოიცავს 3 სტადიას: **საუბარი, გაგება და წერითი ასპექტის განვითარება**.

საუბარი ავითარებს საზოგადოდ ურთიერთობის ოსტატობის დონეს; გაგება გულისხმობს ზეპირი და წერილობითი ტექსტების აღქმას; წერითი ასპექტის განვითარება გულისხმობს შემსწავლელში საჯარო აუდიტორიისთვის ტექსტების შედგენის უნარის განვითარებას.

ბრუმფიტი წინასწარგანზრახულად უკეთებს იგნორირებას ტრადიციულ სხვაობას ლაპარაკს, მოსმენას, წერასა და კითხვას შორის. მისი აზრით, ეს უნარები სრულიად შესაძლებელია, რომ ერთდროულად შეისწავლებოდეს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საწყის ეტაპზე ზეპირმეტყველების უნარების განვითარება თუ აუცილებელია და საკმარისიცაა, მომდევნო სტადიებზე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება წიგნიერების კომპონენტი... ბრუმფიტის მოდელი ეფუძნება რეცეფციისა და პროდუცირების დიქტომიას: გაგების (რეცეფციის) სტადიაზე შემსწავლელი იღებს ცოდნას, რომელიც შეეფერება მის ასაკს; ამ ეტაპზე ენის შემსწავლელს არ ესაჭიროება ფორმალური წერის კომპეტენციები. ლინგვისტური და ცნებითი უნარები, რომლებსაც იღებს და განავითარებს მოსმენისა და კითხვის მეშვეობით, ამზადებენ მას აკადემიური ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკვე გარკვეული დონეზე განვითარებულ პროდუცირების უნარებს მოითხოვს.

ყოველი სტადიის პერიოდში ენა ურთიერთობს ცნობიერებასთან; ამასთანავე, ზეპირი და წერითი ენაც ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე; ფონოლოგიური, სინტაქსური თუ სემანტიკური წესები, რომლებიც, ასე ვთქვათ, „მართავენ“ შესასწავლ ენას, გამოიყენებიან სპიკერების მიერ, ისევე, როგორც ავტორების მიერ.

ბრუმფიტის მოდელი მოიცავს საურთიერთო და აკადემიური უნარების სწავლებას; ვინაიდან ეს გულისხმობს ენისა და შინაარსის ერთიანობას, სწორედ ამ ასპექტებზე მახვილდება ყურადღება ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლებისას. ბრუმფიტმა შემოგვთავაზა ენის ფლობის განვითარების მოდელი ჰორიზონტალურ ჭრილში, მაგრამ, ამასთანავე, ეს მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი საგნობრივი გაკვეთილისთვის: დავაკვირდეთ, რას იგებენ სტუდენტები შინაარსიდან, რას – ურთიერთკომუნიკაციიდან და რის გამოსატყვევე შეუძლიათ ზეპირი თუ წერილობითი ფორმით.

ფუნქციონალური მიდგომა დაედო საფუძვლად პროექტის სტრუქტურას, რომელიც უმცირესობებისათვის განათლების სასკოლო სტანდარტისა და პროგრამების შემუშავებას ისახავდა მიზნად (2001). ლატვიური ენის როლი ამ პროექტში ბილინგვური განათლების კონტექსტში იყო განხილული. ლატვიური განიხილება არა მხოლოდ როგორც სასწავლო საგანი უმცირესობებისთვის, არამედ როგორც სწავლების ენა.

ბილინგვურ სწავლებაზე გადასვლამ გააიოლა ინტელექტუალური და საკომუნიკაციო უნარების დაკავშირება მეორე ენის სწავლების პროცესთან; სწორედ ესაა ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების უპირატესობა.

კულტურის სწავლების პროცესის გადააზრიანება

როგორც კენეტ ჩესტაინი ამბობდა, „კულტურა ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა მეორე ენის სწავლებისას, რომელიც სრულყოფს ამ ენის ფლობის ხარისხს“. სწორედ



ურთიერთობებია მთავარი ენის შეთვისების პროცესში... როგორც წესი, ათწლეულების განმავლობაში კულტურის სწავლება მონოლოგის რეჟიმში მიმდინარეობდა: ვასწავლიდი უმრავლესობის კულტურას და საერთოდ არ ვითვალისწინებდით უმცირესობათა კულტურის თავისებურებებს... კულტურის სწავლების ძველებური მიდგომა აღარ არის ადეკვატური იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც თავს უმრავლესობის წარმომადგენლებთან თანასწორუფლებიან მოქალაქეებად მიიჩნევს.

უმცირესობებისთვის შექმნილ საგანმანათლებლო სასკოლო სტანდარტში (2001) სოციოკულტურული კომპეტენციები განსაზღვრულია, როგორც კულტურათშორისი დიალოგი და კულტურული ასპექტების გაგება – კულტურული ურთიერთობებისა და მულტიწინიერების უნარების განვითარება. ამ სტანდარტის მიხედვით, ლატვიის კულტურის თაობაზე ინფორმაციურ თუ ფუნქციურ ტექსტებს რეკომენდაცია ეძლეოდათ 50 %-ში; 30 % - ლატვიურ მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო 20 %-ში – ტექსტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ უმცირესობათა პირად ინტერესებს.

საკომუნიკაციო, ლინგვისტური და სოციოკულტურული ცოდნა თანდათანობით და თანამიმდევრობით ვითარდება ინტეგრირებული სახით, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შემდეგ თემატურ სფეროებში:

- ჩემთვის, სხვებისთვის, ყოველდღიურ ცხოვრებასა და ურთიერთობაში;
- ჩემთვის, სხვებისთვის, თავისუფალი დრო, ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ჩემთვის, სხვებისთვის, მსოფლიო და ურთიერთქმედება;
- ჩემთვის, სხვებისთვის, მეცნიერება, ტექნოლოგიები ინფორმაციის წყაროები;
- ჩემთვის, სხვებისთვის, სკოლა და განათლება;
- ჩემთვის, სხვებისთვის და კულტურული ცხოვრება.

ინტერკულტურული განათლება გახდა მეორე ენის მასწავლებელთა პროგრამების განუყოფელი კომპონენტი. ინტერკულტურული განათლება, კულტურათშორისი დიალოგი, შემწვანარებლობა, ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა – ყოველივე ეს გლობალური განათლების ცნებებია.

სწავლობენ რა თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდოლოგიას, პედაგოგები ეძებენ ახალ რესურსებს მეორე ენის სწავლების გასაუმჯობესებლად. ლინგვისტებმა სასწრაფოდ უნდა გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები და შეადგინონ ახლებურ მიდგომებზე დაფუძნებული გრამატიკის სასწავლო კურსები მეორე ენისათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრებმა კი უნდა შეიმუშაონ ენათა სწავლების ინტეგრირებული სასწავლო გეგმა (უმცირესობათა ენების გათვალისწინებით), რომელიც, ამასთანავე, საშუალებას მოგვცემს, ადეკვატური შეფასება მივცეთ ამა თუ იმ ენის ფლობის დონეს. გარანტირებული უნდა ვიყოთ, რომ მშობლიური ენის სწავლებას ისევე ექცევა ყურადღება, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენის სწავლებას. ეს უნდა იყოს თითოეული მასწავლებლის პასუხისმგებლობა, თუმცა, რასაკვირველია, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელია და თანხები უნდა გაიხარჯოს მიზნობრივად, რათა ეფექტური შედეგი მივიღოთ.

მრავალენოვნება და სხვადასხვა კულტურის მატარებელი საზოგადოების არსებობა ქვეყანაში უკვე ფაქტია და მრავალენოვანი ყოველდღიური ყოფა დღითიდღე ვითარდება. მრავალენოვანი განათლება – ეს არის პასუხი სხვადასხვა კულტურისადმი მიკუთვნებული საზოგადოების გამოწვევებზე. ამის გააზრება და საგანმანათლებლო პოლიტიკის სწორად დაგეგმვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტებისა თუ განათლების სპეციალისტებისათვის, არამედ სახელმწიფო მოხელეებისა და ჩინოვნიკებისათვის, რაც გაცილებით გააუმჯობესებს სახელმწიფო ენის სწავლების პროცესს ქვეყანაში.



სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges**



გამოყენებული ლიტერატურა:

- ბრუმფიტი, 1984 - Brumfit, C. *Communicative Methodology in Language Teaching: The Role of Fluency and Accuracy*. Cambridge: Cambridge University Press, 1984.
- კანტონი, 1997 - Cantoni – Harvey, G. *Content – Area Language Instruction*. Addison – Wesley Publishing Company, 1997.
- ჩასტაინი, 1988 - Chastain, K. *Developing Second-Language Skills. Theory and Practice*. Harcourt Brace Jovanovich Publishers, 1988.
- კუმინსი, 1996 - Cummins, J. *Negotiating Identities: Education for Empowerment in a Diverse Society*. CAFE, 1996.
- დეძე, 1999 - Dedze, I. *Reading Ability of Latvian Students. Results from an International Study*. Institute of International Education. Stockholm University, 1999.
- მომავლის ხედვა, 2003 - *Facing the future. Language educators across Europe*. European Centre for Modern Languages. Council of Europe Publishing, Strasbourg Cedex, 2003.
- გრიგულე, 2004 - Grigule, L., Pavula, I., Salme, A. *Standard and Programme for Latvian as a Second Language: Universal and National Features*. Best Practices of Learning Less Widely –used Languages in
- მულტიკულტურული და მულლიეროვნული ევროპა, 2004 - Multicultural and Multinational Europe. September, 23 – 25, 2004, Vilnius, Lithuania.
- ლატვიური ენა და ლიტერატურა, 2004 - Latvian language and literature in the schools providing curricula for ethnic minorities. Standard for Compulsory Education, grades 1-9 . Approved by the Curriculum Development and Examination Centre. Statement No.4, 12th January 2004.
- სალმე, 2006 - Salme, A. *New Trends in Teaching Latvian as a Second Language in the Process of educational Transformation*. Synopsis of Doctoral Thesis in Linguistics. Riga, 2006.
- სელინკერი, 1985 - Selinker, L., & Douglas, D. *Wrestling with 'context' in interlanguage theory*. Applied Linguistics, 6, 190-204, 1985.
- ლატვიის ინსტიტუტი..., 2011 - *The Latvian Institute fact sheet*. Retrieved July 14, 2011 from <http://www.li.lv/index>.



კარინა ბრიკმანე

განათლების ეროვნული ცენტრი,

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ლატვია

ლაიმა გეიკინი

ლატვიის უნივერსიტეტი, ლატვია

ზოგადი განათლების შეფასების ასპექტები ლატვიის უმცირესობათა სკოლებში

აბსტრაქტი

შეფასების სისტემა წარმოადგენს განათლების ნებისმიერი კონცეფციის განუყოფელ ნაწილს, რადგან სწორედ შეფასება გვაძლევს ღირებულ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესზე, ასევე ქვეყანაში და ზოგადად განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე.

ზოგადი განათლების შეფასება ლატვიაში შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით ხდება: ცენტრალიზებული გამოცდების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზით და სკოლების აკრედიტაციის შედეგებზე დაყრდნობით.

როგორ გვესმის ჩვენ „განათლების ხარისხი“, როგორ შეიძლება მისი გაზომვა, რა კრიტერიუმების გამოყენებაა შესაძლებელი, რა ფაქტორები ახდენს გავლენას მასზე და რა იგულისხმება ხარისხიან განათლებაში?

მოცემული კვლევა ფოკუსირებულია ლატვიაში განათლების ხარისხის შეფასების პროცესზე, 2005-2010 წლებში სკოლების (უმცირესობათა სკოლების ჩათვლით) აკრედიტაციის შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.

ხარისხიანი განათლების ცნების განმარტება უნდა გაგრძელდეს მრავალმხრივად, განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს სპეციფიკური მახასიათებლები განსაზღვრულ მიზნობრივ ჯგუფებთან მიმართებით. მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები, პედაგოგები, საზოგადოება, დამსაქმებლები და ა.შ.

მიუხედავად ამისა, კითხვები ჩნდება ქვეყანაში ჩამოყალიბებული განათლების ხარისხის სისტემის და განათლების ხარისხის შეფასების ირგვლივ, მათ შორის უმცირესობების სკოლების კუთხითაც. მნიშვნელოვანია შეფასების საკითხებში დღემდე მიღწეული გამოცდილების და არსებული პრობლემების განხილვა. ყოველივე ამის ანალიზი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ზოგადი განათლების შეფასების მიზნით დაგეგმილი ვრცელი კვლევის ფარგლებში, რომელიც უკვე დაწყებულია.

ტერმინი „განათლების ხარისხი“ მთელს მსოფლიოში მიიჩნევა განათლების სისტემისთვის დამახასიათებელ „საჯილდო ქვად“. ეს ტერმინი და ამ ტერმინის ქვეშ მოაზრებული შინაარსი მჭიდროდ უკავშირდება განათლების ხელმისაწვდომობას, განათლების შინაარსს, განათლების სისტემის ვარგისიანობას საზოგადოდ და სხვა. მაგალითად, განათლების ხარისხი კავშირშია ერთი შეხედვით სრულიად ცალკე განსახილველ – სამუშაო ადგილების პრობლემატიკასთან...

ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 112-ე მუხლი განსაზღვრავს განათლების ელემენტარული საფეხურის სავალდებულობას და იძლევა აგრეთვე საშუალო საფეხურის ხელმისაწვდომობის გარანტიას. ეს მიიჩნევა ხარისხიანი განათლების მიღების საფუძვლად.

თუმცა, ტერმინს „განათლების ხარისხი“, როგორც ითქვა, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ენიჭება: უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია მიზნობრივ ჯგუფებთან მიმართების საკითხი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისეთი ჯგუფები, როგორცაა მოსწავლეთა მშობლები, პედაგოგები, თემი და მომავალი დამქირავებლები... საკმაოდ სერიოზული საკითხია განათლების ხარისხის ეროვნული შეფასების კრიტერიუმების დადგენა – მისი განვითარების ეტაპები და ამ პროცესში წარმოქმნილი პრობლემები. ამ



პრობლემათა ანალიზი უადრესად მნიშვნელოვანია ლატვიაში ზოგადად განათლების სისტემის შეფასების თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევის მიზანია, გაანალიზოს განათლების შეფასების ხარისხობრივი პროცესი (აკრედიტაცია) ლატვიის უმცირესობათა სკოლებში.

უეჭველია, რომ საზოგადოება აშკარად ახდენს გავლენას სასწავლო პროცესზე საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს გავლენა გამოიხატება, უპირველესად, ხარისხიანი, გარკვეული სტანდარტების განათლების მოთხოვნაში, რაც, თავისთავად, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ გამოიკვეთოს შეფასების ობიექტური და მაღალხარისხოვანი კრიტერიუმები.

განათლების სისტემამ გარანტია უნდა მისცეს ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების დიპლომირებულ სპეციალისტს, რომ მის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონე შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს და პედაგოგებიც მოვალენი არიან, სათანადო დახმარება გაუწიონ მოსწავლეებს, აირჩიონ მათთვის შესაფერისი პროფესია. ეს სწორედ იმისთვისაა საჭირო, რომ განვაითაროთ შეფასების სისტემა, რომელიც გააკონტროლებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესებს.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია პრობლემები, რომლებიც უკავშირდება განათლების პროგრამის ზოგადეროვნულ შეფასებას. ანალიზი ეყრდნობა გამოცდილებას, რომელიც მივიღეთ 2005-2009 წლების აკრედიტაციის პროცესის გავლის შედეგად.

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2000-2004 წლებში განახორციელა განათლების სისტემის რეფორმა. ამ რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახლდათ შიდა და გარე შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება (აკრედიტაციის ობიექტები იყვნენ როგორც სასწავლო დაწესებულებები, ისე თავად მიმდინარე სასწავლო პროგრამები; ამასთან, ჩატარდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ღირებურობა ატესტაცია). მომზადდა მეთოდიკური მასალა და მოხდა გარე შეფასების ექსპერტთა მოსამზადებელი კურსების ორგანიზება. ასე რომ, 2005 წლიდან ლატვიაში უკვე დამკვიდრება დაიწყო ახალმა ხედვამ განათლების ხარისხობრივ შეფასებაზე. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ, ისევე, როგორც ევროპის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში (მაგალითად, შოტლანდიაში, გერმანიაში, ლიტვაში და სხვა) შემუშავებულიყო შეფასების ერთიანი ხარისხიანი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, მოგვეხდინა განათლების პოლიტიკის განვითარების სანდო და ზუსტი ანალიზი (გრინისი, 2008, გვ. 45).

2005-დან 2009 წლის მაისამდე განათლების ზოგადი ხარისხობრივი შეფასების სახელმწიფო სააგენტომ (SGEQUA) უზრუნველყო 723 საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაცია.

დაწესებულების აკრედიტაციის პროცესი გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ქმედებების ხარისხობრივ შეფასებას სასკოლო ხარისხობრივი შეფასების მეთოდოლოგიასთან მიმართებით, რომელიც შეადგინა და დაამტკიცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. მეთოდოლოგია, როგორც ითქვა, შემუშავდა მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერით განხორციელებული განათლების სისტემის განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტის ფარგლებში. ეს მეთოდოლოგია ითვალისწინებდა შემდეგს:

აკრედიტაცია გაიარეს როგორც ზოგადმა, ისე პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. ყოველი პროგრამა შეაფასა გამოცდილი, პროფესიონალი ექსპერტებით დაკომპლექტებულმა (3-5 პირი) კომისიამ. აკრედიტაციის ვადა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შეადგენდა 6 წელს. დღესდღეობით უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს აკრედიტაციის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება.

სასკოლო სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები

სასკოლო შეფასებას ადგილი აქვს უმნიშვნელოვანეს სფეროებში:

სასკოლო სამუშაოს ხარისხი;

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



საგანმანათლებლო პროგრამების შესრულება და ხარისხი;
სასკოლო მუშაობის მართვა.

სასკოლო მუშაობის ასპექტები მოიცავს 7 სფეროს:

- სასწავლო შინაარსი;
- სწავლა და სწავლება;
- მოსწავლეთა მიღწევები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- სასკოლო გარემო;
- სასკოლო რესურსები;
- მუშაობის ორგანიზაცია და ლიდერობის ხარისხის შემოწმება.

ყოველი სფერო იყოფა ხარისხობრივ ინდიკატორებად:

- განხორციელებული საგანმანათლებლო სასკოლო პროგრამები;
- სწავლების ხარისხი;
- სწავლის ხარისხი;
- შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის კომპონენტი;
- მშობლებთან თანამშრომლობა;
- მოსწავლეთა ჯანდაცვის, სოციალურ და ფსიქოლოგიურ სფეროებში მხარდაჭერა, უსაფრთხოების გარანტია;
- ინდივიდუალობის განვითარების მხარდაჭერა;
- სამომავლო განათლებისა და პროფესიის შერჩევაში მხარდაჭერა;
- საქმიანობის გადანაწილების სწავლაში მხარდაჭერა;
- სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა, თუკი სკოლას აქვს სპეც. პროგრამები;
- სასკოლო მიკროკლიმატი;
- სკოლის ფიზიკური გარემო;
- ადგილი, ადლურვილობა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- პერსონალის მართვა;
- პერსონალის სამომავლო განათლების პერსპექტივა;
- სკოლის მუსაობის თვითშეფასება;
- სასკოლო განვითარების გეგმა;
- სკოლის ლიდერთა მუშაობა.

ყოველი ხარისხობრივი ინდიკატორი ჩაშლილია თემებად; კერძოდ, რამდენიმე საკვლევე საკითხად: რამდენად ეფექტურია სკოლის მუშაობა? როგორია სწავლისა და სწავლების პროცესის ხარისხი და მოსწავლეთა მიღწევები? როგორია სასკოლო მართვის ხარისხი? - ამ კითხვებზე პასუხები შეფასების დონის 4 სისტემაში გადანაწილდა:

IV დონე – ძალიან კარგი: საკმაოდ მყარია;

III დონე – კარგი: სჭარბობს სიმყარე;

II დონე – საშუალო: გარკვეულწილად მყარია, თუმცა სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორები მოქმედებს; ორგანიზაციული მხარდაჭერა და დამატებითი რესურსებია საჭირო;

I დონე – არადადამაკმაყოფილებელი: სჭარბობს ხარვეზები; სასწრაფოდ საჭიროებს

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching;
 Problems and Challenges**




გამოსწორებას.

შეფასების მთავარი პრინციპები:


- პროცესმა უნდა შეუწყოს სკოლას ხელი, გააუმჯობესოს მიღწევები;
- პროცესის შეფასება უნდა დაიგეგმოს თავად სკოლის განვითარებისა და შეფასების გეგმის მიხედვით;
- იგივე კრიტერიუმები გამოიყენება სკოლის თვითშეფასებისა და გარე შეფასების დროს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების აკრედიტაციის კვლევის ზოგიერთი შედეგი 2009-2010 სასწავლო წლებისათვის ლატვიაში:



დიაგრამა №1: აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულება და პროგრამების რიცხვი

508 საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის პროცესში ცვლილებების ჩათვლით); 1383 საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის პროცესში ცვლილებების ჩათვლით); 1 დაწესებულებას უარი უთხრეს აკრედიტაციაზე; 408 პროფესიულმა საგანმანათლებლო ინსტიტუციამ და 1923-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ ასევე გაიარა აკრედიტაცია.



დიაგრამა №2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება ენობრივი ნიშნის მიხედვით (%-ში) 2009-2010 წლებისათვის ლატვიაში:

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



სახელმწიფოს წვლილი ეთნიკურ უმცირესობათა განათლებაში:


1. ლატვიაში როგორც საბაზისო, ასევე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საფეხურებზე, გათვალისწინებულია უმცირესობათა ენებზე განათლების მიღება (რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, ლიტვურ, ესტონურ, ებრაულ და რომა ენებზე).
2. ლატვიაში ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ერთიანი სახელმწიფო სტანდარტი;
3. მოსწავლეები მოვალენი არიან, გაიარონ სახელმწიფო ექსპერტიზა 3, 5 და 0 ფორმების მიხედვით და აგრეთვე ცენტრალიზებული ექსპერტიზა ფორმა № 12-ის მიხედვით. უმცირესობათა მოსწავლეებს, დამატებით, ევალებათ სახელმწიფო ექსპერტიზის გავლა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში;
4. უმცირესობებისთვის შემუშავებულია ბილინგვური სწავლების პროგრამები, თუმცა, მათ აქვთ იმის საშუალება, მშობლიურ ენებზე შეისწავლონ საგნები.

ეთნიკურ უმცირესობათა განათლების სისტემის კონტროლი

შეფასების სისტემა საგანმანათლებლო ინსტიტუციებისთვის (აკრედიტაცია) ისეთივეა, როგორც ლატვიურენოვანი სკოლებისთვის. ამ აკრედიტაციას ახდენს სასწავლო გეგმების განვითარებისა და ექსპერტიზის ცენტრი და ეს სკოლები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, სადაც იზომება მოსწავლეთა სხვადასხვა უნარი და ცოდნა. ამგვარი კვლევები იწარმოება ლატვიის უნივერსიტეტის მიერ (OECD, TIMSS, PIRLS და სხვ.).

აქტივობათა შედეგები:

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. 2007 წლიდან ეს გამოცდები ბარდება ლატვიურ ენაზე (აღნიშვნა L-ით), თუმცა, შეუძლიათ რუსული ენის შერჩევაც (აღნიშვნა – K-ით).




დიაგრამა №3. 3 წლის განმავლობაში მიმდინარე ცენტრალიზებული გამოცდების შედეგები; გამოცდების ჩასაბარებლად ენის არჩევანის შედარება.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
 Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges




ექსპერტიზის შედეგები ლატვიურ ენაში:

ცენტრალიზებული გამოცდის შედეგები შეფასებულია 6 დონეზე, რომელთაგან F ყველაზე დაბალია, A - ყველაზე მაღალი.



დიაგრამა №4. ლატვიურ ენაში საბაზისო საფეხურის გამოსაშვები გამოცდების შედეგები 2010 წლისათვის.


თუკი შევადარებთ ამ დიაგრამას მომდევნოს, ვნახავთ, რომ ენობრივი უნარები ლატვიურ ენაში ამჟღავნებულია:



დიაგრამა №5. ლატვიურ ენაში ცენტრალიზებული გამოცდების შედეგები ფორმა 12-ის მიხედვით.

განალიზებულია არა მხოლოდ გამოცდის შედეგები, არამედ შეფასებულია აგრეთვე სასკოლო ოპერაციების 7 სფერო (როგორც ზემოთ იყო ნათქვამი):

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
 Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges




დიაგრამა №6. ზოგადი განათლება (2009/2010); 7 საბაზისო სფეროს შეფასება (ლურჯი – ძალიან კარგი; წითელი – კარგი; მწვანე – საშუალო)

საგამოცდო კომისიის შეფასების ანგარიში

ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ანგარიშში, ემყარება საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევებს, გაკვეთილებზე დაკვირვებას, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებს, აგრეთვე საანკეტო გამოკითხვებსა და ამ დაწესებულებათა თვითშეფასებას (მათ შორის განვითარების გეგმის შესახებ ინფორმაცია).

შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს, თუ რამდენად ხშირად ხდებოდა დაკვირვება შემსწავლელელებზე აკრედიტაციის პროცესში:



დიაგრამა №7: სასწავლო საგნების შეფასების სიხშირე

თითოეულ მონაცემს შეფასების თაობაზე ერთი და იგივე სტრუქტურა აქვს:


1. ზოგადი ინფორმაცია სასკოლო პროცესისა და მუშაობის თაობაზე;
2. ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ;

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges**




3. შიდა კომისიის მიერ მიცემული შეფასების წინა რეკომენდაციების შესრულება;
4. სასკოლო მუშაობის ხარისხის შეფასება;
5. წინასწარ შერჩეული სასწავლო საგნების სწავლისა და სწავლების ხარისხის შეფასება;
6. შედეგების ცხრილი – ხარისხის ინდიკატორები და მათი შეფასება დონეთა მიხედვით;
7. საშუალებები;
8. სასკოლო მუშაობის სრულყოფის რეკომენდაციები.

დასასრულ, ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეკომენდაციათა უმეტესობა გაიცა შემდეგ სფეროებში: „სწავლის სწავლება“, „სკოლების დახმარება“ და „სასკოლო მართვის ხარისხი“.



დიაგრამა №8: რეკომენდაციების რიცხვი სასკოლო ოპერაციების 7 სფეროში 2009-2010 სასწავლო წლისათვის.

სირთულეთა უმრავლესობა წარმოიქმნება შემდეგ სფეროში: „სწავლებისა და სწავლების პროცესის შეფასება“.



დიაგრამა №9. სფეროს ქვე-კრიტერიუმების შესაწავლისა და სწავლების თაობაზე გაცემული რეკომენდაციები.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



როდესაც გაანალიზდა აკრედიტაციის შედეგები, გაჩნდა შემდეგი კითხვები:

- როგორ უნდა გაიზომოს ზუსტად ზოგადი განათლების ხარისხი? როგორია ინდიკატორები?
- რა განაპირობებს ამას?
- ექსპერტიზა განათლების პროგრამის ზეპირი შესრულების მართლაც ერთადერთი ინდიკატორია?
- განათლების ხარისხი: პროცესი თუ შედეგი? ექსპერტიზა შედეგია; შესრულება – პროცესი;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების ხარისხთან.

ამ კითხვებზე პასუხები განსაზღვრავენ შემდგომი კვლევა-ძიების ასპექტებს უმცირესობათა განათლების ხარისხის შეფასების მიმართულებით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- გაილიტე, 2000 - Gailīte I. (2000) *Pedagogical Analyses in School Practice R.:* Coursebook, p.178, Riga
- გრინისი, 2008 - Grīnis E. (2008) *General Education Quality Evaluation // Skolotājs Journal* – 2008. – No.1. – 40. pg. 45, Riga
- მატისანე, 2009 - Matisāne I. (2009) *How to Find Quality in the System of Education of Latvia?*, Riga
- სკოლის განვითარების დაგეგმვისა და საკოლო შეფასების სახელმძღვანელო, 2000 - *Handbook for School Evaluation and Planning of School Development // Project of the Development of the System of Education of Latvia // Component of School Evaluation //* (2000), Riga
- ანგარიშები, 2007, 2008, 2009 - *Public Reports of VIKNVA* (2007., 2008., 2009), Riga.
- სატვერსმე, 2010 - *Satversme of the Republic of Latvia //* <http://www.likumi.lv/doc.php?id=57980> (12.11.2010.)
- სამუშაო მასალები, 2010 - *Working Materials of the Functions Audit Commission //* <http://www.mk.gov.lv/lv/vk/funkciju-audita-komisija/2010-darba-materiali/> (12.11.2010.).
- <http://oraprod.eurydice.org/pls/portal/url/page/Eurydice/showPresentation?pubid=062EN>.



აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო

არაბული (ეგვიპტური) ბილინგვიზმი და სწავლების პრობლემა

აბსტრაქტი

არაბულ სამყაროში, კერძოდ ეგვიპტეში, ლინგვისტური სიტუაცია დიგლოსიურია. მოსახლეობის ნაწილისთვის იგი ბილინგვიზია; ეს არის საზოგადოების ის ფენა, რომელიც ფლობს ინგლისურს. მდგომარეობის სპეციფიკა ისაა, რომ პირველ ენად ამ საზოგადოებას აქვს მოცემული ეგვიპტურის დიალექტი და არა სალიტერატურო არაბული, რომელსაც იგი არ ფლობს, – მის შესწავლას იგი იწყებს ფაქტობრივად ნულიდან, როგორც უცხოელი.

არაბული დიგლოსია, არის რა სალიტერატურო და სასაუბრო ენების ბუნებრივი თანაარსებობა, სპეციფიკურობას იმაში ამჟღავნებს, რომ თუ ერთ მხარეს გვაქვს დიალექტთა განსაკუთრებული მრავალფეროვნება, პირველ (სალიტერატურო ენის) მხარეს გვაქვს ორი ენა – კლასიკური (fuṣḥā) და თანამედროვე (standard). პირველი მხოლოდ სამწიგნობრო ენაა, მეორეს სრული ფუნქცია აქვს, თუმცა მისი საკომუნიკაციო დანიშნულება ძალზე შეზღუდულია. კიდევ ერთ სირთულეს ის წარმოადგენს, რომ სალიტერატურო სტანდარტ-ენას არ აქვს საკუთარი გრაფიკული და ორთოგრაფიული სისტემა და, როდესაც იყენებს კლასიკურს, არ/ვერ აღნიშნავს საკუთარ თავისებურებებს. საბოლოო შედეგი – სალიტერატურო არაბულის არცოდნა ან სუსტი ცოდნა – აისახება სწავლების პრაქტიკაში. როდესაც უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტს ესწავლება სალიტერატურო არაბული, გამომდინარე ბილინგვიზი სიტუაციის თავისებურებებიდან, იკითხება კოდის პერმანენტული ინტერლინგვიზი გადართვის რეჟიმში, როდესაც ძირითად საკომუნიკაციო ენას წარმოადგენს არა სალიტერატურო არაბული, არამედ ეგვიპტური დიალექტი, ხოლო კოდის გადართვის მუდმივ ობიექტს – ინგლისური ენა. ამ უკანასკნელ გარემოებას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს.

ზოგადად არაბულ სამყაროში, კერძოდ კი ეგვიპტეში, ლინგვისტური სიტუაცია რთულია და, ჩვეულებრივ, ფასდება როგორც დიგლოსიური. ამავე დროს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის რეალობაა არა მხოლოდ დიგლოსია, არამედ ბილინგვიზმიც.

ფერგიუსონის განმარტებით, დიგლოსია არის “შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, სადაც ენის პირველად დიალექტებთან ერთად (რომლებიც, შესაძლოა, სტანდარტულ ან რეგიონულ სტანდარტულ ენობრივ ფორმებსაც შეიცავდნენ), ფუნქციონირებს აგრეთვე ძალიან განსხვავებული, მაღალ დონეზე კოდირებული (ხშირად გრამატიკულად ბევრად უფრო რთული), ან უფრო ადრინდელი პერიოდის, ან სხვა სასაუბრო საზოგადოების ენობრივი ვარიანტი, სოლიდური წერილობითი ლიტერატურის გამოხატვის საშუალება, რომელსაც ძირითადად ფორმალური განათლების მქონე ადამიანები ფლობენ და რომელსაც გამოიყენებენ წერილობითი ან ოფიციალური მიზნებისთვის, მაგრამ რომელიც არ გამოიყენება მოცემული საზოგადოების არც ერთი სექტორის მიერ ჩვეულებრივი საუბრებისას” (ფერგიუსონი, 1971:16).

დიგლოსიის დროს საქმე გვაქვს მოვლენასთან, როდესაც ორი ლინგვისტური ფორმა ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ დამოკიდებულებაშია. ეგვიპტისა და, ზოგადად, არაბული ქვეყნების შემთხვევაში, ენის მაღალ, პრესტიჟულ ვარიანტს წარმოადგენს სალიტერატურო არაბული, ხოლო შედარებით დაბალი სტატუსის ფორმას – ადგილობრივი დიალექტები. ენობრივ სიტუაციას არაბულ სამყაროში დიგლოსიურად აფასებენ, მაგრამ ზოგი ავტორი (კეი, 1994, გვ. 47) თვლის, რომ სინამდვილეში არის „ბევრი არაბული“ (Many Arabics), ხოლო ლინგვისტური სიტუაცია არაბულ სამყაროში მულტიგლოსიურია.



საკითხისადმი ასეთი მიდგომა მართლაც ახლოსაა რეალურ სურათთან: კაიროში, შეიძლება ითქვას, ზოგადი ლინგვისტური სიტუაცია დიგლოსიურს არ სცილდება, თუ ჩავთვლით, რომ აქ მხოლოდ ორი ლინგვისტური ერთეული უპირისპირდება ერთმანეთს - *კაიროს კილოკავი* და *სალიტერატურო არაბული*. პერიფერიებში მდგომარეობა სხვაგვარია: თითოეულ სოფელს აქვს თავისი ადგილობრივი კილოკავი, ამასთან, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს რაიონულ ცენტრში გავრცელებულ კილოკავს. ადგილობრივ მოსახლეობს ასევე აქვთ კავშირი მეზობელი სოფლების მცხოვრებლებთან, და, შესაბამისად, მათ კილოკავებსაც ფლობენ. მათ უმრავლესობას სხვადასხვა საქმის გამო პერიოდულად უწევს კაიროში ჩასვლაც და კაიროს მეტყველებასაც ეცნობიან. თუ ასეთი სოფლის მკვიდრმა სალიტერატურო არაბულიც ისწავლა (ან ამის გარეშეც), პოლიგლოსია სახეზე გვაქვს. მაგრამ ესეც არ არის ლინგვისტური სიტუაციის უმაღლესი მაგალითი. გარდა ტერიტორიული დიალექტებისა და სალიტერატურო არაბულისა, გვაქვს მესამე ენობრივი კონგლომერატიც: ე.წ. *სტანდარტული არაბული* (ეჯიბაძე, 2010, გვ. 22-23).

ამასთან, აქ ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ სალიტერატურო არაბული, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ის წარმოადგენს მაღალი სტატუსის მქონე ფორმას, არც ერთი არაბის მშობლიური ენა არაა, მას არასდროს იყენებენ არაფორმალური საუბრებისას.

ბილინგვური სიტუაციის დროს საქმე გვაქვს ორ, ერთმანეთის მიმართ თანაბარი სტატუსის მქონე ენობრივ ფორმასთან, ხშირად, სხვადასხვა ენობრივი სივრცის კუთვნილებასთან. ეგვიპტის შემთხვევაში, ბოლო საუკუნეების დიაქრონიაში, ეს იყო, ერთი მხრივ, არაბული, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიული რეალიების ცვლილებასთან დამოკიდებულებაში – თურქული, ფრანგული, ან, დღევანდელის შემთხვევაში, ინგლისური. ეგვიპტის ისტორიას ახსოვს ისეთი პერიოდები, როდესაც ადგილობრივმა, უკვე საუკუნეების მანძილზე არაბიზებულმა, მოსახლეობამ, უფრო ზუსტად მისმა არისტოკრატულმა ნაწილმა, არც კი იცოდა არაბული, იღებდა განათლებას, მაგალითად, თურქულად, და მეტყველებდა თურქულად. ეს ფაქტი დიდ პრობლემას ქმნიდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ურთიერთობისას, რადგან მისმა დაბალმა, გაუნათლებელმა ნაწილმა (ასეთი კი XXI საუკუნის ეგვიპტეშიც მრავლად მოიძებნება) იცოდა მხოლოდ თავისი მშობლიური ეგვიპტური დიალექტი. სიტუაცია შეიცვალა მუჰამედ ალის რეფორმების შემდეგ, როდესაც ორიენტაცია აღებულ იქნა ევროპაზე. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ასევე, ნიჭიერი ღარიბი ახალგაზრდებიც, განათლებას ევროპაში, ძირითადად, საფრანგეთში, შემდეგ – ინგლისში იღებდნენ. შედეგად, ეგვიპტის სინამდვილეში შეიჭრა ახალი ლინგვისტური ფორმატი.

დღევანდელი სინამდვილის პოზიციიდან, იმის თქმა, რომ მთლიანად ეგვიპტეში ბილინგვური სიტუაციაა, არ იქნება ზუსტი. მაგრამ მოსახლეობის ერთი ფენისთვის სიტუაცია მართლაც კომპლექსურია: ერთი მხრივ – ბილინგვური, მეორე მხრივ – დიგლოსიურიც. ესაა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ევროპულ, დღეის მდგომარეობით, ინგლისურენოვან განათლებას იღებს. შედეგად, ეგვიპტეში გაზრდილი ახალგაზრდა ფლობს ინგლისურ (და ზოგჯერ სხვა ევროპულსაც) ენას სრულყოფილად, ასევე ფლობს კაიროს კილოკავს (ეგვიპტის არაბული დიალექტის ერთგვარ სტანდარტულ ვარიანტს), რაც ერთმანეთთან სინთეზში იძლევა ბილინგვურ სიტუაციას. მეორე მხრივ, ამ ახალგაზრდებს უწევთ ცხოვრება დიგლოსიურ საზოგადოებაში, სადაც დიგლოსიის განმაპირობებელი ფაქტორია ამ დიალექტისა და სალიტერატურო არაბულის უპირისპირება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა ძალიან სუსტად იცის სალიტერატურო არაბული, რადგან ეს ის ენაა, რომელსაც არაბი ბავშვები სკოლებში სწავლობენ, ხოლო ეგვიპტის ახალგაზრდობის მოცემული ნაწილი სკოლაში ევროპულ ენებს უფრო მაღალ დონეზე სწავლობდნენ, ვიდრე არაბულს. ისინი განათლებას აგრძელებენ ევროპულ ან ამერიკულ უნივერსიტეტებში, და თუ ეს უმაღლესი დაწესებულება ეგვიპტის ტერიტორიაზეა, მათ საუნივერსიტეტო განათლებისას უწევთ სალიტერატურო არაბულის შესწავლა, რაც დიდ პრობლემებს უქმნით ხოლმე. ისინი, ვინც მშობლიურის სტატუსით ფლობენ არაბული ენის ერთ ფორმას – დიალექტს (კერძოდ,



უმეტესად, კაიროს კილოკავს), პრაქტიკულად არ იცნობენ არაბულის მეორე ფორმას – სალიტერატურო ენას და მის შესწავლას ხშირად ნულოვანი დონიდან იწყებენ, ისე, როგორც ისინი, ვინც სხვა ენის მატარებელია.

გასათვალისწინებელია, რომ არაბული დიგლოსია, არის რა სალიტერატურო და სასაუბრო ენების ბუნებრივი თანაარსებობა, სპეციფიკურობას იმაში ამჟღავნებს, რომ თუ ერთ მხარეს გვაქვს დიალექტთა განსაკუთრებული მრავალფეროვნება, პირველ (სალიტერატურო ენის) მხარეს გვაქვს ორი ენა – კლასიკური (fuṣḥā) და თანამედროვე (standard). პირველი მხოლოდ სამწიგნობრო ენაა, მეორეს სრული ფუნქცია აქვს, თუმცა მისი საკომუნიკაციო დანიშნულება ძალზე შეზღუდულია დიალექტთა მიერ. კიდევ ერთ სირთულეს ის წარმოადგენს, რომ სალიტერატურო სტანდარტ-ენას არა აქვს საკუთარი გრაფიკული და ორთოგრაფიული სისტემა და, როდესაც იყენებს კლასიკურს, არ/გერ აღნიშნავს საკუთარ თავისებურებებს (არაბული ანბანი კონსონანტურია). საბოლოოდ, სალიტერატურო არაბულის ადგილზე გვაქვს ერთი გრაფიკული სისტემა, ე.ი. ერთი ენა გრაფიკულ გამოხატულებაში, რომელსაც ორი რეპრეზენტანტი აქვს; შეიძლება ითქვას, რომ გვაქვს ერთგვარი ჰეტეროგრაფია, როდესაც ერთი და იგივე ტექსტი (გრაფიკული ენა) იკითხება/იმიფრება ორნაირად. “გრაფიკულ გამოხატულებაში მხოლოდ ერთი ენა არსებობს და არა ორი. სტანდარტ-ენა მთლიანად კლასიკურ გრაფიკულ სისტემას ემყარება (გარდა ამისა, პრინციპულად – კლასიკურ გრამატიკასაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ, აღწერის თვალსაზრისით არცთუ რთულ, ცვლილებებს). შესაბამისად, პრინციპულ განსხვავებას კლასიკურსა და თანამედროვე ენას შორის მხოლოდ სამეტყველო რეპრეზენტაცია ქმნის...” (ა. სილაგაძე, 2010:8).

არაბულ სამყაროში მუშაობის, საქმიანი კორესპონდენციის მართვისა და დოკუმენტაციასთან ურთიერთობისთვის და ა.შ. აუცილებელია სალიტერატურო არაბულის, კერძოდ, გრამატიკის ცოდნა. როგორ, ან რა ენის დახმარებით სწავლობენ ეს ახალგაზრდები სალიტერატურო არაბული ენის გრამატიკას?

არაბული საზოგადოების ნებისმიერი სეგმენტისთვის დამახასიათებელი მოვლენაა ე.წ. კოდის გადართვა, რაშიც, ჩვეულებრივ ის იგულისხმება, რომ არაბი მეტყველებისას იყენებს არაბულის სხვადასხვა ფორმას, დიალექტიდან სალიტერატურო არაბულამდე, – ენობრივი გრადაციის სხვადასხვა ვარიანტს, რაც სიტუაციის ცვლილებაზე, გამოსათქმელი აზრის სტატუსზე, თანამოსაუბრესთან ურთიერთობის კვალიფიკაციაზე და სხვა პარამეტრებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, სპეციალური კვლევები ტარდებოდა ეგვიპტის პრეზიდენტების საჯარო გამოსვლებზეც კი. მაგალითად, პრეზიდენტ ნასერის საჯარო გამოსვლებში სალიტერატურო არაბული ქდერდა, როგორც “აბსტრაქტული, იდეალიზებული ან მეტაფორული მესიჯების ენა,” ხოლო, როგორც კი ის ეხებოდა “კონკრეტულ, ფიზიკურ, მკაცრად პერსონალიზებულთან ასოცირებულ” თემებს, მაშინვე ცვლიდა მეტყველების კოდს და დიალექტზე გადადიოდა (არაბული ენისა და ლინგვისტიკის ენციკლოპედია, 2006, გვ. 419). ეს ე.წ. code switching-ის ის ვარიანტია, რომელიც ყოველი ეგვიპტელის (და არაბის) მეტყველების თანმხლები მოვლენაა და გულისხმობს კოდის გადართვას ერთი ენის – არაბულის – შიგნით, მის სხვადასხვა დონეებს შორის.

მაგრამ არაბულ სინამდვილეში code switching-ის სხვა, ბილინგვური ვარიანტიც არსებობს, როდესაც კოდის გადართვა ხდება ერთი ენიდან მეორეზე და პირიქით.

ეგვიპტის ახალგაზრდობის მოცემული ნაწილის მეტყველებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისინი მუდმივად მიმართავენ უპირატესად კოდის გადართვის ამ მეორე ვარიანტს. ასეთი ვითარებაა კერძოდ მაშინ, როდესაც ეს ახალგაზრდები სალიტერატურო არაბულს, მის გრამატიკას სწავლობენ. კაიროს ამერიკულ უნივერსიტეტში სალიტერატურო არაბული ენის გრამატიკის ლექციები მიმდინარეობს პერმანენტული ბილინგვიზმის რეჟიმში. ძირითადი სამეტყველო ენის სტატუსით წარმოდგენილია ეგვიპტური დიალექტი (ბუნებრივია, მისი სტანდარტული ვარიანტი, ე. ი. კაიროს მეტყველება), ხოლო კოდის გადართვის მუდმივი ობიექტია ინგლისური ენა. ამას თავისი, არა მხოლოდ სოციოლინგვისტური, მიზეზები აქვს.



ტრადიციული - კლასიკური არაბული გრამატიკის ერთი თავისებურება ისაა, რომ ზოგი გრამატიკული ტერმინი, თანამედროვე, ვთქვათ, ინგლისურ გრამატიკულ ტერმინოლოგიასთან შედარებით ნაკლებ კომფორტულია, რაც იმაში გამიხატება, რომ კლასიკური არაბული ვარიანტი არა ერთ კონკრეტულ, არამედ, რამდენიმე ცნებას ერთდროულად შეესაბამება. მაგალითად, სიტყვა *ḥarf*-ით არაბი გრამატიკოსები აღნიშნავენ ბგერას, ასოს, თანხმოვანს, ნაწილაკს. სიტყვით *maḥall* – ბრუნვას, სიტყვის სინტაქსურ სტატუსს, სიტყვით *wazn* – მოდელს/ყალიბს, პარადიგმას, ლექსთწყობაში – სალექსო ფორმის საზომს, იგი ასევე გამოიყენება, როგორც მუსიკალური ტერმინი არაბულ მუსიკაში და ა.შ., მეორე მხრივ, სტუდენტთა 100-მა პროცენტმა სრულყოფილად იცის ინგლისური, სადაც ყოველ ამ ცნებას სრულიად განსაზღვრული, ერთი ტერმინი შეეფერება, რაც ყოველგვარ ორაზროვნებას გვაცილებს თავიდან. მდგომარეობა რთულდება დიალექტთან მიმართებით, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია და არც უნდა გააჩნდეს ლინგვისტური ტერმინოლოგია. კოდის გადართვის მიზეზი, დრო, ადგილი განისაზღვრა.

დასავლურ არაბისტიკაში შედარებით “გამარტივებული”, დასავლური განათლების ადამიანთათვის მეტად კომფორტული მიდგომაა არაბული გრამატიკის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, არაბულენოვან არაბულ გრამატიკაში არ არსებობს სიტყვა “თემის” (არაბული მორფოლოგიის, დერივაციის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კატეგორია) აღსანიშნად სპეციალური ტერმინი (გამოიყენება სიტყვა *wazn*, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვს და სიტყვის ნებისმიერ მოდელს გულისხმობს). აქაც ბუნებრივად განისაზღვრა კოდის გადართვის მიზეზი და კონკრეტულ ინგლისურ ლექსებზე გადასვლის მიზანშეწონილობა.

კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მეორე ენის (თანამედროვე ინგლისურის) ზოგ შემთხვევაში ეკონომიურობის მეტი ხარისხი არაბულთან შედარებით, მაგალითად, როდესაც ერთ ცნებას არაბულში გამოხატავს შედარებით რთული სინტაქსური კონსტრუქციისგან შემდგარი დეფინიცია, მაშინ, როდესაც მეორე ენაში მას ერთი ლექსემა გადმოსცემს: *'iddigām(u) ḥarfayin(i) l-'illa(ti)* – ტერმინისთვის “დიფთონგი” და სხვ., რაც ხშირია არაბულში ისეთ შემთხვევებში, როცა გარკვეულ ცნებათა გადმოსაცემად არაბული საკუთარ რესურსებს მიმართავს, ახდენს ცნების მნიშვნელობის აღწერას (როგორც დიფთონგის შემთხვევაში გვაქვს) ან შედარებით ახალი ცნების უცხო სახელწოდების თარგმნას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ფერგიუსონი, 1971 - C.A. Ferguson, Diglossia, Language Structure and Language Use, Stanford, California, 1971.
- კეი, 1994 - S. Kaye, Formal vs. Informal in Arabic: Diglossia, Trigllossia, Tetraglossia, etc., Poligllossia - Multigllossia, Journal of Arabic Linguistics, N 27, 1994, 47-66.
- არაბული ენისა და ლინგვისტიკის ენციკლოპედია, 2006 - Code-switching: Encyclopedia of Arabic Language and Linguistics, v. I, Brill-London, 2006; Code-switching, 414 - 421.
- სილაგაძე, 2010 - ა. სილაგაძე, თანამედროვე არაბული ენა: სპეციფიკა და სწავლების პრობლემა, შესავალი წერილი “თანამედროვე არაბული ენის სახელმძღვანელო-ლოსთვის,” თბილისი, 2010.
- ეჯიბაძე, 2010 - ნ. ეჯიბაძე, ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, I, თბილისი, 2010.



ორივე შუბითივე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო

ბილინგვური განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სახელმწიფო ენის სწავლების აუცილებლობა საქართველოში და ბილინგვური განათლება, როგორც ერთ-ერთი საშუალება ქართული ენის შესასწავლად. საკითხი აქტუალური განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გახდა, რის შედეგადაც დაიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება მულტილინგვური სწავლების კუთხით საქართველოს მთავრობის მიერ. სტატიაში წარმოდგენილია კვლევა საქართველოში არსებულ 40 საპილოტე სკოლაში, სადაც ხორციელდება მულტილინგვური განათლება. კვლევის მიზანს წარმოადგენს ბი/მულტილინგვური პროგრამების განხორციელების პროცესში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორების ძიება, რომლებიც აფერხებენ პროგრამების ეფექტურ განხორციელებას. კვლევის ობიექტია შემთხვევითად შერჩეული 23 საპილოტე არაქართულენოვანი სკოლა, ექსპერტული შეფასებისა და ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად, გამოიკვეთა ის ხელისშემშლელი ფაქტორები და გარემოებები (არაქართული გარემო, პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაცია, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნის თვალსაზრისით ასევე ბილინგვური სწავლების მეთოდის მიმართულებით, მეთოდური და სასწავლო მასალების სიმცირე და ა.შ), რომლებიც მკვეთრად აფერხებენ მულტილინგვური განათლების პროცესს.

შესავალი

საქართველოს მრავალეთნიკურობიდან გამომდინარე, მუდამ იყო კომუნიკაციის საჭიროება ერთზე მეტ ენაზე (ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, 2000). ასეა დღესაც, დღითიდღე იზრდება მოთხოვნა და საჭიროება მეორე ენის სწავლისადმი, რაც პირველ რიგში დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ კურსზე და მოთხოვნებზე საზოგადოების მიმართ. უკანასკნელი წლების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში, სხვა მრავალეთნიკური ქვეყნის მსგავსად მიმართულია უმცირესობების წარმომადგენლებს შეასწავლოს სახელმწიფო ენა მათი მშობლიური ენის, კულტურის, ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების პარალელურად. უმცირესობების ინტეგრაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თავიდან იქნეს აცილებული ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირებები, რის პრევენდენტიც, ჩვენდა სამწუხაროდ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გახშირდა, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს უამრავ განვითარებულ ან განვითარებად ქვეყნებში.

ეთნიკურ უმცირესობათა სოციალიზაციის პროცესი წარმატებული ვერ იქნება მხოლოდ მულტილინგვური განათლების პროგრამების განხორციელებით, თუმცა განათლება რომ ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი მიმართულებაა სამოქალაქო ინტეგრაციისა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად ამას ცხადყოფს სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებიც ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებით: ბილინგვური განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, „საშეღავათო პოლიტიკა“ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობების მოსახვედრად და ა.შ. (საქართველოს გაეროს ასოციაცია, 2010).



2002 წლის მონაცემებით, საქართველოში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიების გამოკლებით) უმცირესობების ხვედრითი წილი 16%-ს შეადგენს. (საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, 2007). ქართველების შემდეგ ყველაზე დიდ ეთნოლინგვისტურ ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6,5%), რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ: მარნეული, გარდაბანი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, რუსთავი და ა.შ. მეორე დიდ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან სომხები (5,7%), ისინი ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახლობენ კომპაქტურად, კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში, სადაც მათი რაოდენობა აჭარბებს 95%-ს და ახალციხეში, სადაც სომხური მოსახლეობის წილი 36%-ს შეადგენს. აზერბაიჯანული და სომხური დასახლებები გვხვდება თბილისშიც სხვადასხვა მცირე ეთნიკურ ჯგუფთან ერთად (სიმერა, 2010).

არსებული დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, უმცირესობების განათლება და განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მშვიდობიანი განვითარების პროცესში. მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა, დიდი ხნის განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა მათი განათლება, რისი შედეგიცაა ინტეგრაციის დღევანდელი დაბალი მაჩვენებელი და არსებული სავალალო მდგომარეობა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს დაწესებულებებში, ისე ზოგადად არაქართულენოვან თემში. არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე, ენის არცოდნით გამოწვეული ინფორმაციული ვაკუუმი, სამოქალაქო იზოლაცია და ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩართულობის დაბალი ხარისხი განსაკუთრებით თვალში საცემია არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით დაბალია ინტერესიც და საჭიროებაც ქართული ენის სწავლისადმი. არსებული სავალალო მდგომარეობა და ენის არცოდნით გამოწვეული გაუცხოება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს როგორც ეროვნული უმცირესობების, ისე უმრავლესობის წარმომადგენელთათვის მშვიდობიანი განვითარების გზაზე (Cimera publication 2006). სწორედ ამ პრობლემებისა და გაუცხოების შემსუბუქებას ემსახურება უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მხრიდან არაქართულენოვანი მოსახლეობის განათლებასა და ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ მიმართული დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ბი/მულტილინგვური განათლების დანერგვა, რომელიც 2009 წლიდან ხორციელდება ეტაპობრივად მთელი საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 40 არაქართულენოვან სკოლაში (საქართველოს გაეროს ასოციაცია, 2010). სწორედ აღნიშნულ სკოლებში მიმდინარე მულტილინგვური განათლების პილოტირების პროცესში არსებული ხელისშემშლელი და შემაფერხებელი ფაქტორებისა და მათი გადაჭრის გზების ძიება წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს.

ბილინგვური განათლება გულისხმობს აკადემიური საგნების სწავლებას მშობლიურ და მეორე ენაზე პარალელურად. ბილინგვური განათლება არ არის იზოლირებული პროცესი და წარმოადგენს როგორც ზოგადი განათლების, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პოლიტიკის ნაწილს. როგორც პოლსტინი (1992) აღნიშნავს, „თუკი ბილინგვურ განათლებაზე სოციალური, ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენა არ იქნება შესწავლილი ვერაფრით გაეიზიარებთ ამ ტიპის განათლების შედეგებს“ (ბეიკერი 2010). სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს იმ ფაქტორების ზეგავლენა, რომლებიც განსაზღვრავენ ბილინგვური განათლების ეფექტურობას. თუ მოხდება ბილინგვური განათლებისა და პროგრამების მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება, სადაც გათვალისწინებული იქნება ასაკი, გარემო, სოციალური სტატუსი, ერისა და კულტურის თავისებურება, ბავშვის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობა, ბილინგვური განათლება მხოლოდ პოზიტიურ შედეგებს მოუტანს სკოლებს (ბეიკერი, 2010).



სტატიაში ბილინგვური განათლება განხილულია ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში, რაც გულისხმობს მათთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენაზე. რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში და თავიდან იქნება აცილებული ასიმილაციის საფრთხე, უმცირესობების ენისა და კულტურის დაკარგვის საშიშროება. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორენოვანი განათლება არის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება, რომლის სწორად და მიზანმიმართულად განხორციელებაზეა დამოკიდებული პოზიტიური ან ნეგატიური შედეგები. რეალურია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების მიღება პროგრამების არასწორად განხორციელების შემთხვევაში. ყველა სიახლე, რომელიც შემოდის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნორმად მკვიდრდება საჭიროებს შესწავლას, ანალიზს, კეთილსინდისიერად ჩატარებულ კვლევებს და კვლევების შედეგების გათვალისწინებას სიახლის დანერგვის პროცესში, ასევე სახელმწიფოს ნებას და მხარდაჭერას.

ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევიდან გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინება ან უგულებელყოფა გარკვეულწილად განსაზღვრავს შედეგს: გარემო, სადაც ხორციელდება კონკრეტული მულტილინგვური განათლების მოდელის დანერგვა, ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, მენტალიტეტის და სხვა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური გარემო, სხვა ქვეყნების გამოცდილების გაათვალისწინება, კონკრეტული რაიონის და სკოლის ინდივიდუალური საჭიროების ანალიზი, ბავშვების ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სათანადოდ მომზადება, ეს ის საკითხებია, რომლებიც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

კვლევა 40 საპილოტე სკოლაში

კვლევა ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შერჩეული 40 არაქართულენოვანი საპილოტე სკოლიდან 23-ში, სადაც 2009 წლიდან ხორციელდება მულტილინგვური განათლების პროგრამების პილოტირება (მულტილინგვური განათლების პროგრამების დებულება 2010). კვლევის მიზანს წარმოადგენდა ხელისშემშლელი ფაქტორებისა და გარემოებების ძიება, რომლებიც მკვეთრად აფერხებენ პროგრამების წარმატებით განხორციელებას. დასმული პრობლემიდან გამომდინარე საკვლევე მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაკეთდა 2 ჩადრმავებული ინტერვიუ მულტილინგვური განათლების ექსპერტებთან, ხოლო რაოდენობრივი კვლევისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 23 არაქართულენოვანი საპილოტე სკოლის დირექტორი, რაც არსებული სკოლების 58% შეადგენს და საშუალებას იძლევა შედეგების განზოგადებისას ყველა საპილოტე სკოლაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ენობრივი მდგომარეობა, ბილინგვური განათლების პროცესში არსებული სირთულეები და სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები განსხვავებულია თბილისსა და არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს შორის, ნათელი სურათისთვის კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა თბილისის 6 (26%) და კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 17 (74%) სკოლის დირექტორი კვლევის სამიზნე ჯგუფად დირექტორების შერჩევა მოხდა, რადგან ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პილოტირების პროცესში და ფლობენ ინფორმაციას როგორც უშუალოდ სკოლაში არსებულ ენობრივ და საგანმანათლებლო მდგომარეობაზე, ასევე ზოგადად თემისა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბილინგვური განათლების შესახებ.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაკეთდა ინტერვიუ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის (OSCE/HCHM) ლატვიელ ექსპერტთან ქ. ლიგიტა გრიგულესთან. მისი მრავალწლიანი გამოცდილება საინტერესო და საგულისხმო ინფორმაციას წარმოადგენდა,



განსაკუთრებით კვლევის პირველ ეტაპზე. ასევე მულტილინგვური განათლების ექსპერტთან ბ. დავით ზათიაშვილთან, რომელიც 2010 წლიდან მუშაობს აღნიშნულ საკითხზე, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენელი და უშუალოდ არის ჩართული სკოლების მიერ შევსებული მულტილინგვური განათლების სააპლიკაციო ფორმების სრულყოფასა და დამტკიცების პროცესში და, ასევე, ფლობს ინფორმაციას, რა საფრთხეები და წინააღმდეგობები არსებობს პროგრამების პილოტირების პროცესში. კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც მინიმალური დროისა და რესურსის დანახარჯით მაქსიმალური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდა განსაკუთრებით კვლევის საწყის ეტაპზე. მონაცემთა შეგროვება ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, რომელთა შედეგების მიხედვით შეიქმნა სტრუქტურირებული კითხვარი რაოდენობრივი კვლევისთვის.

კვლევისთვის მეორადი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა 2007 წლის ანგარიშები “ბილინგვური განათლება საქართველოში” (გრიგულე, პერინი, 2007 და დეკ, 2007) რომელშიც მოცემულია 2007 წლამდე საქართველოში განხორციელებული აქტივობების ანალიზი მულტილინგვური განათლების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანი იყო სკოლების მიერ შევსებული მულტილინგვური განათლების სააპლიკაციო ფორმებიდან მიღებული ინფორმაცია კონკრეტული სკოლის შესახებ. მეორადი ინფორმაციისა და ჩატარებული თვისებრივი კვლევის ანალიზის საფუძველზე, შეიქმნა 44 პუნქტიანი კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო საპილოტე სკოლების დირექტორებისათვის რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად. კითხვარი მოიცავდა სამ ბლოკს: პირველ ნაწილში იყო ანკეტური ტიპის 8 შეკითხვა - ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ, რაიონი/ქალაქი და ეთნიკური ჯგუფები სკოლაში და ა.შ. მეორე ბლოკის 25 შეკითხვა შეეხებოდა სკოლაში არსებულ პრობლემებს ორენოვანი სწავლების კუთხით. რესპონდენტებს პასუხი უნა გაეცათ 4-ბალიან სკალაზე (1. საერთოდ არ ვეთანხმები; 2. არ ვეთანხმები; 3. ვეთანხმები; 4. სრულიად ვეთანხმები), მესამე ბლოკის 11 შეკითხვა განკუთვნილი იყო სკოლაში მიმდინარე მულტილინგვური განათლების პროგრამების და ზოგადად რეგიონში ენების მიმართ ინტერესის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

კვლევის შედეგად გამართლდა ჰიპოთეზა, რომ ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში არსებობს უამრავი წინააღმდეგობა და პრობლემა, რაც ზრდის უკუშედეგის საშიშროებას თუ არ მოხდება თითოეული პრობლემის სათანადოდ კვლევა, შესწავლა და შედეგების გათვალისწინება პილოტირების პროცესში.

კვლევის ლიმიტი და სანდოობა:

- კითხვარის აპრობაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ ღია კითხვების დიდ ნაწილს უპასუხოდ ტოვებდა რესპონდენტთა უმრავლესობა, ამიტომ კითხვარის საბოლოო ვერსიაში ყველა კითხვა იყო დახურული. კითხვარის ბოლოში დამატებითი მოსაზრებისთვის გამოყოფილი ადგილი კი რესპონდენტთა 91.3%-მა ცარიელი დატოვა, ან დააფიქსირა ის მოსაზრება, რომელზეც უკვე კონკრეტული პასუხი ჰქონდა გაცემული წინა პუნქტებში.
- დირექტორები ხშირად გამოთქამდნენ სხვადასხვა საკითხისადმი საკუთარ დამოკიდებულებას, მაგრამ უარს აცხადებდნენ ჩანაწერის გაკეთებაზე (ვიდეო ან აუდიო მასალის სახით).
- განხორციელდა კითხვარის თარგმანი რუსულ ენაზე, რადგან დირექტორთა უმრავლესობა ვერ ფლობდა ქართულ ენას.
- შეიქმნა კითხვარის ელექტრონული ვერსია (ქართულ და რუსულ ენებზე), რომელიც მოიაზრებოდა ალტერნატიულ საშუალებად სკოლების უმრავლესობის ჩართვისთვის კვლევაში, თუმცა მათი გამოყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ თბილისის



სკოლებში, რადგან რაიონის სკოლებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ სკოლების უმრავლესობას აქვს ინფორმატიკის კაბინეტი.

- რაოდენობრივი კვლევის პროცესში უმნიშვნელო იყო კითხვარების დანაკარგი ან ღიად დატოვებული კითხვა.
- არსებობს სკოლებში გადაღებული ფოტო მასალა; ასევე ინტერვიუების აუდიოჩანაწერი, რაც განაპირობებს კვლევის სანდოობას.

კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევის ანალიზი:

ლიგია გრიგულე: ლატვიის უნივერსიტეტი, (OSCE/HCHM) მულტილინგუური განათლების ექსპერტი:

- საქართველოში სულ 149 სკოლაა (თუმცა 2011 წლიდან ეტაპობრივად ხდება რუსულენოვანი სკოლების შემცირება), სადაც სწავლების ენა არის რუსული (ტაბატაძე, 2010). ქ. გრიგულეს თქმით, აღნიშნული სკოლები ძირითადად ეთნიკურად არარუსი მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული (სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქურთები, ქართველები...) რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში, რადგან მოსწავლეებისთვის უკანა პლანზე გადადის სახელმწიფო ენის სწავლა მშობლიური ენის, სწავლების ენის (რუსული) და სავალდებულო ერთ-ერთი უცხო ენის სწავლის პირობებში;
- მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ქართული გარემოს არარსებობა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში;
- მშობელთა დაბალი ჩართულობა პროცესში, ან ხშირად უარყოფითი დამოკიდებულება ბილინგუური განათლებისადმი, რისი ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია იყოს მათი არაინფორმირებულობა.

დავით ზათიაშვილი, მულტილინგუური განათლების ექსპერტი, (2010 წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენელი):

ბილინგუური განათლების მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სრულფასოვნად შესწავლა, არამედ მათი მშობლიური ენის აკადემიურ დონეზე შესწავლის უზრუნველყოფა, რადგან მეორე ენაში წარმატებას გარკვეულწილად განაპირობებს მშობლიური ენის ფლობის დონე.

2011 წლის იანვარის მონაცემებით მხოლოდ 17 სააპლიკაციო ფორმა იყო განხილული და დამტკიცებული 40 საპილოტე სკოლის სააპლიკაციო ფორმიდან.

ასევე მიმდინარეობს მუშაობა საგნობრივი პედაგოგების მომზადების უზრუნველსაყოფად ქართულ ენაში; იგეგმება: გზამკვლევების შექმნა (უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით), რამდენიმე სკოლაში ინტენსიური დაკვირვებების და კვლევების წარმოება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიების შესამუშავებლად, 2011-2012 სასწავლო წლიდან მულტილინგუური განათლების დანერგვა ყველა არაქართულენოვან სკოლაში, რომლის ფინანსურ უზრუნველყოფას სახელმწიფო თავის თავზე აიღებს. უახლოეს მომავალში იგეგმება „კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით ბილინგუური განათლება (სახელმწიფო ენა+მშობლიური ენა) იქნება სავალდებულო ყველა არაქართულენოვანი სკოლისთვის საქართველოში.

თვისებრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, გამოიკვეთა **სოციალური** ფაქტორების მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მომზადებას, როგორც უმრავლესობების, ისე უმცირესობების და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას – რას გულისხმობს ბილინგუური განათლება; რა დადებითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მის სწორად განხორციელებას; რა საფრთხეები არსებობს არასწორად განხორციელების



შემთხვევაში; ზოგადად რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის ცოდნას უმცირესობებისთვის და ა.შ.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

კითხვარის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ბილინგვური განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება რესპონდენტთა მხრიდან, ისევე, როგორც სახელმწიფო ენის სწავლისადმი გაზრდილი ინტერესი და მოთხოვნა. სკოლების უმრავლესობა პილოტირებამდე არ ფლობდა არანაირ გამოცდილებას ორენოვანი სწავლების მიმართულებით, თუმცა ზოგიერთ სკოლაში რამდენიმე საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე, მხოლოდ და მხოლოდ სასურველი კადრის არარსებობის გამო, თუმცა არ იყო გათვალისწინებული მეორე ენაზე სწავლების თავისებურებანი, მეთოდოლოგია და კომუნიკაცია სხვადასხვა ენაზე მოსაზრებე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, პრობლემას წარმოადგენდა.

- გამოკითხულთა 74% სრულიად დაეთანხმა, რომ მათ რეგიონში არსებობს სახელმწიფო ენის სწავლის აუცილებლობა;
- სახელმწიფო ენის სწავლა ბილინგვური განათლების გზით, ინტეგრაციის მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნია გამოკითხულთა 100%-მა. მათი განმარტებით სწორედ ამ მიზნით მოხდა სკოლების ჩართვა მულტილინგვური განათლების პილოტირების პროცესშიც;
- გამოკითხული სკოლების დირექტორების 34.8%-ს არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ორენოვანი სწავლების კუთხით; მხოლოდ 26.1% მონაწილეობდა სხვადასხვა პროექტში. 47.7%-მა აღნიშნა, რომ ჰყავს მასწავლებლები, რომელთაც სხვადასხვა ტრენინგში აქვთ მონაწილეობა მიღებული და აქვთ გარკვეული გამოცდილება ბილინგვური სწავლების მიმართულებით, რომელსაც უზიარებს სხვა მასწავლებლებსაც.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს მულტილინგვური განათლების წარმატებით განხორციელებას სკოლებში:

- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია - 52%;
- მოსწავლეთა დაბალი ენობრივი კომპეტენცია სახელმწიფო ენაში - 52,2%;
- არაქართულენოვანი გარემო - 65,2% (განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისთვის. მათი უმრავლესობა ვინც არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას იყო თბილისის სკოლები, სადაც საგრძნობლად უკეთესი მდგომარეობაა ქართულენოვანი გარემოს თავალსაზრისით);
- არასათანადოდ მომზადებული კადრები - 52.7%;
- პედაგოგთა დაბალი ენობრივი კომპეტენცია სახელმწიფო ენაში მხოლოდ - 8,7%-მა დააფიქსირა;
- პედაგოგთა დაბალი მოტივაცია - 30,4%;
- სასწავლო მასალის სიმცირე - 82%;
- სასწავლო მასალის შეუსაბამობას (სირთულეს) მოსწავლეთა ენობრივ კომპეტენციასთან ეთანხმება სრულიად ან ნაწილობრივ რესპონდენტთა 43.5%, ხოლო დარჩენილი 56.5% რომლებიც არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას ძირითადად თბილისის სკოლის დირექტორები იყვნენ. მათი განმარტებით დედაქალაქის სკოლების მოსწავლეებისთვის მეტად მარტივია მასალა, რაც მათ გულგრილობას იწვევს სწავლის პროცესში, მათი ენობრივი კომპეტენცია შესაძლებლობას იძლევა გაცილებით კომპლექსური და მრავალფეროვანი მასალის დაძლევისას;
- დარგობრივი სწავლების კუთხით მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია - 91.4%;
- პედაგოგთა დაბალი კომპეტენცია ბილინგვური სწავლების მეთოდოლოგიაში - 100%.



- მიუხედავად არსებული სირთულეებისა, დირექტორთა თქმით, მასწავლებელთა უმრავლესობა (88.3%) დადებითად შეხვდა სიახლეს - მულტილინგუური სწავლების დანერგვას სკოლაში. ხოლო რაც შეეხება სკოლაში პრიორიტეტულ სწავლების ენას, გამოკითხულთა 82,6%-მა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გაიზარდა სახელმწიფო ენის სწავლისადმი ინტერესი; ასევე, საგულისხმოა, რომ პირად საუბრებში დირექტორების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების, სემინარებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების შემდეგ, ბილინგუური განათლება აღარ აღიქმება ასიმილაციის საფრთხედ არაქართულენოვან მოსახლეობაში.


გამოკითხულთა 39,2%-მა აღნიშნა, რომ არაქართულენოვანი მოსწავლეების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ იღებდა უმაღლეს განათლებას, უმეტესად თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, რადგან საქართველოში სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ვერ ხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებელში. თუმცა ბოლო დროს უმცირესობების მიმართ გატარებულმა „საშეღავათო პოლიტიკამ“ შესაძლებელი გახადა, თავიანთ მშობლიურ ენებზე ჩაბარებული უნარების გამოცდის შედეგების მიხედვით (მხოლოდ ერთი გამოცდით) ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ერთწლიან მოსამზადებელ ფაკულტეტზე, სადაც ისინი ერთი წლის განმავლობაში (60 კრედიტის ფარგლებში) ეუფლებიან ქართულ ენას სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნულმა რეფორმამ ასახვა სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლისადმი გაზრდილ მოთხოვნაზეც ჰქონდა, შედეგად საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რასაც გამოკითხულთა 81,4%-იც ადასტურებს.

სახელმწიფო ენის პრესტიჟის ზრდასთანაა სწორედ დაკავშირებული, რომ გამოკითხული სკოლების 52,2% იყენებს მულტილინგუური განათლების სახელმწიფო ენის მხარდაჭერის პროგრამას, ხოლო 21,7% – მშობლიური ენის მხარდაჭერისას.


გამოკითხულთა 52,2% სწავლების ძირითად ენად სკოლებში ასახელებს ქართულს, ხმათა მეორე უმრავლესობა წილად ხვდა სომხურ ენას (43,5%), რომელსაც მოსდევს რუსული (39,1%) და აზერბაიჯანული (30,4%). აღსანიშნავია, რომ სკოლების უმრავლესობა, რომლებშიც სწავლების ძირითად ენას რუსული წარმოადგენს, შერეული მულტილინგუური სწავლების მოდელს იყენებენ, რადგან მოსწავლეების უდიდესი ნაწილისთვის რუსული მშობლიური ენა არ არის, ასეთ სკოლებში სწავლობენ შერეული ეთნოლინგვისტური ჯგუფის მოსწავლეები.

თბილისსა და რეგიონებში პრიორიტეტული ენები რადიკალურად განსხვავებულად გაგადანაწილდა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რამდენად განსაზღვრავს გარემო და საჭიროებები ენის „პრესტიჟს“. თბილისის სკოლებში პრიორიტეტული სწავლების ენებია ქართული (50%) და რუსული (50%), ხოლო რეგიონის სკოლებში მშობლიური (75%) და სახელმწიფო ენა (17.6%).

41. პრიორიტეტული ენა თბილისის საპილტე სკოლებში



41. პრიორიტეტული ენა რეგიონის საპილტე სკოლებში



სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



დასკვნა

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა: რუსულენოვანი სკოლების პრობლემა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის რომელთათვისაც რუსული მეორე ენაა. რუსულენოვან სკოლებზე მოთხოვნა საბჭოთა პერიოდის გადმონაშთია, რომლის ნგრევას დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება. რუსული ენის მიმართ მოთხოვნას კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული არაქართულენოვანი გარემოც უწყობს ხელს, რადგან ამ რეგიონში რუსულ ენას ჯერ კიდევ საკომუნიკაციო ენის სტატუსი აქვს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი.

მშობელთა დაბალი ჩართულობა ან უარყოფითი დამოკიდებულება იყო ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, თვისებრივი კვლევის შედეგად გამოკვეთილი, რომელიც არ გამართლდა რაოდენობრივი კვლევის შედეგებით. სწორედ მშობელთა დადებითი დამოკიდებულება და მზადყოფნა სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში ჩართულობისათვის არის მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯი.

პედაგოგთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; მრავალფეროვანი და მოსწავლეების საჭიროებებს მორგებული სასწავლო და დამხმარე მასალის მომზადება, პროგრამების დანერგვის პროცესში საზოგადოების ინფორმირება – ეს ის უმნიშვნელოვანესი საკითხებია, რომლებიც კვეთენ ერთმანეთს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით.

❖ **გარემო:**

- კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არაქართულენოვანი გარემო უარყოფითად აისახება მოსწავლეებზე და პედაგოგებზე, როგორც ენის სწავლის, ისე ინტეგრაციის თვალსაზრისით. ქართულენოვანი გარემოს არარსებობის პირობებში, მხოლოდ სკოლაში, შეუძლებელია სრულყოფილად ქართული ენის შესწავლა, მით უმეტეს, ჯერ კიდევ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული აღნიშნულ სკოლებში ენის სწავლების პროცესი. ჯერ ისევ მოუგვარებელი პრობლემები: შესაბამისი სასწავლო მასალის არარსებობა და კვალიფიციური მოსწავლეების სიმცირე არაქართულენოვან გარემოსთან ერთად, შეუძლებელს ხდის ენის სრულყოფილად დაუფლებას სკოლებში.

❖ **მეთოდური და სასწავლო მასალის არარსებობა:**

- სასწავლო სახელმძღვანელოების შეუსაბამობა მოსწავლეთა ენობრივ კომპეტენციასთან;
- თვალსაჩინოებათა და შესაბამისი დამხმარე სახელმძღვანელოების სიმცირე;
- პედაგოგთა გზამკვლელების არარსებობა.

❖ **საკადრო რესურსების დაბალი კვალიფიკაცია:**

- პედაგოგთა დაბალი კომპეტენცია ბილინგვური სწავლების მიმართულებით;
- სახელმწიფო ენის სათანადოდ არცოდნა;
- კვალიფიციურ დარგობრივ პედაგოგთა სიმცირე.



❖ ინფორმაციული ვაკუუმი:

- მნიშვნელოვანი პრობლემაა უმცირესობებისთვის დროულად, საჭირო ინფორმაციის არმიწოდება, თუნდაც იმ სიახლეზე, რომელიც 2010 წლიდან ხორციელდება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (იგულისხმება საშეღავათო პოლიტიკა) დიდი ხნის დაგვიანებით გახდა ცნობილი კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში;
- ასევე, რეგიონების მასწავლებლებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიებსა თუ სხვადასხვა სიახლეზეც.

❖ კვლევის შედეგად მიღებული პოზიტიური შედეგები:

- სკოლებში პრიორიტეტულ სწავლების ენად სახელმწიფო ენის დასახელება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ენის სწავლისადმი გაზრდილ ინტერესსა და საჭიროებას;
- მშობელთა ინტერესის და ჩართულობის საგრძნობლად ზრდა, რაც უსათუოდ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს;
- პედაგოგების პოზიტიური დამოკიდებულება და ჩართულობის სურვილი მულტილინგუური განათლების პროცესში;
- საქართველოში ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა ზრდა, რაც, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება არაქართულენოვანი მოსახლეობის დასაქმებასა და საზოგადოებაში ინტეგრირებაზე მრავალწლიანი „გარიყულობის“ შემდეგ, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სწორედ სახელმწიფო ენის არცოდნა და ამის გამო შესაბამისი განათლების მიღების მინიმალური შესაძლებლობა.

დისკუსია

დღევანდელ ეპოქაში ყველა გზა წარმატებული კარიერისკენ ბილინგვურ განათლებაზე გადის. ალბათ ძალიან ცოტას თუ წარმოუდგენია ცხოვრება დღეს ან მომავალში ერთ ენაზე მოლაპარაკე მსოფლიოში, სწორედ ამიტომ იზრდება დღითიდღე ბილინგვური განათლების როლი და უპირატესობა როგორც უმცირესობებისათვის, ისე უმრავლესობებისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

უმცირესობებისთვის ბილინგვური განათლების გზით სახელმწიფო ენის შესწავლასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, როგორც ჩატარებული კვლევიდან ჩანს, დადებითად ხვდება გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი. თუმცა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ანალიზის შედეგებმა გაამართლა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ მულტილინგუური პროგრამების დანერგვას ახლავს უამრავი წინააღმდეგობა და ხელისშემშლელი ფაქტორი, რომლებიც აფერხებენ დაგეგმილ პროცესს და მათი გაუთვალისწინებლობა საფრთხეს შეუქმნის პოზიტიური შედეგების მიღწევას.

იმ უამრავი პრობლემის პარალელურად, რაც ქვეყნას დღეს აქვს, თუნდაც ქართულ საჯარო სკოლებში არსებული სირთულეები, თუნდაც ის, რომ უამრავ ქართველ ბავშვს ხელმოკლეობის გამო არ აქვს საშუალება მიიღოს სრული ზოგადი და უმაღლესი განათლება, მნიშვნელოვანია გარკვეული ყურადღება დაეთმოს ეთნიკური უმცირესობების განათლებისა და ინტეგრაციის საკითხს მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის პროცესში. მათ ინტეგრაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პროცესში და ქვეყნის განვითარებაში. მიმაჩნია, რომ განათლება უნდა იყოს პრიორიტეტული, სახელმწიფო ენის სწავლა სავალდებულო ამ ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, ბილინგვური განათლება კი არის ერთ-ერთი გზა დასახული მიზნისკენ.

რეკომენდაციები



სკოლის ადმინისტრატორებს და განათლების პოლიტიკის შემქმნელებს დიდი ძალისხმევა ჰქმნათ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რადგან წარმატებას განაპირობებს მხოლოდ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული, მიზანმიმართული ნაბიჯები. მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც ჩატარებული კვლევის შედეგებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

- საჭიროებების დროული შესწავლა და ანალიზი;
- ინტენსიური კვლევებისა და ექსპერიმენტების წარმოება თითოეული სიახლის ნორმად დადგენამდე;
- პედაგოგთა დროული მომზადება და გადამზადება;
- ბილინგვური სწავლების მეთოდის დახვეწა და გაცნობა მასწავლებლებისთვის;
- ქვეყნის და კულტურის თავისებურებების გათვალისწინება, ისევე როგორც უმცირესობების კულტურის და ტრადიციების პატივისცემა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას;
- მეორე ენის მეთოდის გათვალისწინება;
- სკოლების ინტენსიური მონიტორინგი;
- მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო მასალის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ენობრივ შესაძლებლობებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ბეიკერი 2006 - ბეიკერი, კ. ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ 2010 წლის ქართული ვერსიის გამოცემა.

ტაბატაძე, 2010 - ტაბატაძე შ. ინტერკულტურული განათლება საქართველოში – კრებულში „კულტურული დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება“, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2010.

წიფურია ბ. 2006 - წიფურია ბ. სახელმწიფო ენის შესწავლიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე - კრებულში “ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში” - *Cimera publication 2006*

გრიგულე და პერინი - Grigule L. & Perrin, 2007 - Multilingual Education in Georgia, Evaluation Reporte, *Tbilisi, Geneva, July 2007.*

დეძე - DEDZE I. 2007 - Multilingual Education In Georgia. An evaluation report of the Ministry of Education and Science of Georgia Policy on the Deveopment of Multilingual Education. *August 2007.*

ბილინგვური განათლების პროგრამების დებულების პროექტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009.

მულტილინგვური განათლების პროგრამების დებულება 2010, საქათველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010.

მულტილინგვური განათლების სააპლიკაციო ფორმები, 2009 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009.

საქართველოს გაეროს ასოციაცია 2010 - ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება 2010, თბილისი.



საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად 2007, 30 მარტი.

ნათელა იმედაძე, მარინე ჯაფარიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო

ბილინგვიზმის ფორმირების მოდელები ქართულის, როგორც მეორე ენის, დაუფლების პროცესში

აბსტრაქტი

ბილინგვიზმის ცნების ფართო განსაზღვრაში იგულისხმება ურთიერთობისათვის ორი ენის გამოყენების უნარი (ფლობის დონის მიუხედავად). ამ თვალსაზრისით, ბილინგვიზმი გვევლინება მეორე ენის სწავლების შედეგის სახით (საბოლოო ან შუალედური). ამ კონტექსტში ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება არაქართველთათვის ბილინგვიზმის გარკვეულ მოდელს უნდა გულისხმობდეს.

ბილინგვიზმის ფორმირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც გადანაცვლება შეთავსებული, შერეული ტიპიდან ავტონომიურობისაკენ. ეს კი სწავლების ხარისხზეა დამოკიდებული. სწავლებამ შეიძლება დააჩქაროს კოორდინირებული ბილინგვიზმის შემუშავება, ან, პირიქით, არაეფექტიანი სწავლების შემთხვევაში, მოსწავლე შეიძლება სწავლების ბოლომდე დარჩეს შერეული ტიპის ბილინგვალი, რომლის მეტყველებაში მუდმივად ადგილი ექნება ლექსიკურ, გრამატიკულ და ფონეტიკურ შეცდომებს.

საქართველოში მცხოვრებ არაქართველთათვის საგულისხმოდ მიგვანია ე.წ. ადიტიური მოდელი, როდესაც „მეორე ენა ემატება ბავშვის სამეტყველო უნარს მშობლიურის დარღვევის გარეშე“.

ბავშვის მიერ მეორე ენისადმი უპირატესობის მინიჭება გაშუალებულია თემის სტატუსით და ეს შეიძლება გახდეს ღირებული ინდიკატორი მოზარდის მომავალი ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის.

ფართო განმარტებით, ბილინგვიზმი არის ორი ენის გამოყენების უნარი კომუნიკაციის პროცესში (ფლობის დონის მიუხედავად). ამ ასპექტით იგი წარმოადგენს მეორე ენის სწავლების შუალედურ ან საბოლოო შედეგს. უდავოა, რომ ამ კონტექსტში ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება არაქართველთათვის უნდა ეყრდნობოდეს ბილინგვიზმის სპეციფიკურ მოდელს. ბილინგვიზმის თეორიული მოდელი შეიძლება გახდეს ეფექტიანი სწავლების საფუძველი და განაპირობოს სწავლება/სწავლის სტრატეგიები, რომლებიც თავისი გამიზნულობით „შეიძლება გამოყენებულ იქნას ენის განსხვავებულ შემსწავლელთათვის და სწავლის განსხვავებულ სიტუაციებში“ (ბილისტოკი, 2006)

ბილინგვიზმის პირველი დიქტომიური მოდელის შექმნა უკავშირდება ფსიქოლინგვისტიკის, როგორც დარგის, ავტორებს: ჩარლზ ოზგუდს და სიუზან ერვინს (ერვინი, 1954). აღნიშნული მოდელი გულისხმობდა ორი ენის ავტონომიურ ფუნქციობას



კოორდინირებული (coordinate) ბილინგვიზმის შემთხვევაში და ენათა შერევას, ინტერფერენციულ შეცდომებს - **შეთავსებული (compound)** მოდელის დროს. აღნიშნულმა დიქტომიურმა მოდელმა რეალური ვერიფიკაცია კპოვა მრავალ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში (ლაბერტი, 1969, კოლერსი, 1965, ობლერი & ალბერტი, 1977, იაკობოვიცი, 1970 და სხვ.). XX საუკუნის მეორე ნახევარში ეს მოდელები ინტენსიურად გამოყენებოდა ბილინგვიზმის ფსიქოლინგვისტურ და მეთოდოლოგიურ კვლევებში. ის, რომ კოორდინირებული ბილინგვიზმის დროს ენობრივი სისტემები ავტონომიურად ფუნქციონირებენ, დასტურდება იმ დროის ხანგრძლივობითაც, რომელიც საჭიროა ერთი ენიდან მეორე ენაზე „გადასართველად“. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფაზიის შემთხვევაში.

ჩ. ოზგუდის სემანტიკური დიფერენციალის მეთოდზე დაფუძნებული აღნიშნული მოდელი, თავის პირველად დეფინიციაში, ასახავდა მხოლოდ ორი ენის ლექსიკური ერთეულების ურთიერთმიმართებას, კერძოდ, კოორდინირებულის შემთხვევაში ეკვივალენტური სიტყვების მნიშვნელობათა ავტონომიურ არსებობას, ხოლო შეთავსებულის შემთხვევაში კი - ეკვივალენტური სიტყვების მნიშვნელობათა იდენტობას.. ასე, მაგალითად, სემანტიკური დიფერენციალის მეთოდის საშუალებით (სამი სკალის მიხედვით: კარგი-ცუდი, ძლიერი-სუსტი და აქტიური-პასიური) ეკვივალენტი სიტყვები ორ ენაში კოორდინირებული ბილინგვიზმის დროს ფასდებოდა განსხვავებულად, შეთავსებულის დროს იდენტურ ემოციურ შეფასებას გვაძლევდა.

ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევაში მშობლიურ და მეორე ენებზე (სომხური, ინგლისური) სიტყვები “სტუმარი” და “სახლი” შეფასდა ერთნაირად ინგლისური ენის შესწავლის პირველ საფეხურზე (სპეციალური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტების მიერ), ხოლო საკმაოდ განსხვავებულად სპეციალური ფაკულტეტის ბოლო კურსზე (სტატისტიკურად სანდო განსხვავებით). ეს იმის მაჩვენებელია, რომ ენის დაუფლებასთან ერთად, მშობლიური და უცხო ენის სიტყვათა მნიშვნელობები ერთმანეთს დასცილდნენ.

ჩ. ოზგუდის მოდელის ეს ერთგვარი შეზღუდულობა - მხოლოდ სემანტიკური ერთეულების გათვალისწინება - იმთავითვე გახდა კრიტიკის ობიექტი. მომდევნო კვლევებში, განსაკუთრებით ლეონ იაკობოვიცის შრომებში, დიქტომიური მოდელი გავრცელდა ენობრივი ფუნქციონის სხვა სფეროებზეც: ფონეტიკურსა და გრამატიკულზე.

ორი ტიპის ბილინგვიზმის ჩამოყალიბება უკავშირდებოდა ენების დაუფლების გენეზისს: შერეული სამეტყველო ურთიერთობის შემთხვევაში (როცა ურთიერთობა წარმოებს ორ ენაზე შერეულად) იქმნება შეთავსებული ბილინგვიზმი, ხოლო თუ ინდივიდი ორ ენას ეუფლება განსხვავებულ ემოციურ და კულტურულ კონტექსტში - მიიღება კოორდინირებული ბილინგვიზმი.

ჩ. ოზგუდის მოდელის მეორე ნაკლს მისი სტატიკურობა წარმოადგენს. ჩვენი აზრით, მეორე ენის დაუფლების პროცესში ინდივიდი გარკვეული კონტინუუმის ფარგლებში მოძრაობს, რომლის ერთ ბოლოში - შეთავსებული, ხოლო მეორეში - კოორდინირებული ბილინგვიზმია. საინტერესოდ მიგვაჩნია მ. ალბერტის და ლ. ობლერის მოსაზრება (ორენოვანი ტვინი, 1978), რომლებიც “მიმზიდველად” მიიჩნევენ ნაწილობრივ შეთავსებული, ნაწილობრივ კოორდინირებული სისტემის დაშვებას, რადგანაც ის საშუალებას გვაძლევს თვალყური მივადევნოთ, თუ რა ხდება ბილინგვიზმის სამეტყველო პროცესში. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ ასაკში მეორე ენის დაუფლება არ გულისხმობს იმავე საფეხურების გავლას, როგორც ეს ხდება მშობლიური ენის დაუფლების დროს და, ამავე დროს, არსებობს რაღაც უნივერსალური, რაც ახასიათებს ყველა ენობრივ სისტემას.

ჩვენი აზრით, ბილინგვიზმის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება მოხდეს. თუ ბავშვი თავიდან ეუფლება ორ ენას განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში და მას უყალიბდება კოორდინირებული სისტემა. ასაკთან ერთად და ფორმალური სწავლების პროცესში მას დასჭირდება ორი ენის ლინგვისტური ერთეულების ურთიერთშედარება, ე.ი. შემოვა შეთავსებულობის ელემენტები. შეძლება ვივარაუდოთ საწინააღმდეგო გზაც: სწავლების პროცესში კონტექსტები შორდება ერთმანეთს: ოჯახში ერთი ენაა, სკოლაში - მეორე. შედეგად, თანდათანობით ძლიერდება ამ ენობრივი სისტემების კოორდინირების



მომენტი. ეფექტურობის თვალსაზრისით, ზეპირი მეტყველების თავისუფალი ფლობისთვის კოორდინირებული მოდელი უპირატესია, ტექსტის ანალიზისათვის, თარგმნის და გრამატიკული სავარჯიშოების შესასრულებლად და ლექსიკური ნიუანსების გაცნობიერებისათვის – შეთავსებული მოდელი.

ბილინგვიზმის დინამიკის თავისებურებებს ასახავს ბეიკერის მიერ ჩამოყალიბებული ბილინგვიური განათლების ორგვარი “ფილოსოფია” (1993): შენარჩუნებისა (maintenance) და ტრანზიტულობის (transitional). შენარჩუნების ფილოსოფია უზრუნველყოფს მეორე ენის განვითარებას, გამდიდრებას მშობლიური ენის დარღვევის გარეშე და, როგორც ასეთი, განაპირობებს **ადიტიური ბილინგვიზმის** ჩამოყალიბებას. იგი გულისხმობს მეორე ენის უნარ-ჩვევების დამატებას ინდივიდის ლინგვისტურ რეპერტუარში ისეთ კონტექსტში, როდესაც ორივე ენა და კულტურა თანაბრად გამოიყენება.

ტრანზიტული ფილოსოფია იძლევა სახლის ენის განვითარებისა და გაძლიერების შესაძლებლობას მხოლოდ იმისათვის, რომ ის გახდეს სასწავლო საგნების დაუფლების საშუალება. სახლის ენა არ არის აქცენტირებული და დომინანტური ხდება ქვეყნის ენა და კულტურა.

ბილინგვიზმის თანამედროვე მოდელების განხილვისას სიტუაციური და კონტექსტის ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია. სწორედ ამიტომ ბილინგვიზმის თანამედროვე კვლევები მას განიხილავენ ბიკულტურალიზმთან მიმართებით. ეს მოდელები აღწერენ გავლენებს ფსიქიკურ პროცესებზე, სოციალურ გამოცდილებაზე, ინდივიდუალურ ცვლილებებზე, ასევე იმ ფსიქოლოგიურ სირთულეებს, რომლებიც ბიკულტურალიზმის თითოეულ მოდელს ახლავს:

1. **ასიმილაციური მოდელი** გულისხმობს იმას, რომ პიროვნება კარგავს ეროვნულ იდენტობას და იძენს ახალს. ასიმილაციის ეს პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. პიროვნება ორმხრივი დაწოლის ქვეშ იმყოფება, მას მხარდაჭერა ორივე მხრიდან აკლია: ერთი მხრივ, მას ჩაგრავს უმრავლესობა, მეორე მხრივ, უნდობლობას უცხადებს საკუთარი კულტურის ხალხი. ახალ კულტურაში შესვლისა და ძველის დატოვებასთან დაკავშირებით ადამიანები ძლიერ სტრესს განიცდიან. ხდება პიროვნების მარგინალიზაცია, რის გამოც მათ უყალიბდებათ დაბალი თვითშეფასება, დეზორიენტირებულნი არიან, ექმნებათ ემოციური სირთულეები.
2. **აკულტურაციული მოდელი** გარკვეულად ჰგავს პირველ მოდელს იმ თვალსაზრისით, რომ ორივე შემთხვევაში დომინანტური ხდება უმრავლესობის კულტურა, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ პიროვნება არ კარგავს საკუთარ იდენტობას. გამოკვლევები ადასტურებენ, რომ აკულტურაცია საკმაოდ სტრესული გამოცდილება შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანისთვის, მას შეიძლება მეორეხარისხოვანი მოქალაქის განცდა გაუჩნდეს.
3. **ალტერნაციული მოდელი** არ გულისხმობს ორი კულტურის იერარქიულ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში პიროვნება ცვლის თავის ქცევას სოციალური კონტექსტის მიხედვით. ეს ეხება ენასაც. ამ მოდელში შემავალ ადამიანებს ახასიათებთ ნაკლები შფოთვა, ვიდრე წინა შემთხვევებში და იგი საუკეთესო მოდელს წარმოადგენს. პიროვნება თავისუფალია აკულტურაციული სტრესისგან.
4. **მულტიკულტურული მოდელი** გულისხმობს ორი ან მეტი კულტურისადმი პლურალისტურ დამოკიდებულებას. მულტიკულტურული საზოგადოება უზრუნველყოფს ყოველი ჯგუფის ეთნიკურ იდენტობას, ავითარებს ტოლერანტობას, ხელს უწყობს ადამიანთა შორის ურთიერთობებს და სხვადასხვა ენების დაუფლებას. ასეთ საზოგადოებაში ბიკულტურალიზმთან დაკავშირებული სტრესები ნაკლებია და ადამიანთა ემოციური კომპეტენტურობა მაღალი.
5. **შერწყმული მოდელი** კულტურათა ურთიერთშერწყმას გულისხმობს, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი კულტურა. იგი განსხვავდება ასიმილაციური და აკულტურაციული მოდელებისაგან, რადგან შესაძლებელია უმცირესობის კულტურის



გავლენა მიღებული, გათვალისწინებული იქნას ასევე კულტურაში. თუ წინა მოდელები მეტ-ნაკლებად შესწავლილია, ეს მოდელი ჯერ კიდევ შესასწავლია.

ისმის კითხვა: ბილინგვიზმის და ბიკულტურალიზმის აღნიშნული მოდელებიდან რეალურად რომელი გვხვდება საქართველოში და რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. პასუხს ამ კითხვაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეორე ენის სწავლების პოლიტიკისა და სტრატეგიების განსაზღვრისათვის.

2007-2008 წ.წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა კვლევა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით ბილინგვალ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კვლევის შედეგებმა (თბილისის ქართული სკოლის არაქართველ მოსწავლეებთან) აჩვენა ენების სიტუაციის მიხედვით მკვეთრი დანაწილება - ოჯახში, ძირითადად უფროსი თაობის ნათესავებთან, ისინი იყენებენ ერთ ენას (სომხური, რუსული, თურქული, იტალიური), ხოლო სკოლაში და მეგობრებთან ურთიერთობაში გამოიყენება ქართული ენა. დადგინდა რომ ამ მოსწავლეებს აქვთ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები ორივე ენაზე, მათ მეტყველებაში ნაკლებად ჩანს ენობრივი ინტერფერენციები, თუმცა ემოციურად დატვირთულ სიტუაციებში ზოგჯერ ჩართავენ სიტყვებს სახლის ენიდან. მათ აქვთ მაღალი თვითშეფასება, დადებითი ემოციური დამოკიდებულება და სიამაყე ორი ენის ფლობის გამო: “ბედნიერი ვარ, რომ ვიცი ორი ენა, დედას უხარია რომ ვლაპარაკობ ორ ენაზე, მეგობრებს მოსწონთ, რომ ვესმარები რუსულის გაკეთილებზე” (ქართული სკოლის ბილინგვალ ბავშვი). კმაყოფილებას გამოხატავენ თავიანთი შეილებების ორენოვნების გამო მშობლებიც. ეს მონაცემები თავსდება კლასიკური ტიპოლოგიის კოორდინირებული ბილინგვიზმის კატეგორიაში, ასევე ბიკულტურალიზმის და ბილინგვიზმის ალიტერაციულ მოდელში, სახელდობრ, მოსწავლემ ა) იცის ორივე კულტურის ღირებულებები, ბ) აქვს პოზიტიური ატიტუდი ეროვნული უმრავლესობისა და უმცირესობის მიმართ, გ) აქტიურია ორივე კულტურაში, დ) ორივე ენაზე აქვს კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, ე) ფლობს როლთა რეპერტუარს და ე) გრძნობს ორივე კულტურიდან სოციალურ მხარდაჭერას.

ამავე კვლევით დადასტურდა, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ინგლისში მცხოვრები ბავშვებისაგან, რომელთაც ჰყავთ ქართველი დედეები - ბავშვები, რომლებიც ამეტყველდნენ ქართულად ან სკოლამდელ ასაკში აქტიურად იყენებდნენ ორივე ენას, სკოლაში შესვლის შემდეგ ეწინააღმდეგებიან ოჯახში ქართულის გამოყენებას. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ თანატოლთა ჯგუფთან იდენტიფიკაციას (მაგ. “მე მინდა ვგავდე ჩემს მეგობრებს”). ეს გარემოება ქმნის გარკვეულ დაძაბულობას ოჯახში, მშობელი გრძნობს, რომ ბავშვი კარგავს ქართულ ენას და ასიმილაციის მოდელისკენ მიდის. ვთვლით, რომ ორგვარი იდენტობის შენარჩუნების მიზნით სასურველი იქნებოდა ქართული კულტურის, ისტორიის, ტრადიციების გაცნობა. მშობელმა მკაცრად უნდა დაიცვას ერთი ენის ხმარების პრინცი. ბავშვები მონაწილეობას უნდა იღებდნენ სალაპარაკო ენასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. საზგასმული უნდა იქნეს იმ ადამიანის უპირატესობა რომელიც ფლობს ორ ენას.

ამგვარად, ქართულ კულტურაში ბილინგვიზმის გამოვლენილი მოდელები შეიძლება გახდეს ერთის მხრივ, არაქართველთათვის სახელმწიფო ენის ეფექტიანი სწავლების ფსიქოლოგიური საფუძველი, მეორეს მხრივ, ღირებული ინდიკატორი მოზარდის მომავალი ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნებისთვის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

იმედაძე, ჯაფარიძე, ბრუკსი, კლემერა, 2008 - ნ. იმედაძე, მ.ჯაფარიძე, ფ.ბრუკსი, ე.კლემერა, ბილინგვიზმის ფსიქოლოგიური შედეგები (კროსკულტურული კვლევა)

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching;
Problems and Challenges



- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XX, 2008.
- უზნაძე, 1949 - დ. უზნაძე, ენის შინაფორმა, “ფსიქოლოგია”, ტ. მე-4 ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 1949.
- აღბერტი, ობლერი, 1978 - Albert M., Obler L., The Bilingual Brain Academic Press N.Y.San Francisco, London, 1978.
- ს. ბეიკერი, 2006 - Baker S., The Psychology of the Language Learner, The Canadian Modern language, Univ.Toronto Press, 2006.
- ბიალისტოკი, 2006 - Bialystok, E., A Theretical Model of Second Language Learning, Journ. of Research in Language Students, 2006.
- ბრუკსი, იმედაძე, კლემერა, ჯაფარიძე, 2007-2008 - Brooks F., Imedadze N. Klemera E. Japaridze M.An exploration of the role of bilingualism in family life from the perspective of children and their prime care givers in too different cultural contexts. PROJECT founded by BRITAIN ACADEMY, 2007_2008
- ერვინი, ოსგუდი, 1954 - Ervin,S. ,Osgood Ch., Second Language Learning and Bilingualism, in Psycho-linguistics, Journ.Abnorm.,Soc.Psychology,49, Baltimore 139-146, 1954.
- გარდნერი, ლამბერტი, 1985 - Gardner R.Lambert W. Language Aptitude, Intelligence and Second Language Achievement, Journal of Educational psychology, 1985, vol 66, N.4, pp.161-189
- იაკობოვიცი, 1968 - Jakobovitz L. Dimensionality of compound - coordinate bilingualism, Journal. of Applied Linguistics 1968 N 3.
- კოლერსი, 1968 - Kolers P., Bilingualizm and Information Processing, Scientific American, 1968, N 3.
- ლამბერტი, 1969 - Lambert W., Psychological Studies of Interdependence of Bilingual two Languages, Ed Puchvel, Los Angelos, 1969.
- ფრომბოისი, 1993 - La Fromboise, Psychological Impact of Bilingualizm: Evidence and Theory Amer. Psychol.BULLETIN, 1993, vol 14s.



შალვა ტაბატაძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო

ბილინგვური განათლების პრობლემების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები

აბსტრაქტი

საქართველოში 2010 წელს დამტკიცდა მულტილინგვური განათლების პროგრამების დებულება და დაიწყო მულტილინგვური განათლების რეფორმა. სტატია წარმოადგენს ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის მიზანი იყო გარკვეულიყო საქართველოში ბილინგვური განათლების პროგრამების განსახორციელებლად არაქართულენოვანი სკოლების მზაობა. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორები, კერძოდ ბილინგვური განათლების პროგრამების ტიპები, ბილინგვური განათლების პროგრამებში მონაწილე სკოლების საკადრო რესურსი, რამდენად წარმოადგენს ბილინგვური განათლება ყველა აქტორის მიერ გაზიარებულ ხედვას და ღირებულებას და მშობელთა და თემის ჩართულობა ბილინგვური განათლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ქვემო ქართლიდან და სამცხე ჯავახეთიდან წარდგენილი 26-ვე სკოლის ბილინგვური განათლების პროგრამა, განხორციელდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვანი სკოლების დირექტორების და ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების გამოკითხვა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში დაგეგმილი და მიმდინარე ბილინგვური განათლების პროგრამები წარმოადგენს „სუსტი“ ბილინგვური განათლების პროგრამებს. წარმოდგენილ „ძლიერ“ ისევე როგორც „სუსტ“ ბილინგვური განათლების პროგრამებში სკოლებს არ აქვთ მათ განსახორციელებლად შესაბამისი საკადრო რესურსი, ჩამოყალიბებული მიზანი და ხედვა და „მშობელთა“ და „თემის“ ჩართულობა მცირეა ამ პროცესში, ხოლო პროგრამები არ არის ორიენტირებული ეფექტურობის განმსაზღვრელი ამ ფაქტორების უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, წარმოდგენილი ბილინგვური განათლების პროგრამები ვერ უზრუნველყოფს ბილინგვური განათლების პროგრამების მიზნების მიღწევას. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების მიერ ბილინგვური განათლების პროგრამების დაგეგმვისას ამოსავალი იყო მხოლოდ არსებული სიტუაცია და საკადრო რესურსი და პროგრამები არ ითვალისწინებს ბილინგვური განათლების სასურველ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.



შესავალი

ბილინგვური/მულტილინგვური განათლების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები ძირითადად პოზიტიურად აფასებენ ბილინგვური სწავლების ეფექტს ბავშვის ენობრივი თუ კოგნიტიური განვითარებისთვის (ბეკერმანი, 2005). გარსია და სკუტნაბ-კანჯასი (1995) გამოყოფენ ბი/მულტილინგვური განათლების რამდენიმე პოზიტიურ ეფექტს: ა) კომპეტენცია ორ ან მეტ ენაში; ბ) განათლების თანაბარი შესაძლებლობები; გ) მულტიკულტურულობა და პოზიტიური დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, ასევე განსხვავებული კულტურული ჯგუფების მიმართ. მიუხედავად კვლევების ასეთი პოზიტიური შედეგებისა, ბი/მულტილინგვური განათლების პოლიტიკა რჩება ერთ-ერთ ყველაზე მეტად საკამათო თემად განათლების პოლიტიკაში (ბეკერმანი, 2005), რადგან ბილინგვური განათლების პროგრამის ეფექტურობა დამოკიდებულია როგორც ბილინგვური განათლების პროგრამის სახეობაზე, აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორზე, რაც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე. ბილინგვური განათლების ეფექტურობას განაპირობებს ბილინგვური განათლების პროგრამის ტიპი. განასხვავებენ ბილინგვური განათლების „ძლიერ“ და „სუსტ“ პროგრამებს (ბეკერი, 2010). პროგრამები, რომელთა მიზანია მშობლიური ენის უგულვებელყოფა, სუსტი პროგრამების კლასიფიკაციაში ხვდება და განაპირობებენ უმცირესობათა მოსწავლეების აკადემიურ წარუმატებლობას (კუმინსი, 2000ა). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ „ძლიერი“ ან „სუსტი“ პროგრამების არჩევანი არ გახლავთ თავისთავად პროგრამის ეფექტურობის გარანტია. ნებისმიერი პროგრამა შეიძლება იყოს ეფექტური ან პირიქით – არაეფექტური, რადგან ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც გასათვალისწინებელია. „ძლიერი“ ბილინგვური განათლების პროგრამების პირობებშიც კი შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორებია აუცილებელი ბილინგვური პროგრამების ეფექტურობისთვის: (1) საკადრო რესურსი; (2) თანამშრომლებს შორის გაზიარებული ხედვა, სკოლის მისია და მიზნები; (3) მშობელთა და თემის ჩართულობის ხარისხი.

სტატია წარმოადგენს ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის მიზანი იყო გარკვეულიყო საქართველოში ბილინგვური განათლების პროგრამების განსახორციელებლად არაქართულენოვანი სკოლების მზაობა. სტატიის პირველ ნაწილში წარმოდგენილია სკუტნაბ-კანჯასის მიერ ჩამოყალიბებული ბილინგვური განათლების პროგრამების ტიპოლოგია, მეორე ნაწილი დაეთმო ბილინგვური განათლების რეფორმის აღწერას საქართველოში, სტატიის მესამე ნაწილი გააანალიზებს ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ხოლო მეოთხე ნაწილში წარმოდგენილი იქნება ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია, მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორები, კერძოდ, ბილინგვური განათლების პროგრამების ტიპები, ბილინგვური განათლების პროგრამებში მონაწილე სკოლების საკადრო რესურსი, რამდენად წარმოადგენს ბილინგვური განათლება ყველა აქტორის მიერ გაზიარებულ ხედვას და ღირებულებას და მშობელთა და თემის ჩართულობა ბილინგვური განათლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ქვემო ქართლიდან და სამცხე ჯავახეთიდან წარდგენილი 26-ვე სკოლის ბილინგვური განათლების პროგრამა; განხორციელდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვანი სკოლების ღირებულებების და ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების გამოკითხვა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში დაგეგმილი და მიმდინარე ბილინგვური განათლების პროგრამები წარმოადგენს „სუსტი“ ბილინგვური განათლების პროგრამებს. წარმოდგენილ „ძლიერ“, ისევე, როგორც „სუსტ“ ბილინგვური განათლების პროგრამებში სკოლებს არ აქვთ მათ განსახორციელებლად შესაბამისი საკადრო რესურსი,

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



ჩამოყალიბებული მიზანი და ხედვა და „მშობელთა“ და „თემის“ ჩართულობა მცირეა ამ პროცესში, ხოლო პროგრამები არ არის ორიენტირებული ეფექტურობის განმსაზღვრელი ამ ფაქტორების უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, წარმოდგენილი ბილინგვური განათლების პროგრამები ვერ უზრუნველყოფს ბილინგვური განათლების პროგრამების მიზნების მიღწევას. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების მიერ ბილინგვური განათლების პროგრამების დაგეგმვისას ამოსავალი იყო მხოლოდ არსებული სიტუაცია და საკადრო რესურსი და პროგრამები არ ითვალისწინებს ბილინგვური განათლების სასურველ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.

ბილინგვური განათლების ტიპოლოგია

ბილინგვური განათლების პროგრამები დაყოფილია „სუსტ“ და „ძლიერ“ ბილინგვური განათლების პროგრამებად. ბილინგვური განათლების პროგრამის ეფექტურობაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას. მიუხედავად ამისა, ამ სხვადასხვა ფაქტორების კონტროლის შედეგად დადგენილია „ძლიერი“ ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობა, როგორც ენის ათვისების, აგრეთვე სხვადასხვა საგნისა და კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით (ბეიკერი, 2006). ბილინგვური განათლების ტიპოლოგია ნათელ სურათს იძლევა მისი მრავალმხრივობის შესახებ. სკუტნაბ-კანჯასმა გამოყო ბილინგვური განათლების 10 ტიპი, რომლებიც გავრცელებულია მსოფლიოში:

ბილინგვური მოსწავლეთა მონოლინგვური განათლების ფორმები				
პროგრამის ტიპი	მოსწავლე	სწავლების ენა	სოციალური და საგანმანათლებლო მიზანი	ენობრივი მიზანი
სუბმერსია (სტრუქტურირებული იმერსია)	ლინგვისტური უმცირესობა	უმრავლესობის ენა	ასიმილაცია / შემამცირებელი კონტექსტი	მონოლინგვიზმი
სუბმერსია საკომპენსაციო გაკვეთილებთან ერთად	ლინგვისტური უმცირესობა	უმრავლესობის ენა მეორე ენის გაკვეთილებით	ასიმილაცია / შემამცირებელი კონტექსტი	მონოლინგვიზმი
სეგრეგაციული	ლინგვისტური უმცირესობა	უმცირესობის ენა (ძალდატანებით არჩევანის გარეშე)	აპარტიდი	მონოლინგვიზმი
ბილინგვური მოსწავლეთა სუსტი ბილინგვური განათლების ფორმები				
პროგრამის ტიპი	მოსწავლე	სწავლების ენა	სოციალური და საგანმანათლებლო მიზანი	ენობრივი მიზანი
ტრანზიტული	ლინგვისტური უმცირესობა	უმცირესობის ენიდან ხდება უმრავლესობის ენაზე გადასვლა	ასიმილაცია / შემამცირებელი კონტექსტი	შედარებითი მონოლინგვიზმი
ძირითადი / უცხო ენის სწავლებით	ლინგვისტური უმრავლესობა	უმრავლესობის ენა, ისწავლება მეორე ან უცხო	შეზღუდული კონტექსტი	შეზღუდული ბილინგვიზმი

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



		ენა		
სეპარატისტული	ლინგვისტური უმცირესობა	უმცირესობის ენა (არჩევანის გარეშე)	ავტონომია	შეზღუდული ბილინგვიზმი
ბილინგვალური მოსწავლეთა კლიერი ბილინგვური განათლების ფორმები				
პროგრამის ტიპი	მოსწავლე	სწავლების ენა	სოციალური და საგანმანათლებლო მიზანი	ენობრივი მიზანი
იმერსია	ლინგვისტური უმრავლესობა	ორ ენაზე სწავლება, მეორე ენაზე სწავლების განსაკუთრებული აქცენტით საწყის ეტაპზე	პლურალიზმი, გამამდიდრებელი და შემმატებელი კონტექსტი	ბილინგვიზმი და ორმაგი წიგნიერება
უმცირესობათა ენის შენარჩუნების პროგრამა	ლინგვისტური უმცირესობა	ორ ენაზე, მშობლიურ ენაზე სწავლების აქცენტით საწყის ეტაპზე	ენის შენარჩუნება, პლურალიზმი, გამამდიდრებელი და შემმატებელი კონტექსტი	ბილინგვიზმი და ორმაგი წიგნიერება
დუალური ბილინგვური განათლება	შერეული კლასი / ლინგვისტური უმრავლესობა და ლინგვისტური უმცირესობა	უმცირესობის და უმრავლესობის ენა	ენის შენარჩუნება, პლურალიზმი, გამამდიდრებელი და შემმატებელი კონტექსტი	ბილინგვიზმი და ორმაგი წიგნიერება
უმრავლესობის ენებზე ბილინგვური პროგრამა	ლინგვისტური უმრავლესობა	უმრავლესობის ორი ენა, პლურალიზმი	ენის შენარჩუნება და ორმაგი წიგნიერება, გამამდიდრებელი და შემმატებელი კონტექსტი	ბილინგვიზმი

ბეიკერი, ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები, მეოთხე გამოცემა, 2010, გვ. 219

სუბმერსია

სუბმერსიის დროს უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე ენის ცოდნის გარეშე ხვდება კლასში, სადაც სწავლება სხვა ენაზე მიმდინარეობს ან კლასში ყველა ბავშვი უმცირესობას მიეკუთვნება, ხოლო სწავლება უმრავლესობის ენაზე მიმდინარეობს.

სუბმერსია კომპენსაციის გაკვეთილებთან ერთად

სუბმერსიის სახეობაა, რომელშიც უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებს ყოველდღიურად უტარდებათ უმრავლესობის ენის გაკვეთილები და/ან ორგანიზებული აქვთ სპეციალური გაკვეთილები, რომელთა სწავლების საგნის შინაარსს მეორედ მოუთხრობენ მარტივი ენით. ეს მოდელი საჭიროა, რათა უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვები არ ჩამორჩნენ პროგრამას და უმრავლესობის წარმომადგენელ ბავშვებს გაუთანაბრდნენ ენის ცოდნაში.

სებრეპაციული



სახელმწიფო პოლიტიკაა, რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში სწავლებას მხოლოდ უმცირესობის ენაზე. ოფიციალური ენის ცოდნის უკმარისობის გამო ასეთ სკოლების კურსდამთავრებულებს არ აქვთ შესაძლებლობა არც სწავლის გაგრძელებისა და არც კონკურენტუნარიანები არიან სამუშაო ბაზარზე. სეგრეგაციული მოდელის დროს არ არსებობს არჩევანის საშუალება, ანუ უმცირესობის მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება შეისწავლონ უმრავლესობის ენა ან ისწავლონ სეგრეგაციულიდან განსხვავებული პროგრამის სკოლაში. ეს მოდელი წარმოადგენს სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას, როდესაც სურთ, უმცირესობათა წარმომადგენლები ჰყავდეთ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში და განათლების გზით არ მოხდეს მათი სოციალური მობილობა.

გარდამავალი ბილინგვური განათლება

უმცირესობის ენა უმრავლესობის ენის პარალელურად გამოიყენება, როგორც სწავლების ენა. უმრავლესობის ენით დატვირთვა თანდათანობით იმატებს. ასეთი მოდელი ბავშვებს რეალური ცხოვრებისთვის ამზადებს, რომელშიც, ძირითადად, უმრავლესობის ენის გამოყენება მოუწევთ. ამავე დროს, უმცირესობის ენის ათვისების და გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

გამოყოფენ ტრანზიტული ბილინგვური განათლების ორ ტიპს: ადრეული და გვიანი გასვლის (რამირესი და მერინო, 1990 ნანახია ბეკერი, 2006). ადრეული გასვლის გარდამავალი ბილინგვური განათლების პროგრამა გულისხმობს, რომ მშობლიური ენის სწავლების ენად გამოიყენება ხდება მხოლოდ 2 სასწავლო წლის განმავლობაში. გვიანი გასვლის გარდამავალი ბილინგვური განათლების პროგრამა კი გულისხმობს, რომ მეექვსე კლასამდე საგნების 40% ისწავლება მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე (ბეიკერი, 2006).

ამ მოდელის მიზანია მეორე ენის ცოდნის ათვისების გაზრდა, სხვა საგნების ათვისების პროცესის გაზრდის გარეშე.

ძირითადი/ უცხო ენის სწავლებით

აღნიშნულ პროგრამაში მოსწავლეები არიან უმრავლესობის წარმომადგენლები და ამ სკოლებში სწავლების ენა მათი მშობლიური ანუ უმრავლესობის ენაა. ამ სკოლებში ისწავლება მხოლოდ ერთი უცხო ენა, როგორც საგანი, სხვა საგნების მსგავსად. ეს მიდგომა აბსოლუტურად განსხვავდება მიდგომისგან, როცა საგანი ისწავლება ამა თუ იმ ენის საშუალებით.

სეპარატისტული

ამ მოდელის მიზანი, ისევე, როგორც სეგრეგაციულ ბილინგვურ განათლებაში, მონოლინგვიზმი და მონოკულტურულობაა. ამ ორ მოდელს გამოარჩევს ის, რომ სეპარატისტული ბილინგვური განათლება სახელმწიფო პოლიტიკა კი არ არის, არამედ თვით უმცირესობის არჩევანია. ამ ტიპის განათლება გეხვედება, როცა უმცირესობები ირჩევენ მხოლოდ საკუთარ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას და მონოლინგვიზმსა და მონოკულტურულობას. შემეპორნმა (1970) ამას უწოდა „სეპარატული“ განათლება, როცა უმცირესობები ცდილობენ უმრავლესობისგან დისტანცირებას და ხაზს უსვამენ თავიანთ დამოუკიდებელ არსებობას. სეპარატული განათლების მიზანი შეიძლება იყოს საკუთარი ენის უმრავლესობის ენის გაველენისგან დაცვა, პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული ავტონომია და ა.შ.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



იმერსია

ეს პროგრამა კანადაში განავითარეს, სადაც ორი სახელმწიფო ენაა. იქ შეიქმნა განათლების მოდელი, რომელშიც მხოლოდ ინგლისურად მოლაპარაკე ოჯახებიდან ბავშვებს ერთადერთი ან დომინანტი სწავლების ენა ფრანგული ჰქონდათ, ინგლისური ენა მხოლოდ შემდგომში ემატებოდათ.

იმერსია ტერმინია, რომელიც რამდენიმე განსხვავებულ პროგრამას მოიცავს. აქედან ყველაზე პოპულარულია ადრეული ტოტალური იმერსია. ამ მოდელის განათლების პროგრამით მოწაფეების სწავლება პირველი ორი წლის განმავლობაში ენის, კითხვის და სხვა დანარჩენი საგნების სწავლება მეორე ენაზე მიმდინარეობს. ბავშვის მშობლიური ენის სწავლება მხოლოდ მესამე წლიდან იწყება. ყოველწლიურად მშობლიური ენის სწავლების მოცულობა სულ უფრო იზრდება, ბოლო კლასებში საგნების უმეტესი ნაწილის სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო მეორე ენაზე მხოლოდ რამდენიმე საგანი ისწავლება.

ბილინგვური განათლება უმცირესობის ენის შესანარჩუნებლად

ასეთი ტიპის სკოლების უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები უმცირესობის ენას, როგორც სასწავლო ენას, იყენებენ, მაგრამ საბოლოო მიზანია უმრავლესობისა და უმცირესობის ენებში სრული ბილინგვიზმი. უმრავლესობის ენა სწავლების საგანია, ზოგიერთ შემთხვევაში მასზე მიმდინარეობს სხვა საგნების სწავლებაც. ამ მეთოდმა რომ შედეგი გამოიღოს, საჭიროა უმრავლესობის ენის მატარებელთა საკმაოდ ძლიერი გარემოცვა.

ღუაღური (ორენოვანი) ბილინგვური განათლება

პროგრამა შეიქმნა, რათა უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებს ერთ სკოლაში შეეძლოთ სწავლა. მოდელის მიზანია, სკოლის ბავშვების ორივე ჯგუფს საკმარისად კარგ დონაზე შეასწავლონ ორი ენა, ასევე, ერთმანეთის და მეორე ხალხის კულტურის მიმართ პატივისცემა აღიზარდოს მათში. მოსწავლეები ენასა და სხვა ერის კულტურისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას ითვისებენ არა მხოლოდ სწავლის პროცესში, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობის დროსაც.

სასწავლო პროცესში ორივე ენა გამოიყენება. მათ სისტემატიზების გარეშე იყენებენ: მაგალითად, ერთ დღეს რომელიმე საგანს ერთ ენაზე ასწავლიან, ხოლო სხვა დღეს - მეორე ენაზე. ასევე, ორივე ენა ისწავლება, როგორც სასწავლო საგანი. სკოლის თანამშრომლებიც ორენოვანნი უნდა იყვნენ. კოლინ ბეიკერი გამოყოფს ბილინგვური განათლების შემმატებელ და შემამცირებელ კონტექსტს. შემამცირებელია კონტექსტი, როცა მეორე ენის ათვისება ხდება მშობლიური ენის დაკარგვის ხარჯზე, ბილინგვური განათლების შემმატებელი კონტექსტია, როცა მშობლიურ ენასთან ერთად ისწავლება მეორე ენა. აღიარებულია, რომ ბილინგვური განათლების ძლიერი ფორმები უფრო ეფექტურია, რადგან ადგილი აქვს შემმატებელ კონტექსტს, რაც პოზიტიურად აისახება როგორც ენათა ათვისების, ასევე მოსწავლის კოგნიტური, სოციალური და ემოციური განვითარების პროცესზე.

უმრავლესობის ენებზე ბილინგვური პროგრამა



უმრავლესობის ენებზე ბილინგვური განათლება გულისხმობს უმრავლესობის ორ ან მეტი ენის გამოყენებას სწავლების პროცესში. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულნი არიან უმრავლესობის წარმომადგენელი მოსწავლეები. ამ სკოლების მიზანი ბილინგვიზმი ან მულტილინგვიზმია, ორმაგი წიგნიერება და კულტურული პლურალიზმია (მეხია, 2002). მსგავსი ტიპის სკოლები ისეთ საზოგადოებებში გავრცელებული, რომლებიც უკვე ბილინგვალნი ან მულტილინგვალნი (სინგაპური, ლუქსემბურგი).

ბილინგვური განათლების რეფორმა საქართველოში

2010 წლის 20 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა მულტილინგვური განათლების პროგრამების დებულება. საქართველოსთვის მულტილინგვური განათლების პროგრამების დამტკიცება და ფორმულირება არ ყოფილა ერთდღიანი მოვლენა, არამედ გახლდათ 6-8 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შედეგი.

სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მსგავსად, პროცესი დაიწყო რამდენიმე მიდგომის შემუშავებით, რომლებიც სახელმწიფო ენის ათვისებისაკენ იყო მიმართული, ასევე, განხორციელდა მასალების შემუშავება და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება (გრიგულე, 2010). ეს პროცესები გაგრძელდა ენობრივი მდგომარეობის გაანალიზებით, ასევე უმცირესობათა განათლების სხვადასხვა მოდელის პილოტირებითა და ენობრივი პოლიტიკის ფორმულირებით.

ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა მულტილინგვური განათლების განსხვავებული ტიპების გამოცდა, პილოტირება და საქართველოს მდგომარეობისათვის მორგება. მულტილინგვური განათლების პროგრამა (განხორციელდა შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია „CIMERA“-ს მიერ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით), რომელიც მიმდინარეობდა ორი სასწავლო წლის განმავლობაში (2006-2008) ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 12 სკოლაში (გრიგულე, 2010). ამასთანავე, 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეუთოს მხარდაჭერით შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა (2009-2014) „ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების საშუალებით“. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2009 წლის 31 მარტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა „მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა“.

აღნიშნული ღონისძიებების ერთობლიობამ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მისცა საფუძველი, რათა დაეწყო ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელება. არაქართულენოვან სკოლებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებული შემდეგი პროგრამებიდან შეეძლოთ არჩევანის გაკეთება არაქართულენოვან სკოლებს:

მშობლიური ენის მხარდაჭერის მულტილინგვური განათლების პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე, მშობლიური ენა ისწავლება, როგორც საგანი მაქსიმალური საათობრივი დატვირთვით.

ტრანზიტული/გარდამავალი მულტილინგვური განათლების პროგრამა - სწავლება მიმდინარეობს როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენაზე, თუმცა სახელმწიფო ენაზე სასწავლო საგნების შესწავლა თანდათანობით მატულობს და ეტაპობრივად ხდება სახელმწიფო ენაზე გადასვლა. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს სკუტნაბ-კანჯასის მიერ განსაზღვრული პროგრამის – ტრანზიტული ბილინგვური განათლების პროგრამის ზუსტ ანალოგს, რომელიც “სუსტ” პროგრამებს განეკუთვნება.

განმავითარებელი მულტილინგვური განათლების პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს



თანაბრად, როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენაზე (მაგ: 50/50%) და მიიღწევა თანაბრად მაღალი ენობრივი კომპეტენცია, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე მშობლიურ ენაში; აღნიშნული პროგრამაც წარმოადგენს სკუტნაბ-კანჯასის მიერ განსაზღვრულ პროგრამის – განმავითარებელი ბილინგვური განათლების პროგრამის ზუსტ ანალოგს, რომელიც “ძლიერი” პროგრამებს განეკუთვნება

სახელმწიფო ენის მხარდაჭერის მულტილინგვური განათლების პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს უმცირესობათა მშობლიური ენაზე, სახელმწიფო ენა ისწავლება, როგორც საგანი, გაძლიერებულად, მაქსიმალური საათობრივი დატვირთვით. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ბილინგვური განათლების ტიპოლოგიაში უმცირესობათა ენის შენარჩუნების “ძლიერ” ბილინგვური განათლების პროგრამის ანალოგს, თუმცა საქართველოს კონტექსტში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტური განსახლების რეგიონებში, ამ პროგრამის ეფექტი საეჭვოა, რაზეც ქვემო გვექნება მსჯელობა

ორმაგი ენობრივი იმერსიის მულტილინგვური განათლების პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს თანაბრად როგორც სახელმწიფო, აგრეთვე არასახელმწიფო ენაზე. მოსწავლეთა კონტინგენტი თანაბრადაა გადანაწილებული და მოიცავს როგორც ქართულენოვან, აგრეთვე არაქართულენოვან მოსწავლეებს. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს დუალური ბილინგვური განათლების “ძლიერი” პროგრამის ზუსტ ანალოგს

შერეული მულტილინგვური განათლების პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა და საგანთა ჯგუფების სწავლება მიმდინარეობს არასახელმწიფო და არამშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენა ისწავლება, როგორც საგანი, გაძლიერებულად მაქსიმალური საათობრივი დატვირთვით, ეტაპობრივად ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების ან საგანთა ჯგუფების სახელმწიფო ენაზეც ან სახელმწიფო და მშობლიურ ენებზეც სწავლებაზე. აღნიშნული პროგრამა სპეციფიკურია საქართველოსთვის და ძირითადად, გულისხმობს რუსულენოვანი სკოლების ბილინგვურ/მულტილინგვურ სკოლებად ტრანსფორმაციის მოდელს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სკოლებს უფლება აქვთ, დამოუკიდებლად შეიმუშაონ ბილინგვური განათლების პროგრამა, რომელიც, შესაძლებელია, ასახული არ არის დებულებაში, თუმცა ეს პროგრამა ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სავალდებულოდ დამტკიცებას.

2010 წლის 15 დეკემბერს ცვლილებები შევიდა კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებებით, უკვე კანონშივე აისახა და მეორე მუხლს დაემატა ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, მულტილინგვური განათლება არის „... განათლება, რომლის მიზანია სხვადასხვა ენაში მოსწავლეების ენობრივ კომპეტენციათა განვითარება-გადრმავება. იგი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში იმგვარი სწავლების ორგანიზებას, რომელიც გაზრდის აღნიშნული ენების შესწავლისა და გამოყენების ქმედითობას“ (ზოგადი განათლების შესახებ კანონი, 2005). იმავე ცვლილებების შესაბამისად, მულტილინგვური განათლების პროგრამების „მულტილინგვური განათლების განვითარება და მისი დანერგვის ხელშეწყობა“ შევიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფუნქციებში. ამავე ცვლილებების შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმების საგანთა და საგნობრივი ჯგუფების ჩამონათვალი შეიცვალა, მათ შორის საგნებს – ქართული ენა და ლიტერატურა და აფხაზური ენა და ლიტერატურა და ეწოდა „სახელმწიფო ენა“. ამავე ცვლილებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა 2005 წელს გაცხადებული პოლიტიკა, რომ არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება განხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით უფრო აქტიური გახდა, მიიღო უფრო გლობალური და ფართომასშტაბიანი სახე და ჩამოყალიბდა პროგრამის “ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის” სახით. აღნიშნული პროგრამის მიზანია ისეთი დონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს



შეუწევოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იქნება ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: (ა) ქართული ენის სახლების რაოდენობის და ეფექტურობის ზრდა; (ბ) მასწავლებელთა ტრენინგები; (გ) მულტილინგვური სწავლება ყველა არაქართულენოვან სკოლაში; (დ) ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო მასალების შექმნა; (ე) საზაფხულო ბანაკების ორგანიზება; (ვ) ბილინგვური სკოლამდელი განათლების ცენტრების გახსნა და ფუნქციონირება; (ზ) მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება; (თ) სკოლების დამძობილების პროგრამის, კონკურსების და სხვა ღონისძიებების განხორციელება; (ი) პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში; (კ) დოქტორანტების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში სწავლებისა და კვლევის მიზნით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროგრამა ყველაზე ფართომასშტაბიანი და ბილინგვური განათლება მისი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია და იგი განიხილება სახელმწიფო ენის სწავლების ჭრილში.

ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის ბანმსაზღვრელი ფაქტორები

კოლინ ბეიკერი თავის სახელმძღვანელოში „ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები“ გამოყოფს ოთხ სხვადასხვა მიმართებას ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განსაზღვრელად (ბეიკერი, 2010). ბეიკერის აზრით, ბილინგვური განათლების ეფექტურობის განხილვა შესაძლებელია, მოხდეს ინდივიდუალური მოსწავლეს დონეზე, რადგან ერთსა და იმავე კლასში ბილინგვური განათლების პროგრამას შეიძლება სხვადასხვა ეფექტი ჰქონდეს სხვადასხვა მოსწავლეზე. ბეიკერის მიხედვით, ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობა შეიძლება განვიხილოთ მთლიანი კლასის თვალსაზრისით. ანუ, ერთსა და იმავე სკოლაში ანალოგიური ბილინგვური განათლების პროგრამის ეფექტურობა განსხვავებული შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა კლასისთვის. მესამე მიმართება, რომელსაც გამოყოფს ბეიკერი, გახლავთ ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განხილვა სკოლის დონეზე. შესაძლებელია, სხვადასხვა სკოლას განსხვავებული შედეგები ჰქონდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ახორციელებენ ერთსა და იმავე ბილინგვური განათლების პროგრამას და, ამასთანავე, მათი მოსწავლეთა მახასიათებლებიც ერთნაირია. ბეიკერის მიერ გამოყოფილი მეოთხე მიმართება გულისხმობს, რომ ბილინგვური განათლების პროგრამის ტიპი განსაზღვრავს ბილინგვური განათლების ეფექტურობას.

ბილინგვური განათლების ეფექტურობას განაპირობებს ბილინგვური განათლების პროგრამის ტიპი. ბილინგვური განათლების „სუსტი“ და „ძლიერი“ პროგრამები. მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის განხილვისას მნიშვნელოვანია, რა ტიპის პროგრამით სწავლობს მოსწავლე სკოლაში. პროგრამები, რომელთა მიზანიცაა მშობლიური ენის უგულებელყოფა, განაპირობებენ უმცირესობათა მოსწავლეების აკადემიურ წარუმატებლობას (კუმინსი, 2000ა). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ „ძლიერი“ ან „სუსტი“ პროგრამების არჩევანი არ გახლავთ თავისთავად პროგრამის ეფექტურობის გარანტია. ნებისმიერი პროგრამა შეიძლება იყოს ეფექტური ან პირიქით – არაეფექტური, რადგან ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც გასათვალისწინებელი. „ძლიერი“ ბილინგვური განათლების პროგრამების პირობებშიც კი შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორებია აუცილებელი ბილინგვური პროგრამების



ეფექტურობისთვის: (1) საკადრო რესურსი; (ბ) თანამშრომლებს შორის გაზიარებული ხედვა, სკოლის მისია და მიზნები; (გ) მშობელთა და თემის ჩართულობის ხარისხი.

საკადრო რესურსი: კვალიფიციური კადრები არის ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორი (ვარგჰესე, 2004). საკადრო რესურსის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, როგორც სკოლის ადმინისტრაციის მომზადებულობის ხარისხი, აგრეთვე მაღალპროფესიონალი პედაგოგები. ბილინგვური განათლების პროგრამის ეფექტურობისას ხელმძღვანელის უნარების ანალიზს თუ მიმოვიხილავთ 3 მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გამოვყოთ: (ა) სკოლის ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ სასწავლო მიდგომები, სტრატეგიები. ისინი უნდა იყვნენ ამ მიმართულებით საკუთარ მასწავლებლებზე უკეთესად მომზადებულნი და უნდა შეეძლოთ ამ ცოდნის მასწავლებლებისთვის მიწოდება (შაუ, 2003). (ბ) ამასთანავე, სკოლის ხელმძღვანელებს უნდა გააჩნდეთ ლიდერის ყველა თვისება. მათ უნდა შეძლონ, ზუსტად ჩამოაყალიბონ და განსაზღვრონ ბილინგვური სწავლების რა პროგრამას და მოდელს აირჩიეს სკოლა, ჩამოაყალიბოს სკოლის მისია და შეიმუშაოს მისი განხორციელების სტრატეგიული გეგმა სკოლის სამეურვეო საბჭოსთან ერთად. (გ) უნდა ჰქონდეთ მართვისა და ადმინისტრირების უნარები. სკოლის ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ, ერთი მხრივ, თავიანთი თანამშრომლების წახალისება, მოტივირება, აღტაცება და აღფრთოვანება და, მეორე მხრივ, უნდა შეეძლოთ მოიძიონ სახსრები, მობილიზება გაუწიონ ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს (მონტეცელი და კორტეზი, 2002). საკადრო რესურსის მეორე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კომპონენტია კვალიფიციური მასწავლებლების არსებობა. შესაბამისად, მასწავლებელთა ტრენინგსა და პროფესიულ განვითარებას უდიდესი როლი ენიჭება. დაბალი კვალიფიციაციის მასწავლებელი ბილინგვური განათლების სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ბილინგვური პროგრამების პედაგოგებმა უნდა იცოდნენ სწავლების სათანადო სტრატეგიები, გააჩნდეთ სასწავლო რესურსი, პოზიტიური დამოკიდებულებები ჰქონდეთ უმცირესობათა მოსწავლეებისადმი (ბენსონი, 2004). როგორც ბენსონი აღნიშნავს, ბილინგვური პროგრამის მასწავლებელი უნდა იყოს „პედაგოგი, ლინგვისტი, შემოქმედი, ინოვაციური აზროვნების მქონე, მაღალი ინტერკულტურული მგრძობელობის მქონე და, ამასთანავე, პოზიტიური დამოკიდებულებები უნდა ჰქონდეს ბილინგვური განათლების პროგრამების მიმართ“ – ბენსონი, 2004, გვ. 207-8). ბილინგვური პროგრამის მასწავლებელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული კლასგარეშე აქტივობებში, მოსწავლეთა მშობლებთან და თემთან ურთიერთობებში, ამასთანავე სასურველია ბილინგვური პროგრამის მასწავლებელი იყოს ბილინგვალი, ანუ მაგალითს წარმოადგენდეს მოსწავლეთათვის.

თანამშრომლებს შორის გაზიარებული ხედვა, მისია და მიზნები: ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ჩამოყალიბებული ჰქონდეს სკოლის მისია ბილინგვურ განათლებასთან მიმართებით და ამ მისიის განსახორციელებელი სტრატეგიული გეგმა. ბილინგვური განათლების პროგრამის ეფექტურობისთვის გადამწყვეტია სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ყველა პერსონალი იზიარებდეს სკოლის მისიას და ჰქონდეს პოზიტიური დამოკიდებულებები ბილინგვური განათლების პროგრამებისადმი.

„მშობელთა ჩართულობა“ მნიშვნელოვანი კომპონენტია ეთნიკური უმცირესობების განათლებასთან დაკავშირებული პროგრამების წარმატებისათვის (პერნა და სვეილი, 2000). მშობლებს, ერთის მხრივ ძალიან დიდი გავლენა გააჩნიათ ბილინგვური განათლების პოლიტიკისადმი პოზიტიური ან ნეგატიური კლიმატის შესაქმნელად და შეუძლიათ უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა მზობა მულტილინგვური სწავლების პროცესისადმი (ტაბატაძე, 2008). შესაბამისად, მშობლები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ მულტილინგვური / ბილინგვური განათლების პროგრამების განსახორციელებლად. ბილინგვური განათლების პროგრამაში ჩართული მშობელი მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, რადგან ვერანაირი ხარისხის მართვისა და ინსპექტირების მექანიზმი ვერ იმუშავებს იმაზე ეფექტურად, როგორც ეს შეუძლია ბილინგვური პროგრამების ეფექტურობით დაინტერესებულ მშობელს. მეორე მხრივ, მშობლების განათლება და ჩართულობა



სოციალური ღირებულებაა, რომელიც მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისათვის არა მარტო განათლების სფეროში, არამედ მომავალში წარმატებისათვის (კერნა და ტიტუსი, 2005). ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც მშობელთა ჩართულობა მაღალია, იძლევა იმის პირობას, რომ იმ მოსწავლეთა დაბალი მოსწრების პრობლემა, რომლებიც სახელმწიფო ენის არასაკმარისი ფლობით არის გამოწვეული, წარმატებით გადაიჭრება (ტაბატაძე, 2008).

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო საქართველოში ბილინგვური განათლების პროგრამების განსახორციელებლად არაქართულენოვანი სკოლების მზაობის შეფასება. ანუ, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა არსებული ბილინგვური განათლების პროგრამები, სკოლების საკადრო რესურსი, გაზიარებული ხედვა, მშობელთა და თემის ჩართულობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო შეგვეფასებინა, თუ რამდენად არიან მზად სკოლები, განახორციელონ ბილინგვური განათლების ისეთი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში ბილინგვიზმის განვითარებას, მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ჯანსაღი დამოკიდებულებებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის საჭირო უნარების განვითარებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევის კონკრეტული საკითხები იქნა შესწავლილი:

1. ბილინგვური განათლების როგორი ტიპის პროგრამებს სთავაზობენ მოსწავლეებს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში საჯარო სკოლები;
2. რა საკადრო რესურსი გააჩნიათ ბილინგვური განათლების პროგრამების განახორციელებელ საპილოტე სკოლებს;
3. რამდენად აქვთ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა, მიზანი და მისია, რომელიც გაზიარებულია სკოლის მიერ;
4. რამდენად არის ჩართული ბილინგვური განათლების პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ადგილობრივი თემი და მშობლები.

კვლევის დიზაინი

აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა შერეული მოდელის კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს კვლევისას, ერთი და იმავე ეტაპზე, როგორც რაოდენობრივი აგრეთვე თვისებრივი კვლევის ერთდროულად გამოყენებას. კერძოდ, მონაცემები შეგროვდა კვლევის ორი მეთოდის გამოყენებით (ა) კითხვარებით გამოკითხვა; (ბ) ბილინგვური პროგრამების შინაარსის მოძიება და შესწავლა. კვლევის ფარგლებშიც კითხვარების მეშვეობით გამოკითხა არაქართულენოვანი 155 სკოლის დირექტორი და 366 მასწავლებელი, აგრეთვე შესწავლილი იყო ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 26 საპილოტე სკოლის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ბილინგვური განათლების პროგრამების აპლიკაციები. კითხვარების მეშვეობით გამოკითხვის მიზანი იყო არაქართულენოვანი სკოლის მზაობის დადგენა ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. საპილოტე სკოლების პროგრამების ანალიზის მიზანი იყო გარკვეულიყო ბილინგვური განათლების „ძლიერი“ თუ „სუსტი“ პროგრამების განხორციელებას გეგმავენ და მათი მზაობა ამ პროგრამების ეფექტურად განსახორციელებლად.

კვლევაში მონაწილე სკოლის დირექტორების შერჩევა არ მომხდარა კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში დაიგეგმა, რომ კვლევაში მონაწილეობა მიეღო ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის, ახალციხის, მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონების არაქართულენოვანი სკოლის დირექტორებს. კვლევის პერიოდისთვის არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეადგენდა 216 სკოლას (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2011). საკვლევ რაიონებში კი



არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა შეადგენდა 189 სკოლას. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში 189-ვე არაქართულენოვანი სკოლის დირექტორთან მოხდა შეხვედრა კითხვარის შედგენის მიზნით ან გაიგზავნა კითხვარი შესავსებად. არსებული 189 სკოლის დირექტორიდან კვლევაში მონაწილეობაზე დათანხმდა და კითხვარი შეავსო 155-მა სკოლის დირექტორმა. ანუ კვლევაში მონაწილეობა მიიღო დირექტორების 82,01 %, კვლევაში მონაწილე დირექტორთა აღნიშნული რაოდენობა შესაძლებლობას იძლევა კვლევის შედეგების განზოგადებისთვის და კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ისეთი ფორმატით არის დაგეგმილი, რომ მისი შედეგები ვალიდური და სანდოა.

კვლევის განმავლობაში, კითხვარების მეშვეობით გამოიკითხა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2008 წლის მონაცემებით შეადგენდა 6541 მასწავლებელს. საკვლევ რაიონებში კი მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენდა 5400 მასწავლებელს (ტაბატაძე, 2008). შესაბამისად, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა შერჩევის მეთოდოლოგია შექმნილიყო. მკვლევარმა აირჩია კვლევაში მონაწილე მასწავლებლების შერჩევის სტრატეგიული მიდგომა. სტრატეგია შემდეგი კრიტერიუმებით განხორციელდა: (ა) გამოკითხვა ჩატარდა არაქართულენოვანი სკოლების კონცენტრაციის რაიონებში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, შემდეგ რაიონებში: ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წაღკა, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი; (ბ) გამოკითხვაში მონაწილეობდა აღნიშნული რაიონების ქალაქების ყველა არაქართულენოვანი სკოლა; (გ) გამოკითხვაში მონაწილეობდა სოფლის სკოლების რაიონში არსებული სოფლის საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 20 %; (დ) გამოკითხვაში მონაწილეობდნენ თითო სკოლიდან, სულ მცირე, ერთი, შემდეგი საგნების ან საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლები: (1) დაწყებითი; (2) მათემატიკის; (3) საბუნებისმეტყველო საგნების; (4), საზოგადოებრივი მეცნიერებების; (5) სპორტისა და ფიზიკური აღზრდის, შრომითი სწავლების და ესთეტიკური საგნების ; (6) უცხო ენის. რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე მშობლიური ენისა და ლიტერატურისა და სხვა არჩევითი ან ფაკულტატიური საგნების მასწავლებლებს, მათი მონაწილეობა მკვეთრად სტრატეგიცირებული არ იყო და ეფუძნებოდა მოსახერხებლობის პრინციპს, ანუ, თუ არ იქნებოდა დაკავებული – ისინიც ავსებდნენ კითხვარებს; (ე) სოფლის სკოლები შეირჩა შემთხვევით შერჩევის პრინციპით. სოფლის სკოლების ჩამონათვალიდან, რაიონების მიხედვით – ყოველი მეხუთე სკოლა.

სულ გამოიკითხა 366 მასწავლებელი. მასწავლებელთა გამოკითხვის მიზანი იყო მასწავლებელთა და მშობელთა დამოკიდებულებებისა და ჩართულობის განსაზღვრა მულტილინგუური განათლების პროგრამისადმი. გამოკითხულ მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს ამ სკოლებში მასწავლებელთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 7 %-ს, ამასთანავე, გამოკითხვაში მონაწილეობდა კომპაქტური განსახლების რეგიონების ყველა რაიონი, გამოკითხვაში მონაწილეობდა ყველა რაიონის ქალაქისა და სოფლის სკოლა, ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი და როგორც დაწყებითი, აგრეთვე საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლები. სკოლებიდან, როგორც ითქვა, შეირჩა ქალაქის ყველა სკოლა, ხოლო სოფლები – შემთხვევითი შერჩევითი პრინციპით, ანუ ყოველ რაიონში – ყოველი მე-5 სკოლა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 56 სკოლის მასწავლებელმა, რაც ამ რაიონებში არსებული არაქართულენოვანი სკოლების საერთო რაოდენობის 30%-ს შეადგენს. ყველა ზემოთხამოთვლილი ფაქტორიდან, აგრეთვე გამოკითხულ მასწავლებელთა პროცენტული მიმართებიდან გამომდინარე, მასწავლებელთა საერთო რაოდენობასთან გამოკითხვა რეპრეზენტატიული გახლდათ.



კვლევის ღირებულება

ზემოთ განხილული ბილინგვური პროგრამების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების გარდა მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც, რომლებიც აგრეთვე განაპირობებენ ბილინგვური განათლების წარმატებულობას. მაგალითად, მოსწავლეთა ოჯახების სოციალური სტატუსი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სწავლების ენების სტატუსი და პრესტიჟი საზოგადოებაში და სხვ. აგრეთვე წარმოადგენენ ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორებს. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთხამოთვლილი ფაქტორის კონტროლი კვლევის ფარგლებში შეუძლებელია. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში არ ყოფილა შესწავლილი მოსწავლეთა ოჯახების სოციალური სტატუსი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სწავლების ენების სტატუსი და პრესტიჟი საზოგადოებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია, რომ სკოლამ ბილინგვური პროგრამების ეფექტურობისთვის აირჩიოს ბილინგვური განათლების “ძლიერი” პროგრამა, ჰყავდეს შესაბამისი საკადრო რესურსი, გააჩნდეს კარგად ჩამოყალიბებული და გაზიარებული მიზნები და მისია და მაღალი იყოს ამ პროგრამის განხორციელებაში თემისა და მშობლების ჩართულობა, მაგრამ მარტო ეს ფაქტორები არ გახლავთ თავისთავად პროგრამების ეფექტურობის გარანტია, თუმცა არის პროგრამების ეფექტურობის აუცილებელი პირობა.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გახადა თვალსაჩინო; (ა) მულტილინგვური განათლების პროგრამების საპილოტე სკოლების უმრავლესობა „სუსტი“ ბილინგვური განათლების პროგრამებს ახორციელებს; (ბ) სკოლებს არ გააჩნიათ შესაბამისი საკადრო რესურსი, განახორციელონ ბილინგვური განათლების ეფექტური პროგრამები; (გ) სკოლების ადმინისტრაცია არ არის მომზადებული მულტილინგვური განათლების პროგრამების განსახორციელებლად; (დ) მულტილინგვური განათლების პროგრამების განხორციელება ძირითადად წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თავსმოსხვეულ პროგრამას და ის არ არის სკოლის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის ნაწილი; (ე) ბილინგვური განათლების პროგრამები არ წარმოადგენს გაზიარებულ ხედვას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; კერძოდ, ბილინგვური განათლებისადმი, როგორც სასკოლო პოლიტიკისადმი, გაზიარებული ხედვა არ არსებობს მშობლებსა და მასწავლებლებში; (ვ) მულტილინგვური განათლების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ისევე, როგორც ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში, მშობელთა ჩართულობა მინიმალურია.

მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ ჩამოთვლილ საკითხს.

ძირითადი საკითხების გარშემო დისკუსია

(ა) მულტილინგვური განათლების პროგრამების საპილოტე სკოლების უმრავლესობა „სუსტი“ ბილინგვური განათლების პროგრამებს ახორციელებს
საქართველოში საპილოტე თუ არაქართულენოვან სკოლებში დღევანდელი მდგომარეობით რამდენიმე მოდელი მუშაობს; კერძოდ, შესწავლილი პროგრამების



ანალიზმა, აგრეთვე ზოგადად არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ენის ანალიზმა ცხადყო საქართველოში შემდეგი პროგრამების არსებობა:

ბილინგუური განათლების პროგრამების ტიპოლოგია საქართველოში:

ერთენოვანი
<ul style="list-style-type: none">- სუბმერსია (ქართულენოვანი სკოლები);- ერთენოვანი (მშობლიური ენაზე სახელმწიფო ენის სწავლებით);- პრესტიჟულ-საემიგრაციო (რუსულენოვანი სკოლები სახელმწიფო ენის სწავლებით);
„სუსტი“ ბილინგუური განათლების პროგრამები
<ul style="list-style-type: none">- სახელმწიფო ენის მხარდაჭერის;- ტრანზიტული;- შერეული;
„ძლიერი“ ბილინგუური განათლების პროგრამები
<ul style="list-style-type: none">- დუალური ბილინგუური განათლების;- განმავითარებელი.

ერთენოვანი პროგრამების არაეფექტურობა თვალნათელია და დასტურდება არაერთი კვლევით. საქართველოს კონტექსტში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია სუბმერსიული პროგრამები, რომელთა რაოდენობა და მათში მოსწავლეთა კონტინგენტი თანდათან იზრდება განსაკუთრებით ქვემო ქართლის რეგიონში (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაცია <http://mes.gov.ge/content.php?id=2831&lang=geo>).

სუბმერსიული პროგრამები და მათი ეფექტი საქართველოში ემპირიულად შესწავლილი არ არის, თუმცა მსოფლიოს პრაქტიკა და ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ცალსახად ნეგატიურ შედეგებს იძლევა. სუბმერსია აღნიშნავს განათლებას, როდესაც არაქართულენოვანი მოსწავლეები შედიან ქართულ სკოლაში, ისე რომ საერთოდ ვერ ფლობენ ქართულ ენას. გვადალუპე ვალდესი (1998) კვლევებზე დაფუძნებით მიუთითებს, რომ სუბმერსიულ პროგრამებში მოსწავლეებს არ უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება, შეკითხვები დასმისა და თანამშრომლობის უნარი, არ ხდება კოგნიტური უნარების განვითარება, რადგან მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენცია შეზღუდულია და ამ ენაზე სწავლება ხელს უშლის მათ კოგნიტურ განვითარებასაც. ამ ტიპის პროგრამებში ძალიან ხშირია მოსწავლეთა მხრიდან სკოლის მიტოვების მაჩვენებელიც (ვალდესი, 1998, ნანახია ბეიკერი, 2006). სუბმერსიული პროგრამების არაეფექტურობაზე მიუთითებენ კარასქველო და როდრიგესი (2002). მსოფლიო პრაქტიკა სუბმერსიულ პროგრამებს რადიკალური ბილინგუური განათლების ფორმად მიიჩნევს. მნიშვნელოვანია ემპირიული კვლევის ჩატარება საქართველოს კონტექსტში, რათა შევისწავლოთ სუბმერსიული პროგრამების ეფექტურობა. ეს მიმართულება მნიშვნელოვანი იქნება ამ დარგში მომავალი კვლევების თვალსაზრისით.

მშობლიურ ენაზე არსებული პროგრამების არაეფექტურობაზე არავინ კამათობს. აღნიშნული პროგრამები ვერ უზრუნველყოფენ ისეთი კურსდამთავრებულის გამოშვებას, რომელიც ინტეგრირებული იქნება საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში (საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, 2006, ევროპის უმცირესობათა ცენტრი 2003-2010, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2002-2010). შესაბამისად სწორედ ამ სკოლების რეფორმირების საკითხმა დააყენა დღის წესრიგში ბილინგუური განათლების პროგრამების შემოტანის რეფორმის საკითხი, რათა გაუმჯობესებულიყო ამ სკოლებში განათლების ხარისხი და ამ სკოლის კურსდამთავრებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს ბილინგუური განათლების კიდევ ერთი მოდელი, რომელიც საქართველოსთვის არის დამახასიათებელი. კერძოდ, საქართველოში, ფუნქციონირებს 14 რუსულენოვანი სკოლა და 135 რუსულენოვანი სექტორი. ამ სკოლების



და სექტორების მოსწავლეთა რაოდენობა 28260 მოსწავლეს შეადგენს (24 512 რუსულ სექტორებში და 3748 რუსულენოვან სკოლებში). განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის მონაცემებს თუ დავეყრდნობით რუსი ეროვნების მოსწავლეთა რაოდენობა მთელს საქართველოში მხოლოდ 4732 მოსწავლეა. აღნიშნული სტატისტიკით კი ნათელია, რომ რუსულენოვანი სკოლების ან სექტორების მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის რუსული ენა მშობლიური ენა არ არის. ამ სკოლების მოსწავლეთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, ვისთვისაც რუსული ენა მშობლიური არ არის რთულია, რადგან ხშირად საქართველოში ეთნიკური და ლინგვისტური ფონი ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, ეთნიკური სომხების ნაწილისთვის მშობლიური ენა შეიძლება რუსული იყოს, რადგან მშობლების რუსულენოვანი განათლების გამო საოჯახო ენა რუსულია. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებისთვისაც რუსული ენა მშობლიური ენა არ არის მაინც საკმაოდ მაღალია. ანუ ამ სკოლებში, მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის სწავლების ენად გამოიყენება არც მშობლიური და არც დომინანტი ენა. ამ მოდელს შეიძლება “პრესტიჟულ საემიგრაციო” მოდელი ვუწოდოთ (ტაბატაძე, 2010). ამ მოდელში სამი ტიპის პრობლემა იკვეთება: (ა) პრობლემა, რომელიც ანალოგიურია სუბმერსიული პროგრამებისთვის, ანუ ხშირად მოსწავლეთათვის სწავლება ხდება მათთვის აბსოლუტურად უცხო ენაზე, რომლის უარყოფითი შედეგები კვლევებით დასტურდება და რაზეც ვისაუბრეთ სუბმერსიული პროგრამების ანალიზისას; (ბ) მეორე ტიპის პრობლემა იდენტურია მშობლიური ენის პროგრამასთან, ეს პროგრამები პრობლემატურია ამ პროგრამების კურსდამთავრებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, რის შესახებ მშობლიური ენის პროგრამების ანალიზისას ვისაუბრეთ; (გ) მესამე ტიპის პრობლემა, რომელზეც აგრეთვე საუბრობენ გახლავთ ამ პროგრამების მიზანი, რომელიც, ფაქტობრივად, გაცხადებულია, რომ ეს სკოლები ამზადებენ მოსწავლეებს სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად არჩევანის გარეშე. ანუ ამ სკოლის კურსდამთავრებულები ძირითადად ემიგრირებულნი არიან მეზობელ სახელმწიფოებში, რადგან საქართველოში მათი ინტეგრაციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა მინიმალურია. შესაბამისად, ეს სკოლები ზრდიან კურსდამთავრებულებს, რომლებიც კონკურენტუნარიანები არიან სხვა სახელმწიფოში და არაკონკურენტუნარიანები საქართველოში, რაც „ტვინების გაღინების“ ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორიცაა. შესაბამისად, მხოლოდ ამ მესამე ფაქტორის გათვალისწინებითაც კი არსებულ „პრესტიჟულ-საემიგრაციო“ მოდელი გადახედვას და რეფორმირებას საჭიროებს (ტაბატაძე, 2010).

ბილინგვური განათლების „სუსტი“ პროგრამების ეფექტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სხვადასხვა კვლევებით. სახელმწიფო ენისა და მშობლიური ენის მხარდაჭერის პროგრამები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეფექტურად ვერ იმუშავებს, რადგან ამ რეგიონებში სკოლის გარეთ გარემო აბსოლუტურად არაქართულენოვანია. შესაბამისად, სკოლის გარდა სოციალიზაციის სხვა აგენტები (ოჯახი, თემი, ეკლესია, თანატოლთა წრე, სამეზობლო და ა.შ.) ბილინგვური განათლების ხელშემწყობის ფაქტორებს არ წარმოადგენენ. შესაბამისად, ამ „სუსტ“ პროგრამებს კომპაქტური განსახლების რეგიონებში პოზიტიური შედეგის მოტანა ნაკლებად შეუძლიათ. ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ კომპაქტური განსახლების რეგიონებია და შესწავლილი 26 სკოლიდან 12 სწორედ სახელმწიფო ენის მხარდაჭერის სუსტი პროგრამა შეარჩია (9 სკოლა სამცხე-ჯავახეთში, 3 სკოლა ქვემო ქართლში). სკოლები აღნიშნული პროგრამის შერჩევისას დაეფუძნენ არსებულ საკადრო რესურსებს და არსებული რესურსების პირობებში მათ სწორედ სახელმწიფო ენის მხარდაჭერის სუსტი პროგრამა დაგეგმეს, რაც, ზემოთ განხილული ფაქტორების გათვალისწინებით, ძნელად სავარაუდოა, რომ ეფექტური აღმოჩნდეს.

საქართველოს კონტექსტში საინტერესოა „ტრანზიტული“ ბილინგვური განათლების პროგრამის ანალიზი. შესწავლილი 26 სკოლიდან ტრანზიტული მოდელი 3-მა სკოლამ აირჩია (სამივე სკოლა ქვემო ქართლში, არცერთი სკოლა სამცხე-ჯავახეთში). ტრანზიტული ბილინგვური განათლების პროგრამები გულისხმობს, რომ სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლეები საგნებს სწავლობენ მშობლიურ ენაზე, რათა არ მოხდეს მათი აკადემიური ჩამორჩენა, ხოლო შემდგომ თანდათან გადადიან სახელმწიფო ენაზე სწავლების მოდელზე



სახელმწიფო ენის დაუფლების კვალდაკვალ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში ტრანზიტული ბილინგვური განათლების პროგრამები მიიჩნევა „სუსტ“ პროგრამებად, რომელთა ეფექტი ნაკლებია (უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრანზიტული პროგრამების არაეფექტურობის შესწავლამ განაპირობა ბილინგვური განათლების პროგრამების დაფინანსების შეწყვეტაც კი). ტრანზიტული ბილინგვური განათლების არაეფექტურობის მიზეზად შემდეგი ფაქტორები სახელდება: (ა) მეტი დროა საჭირო ენის შესასწავლად, რათა მოხდეს უმრავლესობის ენაზე სწავლებაზე სრულად გადასვლა, შედეგად არასაკმარისი დროის გამო ხდება აკადემიური ჩამორჩენა; (ბ) ენებს შორის სტატუსი განსხვავებულია, უმცირესობათა ენა დაბალი სტატუსით სარგებლობს და შესაბამისად მოსწავლეთა თვითრწმენა დაბალია, რაც ხელს უშლის მათ აკადემიურ წარმატებას; (გ) მასწავლებელთა უმრავლესობა მონოლინგვალია და მხოლოდ უმრავლესობის ენას ფლობს, ამ პროგრამის ეფექტურობისთვის კი მნიშვნელოვანია ბილინგვალი მასწავლებლის არსებობა, რომელიც შეძლებს ორივე ენაზე სწავლებას საჭიროების შემთხვევაში; (დ) მოსწავლეები უმრავლესობის ენაზე სწრაფად გადასვლის პირობებში ვერ ასერხებენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას და მათი კომპეტენცია მშობლიურ ენაშიც აკადემიური ენის თვალსაზრისით დაბალია (გარსია, 1991, ევანდო და მისი კოლეგები, 2003, ქრიისი, 2004, ბეიკერი, 2006). ამერიკის შეერთებული შტატებსა და ინგლისთან შედარებით განსხვავებული ვითარებაა საქართველოში სამი თვალსაზრისით: (ა) ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში უმცირესობების ენის სტატუსი და პრესტიჟი საკმაოდ მაღალია; შესაბამისად, მოსწავლეებში გამოირიცხულია თვითრწმენის დაკარგვა და საკუთარი ენის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენა; (ბ) არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა მონოლინგვალია, ოღონდ მშობლიური ენით და არა უმრავლესობის ენის თვალსაზრისით; (გ) ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სკოლის მიღმა გარემო არაქართულენოვანია.

ამ სამი ფაქტორის გათვალისწინებით, ტრანზიტული ბილინგვური განათლების პროგრამის სწორად დაგეგმვის პირობებში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში შესაძლებელია ამ პროგრამებმა ეფექტურად იმუშაოს. მნიშვნელოვანია, რომ, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდეს “გვიანი” გასვლის ტრანზიტული ბილინგვური განათლების პროგრამები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონტექსტში ტრანზიტული ბილინგვური განათლების პროგრამები არ მოიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ დაწყებით საფეხურს. ბილინგვური განათლება ხორციელდებოდეს საბაზო და საშუალო საფეხურზეც სწავლების ენის ადეკვატური პროცენტული მონაცვლებით.

შერეული ბილინგვური განათლების პროგრამები შესწავლილი 26 სკოლიდან ოთხმა შეარჩია (3 სამცხე-ჯავახეთი, 1 ქვემო ქართლი). აღნიშნული სკოლებიდან 3 სკოლაში სწავლების ენა რუსული იყო, ხოლო ერთ სკოლაში – ქართული. საინტერესოა ქართული სკოლის მაგალითი, რომელმაც ოფიციალურ განაცხადში შერეული პროგრამა აირჩია, თუმცა, რეალურად აღნიშნული პროგრამა აბსოლუტურად ინოვაციურია და მას „ორმაგი სუბმერსიის“ პროგრამა შეიძლება ეწოდოს ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეთათვის. ბილინგვური განათლების პროგრამები საქართველოში სწორედ ეთნიკური უმცირესობებისთვის დაიგეგმა, ახალქალაქის ქართულენოვანი სკოლა ძირითადად ეთნიკურად ქართველებითაა დაკომპლექტებული, თუმცა ბილინგვური მოდელის შეთავაზება იყო ინსტრუმენტი, ეს სკოლა მიმზიდველი ყოფილიყო ეთნიკურად სომეხი მოსწავლეებისთვის. ქართულ-რუსული მოდელის შეთავაზებით კი, ფაქტობრივად, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს „ორმაგი სუბმერსიის“ პროგრამას, რადგან ამ მოსწავლეებისთვის არც ქართული და არც რუსული მშობლიური ენა არ არის და სწავლის დაწყებისას ისინი შესაძლებელია ვერცერთ ენას ვერ ფლობდნენ. შესაბამისად, სუბმერსიის პროგრამის ნეგატიური ეფექტებიდან გამომდინარე, ადვილად გასაანალიზებელია, რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს „ორმაგი სუბმერსიის“ პროგრამას ეთნიკურად სომეხი მოსწავლეებისთვის. სხვა საკითხია ამ პროგრამის ფარგლებში ქართულენოვანი და რუსულენოვანი მოსწავლეთა საკითხი. მათთვის ეს პროგრამა დუალური ბილინგვური განათლების პროგრამად შეიძლება განვიხილოთ. რაც შეეხება ზოგადად შერეული ბილინგვური განათლების პროგრამებს, ალბათ, შეიძლება ამ პროგრამებმა მნიშვნელოვანი



როლი შეასრულოს რუსულენოვანი სუბმერსიული ან პრესტიჟულ-საემიგრაციო პროგრამების ჩანაცვლებაში. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული რისკ-ფაქტორები, რაც დაკავშირებულია ენების სიმრავლესთან ამ მოდელში. როგორც აღვნიშნეთ, ამ სკოლებში რუსული ენა მოსწავლეთა ნაწილისთვის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს, შესაბამისად სკოლებმა უნდა იზრუნონ ერთი მხრივ მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცენ მშობლიურ ენაზე განსაკუთრებით საწყის ეტაპზე მისცენ განათლება, იზრუნონ სახელმწიფო ენის სწავლებაზე და, ამასთანავე, შეინარჩუნონ რუსულ ენასთან მიმართებით არჩეული სპეციფიკა და პროფილი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი ფაქტორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მკვეთრი პოლიტიკა ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად, უცხო ენის სწავლება უკვე პირველი კლასიდან განხორციელდება საქართველოს საჯარო სკოლებში, მათ შორის – არაქართულენოვან სკოლებში (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლები, 2011). ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო ენობრივი პოლიტიკის ძალიან კარგად დაგეგმვა. ამ მიმართულებით არსებული ვითარება აგრეთვე სერიოზული კვლევის საგანია სამომავლოდ.

ბილინგვური განათლების „ძლიერი“ პროგრამები ყველაზე ეფექტურია, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ პროგრამის ტიპი და არჩევანი ვერ განსაზღვრავს და ვერ იქნება ამ პროგრამების ეფექტურობის გარანტია. საქართველოს კონტექსტში შესწავლილი 26 სკოლის პროგრამებიდან მხოლოდ 7-მა სკოლამ აირჩია ბილინგვური განათლების „ძლიერი“ პროგრამა. აღნიშნული 7 პროგრამიდან 6 პროგრამა წარმოადგენს განმავითარებელ პროგრამას, ხოლო მეშვიდე – დუალურ პროგრამას. ზემოაღნიშნული 7 პროგრამიდან ექვსი წარმოდგენილია ქვემო ქართლის სკოლებიდან და მხოლოდ ერთი – სამცხე-ჯავახეთიდან.

საინტერესოა „ძლიერი“ პროგრამების კონტექსტში დუალური ბილინგვური განათლების პროგრამა. ეს პროგრამა გულისხმობს, რომ ამ პროგრამაში მოსწავლეთა კონტინგენტი წარმოადგენს როგორც უმცირესობის, აგრეთვე უმრავლესობის მოსწავლეებს. აღნიშნული პროგრამა საკმაოდ გავრცელებულია და ეფექტურია მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა, საინტერესოა, არსებული დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად რეალიზებადია საქართველოში, ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რაიონებში. სავარაუდოდ, დუალური პროგრამების რეალიზება შესაძლებელი იქნება ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა ახალციხე, რუსთავი და თბილისი, რადგან ამ ქალაქებში შესაძლებელია მოსწავლეთა კონტინგენტი წარმოადგენდეს როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობის მოსწავლეებს. დუალური პროგრამების რეალიზება შესაძლებელია კომპაქტური განსახლების რაიონებშიც, თუმცა, ძალიან მცირე რაოდენობით, დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე.

(ბ) სკოლებს არ გააჩნიათ შესაბამისი საკადრო რესურსი

კვლევამ ცხადყო, რომ პროგრამების განხორციელების საწყის ეტაპზე სკოლებს არ გააჩნია ადეკვატური საკადრო რესურსი. საკადრო რესურსების პრობლემა თვალსაჩინო გახდა, როგორც შესწავლილი პროგრამების ანალიზმა, აგრეთვე დირექტორთა და მასწავლებელთა გამოკითხვამაც, აღნიშნულ მდგომარეობას ადასტურებს ამ მიმართულებით ჩატარებული სხვა კვლევებიც. საკადრო რესურსების თვალსაზრისით 2 კომპონენტი შეგვიძლია განვიხილოთ:

- (1) კვალიფიციურ მასწავლებელთა პრობლემა;
- (2) კვალიფიციურ სკოლების ადმინისტრატორთა პრობლემა.

მასწავლებელთა, როგორც საკადრო რესურსის, თვალსაზრისით რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა: კერძოდ, (ა) ქართული ენის მასწავლებელთა დაახლოებით 60% თავად ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. ეს მონაცემი დასტურდება „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ მიერ 2010 წელს ჩატარებული ტესტირების შედეგებითაც, რომლის მიხედვითაც არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა 67 % ვერ ფლობს სახელმწიფო ენას (მელიქიძე, 2010). ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემატურია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად განსახლების რაიონები: მარნეული, ახალქალაქი, ნინოწმინდა და წალკა. აღნიშნული რაიონები ქართული



ენის მასწავლებელთა დაახლოებით 70-80% იმყოფება ენის ფლობის A1 და A2 დონეზე („სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ტესტირების შედეგები, 2011). (ბ) საინტერესო შედეგი აჩვენა თვითონ სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ენობრივმა კომპეტენციებმა სახელმწიფო ენაში. რესპონდენტთა 94% მიუთითებს, რომ ვერ ფლობს სახელმწიფო ენას და, შესაბამისად, ვერ შეძლებს ბილინგვურად სწავლებას. (გ) აგრეთვე მნიშვნელოვანი სურათი იკვეთება არა მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით, არამედ საგნობრივი მასწავლებლების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის შესახებ დასმულ შეკითხვაზე დადებითად გაცემს პასუხი მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის და დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა. დანარჩენი საგნების მასწავლებლებმა მიუთითეს, რომ ისინი მონაწილეობას არ ღებულობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების არცერთ პროგრამაში. ამ მიმართულებით საინტერესოა აგრეთვე გაეროს ასოციაციის კვლევა (2010), რომლის მიხედვითაც აკრედიტებული პროგრამების ანალიზით, აგრეთვე 2010 წელს სერტიფიცირების გამოცდაზე დარეგისტრირებულ და მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილე მასწავლებელთა მონაცემებზე დაყრდნობით, საკადრო რესურსის თვალსაზრისით, შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: (1) არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. პროფესიული განვითარების პროგრამების პროვაიდერები არ ახორციელებენ პროგრამებს უმცირესობათა მშობლიურ ენაზე (საკადრო რესურსის დეფიციტისა და არარენტაბელობის გამო), ხოლო არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგების უმრავლესობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. შესაბამისად, მასწავლებლები ვერც პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობენ და არც სასერტიფიკატო გამოცდებზე რეგისტრირდებიან. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში სასერტიფიკატო გამოცდისთვის დარეგისტრირებული 54 მასწავლებლიდან, მხოლოდ ერთი უცხო ენის მასწავლებელია ეთნიკურად არაქართველი, მასწავლებელთა უმრავლესობა ქართულენოვან სკოლებს ან არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლები არიან. მარნეულში სასერტიფიკატო გამოცდაზე დარეგისტრირებული 64 მასწავლებლიდან მხოლოდ 10 არის ეთნიკურად არაქართველი. მარნეულში დარეგისტრირებულ მასწავლებელთა უმრავლესობაც ქართულენოვანი ან არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლები არიან. ანალოგიური სიტუაციაა ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად განსახლების ყველა რაიონში; (2) სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლებისთვის არ არის გათვალისწინებული ვაუჩერების გამოყოფა პროფესიული განვითარებისთვის. არ არსებობს ამ მასწავლებელთა სტანდარტიც, რის მიხედვითაც მოხდება მათი პროფესიული განვითარება (საქართველოს გაეროს ასოციაცია, 2010).

კვლევისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მზობას, ასწავლონ საზოგადოებრივი მეცნიერებები მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. აღნიშნული მომენტი, მნიშვნელოვანი იყო კვლევისთვის, რადგან „საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ“ მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებები 2010-2011 სასწავლო წლიდან ისწავლება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა როგორც მასწავლებელთა, ასევე სკოლის დირექტორთა მიერ ამ მიმართულებით მოწოდებული ინფორმაცია, კერძოდ, კვლევაში მონაწილე 364 მასწავლებლიდან 48 მასწავლებელი წარმოადგენდა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელს. კვლევაში მონაწილე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებიდან მხოლოდ 16-მა (ანუ კვლევაში მონაწილე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა 33,3%-მა) უპასუხა შეკითხვას დადებითად სახელმწიფო ენის ფლობასთან დაკავშირებით. ხოლო შეკითხვას – მოსწავლეთა მშობლიურ ენასთან ერთად სახელმწიფო ენაზე შეძლებდა თუ ვერა გაკვეთილების ჩატარებას – დადებითად უპასუხა მხოლოდ 8 მასწავლებელმა (ანუ კვლევაში მონაწილე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა 16,67%-მა). ამ მიმართულებით საინტერესოა სკოლის



დირექტორთა გამოკითხვის შედეგებიც. კვლევაში მონაწილე 155 დირექტორიდან მხოლოდ 20-მა, ანუ 12,9% პროცენტმა უპასუხა, რომ მათ სკოლებში საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები შეძლებდნენ როგორც მოსწავლეთა მშობლიურ, აგრეთვე სახელმწიფო ენაზე სწავლებას. კვლევის აღნიშნული შედეგები თვალნათელს ხდის, რომ არაქართულენოვან საჯარო სკოლებში საზოგადოებრივი მეცნიერებების მხოლოდ სახელმწიფო ენაზე სწავლება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებით იკვეთება ახალი საკადრო რესურსით ამ სკოლების უზრუნველყოფის პრობლემაც. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2008 წლის მდგომარეობით, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 46,7 % 45 წლის ასაკის ზეითაა. ამ მასწავლებლების შემცველი მომავალი მასწავლებლების მომზადება კი ვეღარ ხდება უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგის პროფესიისადმი ნაკლები ინტერესის და ამ სპეციალობის კურსდამთავრებულთა სიმცირის გამო (2007-2008 წლებში მხოლოდ 134 სტუდენტი ირიცხებოდა განათლების სპეციალობის მაგისტრატურაში მთელი საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებში, 2008-2009 წლებში -354 და 2009-2010 - 642) და, ამასთანავე, საგანმანათლებლო სპეციალობებზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ხვედრითი წილი ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ მკვეთრად შემცირებული და, ფაქტობრივად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ვეღარ ხდება არაქართულენოვანი სკოლებისთვის მომავალი კადრების მომზადება (გაეროს ასოციაცია, 2010). საინტერესოა, რომ არცერთი პედაგოგიური მიმართულების უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს ბილინგვური პროგრამების მომავალ მასწავლებლებს, რადგან, ერთი მხრივ, არ არსებობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი და, შესაბამისად, მეორე მხრივ, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები არ იმუშავებენ და ახორციელებენ ამ მასწავლებლის მომზადების პროგრამებს.

კვლევის პროცესში საკადრო რესურსის პრობლემის მეორე მნიშვნელოვან კომპონენტად სკოლების ადმინისტრაციის მოუმზადებლობა გამოიკვეთა. კვლევაში მონაწილე სკოლის დირექტორთაგან მხოლოდ 3 იყო ინფორმირებული, ბილინგვური განათლების რა პროგრამას ახორციელებდა მისი სკოლა; ანუ სკოლის დირექტორთა 98,6% არ ფლობს ინფორმაციას ბილინგვური პროგრამების შესახებ ზოგადად და რა პროგრამას ახორციელებს ან გეგმავს განახორციელოს მისი სკოლა კონკრეტულად. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სკოლის ადმინისტრაცია არ არის მზად ბილინგვური განათლების პროგრამების განსახორციელებლად. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორთა უმრავლესობამ (90%-ზე მეტი) აღნიშნა, რომ მონაწილეობდნენ ბილინგვური განათლების პროგრამებთან დაკავშირებულ ტრენინგებში. მიუხედავად ამისა, მათი მომზადების დონე ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალია. არაქართულენოვანი სკოლების ადმინისტრაციის მომზადების ხარისხზე მეტ-ნაკლებად მიუთითებს 2006-2007 წლებში ჩატარებული დირექტორების შესარჩევის კონკურსის შედეგები. არაქართულენოვან სკოლებში მნიშვნელოვანი პრობლემა იყო არაქართულენოვან სკოლებში დირექტორების კანდიდატთა რაოდენობა. ერთ არაქართულენოვან სკოლაზე საშუალოდ 0,3 კანდიდატი მოდიოდა, ახალქალაქის 55 სკოლიდან მხოლოდ 2 სკოლაში იყო წარდგენილი კანდიდატი, ნინოწმინდაში 33 სკოლიდან – 2 სკოლაში, წალკის 13 არაქართულენოვანი სკოლიდან ასევე - 2 კანდიდატი. აღნიშნული რეგიონებიდან სკოლის დირექტორობის მსურველთა 79% გამოეთიშა კონკურსს ტესტირების შედეგად, ხოლო 19% – გასაუბრების შემდეგ (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2008). აღნიშნული სტატისტიკაც თვალნათელს ხდის ამ სკოლების დირექტორებისა თუ დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

(გ) მულტილინგვური განათლების პროგრამები არ წარმოადგენს გაზიარებულ ხედვას სასკოლო საზოგადოებას შორის



კვლევის შედეგებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო იმ საკითხის გამოკვეთა, რომ კვლევაში მონაწილე 155 სკოლიდან არც ერთს არ გააჩნდა სკოლის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა და ხედვები ჩამოყალიბებული დოკუმენტის სახით, რომელშიც ასახული იქნებოდა ბილინგვური განათლება. ეს ტენდენცია აისახა კვლევის ბილინგვური განათლების დაწყების მიზეზებთან დაკავშირებულ პასუხებშიც. 155 სკოლიდან 45%-მა უპასუხა, რომ არ გეგმავდა საერთოდ ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელებას. ხოლო იმ დირექტორთა ნაწილმა, ვინც ახორციელებდა ბილინგვური განათლების პროგრამას ან გეგმავდა მის განხორციელებას, ერთ-ერთ ფაქტორად მიუთითა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნასთან ერთად, რესპონდენტთა 5%-მა დაასახელა მშობლების მოთხოვნა ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელებისთვის, ხოლო 2%-მა – კონკურენციის არსებობა მოსწავლეთა ვაუჩერებთან დაკავშირებით, თუმცა სკოლების დაფინანსების ცვლილებებთან ერთად, კონკურენციის გამო, ბილინგვური განათლების პროგრამების ინიცირება უკვე არააქტუალურია. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა კითხვარში ცალსახად გამოჩნდა, რომ მასწავლებლები არ არიან ჩართულები ბილინგვური განათლების პროგრამების დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში. მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მიუთითეს ამ პროცესში საკუთარი მონაწილეობა, ხოლო საგნობრივი მასწავლებლები საერთოდ არ არიან ჩართულნი პროცესში და შესაბამისად ბილინგვური განათლება არ წარმოადგენს მათთვის გაზიარებულ ხედვას.

დ) მულტილინგვური განათლების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ისევე როგორც ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა მინიმალურია.

საინტერესო შედეგი აჩვენა კვლევამ მშობელთა და თემის ჩართულობასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სკოლის დირექტორთა მხოლოდ 2% დაასახელა მშობელთა მოთხოვნა ბილინგვური განათლების პროგრამების დაწყების საფუძვლად. პროგრამების ანალიზმა ცხადყო, რომ ბილინგვური განათლების პროგრამები ძირითადად შემუშავებულია ქართული ენის მასწავლებლების და რესურს-ცენტრების სპეციალისტების მიერ და მშობელთა მონაწილეობა პროგრამების შერჩევასა და შემუშავებაში არსად იკვეთება. საინტერესო შედეგები აჩვენა ზოგადად მშობელთა ჩართულობის შესახებ არსებულმა თავმა – როგორც დირექტორების, აგრეთვე მასწავლებლების გამოკითხვაში. კვლევაში მონაწილე დირექტორებისა და მასწავლებლების 100-ვე პროცენტი მიუთითებს, რომ მშობლები ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა კონკრეტული სტრატეგიის, აქტივობის ან პროგრამის შესახებ დასმულ შეკითხვაზე დირექტორთა 95% და მასწავლებელთა 82% კონკრეტულ პასუხს ვერ სცემს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მშობელთა ჩართულობა მინიმალურია სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან მიმართებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი, კომპაქტური განსახლების რეგიონებში მშობელთა უმრავლესობა თავად ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. მშობლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის ცხოვრებაში, მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ბილინგვური განათლების პროგრამებს, რადგან ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი შვილების დახმარებას ამ პროცესში. სკოლებში კი, და არა მხოლოდ არაქართულენოვან სკოლებში, არამედ, ზოგადად, საქართველოში – არ არსებობს მშობელთა განათლებისა და ინფორმირების პროგრამები.

**დასკვნა / კვლევის შედეგების გამოყენება
საბანამანათლებლო სისტემისთვის**

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს ბილინგვური განათლების რეფორმის განხორციელებისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ არსებული სიტუაცია



საკმაოდ ნეგატიურია ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურად განსახორციელებლად, თუმცა, ამასთანავე, თვალსაჩინო გახადა, რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს, რათა მიღწეული იყოს ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელების შედეგად მაქსიმალური ეფექტი.

კვლევამ ცალსახად გამოაჩინა პრობლემები, რომლებიც პოლიტიკის დონეზე ცალსახად მოსაგვარებელია. მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ბილინგვური განათლების რეფორმის არასწორი გააზრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბილინგვური განათლება მოიაზრება სახელმწიფო ენის სწავლების კონტექსტში... ამას მიუთითებს სამინისტროს ხედვა, რომელმაც ბილინგვური განათლების რეფორმა მოაქცია ერთ-ერთი ისეთი პროექტის პატარა კომპონენტად, რომელიც სახელმწიფო ენის სწავლებას ემსახურება. ამას მოწმობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებები, რომ სკოლების 30% გადავა ქართულენოვან სწავლებაზე 2011 წლიდან, ხოლო თბილისში 60%-იან სწავლებაზე – ერთი წლის შემდეგ და 90% – ქართულ ენაზე სწავლება ორი წლის შემდეგ (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინტერვიუ, 2010). მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვური განათლების რეფორმაზე საუბარი საქართველოში სწორედ რომ სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემატიკიდან გამომდინარე დაიწყო, არ უნდა დაგვავიწყდეს ბილინგვური განათლების მთავარი მიზნები და დანიშნულება: მოსწავლეში დაბალანსებული ბილინგვიზმის განვითარება აკადემიური ჩამორჩენის გარეშე და მოსწავლეთათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელება ისტორიულად უკავშირდება უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენაზე (ანუ ენაზე, რომელსაც სრულყოფილად ვერ ფლობდნენ) სწავლებისას აკადემიური ჩამორჩენის და სკოლის მიტოვების მაჩვენებლის აღმოფხვრას. სამინისტროს ხედვა, რომელიც უკავშირდება ბილინგვური განათლების გზით მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლებას, უკეთეს შემთხვევაში, მიგვიყვანს იმ შედეგებამდე, რის გამოც დასავლეთის ქვეყნებში ალაპარაკდნენ ბილინგვური განათლების მნიშვნელობაზე. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცალსახად განსაზღვროს ბილინგვური განათლების მიზნები, როგორც ბილინგვიზმის განვითარების შესაძლებლობა აკადემიურ წარმატებასთან ერთად და ამ მიმართებით დაგვემოს საგანმანათლებლო პოლიტიკა. ამავე მიმართულებითაა აქცენტები შესაცვლელი სუბმერსიულ პროგრამებთან მიმართებით. აღნიშნული პროგრამების (ქართული ენის სუბმერსიის) პროპაგანდა და წახალისებაც აქტიურად ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

ბილინგვური განათლების პოლიტიკის კუთხით ხედვა კი გულისხმობს შესაბამისი ცვლილებების გატარებას კანონმდებლობაში. აქ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სამიზნე ზღვარი, რასაც უნდა მიაღწიონ არაქართულენოვანმა სკოლებმა. ამასთანავე, თუ საუბარია ბილინგვური განათლების რეფორმაზე, მნიშვნელოვანია ისეთი აქტების მიღება, როგორიც არის სომხურის და აზერბაიჯანული ენების სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებული იქნება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას, მნიშვნელოვანი იქნება ცვლილებების განხორციელება ეროვნულ სასწავლო გეგმის საათობრივ ბადაში, რადგან ენების გადანაწილება ბილინგვურ პროგრამებში განსხვავებულია და უფრო მოქნილი საათობრივი ბადის არსებობას მოითხოვს. ცვლილებები იქნება შესატანი ბილინგვურ პროგრამებზე კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებითაც. მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების კუთხით მნიშვნელოვანი იქნება ბილინგვალი მასწავლებლის სტანდარტის შემუშავება, რომლის საფუძველზეც მოხდება მოქმედი პედაგოგების პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელება, მომავალი მასწავლებლების მომზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იქნება ბილინგვურ სკოლაში მასწავლებლებისთვის ინსენტივების სისტემის შექმნა, რათა მოხდეს არაქართულენოვანი სკოლებისთვის მნიშვნელოვანი საკადრო რესურსის მოზიდვა



არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემებთან დაკავშირებით, როგორც სკოლების ადმინისტრაციის, აგრეთვე მასწავლებელთა თვალსაზრისით, სხვადასხვა დონისძიებები წლების განმავლობაში ხორციელდება (საქართველოს გაეროს ასოციაცია, 2010). აღნიშნული თვალსაზრისით, პრობლემა ორი სახისაა: (ა) განხორციელებული დონისძიებები არ არის მდგრადი; (ბ) განხორციელებული დონისძიებები არ ემსახურება ადგილობრივი სკოლის გაძლიერებას. განხორციელებული დონისძიებების უმრავლესობა ითვალისწინებს ქართული ენის მასწავლებლების მივლინებას რეგიონებში, ეს პროცესი ჯერ კიდევ 1998 წელს დაიწყო, რაც გაგრძელდა 2005 წელს ე.წ. „მისიონერების“ მივლინებით, შემდგომ, 2009 წლიდან დღემდე ხორციელდება პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, რომლის ფარგლებში იგზავნება კვალიფიციური ქართული ენის მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობების სკოლებში, 2011 წლიდან კი დაიწყო ბაკალავრების გაგზავნა რეგიონებში პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამა არ იყო და არ არის გრძელვადიანი, მდგრადი და სკოლების გაძლიერებაზე გათვლილი; ამასთანავე, არც ერთი არ გახლდათ ბილინგვური განათლების რეფორმის კონტექსტში განხორციელებული. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი პროგრამები ითვალისწინებდეს გრძელვადიან ხედვებს და მოქმედი თუ მომავალი მასწავლებლების მომზადების პროგრამები ბილინგვური განათლების რეფორმის მიზნების კონტექსტში დაიგეგმოს. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია არაქართულენოვანი სკოლებისთვის მოქმედი ადმინისტრაციის გადამზადება და მომავალი საკადრო რესურსის მომზადება. ამ კუთხითაც მდგრადი და სკოლების საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელებაა მნიშვნელოვანი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია თემისა და მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფა. როგორც კვლევამ აჩვენა ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები აქვთ არაქართულენოვან სკოლებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლების მომზადება (როგორც ადმინისტრაციის, აგრეთვე მასწავლებლების) მშობელთა და თემის ჩართულობის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, საზოგადოდ, მნიშვნელოვანია განათლების სისტემის დეცენტრალიზაციისა და სკოლების ავტონომიურობის რეფორმის რეალურად განხორციელება. ამასთანავე, მნიშვნელოვანი სკოლების ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად მშობელთა განათლებისა და ინფორმირებულობის პროგრამების განხორციელება სკოლების მიერ. აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად არც საკადრო რესურსისა და არც ფინანსური რესურსის თვალსაზრისით, სკოლები მზად არ არიან, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა თუ დონორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით, მნიშვნელოვანი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელებაა შესაძლებელი და ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი აქტივობების აუცილებლობა ცალსახად გამოჩნდა ჩატარებული კვლევის შედეგებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განათლების სისტემა და უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკა ეტაპობრივად მივიდა ბილინგვური განათლების რეფორმის განხორციელების აუცილებლობამდე. აღნიშნული რეფორმისადმი მოლოდინები მაღალია საზოგადოებაში (სახალხო დამცველთან არსებული უმცირესობათა საბჭოსთან შეხვედრა 2008 წლის 30 მარტი). მაღალ მოლოდინებს დიდი იმედგაცრუებაც ახასიათებს. ბილინგვური განათლების მიმართ იმედგაცრუება კი შესაძლებელია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის მიმართ იმედგაცრუების ტოლფასი აღმოჩნდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბილინგვური განათლების რეფორმა საქართველოში მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელდეს. ბილინგვური განათლების ეფექტურობისთვის კი უმნიშვნელოვანესია ბილინგვური განათლების „ძლიერ“ პროგრამებზე აქცენტირება და „ძლიერი“ პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, კადრების მომზადება, სკოლის, თემის და მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა.



ბამოყენებული ლიტერატურა:

- ბეიკერი, 2010 - ბეიკერი, კ., *ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები*. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის 2010 წლის ქართული ვერსიის გამოცემა;
- ბეიკერი და დე კანტერი, 1983 - Baker, K.A. & de Kanter, A.A., *Bilingual Education*. Lexington, MA: Lexington Books, 1983.
- ბენსონი, 2004 - BENSON, C., Do we expect too much of bilingual teachers? Bilingual teaching in developing countries. *International Journal of Bilingual Education and Bilingualism* 7 (2&3), 204-221; 2004.
- ბექიშვილი - ბექიშვილი, ნ. შაშკინის მოულოდნელი განცხადებები, ჟურნალი ლიბერალი, (1) მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://liberali.ge/node/1114>; 2010.
- ბილინგვური განათლების პროგრამების დებულება, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო; 2010.
- ბილინგვური განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2009–2014, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო; 2009.
- ბილინგვური განათლება, 2009 - ბილინგვური განათლება, სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის - ლატვიის ლატვიური ენის სააგენტოს გამოცემა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული გამოცემა, 2009;
- გრიგულე, 2010 - გრიგულე, ლ. საქართველოში უმცირესობათა განათლების რეფორმა, ადგილობრივი ინიციატივებიდან სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ უმცირესობათა განათლების რეფორმამდე: ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ №2, გვ 31-43; 2010.
- ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, 2010, სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, მოპოვებულია 2011 წლის 1 ივლისს ვებ-გვერდიდან: <http://ncac.ge/index.php?m=854>; 2010
- ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება, 2010, საქართველოს გაეროს ასოციაცია;
- ვარგჰესე, 2004 - Varghese, M. M. Professional Development for Bilingual Teachers in the United States: A Site for Articulating and Contesting Professional Roles. *BILINGUAL EDUCATION AND BILINGUALISM*, Vol. 7, No. 2&3, pp. 222-238, 2004.
- ვონგ ფილმორი, 2000 - WONG FILLMORE, L. & SNOW, C., *What Elementary Teacher Need to Know About Language*. Washington: Center for Applied Linguistics, 2000.
- ლინდჰოლმ-ლეარი - LINDHOLM-LEARY, K.J., *Review of Research and Best practices on Effective Features of Dual Language Education Programs*. http://www.lindholm-leary.com/resources/review_research.pdf; 2005.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდიდან: <http://www.tpdg.ge/index.php?page=1-3-7&hl=ge>.
- მონტეცელი და კორტეზი, 2002 - MONTECEL, M.R. & CORTEZ, J.D., successful bilingual education programs: Development and the dissemination of criteria to identify promising and exemplary practices in bilingual education at the national level. *Bilingual Research Journal* 26 (1) , 1-10; 2002.
- პერნა და სვეილი - Perna, L. W. & Swail, W. S. A view of the landscape: Results of the national survey of outreach programs. In College Board, *Outreach program handbook 2001* (pp. xi–xxix). New York: The College Board; 2000.
- პერნა და ტიტუსი - Perna, L. W., & Titus, M. The relationship between parental involvement as social capital and college enrollment: An examination of racial/ethnic group differences. *Journal of Higher Education*, 76 (5), 485-518; 2005.



სკუტნაბ-კანჯასი, 2000 - SKUTNABB-KANGAS, T., *Linguistic Genocide in Education-or Worldwide Diversity and Human Rights*. Mahwah, NJ: Erlbaum; 2000.

სტატისტიკური მონაცემები მოპოვებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდიდან: http://mes.gov.ge/index.php?module=text&link_id=141&lang=geo

საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, *მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი*, 2009 - მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://www.tpdg.ge/index.php?page=professional-standards&hl=ge>; 2009.

საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009 - *მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტები*, მოპოვებულია ვებ-გვერდიდან: <http://www.tpdg.ge/index.php?page=1-7-2&hl=ge>

ტაბატაძე, 2008 - ტაბატაძე, შ. ბილინგვური განათლების პოლიტიკა საქართველოში. *ჟურნალი სოლიდარობა*, 2008.

ტაბატაძე, 2009,1 - ტაბატაძე, შ. *განათლების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები*. მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; 2009.

ტაბატაძე, 2009,2 - ტაბატაძე, შ. (2009). *ინტერკულტურული განათლების პოლიტიკა საქართველოში*. მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; 2009.

ტაბატაძე, 2010,1 - ტაბატაძე, შ. (2010). *განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში და არაქართულენოვანი სკოლები*. მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; 2010.

ტაბატაძე, 2010,2 - ტაბატაძე, შ. ბილინგვური განათლების პროგრამები საქართველოში, რა არჩევანი აქვთ არაქართულენოვან სკოლებს: ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ №1, გვ 7-21; 2010.

შაუ, 2003 - SHAW, P., *Leadership in the diverse school*. In C. Baker Foundations of Bilingual Education and Bilingualism. Clevedon: Multilingual Matter; 2003.

ჰორნბერგერი და რისენტო, 1996 - Hornberger, N. & Ricento, T. *Unpeeling the onion: Language planning and policy and the ELT professional*. *TESOL Quarterly* 30 (3), 401-428; 1996.

ხათუნა ბერიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „თარგმანის განვითარების ცენტრი“, ბათუმი, საქართველო

სახელმწიფო ენის სწავლების წინაპირობები

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პოლიტიკის ფორმირების კრიტიკული ანალიზი და ქართულ ენაზე თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის, როგორც ეროვნული კულტურის ინტეგრალური ნაწილის როლი ქართული ენის შემსწავლელთა ან ბილინგვალ მოსწავლეთა განათლებაში. ორივე საკითხი მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პოლიტიკის შემუშავებისათვის. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ისეთ



ვენომენს უკავშირდება, როგორცაა მეორე ენის სწავლების აპრობირებული დასავლური მეთოდოლოგია. ქართული ენის შემსწავლელთა სეგმენტისათვის სწავლების წინაპირობების ანალიზისას გამოეყავით ორი ზოგადი პრობლემა: (1) ენის/ლიტერატურის/თარგმანის კრიტიკის დეფიციტი; (2) არაქართულენოვანი მოსწავლისათვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის შექმნის პროცესში მეორე ენის სწავლების დასავლური გამოცდილების დეფიციტი.

ვფიქრობთ, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პოლიტიკის შესაქმნელად საჭიროა დასავლური გამოცდილების კრიტიკული ანალიზი და ენის კრიტიკის განვითარება, რომლის კვლევითი მიმართულება უნდა იყოს იმ ლინგვისტური ცვლილებების დადგენა, რაც ენამ განიცადა საბჭოთა იდეოლოგიისა და რუსიფიკაციული რეჟიმის ზეგავლენით და რა ცვლილებებსაც განიცდის ის გლობალიზებული ენობრივი სამყაროს ზეგავლენით. ვფიქრობთ, თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ემპირიული კვლევა და კრიტიკული ანალიზის განვითარება ფრიად აქტუალური საკითხია სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკასთან მიმართებით. დღევანდელი ქართული სამყაროს არცთუ სახარბიელო ენობრივი სურათი იქმნება თანამედროვე ქართულით, რომელიც ლიტერატურის, მედიის, თარგმანის, ინტერნეტის არხებით ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მკვიდრდება, რაც არასასურველია გადაცვით საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს. ვფიქრობთ სწორედ კრიტიკული ანალიზისა და ენის კრიტიკის არარსებობამ განაპირობა ის შედეგი, რაც ეროვნული შეფასებების, კვლევებისა და ანალიზის სამმართველოს მიერ 2009 წ. ჩატარებული კვლევის მონაცემებით მივიღეთ საქართველოში ხუთ ყველაზე მოწვევად რეგიონში; მათ შორის კი ქართულენოვანი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ყველაზე დაბალი მოსწრებით აჭარა „პირველობდა“ (წერეთელი, 2009 www.ganatileba.org); ვფიქრობთ, ამ ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან საჯარო სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხი ენის ცოდნის იმ დონეს ვერ უპასუხებს, რასაც განათლების შესახებ ახალი კანონი მოითხოვს.

ტექნიკური ანალიზი (მაგ. საათობრივი ბაღე, კედაგოგების გადამზადება), სტატიაში რეკომენდებულია: (ა) მხატვრული თარგმნილი ლიტერატურის ინტეგრირება აღნიშნულ პროგრამაში; (ბ) რეალისტური სასწავლო გეგმის შედგენა. არსებული ვითარებით, ამ ეტაპზე არარეალისტურად გვესახება არაქართულენოვანი მოსწავლისადმი სწავლების თუნდაც VII საფეხურზე წაყენებული მოთხოვნა წერდეს სხვადასხვა ტიპის ტექსტს სასკოლო ან ახალგაზრდული ჟურნალისთვის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 841 2006 წლის 28 სექტემბერი); (გ) მეტყველების კულტურის ამადლება, ქართული ენის ტელევიზიით სწავლება, ქართული ტელევიზორის არაბუნებრივი სამეტყველო კონსტრუქციებისა და ლექსიკის საპირწონედ; არაქართულენოვანი სკოლებისათვის თარგმნილი სახელმძღვანელოების სიზუსტისა და ხარისხის ანალიზი; (დ) ზემოაღნიშნული შეფასებისას მძიმე შედეგების მქონე რეგიონებში (მაგ: აჭარა, სამეგრელო, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) დამატებითი პროექტების შემუშავება ენის სწავლისა და სწავლების ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ლიტერატურის სწავლება: ადაპტირებული თუ მხატვრული? ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის თარგმნილი ნიმუშები?

ქართულის, როგორც მეორე ენის პროგრამა (ვებგვერდი: www.cciir.ge/upload/editor <<http://www.cciir.ge/upload/editor>> /.../qarTuli%20,%20srandarti-1-12%20klasi.do) ითვალისწინებს არაქართულენოვანი მოსწავლისათვის ადაპტირებული ლიტერატურის მიწოდებას II - IX კლასების ჩათვლით; აღნიშნული პროგრამის 91-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ IX კლასელი მოსწავლე იგებს ადაპტირებულ მხატვრულ ტექსტს, რაც, განვლილი სასწავლო წლების მანძილზე ადაპტირებულ ტექსტებზე მუშაობის გათვალისწინებით, სავსებით მართებული მოთხოვნაა; თუმცა, მომდევნო, 92-ე გვერდზე მითითებულია, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს მხატვრული ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების



მიხედვით. ამავე პუნქტით: ქ.მ. IX. 8 - მოსწავლემ, შედეგის თვალსაჩინოებისათვის, მხატვრული ტექსტის სტილისტიკური ანალიზი უნდა შეძლოს. ვფიქრობთ, ეს საკითხი დაზუსტებას ითხოვს: თუ მოსწავლე 9 წლის განმავლობაში მხოლოდ ადაპტირებულ ლიტერატურას სწავლობდა, მას სტილისტიკური ანალიზის „თვალსაჩინო შედეგს“ ვერ მოვთხოვთ.

ადაპტირებული მხატვრული ტექსტი არ შეიცავს ისეთ სტილისტიკურ ხერხებს, როგორცაა „განწყობის შემქმნელი სიტყვები“, ჰიპერბოლა, გაპიროვნება, ალეგორია, მეტაფორა და მით უფრო, ადაპტირებისას, არ შენარჩუნდება მეტყველების პოლიფონია; სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან ავტორისეული მხატვრული ტექსტი და ადაპტირებული, გამარტივებული და გაშინაარსებული ტექსტი ერთმანეთისაგან;

96-ე გვერდზე მითითებულია, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს მხატვრული ტექსტის შექმნა, პიროვნული და შემოქმედებითი დამოკიდებულების გადმოცემა. მოვიყვანოთ იგივე პროგრამის ციტირებას: „მაგ. კონკრეტულ იგავზე თხზავს საკუთარ იგავ-არაკს“. სრულებით ბუნებრივია, რომ თუ მოსწავლე ასეთ დავალებას თავს ვერ გაართმევს, რადგან, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ცხრა კლასის განმავლობაში მხატვრულ ლიტერატურის მხოლოდ საბაზო ცოდნის მიღების შემდეგ, ანუ მხოლოდ ადაპტირებული ლიტერატურის სწავლებით ასეთი შედეგის მიღება, ვფიქრობთ, სათუთაა. ასეთი შედეგის პერსპექტივას ვერ ქმნის ვერც ის ფაქტი, რომ იგივე პროგრამა ითვალისწინებს VII კლასში იგავური მეტყველების ტექნიკური მხარის გაცნობას, როგორცაა იგავური მეტყველების სტრუქტურული ნიშნები: თხრობის სიმოკლე, ლაკონიურობა, ასევე მისი მთავარი სტილისტიკური ხერხის, ალეგორიის სწავლებას.

აქვეა აღსანიშნავი ის პარადოქსული მოვლენაც, რომ, თუ პარალელს გავავლებთ, ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმით, ქართულენოვან IX კლასელს წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების წერის მიმართულება არ ავალდებულებს მხატვრული ტექსტების შექმნას.

თუმცა, როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შედგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა სრულებით ანალოგიურია იმ მხრივ, რომ არც ერთი არ ითვალისწინებს თარგმნილი ლიტერატურის სწავლებას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ა) არც ერთ პროგრამაში მითითებული არ არის, „მხატვრული ტექსტი“ მოსწავლისათვის მხოლოდ ქართული ლიტერატურის მიწოდებას გულისხმობს თუ თარგმნილისაც, და ბ) XII კლასის პროგრამის წლის ბოლოს მისაღები შედეგების ბოლოს განთავსებულია რეკომენდებულ მწერალთა ჩამონათვალი, რომელშიც არც ერთ უცხოელი მწერალი არ არის მითითებული. მოვიყვანოთ ციტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილის 2.1 პუნქტიდან: „ამდენად, საშუალო საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზანია მოსწავლის უზრუნველყოფა ისეთი ცოდნით, რომ მან შეძლოს ქართულ ენაზე: სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატვა და სხვა“ (ე.ს.გ. 2008 გვ. 3).

აქ, ბუნებრივია, კითხვა გაჩნდება: იგულისხმება თუ არა სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ქართულად თარგმნილი საზღვარგარეთული ლიტერატურა? და თუ არა, რატომ?

აქვე მოვიყვანოთ ციტირებას ისევ ზოგადი ნაწილიდან: „სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა“ (ე.ს.გ. გვ.1). უპრიანია, თუ აქვე დავსვამთ კითხვას: უნდა მივიჩნიოთ თუ არა თარგმნილი ლიტერატურა ეროვნული კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად? რატომ არის ის მარგინალიზებული ეროვნული სასწავლო პროგრამიდან? თარგმანმა ხომ არა მხოლოდ ენის განვითარებაში შეიტანა წვლილი და ითამაშა მეტად პოზიტიური როლი, არამედ დასავლური ცივილიზაციის ლიტერატურული მიმდინარეობები და ჟანრები ქართულ რეალობაში დაამკვიდრა: „Georgian romantic poetry is widely considered one of the earliest



manifestations of Georgia's modern opening to the West, an indirect consequence of her annexation by and absorption into the Russian Empire“ (რემი, შათირიშვილი, 2004, 1).

მე-19 საუკუნე დასაწყისიდანვე გამოირჩევა განსაკუთრებული მთარგმნელობითი მიღწევებით: საუკუნის დასაწყისში რუსეთში მყოფი სოლ. რაზმაძე თარგმნის ნაწევრებს ეგვიპტის ონეგინიდან, ლექსებს: „ღვინი“, „დემონი“, „განღვიძება“, „დიშანური სიმღერა“ /“მელოდია“; ამ პირველ, მოკრძალებულ თარგმანებში რაზმაძე ქართულ რეალებს დაურთავს, რითაც თავისუფალი თარგმანის პრეცედენტს ქმნის. ალექსანდრე ჭავჭავაძე თარგმნის „ბრინჯაოს მხედრის“ შესავალს, „კავკასიის ზვავს“ და „ანჩარს“, ამასთან, თარგმნის გოეთეს, ეზოპეს, კორნელის, ვოლტერის, ლაფონტენის, ჰიუგოსა და ოდოევსკის. დიმიტრი ყიფიანი კარიერა სწორედ თარგმანით დაიწყო: 1841 წ. „რომეო და ჯულიეტა“ თარგმნა, შემდეგ კი ბომარშე, მოლიერი, ფულე. თარგმნიდა გრიგოლ ორბელიანიც; ეს ქართული რომანტიზმის მიმდინარეობას უყრის საფუძველს... ბარათაშვილი რუსულ თარგმანში უსმენდა მასწავლებლის წაკითხულ მიცკევიჩის ფარისს, მომავალში კი რომანტიკული და ჰუმანისტური იდეალიზმით აღმატებული მერნის ავტორს ბრიტანელი მეცნიერები ბაირონს გაუტოლებენ: „...the outstanding figure is the young and tragic bard Nikoloz Baratashvili, who met his death in 1845 at the age of 28. No one who has had the privilege of seeing the young Georgian actor Gegechkori in the title-role of the drama Baratashvili on the Tbilisi stage is likely to forget the appeal of this tortured, truly Byronic genius“ (ლანგი, 1966 გვ. 23). მერანს უამრავი რუსი პოეტი თარგმნის რუსულად: პასტერნაკი, ახმადულინა, ევტუშენკო, ვოზნესენსკი, ანტოკოლსკი, ლოზინსკი, მერანი დღემდე ითარგმნება, საუკეთესო ბოლო თარგმანი ახალგაზრდა მთარგმნელს, მაქსიმ ამელინს ეკუთვნის... „მერნის“ რუსი მთარგმნელები ისევე ვერ გაეცნენ მის ზეგავლენას, როგორც ქართველი რომანტიკოსები დასავლური ლიტერატურის საკუთარი თარგმანების რომანტიულ მსოფლგანცდას: მარინა ცვეტაევა წერს უსათაურო ლექსს: *Пожирающий огонь - мой конь*, კონსტანტინე ბალმონტი *Челн томления*, ბორის პასტერნაკი *Дорога* - ს, ანუ ერთდროულად ადგილი აქვს ორ მოვლენას: (1) ინტრალინგვისტურ თარგმანს, ანუ ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას იგივე ენაზე სხვა ნიშნებით და (2) ინტერკულტურულ ტრანსლაციას.

მე-19 საუკუნე არა მხოლოდ წარმატებული რომანტიკული და რეალისტური ლიტერატურული მიმდინარეობებით ხასიათდება. პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამავე ეპოქაში ხდება შემდეგი: რუსულენოვან სკოლებში აღზრდილი და რუსულ სამსახურებში შესული ქართული კეთილშობილი საზოგადოება თავადაა რუსულად თარგმნილი: მოხდა მათი კულტურული ტრანსლაცია. ქართული ენის დაკნინებულ, კოლონიალურ, საჭირბოროტო ვითარებაში ივანე მაჩაბელი და ილია ჭავჭავაძე ეროვნულ ბანკს აარსებენ და რუსულად ტრანსლირებული ელიტის ქართულად უკუთარგმანის პრეცედენტის მოწმე ხდებიან:

იმ დროს, როდესაც ჩვენი ენა ისე იყო დევნილი სასწავლებლებიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია რუსულ ენაში ვარჯიშობდა ყველგან და საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა ქართულად სულ არ ეხერხებოდა, ბანკის ყრილობები დიდი ასპარეზი გამოდგა სამშობლო ენაზე ლაპარაკისათვის. გარდა ამისა, რომ ზოგიერთს მათგანს საერთოდ ლაპარაკიც შეასწავლა. არ შეიძლება რუსულად, არ შეიძლება, რამდენს არ გვესმის რუსული, როგორც გეხერხებათ, ისე ილაპარაკეთ ქართულად; – მიაძახებდნენ კრებიდან. ისიც უნებურად ალაპარაკდებოდა ქართულად და რამდენჯერმე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ისე გამოსწორდებოდა, რომ სასიამოვნო ხდებოდა მისი ყურის დაგდება. იყვნენ ერთი-ორი მათში, რომელთაც სულ ვერ მოახერხეს და ლაპარაკობდნენ რუსულად (აბხაზი, 1987).

რადგან წინამდებარე სტატიის მიზანი მე-19 საუკუნის მთარგმნელობითი მოღვაწეობის წიაღსვლითი შესწავლა არ გახლავთ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ თუ ახალი ჟანრები მკვიდრდება, კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალისტური მწერლობისა და სალიტერატურო კრიტიკის ძირითადი პრინციპები ყალიბდება და ახალი სალიტერატურო ქართული მკვიდრდება, ეს მთარგმნელისა და თარგმანის ეპოქალური დამსახურებაცაა.

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



ლიტერატურის უანრობრივი გამდიდრების გარდა, თარგმანს უთუოდ ენის გამდიდრებაშიც აქვს წვლილი შეტანილი და ეს თუნდაც მანაბლისეული ვირტუოზული სიტყვათქმნადობის ნიმუშებითაც დასტურდება: „იგულწრფელის“, „გაიძვალრბილეთ“, „სიტყვაძვირობ“, „უმაგდიდებოდ“, „უჩემსიტყვოდაც“, „მწირმეტყველება“ და მრავალი სხვა, რაც მანაბლისეულ თარგმანებში სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ზმნად კონდენსაციის მოდელებია.

ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლება შეერთებულ შტატებში

თუ ენის სწავლების თანამედროვე დასავლურ პრაქტიკას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ინგლისური ენის სასწავლო პროგრამაში ენა და კულტურა ინტეგრალურადაა წარმოდგენილი; კულტურაში კი იგულისხმება როგორც თარგმნილი, ისე ეროვნული ლიტერატურა, როგორც მსოფლიო კულტურის შემადგენელ ნაწილი. შეერთებულ შტატებში, სადაც 2009 წლის მონაცემებით 6 მილიონი მხოლოდ ესპანურენოვანი მოსწავლეა, მხოლოდ ერთ, კალიფორნიის შტატში 1, 56 მილიონი მოსწავლეა რეგისტრირებული როგორც ინგლისური ენის შემსწავლელი, მათში 1. 3 მილიონი ესპანურენოვანია. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეერთებულ შტატებს ბილინგვალ ან ენის შემსწავლელ მოსწავლესთან მუშაობის საკმაო გამოცდილება დაუგროვდა; სწორედ ამდენადაა საინტერესო, რა პრიორიტეტები აქვს მას მეორე ენის სწავლების პრაქტიკაში: ინგლისურის, როგორც მეორე ენის შემსწავლელისათვის, სახელმწიფო ქარტიის კურიკულუმის დებულების სტატია 22, თავი 4, სექცია 4.26 ყველა სკოლას ავალდებულებს, წარმოადგინოს საკუთარი პროგრამა ყველა მოსწავლისათვის ვისაც ინგლისური ენის შეზღუდული ცოდნა აქვს, ან სახელმწიფო ენის შემსწავლელია. დებულებაში ნათქვამია: „ყველა სასკოლო რაიონმა უნდა წარმოადგინოს პროგრამა თითოეული მოსწავლისათვის, რომლის მთავარი ენა ინგლისური არ არის. იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის მოსწრებას ინგლისური ენის მაღალ დონეზე დაუფლებას და 4.12 პუნქტში მოყვანილი სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიღებას. ამ სექციის მიხედვით შექმნილი პროგრამა უნდა შეიცავდეს ბილინგვურ-ბიკულტურული განათლებისათვის სათანადო მასალას.

სანიმუშოდ ავიღოთ შეერთებული შტატების ერთ-ერთი სკოლა, სადაც კურიკულუმი გაწერილია ინგლისური ენის მოთხოვნის შესაბამისად (<<http://www.usd116.org/uhs/guidance/courses.html>>) და ბილინგვურ-ბიკულტურული განათლებისათვის სათანადო მასალაც წარმოდგენილია:

- მე-9 კლასში 2 სემესტრი ეთმობა თხზულების წერას;
- მე-10 კლასში 2 სემესტრი ეთმობა მსოფლიოთმცოდნეობას, რაც ინგლისურად თარგმნილ ლიტერატურასაც გულისხმობს;
- მე-11 კლასში 2 სემესტრი ეთმობა ამერიკისმცოდნეობას, რაც ეროვნულ ლიტერატურასაც მოიცავს;
- მე-12 კლასში 2 სემესტრი ეთმობა უშუალოდ ინგლისური ენის სწავლებას.

9	10	11	12
თხზულებათა წერა მომზადების მაღალი საფეხურის მოსწავლისათვის: ინტენსიური წერის კურსი, ლიტერატურაში მაღალი მოსწავ-	მომზადების მაღალი საფეხურის მოსწავლისათვის: მსოფლიო-ცოდნეობა წერის ინტენსიური კურსია, სადაც მსოფლიოს კულტურის, ლიტერა-	ამერიკისმცოდნეობა – მომზადების მაღალი საფეხურის მოსწავლის პროგრამა – ითვალისწინებს მეცადინეობებს თხზულებების წერაში, შეასწავლის ჩრდილოეთ	მომზადების მაღალი საფეხურის მოსწავლისათვის: მოსწავლე ვალდებულია წაიკითხოს კლასგარეშე ლიტერატურა; ძირითადი სახელ-



<p>რების მქონე მოსწავლეებისათვის, სადაც მათ კვლევის უნარ-ჩვევებიც უყალიბდებოდათ. ძირითადი სახელმძღვანელოა The Prentice Hall Reader</p>	<p>ტურის შეცნობით ხდება კითხვის სტრატეგიების, გრამატიკის, კვლევის მეთოდის სწავლება. ძირითადი სახელმძღვანელოა „მსოფლიო ლიტერატურა“ ჰოლტის, რაინ-ჰარტისა და უინსტონის ავტორობით.</p>	<p>და სამხრეთ ამერიკის ლიტერატურას; ის კოორდინირებულია სოციალურ მეცნიერებათა სწავლებასთან; საწყისი ტექსტია ლიტერატურის ელემენტები;</p>	<p>მძღვანელოა: პროზა, პოეზია, დრამატურგია ქ. ჯ. კენედის ავტორობით. სასწავლო ტექსტებია: მეფე ლირი, მედიცინის სიყვარული, შეყვარებული, მათი ტვირთი, მეფის მთელი მხედრობი, თეთრი ხმაური, იბსენის ოთხი პიესა. დავალებები წერაკითხვაში მოსწავლეს საშუალებას აძლევს, სასწავლო წლის ბოლოს, მომზადების მაღალი საფეხურის მოსწავლეთა გამოცდა მაისში ჩააბაროს. ამ გამოცდაზე მაღალი ქულის მიღება კოლეჯის რიტორიკის ან ინგლისურის 6 საათიან კრედიტს უტოლდება.</p>
<p>წერის ინტენსიური კურსია, მოსწავლეებს კვლევის უნარ-ჩვევების საფუძვლები უყალიბდებოდათ.</p>	<p>მსოფლიომცოდნეობა წერის ინტენსიური კურსია, სადაც მსოფლიოს კულტურის, ლიტერატურის შეცნობით ხდება კითხვის სტრატეგიების, გრამატიკის, კვლევის მეთოდის სწავლება.</p>	<p>ეს კურსი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ აპირებენ მომზადების მაღალი საფეხურის პროგრამის შესწავლას; ითვალისწინებს მეცადინეობებს თხზულებების წერაში, შეასწავლის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ლიტერატურას; ის კოორდინირებულია სოციალურ მეცნიერებათა სწავლებასთან; საწყისი ტექსტია ლიტერატურის ელემენტები;</p>	<p>ლიტერატურა და თხზულება – კურსი ლიტერატურის ანალიზის თემატური დავალებებისაგან შედგება. ძირითადი ტექსტებია ოტელო, ჰამლეტი, მეტამორფოზები, ამერიკის გალიზიანება, ღვიძლი ვაჟი, მათი თვალები ღმერთს უცქერდა, დაიჭირეთ 22, სიდარტა, ფოიზნუდის ბიბლია, ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა.</p> <p>ბრიტანული ლიტერატურა, ძველი ინგლისურიდან მეოცე საუკუნის ჩათვლით. ტექსტებს შორისაა: ჰამლეტი, მაკბეტი, სიბენელის გული, უილბლობა.</p> <p>მწერალთა სახელოსნო კურსის მოდელია სასწავლო-სახელოსნო,</p>

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



		<p>სადაც ინდივიდუალურად ასწავლიან თხზულების, ნარატივის წერას და ამზადებენ აკადემიური სწავლებისათვის; სწავლებაში ჩართულია თანამედროვე ტექნოლოგიებიც; მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეძლევათ საკითხავი ლიტერატურის სია.</p>
--	--	---

<http://www.usd116.org/uhs/guidance/CourseGuide10-11.pdf>

გარდა ამისა, გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორიც: ელემენტარულ და საშუალო სკოლებში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ინგლისური ენის შემსწავლელებს სხვადასხვა დონე აქვთ; მაღალ კლასებში მეორე ენის შემსწავლელებისათვის ინსტრუქტაჟის ორგანიზება ხდება დონეთშორისი დაყოფის მიხედვით, ანუ დამწყები, საშუალო საფეხურის, მაღალი საფეხურის და გარდამავალი საფეხურის კლასებია ორგანიზებული; აღნიშნული მოდელის მიუხედავად, სწავლების ყველა საფეხურზე მოსალოდნელად მიიჩნევა, რომ მეორე ენის შემსწავლელებს სხვადასხვა პროგრესი ექნებათ, რასაც შეთვისების ინდივიდუალური უნარი განაპირობებს; პედაგოგს კი მოეთხოვება მოსწავლის სპეციფიკური უნარიდან და ცოდნის დონის შეფასების საფუძველზე, ინდივიდუალური პროგრამა შეიმუშაოს (<<http://schools.nyc.gov/Academics/ELL/FamilyResources/ELL>> +Programs.htm).

ამდენად, ცხადი ხდება, რომ აშშ-ში (1) სკოლებს თავად აქვთ საათობრივი ბაღე გაწერილი და საკუთარ მოსწავლეებზე მორგებული; (2) კლასები სავალდებულოა დაიყოს ბილინგვალ და ენის შემსწავლელი კატეგორიების მიხედვით; (3) ბილინგვალ და ენის შემსწავლელი კატეგორიის მოსწავლეები ინგლისურ ენაზე თარგმნილ მსოფლიო ლიტერატურას სწავლობენ. აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია და შედეგიანი.

თუ ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქე სკოლაში ქართულს დაეუფლოს, ან ბილინგვალად ჩამოყალიბდეს, მას ბიკულტურული ცოდნაც უნდა მიეცეთ; ბიკულტურულ ცოდნაში კი უნდა ვიგულისხმოთ როგორც ეროვნული ლიტერატურა, არამედ შესწავლიდან, ქართულ ენაზე თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებიც, როგორც უკვე ეროვნული კულტურის ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბხაზი 1987 –კ. აბხაზი, ილია: მოგონებები გარდასულ დღეთა, მოგონებანი ილიას შესახებ, თბ.: მერანი, 1987.

ლანგი, 1966 - LANG, D. M., January 1966, "Landmarks in Georgian Literature" Inaugural Lecture, London, School of Oriental and African Studies“.

პირსი, 1992-94 - PEIRCE, C.S. 1992-94 The Essential Peirce, eds. N. Houser and C. Kloesel (Vol. 1) and the Peirce Edition Project (Vol. 2), Bloomington IN: Indiana University Press.

რემი, შათირიშვილი, 2004 - RAM, H., 2004, Romantic Topography and the Dilemma of Empire: the Caucasus in the Dialogue of Georgian and Russian Poetry. Co-authored with Zaza Shatirishvili, Russian Review, Vol. 63: pp.1-25.



**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching;
Problems and Challenges**



საყვარელიძე, 2001 – ნ. საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
სერნა, Education Vol. 130 No 1 - SERNA, C., Autores Bilingües / Bilingual Authors: Writing Within Dual Cultural And Linguistic Repertoires, C. Education Vol. 130 No 1.
უილისი, 1997 - WILLIS, D., 1997, Second Language Acquisition. University of Birmingham, Centre of English language Studies:44-45, 132-133, 147-148.

ელექტრონული მისამართები:

<http://www.lingua.ge/kanoni.html>
<http://www.lingua.ge/normalizacia.html>
www.ganatileba.org
www.cciir.ge/upload/editor/.../qarTuli%2020srandarti-1-12%20klasi.do
<http://www.sde.ct.gov/sde/site/default.asp>
<http://www.usd116.org/uhs>
[http://www.portal.state.pa.us/portal/server.pt/community/english_as_a_second_language/7529;](http://www.portal.state.pa.us/portal/server.pt/community/english_as_a_second_language/7529)
<http://www.policyalmanac.org/education/archive/bilingual.pdf> - Patricia Osorio-O'Dea Bilingual Education: An Overview CRS Report for Congress Received through the CRS Web Bilingual Education: An Overview Updated June 7, 2001 Analyst in Social Legislation; Domestic Social Policy Division Congressional Research Service. The Library of Congress

მაყვალა ხარშილაძე

თამარ კერძია

ნანა ბერეკაშვილი

დოქტორი უზნაძის სახელობის
ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

სახელმწიფო ენა და ინტეგრაციის პრობლემები

აბსტრაქტი



მეორე ენის სწავლებისას უაღრესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს ენის შემსწავლელის მიდგომა ინსტრუმენტულია თუ ინტეგრაციაზეა ორიენტირებული. მოსწავლეები უფრო ხშირად ირჩევენ ინსტრუმენტულ მიზეზებს, თუმცა ენის შესწავლისას უფრო წარმატებულია ის, ვინც ამჯობინებს ინტეგრაციულ მიდგომას. დღესდღეობით მოტივაცია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლისადმი უფრო ინსტრუმენტულია. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ყოველდღიური საჭიროების თვალსაზრისით, აშკარად უპირატესი მდგომარეობა აქვს ქართულს (74.2%) და რუსულს (55.1%), შემდეგ მოდის მშობლიური ენები. სწავლისთვისაც და პროფესიული საქმიანობისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული (68.8%) და რუსული (40.7%). ამასთანავე, გაიზარდა ინგლისური ენის ცოდნის საჭიროება და გაჩნდა ინტერესი თურქული ენისადმი. შორეული მომავლისთვის მოსწავლეებს ინგლისური და სხვა ევროპული ენების ცოდნა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე ქართულისა. ინტეგრაციაზე ორიენტირებული მოტივაციის განვითარებისთვის მეორე ენის სწავლებისას სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებში უნდა იქნეს ასახული ინფორმაცია არა მარტო ამ ენის მატარებელი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესახებ. მეორე ენის შემსწავლელს უნდა ჰქონდეს საშუალება დარწმუნდეს, რომ მისი მშობლიური კულტურა ასევე მიღებული და აღიარებულია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალ ასაკში, როდესაც ხდება იდენტობის ფორმირება, ეთნიკური და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება.

როდესაც მეორე ენის სწავლებასა და ბილინგვურ განათლებაზე ვსაუბრობთ, უაღრესად მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, ენის შემსწავლელის მიდგომა ინსტრუმენტულია თუ ინტეგრაციაზეა ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მეორე ენის შესწავლის ლამბერტისა და კლემანის სოციალურ-აღმზრდელობითი მოდელები.

ლამბერტი მიიჩნევს, რომ მეორე ენის დაუფლების ძირითადი ფაქტორი არის მოტივაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის იდენტურობის განვითარებაზე. *ინსტრუმენტული ორიენტაციის* მქონე ადამიანისთვის მეორე ენა არის მხოლოდ ინსტრუმენტი რაიმეს მისაღებად. *ინტეგრაციაზე ორიენტირებული* მოტივაციის მქონე შემსწავლელს კი აქვს სურვილი და განზრახვა, იყოს ამ საზოგადოებაში ინტეგრირებული; მოსწავლეები მეორე ენის სწავლისას უფრო ხშირად ირჩევენ ინსტრუმენტულ მიზეზებს, თუმცა ენის შესწავლისას უფრო მოტივირებული და უფრო წარმატებულიც არის ის, ვინც ამჯობინებს ინტეგრაციულ მიდგომას (ლამბერტი, 1981).

კლემანი აქცენტს აკეთებს სოციალურ-კულტურულ კონტექსტზე. იგი ხაზს უსვამს მეორე ენის დაუფლებისას საკუთარი კულტურისა და ენის დაკარგვის, ასიმილაციის შიშის მნიშვნელობას. დამოკიდებულება ასიმილაციის შიშსა და ინტეგრაციის მოტივაციას შორის განსაზღვრავს მეორე ენის დაუფლების მოტივაციასა და სწავლის შედეგიანობას.

როგორ შეიძლება ინტეგრაციაზე ორიენტირებული მოტივაციის განვითარება? რამდენადაც ნებისმიერი ენის სწავლება დაკავშირებულია იმ ქვეყნის კულტურასთან, რომელშიც ამ ენაზე ლაპარაკობენ, სკოლაში მისი სწავლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიკულტურული განათლების ფენომენი. სასწავლო პროცესის წარმართვისას ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ ბავშვი არის არა მარტო სწავლის სუბიექტი, არამედ ასევე კულტურათაშორისი ურთიერთობის სუბიექტი. სამყაროს მისეული ინდივიდუალური ხედვა, მისი მოტივები, სოციოკულტურული განვითარება, მისი ემოციები და განწყობილება, აქტუალური ინტერესები და მოთხოვნილებები ფართოვდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება მეორე ენის მეშვეობით სხვა კულტურის გაცნობის შედეგად.

ენის სწავლება ნიშნავს ასწავლო ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურა. საჭიროა განვავითაროთ უნარი შეადაროს "თავისი" და "სხვისი" კულტურული მემკვიდრეობა, გააცნობიეროს რა აერთიანებს ამ კულტურებს, რით განსხვავდება და რატომ. ეს არის მეორე ენის სწავლების "კოგნიტური საფუძველი". სწავლების პროცესში (კურიკულუმში, მეთოდებში და სასწავლო პროგრამებში) უნდა იქნას ასახული არამარტო შესასწავლ ენაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები და ინფორმაცია ამ ენის მატარებელი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესახებ. მეორე ენის შემსწავლელს უნდა ჰქონდეს საშუალება



დარწმუნდეს, რომ მის მშობლიურ ენაზე შექმნილ შედეგებს, მისი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობასაც იცნობენ და აფასებენ, მისი მშობლიური ფოლკლორი და კულტურა ისევეა მიღებული და აღიარებული, როგორც სხვა ერების კულტურა. ასეთ შემთხვევაში მცირდება ასიმილაციის შიში და წამყვან პოზიციას იკავებს ინტეგრაციის მოტივაცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდობის ასაკში, როდესაც ხდება იდენტობის ფორმირება – ეთნიკური და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება.

მეორე ენის დაუფლება ხდება ან შედარებით არაფორმალურ სიტუაციაში, კონკრეტული კომუნიკაციური აქტების განხორციელებისას წაბადვის საშუალებით, ან საგანმანათლებლო სისტემაში ფორმალური სწავლების სახით. სპეციალისტების აზრით, სწავლება არაფორმალურ სიტუაციაში მიდის უფრო სწრაფად, არის უფრო ღრმა და მიღწეული შედეგებიც ღრმში უფრო გამძლეა, ვიდრე მეორე ენის სკოლაში სასწავლო საგნის სახით ან სპეციალურ სასწავლო სიტუაციებში სწავლებისას.

რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში 2008-2009 წლებში განხორციელდა პროექტი "არასასწავლო ქცევის პირობებში ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამა დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის". მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვესწავლა ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენლების დამოკიდებულება (ენობრივი განწყობა) სახელმწიფო (ქართული) და სხვა ენებისადმი.

ენობრივი სიტუაციის კვლევის მიზნით შეიქმნა კითხვარი, რომელიც შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან.

პირველი ნაწილი მოიცავს ათ კითხვას და მიზნად ისახავს ზოგადი ინფორმაციის მიღებას: რომელ ენებს აძლევენ რესპონდენტები უპირატესობას ყოველდღიურ ცხოვრებაში; რომელი ენის ცოდნაა აუცილებელი პროფესიული საქმიანობისათვის ან განათლების მისაღებად; რომელი ენის მეშვეობით უხდებათ ურთიერთობა სახელმწიფო სტრუქტურებთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვერკვია, სამომავლოდ რომელი ენის ცოდნას მიიჩნევენ რესპონდენტები აუცილებლად; რომელი ენის სწავლას ისურვებდნენ თავიანთი ბავშვებისათვის; რომელი ენის გამოყენება სურთ თემში სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან ურთიერთობისას; მიაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო (ქართული) ენა.

იმის დასადგენად, თუ როგორია დამოკიდებულება არა მარტო სხვადასხვა ენისადმი, არამედ სხვადასხვა ხალხისა და კულტურისადმი, გამოვიყენეთ პროექციული მეთოდი – რესპონდენტებს უნდა წარმოედგინათ ცენტრში საკუთარი თავი და ჩამოთვლილი ენები (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული, ბერძნული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჩინური) და უნდა განეგადავინათ კონცენტრირებულ წრეებზე. იგივე მეორედბოდა სხვადასხვა ხალხისა და კულტურების მიმართ.

მეორე ნაწილში წარმოდგენილი კითხვების მეშვეობით გვსურდა გაგვერკვია რესპონდენტების დამოკიდებულება ქართული ენის სწავლებისადმი: საკმარისია თუ არა სასკოლო სწავლება ქართული ენის დაუფლებისათვის; რამდენად დამაკმაყოფილებელია სახელმძღვანელოების ხარისხი, მასწავლებელთა მომზადება და სასწავლო საათების რაოდენობა; სკოლის გარდა, კიდევ სად შეიძლება ქართული ენის შესწავლა და სწავლების რა მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას რესპონდენტები (ტრადიციული მეთოდებით, ტრენინგებით, სპეციალური პროგრამებით, კერძო მასწავლებელთან მომზადებით და სხვ.). ამასთან, გვსურდა დაგვედგინა ვითარება ქართული ენის ფლობის თვალსაზრისით. რესპონდენტებს ვთხოვდით ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე: რა დონეზე ფლობენ ქართულს ამჟამად (ვიცი საკმაოდ კარგად; ვიცი, მაგრამ არასაკმარისად; ვიცი ელემენტარულ დონეზე; საერთოდ არ ვიცი); ოჯახის წევრებმა თუ იციან ქართული ენა (ყველამ, ზოგიერთმა, ერთმა წევრმა, არავინ); მათი აზრით, რომელი თაობის ადამიანებმა იციან უფრო კარგად ქართული ენა (უფროსმა, საშუალო თუ უმცროსმა თაობამ).

კვლევისთვის სამიზნე ჯგუფებად მივიჩნიეთ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები თბილისის საჯარო სკოლებში (სომხური და აზერბაიჯანული), ახალქალაქისა და მარნეულის საჯარო სკოლებში. გარდა ამისა, გამოკითხულ იქნა ქართული სექტორის მასწავლებლები და მარნეულში სახელმწიფო სტრუქტურების (გამგეობა, ნოტარიალური



სამსახური, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი) თანამშრომლები.

სულ გამოიკითხა 463 რესპონდენტი (163 მასწავლებელი, 108 მშობელი, 192 მოსწავლე).

მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აშკარად იკვეთება ქართული ენის მნიშვნელობა და ღირებულება არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის, როგორც ყოველდღიურობაში, ისე პროფესიული საქმიანობისა თუ სახელმწიფო დაწესებულებებში საქმიანი ურთიერთობების თვალსაზრისით, თბილისშიც და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებშიც (ქვემო ქართლი, ჯავახეთი). კერძოდ:

ერთაშორის ურთიერთობის ენად, ქართულის გარდა, ჯერ კიდევ გამოიყენება რუსული ენა (მისი საჭიროება განსაკუთრებით ახალქალაქში ჩანს). მესამე ადგილზე არის მშობლიური ენები (ჩვენს შემთხვევაში სომხური და აზერბაიჯანული).

სულ უფრო მყარ პოზიციებს იკავებს ინგლისური ენა. მართალია, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ერთაშორის საურთიერთო ენას ყოველდღიურობაში ან სახელმწიფო დაწესებულებებში (თუმცა ასეთი შესაძლებლობაც აღნიშნეს რესპონდენტებმა), მაგრამ პროფესიული საქმიანობისთვის მისი ცოდნის აუცილებლობაზე გამოიკითხულთა 13.5% მიუთითებს.

სწავლისთვისაც და პროფესიული საქმიანობისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული (68.8%), შემდეგ რუსული (40.7%) და მშობლიური ენები. ამასთანავე, ოთხჯერ გაიზარდა ინგლისური ენის ცოდნის საჭიროება (13.4%) და გამოჩნდა თურქული ენისადმი ინტერესიც, თუმცა მინიმალური სახით (1%) და მხოლოდ მშობლებთან.

სამომავლოდ შვილებისთვის სასწავლებლად ქართულის შემდეგ სწორედ ინგლისური სახელდება და არა რუსული. მოსწავლეების პასუხებში კითხვაზე – თუ სამომავლოდ მათმა შვილებმა რომელი ენა უნდა ისწავლონ, რესპონდენტთა მესამედი (30%) ინგლისურსა და სხვა ევროპულ ენებს ასახელებს. არც ისე სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ შვილებისთვის (ანუ უფრო შორეული მომავლისთვის ვიდრე მათი საკუთარი ცხოვრება) მოსწავლეებს ინგლისური (28.25) და სხვა ევროპული ენების ცოდნა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე ქართულისა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ენას ასახელებს რესპონდენტების მხოლოდ 27%.

რესპონდენტები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა სრულყოფილად ან ელემენტარულ დონეზე მაინც უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენა (ჩვენს შემთხვევაში ქართული). ქართული ენა, რესპონდენტების აზრით, უმცროსმა თაობამ უკეთ იცის, ვიდრე საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ აშკარაა მზაობა და სურვილი ქართული ენის შესწავლისა რესპონდენტთა ყველა კატეგორიაში (აპირებს ქართულის სწავლას 50.7%; სურს, მაგრამ არ იცის, როგორ მოახერხებს – 23.9%).

რაც შეეხება არაქართულენოვან სკოლებში (ანუ სომხურ და აზერბაიჯანულ სექტორებზე) ქართული ენის სწავლების საკითხს, მდგომარეობა ასეთია:

გამოიკითხულთა მესამედი მიიჩნევს, რომ ქართული ენის შესწავლისთვის სასკოლო სწავლება საკმარისია; თუმცა მასწავლებლების 41% საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს, მშობლების 43.1% კი ნაწილობრივ არის სასკოლო სწავლებით კმაყოფილი (განსაკუთრებით სომხური სკოლების მასწავლებლები).

რაც შეეხება სახელმძღვანელოების, ქართული ენის მასწავლებლებისა და ქართული ენისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობის შეფასებებს, რესპონდენტთა აზრი აშკარად დადებითია.

ნათელია, რომ დადებითი შედეგი გამოიღო სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში გატარებულმა პოლიტიკამ და გაიზარდა ქართული ენის შესწავლისადმი ინტერესი. სკოლის მიღმა ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობებს რესპონდენტები ხედავენ ქართულენოვანი მედიისა და ლიტერატურის გაცნობასა და მეგობრებსა თუ კოლეგებთან ურთიერთობისას.

კვლევამ აჩვენა, რომ დღესდღეობით მოტივაცია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლისადმი უფრო ინსტრუმენტულია (განსაკუთრებით მშობლებში). ამაზეა მომართული სახელმწიფო პოლიტიკაც, თუმცა ჯერჯერობით საქართველოს განათლების სისტემა და არსებული რესურსები ვერ უზრუნველყოფს უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე



ბავშვებისათვის თავიანთი პოტენციალის სრულად განვითარების შესაძლებლობას. ამან შესაძლოა დააქვეითოს ინსტრუმენტული სახის მოტივაცია ქართულისადმი და ინტერესმა გადაინაცვლოს სხვა ენებისკენ (მაგ. ინგლისურის, გერმანულის, თურქულის, ბერძნულის და/ან ჩინურის მიმართ), რომელთა დაუფლებაც მეტად შეუწყობს ხელს არაქართულენოვანი მოსახლეობის დასაქმებას და კეთილდღეობას. ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს და ჩვენმა გამოკითხვამ ეს ნათლად წარმოაჩინა. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინტეგრაციაზე მიმართული მოტივაციის განვითარებას (და არამარტო ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლებში).

ამა თუ იმ კულტურასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მოტივი ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ ეს საზოგადოება მას იღებს ისეთს, როგორც ის არის – თავისი ენით, გარეგნობით, ისტორიით, ტრადიციებითა და ფასეულობებით. მეორე ენა კი უნდა გახდეს მისთვის არა მარტო იმის საშუალება, რომ თვითონ გაიცნოს შესასწავლ ენაზე მოლაპარაკე ხალხი და მათი კულტურა, არამედ ასევე საშუალება, გააცნოს სხვებს თავისი გამოცდილება და მშობლიური კულტურა. მნიშვნელოვანია ქართულენოვანი სკოლების კურიკულუმშიც უფრო მეტად აისახოს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების როლი და წვლილი ქვეყნის განვითარებაში – ინტეგრაცია ხომ ორმხრივი პროცესია.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფთარაშვილი, 2010 - ი. აფთარაშვილი, „მეორე ენის შესწავლის ფსიქოლოგიური ფაქტორები სასკოლო გარემოში“, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი "ბილინგუური განათლება" №2, 2010, გვ. 2-11.

გარდნერი, 2006 - ნ. გარდნერი, “ინსტიტუციური მოდელების მიმოხილვა ორენოვან განათლებაზე აქცენტით”. – კრებ. “ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებებში”, ჩ1 დ –ს კონფერენციის მასალები, თბილისი, 2 მარტი 2006 წ., 132-150.

გარდნერი & ლამბერტი, 1972 - Gardner R. CCC., & Lambert W. E. (1972). Attitudes and motivation in second language learning. Rowley, Mass.: Newbery House.

ხარშილაძე, კერძია, ბერეკაშვილი, უთურგაიძე, 2009 - მ. ხარშილაძე მ., თ. კერძია, ნ. ბერეკაშვილი, მ. უთურგაიძე, „ლინგვისტური მრავალფეროვნება და ენობრივი პრობლემები საქართველოში“, კრ. "ფსიქოლოგია" XXI, თბილისი, 2009, გვ. 163-172.

ზაალ კიკვიძე
ირინე ჩაჩანიძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო

ენობრივი სიტუაციის მოდელირება ტირმინთა და ცნებათა მანიპულირების მეშვეობით

აბსტრაქტი

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია საბჭოური პერიოდის დისკურსისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შემცველი უხვი ემპირიული მასალა, რომელიც მრავალი სხვადასხვა ავტორის ნაშრომებიდანაა აღებული, ეს



ნაშრომები კი ე.წ. მეორე მშობლიური ენის საკითხს ეხება; ამ "ტერმინში" იგულისხმებოდა რუსული ამ სახელმწიფოში მოქცეული ყველა არარუსისათვის. ნიშანდობლივია, რომ, მცირედი გამონაკლისის გარდა, თითქმის არც ერთ რუსულენოვან ავტორს არანაირად არ ეხამუშება ეს სიტყვათშეხამება. აქ თვალშისაცემია არა მარტო პოლიტიკური სარჩული (გარუსების აპოლოგია), არამედ ენობრივ-კოგნიტური ფაქტორიც, რომელიც მათდა უნებურად ხდის ფარდას მათი განცხადებების ჭეშმარიტ არსს. ე.წ. „მეორე მშობლიური ენის“ შესახებ წერისას რუსულენოვანი ავტორები ცდილობენ, რომ ამ „ტერმინით“ აღნიშნული ცნება აქსიომატურად წარმოგვიდგინონ, ე.ი. ხდება ენობრივი სიტუაციის მოდელირება ტერმინებითა და ცნებებით მანიპულირების გზით.

ნაშრომში წარმოჩენილია ის ფაქტი, რომ ენობრივი სიტუაციები შესაძლოა დაექვემდებარონ მოდელირებას არა მარტო გარკვეული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების გატარების, არამედ აგრეთვე შესაბამისი შინაარსის დისკურსისათვის გასაქანის მიცემის საშუალებით, მიუხედავად იმისა, რამდენად ადეკვატური იქნება მიღებული სურათი სინამდვილესთან.

თავის დროზე საბჭოთა კავშირში გატარებული ასიმილაციონისტური პოლიტიკის ვუალირების მიზნით რუსულენოვან პუბლიკაციებში შემოთავაზებული იყო ტერმინი **второй родной язык** *მეორე მშობლიური ენა, რაშიც, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა რუსული საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა არარუსისათვის. ნიშანდობლივია, რომ, მცირედი გამონაკლისის გარდა, თითქმის არც ერთ რუსულენოვან ავტორს არანაირად არ ეხამუშება ეს სიტყვათშეხამება. განვიხილავთ ზოგიერთი რუსულენოვანი ავტორის გამონათქვამებს ამ საკითხთან დაკავშირებით. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვალშისაცემია არა მარტო პოლიტიკური სარჩული (გარუსების აპოლოგია), არამედ ენობრივ-კოგნიტური ფაქტორი, რომელიც მათდა უნებურად ხდის ფარდას მათი განცხადებების ჭეშმარიტ არსს. ე.წ. „მეორე მშობლიური ენის“ შესახებ წერისას რუსულენოვანი ავტორები ცდილობენ, რომ ამ „ტერმინით“ აღნიშნული ცნება აქსიომატურად წარმოგვიდგინონ, ე.ი. ხდება ენობრივი სიტუაციის მოდელირება ტერმინებითა და ცნებებით მანიპულირების გზით.

ჩვენ მიერ ზემოთ გაცხადებული მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა სწორედ ხსენებულ ავტორთა ციტატები, რომლებიც ისეთი ცალსახა თავიანთი პათოსით, რომ ზოგჯერ კომენტარიც კი არ გახლავთ საჭირო: „პარტიულ-პოლიტიკურ ლიტერატურაში ასევე შევიდა ცნება მეორე მშობლიური ენა. ბოლო დროს იგი ვრცელდება სამეცნიერო ლიტერატურაშიც“ (აგაევი, 1968, გვ. 136). სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენ არ ვახდენთ ამ და ზოგიერთი სხვა ავტორის გამონათქვამების, როგორც მეცნიერულად ღირებული შეხედულებების ციტირებას. ისინი წარმოადგენს თვალსაჩინო მასალას ჩვენთვის საინტერესო ენობრივ-კოგნიტური ერთეულების ფუნქციონირებაზე დასაკვირვებლად. მათი მეცნიერულად განხილვა რომ არ ღირს, ეს შემდეგი პასაჟითაც ჩანს: „ცნება მეორე მშობლიური ენის გამოყენების შესაძლებლობა უდავოა. პირველ რიგში, ისეთ კონკრეტულ შემთხვევებში, როცა უცხოენოვან გარემოში მცხოვრები ხალხი ისე თავისუფლად ეუფლება ამ გარემოს ენას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ინდივიდები ისე ფართოდ სარგებლობენ მითი, როგორც ეროვნულ-მშობლიური ენით. ასე, მაგალითად, ქართული ენით ამჟამად სარგებლობენ მეგრელები და ლაზები [?! - ზ. კ.]“ (იქვე, გვ. 137). ავტორის გასაოცრად, ზოგიერთი მეცნიერისათვის ეს ცნება მიუღებელი აღმოჩნდა, რადგანაც „მასში ხედავენ ხალხების სხვა ერის ენაზე გადაყვანის შენიღბულ პოლიტიკას“ (იქვე). ალბათ, უპირანი იქნება, თუ ა. აგაევს გამოვეხმაურებით კიდევ ერთი ციტატით: „ხშირ შემთხვევაში ამ პროცესს მივყავართ იქამდე, რომ რუსული ენა ხდება არარუსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მშობლიური ენა. ამის შედეგად, როგორც ეს აჩვენა სსრკ-ის მოსახლეობის 1959 წლის აღწერამ, სსრკ-ის არარუსი მოსახლეობის 10 მილიონზე მეტმა წარმომადგენელმა აღიარა რუსული თავის მშობლიურ ენად“ (დუშერიევი & პროტჩენკო, 1968, გვ. 122). ამგვარი გამშობლიურების სავალალო შედეგების შესახებ ჩვენ ვწვდით: „ვ
ო
დ
ე
ბ
ი (მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფია) ცხოვრობენ ლენინგრადის ოლქის



კინგისეპის რაიონში. მათი მშობლიური ენა ვოდური იყო; ამჟამად მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსულად ლაპარაკობს... მოსახლეობის ომისშემდგომ აღწერებში ეს ეროვნება საერთოდ აღარ გამოუყვიათ. გაქრა ენა და გაქრა ერიც. ასევე დაემართათ ლიეებს (ლატვია), ოროკებს (სახალინი), იაღნობებს, თალიშებს (ახერბაიჯანი) და მრავალ სხვას“ (კიკვიძე, 1990, გვ. 187).

მ. რილსკი ამბობს, რომ „ყაზახმა პოეტმა მუხთარ აიეზოვმა ზუსტად მონათლა რუსული საბჭოთა კავშირის ყველა განათლებული არარუსის მეორე მშობლიურ ენად“ (რილსკი, 1962, გვ. 102). თუმცა არსებობს სხვა ინფორმაციაც: „როდესაც ნ. ს. ხრუშჩოვი მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბეებზე ადიოდა, მიუბრუნდა თავის მხლებლებს და ისინი ასე დამოძღვრა: „რაც უფრო მალე დავიწყებთ რუსულად ლაპარაკს, მით უფრო მალე ავაშენებთ კომუნიზმს“. ამის შემდეგ ყირგიზეთში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. უსუმბალიევმა რუსული ენა ყირგიზეთა მეორე მშობლიურ ენად გამოაცხადა“ (კიკვიძე, 1990, გვ. 187). აღსანიშნავია, რომ იმ დროს ეს ყირგიზეთის პროგრესული ნაბიჯი გახლდათ, რადგანაც მათს ენას ფორმალურად მაინც ენიჭებოდა „პირველის“ სტატუსი.

ე.წ. „მეორე მშობლიური ენის“ შესახებ წერისას რუსულენოვანი ავტორები ცდილობენ, რომ ამ „ტერმინით“ აღნიშნული ცნება აქსიომატურად წარმოგვიდგინონ, ე. ი. ხდება ერთგვარი ინდოქტრინაცია (იხ. მაგ., ბელოდედი, 1969; კოსტომაროვი, 1963; დეშერიევი, კამარი, მელიქიანი, 1965; ბაზიევი, ისაევი, 1975; ხანაზაროვი, 1963; გარშვა, 1989). ზემოთქმულის ნათელსაყოფად განვიხილოთ ზოგიერთი ამ ავტორის გამონათქვამი. „მეორე მშობლიური ენა შეიძლება პირდაპირი გაგებით ვუწოდოთ იმ ენას, რომელზეც სიცოცხლის პირველივე წლებიდან მეტყველებენ მშობლიურ ენასთან ერთად, რაც შეინიშნება შერეულ ოჯახებში, სადაც ორი (ან რამდენიმე) ენა გამოიყენება. ამას გარდა, მეორე მშობლიურ ენად შესაძლოა იწოდებოდეს იმ მოსახლეობის ენა, რომელმაც დაკარგა ან კარგავს თავის პირველ მშობლიურ ენას“ (გარშვა, 1989, გვ. 31). აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი შენიშვნების გაკეთება: (1) ავტორი ბრჭყალებში სვამს „первый родной язык“, ხოლო второй родной язык ბრჭყალების გარეშე; (2) სამეცნიერო თვალსაზრისით, კ. გარშვას პოზიცია უცნაურია (თორემ მისი გამონათქვამი, როგორც პოლიტიკური თუ პროპაგანდისტული დისკურსი, სავსებით ექვემდებარება ასხნას): მისთვის უაპელაციოდ მისაღებია второй родной язык, როგორც ტერმინი; ამის შემდეგ ცდილობს, მოარგოს მას რაიმე განმარტება, ან შეურჩიოს ემპირიული საფუძველი. როდესაც ვ. ავრორინი საუბრობს ტერმინ „ბილინგვიზმის“ განმარტებასთან დაკავშირებული სიძნელების შესახებ, იგი აღნიშნავს, რომ ისინი, ვინც საჭიროდ არ მიიჩნევს, როგორმე მკაცრად განმარტონ ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, დაუნაწევრებლად იხილავენ ადამიანების უზარმაზარ მასებს, რომლებიც ასე თუ ისე ფლობენ ორ ენას, ანიჭებენ მათ ორენოვანთა დასახელებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩევენ ცნება „ორენოვანებისათვის“ იმგვარ განმარტებას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, რომ ამ მასიდან არც ერთი ერთეული არ დარჩეს გამოცალკევებული და ამგვარად შეინარჩუნებენ მის მასობრიობას, რომელიც მილიონებს მოიცავს. „სწორედ ეს მაქვს მხედველობაში, როდესაც ვსაუბრობ მსჯელობის შებრუნებული მიმართულების თაობაზე: არა რაობიდან სახელდება მდე, არამედ სახელდება რაობისაკენ. სწორედ ასეა საქმე „მეორე მშობლიური ენის“ შემთხვევაში“ (ავრორინი, 1975, გვ. 142). ღირსსაცნობია, რომ ვ. ავრორინი იმ იშვიათ გამონაკლისს განეკუთვნება რუსულენოვან ავტორთა შორის, რომლებიც ამ პრობლემას მეცნიერული თვალთახედვით გაანალიზებებს ცდილობენ.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთი ავტორის მიდგომას: „მეორე მშობლიური ენა... იმას ნიშნავს, რომ ერთაშორისი ურთიერთობის ენა, ყველაზე წამყვანი და მრავალრიცხოვანი ერის ენა, გახდა მანამდე ყველა ჩამორჩენილი და ჩაგრული ეროვნების სულიერი განვითარების წყარო, და, ამ გაგებით, მათთვის ახლობელი და მშობლიური. ერთაშორისი ურთიერთობის ენა მოცემული ერისათვის ხდება მეორე მშობლიური არა იმიტომ, რომ მთელს ერს ათვისებული აქვს იგი ისევე კარგად, როგორც თავისი ეროვნული ენა, არამედ იმიტომ, რომ ერთაშორისი ურთიერთობის ენა ეროვნულთან ერთად აუცილებელია მისი



განვითარებისათვის მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში” (ხანაზაროვი, 1963, გვ. 200). ამ სააგიტაციო პასაჟს კვლავ ვ. ავრორინის კომენტარით გამოვეხმაურებით, რადგანაც იგი არა მარტო ზემომოყვანილ ციტატაში წარმოდგენილი მოსაზრების უსაფუძვლობას უსვამს ხაზს, არამედ ამასთან ერთად მისი გამოსხმაურების ბოლო ნაწილი საკმაოდ ღირსსაცნობ ნიშნს გვთავაზობს ცნებითი მეტაფორების ენობრივ-კულტურული სპეციფიკის სფეროდან: „და კვლავ ჩნდება წინააღმდეგობა. თავიდანვე მოცემულია როგორც აქსიომა, რომ რუსული ენა გახდა მეორე მშობლიური ენა საბჭოთა კავშირის ყველა არარუსი ხალხისათვის, მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ ამ ენას ისევე, როგორც მშობლიურს, არარუს ხალხებს შორის ძალიან ცოტა ადამიანი ფლობს. ეს არის ინტელიგენცია და ისიც არა მთელი ინტელიგენცია; მუშებსა და გლეხებს შორის კი ასეთები უფრო იშვიათად გვხვდება. შეიძლება მოგვენახა გამოსავალი მდგომარეობიდან, თუ წავიდოდით იმ გამოცდილი გზით, რომ მაქსიმალურად გაგვეფართოებინა ცნება „მეორე მშობლიური ენა“. ასეც იქცევიან მეცნიერებაში ყოველგვარი „სიმკაცრის“ ურყევი მოწინააღმდეგეები. მათთვის საკმარისია ის, რომ მეორე არის ერთაშორისი ურთიერთობის ენა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სსრკ-ის ხალხთა ცხოვრებაში და დიდი პატივისცემით სარგებლობს, რომ შემდგომი განმარტებების გარეშე მივანიჭოთ მას მშობლიური (მეორე მშობლიური) ენის დასახელება. ასე რომ, სამეცნიერო ტერმინის ადგილს იჭერს მეტაფორა, რომელიც სავსებით უპრიანია პოეზიისა და პუბლიცისტიკის ენაში, ნებისმიერ ტექსტში, რომელიც დაწერილია ამდღებულ საზეიმო სტილში, მაგრამ არ არის თავსებადი მეცნიერების პროზაული ენის აუცილებელ სიზუსტესთან“ (ავრორინი, 1975, გვ. 143). ნიშანდობლივია, რომ ის, რაც რუსულენოვანი ვ. ავრორინისათვის, ტერმინად თუ არა, მეტაფორად მაინც გამოდგება „პოეზიისა და პუბლიცისტიკის ენაში, ნებისმიერ ტექსტში, რომელიც დაწერილია ამდღებულ საზეიმო სტილში“, ქართული ენის ცნებით სისტემასთან აბსოლუტურად არათავსებადია. პოლიტიკურ მოტივებს რომ თავი დაავანებოთ, აქ მიზეზი, რა თქმა უნდა, რუსულში დედაენა ს მსგავსი ცნებითი მეტაფორის არაპოვნის გამოცხადებაა საგულგებელი. სხვათა შორის, როდესაც ვ. პოლიგანოვს უწევს მსჯელობა დედაენის პრობლემების შესახებ და ეს, რა თქმა უნდა, ხდება რუსულად, იგი იძულებულია შემდეგნაირად მოიქცეს: „ტყუილად არ ხდება, რომ ჭეშმარიტი მშობლიური ენის აღსანიშნავად საენათმეცნიერო ტრადიციაში ფართოდ გამოიყენება ტერმინი Muttersprache (და არა Vatersprache)“ (პოლიგანოვი, 1968, გვ. 89). ქართულში კი ამ რუსული „ტერმინის“ ზედმიწევნითი თარგმანი *მეორე მშობლიური ენა პარადიგმატულად გვაძლევს *მეორე დედაენა ს; ქართული დედაენა კი მთავარ, საფუძველდამდებ, დვიდლ ენას ნიშნავს. ეს კი ზემოთ წარმოდგენილ ცნებით სისტემას ვერანაირად ვერ ებჯება. დედაენა მ, როგორც ფაქტმა და როგორც ცნებითმა მეტაფორამ, კიდევ ერთ საინტერესო სიტუაციაში იჩინა თავი და იმოქმედა კიდევ როგორც პოზიტიურმა მამოძრავებელმა ძალამ.

ზემოგანხილულზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ენობრივი სიტუაციები შესაძლოა დაექვემდებარონ მოდელირებას არა მარტო გარკვეული საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციული ზომების გატარების, არამედ აგრეთვე შესაბამისი შინაარსის დისკურსისათვის გასაქანის მიცემის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რამდენად ადეკვატური იქნება მიღებული სურათი სინამდვილესთან. ამგვარი რამ შეიძლება სხვადასხვა დროს მოხდეს; აღნიშნულის დასტურად მარინე ბერიძის სიტყვებს დავიმოწმებთ: „სამი ქართველური ენის და მათი დიალექტების მიერ „მოხაზული“ კულტურული კონტური კიდევ უფრო მყარსა და ურღვევს ხდის სანიმუშო და უნიკალურ ქართველურ ერთობას და ყოველგვარი პოლიტიზება ვითომდა პრევენციული „ფაბრიკაცია“ ამ საკითხებთან დაკავშირებული ფაქტებისა, უსარგებლო და გაუმართლებელია“ (ბერიძე, 2010, გვ. 1).

გამოყენებული ლიტერატურა:

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



- აგაევი, 1968 - Агаев А. Г. Функций языка как этнического признака. В кн.: Язык и общество. Москва: Наука, 1968: 124-138.
- ავრორინი, 1975 - Аврорин В. А. Проблемы изучения функциональной стороны языка (К вопросу о предмете социолингвистики). Ленинград: Наука, 1975.
- ბაზიევი & ისაევი, 1975 - Базиев А. Т., Исаев М. И. Язык и нация. Москва: Наука, 1975.
- ბელოდედი, 1969 - Белодед И. К. Развитие языков социалистических нации СССР. Киев: Наукова думка, 1969.
- ბერიძე, 2010 -- მ. ბერიძე, ქართული ეთნოლოგიური სინამდვილის ენობრივი კონცეპტუალიზაციის საკითხისათვის. FOLIA CAUCASICA. Festschrift für Jost Gippertz zum 55. Geburtstag. Frankfurt/M & Tbilisi: Logos, 2010: 1-34.
- გარშვა, 1989 - Гаршва . . Интерпретация некоторых статистических данных при изучении двуязычия и многоязычия (на материале Литовской ССР). В кн.: Принципы и методы социолингвистических исследований. Москва: Наука, 1989: 28-35.
- დემერიევი, კამარი, მელიქიანი, 1965 - Дешериев Ю. Д., Каммари ., Меликян . Развитие и взаимное обогащение языков народов СССР//Коммунист, № 13, 1965: 55-66.
- დემერიევი & პროტჩენკო, 1968 - Дешериев Ю. Д., Протченко И. Ф. Развитие языков народов СССР в современную эпоху. Москва: Наука, 1968.
- კიკვიძე, 1990 - ზ. კიკვიძე, ენის ეკოლოგიიდან ერის ეკოლოგიაზე //განთიადი, № 3, 1990: 186-188.
- კოსტომაროვი, 1963 - Костомаров, В. Г. Программа КПСС о русском языке. Москва: Просвещение, 1963.
- პოლივანოვი, 1968 - Поливанов Е. Д. Где лежат причины языковой эволюции? В кн.: Поливанов Е. Д. Статьи по общему языкознанию. Москва: Наука, 1968: 75-89.
- რილსკი, 1962 - Рильский М. Про людину для людини. Киев: Радьянский писатель, 1962.
- ხანაზაროვი, 1963 - Ханазаров К. Х. Сближение наций и национальные языки в СССР. Ташкент: Фан, 1963.

სოფიო მუჯირი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ენობრივი კომპეტენციების მიკუთვნების პრობლემები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს დონეებისადმი

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს განხილვას, რომელიც წარმოადგენს ევროპული განათლების სივრცეში ენობრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და ინსტრუმენტს



სახელმძღვანელოებისა და გამოცდების სტანდარტიზაციისათვის. მოკლედ ადწერილი ექვსსაფეხურიანი სკალის დიფერენცირებული სისტემა და დესკრიპტორები, რომლებსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს ტრანსფარენტულად და რელევანტურად, მეორე ნაწილი კი – არასრულყოფილად. გამოთქმულია მათი მეტად დახვეწის სურვილი, რათა შესაძლებელი გახდეს გამოსაცდელი პირის ენობრივი კომპეტენციის ზუსტი მისადაგება სარეკომენდაციო ჩარჩოს ამა თუ იმ დონისადმი. კრიტიკის საგანი ხდება ის ფაქტიც, რომ სარეკომენდაციო ჩარჩო არ იძლევა ცალსახა მითითებებს საგამოცდო ტესტის შედგენისათვის და არ ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ტესტის სირთულეს. სტატიაში გამახვილებულია ყურადღება ზეპირი მეტყველების გაგებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, რომელთა ანალიზის ბაზაზე შესაძლებელი ხდება რეკომენდაციების შემუშავება როგორც ზეპირი მეტყველების გაგების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებისათვის, ასევე, სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტთან მისადაგებული, მოსმენის კომპეტენციის შესამოწმებელი ტესტის შედგენისათვის.

ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო შეიქმნა 2001 წელს ევროსაბჭოს დავალებით. იგი ემსახურება ევროპაში ენობრივი პოლიტიკის გატარებას და პოლიტიკური ქმედებების განხორციელებას: „მულტიკულტურულ ევროპაში ენათა მემკვიდრეობითი მრავალფეროვნება უნდა გახდეს ევროპელთა ურთიერთგაგებისა და მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი“. „თანამედროვე ენების ცოდნა გააადვილებს ევროპელთა შორის კომუნიკაციასა და ინტერაქციას, შესაძლებელს გახდის ევროპაში მათი მობილობის ზრდას და ხელს შეუწყობს იდენტობათა პატივისცემას, კულტურულ მემკვიდრეობათა შენარჩუნებასა და განვითარებას“ (გოეთეს ინსტიტუტი, 2001, გვ. 15).

ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო (შემდგომში შემოკლებით: „სარეკომენდაციო ჩარჩო“) წარმოადგენს ბაზისს საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნისათვის, უცხო ენის გაკვეთილის რეფორმირებისათვის, კურიკულუმების განვითარებისათვის, ტესტების შედგენისათვის და ა.შ. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინტერნაციონალური მასშტაბით სახელმძღვანელოებისა და გამოცდების უნიფიკაციისა და სერტიფიკაციისათვის, რის გამოც მას გამოქვეყნებიდან ძალიან მოკლე ვადაში წილად ხვდა გასაოცარი რეზონანსი და აღიარება. გერმანულის, როგორც უცხო ენის, ოცდასამმა დიდაქტიკოსმა, თითოეულმა თავის კვლევის სფეროს თვალთახედვიდან გამომდინარე, უმაღლესი შეფასება მისცა **სარეკომენდაციო ჩარჩოს, როგორც „საერთო ევროპული განათლების სივრცეში ენობრივი პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს“** (რაუპახი, 2003, გვ. 156). სარეკომენდაციო ჩარჩოს შემდგომი დაზუსტების მიზნით ჩატარდა მრავალი ემპირიული გამოკვლევა, შეიქმნა საბაზისო დოკუმენტები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ „ევროპულ ენათა პორტფოლიო“, პროექტები: „ALTE“ და „DIALANG“, გერმანულენოვანი შვეიცარული კანტონების პროექტი „IEF“ და სხვ. (გოეთეს ინსტიტუტი, 2001, გვ. 218, 232, აქვე: B და C დანართები; ევროპულ ენათა პორტფოლიო).

ადრინდელი ნორმატიული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, სარეკომენდაციო ჩარჩო მოიცავს ახლებურად განსაზღვრულ და ერთიან სისტემაში მოყვანილ ყველა იმ პარამეტრს, რომელიც საჭიროა ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის. სარეკომენდაციო ჩარჩოს უმთავრესი კონცეპტებია: ა) პარადიგმის შეცვლა უცხო ენის გაკვეთილის, მისი მიზნებისა და შინაარსის სფეროში და ბ) ექვსსაფეხურიანი სკალის დიფერენცირებული სისტემა, რომელიც ადწერს კომუნიკაციური აქტივობებისა და ენობრივი კომპეტენციების დონეებს. ეს სისტემა მოიცავს იმ ცოდნასა და ჩვევებს, რომელთა მეშვეობით *ენის შემსწავლელებმა უნდა შეძლონ კომუნიკაციური ქმედების განხორციელება* საზოგადო, პროფესიულ და პირად სფეროში. დონეების საფეხურებრივ სისტემას აქვს ვერტიკალური და ჰორიზონტალური დიმენსიები. ვერტიკალური დიმენსია ასახავს ენობრივი კომპეტენციის ხარისხს (A – ენის ელემენტარული გამოყენება; B – ენის დამოუკიდებელი გამოყენება; C – ენის კომპეტენტური გამოყენება) და დონეების შინაარსს, რაც ილუსტრირებულია



გლობალური სკალით. გლობალური სკალა სარეკომენდაციო ჩარჩოს ყველაზე მნიშვნელოვან სკალას წარმოადგენს. მასზეა ორიენტირებული ყველა დანარჩენი სკალა. ყოველი დონისათვის დეფინირებულია დესკრიპტორები, რომლებიც ენის შემსწავლელთა კომპეტენციის დონეს აღწერენ არა ნეგატიურად, მათი ცოდნის დეფიციტების ჩამოთვლით, არამედ პოზიტიურად: რომელ უნარ-ჩვევებს ფლობენ ისინი, რათა შეძლონ ამა თუ იმ საკომპეტენციო დონის მოპოვება. დესკრიპტორების ვარგისიანობას და ადეკვატურობას (ვალიდურობას) ადასტურებენ გ. შნაიდერი, ბ. ნორტი და სხვ. მეცნიერები შვეიცარულ პროექტში, რომელშიც ყოველი დესკრიპტორი ასობით ცდისპირის მიერაა შემოწმებული, ხოლო სკალები სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობითაა შედგენილი (შნაიდერი, 2000) პროექტი ეფუძნება ემპირიულ გამოკვლევებს, ასევე განათლების სხვადასხვა სექტორში მოღვაწე მასწავლებელთა გამოცდილებას, რომლებიც ამ დესკრიპტორებს მიიჩნევენ „ტრანსფარენენტულად, ვარგისიანად და რელევანტურად“ მიუხედავად ამისა, სარეკომენდაციო ჩარჩოს ავტორები დონეების დესკრიპტორებით აღწერას რეკომენდაციის სახით გვთავაზობენ, რამაც „უნდა გვიბიძგოს ფიქრის, მსჯელობისა და დესკრიპტორების შემდგომი დახვეწისაკენ, ამ სფეროში შექმნილი გამოცდილებისა და ფაქტების ობიექტური აღწერის საფუძველზე“ (გოეთეს ინსტიტუტი, 2001, თავი III). უფრო მეტიც, ისინი მომხმარებელს სთავაზობენ სკალირების სისტემისა და დესკრიპტორების კრიტიკულ შეფასებას, რაც დღემდე წარმოადგენს აქტუალური დისკუსიის საგანს. **სარეკომენდაციო ჩარჩოს კრიტიკა** თავდაპირველად დაიწყო ენობრივი ტესტის ცნობილმა სპეციალისტებმა: კ. რ. ბაუშმა, ჰ. კრისტმა, ფ. გ. კიონიგმა და ჰ. ი. კრუმმა, რომლებიც ტესტის შედგენისას ხელმძღვანელობდნენ სარეკომენდაციო ჩარჩოს დესკრიპტორებით. ტესტის შემდგენლები აღნიშნავენ, რომ სარეკომენდაციო ჩარჩო არ იძლევა ცალსახა მითითებებს საგამოცდო ტესტის შედგენისათვის და არ ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ტესტის სირთულეს (ბაუში, 2003, გვ. 145-155; კვეტცი, 2001, გვ. 553-563; ბუგატე, 2001). ექვსსაფეხურიანი სკალისა და დესკრიპტორთა კრიტიკის მიხეზი ხდება ის ფაქტიც, რომ როგორც ზოგადი ენობრივი კომპეტენციის, ასევე საკომპეტენციო პროფილების ფარგლებში ყოველთვის არ ხერხდება გამოსაცდელი პირის ენობრივი კომპეტენციის ზუსტი მისადაგება სარეკომენდაციო ჩარჩოს ამა თუ იმ დონისადმი. სარეკომენდაციო ჩარჩოს მომხმარებელს „ენობრივი კომპეტენციის დონის“ ან „სპეციალური პრობლემური სფეროს აღწერის დროს ესაჭიროება უფრო ზუსტი ქვეკატეგორიის ფორმულირება, ვიდრე ამას სარეკომენდაციო ჩარჩოს კლასიფიკაცია შეიცავს“. მართალია, სკალათა დესკრიპტორები შეფასებისა და სწავლის პროცესის დაგეგმვისათვის საჭიროა, მაგრამ „ისინი უფრო უცხო ენის გაკვეთილის ძველ ბიჰევიორისტულ განმარტებებს გვაგონებენ და ასრულებენ იმ ჯოხის ფუნქციას, რომელსაც უნდა გადაახტეს გაწვრთნილი პუდელი“. თუ პუდელმა ეს შეძლო, მაშინ სწავლის მიზანი მიღწეულია (კვეტცი, 2001, გვ. 561). გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები ზოგიერთი ცნების ზედაპირულ აღწერასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ეს ეხება ფრაზას: „შეუძლია ... გაგება“: კომპეტენციათა აღწერები განსაზღვრავენ სასწავლო მიზნებს, რომელთა შემოწმება შესაძლებელია, მაგრამ მოსმენილის გაგების პროცესის შემოწმება შეუძლებელია და ეს სარეკომენდაციო ჩარჩოში არაა თემატიზებული. სარეკომენდაციო ჩარჩოში არ არის ახსნილი არც თავად „გაგების“ ცნება და არც ის, თუ როგორ მიმდინარეობს „გაგების“ პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ „გაგების“ ფსიქოლინგვისტური ცნება მეტად მნიშვნელოვანია დიდაქტიკისათვის, განსაკუთრებით C1 და C2 საფეხურებზე. სარეკომენდაციო ჩარჩოს შესავალ ნაწილში პოსტულირებულია „მრავალენოვანი კომპეტენციის შექმნა“, თუმცა შემდგომში მოსმენილის გაგების კომპეტენცია არ უკავშირდება არც სხვა უცხო ენის ცოდნას და არც ინტერნაციონალიზმების შეცნობას. აღინიშნება ასევე, რომ სარეკომენდაციო ჩარჩო ზედმეტად ნორმატიულია, „მაკდონალდიზებულია“. იგი არ გვაძლევს რჩევებს განათლების მიზნებთან და გაკვეთილის მეთოდებთან დაკავშირებით. სარეკომენდაციო ჩარჩოში არაა მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების სკალები, როგორცაა მაგ. თარგმანი, ინტერკულტურული უნარ-ჩვევები, არავერბალური კომუნიკაცია, სწავლის სტრატეგია და სხვ. ამრიგად, მეცნიერთა აზრით, სარეკომენდაციო ჩარჩოს ტაქსონომიური სისტემა ჯერ



კიდევ სრულყოფას საჭიროებს (კრისტი, 2003, გვ.57-66; რაუპახი, 2003, გვ. 156-163; ტრანტერი, 2003, გვ. 3-6).

ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ჰორიზონტალურ დიმენსიაზე მოცემულია ენობრივი კომპეტენციის ცალკეული აქტივობებისა და პარამეტრების სკალები. მათ შორის ენის შემსწავლელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ზეპირი მეტყველების მოსმენისა და გაგების კვალიფიკაცია** და მისი სხვადასხვა აქტივობების, მიზნებისა და მაგალითების აღწერა. **ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის გარეშე უცხო ენის შემსწავლელი უცხოენოვან სამყაროში ელემენტარულ დონეზე კომუნიკაციასაც კი ვერ გაართმევენ თავს, რადგან „ენის რეცეფციული აღქმა წარმოადგენს ამ ენის შესწავლის უმთავრეს წინაპირობას“** (პირშეფელი, 2001, გვ. 873). ემპირიული გამოკვლევებით დასტურდება, რომ „მოსმენას“ ენის ყოველდღიური გამოყენების დროს მართლაც წამყვანი ფუნქცია აკისრია – 42%. მას მოსდევს „მეტყველება“ – 32%, „კითხვა“ – 15% და „წერა“ – 11%. ის ფაქტი, რომ მოსმენა, პერცეფცია წარმოადგენს საფუძველს პროდუქციისათვის, მეტყველებისათვის, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია უცხო ენის გაკვეთილზე, რომელზეც „**უცხო ენის შესწავლას აუდიტორული ხასიათი უნდა ჰქონდეს**“ (ნოინერ/ჰუნფელი, 1993, გვ. 37). უცხო ენის გაკვეთილზე, ერთი მხრივ, უნდა ვიზრუნოთ აუდიო- და კომპიუტერული ტექნიკისა და უახლესი მეთოდიკა-დიდაქტიკის გამოყენებით მოსმენის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებისათვის, მეორე მხრივ კი, მხედველობაში უნდა მივიღოთ **ზეპირი მეტყველების გაგებასთან დაკავშირებული სირთულეები**. ამ სირთულეების ანალიზის ბაზაზე შესაძლებელი გახდება როგორც ენის შემსწავლელთა მიზნების გათვალისწინება, სასწავლო მასალის სწორი შერჩევა და გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში, ასევე, საგამოცდო ტესტის კორექტული შედგენა და ობიექტური შეფასება სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტის გათვალისწინებით. მართალია, ხშირ შემთხვევაში რთულია მოსმენის კომპეტენციის მისაღებად სარეკომენდაციო ჩარჩოს დონეებისადმი, მაგრამ ამ პრობლემის ოპტიმალური გადაჭრისათვის აუცილებელია გზების გამონახვა. ამრიგად, მოსმენის კომპეტენციის სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები და სირთულეები:

1. *შეუძლებელია ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგების პროცესზე უშუალო დაკვირვება*. ეს ფაქტი მოსმენას ძირეულად განასხვავებს მეტყველებისა და წერის უნარ-ჩვევებისაგან, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია. მოსმენის უნარ-ჩვევის ტესტირების დროს ჩვენი დაკვირვება გამოსაცდელ პირზე ამოიწურება მისი *რეაქციის გაკონტროლებით*, მაგ. შემოხაზავს თუ არა იგი მოსმენილი ტექსტის თანმხლებ დავალებაში რამდენიმე მოცემული ალტერნატივიდან სწორ ვარიანტს.

2. ენის სხვადასხვა შემსწავლელმა მოსმენილი ტექსტი შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიგოს. მოსმენილი ტექსტის გაგება აქტიური, სუბიექტური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია *ინტერინდივიდუალურ და პერსონალურ ფაქტორებზე*, როგორცაა: დისტანცია მშობლიურ და უცხოენოვან ქვეყანას შორის და ამ ქვეყნების კულტურათა ზოგადი ცოდნა, უცხო ენის შესწავლის მოტივაცია, ტექსტის ტიპებისა და სუპერსტრუქტურების მეტაკოგნიტური ცოდნა, გაგების კომპეტენცია მშობლიურ ენაში, ზოგადი ენობრივი და სტრატეგიული კომპეტენციები უცხო ენაში, დამახსოვრების უნარი და სხვ. (ამ პრობლემების სრული ჩამონათვალი იხ. ზოლმეკე, 1993, გვ. 34-38; ეგერსი, 1996, გვ. 21). სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ უცხო ენის შემსწავლელთა 65%-ს უცხოენოვანი მეტყველების მოსმენისა და მენტალური დამუშავების პროცესში აქვს უფრო ცუდი გაგებისა და დამახსოვრების უნარი, ვიდრე მშობლიურ ენაში. თუ უცხო ენის შემსწავლელს არა აქვს კარგად განვითარებული *პერცეფციული აღქმის უნარი*, მას ბგერითი ნაკადის აღქმა-გაგების დროს სიტყვების იდენტიფიკაციაც კი უჭირს. *რაც უფრო მეტი ლექსიკური და გრამატიკული კომპეტენცია აქვს უცხო ენის შემსწავლელს, მით უფრო უკეთ იმახსოვრებს იგი ტექსტის შინაარსს მოსმენის პროცესში და პირიქით, არასაკმაო ლექსიკური მარაგი წარმოადგენს მოსმენილი ტექსტის არაადეკვატური გაგების მთავარ მიზეზს* (გროტიანი, 1998, 35-83).



3. კითხვის პროცესისაგან განსხვავებით, მოსმენა „რეალურ“ შეზღუდულ დროში მიმდინარეობს, რის გამოც მოსმენის დროს აუდიტორული შთაბეჭდილება მეტად სწრაფი და ხანმოკლეა. მოსმენის პროცესს ართულებს ძალიან შენელებული, ან პირიქით, ჩქარი, აუთენტიკური მეტყველების ტემპი და აუდიოტექსტის თანმხლები ფონური ხმაური. თუ ამ სირთულეების გამო მსმენელმა ტექსტის ერთი ნაწილი კარგად ვერ გაიგო, მას უჭირს ტექსტის შემდგომი ნაწილის ადეკვატური გაგება. აკუსტიკური არხის სპეციფიკა განაპირობებს მოსმენილი ტექსტის დამახსოვრების შეზღუდულ შესაძლებლობებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტექსტის მოსმენას ერთვის თანმხლები დავალებები, რომელთა დამახსოვრება ასევე აუცილებელია ტექსტის გამიზნული სტილით მოსმენისა და დავალებათა შესრულებისათვის, ცხადი გახდება, რომ ყოველივე ამან გამოსაცდელი პირის კოგნიტური მეხსიერება შეიძლება ძალიან გადატვირთოს. დამახსოვრების პრობლემები მას მეტად შეექმნება, თუ დავალებები ტექსტის მოსმენის შემდეგაა მოცემული. ამ შემთხვევაში ფაქტობრივად უკვე გამოწვებთ არა მოსმენის უნარ-ჩვევას, არამედ გამოსაცდელი პირის დამახსოვრების უნარს.

4. ენის შემსწავლელთა მიერ მოსმენილი ტექსტის ადეკვატურ გაგებას მნიშვნელოვნად ართულებენ ზეპირი, ყოფითი მეტყველების სპეციფიკური მახასიათებლები. ზეპირი, ყოფითი მეტყველება ხასიათდება სპონტანურობით. სპონტანურობის ხარისხის ზრდის მიხედვით განასხვავებენ: არასპონტანურ ყოფით მეტყველებას, მომზადებულ ყოფით მეტყველებას და სპონტანურ ყოფით მეტყველებას. ყოფითი მეტყველება ხასიათდება პარატაქსებით, ელიფსებით, გამეორებებით, ჰეზიტაციური პაუზებით, ზმნის არაფინალური პოზიციით მაქვემდებარებელი კავშირების (weil, obwohl) შემდეგ, ნაწილაკებით, დიალექტური გამონათქვამებით, ვულგარიზმებით, კოარტიკულაციით, რედუქციით და ა.შ. (გლაბონიატი, 1998, გვ. 86). რაც უფრო სპონტანურია მეტყველება, მით უფრო მეტად გამოირჩევა იგი ამ თვისებებით. აუთენტიკური აუდიოტექსტების შერჩევის დროს ეს ფაქტი გასათვალისწინებელია როგორც პოტენციური სირთულის ფაქტორი.

5. უცხო ენის შემსწავლელს განსაზღვრული პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება სურდეს ზეპირი მეტყველების გლობალური, სელექციური გაგება ან მის დეტალურ ინფორმაციებზე ყურადღების გამახვილება. მოსმენის ყოველი მიზანი განსაზღვრავს მოსმენის სპეციფიკურ სტილს, მოსმენილი ტექსტის გაგების რავგარობას და ხარისხს (ზოლმეკე, 1993, გვ. 4-26).

6. სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ მოსმენის პროცესში ინფორმაციის გადამუშავების ორ ძირითად ფორმას: "ზევიდან ქვემოთ (top down)" და "ქვევიდან ზევით (bottom up)", რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. კამათის საგანია, თუ მოსმენის პროცესში რომელი ფორმაა უფრო დომინანტური. ემპირიული გამოკვლევების თანახმად, მსმენელებში, რომლებიც კარგად არ ფლობენ უცხო ენას, ჭარბობს "ზევიდან ქვემოთ (top down)" გაგების პროცესი, რომლის დროსაც მათ უადვილდებათ მოსმენილი ტექსტის გლობალური გაგება, ლოგიკური დასკვნების გაკეთება და ამის შედეგად "ქვევიდან ზევით (bottom up)", გაგების პროცესის კომპენსირება. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი აღნიშნავს, რომ მოსმენილი ინფორმაციის "ქვევიდან ზევით" (bottom up) გადამუშავების პროცესში უფრო ჩქარა და კორექტულად ხდება სიტყვათა შეცნობა. ჰეტეროგენულ ჯგუფში ტექსტის შედგენის დროს ეს მოვლენა ასევე მხედველობაშია მისაღები (ვოლფი, 2003, გვ. 11-16).

7. ზეპირი ტექსტის გაგებაზე გავლენას ახდენს კანდიდატის ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის დონე. განსხვავებით წერილი ტექსტისაგან, რომელიც წარმოადგენს დისკრეტული ერთეულებისაგან (ასოებისაგან, სიტყვებისაგან და ა.შ.) შემდგარ სისტემას, ზეპირი ტექსტი შეზღუდულ დროში რეალიზებული აკუსტიკური სიგნალია, ბგერათა ნაკადია, რომელშიც სიტყვათა საზღვრები ხშირად არაა კარგად გამოკვეთილი. მსმენელი იძულებულია დაანაწევროს უცხოენოვანი აუდიოტექსტი პაუზების დახმარებით, ბგერათა ნაკადში გამოარჩიოს ცალკეული სიტყვები და წინადადებები, რაც მოსმენილის აღქმა-გაგების პროცესს ართულებს. მოსმენილის გაგება მით უფრო რთულია,



რაც უფრო მეტია ზეპირ ტექსტში ისეთი ფონეტიკური მოვლენები, როგორცაა: კოარტიკულაცია, რეგრესული და პროგრესული ასიმილაცია, რედუქცია, ხმოვნის რედუქცირების ტენდენციები და სხვ. (გოჭი, 2000, გვ. 56-79).

8. ტესტის შედგენისა და შეფასების დროს გასათვალისწინებელია კანდიდატის, როგორც მსმენლის, როლი. გამოსაცდელმა პირმა მოსმენის პროცესში შეიძლება შეასრულოს ისეთი როლები, როგორცაა: ა) საუბრის მონაწილე, რომელსაც მოსმენაც შეუძლია და მეტყველებაც; ბ) ადრესატი, რომელსაც მეტყველი პირი უშუალოდ მიმართავს, მაგრამ თავად ადრესატს ნაკლებად აქვს პასუხის გაცემის შესაძლებლობა (მაგ. სტუდენტი ტრადიციულ ლექციაზე); გ) აუდიტორი, რომელსაც პასუხის გაცემის საშუალება საერთოდ არ აქვს და მისგან პასუხს არც ელიან (მაგალითად, რადიოგადაცემის მსმენელი). ამ პროცესს უწოდებენ ასევე „მოსმენას ცალმხრივი კომუნიკაციის დროს“; დ) თანამსმენელი – არ წარმოადგენს ადრესატს, ის შემთხვევითი მსმენელია, რომლისაგან პასუხს ასევე არ ელიან იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს გამოსაცდელი პირი, მას განსხვავებული კოგნიტური მოთხოვნები აქვს წაყენებული. მაგ. თუ იგი საუბრის მონაწილის როლს ასრულებს, მას შეუძლია საუბრის სხვა მონაწილეთა რეაქციების მიხედვით გადაამოწმოს მოსმენილი სიტყვების მნიშვნელობები. მაგრამ, პარალელურად, საუბრის პროცესში, მან უნდა დაგვემოს საკუთარი სათქმელი. ეს კი მას მნიშვნელოვნად უშლის ხელს თანამოსაუბრეთა ლაპარაკის გაგებაში. ტესტირებასთან მიმართებით, თანამსმენლის როლიც პრობლემატურია, ვინაიდან უცხო პირთა საუბრის მოსმენისას, თანამსმენელს არ გააჩნია საქმის ვითარებისა და კონსტიტუციის ცოდნა, რამაც, შესაძლოა, საუბრის გაგება შეუძლებელი გახადოს (ბრაუნი, 1995, გვ. 59; პაშკე, 2001, გვ. 151-165).

9. მოსმენილი ტექსტის თანმსლები დავალებების სირთულეს ხშირად თავად აუდიოტექსტის სპეციფიკა და დავალებათა ინსტრუქციების ხასიათი განაპირობებს. რ. გროტიანის აზრით, მოსმენის უნარ-ჩვევის შესამოწმებლად არ უნდა შევარჩიოთ „შინაარსობრივად პოლივალენტური“, „კონცეპტუალურად რთული“ ტექსტები (გროტიანი, 2000, გვ. 47). სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია მოსასმენი ტექსტების კოგნიტურ-კონცეპტუალური სირთულის სხვა მახასიათებელი თვისებებიც და აღინიშნება, რომ ტექსტები გამოსაცდელი პირისათვის მაშინ არის შედარებით ადვილი გასაგები, თუ ამ ტექსტებში:

- რეფერენტების (ინდივიდების, ობიექტების) მცირე რაოდენობაა მოცემული;
- ლოკალური მიმართებები ნაკლებად კომპლექსურია;
- რეალური თხრობის თანმიმდევრობა მოვლენათა თანმიმდევრობას შეესაბამება;
- საჭირო არაა რთული ლოგიკური დასკვნების გაკეთება მოსმენილის გასაგებად;
- ტექსტის შინაარსი კოჰერენტულია და მკაფიოდაა ფორმულირებული და სხვ.

(ბრაუნი, 1995, გვ. 70-73).

ზემოსხენებული სირთულების გამო, უცხო ენის შემსწავლელებს ხშირად უჩნდებათ უცხოენოვანი მეტყველების გაგების სპეციფიკური შიში, რომელიც გაგების პროცესის ბლოკირებას იწვევს.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება მთელი რიგი დასკვნების გამოტანა მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებისა და მოსმენის ისეთი ტესტის შედგენისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება: ენის შემსწავლელთა ჯგუფის წარმომავლობა (ინტერფერენციული თავისებურებების თვალთახედვით), მისი პომოვენური თუ პეტროვენური ხასიათი, ზოგადი ენობრივი კომპეტენცია, პირველ რიგში, ლექსიკურ-გრამატიკული და ფონეტიკურ-ფონოლოგიური (პერცეფციულ დონეზე ბგერებისა და სიტყვების დისკრიმინაციული და იდენტიფიკაციური აღქმისა და უცხოენოვანი ზეპირი ტექსტის სეგმენტაციის უნარი, ისეთი ფონეტიკური ფენომენების შეცნობის უნარი, როგორცაა: მახვილი, მელოდია, ასიმილაცია, რედუქცია და სხვ.), ზეპირი, აუთენტიკური ყოფითი მეტყველების მნიშვნელოვანი მახასიათებლებისა და ტემპის შეცნობისა და აღქმის უნარი. მსმენელებისათვის, რომლებიც კარგად არ ფლობენ უცხო ენას, უნდა შევარჩიოთ ნაკლებად სპონტანური აუდიოტექსტი, რომლის თანმსლები დავალებები ტექსტის მოსმენამდე იქნება მიცემული. მოსასმენ ტექსტში ყოფითი მეტყველების მახასიათებლები



ნაკლები სიხშირით უნდა იყოს წარმოდგენილი. არ უნდა შევარჩიოთ „კონცეპტუალურად რთული“ ტექსტები, მოსმენის სტილი უნდა იყოს უმთავრესად გლობალური ან სელექციური, მცირე ფონური ხმაურის თანხლებით. მსმენელის როლებიდან უნდა შევარჩიოთ ტესტირებისათვის უფრო ხელსაყრელი ადრესატისა და აუდიტორის როლები.

რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციაში მსმენელი იყენებს არა მხოლოდ აკუსტიკურ, არამედ ვიზუალურ არხსაც. ამიტომ, მას შეუძლია სამეტყველო სიტუაციის მიხედვით (კომუნიკაციის ადგილი, კომუნიკაციაში მონაწილე პიროვნებები, მათი ქსტები და მიმიკა) უკეთესად ჩასწვდეს მეტყველი პირის ინტენციას და შესაბამისად, უკეთესად გაიგოს და დაიმასსოვროს მიღებული ინფორმაცია. ვიზუალური კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში უცხო ენის შემსწავლელს მოსმენილის გაგება მნიშვნელოვნად უძნელდება. მართალია, „საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოში“ ყურადღება მახვილდება აუდიო-ვიზუალური რეცეფციის განვითარების რელევანტურობაზე (ფილმსა და ტელევიზიასთან მიმართებით), მაგრამ „მოსმენილის გაგების“ ტესტებში ვიზუალური კომპონენტი ყურადღების მიღმა რჩება. როგორც ჩანს, ტესტში ვიდეომასალის ჩართვა ტექნიკურ-ორგანიზაციული მიზეზების გამო ფერხდება, თუმცა ვიზუალური კომპონენტის, მაგ. რეკლამის, ფილმის სუბტიტრის და ა.შ. გათვალისწინება მოსასმენი ტექსტის გაგებას უფრო გააადვილებდა. (გინტერი, 2002, გვ. 165-167). მეცნიერთა ნაწილს მიზანშეწონილად მიაჩნია „მოსმენილის გაგების“ უნარის შესამოწმებლად კარნახის გამოყენება და მისი ინტეგრაცია ისეთ დავალებებთან, როგორცაა ინფორმაციის ტრანსფერი, Multiple-Choice-ის დავალებები, სწორი/არასწორი პასუხების შემოხაზვა და სხვ. (ბუკი, 2001, გვ. 73).

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად სცემენ პასუხს კითხვას, თუ რამდენჯერ უნდა მოისმინოს კანდიდატმა ტექსტი. რეალური კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს ჩვეულებრივ ერთხელ ვისმენთ, მაგრამ, უცხო ენის შემსწავლელისათვის (განსაკუთრებით ენის შესწავლის საწყის საფეხურებზე) არ არის საკმარისი ტექსტის ერთხელ მოსმენა, რადგან აუდიოფირის გაგება უფრო ძნელია, ვიდრე რეალურ სიტუაციაში მეტყველების გაგება. ამიტომ, მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ გამოსაცდელმა პირმა ტექსტი ორჯერ უნდა მოისმინოს: პირველად გლობალურად, მეორედ კი, ტექსტის თანმხლები დავალებების წაკითხვის შემდეგ – სელექციურად ან დეტალურად (ბოლტონი, 1996, გვ. 47). „გერმანულის როგორც უცხო ენის ტესტის ინსტიტუტის“ (შემდგომში, შემოკლებით: „გრუტი“) თანამშრომლები მოსმენის კომპეტენციის ობიექტური აღწერისა და შეფასებისათვის, წინასწარ ახასიათებენ ტესტის ტექსტს მისი აუთენტიკური ხასიათის, დისკურსის ტიპის, ქვეტიპის, მოცულობის, ლექსიკური და გრამატიკული სირთულის, მეტყველების ტემპის, არტიკულაციის სიმკვეთრისა და აქცენტის მიხედვით. ამგვარად დახასიათებულ ტექსტს ისინი უსადაგებენ სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამის დონეს. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სერუპულოზური სამუშაოს ჩატარებისა, ყოველთვის ვერ ხერხდება როგორც ტესტის ტექსტის, ასევე გამოსაცდელი პირის „მოსმენის“ კომპეტენციის მისადაგება სარეკომენდაციო ჩარჩოს დონეებთან. ერთი მხრივ, იმ ფაქტის გამო, რომ შეუძლებელია უშუალო დაკვირვება მოსმენილის გაგების პროცესზე. მეორე მხრივ კი, სარეკომენდაციო ჩარჩოში მოცემული ცნებები და დესკრიპტორები (როგორცაა მაგ. „ნაცნობი თემები“, „მკაფიოდ არტიკულირებული“, „მცირედენი ძალისხმევით ბევრის გაგება“, „სირთულეების ქონა“, „ფონეტიკური სიმკვეთრე“, „ზეპირი გამონათქვამების მკაფიო ხასიათი“ და ა.შ.), ან დამატებით დეფინიციას მოითხოვენ, ან სრულად ვერ აღწერენ ვერც გამოსაცდელი პირის კომპეტენციას და ვერც მოსასმენ ტექსტს. „გრუტი“-ს თანამშრომლები ტესტირების დროს გამოსაცდელ პირს სთავაზობენ სამი სხვადასხვა სირთულის ტექსტის მოსმენას. მოსმენის წინ მან უნდა წაკითხოს ტექსტის თანმხლები დავალებები. პირველ და მეორე ტექსტს გამოსაცდელი პირი მხოლოდ ერთხელ ისმენს და მოსმენის პროცესშივე ასრულებს დავალებებს (პასუხობს ტექსტისადმი დასმულ კითხვებს, აღნიშნავს სწორ/არასწორ ვარიანტებს). მესამე, უფრო რთულ ტექსტს, იგი ისმენს ორჯერ. პირველი მოსმენის დროს ან მოსმენის შემდეგ იგი მოკლედ პასუხობს ტექსტისადმი დასმულ კითხვებს. მეორე მოსმენის შემდეგ მას გადააქვს შესრულებული დავალებების პუნქტები სპეციალურ ბლანკზე. მართალია, კონსტრუქტი „მოსმენილის გაგების უნარი“ არ

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



ექვემდებარება დაკვირვებას, მაგრამ იმის მიხედვით, თუ ტესტის რამდენი პუნქტი შეასრულა გამოსაცდელმა პირმა სწორად, ეს კონსტრუქტი ფასდება რიცხვებით, რაც უკვე ექვემდებარება დაკვირვებას. საბოლოოდ, კომპლექსური სტატისტიკური მეთოდის დახმარებით გამოსაცდელი პირის „მოსმენის“ უნარს უსადაგებენ „გრუტი“-ს სამი დონიდან ერთ-ერთს. რ. გროტიანი გთავაზობს „გრუტი“-ს მიერ დადგენილი დონეების 2004 წლის ვერსიას. ეს დონეებია:

- I. (გამოსაცდელ პირს) შეუძლია *ყოველდღიური, სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ზეპირი ტექსტების* მთლიანი აზრისა და მნიშვნელოვანი დეტალების გაგება. (მას) შეუძლია ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თემატიკის ტექსტების ცალკეული ნაწილების გაგება.
- II. (გამოსაცდელ პირს) შეუძლია *ყოველდღიური, სწავლის სფეროსთან, ასევე ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო თემატიკასთან დაკავშირებული ზეპირი ტექსტების* გაგება, რომელთა სტრუქტურა სტანდარტულ ენაზე *ორიენტირებული*.
- III. (გამოსაცდელ პირს) შეუძლია *ყოველდღიური, სწავლის სფეროსთან, ასევე, ენობრივად და შინაარსობრივად კომპლექსურად სტრუქტურირებული, ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო თემატიკასთან დაკავშირებული ზეპირი ტექსტების* მთლიანი აზრისა და მისი ცალკეული ნაწილების გაგება (გროტიანი, 2005, გვ. 135-136).

„გრუტი“-ს დონეებში გათვალისწინებულია ტექსტის ტიპების იერარქია მზარდი სირთულის მიხედვით: 1. ყოველდღიური სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ტექსტები; 2. ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თემატიკის ტექსტები, რომელთა სტრუქტურა *ორიენტირებულია* სტანდარტულ ენაზე და 3. ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თემატიკის ტექსტები, რომლებიც ენობრივად და შინაარსობრივად კომპლექსურადაა სტრუქტურირებული. გარდა ამისა, დონეები მოსმენის მიზნის მიხედვითაც არიან ერთმანეთისაგან დიფერენცირებული. გამოსაცდელი პირის შეფასება „გრუტი“-ს დონეთა მიხედვით ეფუძნება საკმაოდ რთულ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესებს. ამასთან, ობიექტური შეფასება (ვალიდურობა) რელაციაშია როგორც გამოსაცდელი პირის მოსმენის უნარის რიცხობრივ შეფასებასთან, ასევე სკალირების სისტემასთან და გამონათქვამთან: „(გამოსაცდელ პირს) შეუძლია“. „მოსმენილის გაგების“ ამგვარ შეფასებას ის უპირატესობა აქვს, რომ როგორც გამოსაცდელი პირისათვის, ასევე ტესტის ჩამტარებლებისათვის ტრანსფარენტულია ტესტის შესრულების ხარისხიც და მისი შეფასების ობიექტურობაც.

2010 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, „გრუტი“ მიზანშეწონილად მიიჩნევა ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სკალებში დონეების ჩამატებას. „მოსმენილის გაგების“ სკალაში, რომელიც მოიცავს ოთხ ვერტიკალურად განლაგებულ დიმენსიას: 1. მოსმენილის გაგება ზოგადად; 2. ენის მატარებელთა საუბრის გაგება; 3. მაყურებლის/მსმენელის რანგში გაგება; 4. რადიოგადაცემებისა და აუდიოჩანაწერების გაგება, ჩამატებულია შესაბამისი, პორიზონტალურად განლაგებული კომპეტენციათა დონეები (იხ: <<<http://www.testdaf.de>>>; გოთეს ინსტიტუტი, 2001, გვ. 71-73):

	მოსმენილის გაგება ზოგადად	ენის მატარებელთა საუბრის გაგება	მაყურებლის/მსმენელის რანგში გაგება	რადიოგადაცემებისა და აუდიოჩანაწერების გაგება
A2+	შეუძლია ნელი, მკაფიო მეტყველების გაგება კონკრეტული სახის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.			
B1+	შეუძლია ყოფითი ან პროფესიასთან დაკავშირებული თემების, არა-		შეუძლია თავის სპეციალობაში მოსხენებების გაგება,	შეუძლია პირად თემთან დაკავშირებული აუდიოჩანაწერების გაგება

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები



Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



	რთული საკმინი ინფორმაციის გაგება. შეუძლია ამ ინფორმაციის ძირითადი და ცალკეული ნაწილების გაცნობიერება, თუ ის მკაფიო და ნაცნობი აქცენტითაა არტიკულირებული.		თუ მათი თემატიკა ნაცნობია, არ არის რთულად გადმოცემული და მკაფიოდაა სტრუქტურირებული.	რებისა და რადიოგადაცემების უმეტესი ნაწილის ინფორმაციული შინაარსის გაგება, თუ დიქტორი მკაფიოდ მეტყველებს სტანდარტულ ენაზე.
B2+	შეუძლია პირდაპირი კონტაქტის დროს, ასევე მედიებიდან მოსმენილი სტანდარტული ენის გაგება, თუ საუბარია ნაცნობ ან ნაკლებად ნაცნობ თემებზე, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება პირად, საზოგადოებრივ, პროფესიულ ცხოვრებაში ან განათლების სფეროში. გაგებას აფერხებს მხოლოდ ძლიერი ფონური ხმაური, იდიომატიკა და დისკურსისათვის შეუსაბამო სტრუქტურები.	შეუძლია დედაენის მატარებელთა აქტიურ საუბარში ჩართვა.		შეუძლია სტანდარტული ენის აუდიოჩანაწერების გაგება, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება საზოგადოებრივ, პროფესიულ ცხოვრებაში ან განათლების სფეროში. შეუძლია არა მხოლოდ მოსმენილი ინფორმაციის შინაარსის, არამედ მოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და პოზიციების გაგებაც.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი რთული პროცესების განხილვისა, კითხვა, თუ რამდენად სრულყოფილია მოსმენილის გაგების შეფასება, ჯერ კიდევ ელის ამომწურავ პასუხს მომავალი გამოკვლევებიდან. თუმცა, უკვე არსებული ინფორმაცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული უცხო ენის გაკვეთილზე მოსმენილის გაგების უნარ-ჩვევის გასაფართოებლად.

სარეკომენდაციო ჩარჩო ორიენტირებულია რამდენიმე უცხო ენის შესწავლაზე, რომლებსაც ენის შემსწავლელი განსხვავებულ საკომპეტენციო დონეებზე უნდა ფლობდნენ. თუ აქამდე, რომელიმე უცხო ენის ცოდნა აღიქმებოდა, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი ახალი უცხო ენის შესწავლის პროცესში, ახლა პირიქით, უკვე შესწავლილი უცხო ენა გამოიყენება ტრანსფერად ახალი უცხო ენის დაუფლებისათვის. სარეკომენდაციო ჩარჩოს რეკომენდაციის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გაზარდონ შესასწავლ უცხო ენათა სპექტრი და მეტი ყურადღება დაუთმონ ენობრივი კომპეტენციის ცალკეული პროფილების აღწერას, სწავლასა და შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაუში, 2003 – BAUSCH, K.-R., / CHRIST, H., / KÖNIGS, F. G., / KRUMM, H.- J. (Hrsg.): Der Gemeinsame Europäische Referenzrahmen für Sprachen in der Diskussion. Arbeitspapiere der 22. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Gunter Narr, 29-35.

ბოლტონი, 1996 – BOLTON, S., 1996, Probleme der Leistungsmessung: Lernfortschritt-tests in der Grundstufe. Berlin: Langenscheidt.

ბრაუნი, 1995 – BROWN, G., 1995, Dimensions of Difficulty in Listening Comprehension. In: Mendelsohn, D. J. / Rubin, J. (eds.). A Guide for the Teaching of Second Language Listening. San Giego, CA: Dominie Press, 59-73.

ბუგატე, 2001 – BUGATE, M., SKEHAN, P., SWAIN M. (eds). 2001, Researching pedagogical tasks: second language learning, teaching and assessment. London: tearson.



- ბუკი, 2001 – BUCK, G., 2001, Assessing Listening. Cambridge: Cambridge University Press.
- გერმანულის როგორც უცხო ენის ტესტის ინსტიტუტი (გრუტი), 2010 – TestDaf. Workshop: Zuordnung von Testaufgaben und Leistungen zum Gemeinsamen europäischen Referenzrahmen für Sprachen. Fulda.
- გინტერი, 2002 – GINTHER, A., 2002, Context and Content Visuals and Performance on Listening Comprehension Stimuli. In: Language Testing 19 (2), 133-167.
- გლაბონიატი, 1998 – GLABONIAT, M., 1998, Kommunikatives Testen im Bereich Deutsch als Fremdsprache: Eine Untersuchung am Beispiel des Österreichischen Sprachdiploms Deutsch. Innsbruck & Wien: Studien-Verlag.
- გოეთეს ინსტიტუტი, 2001 – Goethe-Institut (Hrsg.) 2001, Gemeinsamer europäischer Referenzrahmen für Sprachen: Lernen, Lehren, Beurteilen. (Übersetzung: Jürgen Quetz u. a.) München: Langenscheidt, 2001; < <http://www.goethe.de/referenzrahmen>>.
- გოჰი, 2000 – GOH, C., M., 2000, A Cognitive Perspective on Language Learners' Listening Comprehension Problems. In: System 28 (1), 55-75.
- გროტიანი, 1998 – GROTJAHN, R., 1998, Ausspracheunterricht: Ausgewählte Befunde aus der Grundlagenforschung und didaktisch-methodische Implikationen. In: Zeitschrift für Fremdsprachenforschung 9 (1), 35-83.
- გროტიანი, 2000 – GROTJAHN, R., 2000, Determinanten der Schwierigkeit von Leseverstehensaufgaben. In: Bolton, S. (Hrsg.): TestDaF: Grundlagen für die Entwicklung eines neuen Sprachtests. Beiträge aus einem Expertenseminar. München: Gilde-Verlag, 7-56.
- ევროპულ ენათა პორტფოლიო – Europäisches Sprachportfolio
<http://www.coe.int/t/dg4/linguistik/Portfolio_EN.asp>
- ვოლფი, 2003 – WOLFF, D., 2003, Hören und Lesen als Interaktion: zur Prozesshaftigkeit der Sprachverarbeitung. In: Der fremdsprachliche Unterricht Englisch 64/65, 11-16.
- ზოლმეკე, 1993 – ZOLMECKE, G., 1993, Texte hören, lesen und verstehen. Eine Einführung in die Schulung der rezeptiven Kompetenz mit Beispielen für den Unterricht Deutsch als Fremdsprache. Berlin: Langenscheidt.
- კვეტცი, 2001 – QUETZ, J., 2001, Der Gemeinsame Europäische Referenzrahmen. In Info DaF 28/6, Jugicium Verlag, 553-563.
- კრისტი, 2003 – CHRIST, H., 2003, Was leistet der "Gemeinsame Europäische Referenzrahmen für Sprachen: lernen, lehren, beurteilen"? In: Karl-Richard Bausch / Herbert Christ / Frank G. Königs / Hans- Jürgen Krumm (Hrsg.): Der Gemeinsame Europäische Referenzrahmen für Sprachen in der Diskussion. Arbeitspapiere der 22. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Gunter Narr, 57-66.
- ნონერ/ჰუნფელდი, 1993 – NEUNER, G., HUNFELD, H. 1993, Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts. Eine Einführung. Langenscheidt. München.
- პაშკე, 2001 – PASCHKE, P. 2001, Zum Problem der Authentizität in L2-Hörverstehentests. In: Fremdsprachen Lehren und Lernen. 30, 150-166.
- რაუპახი, 2003 – RAUPACH. M., 2003, Wir stellen nur Fragen, wir geben keine Antworten. Der Gemeinsame Europäische Referenzrahmen: ist da mehr drin als man denkt? In: Karl-Richard Bausch u.a. Der Gemeinsame Europäische Referenzrahmen für Sprachen in der Diskussion. Arbeitspapiere der 22. Frühjahrskonferenz zur Erforschung des Fremdsprachenunterrichts. Tübingen: Gunter Narr, 156-163.
- საკომპეტენციო დონეები – Threshold Level, (<http://www.linguee.de/englisch-deutsch/uebersetzung/threshold+level.html>)
- ტრანტერი, 2003 – TRANTER, G., 2003, Der Gemeinsame Europäische Referenzrahmen - Warum? Wie? Was? In: Klett VHS- Tipps, 10/03, Nr. 36, 3-6
- შნაიდერი, 2000 – SCHNEIDER, G., NORTH, B., 2000, Fremdsprachen können - was heißt das? Skalen zur Beschreibung, Beurteilung und Selbsteinschätzung der fremdsprachlichen Kommunikationsfähigkeit. Chur; Zürich: Rüegger.



სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching;
 Problems and Challenges**



ჰირშფელდი, 2001 – Hirschfeld, U. 2001, Vermittlung der Phonetik. In: Deutsch als Fremdsprache. Ein internationales Handbuch. Hrsg. von Helbig, G., Gotze, L. u. a. New York. 872-879.

უგურ დემირეი, ილკანურ ისტიფცი
 ანადოლუს უნივერსიტეტი, თურქეთი.

**მეტაკომუნიკაციის კონცეფციის როლი და ფუნქცია,
 როგორც არაკომუნიკაციის კომუნიკაცია ინგლისურის,
 როგორც უცხო ენის სწავლის პროცესში**

აბსტრაქტი

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



კომუნიკაცია არა მხოლოდ სასწავლო პროცესის, არამედ, საზოგადოდ, არსებობისთვის აუცილებელი კომპონენტია. ფაქტობრივად, ადამიანის არსებობა – ურთიერთობის ტოლფასია. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, იყენებს მეტყველებას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, რათა გადასცეს სხვას ტავისი აზრები, გამოცდილება, ღირებულებები და ეს ხდება არა მხოლოდ აწმყოში, არამედ პერსპექტივის გათვალისწინებითაც: წერილობითი კომუნიკაცია საშუალებას იძლევა, ჩვენს შთამომავლებთანაც ვიქონიოთ ურთიერთობა... ასე რომ, კომუნიკაციის ისტორია კაცობრიობის არსებობის ისტორიაცაა.

სტატიაში განხილულია გარკვეული საკითხები და შეკითხვები, რომლებიც დაკავშირებულია მეტაკომუნიკაციის კონცეფციის გამოყენებაზე, როგორც არავერბალური კომუნიკაცია უცხო ენის შესწავლის პროცესში, როგორ გამოიყენება მეტაკომუნიკაციური ელემენტები უცხო ენის შემსწავლელ კლასში.

როგორც ცნობილია, კომუნიკაციური ენის კარგი ცოდნა მოიცავს ლინგვისტურ, პრაგმატულ, მსჯელობის, სტრატეგიულ და კომუნიკაციურ უნარებს. ენის შემსწავლელს მოეთხოვება ჰქონდეს ზემოთ ჩამოთვლილი უნარები.

მეტაკომუნიკაცია წარმოადგენს პროცესს ინფორმაციის ურთიერთგადაცემის დროს, როდესაც მოსაუბრეები საუბრობენ სწავლების პროცესზე, რომელიც გამორჩეულია არსობრივი სწავლების არტიკულაციისაგან. იმედია, გაიზრდება არსობრივი ცოდნის მიმართ ყურადღება და მოხდება გააზრებული გაგების მიმართულებით მუშაობა, ცალკეული საკომუნიკაციო არხების განვითარება, რისი მიღწევა შესაძლებელია კონცენტრაციისა და კონტექსტის გაგების უნარის განვითარებით. (McLean, R. S. (2005).

ვერბალური კომუნიკაციას ეხმარება უამრავი არავერბალური ნიშნი და მინიშნებები აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში, რომელიც აძლიერებს ნააზრვეის გადმოცემას ან ნათელს ჰყენს ორაზროვნებას. მაგალითად, ჩვენ შესაძლებელია გადავაჯვარედინოთ ხელები, როცა ვერძნობთ, რომ ვიღაც ამბობს ისეთ რამეს, რაც ჩვენს საწინააღმდეგოდაა მიმართული ან თავს ეუკრავთ დასტურის ნიშნად, რომ ვეთანხმებით მათ ნააზრვეს. არავერბალური ქცევები, რომლებშიც ჩართულია ხელები, თვალები ან სხეულის სხვა ნაწილები, ჩვეულებრივ, ემსახურება ვერბალური ან არავერბალური კომუნიკაციის გაძლიერებას. როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ კომუნიკაციას განსაზღვრავს კონტექსტი, რომელმაც შესაძლებელია მნიშვნელობა შეუცვალოს თითოეულ სიტყვას ან ქცევას. ერთი და იმავე არავერბალურ ქცევას შესაძლებელია ჰქონდეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს კულტურის როლი მეტაკომუნიკაციურ სწავლებაში, როგორც არავერბალური ქცევის ზოგადი კულტურული სპეციფიკა. თუმცა არავერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს ერთგვარ “გასაღებს” მოსაუბრის ნააზრვეის შესახებ ან აძლიერებს მოსაუბრის ნააზრვეის ნათლად გაგებას, კულტურული განსხვავებები შესაძლებელია წარმოადგენდეს დაბრკოლებას მესიჯის (ნააზრვეის) გაგებისა და გააანალიზების პროცესში. (e.g., Pennycook, 1985). რამაც შესაძლოა წარმოიშვას გაუგებრობა. მნიშვნელოვანია დავიმახსოვროთ, რომ მეტაკომუნიკაცია, რომელიც ახლავს რაიმე სახის შეტყობინებას, არის ძალიან კარგი საშუალება, რომელიც აძლიერებს ნააზრვეის გაგებას. მსმენელს არავერბალური შეტყობინებებით ე.წ. „გასაღებით“ (clues) უკეთ შეუძლია ჩასწვდეს მოსაუბრის აზრს, მაგრამ ხშირად საუბარს უფრო ნათელს ხდის მეტაკომუნიკაციიდან მიღებული მნიშვნელობა, ვიდრე თვითონ

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



ვერბალური სიტყვიდან. თუმცა ხშირად კონფლიქტში მოდის, რასაც თქვენ ამბობთ, თქვენს ქმედებასთან, რაც ბუნდოვანს ხდის ნააზრევს. მაშასადამე, გააზრებული გაგება ან არავერბალური შეტყობინება არის უმნიშვნელოვანესი მეორე/უცხო ენის(L2) შემსწავლელთათვის, რადგან მათი გააზრებულად გაგების უნარები საწყის ეტაპზე უფრო შეზღუდულია.

მეტაკომუნიკაციით გადმოცემული მნიშვნელობა კავშირს ამყარებს ვერბალურ საუბარსა და სხეულის ენას (body language) შორის (დემირეი, 2009). მოსმენისა და საუბრის პედაგოგები ხშირად მოსწავლეთა ყურადღების მიქცევის და კონცენტრირების მიზნით მიმართავენ სხეულის ენის (body language) გამოყენებას, ქუსტიკულაციას, ფიზიკურ ქმედებებს, პოზირებას, მზერას, ინტერპერსონალურ დისტანციას სინამდვილის ამსახველი ვიდეოებისა და რეალური ცხოვრების გამოყენებით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსანდერი, 1972 - Alexander, G. O. (1972). Instructional Meta communication and Self-Directed Learning. Paper presented at the International Communication Association Annual Convention (Atlanta, Georgia, April 19–22, 1972). (available from and retrieved on 07.07.2011 http://eric.ed.gov/ERICWebPortal/custom/portlets/recordDetails/detailmini.jsp?_nfpb=true&ERICExtSearch_SearchValue_0=ED063737&ERICExtSearch_SearchType_0=no&accno=ED063737)
- ალპტეკინი, 2011 - Alptekin, C. (2011). Redefining multicompetence for bilingualism and ELF. *International Journal of Applied Linguistics*, V. 20, N.1.
- ბირჯანდი, 2010 - Birjandi, P. & Bagherkazemi, M. (2010). The relationship between Iranian EFL teachers' critical thinking ability and their professional success. *English Language Teaching*, 3(2), 135-145.
- ბრინი, კანდლინი, 1980 - Breen, M. P. & C. N. Candlin (1980). The essentials of a communicative curriculum in communicative language teaching. *Applied Linguistics*, 1.
- ბრუტ-გრეიფლერი, 2002 - Brutt-Griffler, J. (2002). *World English: a study of its development*. Clevedon: Multilingual Matters.
- გოლდინ-მედლოუ, 1999 - Goldin-Meadow, S. (1999). The role of gesture in communication and thinking. *Trends in Cognitive Sciences*, 3, 419–429.
- გულბერგი, 1998 - Gullberg, M. (1998). *Gesture as a Communication Strategy in Second Language Discourse. A Study of Learners of French and Swedish*. Lund: Lund University Press.
- დევიტო, 2001 - DeVito, J. (2001). *The interpersonal communication book* (9th Ed.). New York: Addison Wesley Longman, Inc., USA.
- დემირეი, 2009 - Demiray, U. (2009). Meta Communication for Knowledge Building Process in Distance Education From Point of Meta Cognitive Structural Collaborated Model, paper presented at European Humanities University Centre for Advanced Studies and Education, CASE Visual and Cultural Studies-“Communicative Revolution? Media And Social Change In Eastern Europe After 1989”, May 21-22, 2009, Vilnius, Lithuania.
- ევანსი, 2010 - Evans, K. (2010). Verbal Communication Examples, *eHow Contributor*. updated: July 24, 2010, available from http://www.ehow.com/way_5256204_verbal-communication-examples.html Retrieved August 22, 2010. Read more: Best Way-Verbal Communication Examples, http://www.ehow.com/way_5256204_verbal-communication-examples.html#ixzz0xho2LSh0
- ვატლავიკი, ბეავინი, ჯექსონი, 1967 - Watzlawick, P., Beavin, J. & Jackson, D. (1967). *Pragmatics of human communication*.



- ოუმი, 1987 - Yum, J.-O. (1987). Korean psychology and communication. In D. L. Kincaid (Ed.), *Communication theory: Eastern and Western perspectives*, (pp. 71–86). San Diego, CA: Academic.
- კაგავა, 2001 - Kagawa, H. (2001). *Ambiguous Japanese*. Tokyo: Koudansha International Publisher.
- კასელი, მაკნილი, 1999 - Cassell, J., McNeill, D., & McCullough, K.-E. (1999). Speech-gesture mismatches: Evidence for one underlying representation of linguistic and nonlinguistic information, *Pragmatics & Cognition*, 7, 1–33.
- კაჩრუ, 1985 - Kachru, B. (1985). Standards, codification and sociolinguistic realism: the English language in the outer circle. In Quirk, R. and Widdowson, H. (eds) *English in the World: Teaching and learning the language and literature*. Cambridge University Press in association with the British Council.
- კელერმანი, 1992 - Kellerman, S. (1992). “I see what you mean”: The role of kinesic behaviour in listening and implications for foreign and second language learning. *Applied Linguistics*, 13, 239–281.
- კოატესი, 2009 - Coates, G. T. (2009). *Notes on Communication: A few thoughts about the way we interact with the people we meet*. Free e-book, Available from <http://www.wanterfall.com>, retrieved August 3, 2010.
- კოიკე, 1989 - Koike, D. A. (1989). Pragmatic competence and adult L2 acquisition: speech acts in interlanguage. *The Modern Language Journal*, V.73, N.3.
- მაკკაფერტი, აჰმედი, 2000 - McCafferty, S. G. & Ahmed, M. K. (2000). The appropriation of the gesture for the abstract by L2 learners. In J. P. Lantof (ed), *Sociocultural Theory and Second Language Learning*, (pp.199-218). Oxford: OUP.
- მაკლინი, 1999 - McLean, R. S. (1999). Communication Widgets for Knowledge Building in Distance Education. Computer Support for Collaborative Learning Proceedings of the 1999 conference on Computer support for collaborative learning 1999, Palo Alto, California December 12–15, 1999, Article No. 48.
<http://portal.acm.org/toc.cfm?id=1150240&coll=GUIDE&dl=GUIDE&type=proceeding&idx=SERIES11363&part=series&WantType=Proceedings&title=CSCL&CFID=69778328&CFTOKEN=28671871> (retrieved on 20.05.2011).
- მორელ-სამუელსი, 1992 - Morrel-Samuels, P. & Krauss, R. M. (1992). Word familiarity predicts temporal asynchrony of hand gestures and speech. *Journal of Experimental Psychology: Learning, Memory and Cognition*, 18, 615–662.
- ნორტონი, 2011 - Norton, New York. In addition *Watzlawick's 5 axioms of communication* (http://www.im.ovgu.de/im_media/downloads/lehre/ws1011/l_deckers/Watzlawick+5+Axioms.pdf available from and retrieved on 02.07.2011)
- პენიკუკი, 1985 - Pennycook, A. (1985). Actions speak louder than words: Paralanguage, communication, and education. *TESOL Quarterly*, 19, 259–282.
- რაშიდი, 1999 - Rashid, M. (1999). *System of Distance Education: Study Guide for Non-Formal Education*, Islamabad: National Book Foundation.
- რეინარდი, 2009 - Reynard, R. (2009). *Why Wikis?* Retrieved July, 2010. Available from <http://campustechnology.com/Articles/2009/02/04/Why-Wikis.aspx>
- სმიტი, 1983 - Smith, L. (ed) (1983). *Readings in English as an International Language*. Oxford: Pergamon Press.
- სუეოში, 2005 - Sueyoshi, A. & D. M. Hardison (2005). The Role of Gestures and Facial Cues in Second Language Listening Comprehension. *Language Learning*, Vol. 55, No. 4, pp. 661–699.
- ტომაკი, 2011 - Tomak, B. (2011). The perspectives of both Turkish students and Turkish teachers on English learning/teaching as an international language. Proceedings of 2nd International Conference on New Trends in Education and Their Implications, 27-29 April, 2011, Antalya-Turkey.
- შვარცი, სიმონი, კარმონა, 2008 – Schwartz, G. E.; Simon, W. L.; Carmona, R. (2008). *The Energy Healing Experiments*. Simon & Schuster. ISBN 0743292399, USA.
- ჯენკინსი, 2004 - Jenkins, J. (2004). ELF at the gate: the position of English as a lingua franca. In Pulverness, A. (ed) *Liverpool Conference Selections*, IATEFL Publications.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



- ჰადარი, 1998 - Hadar, U., Wenkert-Olenik, D., Krauss, R., & Soroket, N. (1998). Gesture and the processing of speech: Neuropsychological evidence. *Brain and Language*, 62, 107–126.
- ჰენდი, 2000 - Hand, K. (2000). A Picture or 1000 Words?, *Turkish Online Journal of Distance Education- TOJDE*, January 2000 ISSN 1302-6488 Volume: 1 Number: 1 Article No: 7, Turkey.
- ჰარმერი, 2007 - Harmer, J. (2007). *The Practice of English Language Teaching*. England: Pearson Education Limited.

ვებ-ბიბლიოგრაფია

- http://www.im.ovgu.de/im_media/downloads/lehre/ws1011/l_deckers/Watzlawick+5+Axioms.pdf
02.07.2011
- <http://ikit.org/kb.html> retrieved on 03.07.2011.
- <http://en.wikipedia.org/wiki/Language> retrieved on 03.07.2011.
- http://www.cobweb2.louisville.edu/faculty/regbruce/bruce//mgmtwebs/commun_f98/Verbal.htm retrieved on 06.07.2011.
- http://www.ehow.com/about_6763748_difference-between-verbal-nonverbal-communication.htm retrieved on 06.07.2011.
- http://eric.ed.gov/ERICWebPortal/custom/portlets/recordDetails/detailmini.jsp?_nfpb=true&_ERICExtSearch_SearchValue_0=ED063737&ERICExtSearch_SearchType_0=no&accno=ED063737 retrieved on 07.07.2011.
- http://eric.ed.gov/ERICWebPortal/custom/portlets/recordDetails/detailmini.jsp?_nfpb=true&_ERICExtSearch_SearchValue_0=ED063737&ERICExtSearch_SearchType_0=no&accno=ED063737 retrieved on 07.07.2011.
- <http://www.ccl-cca.ca/CCL/Reports/LessonsInLearning/> retrieved on 08.07.2011.

ნათია გორგაძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო



ენის შესწავლის სტრატეგიები და მისი აქტუალობის კვლევა ქართულის, როგორც მეორე ენის დასწავლის გაუმჯობესებისათვის

აბსტრაქტი

შესწავლის სტრატეგიები და მათი გამოყენება დროში გაწეილი პროცესია, რომელსაც მოსწავლე მიმართავს, რათა შეძლოს ენის დაუფლების პერიოდი და შედეგი მაქსიმალურად წარმატებული გახადოს. უფრო კონკრეტულად კი, ეს პროცესი იმ ეტაპობრივ საფეხურებს, ტექნიკასა და გამიზნული აქტივობების ჯაჭვს მოიცავს, რომლებიც მოსწავლის მიერ შეგნებულად ხორციელდება და განსაკუთრებული ეფექტით მეორე ენის შესწავლის დროს გამოიჩენება. მიღებული ინფორმაციის გარკვეული ტიპის ასპექტებზე ფოკუსირება, ინფორმაციის შესწავლის პროცესზე დაკვირვების წარმოება და მისი ანალიზი, ინფორმაციის დეკოდირების პერიოდში მისი დამუშავება და ორგანიზება, დასწავლის შეფასება მისი დასრულების შემდგომ, სწავლის პროცესისადმი შიშის დასაძლევად თვითრწმენის ამოქმედება - შესწავლის სტრატეგიების მოკლე და არასრული ჩამონათვალია. სწორი და გააზრებული გამოყენება კი შესწავლის სტრატეგიებს ენობრივი კომპეტენციების განსავითარებლად მიმართული ჩართულობის მართვისა და ხარისხის რეგულირებისათვის ეფექტურ ინსტრუმენტად აქცევს.

ამ ტიპის მიდგომას, რომელიც თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ტენდენციაა, მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობაშიც ცვლილებები შეაქვს და ბევრად უფრო ორიენტირებული ხდება თითოეული მოსწავლის მიზანსა და ამოცანებზე, ვიდრე პედაგოგის მიერ საკლასო ოთახში გამოყენებულ მეთოდიკასა და მიდგომებზე. მეტიც, არაერთი მეცნიერული მოსაზრების მიხედვით, შესწავლის სტრატეგიების კარგად ცოდნა და მათი სწორად გამოყენების უნარი ამცირებს საკლასო გარემოსა და სახელმძღვანელოების, დამხმარე და მეთოდურ მასალების ხარისხისა და ასევე პედაგოგზე დამოკიდებულებას მეორე ენის ეფექტური შესწავლისათვის.

კვლევის მიზანია, წარმოადგინოს ენის შესწავლის განსხვავებული სტრატეგიები, განიხილოს სხვადასხვა მკვლევრის მიერ შემოთავაზებული სისტემების განხილვა სწავლის სტრატეგიებთან მიმართებით. წარმოადგინოს ქართულის, როგორც მეორე ენის მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფის თვისებრივი მახვენებლებისა და აზრის ურთიერთდამოკიდებულების კვლევა და მათ მიერ გამოყენებული სწავლის მეთოდების შედარებითი ანალიზი „ენის ეფექტური შემსწავლელის“ ექვსი ტიპის სტრატეგიასთან მიმართებით. ამასთან, ამ ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს სწავლების ის კონცეფცია, რომლის გამოყენებაც სხვადასხვა ტიპის საკლასო გარემოში სასურველ შედეგს გამოიღებს და რესურსების, მონაცემებისა და კომპეტენციების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას განაპირობებს.

სწავლის სტრატეგიების კვლევა და მის მიმართ მზარდი ინტერესი 70-იანი წლებიდან შეიმჩნევა. ის, თუ რა ხერხებსა და მეთოდებს იყენებს მოსწავლე ახალი ინფორმაციის პროცესირების, მისი აღქმის, დამახსოვრებისა და გამოყენებისათვის მეორე ან უცხო ენასთან მიმართებით, გახდა მეცნიერების მხრიდან სწავლის სტრატეგიებით ზრდადი დაინტერესების ერთ-ერთი გადამწყვეტი მიზეზი. ამასთან, მკვლევრები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა ფაქტორებით არის განპირობებული ინდივიდის მიერ ენის შესწავლისას პროცესში მიღწეული წარმატებები და რა განსახვავებს წარმატებულ მოსწავლეებს სხვა, ნაკლებ წარმატებულებისაგან. ვილიამსისა და ბარდენის (1997), (Williams and Burden) აზრით, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მარტივდება სწავლის სტრატეგიების მნიშვნელობისა და გავლენის კვლევის შემთხვევაში, რაც ლოგიკურად მიანიშნებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეცნიერები შესწავლის სტრატეგიებს მეორე და უცხო ენის სწავლის მეთოდოლოგიასა და განათლების ფსიქოლოგიაში. და მაინც, როგორ განმარტავენ მეცნიერები შესწავლის სტრატეგიებს?

ვენდენის (Wenden) მოსაზრებით, „სწავლის სტრატეგიები იმ ქმედებათა ერთობლიობაა, რომლებიც მოსწავლის მიერ ხორციელდება იმისათვის, რომ იგი გაერკვეს შესწავლის



მნიშვნელობასა და ფუნქციაში.” რიგნი (Rigney) (1978) და რუბინი (Rubin) (1987) მიიჩნევენ, რომ სწავლის სტრატეგიები სპეციალური ქმედებების, ქცევის, ნაბიჯებისა და ტექნიკების ნაირსაეხეობებს წარმოადგენს, რომლებიც მოსწავლის მიერ სწავლების პროცესისა და შედეგების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

განსაკუთრებით საინტერესოა ოქსფორდისეული, (Oxford, 1992/1993, p. 18) განმარტება, რადგან მიერ მიერ შემუშავებული “ენის სწავლის სტრატეგიების აღწერა” (Strategy Inventory for Language Learning, SILL) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ენის შესწავლის სტრატეგიების ანალიზისათვის და დეტალურ, სტრუქტურირებულ იერარქიულ მოდელს წარმოადგენს, რომელსაც თანამედროვე კვლევები და მეთოდები ეფუძნება. ოქსფორდის მიხედვით, ენის შესწავლის სტრატეგიები გამოხსნილი ქმედებებია, რომლებიც შესწავლის პროცესს მარტივს, სწრაფს და სასიამოვნოს, ასევე მოსწავლის მიერ მართულსა და ეფექტურს ხდის და განსხვავებულ სიტუაციაში მათი ტრანსფორმირების საშუალებას იძლევა. საინტერესოა ოქსფორდის მიერ მოცემული შესწავლის სტრატეგიების 12 ძირითადი მახასიათებელიც. მისი აზრით, ენის შესწავლის სტრატეგიები:

1. ხელს უწყობს მთავარი მიზნის მიღწევასა და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას;
2. საშუალებას აძლევს მოსწავლეს თავად წარმართოს და აკონტროლოს შესწავლა;
3. ცვლის პედაგოგის ფუნქციას;
4. პრობლემაზეა ფოკუსირებული;
5. შედეგება სპეციფიკური ქმედებებისგან, რომლებსაც მოსწავლე ახორციელებს;
6. მოიცავს მოსწავლის არა მხოლოდ კოგნიტურ, არამედ სხვა ასპექტსაც;
7. პირდაპირი და არაპირდაპირი მიდგომებით აუმჯობესებს შესწავლის პროცესს;
8. რიგ შემთხვევებში დაკვირვებასა და მონიტორინგს არ ექვემდებარება;
9. მეტწილად შეგნებულად წარიმართება;
10. მათი დასწავლა შესაძლებელია;
11. გამოირჩევა მოქნილობითა და მარტივი ადაპტაციის მექანიზმებით;
12. მრავალი ფაქტორის გავლენას ექვემდებარება;

თუ ოქსფორდის მახასიათებლების ანალიზს შევეცდებით, ვასკენით, რომ ენის შესწავლის სტრატეგიები არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას, არამედ ზოგადი უნარების განვითარებისკენ მიმართული ქმედებებია, რომელთა გამოყენება ნებისმიერი საგნის შესწავლის პროცესისა და შედეგის გაუმჯობესებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში კი, ბუნებრივია ინტერესი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის სტრატეგიების ათვისებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით იბადება. განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეფორმებისა და ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ფონზე, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად მატულობს. 2011 წელს განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 92% თვლის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს მოლოდინი, რომ არაქართველ მოსახლეობას დიდი სურვილი აქვს, შეისწავლოს ქართული. გამოკითხული არაქართველი მოსახლეობის 82.9%-ს ქვემო ქართლში და 65,2%-ს სამცხე-ჯავახეთში მიაჩნია, რომ სჭირდება ქართული ენის კურსები.

ენის შესწავლის სტრატეგიების კლასიფიკაციას ჯერ კიდევ წინა საუკუნის 50-70-იან წლებში დაედო საფუძველი და მეტწილად, ინგლისურის, როგორც არამშობლიური ენის სწავლასთან არსებულ გამოწვევებს უკავშირდებოდა. არსებობს არაერთი მოდელი, რომელიც სტრატეგიული ინსტრუმენტების სხვადასხვა კლასიფიკაციას ეფუძნება, თუმცა საერთო მიზანს, მეორე ენის ეფექტურ შესწავლას უკავშირდება. მოკლედ მიმოვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება:

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



ენის შესწავლის სტრატეგიების კლასიფიკაცია	მკვლევარი, პერიოდი
<ol style="list-style-type: none"> 1. აქტიური დავალების მიდგომა; 2. ენის, როგორც სისტემის რეალიზაცია; 3. ენის, როგორც კომუნიკაციისა და ინტერაქციის საშუალების რეალიზაცია; 4. მოთხოვნების ეფექტური მართვა; 5. მეორე ენის გამოყენების მონიტორინგი. 	<p>ნაიმანი et al. (Naiman et al.) 1978</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. სტრატეგიები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ შესწავლაზე: <ul style="list-style-type: none"> • კლასიფიკაცია/შემოწმება; • მონიტორინგი; • დამახსოვრება; • გამოცნობითი/ინდუქციური მიგნებები; • დედუქციური დასაბუთება; • პრაქტიცირება (გამოყენება); 2. პროცესები, რომლებიც ირიბად უწყობენ ხელს შესწავლას: <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიცირების შესაძლებლობები; • პროდუცირების ხერხები. 	<p>რუბინი, (Rubin) 1981</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. კოგნიტური სტრატეგია; 2. მეტაკოგნიტური სტრატეგია; 3. სოციალურ-აფექტური სტრატეგია. 	<p>ბრაუნი და პალინსკარი (Brown and Palinscar) 1982</p>
<p>პირდაპირი სტრატეგია</p> <ul style="list-style-type: none"> • მესხიერების სტრატეგია; • კოგნიტური სტრატეგია; • კომპენსატორული სტრატეგია. <p>არაპირდაპირი სტრატეგია</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტაკოგნიტური სტრატეგია; • აფექტური სტრატეგია; • აფექტური სტრატეგია. 	<p>ოქსფორდი (Oxford) 1990</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. მეტაკოგნიტური (თვითშეფასებითი: ენის შესწავლისაგან მიღებული შედეგების შემოწმება და შედარება კომპეტენციებისა და სიზუსტის შიდა ინდიკატორებთან მიმართებით); 2. კოგნიტური (ე.წ. დედუქციური: წესებისა შეგნებით გამოყენება მეორე ენის პროდუცირების და/ან გამოყენებისათვის); 3. სოციალურ-აფექტური (ე.წ. კოოპერაციული: წყვილში ან რამდენიმე ადამიანთან მუშაობა ინფორმაციის სისრულის, მოსაზრებების გაცვლისა და ენობრივი აქტივობების მოდელირების უზრუნველსაყოფად. 	<p>კოჰენი და ჩი (Cohen and Chi) 2002ა,</p>

ეჭვგარეშეა, რომ ყველა მოდელი საინტერესოა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევაში, გარკვეული პოზიტიური შედეგების დადგომა მოსალოდნელი. თუმცა, რადგან



ოქსფორდის მოდელი ყველაზე მოცულობით სტრატეგიულ მიმდინარეობებს აერთიანებს, მასზე შექმერდეთ და მოკლედ მიმოვიხილოთ მის მოდელში წარმოდგენილი თითოეული სტრატეგიული ჯგუფის მახასიათებლები:

1. *კოგნიტური*: მენტალური სტრატეგიაა, რომელიც მოსწავლისგან შესწავლის მიზეზების გაცნობიერებისკენაა მიმართული. ამგვარი სტრატეგიები მოსწავლეს ენობრივი მასალებით პირდაპირი მანიპულაციის საშუალებას აძლევს. მოსწავლე ინფორმაციის რეორგანიზებითაა დაკავებული და უფრო ეფექტურ შედეგებს აღწევს. ვარჯიშობს სტრუქტურისა და ბგერების კონსტრუირებაში, ახალი სიტყვების გამოყენებასა და განმეორებაში, დედუქციურ მსჯელობასა და რეზიუმირებაში.
2. *მეტაკოგნიტური* სტრატეგიები მოიცავს წინა- და პოსტ- თვითშეფასებას, ენის შესწავლისათვის განხორციელებული აქტივობების ანალიზსა და შეფასებას, ენის გამოყენებისაკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას. უფრო კონკრეტულად, მეტაკოგნიტური სტრატეგია ყურადღების გამახვილებას, ორგანიზებას, ამოცანებისა და მიზნების დასახვასა და საკუთარი შედეგების შეფასებას მოიცავს.
3. *მეხსიერებითი* სტრატეგიები წარმოშობს ისეთ მენტალურ კავშირებს, რომლებიც მაგალითად. სიტყვების დაჯგუფებას ან სიტყვის კონკრეტულ კონტექსტში განხილვას, გამოსახულების, ბგერებისა და ხმების გამოყენებას მეხსიერებაზე ზემოქმედებისათვის. მექანიკური ტექნიკების გამოყენება, რომლებიც შეიძლება, რომ, მაგალითად, ფიზიკურ აქტივობას უკავშირდებოდეს, მეხსიერებასთან დაკავშირებული სტრატეგიების ნაწილია.
4. *მაკომპენსირებელი* სტრატეგიები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ცოდნის ნაკლებობის კომპენსირება მოახდინოს სხვადასხვა გზით. ეს სტრატეგიები დაკავშირებულია, მაგალითად, კითხვის ან მოსმენის დროს კონტექსტის მიხედვით სიტყვების გამოცნობასთან. იგი გულისხმობს სინონიმების, გამოცნობის, უსტებისა და სიტყვაწარმოების ახალ ტექნიკებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმისათვის.
5. *აფექტური* - სტუდენტის ემოციურ საჭიროებებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა, მაგალითად, განწყობის ან შიშის ღონის იდენტიფიცირება, საკუთარ გრძნობებსა და ემოციებზე საუბარი, კარგი შედეგებისთვის შექება ან მიზნის მისაღწევად საკუთარი თავის წახალისება. შეძლებს პერიფრაზირებას, სხვა სიტყვებით აზრის გამოხატვას, პოზიტიური დასკვნების გამოტანას საკუთარი პროგრესის შესახებ, გრძნობათა ანალიზს და განხილვას.
6. *სოციალური*: ხელს უწყობს მოსწავლეებს, იმუშაონ სხვებთან ერთად და მუშაობის პროცესში გაითვალისწინონ მიზნობრივი ენის მატარებელი საზოგადოების კულტურული თავისებურებანი. განმარტებების მიღებისკენ სწრაფვა, გაუგებარი ფრაზების განმეორებითი ხასიათი, საუბრები იმ პირებთან, ვისთვისაც მიზნობრივი ენა მშობლიურს წარმოადგენს, კულტურული და სოციალური ნორმების კვლევა სოციალური სტრატეგიებისათვის არის დამახასიათებელი.

ცხადია, რომ ზოგიერთი სტრატეგიის წარმართვა გარედან მომდინარე ფაქტორების გავლენას ექვემდებარება. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს მასწავლებლები, განხორციელებული აქტივობები, ინტერაქციის მახასიათებლები და ა.შ, რომლებიც მოსწავლის მოტივაციასა და მზაობაზე, ასევე იმის განსაზღვრაზეა დამოკიდებული, თუ რის ცოდნაა საჭირო ან აუცილებელი.

მეორე ენის შესწავლის სტრატეგიებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია „კარგი მოსწავლის“ კონცეფციის მიმოხილვაც, რომლებიც მეორე ენის სტრატეგიების ადრეულ ეტაპზე იღებს სათავეებს და მის ძირითად მიზანს იმ სტრატეგიების ერთობლიობის ძიება წარმოადგენს, რომლებიც ეფექტური მოსწავლეების მიერ უცილობლად გამოიყენება. არაერთი კვლევა



ადასტურებს, რომ „კარგი მოსწავლის“ მიერ გამოყენებული სტრატეგიები გამოიხსნება: 1. ფორმისადმი ინტერესისა და ყურადღების; 2. მნიშვნელობისადმი ინტერესისა და ყურადღების; 3. მოსწავლის დამოუკიდებლობისა და მის მიერ პროცესების თვითმართვისა და 4. შესწავლის პროცესის გაცნობიერებულობის განვითარებისკენ. „კარგი მოსწავლის“ კონცეფცია საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მრავალი მკვლევარი, მათ შორის ო. მოლი და ჩამოტი (1990), ასევე გრეინი და ოქსფორდი (1995, გვ. 262) თვლიან, რომ ამგვარი მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რომელ სტრატეგიებს იყენებენ და რატომ. ამასთან, „კარგი მოსწავლეებს“ შეუძლიათ, რომ შესწავლის სტრატეგია კონკრეტულ ენობრივ დავალებას მოარგონ და ენის შესწავლისათვის არსებულ საჭიროებებს კი, საკუთარი, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მიუღწეონ. (ვენდენი, 1991, გვ. 13; არტელტი, 2003). მრავალი კვლევა ასევე ადასტურებს, რომ მოტივირებული მოსწავლეები ადვილად სწავლობენ ენის შესწავლის სტრატეგიების ეფექტურად გამოყენებას და შედეგად, კონკრეტული ამოცანისა თუ სხვადასხვა მიზნების მიღწევას.

ამ მიდგომას თუ საქართველოს მაგალითზე განვითარებით, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ თუ არაქართველ მოსწავლეებსა და სტუდენტებს ექნებათ ქართულის შესწავლის სხვადასხვა სტრატეგიული ინსტრუმენტის შესახებ შესაბამისი ცოდნა, გათვითცნობიერებული ექნებათ თითოეული სტრატეგიისა და სტრატეგიული ტექნიკის ფუნქცია და მნიშვნელობა და ამასთან, შეეძლება თავიანთი საჭიროებებისა და მიზნების იდენტიფიცირება ქართულ ენასთან მიმართებით, იმის აღბათობა, რომ მათ მიერ ენის შესწავლის პროცესი და შედეგი უფრო ეფექტური იქნება, გაცილებით მაღალია. კვლევებმა იმ პოზიტიური სტრატეგიების ჩამონათვალიც კი შექმნეს, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია „კარგი მოსწავლისათვის“. თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ ის სტრატეგიული ტექნიკები, რომლებიც ერთი მოსწავლის ეფექტურ შედეგს განაპირობებენ ენობრივი კომპეტენციების განვითარებისას, მეორე მოსწავლისათვის შეიძლება სულაც არ იყოს გამოსადეგი. ამ შედეგების ახსნა კი იმ ფაქტორების ერთობლიობით არის განპირობებული, რომლებიც გავლენას ახდენენ მეორე ენის დასწავლისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე. ამ ფაქტორებს ქვემოთ უფრო დეტალურად მიმოვიხილავთ. ამ შემთხვევაში კი საინტერესოა სწავლის გარემოს ფაქტორი, რომელიც უდავოდ მოქმედებს დასწავლის სტრატეგიების ფლობასა და გამოყენებაზე და რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული როლი მასწავლებელს უკავია. მასწავლებელი, რომელსაც სურვილი აქვს, მოსწავლეებს მეორე ენის შესწავლის სტრატეგიები შეასწავლოს, აუცილებლად კარგად უნდა იცნობდეს მათ ინდივიდუალურ თვისებებს, ინტერესებს, მოტივაციას, მიზნებს. მეტიც, მას უნდა შეეძლოს დაკვირვების საფუძველზე მოსწავლეების მიერ უკვე გამოყენებადი სტრატეგიების იდენტიფიცირება. მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს, რომელი მოსწავლე ითხოვს დეტალურ განმარტებას, რომელი – დასაბუთებას და რომელი კი – შესწავლას მეტყველების მომენტში, უკვე იცნობს მოსწავლეების სწავლის სტილს, რაც ასევე ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორია შესწავლის სტრატეგიების არჩევისას. თავისთავად, შეიძლება უამრავი მეთოდის გამოყენება, რომლებიც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, მოსწავლეს თავად აღაწერინოს ენის შესწავლის მისთვის ჩვეული პროცესი. ასევე გაარკვიოს, თუ რა არის მოსწავლის ძირითადი მოტივატორი ენის შესწავლისას. თუმცა, ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად მაინც სპეციალურად შემუშავებული კითხვარები შეიძლება განვიხილოთ, რომლებიც, ერთი მხრივ, მასწავლებლისათვისაა ინფორმატიული, ხოლო, მეორე მხრივ კი, თავად მოსწავლეების ყურადღების გამახვილებას ახდენს სწავლის პერსონალური სტილს, შესწავლის მიზანსა და გამოყენებულ სტრატეგიებზე. ეს კი მოსწავლეს უფრო კარგად მიანიშნებს მიდრეკილებებზე და იმ სუსტ მხარეებზე, რომლებზეც განსაკუთრებულად უნდა იმუშაოს. უდავოა, რომ მოსწავლეების სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული სწავლის სტილი და შესაფერისი შესწავლის სტრატეგიები შეიძლება ჰქონდეს. და ისიც ცხადია, რომ მასწავლებელი ვერ შეძლებს საკლასო ოთახში მოსწავლეთა ერთი ჯგუფის ინტერესები გაითვალისწინოს და მაგალითად, ანალიტიკური სწავლების მიდგომით იხელმძღვანელოს ან მხოლოდ აუდიო მოტივატორების გამოყენებით შემოიფარგლოს. მეორე ენის მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ყველა სტრატეგიულ



ჯგუფებსა და ინსტრუმენტების ფართო სპექტრს და მათი გამოყენება შეეძლოს გაკვეთილზე სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებისა და დავალებების უზრუნველყოფის პირობებში. მკველვრების ნაწილი ამტკიცებს, რომ განსაკუთრებული პოპულარობითა და ეფექტურობით ის პროგრამები სარგებლობენ, რომლებიც უშუალოდ ენის შესწავლის სტრატეგიების სწავლის პროცესზე არიან ფოკუსირებული. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამართლებულია მეორე ენის სწავლების ინტენსიური პროგრამების მაგალითზე და პირობითად “ვისწავლოთ, თუ როგორ ვისწავლოთ ქართული” შეიძლება ვუწოდოთ. ქართულ სინამდვილეში, მსგავსი მეთოდის გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში საშედავითო პოლიტიკის შედეგად ჩარიცხულ და ქართულის ერთწლიან ინტენსიურ კურსებში გაერთიანებულ სტუდენტებთან მუშაობის დროს იქნება მიზანშეწონილი, რადგან, როგორც კვლევა აჩვენა, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქართულის მოსწავლეებს შორის, ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული მიზანი ყველაზე ნათლად სწორედ ამ სტუდენტებს აქვთ გათვითცნობიერებული და ჩამოყალიბებული. უფრო დეტალურად ზემოაღნიშნული კვლევის შედეგებს მოგვიანებით განვიხილავთ.

ეჭვგარეშეა, რომ ცალკე უნდა შევეხოთ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც, როგორც ოქსფორდის (1990) მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემთა ერთობლიობა აჩვენებს, გავლენას ახდენენ მეორე ენის შესწავლის სტრატეგიებზე. ეს ფაქტორებია:

მოტივაცია: რაც მეტად არის სტუდენტი მოტივირებული, მით უფრო მეტ სტრატეგიას იყენებს იგი ენის სწავლის პროცესში. ამასთან, კონკრეტული მიზნები, რომლებიც მეორე ენის შესწავლასთან არის დაკავშირებული, მოქმედებს კონკრეტული სტრატეგიების არჩევანზე.

მოსწავლის სქესი: გოგონების მიერ სტრატეგიების გამოყენება ზოგადად ვაჟებზე ინტენსიურად ხდება. თუმცა, ამავდროულად, ვაჟები მათ მიერ არჩეულ კონკრეტულ სტრატეგიას მეტი ინტენსივობით გამოიყენებენ.

კულტურული წარმომავლობა: ოქსფორდის მიხედვით, მოსწავლის კულტურული საწყისები გავლენას ახდენენ მის მიერ სტრატეგიის არჩევანსა. ასე, მაგალითად, მექანიკური დამახსოვრებისა და სხვა, ნებისმიერი ტიპის მეხსიერების ტექნიკები უფრო ინტენსიურად გამოიყენება აზიური წარმოშობის სტუდენტების მიერ, ვიდრე სხვა კულტურული წარმომავლობის სტუდენტებში. მეტიც, სხვადასხვა ერში სხვადასხვა ტექნიკებისადმი მიდრეკილება არსებობს.

დამოკიდებულებები და რწმენა: ამ კომპონენტების გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ენის შესწავლის სტრატეგიების არჩევანსა. ამასთან, უარყოფითი დამოკიდებულება მეტწილად განაპირობებს შესწავლის ტექნიკების მცირე რაოდენობით გამოყენებას ან გამოყენებულ სტრატეგიებს შორის ლოგიკური კავშირისა და ბალანსის ნაკლებობას.

შესასრულებელი დავალების სახეობა: დავალების სპეციფიკა მეტწილად ეხმარება მოსწავლეებს, განსაზღვრონ ის სტრატეგია, რომელიც ბუნებრივად უწყობს ხელს დავალების უკეთ შესრულებას.

ასაკი და სწავლის საფეხური: სხვადასხვა ასაკის სტუდენტები სხვადასხვა ტიპის სტრატეგიებს იყენებენ. ამასთან, შესწავლის საფეხური მკვეთრად ცვლის არჩეულ სტრატეგიათა მიმართულებას და მეტი ინტენსივობითა და ფართო დიაპაზონით უფროსი კლასის მოსწავლეებს/სტუდენტებსა და ენის უფრო მაღალი კომპეტენციების მქონე მოსწავლეებში გვხვდება.

სწავლის სტილი: სწავლისადმი ზოგადი დამოკიდებულება, რომელიც ხშირად განაპირობებს მეორე ენის შესწავლისათვის არჩეულ სტრატეგიასაც. მაგალითად, ის სტუდენტები, რომლებიც ანალიტიკური აზროვნებითა და საგნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, უფრო ინტენსიურად გამოიყენებენ შესწავლის ისეთ ტექნიკებს, როგორებიცაა კონტრასტული ანალიზი, წესების დასწავლა, სიტყვებისა და ფრაზების დაშლა უფრო მცირე ერთეულებად. მაშინ, როდესაც კოლისტიკური სტუდენტები მეორე ენის შესწავლის პროცესში მეტწილად მნიშვნელობის გარკვევისკენ მიმართულ სტრატეგიებს იყენებენ, როგორებიცაა, მაგალითად, გამოცნობა, სკანირება,



პროგნოზირება და ა.შ. და ცდილობენ, რომ ისაუბრონ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიტყვათა მარაგი არ ჰყოფნით. (პერიფრაზირებას, მიმიკა და ჟესტიკულაცია).

ორაზროვნების ან გაურკვეველობის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება: ის სტუდენტები, რომლებიც ზოგადად უფრო ლოიალურად ეკიდებიან ორაზროვან სიტუაციებს სწავლის მომენტში, (მაგალითად, ლექსიკური ომონიმია) აბსოლუტურად განსხვავებულ სტრატეგიებს მიმართავენ შესწავლისას, ვიდრე ისინი, ვისაც უჭირს ამგვარ სიტუაციებთან გამკლავება.

უდავოა, რომ ყველა ზემოთაღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის მიერ ენის შესწავლის სტრატეგიების პრიორიტეზებასა და გამოყენების ინტენსივობასა და ხარისხს. თუმცა, ამ შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ორ ფაქტორზე გვინდა. ესენია, მოტივაცია და სწავლის სტილი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მოტივაციის ფაქტორი ენის შესწავლის სტრატეგიებთან მიმართებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოტივაციის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ენის შესწავლის სტრატეგიების შერჩევაზე, გამოყენებასა და ინტენსივობაზე. განვიხილოთ ენის შესწავლის მოტივაციის რამდენიმე თეორია. გარდნერი და ლამბერტი (1972) მოტივაციას ინსტრუმენტალურ და ინტეგრირებულ ტიპებად ყოფენ. ინსტრუმენტალური მოტივაცია გულისხმობს მოსწავლის მიერ ენის შესწავლის სურვილს, რომელსაც საფუძვლად მისი უტილიზაცია უდევს: მაგალითად, მოგზაურობა ან დასაქმება. ინტეგრირებული მოტივაცია კი ენის შესწავლის სურვილს მიზნობრივი ენის მატარებელ საზოგადოებაში ინტეგრირებისკენ სწრაფვას უკავშირებს. ამ თეორიაზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც იმიტომ, რომ გამოკითხული მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნობრიობას სწორედ კარიერული წინსვლის პერსპექტივასა და საზოგადოებაში ინტეგრირებას უკავშირებს პირდაპირ თუ ირიბად. ასევე საინტერესოა მოტივაციის სხვა თეორია, რომელიც „არა როგორც ერთი, არამედ მრავალფუნქციურ კონსტრუქციას წარმოადგენს“. ოქსფორდმა და შეარინმა (1994) 12 მოტივაციური თეორიისა და მოდელის ანალიზის შედეგად, რომელიც სოციოფსიქოლოგიის, კოგნიტური განვითარებისა და სოციოკულტურული-ფსიქოლოგიის მიმართულებებს მოიცავდა, 6 მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოყვეს და მათი გავლენა შეისწავლეს ენის სტრატეგიების არჩევისა და გამოყენებაზე.

- დამოკიდებულება, რომელიც მიზნობრივი ენის მატარებელი საზოგადოებისა და მიზნობრივი ენისადმი ემოციებს აერთიანებს;
- რწმენები ცხოვრების შესახებ, რომლებიც პიროვნების ხედვას მოიცავს; მაგალითად, წარმატებას, თვითეფექტურობასა და შიშთან მიმართებით.
- მიზნები (სწავლის ნათლად გათვითცნობიერებული მიზნების აღქმა, რომელიც სწავლის პროცესს წარმართავს;
- ჩართულობა - ენის შესწავლის პროცესში მოსწავლის აქტიური და გაცნობიერებული მონაწილეობის მოცულობა;
- ხელისშემწყობი გარემო, მასწავლებლებისა და თანატოლების მხარდაჭერის მოცულობა, ენის შესწავლის გამოცდილება, რომელთანაც კულტურული და კლასგარეშე ფაქტორებია ინტეგრირებული;
- პიროვნული დამოკიდებულებები (მიდრეკილებები, ასაკი, სქესი, ენის სწავლის წინარე გამოცდილება);

ეს მოდელიც საკმაოდ საინტერესოა საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით, სადაც როგორც კვლევამ აჩვენა, დამოკიდებულება და რწმენები განსაკუთრებით დომინირებს მათ მიერ სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებული ინდივიდუალური მიზნების დასახელებისას.



ენის სწავლის სტილი ფაქტორი შესწავლის სტრატეგიებთან მიმართებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლის სტილი ერთ-ერთთაგანია იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ენის შესწავლის სტრატეგიებს. ეს ის ფაქტორია, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ, თუ როგორ და რამდენად ეფექტურად სწავლობენ მოსწავლეები მეორე ან უცხო ენებს. პირველ რიგში განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ენის სწავლის სტილი და რა ურთიერთკავშირი არსებობს ინდივიდუალურ სტილსა და პრიორიტეტულ სტრატეგიებს შორის.

სწავლის სტილი - ზოგადი მიდგომაა, როგორცაა, მაგალითად მოცულობითი ან ანალიტიკური, სმენითი ან ვიზუალური. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს მოსწავლის მიერ საგნის შესწავლის სტილს. კორნეტის (1983, გვ. 9) განმარტებით, სწავლის სტილი ძირითადი ტენდენციებია, რომელიც სწავლითი ქმედებების ძირითად მიმართულებებს განაპირობებს. მხოლოდ დუნი და გრიგი (1988, გვ. 3) სწავლის სტილის შემდეგ განმარტებას იძლევიან: “სწავლის სტილი არის ბიოლოგიური თავისებურებებისა და განვითარების საფეხურის მიერ განპირობებული მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც გამოყენებულ სწავლის მეთოდებს ეფექტურს ან აბსოლუტურად გამოუსადეგარს ხდის.” შესაბამისად, ენის შესწავლისათვის სწორად დაგეგმილ გარემოში, სწავლის სტილი პიროვნების აღქმითი პრიორიტეტების, კულტურული წარმომავლობის, აზროვნების მახასიათებლების და ცოდნის საფეხურის განსხვავებების მიხედვით შეირჩევა.

ერმანი და ოქსფორდი (ერმანი, ოქსფორდი, 1990) სწავლის სტილის 9 ძირითად მიმართულებას განიხილავენ, თუმცა, ცხადია, ეს არ გამორიცხავს ბევრად უფრო მეტი ასპექტის არსებობას, რომელიც მოსწავლის სწავლის სტილს განაპირობებს. იგივე მეცნიერები მეორე ენის შესწავლის პროცესთან ასოცირებულ სწავლის 4 სტილზე აკეთებენ აქცენტს. ესენია: აღქმითი პრიორიტეტები, ინდივიდის ტიპური მახასიათებლები, განზოგადების ხარისხობრივი მახასიათებლები და ბიოლოგიური განსხვავებანი.

ძალიან მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

აღქმითი უნარები ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა და ვიზუალურ, სმენით, კინეტიკურ (მოძრაობასთან დაკავშირებული) და ტაქტილურ (შეხებასთან ასოცირებულ) კატეგორიებს აერთიანებს. მოსწავლის აღქმითი უნარის მიხედვით, საკლასო გარემოში მოსწავლეების ნაწილისათვის ვიზუალური სტიმულაცია მეტად კომფორტული და ეფექტურია, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილისათვის ლექციური ფორმის გაკვეთილები, დიალოგები და სწავლების სხვა სმენითი მიმართულებები, ყოველგვარი დამატებითი მასალების გარეშე, სავსებით მისაღებია. კინეტიკური და ტაქტილური მიდრეკილების მოსწავლეებისათვის როლური თამაშები, დასურათებული ბარათები, კოლაჟები – განსაკუთრებულ მოტივატორებს წარმოადგენენ და მათ მიერ შესწავლის პროცესს კომფორტულს ხდიან. საინტერესოა რეიდის (რეიდი, 1987) მოსაზრება, რომელიც მოსწავლეების აღქმით უნარებს და პრიორიტეტებს მჭიდროდ უკავშირებს კულტურულ მახასიათებლებსა და განსხვავებებს. მისი მტკიცებით, აზიური კულტურული წარმოშობის მოსწავლეები მიდრეკილნი არიან ვიზუალური აღქმადობისაკენ, მაშინ, როდესაც „ესპანოსები“ მეტწილად კარგად განვითარებული სმენითი უნარებით ხასიათდებიან. ეს მიდგომა შეიძლება საინტერესო იყოს იმ კუთხითაც, თუ რამდენად განაპირობებს მშობლიური ენა, როგორც კულტურული წარმომავლობის ყველაზე ძლიერი მახასიათებელი, მოსწავლეთა აღქმით პრიორიტეტებს. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია აზერბაიჯანული და სომხური ენის თავისებურებების შესწავლა და მოსწავლეების ბუნებრივი მიდრეკილებებისადმი მშობლიურ ენასთან ასოცირება, რაც, სამწუხაროდ, ამ პერიოდისათვის ნაკლებადაა გამოკვლეული.

ტიპობრივი მახასიათებლები, რომლებიც ენის შესწავლის პროცესისთვის არის მნიშვნელოვანი, მოსწავლეებს ექსტრავერტ და ინტროვერტ, ინტუიტიურ და სეკვენციურ, მოაზროვნე და აღქმად, საბოლოო შედეგზე ორიენტირებულ/შემფასებელ და ღია/მიმღებ ტიპებად ჰყოფს. ტიპურ მახასიათებლებს ხშირად ფსიქოლოგიურ ტიპადაც მოიხსენიებენ. მრავალი მეცნიერული კვლევა ადასტურებს მჭიდროდ ურთიერთკავშირს ენის შესწავლასა



და ფსიქოტიპურ მახასიათებლებს შორის. ურთიერთსაწინააღმდეგო ტიპური მახასიათებლების მატარებელ მოსწავლეთა ერთობლივი და ეფექტური მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ პედაგოგის სწორად არჩეული მიდგომების შემთხვევაში. მაგალითად, ექსტრავერტებს, რომლებიც ენერგიით ხალხთან ურთიერთობისა და მრავალფეროვანი კავშირების საშუალებით იტვირთებიან, თუ მასწავლებელი საკლასო გარემოში სპეციალურად შეუქმნის შეზღუდულ დროის მონაკვეთში დავალების შესრულების აუცილებლობას, დროის მართვის შესაძლობა დადებითად იმოქმედებს მათ ჩართულობასა და პროდუქტულობაზე, მაშინ, როდესაც დისკუსიის მსვლელობის მართვის შესაძლებლობა განაპირობებს ინტრავერტი მოსწავლეების პროცესში მონაწილეობის თანაბარ ინტენსივობას.

ინტუიტიური აზროვნების მოსწავლეები აბსტრაქტულად და მდიდარი წარმოსახვით გამოირჩევიან. მათ მოსწონთ თეორიების შექმნა და ხშირად მოულოდნელი წიაღსვლებით გამოირჩევიან. ეს მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ, თუ სწავლის პროცესს მიმართულებას თავად აძლევენ. მაშინ, როდესაც სეკვენციური აზროვნება მოსწავლეებში ფაქტებისადმი მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე თეორიებისადმი. მათ სჭირდებათ პედაგოგის მითითებები და თანმიმდევრული ნაბიჯებისა და მათი გაანალიზების მოთხოვნა აქვთ. სეკვენციურ მოსწავლეებს კონცეფციების, წესების და თეორიების დამუშავება და მათში გარკვევა ეხერხებათ. ენის გაკვეთილზე პედაგოგს შეუძლია სეკვენციური ტიპის მოსწავლეებს კარგად ორგანიზებული ენობრივი სტრუქტურული ერთეულები შესთავაზოს, რასაც შემდგომში მრავალფუნქციური სავარჯიშოებისა და დამატებითი აქტივობებით შეცვლის ინტუიტიური აზროვნების მოსწავლეებისათვის.

ხარისხობრივი მახასიათებლები მოსწავლეებს იმ თვისებების მიხედვით განასხვავებს, რომლებიც მოსწავლეებს ძირითად იდეასა და ფართო სურათზე ფოკუსირებულსა და დეტალებზე კონცენტრირებულს შორის კონტრასტს გულისხმობს. პოლისტიკური სტუდენტები თავს კომფორტულად ინტერაქციული, კომუნიკაციური აქტივობების დროს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას გრძნობენ. ანალიტიკური აზროვნების სტუდენტები კი გრამატიკულ დეტალებზე არიან კონცენტრირებულები და თავს უფლებას ნაკლებად აძლევენ, კონტექსტიდან გამომდინარე დასკვნები გამოიტანონ. ისინი საკმარისად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ საკუთარი შეხედულების კორექტულობაში. პოლისტიკური და ანალიტიკური ტიპის სტუდენტების ერთად მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია როგორც თავად მათთვის, ასევე მეორე ენის სწავლის პროცესის დაბალანსებისათვის.

ბიოლოგიური განსხვავებები ყველაზე ფართო სპექტრის ფაქტორებს მოიცავს და დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების ინდივიდუალური სწავლების პრიორიტეტებზე. ასეთი ფაქტორებია, მაგალითად, ბიორითმი, ადგილმდებარეობა, კვების სტილი და ა.შ. ბიორითმი განსაზღვრავს დროის იმ მონაკვეთს როდესაც თითოეული მოსწავლე უკეთ და უარესად გრძნობს თავს, მეტად და ნაკლებად შრომისუნარიანია და, შესაბამისად, საკუთარი თავის წარმოჩენა სხვადასხვანაირად შეუძლია. ადგილმდებარეობა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა, მაგალითად, ტემპერატურა, განათება, ხმაური, საწერი მაგიდის სიმაღლე და ა.შ. ცხადია, რომ საკლასო ოთახის პირობებში რთულია ინდივიდუალური ბიოლოგიური თავისებურებების დაკმაყოფილება, თუმცა გამოცდილი პედაგოგი ახერხებს მოსწავლეებისათვის მეტ-ნაკლებად კომფორტული გარემოს შექმნასა და ამ კუთხით კომპრომისებზე წასვლასაც კი, თუ ამის აუცილებლობასა და დადებით ეფექტს ხედავს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი სწავლის სტილის იდენტიფიცირება და განვითარება. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჭირო მომენტებში მან შეძლოს საკუთარ სწავლის სტილზე მასშტაბურად იაზროვნოს. ამაში კი მოსწავლეს სასკოლო გარემოში მასწავლებლის მიერ შერჩეული და გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები უნდა დაეხმაროს, რომლებიც საშუალებას აძლევს, ბუნებრივი შესწავლის სტილის ფარგლებს გარეთაც თავი კომფორტულად იგრძნოს. ცხადია, რომ მსგავსი მიდგომა მოსწავლეზე ორიენტირებულ, კომუნიკაციური და სოციალური აქტივობებით გამდიდრებულ მეთოდებს გულისხმობს.



არაერთი კვლევა ცხადყოფს იმ ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რომელიც სწავლების სტილს, მოტივაციასა და შესწავლის სტრატეგიებს შორის უნდა არსებობდეს და რომელიც მოსწავლის მოსწრებას, აკადემიური წინსვლის, სწავლისადმი დამოკიდებულებასა და ქცევას სწავლის უკვე დაწყებით და საბაზისო საფეხურზე აუმჯობესებს (ვოლასი, ოქსფორდი, 1992). მიიხსენიებენ, რომ ეს განვითარება განსაკუთრებით ეფექტური სწორედ მეორე და უცხო ენის შესწავლის დროს არის.

საქართველოში ქართულის, როგორც მეორე ენისადმი ინტერესი, მისი სწავლება და სწავლა ჯერ კიდევ მოკლე პერიოდს ითვლის იმისათვის, რომ ესა თუ ის დასკვნა, თეორიები, სწავლის მეთოდები და მიდგომები ჩვენს კონტექსტში დაგროვილ გამოცდილებას, დროის სივრცეში გავრცობილ დაკვირვებებსა და სხვადასხვა კვლევის შედეგებს დაეფუძნოს. შესაბამისად, ყველა ის საკითხი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლის მაგალითებზე. თუმცა, თუ სხვადასხვა პერიოდის კომპეტენტური ენათმეცნიერებისა და განათლების ფსიქოლოგთა მიერ წარმოდგენილ შედეგებს მიმოვიხილავთ, ეჭვგარეშეა, რომ მეორე ენის შესწავლის სტრატეგიების, მათი უკეთ შეთვისების, ანალიზისა და პრაქტიკაში დანერგვის საკითხი შეიძლება საკმაოდ ინტერნსიურად დადგეს მათი ეფექტურობის გამო და შესაფერისი ინსტრუმენტი აღმოჩნდეს სხვა მეთოდებსა და მიდგომებთან ერთობლიობაში ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულის ეფექტურად ათვისებისათვის. ქვემოთ აღწერილია ის პილოტური ემპირიული კვლევა, რომელიც საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის პერიოდში სტრატეგიების გამოყენების ინტენსივობას იკვლევდა. ამისათვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით 100 ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი პოპულაცია გამოიკითხა. კითხვარები შემთხვევითი წესით დანაწილდა არაქართული საშუალო სკოლის მე-11 – მე-12 კლასის მოსწავლეებს, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც 2010 წლიდან სახელმწიფოს მიერ ინიცირებული საშეღავათო პოლიტიკის შედეგად პირველ კურსზე ჩაირიცხნენ. საგულისხმოა, რომ ეს სტუდენტები ერთი წლის მანძილზე ინტენსიურად სწავლობენ მხოლოდ ქართულ ენას და წლის ბოლოს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარებისა და ენობრივი კომპეტენციების დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში სწავლას სასურველ ფაკულტეტზე გააგრძელებენ სხვა სტუდენტებთან ერთად. გამოკითხული ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები კი, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლის კონტინგენტს წარმოდგენდნენ, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ განხორციელებულ ქართული ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისათვის ორგანიზებულ 90 აკადემიურ საათისაგან შემდგარ ტრენინგში იღებდნენ მონაწილეობას. კითხვარი ოქსფორდის „ენის სწავლის სტრატეგიების აღწერის“ (Strategy Inventory for Language Learning, SILL) მიხედვით იქნა შედგენილი და სხვადასხვა სტრატეგიული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ტექნიკის შეფასებას მოითხოვდა სკალის პრინციპით. ავტორის მიერ შემუშავებული კითხვარისგან განსხვავებით, კვლევისათვის გამოყენებულ ჩვენს კითხვარში სტრატეგიული ტექნიკები არ არის 6 სტრატეგიული მიმართულების მიხედვით დაჯგუფებული და, შესაბამისად, რესპონდენტის ყურადღებას მხოლოდ კონკრეტული ტექნიკის გამოყენების ინტენსივობაზე ამახვილებს, რაც, ჩვენი აზრით, ამარტივებს კითხვარში მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კითხვარი ოქსფორდის „ენის სწავლის სტრატეგიების აღწერის“ კითხვარის მიხედვით იყო შედგენილი და, შესაბამისად, იმ სტრატეგიულ ტექნიკებთან ასოცირებულ კითხვებს შეიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლის სტრატეგიები უამრავ ტექნიკას მოიცავს და, შესაბამისად, შეიძლება, რომ უნივერსალურ ინსტრუმენტად მივიჩნიოთ მეორე ენის სწავლების სტრატეგიასთან მიმართებით, სავარაუდოა, რომ ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს ტექნიკები, რომელთა ფლობა და გამოყენება განსაკუთრებით ეფექტური იყოს ენის

**სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები**
**Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges**



შესწავლისათვის. შესაბამისად, არსებობს ალბათობა, რომ ამგვარი ტექნიკების არსებობის შემთხვევაში, კითხვარი ვერ შეძლებდა ამომწურავი ანალიზის შესაძლებლობას.

კითხვარი სულ 50 კითხვისაგან შედგებოდა და სტრატეგიული მიმართულებისათვის დამახასიათებელი ტექნიკების გამოყენების ინტენსივობას 1-დან 5-მდე, შემდეგი დებულებების საშუალებით აყალიბებდა. 1- “არასდროს ან თითქმის არასდროს ვიყენებ”; 2 – “ძირითადად არ ვიყენებ”; 3 – “ხანდახან ვიყენებ”; 4 – ძირითადად ვიყენებ და ბოლო, ყველაზე ინტენსიური უტილიზაციის ამსახველი დებულება, რომელი სკალის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით – 5-ით და დებულებით - “ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის ვიყენებ” - ფასდებოდა. ქვემოთ მოცემულია კითხვარში მოცემული სტრატეგიული ტექნიკის მახასიათებელი დებულების რამდენიმე მაგალითი:

31. ვხვდები, როდესაც შეცდომებს ვუშვებ და ვიყენებ ამ ინფორმაციას, რომ შემდგომში გამოვასწორო	1	2	3	4	5
32. ყურადღებას ვაქცევ სხვების ქართულ საუბარს	1	2	3	4	5
33. ვცდილობ გავარკვიო ის გზები და საშუალებები, როგორ ვისწავლო ქართული უკეთ	1	2	3	4	5
34. წინასწარ ვგეგმავ ყველა დღეს, რომ დამრჩეს საკმარისი დრო ქართულის სასწავლად	1	2	3	4	5
35. ვეძებ ადამიანებს, ვისთანაც შევძლებ, რომ ქართულად ვისაუბრო	1	2	3	4	5
36. ვცდილობ გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რომ ქართულად ვიკითხო	1	2	3	4	5

ამასთან, კითხვარი ქართულის ენის შესწავლასთან დაკავშირებული მიზნის კვლევასაც მოიცავდა. მთლიანობაში კი გვინდოდა დაგვედგინა, რამდენად არსებობს ურთიერთკავშირი სწავლის საფეხურს (სკოლის მოსწავლე, უმაღლესის სასწავლებლის სტუდენტი და დატრენინგებული მასწავლებლები), ენის შესწავლის მიზანსა და გამოყენებულ სტრატეგიებს შორის. უფრო კონკრეტულად, კვლევის შედეგად უნდა დაგვედგინა:

- რამდენად ინტენსიურად გამოიყენება ენის შესწავლის სტრატეგიები ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართულის შესწავლის პროცესში ზოგადად;
- არსებობს თუ არა რაიმე ტიპის პრიორიტეტები ენის შესწავლის სტრატეგიული მიმართულების არჩევისას;
- შეიმჩნევა თუ არა განსხვავება ენის სტრატეგიების არჩევისა და გამოყენების დროს სხვადასხვა ასაკობრივი და სწავლების გამოცდილების მქონე წარმომადგენელს შორის;
- რამდენად მოქმედებს მოტივაციის ფაქტორი სტრატეგიების გამოყენების მრავალფეროვნებასა და ინტენსივობაზე, კონკრეტულად კი, რამდენად არის სტრატეგიები დაკავშირებული გამოკითხულთა ინდივიდუალურ მიზნებთან.


სამწუხაროდ, 100 კითხვარიდან კვლევისათვის მხოლოდ 64-ის გამოყენება იქნა შესაძლებელი, რადგან დანარჩენი კითხვარები შეუვსებელი ან თითქმის შეუვსებელი დაბრუნდა უკან. 64 კითხვარიდან 22 სკოლის მოსწავლის, 18 მასწავლებლისა და 24 სტუდენტის კითხვარი აღმოჩნდა კვლევისათვის გამოსადეგარი. გაანალიზებული 64 კითხვარის შედეგების მიხედვით კი შემდეგ ტენდენციებზე შეიძლება საუბარი:

ეთნიკური უმცირესობების მიერ სტრატეგიული ტექნიკების გამოყენება მაღალი ინტენსივობით ხასიათდება. ამასთან, სტრატეგიული მიმართულებების მოხმარების ინტენსივობა ერთმანეთისგან ნაკლებ განსხვავდება.. იხ. ცხრილი, სადაც ნაჩვენებია თითოეული სტრატეგიული მიმართულების მახასიათებელი გამოკითხულებთან მიმართებით.



სტრატეგიული მიმართულება	კოგნიტიური	მეტაკოგნიტიური	მასსოვრობასთან დაკავშირებული	კომპენსატორული	აფექტური	სოციალური
N Valid	63	63	63	62	60	62
Missing	1	1	1	2	4	2
Mean	3,63	3,82	3,70	3,82	3,28	3,78
Median	3,78	4,00	3,67	3,89	3,17	4,00
Mode	4	4	4	4	4	4
Std. Deviation	1,113	1,065	1,000	1,089	1,320	1,119

კვლევის შედეგების მიხედვით, აფექტური სტრატეგიული მიმართულება ქართული ენის შესწავლისათვის უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ შედარებით მცირე რაოდენობით გამოიყენება. ამასთან, ასაკი და ენის შესწავლის გამოცდილება სტრატეგიების გამოყენების ინტენსივობაზე განსაკუთრებულ გავლენას არ ახდენს და ჯგუფებს შორის განსხვავებები თითქმის არ ვლინდება. საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხულთა მიერ ენის შესწავლის თითოეულ სტრატეგიასთან ასოცირებული ინსტრუმენტების გამოყენების ინტენსივობაც საკმაოდ ჰომოგენურია და რომელიმე, გამორჩეული ინსტრუმენტისადმი განსაკუთრებული ან ნაკლები ინტერესი არ შეიმჩნევა. ამგვარი შედეგის მიღების ერთ-ერთი დაშვებად ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებზე გარკვეული ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ზეწოლის არსებობა შეიძლება განვიხილოთ, რომელიც განათლების რეფორმის პერიოდის თანმდევი ტენდენციაა ამ შემთხვევაში და რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს გულახდილი პასუხების მაგივრად, მათ მიერ სასურველ პასუხებად აღქმულის დასახელებისაკენ უბიძგებს. ამ შემთხვევაში რესპონდენტები არა საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიული მიმართულების პრიორიტეტულობაზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ იმაზე, თუ რამდენად “სწორი” პასუხის გაცემას შეძლებს.



მოკლედ მიმოვიხილოთ ის ტენდენცია, რომელიც გამოკითხულთა მიერ ქართულის შესწავლის მიზანთან მიმართებით დაფიქსირდა; გამოკითხულთა 79,7 %-მა კითხვას, “გაქვთ თუ არა ქართულის შესწავლისთვის პერსონალური მიზანი” დადებითად უპასუხა, მხოლოდ 14%-მა უარყოფითად, 6,3% უპასუხა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. ამასთან, დადებითი პასუხები პროცენტულად ამგვარად გადანაწილდა: გამოკითხულთა სტუდენტთა 49,1%, მასწავლებელთა 21,1% და მოსწავლეთა 29,8% პროცენტმა პერსონალური მიზნის არსებობა დაადასტურა. საინტერესოა ასევე შემდეგ კითხვაზე რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხები. შემდეგი კითხვა მიზნის არსებობის შემთხვევაში მის მოკლედ ჩამოყალიბებას ითხოვდა. მიზანი 64 რესპონდენტიდან 56-მა გაწერა, მათ შორის იმ რესპონდენტებმაც, რომლებმაც მიზნის არსებობას წინა კითხვაში უარყოფითად უპასუხეს ან პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს. ამასთან, კონკრეტული მიზნის დასახელების დროს, დებულებები თითქმის ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მასწავლებლებისა და სკოლის მოსწავლეების პასუხებს შორის შეინიშნება. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მიზანი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და უფრო მეტად ენის სწავლების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე პირად დამოკიდებულებაზე. ასე



მაგალითად, პასუხების ძირითადი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართული სახელმწიფო ენაა და მისი სწავლა აუცილებელია, თუმცა რა შედეგის მომტანია სახელმწიფო ენის ცოდნა კონკრეტული რესპონდენტისათვის ან რა მიზანს უკავშირებს იგი შესწავლას, კითხვარში არ არის აღნიშნული. მოსწავლეების ნაწილი მიზნის ჩამოყალიბებისას აღნიშნავს, რომ მათ ქართულის სწავლა იმიტომ უნდათ, რომ უყვართ ან/და მოსწონთ იგი, რაც იმაზე მიუთითებს რომ ამ შემთხვევაში რესპონდენტების მიერ დამოკიდებულებებისა და რწმენის ძლიერ გავლენაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ხოლო მეორე მხრივ კი კვლავ ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტები ძლიერი იდეოლოგიური გავლენის ქვეშ იმყოფებიან. სტუდენტების მიერ მიზნების იდენტიფიცირება მეტი მკაფიოობით ხასიათდება და აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ მიზანს მომავალ კარიერას, პროფესიასა და საქმიანობას უკავშირებს. თუ იგივე დაშვებას განვაითარებთ, შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ სტუდენტებს სწორედ საუნივერსიტეტო სწავლის გარემო და პირობები მეტ-ნაკლებად აძლევს იმის საშუალებას, რომ საკუთარი დამოკიდებულებები და პრიორიტეტები გაანალიზონ და პერსონალური შეხედულებებიც თავისუფლად გამოხატონ. სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებულ მიზნების დებულებების უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ ქართულის ენის შესწავლა სურთ, რათა მასწავლებელი, იურისტი, მათემატიკოსი და ა.შ. გამოვიდნენ, ხოლო რიგ შემთხვევებში კი, მიზანი პროფესიის დაუფლებასა და შემდეგ საკუთარ თემში პროფესიით მუშაობას წარმოადგენს.

ამრიგად, გამოკითხულთა მიერ გამოყენებული სტრატეგიული მიმართულებისა და მიზნის დებულების კვლევის საფუძველზე, საკმაოდ რთულია სწავლის საფეხურის, მიზნის არსებობის და ენის შესწავლის სტრატეგიების გამოყენების ინტენსივობას შორის ურთიერთმიმართებაზე საუბარი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რესპონდენტთა მიერ სტრატეგიების შერჩევის და განხილვის დროს მათი გათვითცნობიერებული არჩევანის ნაკლებობაზე. ამასთან, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებო ეთნიკური უმცირესობების წარმომდგენელი მოსწავლეების ენის სტრატეგიების მიმართ დამოკიდებულებაა და არა ამ დამოკიდებულებაზე მოქმედი ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, არ მოგვეცა საშუალება, თავდაპირველ კითხვებზე ამომწურავი ინფორმაცია მიგვეღო და გავგეანალიზებინა ისინი, ის შედეგები, რომლებიც დადგა, იძლევა საშუალებას, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანოთ. ენის შესწავლის სტრატეგიებისგან დამოუკიდებლად, მოსწავლის მიერ ენის სწავლასთან დაკავშირებული მიზანი უდავოდ დიდ გავლენას ახდენს შესწავლის ეფექტურობაზე. შესაბამისად, სწავლის მიზნის ჩამოყალიბებისათვის მუშაობა სასწავლო პროცესის თანმდეგ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. რადგან შესწავლის სტრატეგიების გამოყენება არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციების განვითარებას, არამედ ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებასაც იწვევს, სასურველია, რომ ეს მიდგომა ასევე წარმოადგენდეს მოსწავლეების სწავლების ნაწილს, თუნდაც იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელსაც ბრაუნი (ბრაუნი, 2001, გვ. 217) უსვამს ხაზს და რომელიც სტრატეგიების შესწავლის სიმარტივეს უკავშირდება. ამ შემთხვევაში, ამ მიდგომის დანერგვა, თუნდაც არსებულ სასწავლო გარემოში, რომელიც, არაერთი სპეციალისტის აზრით, საჭირო ადამიანური და სასწავლო რესურსების ნაკლებობას განიცდის, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე არის შესაძლებელი. მაგალითად:

- სტრატეგიების შესწავლა სასკოლო პირობებში ინტერაქტიული სტრატეგიების გამოყენებით არის შესაძლებელი და სწავლის პროცესის ნაწილს წარმოადგენს;
- კომპენსაციური ტექნიკების გამოყენება, რომლებიც თვითშეფასებისკენ არის მიმართული, მოსწავლეების არსებული გარემოსგან ნაკლებ დამოკიდებულებას განაპირობებს;
- სტრატეგიების აღწერის დანერგვა და პერიოდული გამოყენება საკლასო გარემოში საშუალებას იძლევა, უკეთ მოხდეს როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლისთვის არსებული სიტუაციის უკეთ შეფასებისა და შესაბამისად, სწავლება და შესწავლას მოქნილი მიდგომების გამოყენების საშუალებას იძლევა;

ამასთან, მკვლევარების აზრით:



- სტრატეგიების სწავლება მარტივი ტექნიკების გამოყენებით უნდა დაიწყოს და სასურველია, რომ მშობლიურ ენაზე ხდებოდეს ინსტრუქტირება, რაც არაქართულენოვან სკოლებში საკმაოდ რეალურია.
- მასწავლებელი თავად უნდა იცნობდეს სტრატეგიებს, შეეძლოს თითოეული სტრატეგიული ტექნიკის დასახელება, მისი სტრატეგიულ ჯგუფში გაერთიანება და მისი ფუნქციის სწორად იდენტიფიცირება, რაც, მათი დატრენინგების შემთხვევაში, ასევე რეალურია.
- მოსწავლეს უნდა მიეცეს მრავალი სტრატეგიული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა, რომ შეძლოს მოგვიანებით შესაფერის გარემოში მათი სწორი დანერგვა; ეს კი, კონკრეტული მიზნის არსებობისა და ინდივიდუალური მიდგომის პირობებში, ნამდვილად არის შესაძლებელი.

დასკვნა

და ბოლოს, ამ სტატიის საშუალებით გვინდოდა გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად არის შესაძლებელი და გამართლებული, რომ ენის სტრატეგიების სწავლება და გამოყენება არსებული სასწავლო გეგმის ბუნებრივი ნაწილი გახდეს ისე, რომ, ერთი მხრივ, მასწავლებლისთვის იყოს მისაღები და საგაკვეთილო გეგმის თანმდევ, ბუნებრივად ინტეგრირებულ ნაწილს წარმოადგენდეს, ხოლო, მეორე მხრივ კი, მოსწავლისათვის, როგორც ინდივიდისთვის, გახდეს სასარგებლო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ოქსფორდი, 1994 - Oxford, R. L. (1994). "Language Learning Strategies: An Update". Retrieved, February 12, 2009 from the Web site: <http://www.cal.org/resources/digest/oxford01.html>.
- ოქსფორდი, 2003 - Oxford, R.L. Learning Styles & Strategies: an Overview, GALA 2003
- რეიდი, 1995 - Reid, J. (1995). Learning Styles in the ESL/EFL Classroom Boston: Heinle & Heinle.
- რეიდი, 1987 - Reid, J, 1987, The Learning Style Preferences of ESL Students, TESOL QUARTERLY, Vol. 21, No. 1, March 1987
- რუბინი, 1987 - Rubin, J. (1987). Learner Strategies: Theoretical Assumptions, Research History and Typology. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.
- ვენდენი, რუბინი, 1987 - Wenden, A., & Rubin, J. (1987). Learner Strategies in Language Learning (Eds.). Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.
- ადნანი, მოჰამადი, 2011 - Adnan, M. A. M, Mohamad, A. Learning Strategies And Self-Efficacy Belief In Arabic Language Learning: A Malaysian Context, University of Malaya, Nilam Puri Campus, Malaysia, AJTLHE Vol. 3, No.2, July 2011, 48-59
- ლი, 2010 - Lee, C. An Overview Of Language Learning Strategies, Arecls, 2010, Vol.7, 132-152.
- ფელდერი, ჰენრიკე, 1995 - Felder, R.F, Henriques, E. R. Learning and Teaching Styles In Foreign and Second Language Education. Foreign Language Annals, 28, No. 1,1995, pp. 21–31
- რაუფი, 2001 - Rausch, A. S. The Role of Styles and Strategies in Second Language Learning. ERIC Digest, 2001
- გრიფიტსი, 2003 - Griffiths, C. Language learning strategy use and proficiency: The relationship between patterns of reported language learning strategy (LLS) use by speakers of other languages (SOL) and proficiency with implications for the teaching/learning situation, Department of Education, University of Auckland, 2003, pp. 55-78

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching;
Problems and Challenges



- რობინსონი, 2005 - Robinson, P. Aptitude And Second Language Acquisition, Annual Review of Applied Linguistics (2005) 25, 46–73
- მულტიეთნიკური საზოგადოება საქართველოში, 2011 - “Multi-Ethnic Society in Georgia” - Report of Civil Development Agency to the UN Committee on the Elimination of Racial Discrimination for the 79th Session (8 August - 2 September 2011) for the consideration of State Report of Georgia.
- თოფაძე, 2008 - ქეთევან თოფაძე “სწავლების სტრატეგიები” სწავლება და შეფასებიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008. გვ. 38-63



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**„ხმამაღლა ფიქრი“ - ეფექტური მკითხველის
აღზრდის სტრატეგია**

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია გააზრებული კითხვის ერთ-ერთი სტრატეგია - „ხმამაღლა ფიქრი“ და ნახევრები, რა შედეგების მიღწევა შეიძლება მეთოდის მართებულად გამოყენებისა და სწავლების პროცესის სწორად წარმართვის შემთხვევაში.

ეფექტური კითხვა არ გულისხმობს მხოლოდ ტექსტის წაკითხვასა და ექსპლიციტური (ზედაპირული) ინფორმაციის მიღებას, არამედ მის გაგება-გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზს. „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდის საშუალებით მოსწავლეები შედიან ტექსტის სამყაროში და კითხვის რვა ძირითადი ხერხის/სტრატეგიის გამოყენებით სიღრმისეულად იაზრებენ მას.

სტატიაზე მუშაობის დროს „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდი გამოვცადეთ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების დაწესებულებით და საბაზო საფეხურებზე (მე-2, მე-4, მე-7 კლასები). წინასწარ შევარჩიეთ ერთი ტექსტი ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, ჯანი როლარი, „ტროლეიბუსი №75“ (ადაპტირებული ვარიანტი); მასწავლებლებს დაწვრილებით გავაცანით მეთოდის ფორმატი და დაგუსახეთ სამოქმედო გეგმა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მეთოდი თანაბრად ეფექტურია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ასაკობრივ ჯგუფში. გამოიკვეთა, რომ მოსწავლის მიერ გონებაში ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეთოდის დაგეგმვისას მასწავლებლის მხრიდან თითოეული საფეხურის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაზე, კითხვის ხერხების სწორად შერჩევასა და მათ დროულად გამოყენებაზე.

მოსწავლეების კარგ მკითხველებად აღზრდა თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ეფექტური კითხვა არ გულისხმობს მხოლოდ ტექსტის წაკითხვასა და ექსპლიციტური (ზედაპირული) ინფორმაციის მიღებას, არამედ მის გაგება-გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზს. არსებობს არაერთი თანამედროვე მეთოდი/სტრატეგია, რომლებიც გააზრებული კითხვის პროცესის წარსამართად გამოიყენება.

მოსწავლის ეფექტურ მკითხველად აღზრდა კრიტიკულად მოაზროვნე, კრეატიული პიროვნების ჩამოყალიბების ხანგრძლივი და რთული პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლის კარგ მკითხველად აღზრდაზე ზრუნვა სწავლის დაწყებითი საფეხურიდანვე დაიწყო.

I. წიგნიერების ხუთი ძირითადი ასპექტი

ვიდრე უშუალოდ მეთოდის აღწერაზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით შევეხებით წიგნიერების, როგორც ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენციის, ძირითად ასპექტებს. პირველი მათ შორის არის სიტყვების ამოცნობა და დეკოდირება. აქ იგულისხმება, რომ მოსწავლეს შეუძლია დაადგინოს ასო-ბგერითი შესატყვისობები, ანუ აღიქვას კავშირი გამოთქმულ ბგერასა და დაწერილ ასოს შორის, შეუძლია ანბანის პრინციპის გაგება-გამოყენება და ამას თუ ის სიტყვის სწორად ამოკითხვა. მოსწავლეებში ამ კომპეტენციების განვითარება, ჩვეულებრივ, წერა-კითხვის დაწყების პირველსავე ეტაპზე ხდება.

ტექსტის გაგებისათვის უმთავრესი პირობაა სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ბავშვების ლექსიკური მარაგის გაფართოების საუკეთესო საშუალებაა სწავლის პროცესში მრავალფეროვან მასალაზე მუშაობა. გაუგებარი სიტყვებისა და ფრაზების განმარტებისათვის მასწავლებელმა შეიძლება სხვადასხვა ხერხს



მიმართოს: გამოიყენოს კონტექსტური გასაღებები, თავად აუხსნას მოსწავლეებს მათი მნიშვნელობა, ახლად შესწავლილი სიტყვებით შეადგენინოს წინადადებები, გაააზრებინოს სიტყვის შემადგენელი ცალკეული ნაწილები, გამოიყენოს ახალი სიტყვები თუ გამოთქმები სიტუაციურ საუბარში და ა.შ. (დაწვებითი...2010, გვ. 28).

სწავლის გარკვეულ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეძლოს გამართული კითხვა. გამართულად მკითხველი ჩუმად კითხვის დროს დეკოდირების გარეშე, ავტომატურად ამოიცნობს სიტყვებს და ადვილად იგებს ტექსტის შინაარსს; არ უჭირს ხმამაღლა კითხვა, სასვენ ნიშნებთან სათანადო პაუზებს აკეთებს და ირჩევს შესაბამის ინტონაციას [კითხვის... 2010, გვ. 13].

მომდევნო ეტაპია წაკითხულის გაგება-გააზრება და ტექსტის ინტერპრეტაცია. განსხვავებით დეკოდირებისა და სიტყვების ამოცნობისაგან, წაკითხულის გააზრება ტექსტის სიღრმისეული შემეცნების პროცესია და მასში გადმოცემული აზრების გაცნობიერებასა და კონსტრუირებას გულისხმობს.

დასკვნითი ეტაპია წერა. წერა წიგნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. მოსწავლეები, რომლებიც ზრუნავენ წერის უნარის გაუმჯობესებაზე, გაცილებით მეტი ყურადღებით კითხულობენ თანაკლასელებისა და მწერლების ნაწერებს, პასუხისმგებლობით ეკიდებიან თითოეული სიტყვისა თუ ფრაზის გამოყენებას წერისას, ცდილობენ თავიანთი ლექსიკური მარაგის შევსებას, ისმენენ და იზიარებენ ერთმანეთის რჩევებს, ეხვევიან კრიტიკულ აზროვნებას (ტემპლე, 2008, გვ. 283).

II. როგორი უნდა იყოს კარგი მკითხველი?

კარგი მკითხველი ფიქრობს იმის შესახებ, რასაც კითხულობს, იაზრებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას და ყურადღებას აქცევს თითოეულ დეტალს, წაკითხულს აკავშირებს საკუთარ წინარე გამოცდილებასთან. წარმოიდგენს იმ სურათ-ხატებს, რომელთაც ავტორი აღწერს და შეუძლია ივარაუდოს, თუ რა არის მოსალოდნელი ტექსტის მომდევნო ნაწილში ან ფინალში; ცდილობს, ამოიცნოს მწერლის მიზანი, გამოყოს მთავარი და მეორეხარისხოვანი და ამ გზით სიღრმისეულად გაიაზროს წაკითხული. კარგი მკითხველი თვითონ აკონტროლებს და აკვირდება საკუთარ გაგება/გააზრების პროცესს.

არიან მოსწავლეები, რომლებიც ბუნებრივად ფლობენ კარგი მკითხველის უნარებს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მათ ამ უნარების გამომწვევა და ეფექტურ მკითხველად ჩამოყალიბებისათვის გაგება/გააზრების ხერხების შესწავლა სჭირდებათ.

III. კითხვის რვა ძირითადი სტრატეგია

ეფექტური მკითხველი ტექსტის სიღრმისეულად გასაგებად კითხვის რამდენიმე ძირითად სტრატეგიას ფლობს. ყველა მათგანს კონკრეტული და დამოუკიდებელი წვლილი შეაქვს წაკითხულის გააზრების პროცესში. კარგი მკითხველი ამ სტრატეგიებს იყენებს გააზრებულად როგორც კითხვის დროს, ასევე კითხვის დაწყებამდე და წაკითხვის შემდეგაც.

ქვემოთ მოცემულია კითხვის ძირითადი სტრატეგიები და მათი მოკლე აღწერილობა, რათა უფრო ნათელი გახდეს სურათი, კონკრეტულად რა იგულისხმება თითოეული მათგანის მიღმა და როდის და როგორ შეიძლება მათი გამოყენება.

1. ვიზუალიზაცია/წარმოსახვა - მკითხველი თავის გონებაში წარმოიდგენს ავტორის მიერ აღწერილ სურათ-ხატებს, პერსონაჟებს, მოქმედების ადგილს, ბუნებას.
2. ვარაუდების გამოთქმა - მკითხველი გამოთქვამს ვარაუდებს, როგორ შეიძლება განვითარდეს სიუჟეტი, ან რა არის მოსალოდნელი ფინალში. მისთვის საინტერესოა იმის გარკვევა, გამართლდება თუ არა მისი ვარაუდები.
3. შეკითხვების დასმა - მკითხველი სვამს შეკითხვებს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ.



4. ახსნა-განმარტება/მნიშვნელობის დადგენა - მკითხველი ცდილობს მისთვის გაუგებარი ადგილების, სიტყვების, ფრაზების მნიშვნელობის დადგენას.
5. კავშირების დამყარება - მკითხველი ცდილობს, მოძებნოს კავშირი წაკითხულსა და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის და, აგრეთვე, გაავლოს პარალელები მისთვის ცნობილ სხვა ნაწარმოებებთან.
6. საკუთარი დამოკიდებულების/თვალსაზრისის გამოხატვა - მკითხველი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, შთაბეჭდილებას წაკითხულის მიმართ, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას ტექსტის შესახებ.
7. შეჯამება - მკითხველი აჯამებს, თუ რა არის ავტორის მთავარი სატქმელი, რა ინფორმაციაა ტექსტში ყველაზე ღირებული, რა არის მეორეხარისხოვანი.
8. რეფლექსია - მკითხველი აკეთებს საბოლოო დასკვნებს, გამოხატავს საკუთარ პოზიციას, რა იყო მისთვის წაკითხულიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, რა მიზანი დაისახა ავტორმა და როგორ შეძლო ან, საერთოდ, შეძლო თუ არა მისი გახორციელება.

IV. "ხმამაღლა ფიქრი" - მეთოდის რაობა

"ხმამაღლა ფიქრის" მეთოდი ძალზე ეფექტურია მოსწავლეებში წიგნიერების დონის ასამაღლებლად, კერძოდ, გაგებაზე ორიენტირებული კითხვის სტრატეგიების სწავლებისათვის. მისი მეშვეობით მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს, პრაქტიკულად როგორ გამოიყენონ კითხვის რვა ძირითადი ხერხი/სტრატეგია ტექსტის გააზრებისა და მისი შინაარსის სიღრმისეულად გაგებისათვის. „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი ხმამაღლა აღწერს საკუთარი აზროვნების პროცესს, ახმოვანებს ტექსტის სიღრმისეული ანალიზის ტექნიკას ბავშვების წინაშე და თვალსაჩინოდ უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ იაზრებს ტექსტს კარგი მკითხველი.

"ხმამაღლა ფიქრის" მეთოდი უკვე დიდი ხანია, აპრობირებულია დასავლეთში და აქტიურად გამოიყენება. ჩვენი მიზანია, ვახვეწოთ, თუ როგორ შეიძლება მოვარგოთ სწავლების პროცესს გააზრებული კითხვის სწავლების ეს სტრატეგია და რა შედეგების მიღწევა შეიძლება ამ პროცესის მართებულად დაგეგმვისა და სწორად წარმართვის შემთხვევაში.

ცნობილია, რომ ბავშვები უფრო კარგად აღიქვამენ ვიზუალურ ინფორმაციას. აბსტრაქტული ცნებები, როგორც არის ფიქრი, მათთვის რთული გასაგებია. უფრო მეტად კი უჭირთ წაკითხულისადმი საკუთარი დამოკიდებულებების გადმოცემა. „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდი ამ უნარის განვითარებასაც უწყობს ხელს. ამ მიზეზის გამო იგი წარმატებულად გამოიყენება როგორც სკოლაში (მეორე კლასიდან, ვიდრე ბოლომდე), ასევე უმაღლეს სასწავლებლებში და ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამებშიც.

მეთოდი ერთგვარად უნივერსალურია და წიგნიერების გარდა, კარგად ერგება პრაქტიკულად ყველა საგნობრივ დისციპლინას (მათემატიკას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას და ა. შ.), იგი თანაბრად ეფექტურია ყველა ტიპის ტექსტთან სამუშაოდ. მისი გამოყენება შეიძლება წერის დროსაც. მაგალითად, მოსწავლეებმა წყვილებში მუშაობისას ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ფიქრები, ისაუბრონ იმის შესახებ, რისი დაწერა სურთ. ეს დიალოგი მათ დაეხმარება აუდიტორიასთან ურთიერთობის გათავისებებასა და წერაში დაოსტატებაში (ხმამაღლა ფიქრის სტრატეგია). არ არის აუცილებელი, რომ მეთოდის გამოყენებას მთელი გაკვეთილი დაეთმოს. თავისუფლად შესაძლებელია, მასწავლებელმა იგი გაკვეთილის მიზანს მთარგოს და დროის ხანმოკლე მონაკვეთში განახორციელოს მოსწავლესთან ინდივიდუალურად, მცირე ჯგუფებში ან მთელ კლასთან. მეთოდის გამოყენება შეიძლება ტექსტის წაკითხვამდე და კითხვის პროცესში.

როჯერ ფარი და ჯენი კონერი „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდის გამოყენების სამ ძირითად ვარიანტს გვთავაზობენ (ფარი, 2004):



1. მოდელის დემონსტრირება მასწავლებლის მიერ - მასწავლებელი თავად არის მთავარ როლში, მართო ის ფიქრობს "ხმამაღლა", აღწერს აზროვნების პროცესს და ასწავლის მოსწავლეებს კითხვის ძირითადი სტრატეგიების საჭირო დროს გამოყენებას. მოსწავლეებს წინ უდევთ ტექსტის ასლი და მხოლოდ მსმენელების როლში არიან. „ხმამაღლა ფიქრის“ ეს ვარიანტი უფრო მეტად პირველ ეტაპზე გამოიყენება, ანუ მაშინ, როდესაც ბავშვებისთვის აღნიშნული სტრატეგია ჯერ კიდევ უცნობია და მის განსახორციელებლად საფუძვლიანი განმარტებები და ნიმუშის ჩვენება ესაჭიროებათ. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით აქვე შევნიშნავთ, რომ მეთოდის ამ ვარიანტის გამოყენება შედარებით ნაკლებად საინტერესოა ბავშვებისათვის. მოსწავლეებს სურთ მასწავლებლის ფიქრების მოსმენა, მაგრამ ცდილობენ თავადაც ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ „ხმამაღლა ფიქრის“ პროცესში.
2. მეთოდის ერთობლივი განხორციელება მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ - ამ შემთხვევაში მასწავლებლის როლი მცირდება, მოსწავლეები პროცესის თანამონაწილეები ხდებიან. მასწავლებელი შეკითხვების მეშვეობით მათ "ხმამაღლა აფიქრებს". შესაძლებელია, მოსწავლეებმა დაწერონ კიდევ თავიანთი ფიქრები და მათი განხილვა მოგვიანებით მოხდეს. ამ ვარიანტის ხშირი გამოყენებით მოსწავლეები ადვილად გაიწაფებიან „ხმამაღლა ფიქრში“.
3. მეთოდის დამოუკიდებლად განხორციელება მოსწავლეების მიერ - კითხვის სტრატეგიების გამოყენებაში გაწაფული მოსწავლეები თავად წარმართავენ „ხმამაღლა ფიქრის“ პროცესს, თავადვე ირჩევენ ტექსტის გასააზრებლად ხერხებს, მასწავლებელი კი მხოლოდ დამკვირვებლის როლში რჩება.

V. "ხმამაღლა ფიქრი" - მეთოდის აღწერა

პირველ რიგში, მასწავლებელი შეარჩევს ტექსტს. სასურველია, მას ჰქონდეს დამაფიქრებელი სათაური, დასაწყისი, მოვლენების განვითარების საინტერესო ნაწილი და დასასრული.

მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტს და ისაუბრებს "ხმამაღლა ფიქრის" სტრატეგიის დანიშნულებაზე, განუმარტავს მათ, თუ როგორი უნდა იყოს კარგი მკითხველი. გარდა ამისა, მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ ხმამაღლა გამოთქმული ფიქრების საშუალებით იგი თავად აჩვენებს მათ, თუ როგორ კითხულობს და იაზრებს ტექსტს კარგი მკითხველი. ამ გზით მოსწავლეები თვალყურს მიადევნებენ და გაიგონებენ, თუ რა ხდება მასწავლებლის გონებაში. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა კლასში პოზიტიური განწყობა შექმნას.

თუ საკლასო გარემო ამის საშუალებას იძლევა, სასურველია, ბავშვები დასხდნენ თავისუფლად (პუფებზე, ბალიშებზე, იატაკზე დაფენილ ფარდაზე...), თუკი პირობები შედარებით შეზღუდულია, შეიძლება უფრო მარტივად, მაგალითად, სკამები წრეზე დააღაგონ, რომ ბუნებრივი და მყუდრო გარემო შეიქმნას და ურთიერთკავშირის ერთგვარი ჯაჭვიც შეიკრას, რაც ერთობლივი ფიქრის პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ძალიან კარგი იქნება, თუ მასწავლებელიც მათ გვერდით ჩამოჯდება, რათა ბავშვებმა იგრძნონ, რომ ის მთელი ამ პროცესის აქტიური თანამონაწილეა - ერთ-ერთი მათგანია.

კითხვის დროს მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში ჩერდება. პაუზების რაოდენობა მხოლოდ მის გადაწყვეტილებასა და მიზნებზეა დამოკიდებული. კითხვის დაწყების წინ იგი სთხოვს ბავშვებს, რომ პაუზებთან გაჩერებისას არ განაგრძონ ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა, ვიდრე თავად არ ეტყვის. თითო პაუზა შეიძლება გამოყენებული იყოს ერთზე მეტი სტრატეგიის დემონსტრირებისათვის.

პაუზის დროს მასწავლებელი იწყებს ხმამაღლა ფიქრს წაკითხულის შესახებ. სასურველია, მან ყურადღება გაამახვილოს ტექსტის იმ დეტალებზე, რომლებიც მოსწავლეებისთვის დამაბნეველია. ასეთი შეიძლება იყოს უცხო სიტყვა, რთული შინაარსის მქონე წინადადება ან მთლიანი აბზაცი.



მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს ფანტაზიას, ესაუბროს ტექსტს ან ტექსტის ავტორსაც კი. კარგი იქნება, თუ იგი მხატვრულად წაიკითხავს და შინაარსის მიხედვით შეიცვლის ტემბრს/ტონს/ინტონაციას/გამომეტყველებას/პოზას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ტექსტში კითხვის რვავე სტრატეგიის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, განსაკუთრებით, მეთოდის გამოყენების პირველ ეტაპზე. ეს დააბნევს მოსწავლეს და გამოიწვევს რიგ გაუგებრობებს. უმჯობესია სწორად განისაზღვროს, ამა თუ იმ ტიპის ტექსტისთვის რომელი სტრატეგიები იქნება ეფექტური, პირველ ეტაპზე კი საკმარისი იქნება მხოლოდ 2-3 მათგანი. ბავშვების ეფექტურ მკითხველებად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის გამდიდრება ეტაპობრივად უნდა მოხდეს.

კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, დაეხმარა თუ არა მოსწავლეებს მისი ხმამაღალი ფიქრი წაკითხულის გაგება/გააზრებაში.

თუ მასწავლებელი ხმამაღლა ფიქრის მეთოდს როჯერ ფარისა და ჯენი კონერის მიერ შემოთავაზებული მეორე ან მესამე ვარიანტის მიხედვით წარმართავს, შეუძლია განახორციელოს ასეთი სქემა: როდესაც ერთი ბავშვი ფიქრობს ხმამაღლა, მეორე უსმენს მას და იწერს მის აზრებს. შემდეგ ისინი ცვლიან როლებს. ასე რომ, ორივე მათგანს ეძლევა შესაძლებლობა იფიქროს ხმამაღლა და ასევე დააკვირდეს სხვის აზროვნების პროცესს. კარგი იქნება, თუკი კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შორის გაიმართება დისკუსია იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს კარგად და რა არ გამოუვიდათ. თავიანთი ჩანაწერების საფუძველზე მოსწავლეები ერთმანეთს ესმარებიან და ასწავლიან (ხმამაღლა კითხვის სტრატეგია).

გაკვეთილის ბოლოს ან პროცესშივე მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დააზუსტებინოს ყველა ის ბუნდოვანი აზრი, რომელიც წარმოიშვა ხმამაღლა ფიქრის დროს. მაგალითად, "როცა თქვენ ფიქრობდით ხმამაღლა, თქვენ ასე ენეთ... იქნებ ასხნათ, თუ რას ნიშნავდა... რა იგულისხმეთ?" (ხმამაღლა კითხვის სტრატეგია).

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მეთოდის განხორციელების დროს არ არსებობს ბავშვების სწორი ან არასწორი პასუხი/მოსაზრება. მათ უნდა იგრძნონ, რომ მათი თითოეული სიტყვა არის უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო მასწავლებლისათვის. ეს არის აქტივობა, რომელიც საკუთარი აზრის გამოსათქმელად მაქსიმალურ კომფორტს უქმნის ბავშვს.

მასწავლებელს „ხმამაღლა ფიქრის“ პროცესის წარმართვაში სრული თავისუფლება აქვს. მას შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვისას ჩართოს შემოქმედებითობა, ფანტაზია და მეთოდი თავის ინტერესებსა და გაკვეთილის მიზნებს მოარგოს.

VI. რატომ არის "ხმამაღლა ფიქრის" მეთოდი სასარგებლო?

პირველ რიგში, მეთოდის საშუალებით მოსწავლეები ყალიბდებიან ეფექტურ მკითხველებად; იგი ეხმარება მასწავლებელს ბავშვის აზროვნების განვითარების პროცესის კონტროლში, ხოლო მოსწავლეებს - საკუთარი აზროვნების დინამიკისთვის თვალყურის მიდევნებაში. მეთოდი ბავშვებს აღუძრავს მოტივაციას, იკითხონ უფრო მეტი დააკვირვებით და ყურადღება გაამახვილონ მნიშვნელოვან, თუ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალებზე; ასწავლის, როგორ გაარჩიონ მთავარი მეორეხარისხოვანისგან, მიუხედავად ავტორს სათქმელს; ამას გარდა, "ხმამაღლა ფიქრის" მეთოდის ხშირი გამოყენება აუმჯობესებს მოსწავლეების მეტყველებისა და საკუთარი აზრის გადმოცემის უნარს, უყალიბებს მათ თვითშეფასების ჩვევებს.

VII. "ხმამაღლა ფიქრის" მეთოდის გამოცდა



სტატიაზე მუშაობის დროს „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდი გამოვცადეთ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, მე-2, მე-4, მე-7 კლასებში (21-ე საჯარო სკოლა, პედაგოგი: მაია ლორთქიფანიძე, წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლა, პედაგოგი: მაგდა აბესაძე). წინასწარ შევარჩიეთ ერთი ტექსტი ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, ჯანი როდარის „ტროლეიბუსი №75“ (ადაპტირებული ვარიანტი), მასწავლებლებს დაწვრილებით გავაცანიეთ მეთოდის ფორმატი და დაგუსახეთ სამოქმედო გეგმა. თავად ვესწრებოდით გაკვეთილებს, თვალყურს ვადევნებდით და ვინიშნავდით რიგ თავისებურებებს, რომლებმაც თავი იჩინა უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. გაკვეთილების დასრულების შემდეგ მცირე დისკუსიით მივიღეთ უკუკავშირი როგორც მოსწავლეებისგან (მცირე დისკუსიით), ასევე მასწავლებლებისგან (შემაჯამებელი შეხვედრებით). პედაგოგებს გაუზიარეთ ჩვენი დაკვირვების შედეგები, შევაჯერეთ მოსაზრებები და შევთავაზეთ გარკვეული რეკომენდაციები.

VIII. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

კვლევამ გვიჩვენა, რომ მეთოდი თანაბრად ეფექტურია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ასაკობრივ ჯგუფში: მოსწავლეებმა გაიაქტიურეს წინარე ცოდნა, ყველა მათგანი თავისუფლად ჩაერთო მსჯელობის პროცესში, რასაც თავად მეთოდის ფორმატიც გულისხმობს; მოსწავლეები ყურადღებით ისმენდნენ მასწავლებლისა და ერთმანეთის „ფიქრებს“, არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, გამოსატავდნენ საკუთარ დამოკიდებულებასა და პოზიტიურ ემოციებს.

საგულისხმოა, რომ პირველ ეტაპზეც კი, როდესაც მოსწავლეებისთვის მხოლოდ თეორიულადაა ცნობილი „ხმამაღლა ფიქრის“ მეთოდის რაობა და ჯერ კიდევ არ აქვთ მისი გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება, მათთვის ნაკლებად საინტერესოა მეთოდის პირველი ვარიანტის (მოდელის დემონსტრირება მასწავლებლის მიერ) გამოყენება. ისინი ამჯობინებენ, იყვნენ მასწავლებლის ხმამაღლა ფიქრის პროცესის თანამონაწილეები და თავადაც სცადონ კითხვის სტრატეგიების გამოყენება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, არგუმენტები და ა. შ. ჩვენი აზრით, თუ მასწავლებელი სწორად დაგეგმავს „ხმამაღლა ფიქრის“ მიმდინარეობის მთელ ჯაჭვს, მას თამამად შეუძლია პირდაპირ გადავიდეს მეთოდის გამოყენების მეორე ვარიანტზე და მოსწავლეები ნელ-ნელა თავიდანვე ჩართოს ხმამაღალი ფიქრის პროცესში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ასაკობრივი ჯგუფისათვის მიზანმიმართულად შევარჩიეთ ერთი და იგივე ტექსტი, რათა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაგვედგინა, ხმამაღლა ფიქრისას ტექსტის გასააზრებლად რა სიღრმეებს უნდა ჩასწვდომოდა მასწავლებელი. აღმოჩნდა, რომ დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო გაუგებარი სიტყვისა ან ფრაზის განმარტება, მათ გაუჭირდათ მწერლის ძირითადი სათქმელის გარკვევა, მთავრის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან და, პირიქით, მაღალი ასაკობრივი ჯგუფების მოსწავლეებისათვის უინტერესო აღმოჩნდა გარკვეული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დაზუსტება, ისინი უფრო მეტად ორიენტირებულნი იყვნენ ტექსტის დედააზრის ამოცნობაზე, ავტორის სათქმელის მიგნებაზე და სხვა.

შესაბამისად, მასწავლებელმა "ხმამაღლა ფიქრის" მეთოდის განხორციელებამდე გააზრებულად უნდა შეადგინოს სამოქმედო გეგმა, გაითვალისწინოს ასაკობრივი ჯგუფის გონებრივი შესაძლებლობები და ამის მიხედვით შეარჩიოს კითხვის სტრატეგიები. აგრეთვე, მასწავლებელმა დრო ისე უნდა გადაანაწილოს და ისე საინტერესოდ წარმართოს აზროვნების პროცესი, რომ მოსწავლეებისათვის მოსაბეზრებელი არ გახდეს მისი ხმამაღალი ფიქრის მოსმენა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის მიერ გონებაში ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუირება უმეტესწილად დამოკიდებულია მეთოდის დაგეგმვისას მასწავლებლის



სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges**



მხრიდან თითოეული საფეხურის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაზე, კითხვის ხერხების სწორად შერჩევასა და მათ დროულად გამოყენებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დაწყებითი... 2010 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010.
- კითხვის... 2010 - კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010.
- ფარი, 2004 - Farr დ. 2004 - Using Think-Alouds to Build Reading Comprehension, Roger Farr and Jenny Conner (2004), <http://www.readingrockets.org/article/102/>
- ტემპლე, 2008 - Charles Temple, Donna Ogle, Alan Crawford, Penny Freppon. All Children Read. Teaching for Literacy in Today`s Diverse Classrooms.. Pearson. 2008.
- ხმამაღლა ფიქრის სტრატეგია - Think Aloud Strategy, <<http://www.teachervision.fen.com/skill-builder/problem-solving/48546>>. html?page=1&detoured=1



ქეთევან გოჩიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**ინტერკულტურული ასპექტები მეორე ენის სწავლებისას
ბილინგვურ კლასებში**

*„კომუნიკაცია არის კულტურა და კულტურა არის კომუნიკაცია“
ედვარდ ჰოლი*

სამიზნე კულტურის მეორე ენის კონტექსტში სწავლება ბილინგვური განათლების კონცეფციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. სწორედ კულტურის მიერ არის ნაკარნახევი „კომუნიკაციური წესები“.

კულტურა, როგორც მეხუთე კომპონენტი, გულისხმობს შემსწავლელის უნარს, აღიქვას, გაიგოს და მიიღოს კულტურული სხვაობები. მოყვანილია მაგალითები, თუ როგორ შეიძლება მიიყვანოს წარუმატებელ კომუნიკაციამდე კულტურული ფონის არცოდნამ კომუნიკაციის მონაწილეები.

მოსწავლეებში წარმოიქმნება, თუ რა აქტივობებს შეიძლება მიმართოს მასწავლებელმა ბილინგვურ კლასში, სადაც განსხვავებული კულტურული ბეჭტურადის მქონე მოზარდები სწავლობენ, რომ სტუდენტს სამიზნე კულტურის ათვისებაში დაეხმაროს (ლიტერატურა, „ადამიანი, როგორც რესურსი“, „კულტურული კაფსულები“, ფილმები, ინტერნეტი და ა. შ.). მნიშვნელოვანია, რომ ეს ცოდნა არ დარჩეს განყენებულად და შემსწავლელმა ის პრაქტიკაშიც გამოიყენოს. მაგალითები და რეკომენდაციები ქართული ენის მასალაზე აგებული და პრაქტიკულად დაეხმარება ენის სწავლების პროცესში ჩართულ ადამიანებს – კურიკულუმის შემქმნელებს, სახელმძღვანელოების ავტორებს, ენის მასწავლებლებს.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ კულტურული კომპეტენციის ზრდა ეხმარება სტუდენტს, აითვისოს ეტიკეტი, ქცევის ნორმები, რომელიც სამიზნე კულტურისათვისაა დამახასიათებელი. ეს მას დაეხმარება მულტიკულტურულ საზოგადოებაში სრულყოფილ და წარმატებულ ინტეგრაციაში.

ენასა და კულტურას შორის არსებული დიალექტიკური კავშირი მეორე ენის მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტების ყურადღების საგანია. სამიზნე კულტურისა მეორე ენის კონტექსტში შესწავლა ბილინგვური განათლების კონცეფციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა და კულტურა განუყოფელი ნაწილებია, რადგან კულტურა არა მხოლოდ კარნახობს ვინ ვის ესაუბრება, რის შესახებ, როგორ უნდა წარიმართოს კომუნიკაცია, ის, აგრეთვე, ეხმარება განისაზღვროს, როგორ უნდა მოხდეს შეტყობინების დეკოდირება, მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელიც ამ შეტყობინებას აქვს და პირობები და გარემოებები, რომლებშიც სხვადასხვა შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ან არ შეიძლება, აღინიშნოს, მოხდეს მისი ინტერპრეტირება. კულტურა კომუნიკაციის საფუძველია (სამოვარი, პორტერი, 1986).

კულტურა ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს, მათ შორის იმას, რის გაკეთებასაც ადამიანები სწავლობენ. ეს არის ყველაფერი, რაც კაცობრიობას შესწავლილი აქვს. კულტურა განსაზღვრავს ჩვენს ფიქრებსა და ქმედებებს და ამას ხშირად “შეცდომის ხელით” აკეთებს.

სპეციალისტები გამოყოფენ კულტურის 2 ტიპს, რომლებიც ენის სწავლების პროცესშიც განსაკუთრებულად ფასეულია: 1. ეს არის კულტურა, რომელიც მოიაზრებს ყველაფერს, რაც ადამიანის ცხოვრებას უკავშირდება, ეს არის რწმენა-წარმოდგენები, ქცევის ნორმები, ღირებულებები და 2. “დიდი/მაღალი” კულტურა, რომელიც ქვეყნის



მუსიკას, ლიტერატურასა და ხელოვნებას მოიაზრებს (აბისამრა). მეორე/უცხო ენის მასწავლებლებისა და კურიკულუმის ავტორებისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ენისა და ყოველდღიური ცხოვრების ელემენტების ცოდნა აუცილებელი პირობაა “დიდი/მაღალი” კულტურის გასაზრებლად, რადგან ლიტერატურა და, ზოგადად, ხელოვნება, ემყარება და შეიცავს, ერთი მხრივ, უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო ცოდნასა და კულტურულ ფასეულობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკურ, ლოკალურ ღირებულებებსა და გამოცდილებას. ამდენად, მეორე/უცხო ენის კურსისა და კურიკულუმების ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სტუდენტს ბალანსირებულად მიაწოდონ ინფორმაცია ორივე ტიპის (როგორც მაღალი, ისე ყოველდღიური) კულტურის შესახებ და სწორად შერჩეული სასწავლო აქტივობებისა და მასალის მიწოდებით დაეხმარონ მათ, სწორად გაიაზრონ სამიზნე კულტურის ფასეულობები და გაუჩინდეთ შემწყნარებლობის, დაფასების, აღიარების განცდა მათთვის უცხო კულტურისადმი იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს უკანასკნელი მისი მშობლიური კულტურისაგან რადიკალურად განსხვავდება.

ენა და კულტურა, როგორც ცნობილია, ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ენა არის კონკრეტული საზოგადოების კულტურისა და, მეორე მხრივ, უნივერსალური, საყოველთაო კულტურის გამომხატველი. ენის საშუალებით გამოიხატება და ენაშივე “ინახება” მისი მატარებელი კოლექტივის ისტორია, წეს-ჩვეულებები.

საზოგადოდ, თანამედროვე დიდაქტიკებში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ კულტურის სწავლება ენის სწავლების ორგანული ნაწილია, მაგრამ ნაკლებადაა შესწავლილი, როგორ უნდა ვასწავლოთ ის. ლექსიკისა და გრამატიკისაგან განსხვავებით, ის საკმაოდ ამორფულია.

ზოგადი მონახაზის სახით რომ ვთქვათ, კულტურა, როგორც მუხუთე კომპონენტი, გულისხმობს შემსწავლელის უნარს, აღიქვას, გაიგოს და მიიღოს კულტურული სხვაობები.

კულტურა, როგორც მუხუთე უნარი, გულისხმობს:

უნარს, რომ აღიქვა კულტურული სხვაობები (საქართველოში მოგეთხოვება, რომ დალიო სადღეგრძელოები);

უნარს, რომ მიიღო და აღიარო კულტურული განსხვავებულობანი (ამიერიდან უნდა მახსოვდეს, რომ ქართულ საზოგადოებაში მომიწევს სადღეგრძელოების წარმოთქმა);

უნარს, რომ დააფასო კულტურული განსხვავებანი (სადღეგრძელოები მართლაც საინტერესო ფენომენია!);

ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელს ევალება, რომ

- დაეხმაროს სტუდენტებს იმ ფაქტის გააზრებაში, რომ ყველა ადამიანი წარმოადგენს მისი კულტურის მიერ შეპირობებულ განსაზღვრულ ქცევას.
- დაეხმაროს სტუდენტებს გაიგონ, რომ ისეთი სოციალური სხვაობები, როგორებიცაა ასაკი, სქესი, სოციალური კლასი და საცხოვრებელი ადგილი გავლენას ახდენს ადამიანის ქცევასა და მეტყველებაზე.
- დაეხმაროს სტუდენტებს, შეძლოს სამიზნე კულტურის მოთხოვნების შესაბამისად მოქცევა.
- დაეხმაროს სტუდენტებს, აიმაღლონ სამიზნე კულტურის სიტყვებისა და ფრაზების კულტურული კონტაქტის ცოდნა.
- სტიმულირება გაუკეთოს სტუდენტის ინტერესს სამიზნე კულტურის მიმართ და მისი მატარებელი ხალხის მიმართ (თანასულასი, 2001).

ბუნებრივია, რომ არც ერთ ენას არ შეუძლია კულტურულ ვაკუუმში არსებობა და არ არსებობს ორი სრულიად იდენტური კულტურა. კულტურათა შორის არსებული სხვაობა ხშირად ხდება ხოლმე მეორე ენის შემსწავლელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი



ამოცანაა, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი კულტურული კონფლიქტი (ქანგი, 2006). ენის სოციოკულტურისაგან გათიშვა სრულიად წარმოუდგენელია, რადგან კულტურული ფაქტორები გარდაუვალად აისახება ენაზე. მაგალითად, ქრისტიანულ ქვეყნებში ძალიან ხშირად ისმის გამოთქმები, “ღმერთო ჩემო,” ლიტერატურული ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ბიბლიური სახე-სიმბოლოებისა და სხვა სახის ელემენტების გამოყენება, რაც შეიძლება გაუგებარი იყოს აღმოსავლელი ადამიანისათვის.

ენის საშუალებით ადამიანი ახორციელებს კულტურულ თვითიდენტიფიკაციას და ინარჩუნებს თავის კულტურულ კუთვნილებას, რადგან ადამიანის აზრები და იდეოლოგია კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ენა არის შუამავალი რგოლი აზრების გაგრძელებისა. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება ენა იზოლირებული იყოს კულტურისაგან. არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც პიროვნებამ კარგად იცის ენის გრამატიკული სტრუქტურა, აქვს საკმაოდ მდიდარი ლექსიკური მარაგი, იგებს წაკითხულს, მოსმენილს, მაგრამ აქვს კომუნიკაციური პრობლემები.

უცხო ენის შესწავლა გულისხმობს რამდენიმე კომპონენტის ერთდროულად დაუფლებას. ესენია: გრამატიკული სტრუქტურა, კომუნიკაციური კომპეტენციები, ისევე, როგორც სამიზნე კულტურის კომპონენტების ათვისებას.

თუ მოკლედ შევაჯამებთ, კულტურული კომპეტენცია გულისხმობს რომელიმე კულტურის შიგნით არსებული შეთანხმებების, წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენებისა და აზროვნების წესის ათვისებას მისი შემსწავლელის მხრიდან. მეორე ენის მასწავლებლების წინაშე ბუნებრივად დგება საკითხი, რომელი მეთოდიკურ-პედაგოგიკური სტრატეგიები და რა შინაარსი უნდა ჩავდოთ ენის სწავლების პროცესში, რომ შემსწავლელმა ენის ფლობის სხვა ასპექტებთან ერთად კულტურული კომპეტენციაც განივითაროს.

ერთ-ერთი კონცეპტუალური შეცდომა, რომელსაც მეორე ენის თეორეტიკოსები კარგა ხნის განმავლობაში უშვებდნენ, ის იყო, რომ ისინი ენას განიხილავდნენ, როგორც კოდს და მისი ათვისებისას (ძირითადად გრამატიკული წესებისა და გარკვეული სოციალური კონტექსტისა, რომელშიც ის არის ჩაშენებული) – ერთი ენა აუცილებლად (თუმცა რთულად) გადადის მეორე ენაში (კრამჩი, 1993).

ენობრივი მონაცემები ძალზე დატვირთულია კულტურული ფონით. (ეროვნული სტანდარტები, 1996) ამის კლასიკურ მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ სკოლა-ინტერნატისა და Boarding school-ის მაგალითი. თუ ამ მნიშვნელობით ეკვივალენტურ ლექსიკურ ერთეულებს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოვაჩინებთ, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. რეალურად, ორივე მათგანი შეიცავს გაგებას “სკოლა, რომელშიც ცხოვრობენ და სწავლობენ.” პოსტსაბჭოთა სივრცეში სკოლა-ინტერნატში სწავლობენ მოზარდები, რომელთა მშობლებს, გარკვეული მიზეზების გამო, სჭირდებათ მატერიალური მხარდაჭერა და ბავშვები სახელმწიფოს (უკანასკნელ წლებში კი ქველმოქმედების) ხარჯზე ცხოვრობენ.

რაც შეეხება ინგლისურ კულტურას, “Boarding School”-ში სწავლის ქირა ძალიან მაღალია და მხოლოდ ძალიან მდიდარი მშობლების შეიძლება შეუძლიათ სწავლა. (Westminster public school, Manchester grammar school, Winchester school).

ინგლისური კულტურის ნაკლებად მცოდნე ადამიანები შეცდომაში შეჰყავდა წარწერას: “For Rent. 30 Pound.” მკითხველი დასახელებულ თანხას აღიქვამდა მთელი თვის საფასურად. სინამდვილეში, თანხა ერთი კვირის გადასახადის ტოლფასი იყო, რაც უკავშირდება ინგლისის ყოფით ისტორიას – ისინი ხელფასს კვირაში ერთხელ იღებდნენ და, შესაბამისად, ბინის ქირასაც ერთხელ იხდიდნენ.



სიტყვები (განსაკუთრებით ფიგურალური მნიშვნელობით გამოყენებული) ძალიან დატვირთულია კულტურული მნიშვნელობით. მაგალითად, “ძროხა” – კულტურათა დიდ ნაწილში მეტაფორულად გამოყენებული უარყოფითი კონოტაციის შემცველია, ხოლო ინდურ კულტურაში ის წმინდა ცხოველია.

უცხო ენის შესწავლა იმპლიციტურად გულისხმობს უცხო კულტურის შესწავლასაც. საკამათო ამ შემთხვევაში შესაძლებელია გახდეს თავისთავად ცნება, თუ რა იგულისხმება კულტურაში და როგორ უნდა მოხდეს მისი შესწავლა მეორე ენის შემსწავლელის მიერ.

არსებობს ერთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კულტურა, წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის ასპექტებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებლად არ ვითარდება, ის ყველა სხვა კომპეტენციის პარალელურად უნდა განუვითარდეს მეორე ენის შემსწავლელს. ენაში (კრამჩი, 1993).

შესასწავლი ენის ავთენტური მასალების მიწოდება სტუდენტს სამიზნე კულტურის გაცნობისა და ათვისების შესაძლებლობას სთავაზობს. წყაროებში შეიძლება განვიხილოთ ფილმები, სატელევიზიო პროგრამები, ტელეშოუები. ეფექტურია ვებსაიტების, ფოტოსურათების, ჟურნალების, გაზეთების, რესტორნის მენიუების, ტურისტული ბროშურებისა და სხვა ნაბეჭდი მასალების შეთავაზება. მასწავლებლის ფუნქციას, სწორად შეარჩიოს მასალა სტუდენტის ენის ცოდნის დონისა და ასაკის გათვალისწინებით. მაგალითად, ენის შესწავლის საწყის ეტაპზე კი შესაძლებელია სტუდენტს მოვასმენინოთ და ვაჩურობინოთ ვიდეოკლიპები შესასწავლ ენაზე და ყურადღება გავამახვილებინოთ ისეთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ერთეულზე, როგორიცაა, მაგალითად, მისაღება. მასწავლებელმა შეიძლება დეტალურად გადაუთარგმნოს ტექსტი ან მიაწოდოს მათ ცხრილი, დიაგრამა ან გეგმა, რომელიც სტუდენტმა უნდა შეავსოს გადაცემის მოსმენისას ან ვიდეორგოლის ყურებისას. გარკვეული მასალის კლასში მიმოხილვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია სტუდენტები ჩართოს დისკუსიაში კულტურული ნორმების შესახებ, რომელსაც მოცემული მასალა წარმოაჩენს. ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებმა განსაზღვრონ, თუ რა ინფორმაციას იძლევა ესა თუ ის ნორმა კულტურული ღირებულებების შესახებ. სადისკუსიო საკითხები არავერბალური ქცევები (მაგალითად, ფიზიკური მანძილი თანამოსაუბრეებს შორის, ჟესტები, თვალთ კომუნიკაცია, სოციალური როლები, რა ტიპის კომუნიკაციას ამყარებენ სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები ერთმანეთთან და ა. შ). სტუდენტებს უნდა ვთხოვოთ აღწერონ, რა ტიპის საქციელზე გაამახვილეს ყურადღება, რომელია მათი მშობლიური კულტურისათვის დამახასიათებელი და რომელი უცხო და განსაზღვრონ, რას გამოიყენებენ ეფექტური კომუნიკაციისათვის სამიზნე ჯგუფის წევრთან.

სტატიაში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი მომზადებულია ელიზაბეტ პეტერსონისა და ბრონვინ კოლტრანის რეკომენდაციების (პეტერსონი, კოლტრანი) მიხედვით, ხოლო ნაწილი ჩვენ მიერაა მომზადებული.

ანდაზები

სტუდენტის მშობლიურ და შესასწავლ ენაში არსებული ანდაზების შედარება, საერთო და განსხვავებულები ერთეულების გამოყოფა და იმის განსაზღვრა, რამდენად უსვამს ხაზს ეს სხვაობები ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს. (კრასნერი, 1999) გვინდა აღვნიშნოთ, რომ ენის სწავლის პროცესში ანდაზები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მასალა კულტურული სტერეოტიპებისა და კულტურის შესახებ არასწორი წარმოდგენების შესახებ ანალიზისათვის, მშობლიური და შესასწავლი კულტურისათვის მნიშვნელოვანი ფასეულობების დასადგენად. აქ განსაკუთრებით მიშვნელოვანია ისეთი ანდაზებისა და გამონათქვამების შეთავაზება, რომლებიც შესასწავლი კულტურის მორალურ-ეთიკურ,



რელიგიურ ფასეულობებს წარმოადგენს. გარდა ამისა, ანდაზები, როგორც ენობრივი ფორმულები, კლიშეები, მათ კოგნიტურ ბაზაში რჩება და ენობრივი, კომუნიკაციური დაბრკოლებების გადალახვაშიც ეხმარება სტუდენტს. როგორც ყველა სასწავლო მასალა, ანდაზა მრავალი კუთხით შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა.

ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური გამოთქმები

ანდაზების მსგავსად, მეორე ენისა და კულტურის ათვისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომატური გამოთქმების (ფიცის, წყევლის, ლოცვის, მისაღმებისა და დამშვიდობების ფორმულების, მიმართვის ფორმების ჩათვლით) შესწავლას. სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ტექსტები, როგორც წესი, შეიცავს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს. მასწავლებლის როლი იმაში გამოიხატება, რომ სტუდენტს დაეხმაროს საკუთარ ენაში მათი ანალოგიების დაძებნაში, სინონიმებისა და ანტონიმების მოძებნაში, იმის გაცნობიერებაში, თუ რომელ საკომუნიკაციო სიტუაციაში რომელი ერთეულის შერჩევაა საჭირო, რაზე მოქმედებს კულტურული აკრძალვა, ტაბუ.

როგორც წესი, სახელმძღვანელოში შეთავაზებული ფრაზეოლოგიურ-იდიომატური ერთეულები შეზღუდულია, ამიტომ მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს გაკვეთილის საკითხთან დაკავშირებული გამოთქმები. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ანდაზების შემთხვევაში, არ არის მიზანშეწონილი წინასწარ მიცემული ფრაზეოლოგიზმების ჩამონათვალის მექანიკური დახეპირება. ჯობს, რომ ისინი კონტექსტში შევთავაზოთ ენის შემსწავლელს და მრავალფეროვანი სავარჯიშოების გამოყენებით გავააქტიუროთ.

ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმების გამოყენება, გარდა ამისა, შეიძლება:

1. მთარგმნელობითი პროცესის განსახორციელებლად – ეს შედარებით იოლი ამოცანაა, მოსწავლეს შეიძლება დაავალოთ პირდაპირი თარგმანი ან ადეკვატის მოძებნა შესაბამის ენაზე. თარგმანის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ სტუდენტმა მოახერხოს მიზნის შესაბამისი სტილის მოძებნა, ლექსიკური ერთეულების ზუსტად მორგება ისე, რომ შინაარსი არ შეიცვალოს.
2. გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების “რეკონსტრუქციისათვის.” ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სასწავლო მიზნებისათვის. მაგალითად, “კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო” – შეიცავს შეტყობინებას პარასკევის მარხვაზე. აქ შეიძლება მოკლე კულტუროლოგიური ექსკურსი. “ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო”, მუხრან ბატონის წყრომითა, ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა” – მოხსენიებული ისტორიული პირებისა და ეპოქების გასაცნობად.
3. კომპარატივისტული მიზნებისათვის.

როლური თამაშები

ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ენის შემსწავლელმა ზუსტად იცოდეს ქცევისა და მიმართვის ფორმები, რომლებიც მისი შესასწავლი კულტურისათვის მისაღებია. უფრო კონკრეტულად, მან უნდა იცოდეს, როგორ მიმართოს ადამიანებს, როგორ გადაიხადოს მადლობა, მოიხადოს ბოდიში, (მო)ითხოვოს რამე, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს თანამოსაუბრეს. როლურ თამაშებში სტუდენტებმა შესაძლოა განასახიერონ კომუნიკაციური მარცხი, რომელიც გამოწვეულია კულტურული განსხვავებულობის გამო. მაგალითად, ვასწავლით ადამიანთა განსხვავებულ ჯგუფებთან მიმართვას, ვაცნობთ, თუ რა სხვაობაა შესასწავლ კულტურასა და მშობლიურ კულტურას შორის, როდესაც ესაღმებთან თავისი ასაკის, ან, ვთქვათ, განსხვავებული ასაკის ადამიანებს.



მაგალითად, როდესაც ქართულის შემსწავლელებს ვასწავლით ნაცვალსახელებსა და ზმნის პირისა და რიცხვის ფორმებს, სასურველია, თუ განუმარტავთ, რომ II პირის ნაცვალსახელისა და ზმნის მრავლობით რიცხვის ფორმა თავაზიანობის მრავლობითს გადმოსცემს (აქ მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება ისეთ ენებთან, რომლებსაც ეს კატეგორია არ გაააჩნიათ). აქვე შესაძლებელია ავუხსნათ, რომ ქართულ სინამდვილეში I პირის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ნაცვალსახელი “ჩვენ” გარკვეულ შემთხვევებში გამოხატავს I პირის მხოლოდ რიცხვს. როლური თამაშების გზით მასწავლებელმა შესაძლებელია გააგებინოს სტუდენტს, რომ ზოგ შემთხვევაში ლინგვისტურად აბსოლუტურად სწორი ფორმა შესაძლებელია კულტურული ნორმების დარღვევა იყოს. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია მო(თხოვნის) დეკლარირებისას. ასე მაგალითად, ენობრივად აბსოლუტურად გამართული წინადადება – “ეი, შენ, მოდი აქ” – სინამდვილეში უპატივცემულობის გამომხატველია და ფორმალურ გარემოში, განსხვავებული სოციალური სტატუსის, უფროსი ასაკის და ა. შ. პიროვნებასთან მისი გამოყენება დაუშვებელია.

კულტურული კაფსულები

მასწავლებელი ავალებს სტუდენტებს, წარმოადგინონ საგნები (ეს შეიძლება იყოს პატარა ფიგურები, სამუშაო იარაღები, საიუველირო ნაწარმი, ხელოვნების ნიმუშები) ან მათი ფოტოები, რომელიც შესასწავლი ენისათვისაა დამახასიათებელი. სტუდენტი პასუხისმგებელია მოაგროვოს ინფორმაცია ამ საგნების შესახებ და წარუდგინოს აუდიტორიას წერილობითი ან ზეპირი პრეზენტაციის გზით. ეს აქტივობა მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს უფრო დიდი მოცულობის კულტურული, ისტორიული და ლინგვისტური ფაქტორებზე სასაუბროდ, რომლებიც ამ საგნებთანაა დაკავშირებული. მასწავლებელმა თავისი თემის მიხედვით უნდა მისცეს დავალება – ვთქვათ, ოქრომჭედლობასთან დაკავშირებული საკითხები.

- საიუველირო საქმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლისას შეიძლება დაავალდოთ სტუდენტებს, მოიძიონ ინფორმაცია იმ ძვირფასი ქვებისა და ლითონების შესახებ, რომლებიც შესასწავლი ენისა და კულტურის ტერიტორიაზეა გავრცელებული;
- ასეთის არარსებობის შემთხვევაში დაადგინონ, საიდან აწარმოებდნენ იმპორტს და რაზე მიუთითებს ეს (სავაჭრო-ეკონომიკური ტრადიციების არსებობა, გზების, გარკვეული ინფრასტრუქტურის არსებობა და ა. შ.);
- როლიდან იწყება საიველერიო საქმიანობა (ისტორიული ფაქტორები) და რა მიმართულებით განვითარდა ის.

ადამიანი, როგორც “კულტურული რესურსი”

თანამედროვე საზოგადოებები კულტურულად და ეთნიკურად საკმაოდ მრავალფეროვანია. სამიზნე (შესასწავლი) ენისა და კულტურის წარმომადგენლის მიწვევა საკლასო გარემოში ან არასაკლასო აქტივობებში ჩასართავად ძალიან ეფექტურ შედეგს იძლევა როგორც ენობრივი, ისე კულტურული კომპეტენციების ასამაღლებლად. ავთენტური კულტურის წარმომადგენლის მიერ განსაკუთრებით ეფექტურია არაფორმალური გარემოს, მაგალითად, ოჯახური ცხოვრების, შესახებ გამოცდილების გასაზიარებლად, რადგან ფიქსირებული ინფორმაცია შესაძლოა შეცვლილი, ნაწილობრივ ინტერპრეტირებული იყოს. პირველწყაროდან მიღებული ასეთი ინფორმაცია ლინგვისტური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ საკითხთან დაკავშირებულ ლექსიკურ, ფრაზეოლოგიური ერთეულებს (მათ შორის არასალიტერატუროს), რომლებიც მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციური ქმედების განსახორციელებლად (ქართულის



მაგალითზე ასეთად გამოდგება, ვთქვათ, სინონიმია პაპა-ბაბუა, ბებია, ბებო – ბაბო; ფრაზეოლოგიური ერთეულები – ოჯახის შენახვა; ოჯახის რჩენა, ოჯახის აწვობა და ა. შ). ანუ იმ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულების შეთავაზება, რომლებიც, დიდი ალბათობით, სასწავლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი არ არის.

ეთნოგრაფიული გამოცდილება

სტუდენტებისათვის სამიზნე ენისა და კულტურის შესასწავლად ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური გზაა მათი გაგზავნა ავთენტური კულტურის წარმომადგენელთა საზოგადოებაში “ეთნოგრაფიული ექსპედიციის” მოსაწყობად. შემსწავლელები წინასწარ ადგენენ მათთვის საინტერესო კითხვებს (აქტივობები ეხმარება მათ ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებლად) ხოლო ექსპედიციაში უკვე აკეთებენ ჩანაწერებს. მასწავლებელი აკონტროლებს მთელი პროცესის მიმდინარეობას. ასეთი ღონისძიება მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეთნოგრაფიული ხასიათის რიტუალის, დღესასწაულების და ა. შ. ჩასაწერად, მასწავლებელმა მასალა უნდა გამოიყენოს სასწავლო მიზნებისათვის.

ფილმები და ტელევიზია

ფილმებისა და ტელევიზიის სეგმენტი ადამიანს საშუალებას აძლევს დააკვირდეს საზოგადოების ქცევას, მიღებულ წესებს, რომლებიც, როგორც წესი, ტექსტებში არ აისახება. ფილმებში დაცულია კულტურული წარმოდგენები, შეხედულებები, გრძნობები და მათი როგორც ვერბალური, ისე არავერბალური (სხეულის ენა, ჟესტი, მიმიკა) ფორმები. ის ერთდროულად აკავშირებს სტუდენტს ენობრივ და კულტურულ საკითხებთან (კორდერი, 1968).

ინტერნეტი და სოციალური ქსელები

დღესდღეობით ინტერნეტი და სოციალური ქსელები ითვლება არა მხოლოდ დისტანციური, არამედ ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემის უმნიშვნელოვანეს რესურსად. ავთენტური ინტერნეტგვერდები და სოციალური ქსელები, ერთი მხრივ, სთავაზობს ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს მრავალფეროვან საგაკვეთილო მასალასა და კურსებს და, მეორე მხრივ, აძლევს საშუალებას, რომ შემსწავლელი თვითონ ჩაერთოს ენობრივი ინტერაქციის, კომუნიკაციის პროცესში. იმიტირებული გაკვეთილებთან და სასწავლო გარემოსთან საგაკვეთილო პროცესში.

ლიტერატურა

ლიტერატურული ტექსტები მიჩნეულია კულტურული ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ და მკითხველში დასამახსოვრებელ ემოციებს იწვევს. სწორად შერჩეული ტექსტი შესაძლოა ძალიან დაეხმაროს სტუდენტს ავთენტური კულტური აღქმასა და შეცნობაში.

ამასთანავე, ლიტერატურული ავთენტური ენის უმნიშვნელოვანესი რესურსია, რომელიც ცალსახად ეხმარება მკითხველს ენობრივი კომპეტენციის ამაღლებაში. კურიკულუმის ავტორებმა და მასწავლებლებმა უნდა განსაზღვრონ, რა შეიძლება კონკრეტულ დონეზე შევთავაზოთ მკითხველს.



დასკვნა

კულტურული კომპონენტის სხვადასხვა გზითა და აქტივობით სწავლება შემსწავლელის მნიშვნელოვან წარმატებას განაპირობებს. მეთოდებისა და ხერხების ცვლა სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბისამრა - Nada Salem Abisamra, Teaching Culture. Strategies and Technologies. <<http://www.nadasisland.com/culture/>>
- ეროვნული სტანდარტები, 1996 - National Standards in Foreign Language Education Project, standards for foreign language learning in the 21st century. Yonkers, NY: Author.1996, p. 27;
- თანასულასი, 2001 - Dimitrios Thanasoulas; The Importance Of Teaching Culture In The Foreign Language Classroom; 2001; <http://radicalpedagogy.icaap.org/content/issue3_3/7-thanasoulas.html>;
- კლასნერი, 1999 - Krasner I, The Role of Culture in Language Teaching. Dialog on Language Instruction, 1999; pp. 13 (1-2), 79-88 .
- კორდერი, 1968 - Corder, S. P. Film and Television in Modern Language Teaching. In Jalling, H. (ed.). Modern Language Teaching. London: Oxford University Press. . 1968., pp. 89-91.
- კრამში, 1993 - Kramsch, C. 1993. Context and Culture in Language Teaching. Oxford: Oxford University Press.
- პეტერსონი, კოლტრანი - Elizabeth Peterson and Bronwyn Coltrane, Culture in Second Language Teaching ; December 200; <<http://www.cal.org/resources/digest/0309peterson.html>>
- ჯანგი, 2006 - Jinliang Zhang, May 2006, Volume 3, No.5 (Serial No.29) Sino-US English Teaching, ISSN1539-8072, USA 42)
- სამოვარი, პორტერი, ნემი, 1981 - Samovar Larry A., Porter Richard E, & Jain Nemi C; Understanding intercultural communication, Wadsworth Pub. Co. (Belmont, Calif. 1981, p. 5)
- სიკარელი, 1996 - Ciccarelli, A. (1996). Teaching culture through language: Suggestions for the Italian language class. Italica, 73(4), 563-576.



თინათინ კილურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო

**ქართულის, როგორც მეორე ენის თანამედროვე
სახელმძღვანელოების მეთოდური ანალიზი**

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო რამდენიმე თანამედროვე სახელმძღვანელო "სტოკჰოლმის კრიტერიუმების კატალოგზე" დაყრდნობით შემდეგი ასპექტების მიხედვით: სახელმძღვანელოს სტრუქტურა, შინაარსი, ლექსიკურ-გრამატიკული მასალის მიწოდების ფორმები, სავარჯიშოთა ტიპები და სახეობები, ვიზუალური მხარე, მასწავლებლის მითითებები. განხილულია ამ სახელმძღვანელოებისთვის დამახასიათებელი ძირითადი საერთო პრობლემები, როგორც არის ტექსტების და დავალებების ტიპების ავთენტურობის საკითხი, ავთენტური აუდიო-ვიდეომასალის პრობლემა, ლექსიკა-გრამატიკული მასალის თანმიმდევრობა, სამეტყველო უნარ-ჩვევების გასაკვირებელი დავალებების პროპორციულად განაწილება, მოსასმენი დავალებები და მათი შესაბამისობა თანამედროვე მეთოდის მოთხოვნებთან.

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისთვის შექმნილი ახალი სახელმძღვანელოების მეთოდურ მიმოხილვას.

ახალი თაობის სახელმძღვანელოები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების განხორციელებას, კერძოდ, შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო მასალის შექმნის პირველი მცდელობაა, თუმცა ამ კონცეფციის განსახორციელებლად კიდევ ბევრი მუშაობის გაწვევა და ხარვეზების გამოსწორება არის საჭირო.

არსებული ახალი სახელმძღვანელოებიდან განხილულია სახელმძღვანელოების კომპლექტი „თავთავი“ და „შევისწავლოთ ქართული ენა“, რომელთაც თანამედროვე კონცეფცია უდევთ საფუძვლად. განხილვას სახელმძღვანელოთა ანალიზისთვის შემუშავებულ „სტოკჰოლმის კრიტერიუმების სიაზე“ (კრისტი, ნოინერი, 1998, გვ. 107) დაყრდნობით შემდეგი კომპონენტების მიხედვით: სახელმძღვანელოს სტრუქტურა, შინაარსი, ლექსიკურ-გრამატიკული მასალის მიწოდების ფორმები, სავარჯიშოთა ტიპები და სახეობები, ვიზუალური მხარე, მასწავლებლის მითითებები.

ანალიზი ეხება მხოლოდ სახელმძღვანელოებისთვის საერთო ძირითად პრობლემებს და არ წარმოადგენს ცალკეული ასპექტების დეტალურ ანალიზს.

სახელმძღვანელოების სტრუქტურა

უცხოური/მეორე ენის თანამედროვე სახელმძღვანელოები მოსწავლის წიგნის, სამუშაო რვეულის და მასწავლებლის წიგნის გარდა, აუცილებლად შეიცავს ავთენტურ აუდიო (-ვიდეო) მასალებს, რაც შესაბამის ქართულ სახელმძღვანელოებს აკლია ან ახლავს არავთენტური სახელმძღვანელოები. ფაქტობრივად, დიდაქტიზირებული ავთენტური აუდიომასალა მოცემული მომენტისთვის არ არსებობს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სფეროში, რაც სწავლა-სწავლების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მასწავლებელთა უმრავლესობა თავადაც არაქართულენოვანია. დამატებითი რესურსების ერთ-ერთი კომპონენტი ბუნებრივი სიტუაციების და მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების საუბრების აუდიო- და ვიდეოჩანაწერები უნდა იყოს; მით უმეტეს, რომ მიზნობრივი ჯგუფები ზეპირმეტყველებაზე ორიენტირებულნი არიან თავიანთი აგრარული სოციოკულტურული გარემოდან გამომდინარე (აგრარული მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთში, მარნეულში) და თვალსაჩინოებებით მდიდარი აუდიოვიზუალური მასალის შეტანა ყველაზე ეფექტური გზა იქნება ასეთ მიზნობრივ ჯგუფებში მასალის ათვისების



ხარისხის გაზრდისთვის, რისთვისაც საუკეთესო საშუალებას კომპიუტერული პროგრამები იძლევა, რომლითაც მოსწავლეები ყველა მეტად არიან დაინტერესებულნი.

სახელმძღვანელოს შეიძლება ჰქონდეს ასევე მინი-ლექსიკონი და გრამატიკული დანართი, რაც მოცემულ სახელმძღვანელოთა მხოლოდ ერთ ნაწილში არის წარმოდგენილი ფრაგმენტულად სამუშაო რეჟიმში გრაფის "ჩემი ლექსიკონი" სახით, სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა ჩაწეროს ახალი სიტყვები შესაბამისი თარგმანითურთ (თავთავი II, სამუშაო რეჟიმი, გვ 3, 33).

სახელმძღვანელოს კომპლექტის სხვადასხვა დონის წიგნებს შორის თანმიმდევრულობის პრინციპი ნაკლებად არის გატარებული, რის გამოც ის უნარ-ჩვევები, რომელსაც ერთი დონის სახელმძღვანელოში ითვისებს მოსწავლე, აღარ მეორდება სხვა დონის სახელმძღვანელოში და მოსწავლე მიღებულ ცოდნას და უნარებს ვეღარ იყენებს.

სახელმძღვანელოების შინაარსი

თემატიკის არჩევანი თითქმის ყველა ახალი სახელმძღვანელოს უმეტეს ნაწილში შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ შემოთავაზებული ტექსტები და მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციები, ხშირ შემთხვევაში, არააფუნტურია; ისინი საკმაოდ მშრალი, აკადემიური სახით არის გადმოცემული, რეალობას დაშორებულია და ნაკლებად ესადაგება სამიზნე ჯგუფის ინტერესებს, მათ ყოველდღიურობას. მაგ. დაბადების დღის თემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სასმელ-საჭმლის ლექსიკურ ველს, ხოლო საჩუქრების საერთოდ უგულვებელყოფილია ("თავთავი" 1, 2005, გვ. 48-51, "შევისწავლოთ ქართული ენა", 2008, გვ.65-67), მაშინ, როცა მოსწავლეებისთვის დაბადების დღის თემაში ბევრად უფრო საინტერესო სწორედ საჩუქრების თემაა. ასევე, თემაში "სტუმრად დედაქალაქში" ("თავთავი" 1, 2005, გვ. 40) პირველი ტექსტი ნათესავების ლექსიკური ველის გარშემოა აგებული, ხოლო რეალურ დედაქალაქზე მხოლოდ ფრაგმენტულად არის საუბარი მთელ ამ მონაკვეთში, თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა შენობების მდებარეობის განსაზღვრას, რაც ნებისმიერ სხვა ქალაქშიც შეიძლება ასე იყოს.

მოცემულ სახელმძღვანელოებში ძირითადად წარმოდგენილია სტანდარტული ენა ავტორების მიერ შედგენილი გაბმული ტექსტების და დიალოგების სახით. თუმცა, გვხვდება საკმაოდ ბევრი დიალოგი და ყოველდღიურ თემატიკასთან დაკავშირებული გაბმული ტექსტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოების მიზანია, რეალური ენის პრაგმატულ ათვისებაზე გაკეთდეს აქცენტი. მაგრამ მიზნის მიღწევას აფერხებს ის ფაქტი, რომ მოსწავლის წიგნში მოცემული ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა სინთეზური სახისაა, ხელოვნურია, სტანდარტული ენით არის დაწერილი და ბუნებრივ სამეტყველო ენას დაშორებულია. ტექსტებისა და დიალოგების უმრავლესობა ხელოვნურად არის აგებული გრამატიკული მასალის ირგვლივ და არ გამოიყენება მიზნობრივი ჯგუფის თაობის მეტყველებაში.

ავთენტურობის მხრივ, გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე ტექსტი. შესაბამისად, საჭიროა გამახვილდეს ყურადღება სხვადასხვა სამეტყველო რეგისტრის გამოყენებაზე (როგორც სალიტერატურო ენა, ასევე პრესის ენა, ყოველდღიური სასაუბრო ენა, ნაწილობრივ ჟარგონის ელემენტები, მოზარდების ენა). ტექსტების ტიპების გამრავალფეროვნება აუცილებელია სხვადასხვა რეგისტრის ენის გაცნობისთვის, რათა ბუნებრივ გარემოში მოსწავლეებს შეეძლოთ თვითონაც შესაბამისი რეგისტრის განსხვავება და გამოყენება (ოფიციალური და არაოფიციალური ენა, სტანდარტული და სასაუბრო ენა, პრესის ენა).

ქვეყანათმცოდნეობის ნაწილი რიგ სახელმძღვანელოებში ძალიან მცირე დოზით ან განკერძოებულად არის მოცემული. აქაც, ისევე როგორც ვიზუალურ მხარეში (ფოტოები, რუკები, მისთ.) უფრო მეტი ავთენტურობა არის სასურველი. ზოგ შემთხვევაში ფაქტობრივი შეცდომებიც კი შეინიშნება (მაგ. მეტრო ბათუმში ("თავთავი" 2, 2006, გვ. 28, სპორტის სასახლემდე 6 ნომერი ტროლეიბუსით მგზავრობა, "თავთავი" 1, 2005, გვ. 46).

სახელმძღვანელოებში მოცემული ლექსიკური მასალა



სახელმძღვანელოში ახალი ლექსიკის ნაწილი წარმოდგენილია ვიზუალიზაციის გზით, დანარჩენი პირდაპირ ტექსტებშია მოცემული. ვიზუალიზაციის სახით წარმოდგენილ ახალ ლექსიკას ხშირ შემთხვევაში ემოციური ფონი აკლია. მოცემული ვიზუალური მასალა ხშირად აბსტრაქტულ ნახატებს წარმოადგენს და ხელოვნური ხასიათისაა (მაგ. "თავთავი" 1, 2005, გვ.32, "თავთავი" 2, 2006, გვ. 3, „თავთავი“ 3, 2007, გვ.3; "შევისწავლოთ ქართული ენა", 2008, გვ. 52). სასურველია მოსწავლეების რეალობაში არსებული ფოტოების შეტანა, მაგ. მსგავსი კალმის, ჩანთის, მერხის თუ სხვა ნივთის გამოსახულების, როგორც გავრცელებულია საქართველოში, - ეს ასპექტი აძლიერებს ემოციურ პლანს და ხელს უწყობს ლექსიკის უკეთ ათვისებას. გარდა ამისა, ვიზუალიზებულ ლექსიკურ ველებში, რომლებიც, წესით, ახალი მასალის/ტექსტის გაგების გაიოლებისთვის უნდა იყოს გამიზნული და მეტწილად საკვანძო/აქტიურ სიტყვათა მარაგს უნდა მოიცავდეს, მოცემულია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც საერთოდ არ გვხვდება ტექსტებში და აქტიურ სიტყვათა მარაგშიც არ გადადის, შესაბამისად, მოსწავლეები მათ რეალურად არ იყენებენ. მაგალითად, ტრანსპორტის თემის პირველ გვერდზე ვიზუალიზებულ ლექსიკაში წარმოდგენილია ტერმინები "საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი" („თავთავი“ 2, 2006, გვ.13), რომლებიც საერთოდ არ გვხვდება მოცემულ ტექსტებში. მასწავლებლის წიგნიდან გამომდინარეობს, რომ ლექსიკის ათვისებისთვის მთარგმნელობითი მეთოდიც გამოიყენება ("უკიდურეს შემთხვევაში"), არც სიტყვების ჩამონათვალი და არც მინი-ლექსიკონი არ ფიგურირებს და უცნობ სიტყვათა ჩამონათვალი მოსწავლემ თვითონ უნდა გააკეთოს. რაც შეეხება ახალი სიტყვების გამეორებას, სიტყვების ნაწილი მეორდება მომდევნო გაკვეთილებშიც, მაგრამ არათანმიმდევრულად. ნაწილი საერთოდ არ მეორდება და დავიწყებას ეძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ამისთვის შესაფერისი თემატიკა არის მოცემული. ციკლური გამეორების პრინციპი ფაქტობრივად არ არის დაცული ან ძალიან სუსტად არის გატარებული.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ნაკლებად არსებობს შინაარსობრივი ბმა "თავთავის" წიგნების სხვადასხვა ნაწილებს შორის, რაც, ერთი მხრივ, ადრეულ ნაწილში მიღებული ცოდნის გამეორების საშუალებას არ იძლევა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლეებისათვის ართულებს ახალი მასალის შესწავლას. დონეებს შორის კოჰერენტულობის პრობლემა ნაკლებად ეხება სახელმძღვანელოს "ვისწავლოთ ქართული ენა", მაგრამ ლექსიკის კონტექსტურად მიწოდების საჭიროება აქაც არის: მართალია, ლექსიკური ერთეულები ვიზუალიზებულია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საჭიროებს ბმას ცენტრალურ ტექსტთან.

სახელმძღვანელოებში მოცემული გრამატიკული მასალა

მისასალმებელია, რომ განსახილველ სახელმძღვანელოებში გრამატიკული წესები არ არის სიტყვიერად მოცემული და გრამატიკული ტერმინოლოგიით ნაკლებად არის გადატვირთული (მეტ-ნაკლები განსხვავებების სხვადასხვა დონეებს შორის). სახელმძღვანელოში გრამატიკული მასალა სისტემურად არის წარმოდგენილი გრამატიკის ჩარჩოებში (მაგ. „თავთავი“ 1, 2005, გვ. 17, „თავთავი“ 2, 2006, გვ. 37, „თავთავი“ 3, 2007, გვ. 49), უმეტესად ზმნის ფორმების უღლების პარადიგმის სახით, მიუხედავად იმისა, რეალურად საჭიროა თუ არა ეს მოცემულ მომენტში. რაც შეეხება გრამატიკული ჩარჩოების სტრუქტურას, ჩარჩოები არაპროპორციულადაა აგებული. რიგ შემთხვევებში გრამატიკის ყუთი გადატვირთულია სხვადასხვა ინფორმაციით მაშინ, როცა ზოგიერთ ჩარჩოში მხოლოდ ერთი ზმნის პარადიგმა არის მოცემული. სახელმძღვანელოში გრამატიკული წესები არ არის იმგვარად წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს გრამატიკული წესის თავად დადგენა/ადმოჩენა (რაც წარმოადგენს საკომუნიკაციო მიდგომის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, ბაუმი, ქრისტე, კრუმი, 2003, გვ. 231). ამ პრინციპის გამოყენების ნიმუში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ წესები არავერბალური, სქემატური სახითაა წარმოდგენილი, ისინი თავისი ფუნქციით, მაინც დედუქციურ-თეორიული ხასიათისაა, ვიდრე ინდუქციურ-ემპირიული. ხშირია ზმნის უღლების პარადიგმები, რაც დახეპირებით ათვისებისკენ უბიძგებს მოსწავლეს და მასწავლებელს.

მიუხედავად იმისა, რომ გავლილი გრამატიკული მასალა მეორდება სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილებში, ამას უფრო განვლილის გახსენების და განმტკიცების ფუნქცია



აკეს, ვიდრე ციკლური განმეორების, სადაც განვლილი მარტივი მასალის ნიადაგზე უფრო რთული, ზედნაშენი სტრუქტურების შემოტანა ხდება.

სავარჯიშოთა ტიპები და სახეობები

„თავთავის“ კომპლექტის სხვადასხვა დონის სახელმძღვანელოებში სხვადასხვა პრინციპით არის განაწილებული სავარჯიშოები, რაც კომპერენტულობის პრინციპს ეწინააღმდეგება და სირთულეებს უქმნის მოსწავლეებს ათვისებული უნარების გამოყენების მხრივ. კერძოდ, სახელმძღვანელოს დონის მატებასთან ერთად იკლებს სავარჯიშოების რაოდენობა მოსწავლის წიგნებში. თუ პირველი დონის მოსწავლის წიგნში სავარჯიშოები უხვადაა წარმოდგენილი, მეორე დონის მოსწავლის წიგნში სავარჯიშოებს ცოტა ადგილი უკავია. მესამე „თავთავში“ კი აბსოლუტურად ყველა სავარჯიშო მოცემულია მხოლოდ სამუშაო რვეულში.

სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების მითითებები ხშირ შემთხვევაში დასაკონკრეტებელი და დასაზუსტებელია. მაგალითად პირველი დონის „თავთავში“ მოცემულ ერთ-ერთ მითითებაში („თავთავი“ 2, მოსწ. წიგნი, გვ. 51) „შეადგინე მსგავსი მისალოცი ბარათი“ - დასაკონკრეტებელია მონაცემები: ვის, საიდან, მისთ. გარდა ამისა, მითითებებში გამოყენებულია გრამატიკული ტერმინები და ლექსიკა, რომლებიც საერთოდ არ არის ნახსენები მოსწავლის წიგნში, მოსწავლე ამ მითითებებს ვერ გაიგებს და დავალებას დამოუკიდებლად ვერ გააკეთებს. მაგალითად, ტერმინი ნაცვალსახელი მოსწავლის წიგნში არ არის წარმოდგენილი, ამიტომ მოცემულ სავარჯიშოში ნიმუშის მიხედვით უნდა მივახვედროთ მოსწავლეს, რა სიტყვის ჩასმა ევალება („თავთავი“ 1, სამუშაო რვეული გვ. 9, № 21). დავალებების საკმაოდ დიდ ნაწილს აკლია ასეთი ნიმუშები, რის გამოც ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთათვის გაუგებარია სამუშაო რვეულში მოცემული დავალებების პირობები და სასურველია პირობების გამარტივება. ოთხი სამეტყველო უნარ-ჩვევის (მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა) გასავითარებელი სავარჯიშოები ერთმანეთის მიმართ არაპროპორციულად არის წარმოდგენილი. მოსასმენი დავალებები ფაქტობრივად არ არის: მოსმენა გაიგივებულია კითხვასთან, რადგანაც „მოსასმენი“ დავალება დაბეჭდილი ტექსტის სახით არის წარმოდგენილი ყველა აღნიშნულ სახელმძღვანელოში და ან მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს ისინი („თავთავი“, სამივე დონე) ან დისკზე არის ჩაწერილი („ვისწავლოთ ქართული ენა“), რაც ეწინააღმდეგება მოსასმენი დავალების ფორმატს. მოსასმენი დავალების ტექსტი მართლაც აუდიო-ფორმით უნდა იყოს მოცემული. თუ იგივე ტექსტი ნაბეჭდი სახითაც გვაქვს იმავე დავალებაში, ის მოსასმენ ტექსტად/ დავალებად ვერ ჩაითვლება, რადგან მოსმენის უნარ-ჩვევას ვერ ავითარებს პარალელურ რეჟიმში წაკითხული, ან თუნდაც მასწავლებლის მიერ წაკითხური ტექსტი, მით უმეტეს, თუ მასწავლებელი არაქართულენოვანია. თანაც, ავთენტურ ჩანაწერებს ახლავს ბევრი დამატებითი ელემენტი (კერძოდ, ინტონაცია, მოსაუბრეთა განწყობა, სიტუაციური ხმაური და მისთ.), რომელიც მოსმენისას შინაარსის გაგებას აიოლებს და რომელსაც მასწავლებლის მიერ რეპროდუცირებული ტექსტი და დიალოგი ვერ შეავსებს.

სახელმძღვანელოში მოცემული საკითხავი დავალებები კითხვის უნარის განვითარებას ნაკლებად უწყობს ხელს, რადგან ტექსტების ბოლოს მოცემული შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვები მხოლოდ წაკითხულის შინაარსის გაგების შემოწმებას ემსახურება და არა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას. ამისთვის საჭიროა გლობალური, სელექციური და დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გასავითარებელი სავარჯიშოების გაკეთება და კითხვის სტრატეგიების სწავლება). დასახვეწია ენის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი არის შესაბამისად ათვისების ბოლო ფაზაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი სიტუაციების სიმულაციაზე დამყარებული დავალებების შედგენას.

კარგია, რომ მოსწავლის წიგნში არის მეტყველების გასავითარებელი სავარჯიშოები კლასელებთან ინტერვიუების, ერთმანეთის დახასიათების, თამაშების და წყვილებში მუშაობის სახით. თუმცა სახელმძღვანელოში მოცემული სიტუაციები ბუნებრივი გარემოს სიმულაციას მოკლებულია. წერითი დავალებები ერთნაირად არ არის წარმოდგენილი მოსწავლისა წიგნსა და დავალებების რვეულში მოსწავლის წიგნში წერით დავალებებს



მცირე ადგილი უჭირავს, ისინი მთელ თემაში შეიძლება ერთხელ ან ორჯერ შეგვხვდეს თამაშისთვის განკუთვნილი გრაფის სახით, სამაგიეროდ, მოსწავლის რვეულშია დიდი რაოდენობით. შინაარსობრივად დავალებები მკაცრად შემოფარგლულია მოცემული მასალით; თავისუფალი წერა, იმპროვიზირება ნაკლებად არის გათვალისწინებული. ძირითადად საკითხავი მასალის ნაწილშია დავალებები და შეკითხვები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ისაუბრონ და თავიანთი აზრი გამოთქვან ამა თუ იმ მოვლენის თუ თემის შესახებ შესასწავლ ენაზე.

სამუშაო რვეულის დავალებები ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება მოსწავლის წიგნის თემატიკას და გრამატიკას. თუმცა ეს არ ეხება ყველა დონის სახელმძღვანელოს. ასევე შეიძლება სამუშაო რვეულის ვიზუალური მხარის გამრავალფეროვნებაც რეალური ფოტოსურათებით, ჟურნალ-გაზეთებიდან ამონარიდებით, სხვ.

მესამე დონის თავთავში შემოქმედებით სავარჯიშოებსაც ვხვდებით, მაგ. სარეკლამო ბუკლეტის შედგენა („თავთავი“ III, სამუშაო რვეული, 2007, გვ. 61). აქვე აღსანიშნავია, რომ ავთენტური მასალაც არის გამოყენებული ვებგვერდზე მუშაობის სახით.

დავალებების უმრავლესობა მკაცრად მიჰყვება პროგრამას, აგებულია მოცემული მასალის გამეორებაზე და ნაკლებად აძლევს მოსწავლეს ვარიაციის თუ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარების საშუალებას. დიალოგების ათვისებაში როგორც აუდიო-ლინგვური მეთოდის ელემენტები - Pattern Drill - ნიმუშების გამეორება (ბაუმი, ქრისტი, კრუმი, 2003, გვ. 229) შეინიშნება: ხშირია მოისმინე და გაიმეორე ტიპის სავარჯიშოები; მოისმინე და წაიკითხე ტიპის დავალებები, ასევე გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენების ელემენტები, მაგ. „სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები“ - ტიპის დავალებები.

მასალის გამეორებას კი არასისტემური ხასიათი აქვს და დავალებები არ არის აგებული ისე, რომ თემის ბოლოს თემატიკის ლექსიკა და გრამატიკული მასალა იყოს ბევრჯერ, სხვადასხვა რაკურსით დამუშავებული და, შესაბამისად კარგად ათვისებული დახეპირების გარეშეც.

სახელმძღვანელოს კომპლექტ „თავთავში“ გვხვდება აგრეთვე ტექნიკური სახის უზუსტობები; კერძოდ, მოსწავლის წიგნში მითითებულია ხოლმე სავარჯიშო, რომელიც მოსწავლემ უნდა შეასრულოს, თუმცა სამუშაო რვეულში შესაბამისი სავარჯიშო გამოტოვებულია.

ვიზუალური მხარე

ძველი სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, ახალი სახელმძღვანელოები მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე არის შესრულებული და მათში მრავლად არის მოცემული ილუსტრაციები, რაც ვიზუალურად მიმზიდველს ხდის სახელმძღვანელოებს მოსწავლეებისთვის

კარგია, რომ ყოველ თემას განსხვავებული ფერის ჩარჩო აქვს გვერდის კიდეების გასწვრივ; ერთი მხრივ, თითოეული თემა ვიზუალურადაც იძენს ერთიანობას, მეორე მხრივ, გამოკვეთილია ეტაპობრივობა, რაც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტია მოსწავლეში წინსვლის შეგრძნების ხაზგასმისთვის და მონოტონურობის თავიდან აცილებისთვის.

ილუსტრაციების შემოტანა თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ მოცემული სახით ისინი უმეტეს შემთხვევაში ემოციურ ფონს ვერ ქმნიან, რადგან სანიმუშო საგნების გამოსახულებებს წარმოადგენენ და არა მოსწავლეების რეალობის ასახვას. მაგალითად, მოსწავლე თუ ნახავს ისეთ ან იმის მსგავსს ჩანთას, ფანქარს ან კლასს, როგორც მას თვითონ აქვს, უფრო დაინტერესდება, ვიდრე უკონტექსტო ნახატებით; უცხოური ბუტერბროდის გამოსახულებას ისევ ქართული რეალობის გამოსახვა სჯობს. ეს მოსწავლეებისთვის უფრო ბუნებრივი და ახლობელი იქნება და სოციოკულტურულადაც რეალურ ინფორმაციას მივაწვდით მიზნობრივ ჯგუფს.

მასწავლებლის მითითებები



მასწავლებლის მითითებები სშირ შემთხვევაში დასაზუსტებელი და დასაკონკრეტებელია. მოსწავლის წიგნში მოცემულ ტექსტზე მუშაობისას უმჯობესია, კითხვები იქვე იყოს, რათა მკითხველს თვალწინ ჰქონდეს ისინი ტექსტის კითხვისას, -ამით გაადვილდება კონკრეტული ინფორმაციის გამიზნულად პოვნის პროცესი.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია დამატებითი მითითებები, მაგრამ მათი ადგილი უპირველეს ყოვლისა მოსწავლის წიგნშია. მასწავლებლის წიგნი მხოლოდ დახმარებას უნდა სთავაზობდეს და არა სავალდებულო პროგრამას: როდური თამაშები მოსწავლის წიგნშივე უნდა იყოს მოცემული დავალების სახით, რათა მასწავლებელს ესმოდეს, რომ ეს აუცილებელი დავალებაა და არა მის ენთუზიაზმზე დამოკიდებული დამატებითი სავარჯიშო.

„თავთავეის“ ერთ-ერთი დონის მასწავლებლის წიგნში მოცემულია ხუთი სანიმუშო გაკვეთილის მონახაზი, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მეთოდური მინიშნებები სხვადასხვა საკითხზე. მასწავლებელთა არსებული კონტინგენტიდან გამომდინარე, სასურველია რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილის მსვლელობის უფრო დეტალურად აღწერა ყველა შემადგენელი ელემენტის და თითოეული მონაკვეთის სასწავლო მიზნის ფორმულირებით ყველა დონის სახელმძღვანელოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაუში, ქრისტი, კრუმი, 2003 - Karl-Richard Bausch, Herbert Christ, Hans-Jürgen Krumm (Hrsg.). (2003). Handbuch Fremdsprachenunterricht. Tübingen: A.Francke Verlag

კასტი, ნოინერი, 1998 - Bernd Kast, Gerhard Neuner. Zur Analyse, Begutachtung und Entwicklung von Lehrwerken (saxelmZRvaneloebis analizis, Sefasebis da daxvewisTvis). Fremdsprachenunterricht in Theorie und Praxis. Berlin: Langenscheidt. 1998.

ოძელი, 2006 - მარია ოძელი, ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა. თბილისი - ქართული ენის ეს სტანდარტი მრავალენოვანი ევროპის ენობრივ სტანდარტს ეყრდნობა.

შავერდაშვილი, 2000 - Ekaterine Shaverdashvili, Deutsch als Fremdsprache. Zur Grundlegung eines Curriculums für den Deutschunterricht in Georgien. Rahmenbedingungen, historische Entwicklung und gegenwärtige Tendenzen. germanuli, rogorc ucxo ena. saqarTveloSi germanuli enis gakveTilis kurikulumis SeqmnisTvis. winapirobebi, istoriuli ganviTareba da Tanamedrove tendenciebi. Münster: Lit Verlag

სახელმძღვანელოს კომპლექტი ”თავთავეი“ I, II, III დონეები. 2005-07, თბილისი: საქართველოს მაცნე

ქიტოშვილი, თ., ლობჯანიძე, ი. 2008-09 – თ. ქიტოშვილი, ი. ლობჯანიძე, ”შვეისწავლოთ ქართული ენა“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008-09.



ნათია ნაცვლიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი; თბილისი, საქართველო

პაატა პაპავა

„ქემონიკსი“; თბილისი, საქართველო

დავუმბაროთ მეორე ენის მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტის გაბეგაში

აბსტრაქტი

სტატიის ძირითადი მიზანია ყურადღების გამახვილება საინფორმაციო ტექსტზე მუშაობის აქტუალობაზე, სპეციფიკასა და ინსტრუმენტებზე ბილინგვურ სკოლაში. შევეხებით და განვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორცაა: საინფორმაციო ტექსტისა და მასზე მუშაობის მნიშვნელობა დღეს; რით განსხვავდება საინფორმაციო ტექსტი სხვა ტიპის ტექსტებისგან, რა სპეციფიკა აქვს საინფორმაციო ტექსტს და რა ართულებს მის გაგებას? რის გაკეთება შეუძლია მასწავლებელს და სკოლას?

საინფორმაციო ტექსტისა და მასზე მუშაობის მნიშვნელობა დღეს

თანამედროვე სამყაროში, ეგრეთ წოდებულ ტექნოლოგიურ ეპოქაში, არსებობს აზრი, რომ თითქოსდა წიგნმა დაკარგა აქტუალობა, რომ გაჩნდა სხვა, უფრო კომფორტული ალტერნატივები როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე პიროვნების განვითარებისათვის. თუმცა, რეალურად, დღევანდელ ეპოქაში, პირიქით, გაიზარდა ტექსტის მნიშვნელობა, ტექსტთან ურთიერთობაც უფრო ხშირად და განსხვავებული მასშტაბებით გვიწევს. დღეს ჩვენ ვართ როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული წიგნების მკითხველები. ათასგვარი დაშიფრული ინფორმაციისა და პრაქტიკული ინსტრუქციის ამოკითხვა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

კითხვისა და წერის უნარების განვითარებაში სკოლა და მასწავლებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მასწავლებელმა უნდა აღჭურვოს მოსწავლე იმ უნარებით, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანს სჭირდება წარმატების მისაღწევად.

როდესაც კითხვის უნარების მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელობას ზრდის საინფორმაციო ტექსტი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საინფორმაციო ტექსტი მოიცავს ყველაფერს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში საორიენტაციოდ გვჭირდება. ამიტომ არის აქტუალური მოსწავლეთა აღჭურვა იმ უნარებით, რომლებიც საინფორმაციო ტექსტის (ამო)კითხვისთვის მოამზადებს მათ.

ზემოთ ნახსენები ფუნქციიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექსტის წაკითხვის უნარების ფლობა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც მეორე ენის საშუალებით უწევთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირება, სხვადასხვა სასწავლო და საქმიანი ამოცანების შესრულება.

სკოლასა და ოჯახში მეორე ენის მოსწავლეს მრავალი განსხვავებული ტიპის, შინაარსისა და სირთულის ტექსტის წაკითხვა უწევს. ბილინგვურ სკოლებში წლიდან წლამდე მატულობს ქართულ ენაზე წასაკითხი ტექსტების რაოდენობა და მოცულობა. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში მოსწავლეები სწორედ ამ ტექსტებიდან იღებენ ინფორმაციას, ეუფლებიან ახალ ცნებებს/ტერმინებს და ერთმანეთს უკავშირებენ ფაქტებს თუ მოსახრებებს.

თუ ტექსტის ტიპებს დავაკვირდებით, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ მოსწავლეების მიერ წასაკითხი ტექსტების საკმაოდ ნაწილი საინფორმაციო ხასიათისაა, ანუ ფაქტებისა და მოვლენების, ასევე, მათ შორის მიმართებების აღწერას, ჩამოთვლას, გაშიფვრას



გვთავაზობს. ასეთ ტექსტებზე აგებული ყველა საგნის სახელმძღვანელო და სასწავლო მასალა ლიტერატურის საგნობრივი შინაარსით გათვალისწინებული მხატვრული ტექსტების გარდა.

რით განსხვავდება საინფორმაციო ტექსტი სხვა ტიპის ტექსტებისგან, რა სპეციფიკა აქვს საინფორმაციო ტექსტს და რა ართულებს მის გაგებას?

საინფორმაციო ტექსტის გაგება ადვილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები თავდაპირველად სწორედ საინფორმაციო ტექსტებს კითხულობენ და ქმნიან, კვლევა ცხადყოფს, რომ მთელ მსოფლიოში მოსწავლეებს უფრო უჭირთ საინფორმაციო ტექსტთან მუშაობა, ვიდრე მხატვრულთან. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. საინფორმაციო ტექსტს აქვს კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც ართულებს მის გაგებას და უარყოფითად მოქმედებს მკითხველის მოტივაციაზე.

ამ მხრივ, მეორე ენის მოსწავლე კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგება. საინფორმაციო ტექსტის ენობრივ და სტრუქტურულ ფაქტორებს მჭირი ლექსიკური მარაგი ემატება. საინფორმაციო ტექსტთან მუშაობის გართულების განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ყველაზე გადამწყვეტია: კითხვადობა, ლექსიკური მარაგი, არსებული (წინარე) ცოდნა, ცნებები და ტერმინები, სინტაქსი.

კითხვადობის დაბალი დონე

ერთ-ერთი უპირველესი და თვალშისაცემი ფაქტორი ტექსტის კითხვადობას უკავშირდება. როცა მეორე ენის მოსწავლეს მცირეშრიფტიანი, შეცდომებითა და შეუსაბამო ელემენტებით გადატვირთული ტექსტის წაკითხვა უწევს, გაგება-გააზრება აშკარა ბარიერებს აწყდება.

უცნობი სიტყვები

უცნობი სიტყვების სიმრავლე გაგება-გააზრების ერთ-ერთი არსებითი ბარიერია. ქვემოთ მოცემულია მაგალითი, რომელიც ცხადყოფს, რომ თვისობრივად მარტივი მითითებაც კი შეიძლება მოსწავლისთვის გაუგებრად იყოს გადმოცემული უცნობი სიტყვების გამოყენების გამო:

დახაზეთ ვენის დიაგრამა და შეადარეთ ერთმანეთს ნაწარმოების პროტაგონისტი და მისი მეგობარი.

არსებული ცოდნის სიმწირე

ტექსტის გაგება რთულდება, როცა მოსწავლეს საკმარისი ცოდნა არ გააჩნია მოცემული ტექსტის შინაარსის გასაგებად. მაგალითად, თუ მოსწავლეს არ აქვს საბაზისო ცოდნა გენეტიკაში, სავარაუდოდ ცნებების განმარტება დიდ დახმარებას ვერ გაუწევს ქვემოთ მოცემული ტექსტის გაგებაში.

დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) არის ბიოპოლიმერი, რომლის მონომერები ნუკლეოტიდებია. დნმ ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკური მასალის, ქრომოსომების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. დნმ-ის ფუნქცია უჯრედში ინფორმაციის შენახვა და შთამომავლობით გადაცემაა.

დნმ-ის მონომერი, ნუკლეოტიდი, შეიცავს საქარიდ დეზოქსირიბოზას, ფოსფორმჟავას ნაშთს და ერთ-ერთ აზოტოვან ფუძეს ოთხი შესაძლოდან: ადენინი (A), გუანინი (G), ციტოზინი (C), თიმინი (T). (წყარო: ვიკიპედია)

რთული ცნებები/ტერმინები

ძნელად გასაგები ცნებები/ტერმინები საგრძნობლად ართულებს ტექსტის გაგებას. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ ისევ ზემოთ მოცემული მაგალითი გამოდგება.



როული სინტაქსი

ზოგადად, გრძელი, შედგენილი წინადადებები უფრო ძნელად გასაგებია, ვიდრე მოკლე, მარტივი წინადადებები. რამდენიმესაფეხურიანი როული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით, ბუნებრივია, ზრდის ტექსტის სირთულის ხარისხს.

მაგალითად:

პროზელიტიზმი არის საკუთარ სარწმუნოებაზე სხვების მოქცევის მისწრაფება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პიროვნების რელიგიურ რწმენაში ჩარევის ნებისმიერ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მცდელობას, რაც მიზნად ისახავს ამ რწმენის დაკნინებას ნებისმიერი სახის ცდუნების ან მორალური თუ მატერიალური დახმარების მეშვეობით, ცრუ საშუალებებით ან შესაბამისი პირის გამოუცდევლობის, ნდობის საჭიროების, დაბალი ინტელექტის ან გულუბრვეილობის გამოყენებით.

მოცემული მაგალითი წარმოადგენს ერთ წინადადებას, რომლის აღქმაც, როული კონსტრუქციის გამო, მოსწავლეს ნამდვილად გაუჭირდება. ხოლო, იმავე წინადადების რამდენიმე წინადადებად დაშლის შემთხვევაში, გაგების პრობლემა მოიხსნება.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სახელმძღვანელოს ტექსტების გაგებაში?

პირველ რიგში, გამოვეყნოთ გაკვეთილებსა და ოჯახში გამოყენებული საინფორმაციო ტექსტების ორი ძირითადი კატეგორია:

1. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები, დავალებები და ტესტები;
2. მასწავლებლის მიერ მომზადებული ტექსტები, დავალებები და ტესტები.

უმრავლესობა ამ მასალისა, ცხადია, სახელმძღვანელოებიდან მოდის. ასევე, დღითიდღე მატულობს ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომი მასალის რაოდენობა. თუ ტექსტები მეტად რთულად გეჩვენებათ და თქვენი მოსწავლეების უმრავლესობისათვის ფრუსტრაციული დონისაა, რაღაც უნდა მოიმოქმედოთ. შესაძლებელია, საერთოდ უარი თქვათ ტექსტის გამოყენებაზე. მეორე მხრივ, შესაძლებელია ტექსტის ადაპტირება.

არსებობს ტექსტის სირთულის სამი დონე. მოცემული მოსწავლისთვის მოცემული ტექსტი შეიძლება იყოს:

1. ფრუსტრაციული დონის (მოსწავლე დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ტექსტის წაკითხვას და გაგებას. დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფის შემთხვევაშიც კი, ასეთ ტექსტთან ურთიერთქმედება მოსწავლეში იწვევს ნეგატიურ ემოციებს და მოტივაციის დაცემას.)
2. სასწავლო დონის (ეს არის საშუალო, ზომიერი სირთულის დონე. ადეკვატური დახმარების უზრუნველყოფის შემთხვევაში მოსწავლე შეძლებს ტექსტის წაკითხვას და გაგებას.)
3. დამოუკიდებელი წაკითხვის დონის (მოსწავლე დამოუკიდებლად შეძლებს ტექსტის წაკითხვას და გაგებას. ამ შემთხვევაში წაკითხვის ამოცანა იმდენად მარტივია, რომ შეიძლება დაწიოს კითხვის მოტივაცია.)

მნიშვნელოვანია, რომ კლასში სამუშაოდ მასწავლებლისა და მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს დიდი რაოდენობით მრავალფეროვანი დამოუკიდებელი და სასწავლო სირთულის დონის ტექსტები.

თუ მასწავლებელი ტექსტის გამოყენებას გადაწყვეტს, სასურველია გამოიყენოს კარგად აპრობირებული სტრატეგიები, რომლებიც ნამდვილად უწყობს ხელს ტექსტის გაგება-გააზრებას. მათ შორისაა: „სემანტიკური რუკა“, „ცნების კატეგორიები“, „SQ3R“, „ვიცი-მაინტერესებს“ და სხვ. ამ სტრატეგიების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია:

- მოსწავლეს ესმის, თუ რა მიზნით კითხულობს ტექსტს, ასევე, რა უნდა გააკეთოს წაკითხვის შემდგომ. როცა მოსწავლე მკაფიოდ აცნობიერებს წაკითხვის მიზანს, იმ ინფორმაციაზე ფოკუსირებული, რომლის გამოყენებაც შემდგომში მოუწევს.
- ააქტიურებს წინარე ცოდნას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ტექსტის (განსაკუთრებით, ვრცელი ტექსტის) წაკითხვისას.



- საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ წინასწარ გაეცნონ წასაკითხი ტექსტის თემას და ისაუბრონ ამ თემაზე შინ, მშობლიურ ენაზე.
- საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გამოთქვას ვარაუდები თემასთან დაკავშირებით.
- საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უპასუხოს შეკითხვებს, რომლებზე პასუხსაც ტექსტთან მუშაობის პროცესში გასცემენ.
- გაეცნონ საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც ტექსტში შეხვდებიან.
- შეახსენებს მოსწავლეს, რამდენად მნიშვნელოვანია ქვესათაურებზე, დიაგრამებზე, ილუსტრაციებზე ყურადღების გამახვილება.
- სთავაზობს მოსწავლეს, მონიშნოს ესა თუ ის გაუგებარი მონაკვეთი, რომელზეც მოგვიანებით იმუშავენ.

მნიშვნელოვანია, რომ თანდათანობით მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ დასახელებული სტრატეგიების გამოყენება სხვადასხვა ტექსტთან და სხვადასხვა კონტექსტში.

სწავლების რამდენიმე ეფექტური მეთოდი

იმ პრობლემებთან გასამკლავებლად, რომელთა შესახებაც ზევით ვისაუბრეთ, მასწავლებლებს ვთავაზობთ რამდენიმე ეფექტურ მეთოდს, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს, განსაკუთრებით, მეორე ენის შემსწავლელებს საინფორმაციო ტექსტის გაგებაში.

ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდებია:

- **სემანტიკური / გონებრივი რუკა**
- **ცნების კატეგორიები**
- **სიტყვათა კლასიფიკაცია**
- **SQ3R**

ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე კონკრეტულ სტრატეგიას, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტებთან მუშაობაში.

სემანტიკური / გონებრივი რუკა

სემანტიკური რუკის შექმნა ეხმარება მოსწავლეებს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში, კითხვისა და წერის უნარების დაუფლებაში. ამ სტრატეგიით მუშაობის დროს მოსწავლეები ახალ სიტყვებსა და ტერმინებს უკვე არსებულ ცოდნას და სიტყვებს უკავშირებენ. სემანტიკური რუკის გამოყენების ნაბიჯებია:

1. კონკრეტული სიტყვის შერჩევა;
2. შერჩეული სიტყვის თვალსაჩინოდ დაწერა (დაფაზე ჯგუფური მუშაობისთვის ან ფურცელზე ინდივიდუალური მუშაობისთვის);
3. მოსწავლეების მიერ რაც შეიძლება მეტი ისეთი სიტყვის მოფიქრება, დასახელება და ჩამოწერა, რომელიც დაწერილ სიტყვას უკავშირდება;
4. შერჩეული სიტყვების კატეგორიებში/სიტყვათა ჯგუფებში განაწილება;
5. კატეგორიებისათვის (სიტყვათა ჯგუფებისათვის) სახელების მოფიქრება;
6. რუკის შექმნა კატეგორიებისა და სიტყვათა ჩამონათვალის გამოყენებით;
7. დისკუსიის წარმართვა სიტყვების მნიშვნელობებსა და მათ შორის კავშირების შესახებ, სიტყვების გამოყენების შესახებ; შეჯამება.



ცნების კატეგორიები

მეთოდის/სტრატეგიის მოკლე აღწერა: „ცნების კატეგორიები“ არის ლექსიკური მარაგისა და გაგება-გააზრების სტრატეგია, რომელიც გამოიყენება ახალ თემაზე წასაკითხ ტექსტში არსებულ სიტყვებზე/ცნებებზე/ტერმინებზე სამუშაოდ. მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტში შემავალი სიტყვების ჩამონათვალს. მოსწავლეები განიხილავენ თითოეული სიტყვის მნიშვნელობას და შესაბამის კატეგორიაში ათავსებენ მას. კატეგორიები შეიძლება მასწავლებელმა ან მოსწავლეებმა განსაზღვრონ.

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც ტექსტის წაკითხვამდე, ისე წაკითხვის შემდგომ ფაზებზე. როცა მეთოდი წაკითხვამდე გამოიყენება, მასწავლებელი ადგენს, თუ რა იციან მოსწავლეებმა ასათვისებელი თემის გარშემო. წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი აფასებს, თუ რამდენად გაიგეს და გააცნობიერეს მოსწავლეებმა ტექსტის შინაარსი და ახალი ცნებები/ტერმინები.

რისთვის ვიყენებთ ცნების კატეგორიებს?

- მოსწავლეები ეცნობიან ახალ სიტყვებს/ცნებებს/ტერმინებს, რომლებსაც შეიცავს წასაკითხი ტექსტი;
- მოსწავლეები ავლენენ, თუ რა იციან უკვე შესასწავლი საკითხის გარშემო;
- მოსწავლეებს უზრუნველყოფს ვარაუდები და ინტერესი წასაკითხი ტექსტის მიმართ.

მეთოდის/სტრატეგიის წარმართვა

1. მასწავლებელი შეარჩევს 10-15 სიტყვას/ცნებას წასაკითხი ტექსტიდან და ჩამოწერს მათ დაფაზე. მცირე ჯგუფებში მუშაობისას შესაძლებელია სპეციალური ბარათების დამზადება და ჯგუფებისათვის დარიგება.
2. მოსწავლეები დაფიქრდებიან და საუბრობენ მოცემული სიტყვების/ცნებების მნიშვნელობაზე.
3. მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ცნების კატეგორიებს (ჩამოწერს მათ დაფაზე). შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, რომ თითოეული სიტყვა შეიყვანონ ერთ-ერთ კატეგორიაში.
4. მასწავლებელი წარმართავს შემაჯამებელ დისკუსიას (ან თვითონვე საუბრობს) იმის შესახებ, თუ რატომ მოხვდა ესა თუ ის სიტყვა შერჩეულ კატეგორიაში. სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, გადაიტანონ სიტყვები ერთი კატეგორიიდან მეორეში.

მაგალითი:

მცენარეები (ბუნებისმეტყველება)

1. მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს წინასწარ შერჩეულ სიტყვებს, მაგ.: ყვავილი, ფოთოლი, წყალი, ბაღი, თესლი, ტყე, ჰაერი, ხე, სინათლე, ნიადაგი, ფესვი, ღერო.
2. სთხოვს მოსწავლეებს, რომ შეიტანონ თითოეული სიტყვა ქვემოთ მოცემულ კატეგორიებში, ან დააჯგუფონ ბარათები და შემდეგ დაასათაურონ კატეგორია.
 - მცენარის ტიპები
 - მცენარის ნაწილები
 - სად იზრდება მცენარეები?
 - რა სჭირდებათ მცენარეებს ზრდისათვის?



სიტყვათა კლასიფიკაცია

მეთოდი, „სიტყვათა კლასიფიკაცია“ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ხელი შეუწყოს მოსწავლეების კარგ მკითხველად ჩამოყალიბების პროცესს. მეთოდი მულტიდისციპლინური ხასიათისაა. მისი გამოყენება პრაქტიკულად ყველა საგნის სწავლებისას არის შესაძლებელი, ვინაიდან მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის ტექსტებზე უწევთ მუშაობა.

ნებისმიერი ხასიათის ტექსტის გაგება-გააზრების მნიშვნელოვანი სეგმენტი ლექსიკური მარაგია. მეთოდი „სიტყვათა კლასიფიკაცია“ სწორედ ლექსიკური მარაგის გამომუშავებაზე, კოგნიტური და ლინგვისტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. სიტყვის ტექსტის მთლიან კონტექსტთან მიმართების შედეგად, მოსწავლეები მკაფიოდ იაზრებენ ტექსტის ფორმის, შინაარსის, კომპოზიციური ქარგისა და ლექსიკურ-გამომსახველობითი საშუალებების მნიშვნელობას.

მეთოდის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გააზრებულად კითხვა, არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოჯენა, ინტერპრეტაცია, რანჟირება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. მეთოდზე მუშაობა იწყება ტექსტის შერჩევით. სანამ მეთოდის განხორციელება დაიწყება, მოსწავლეებს პედაგოგის მიერ შერჩეული ტექსტი ბოლომდე უნდა ჰქონდეთ წაკითხული. ტექსტი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა. იგი აუცილებელია, იყოს სასწავლო მიზნის ავთენტური, აქტუალური, სრულად ითვალისწინებდეს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და იყოს ლექსიკურად და შინაარსობრივად მორგებული მოსწავლეთა ასაკსა და ინტერესებს.

მეთოდი განსაკუთრებულად ეფექტურია აღწერით და საინფორმაციო ტექსტთან მუშაობის პროცესში. ამგვარი ტიპის ტექსტები, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ჯერ კიდევ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ პროგრამებში სავალდებულო მახასიათებლადაა განსაზღვრული.

„სიტყვათა კლასიფიკაციის“ მეთოდით მუშაობისას, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი აზრი და გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. ეს მეტად მნიშვნელოვანია მეორე ენის მოსწავლისათვის.

მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში

მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა საგანში როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე. მეთოდის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: მას შემდეგ, რაც წაიკითხავენ მასწავლებლის მიერ შერჩეულ ტექსტს, დროდადრო თითო სიტყვის დამატებით, მოსწავლეები ადგენენ იმ სიტყვების სიას, რომლებიც წაკითხულ ტექსტთან ასოცირდება და კლასიფიცირებულია სახასიათო თვისებების მიხედვით.

მოსწავლეთა მცირე ჯგუფები სავარჯიშოს მეშვეობით შეგროვებულ სიტყვებს სულ მცირე, ოთხ კატეგორიად ანაწილებენ. საბოლოოდ, ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ნამუშევარს საპრეზენტაციო პლაკატების მეშვეობით, რომლებსაც შემდეგ ეტაპზე მთელი ჯგუფი განიხილავს. ისინი გრაფიკულად გამოსახავენ, აჯგუფებენ, იერარქიულად, მნიშვნელობის და სხვა საკითხების მიხედვით ანაწილებენ სიტყვებს. ამ გზით მოსწავლეები აანალიზებენ მოცემულ ტექსტს, ტექსტიდან ირჩევენ და აჯგუფებენ სიტყვებს, ხსნიან რის მიხედვით და რატომ დააჯგუფეს სიტყვები ამ ფორმით, აფასებენ თავიანთ და სხვების მიერ შერჩეულ კლასიფიკაციის სისტემებს.

მეთოდის მსვლელობა

მეთოდის „სიტყვათა კლასიფიკაცია“ უშუალო განხორციელებამდე, სასურველი იქნება, მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, განმარტონ, როგორ ესმით სიტყვა კლასიფიკაცია. მოსწავლეები მსჯელობენ, ხოლო მასწავლებელი დაფაზე ინიშნავს მათ მიერ მოწოდებულ ვარიანტებს. 2-3 წუთიანი მუშაობის შემდეგ, მასწავლებელი მიაწვდის ერთ-ერთ მოსწავლეს უცხო სიტყვათა ლექსიკონს და სთხოვს წაიკითხოს ამ სიტყვის განმარტება. გაკვეთილის



შემდეგ ფაზაზე მასწავლებელი სიტყვათა კლასიფიკაციის მეთოდის ინსტრუქციას განუმარტავს მოსწავლეებს.

ამის შემდეგ, იწყება მეთოდის განხორციელების პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს სიტყვების სიის შედგენას.

- დაფის თავში, დიდი ზომის ფორმატის ქაღალდზე მასწავლებელი წერს წაკითხული ტექსტის სათაურს.

- უხსნის კლასს, რომ უნდა შეადგინონ სია სიტყვებისა, რომლებიც ასოცირდება მათ მიერ წაკითხულ ტექსტთან.

- როცა მასწავლებელი დარწმუნდება, რომ ყველა მოსწავლემ კარგად გაიგო დავალების ინსტრუქცია, მოსწავლეები იწყებენ სიტყვათა სიის შედგენას. ისინი დაფაზე მიმაგრებულ ფორმატის ქაღალდზე (ან დაფაზევე) თვითონ გამოდიან და წერენ, ან კარნახობენ და მასწავლებელი თავად ჩამოწერს სიტყვებს. ასე შედგება მთელი კლასის სიტყვების სია. სასურველია, მუშაობის პროცესში ფორმატის ქაღალდზე ჩამოწერილი სიტყვები მოსწავლეებმა თავიანთ რვეულებშიც ჩაინიშნონ.

მეთოდის ეს ეტაპი გრძელდება მანამ, სანამ თითოეული მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას სიის შედგენაში ერთი სიტყვით მაინც. აქტივობა გრძელდება მანამ, სანამ სია 30-40 სიტყვას არ მიაღწევს. საშუალოდ, ამისთვის საჭიროა 10-15 წუთი.

მეთოდის განხორციელების შემდეგ ეტაპზე მუშაობა გრძელდება მცირე ჯგუფებში. მასწავლებელი თავად გადაანაწილებს მოსწავლეებს ჯგუფებში შემთხვევითი შერცევის წესით. მოსწავლეები ფიქრობენ კლასიფიკაციის რაიმე სისტემაზე, სადაც ყველა მოცემული სიტყვა გადაანაწილება. სისტემა უნდა მოიცავდეს სულ მცირე ხუთ კატეგორიას და თითო კატეგორია კი - სულ მცირე, ოთხ სიტყვას მოცემული სიიდან. მოსწავლეებს შეუძლიათ ერთი სიტყვა რამდენიმე კატეგორიაში მოაქციონ და, ასევე, წიგნიდან დაამატონ სიტყვები. მეთოდის განხორციელების შემდეგ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ასრულებენ სიტყვათა კატეგორიებზე მუშაობას და ყველა სიტყვას გადაანაწილებენ მათ მიერ შერჩეულ კატეგორიებში, ჯგუფები იწყებენ ჯგუფური პოსტერის მომზადებას, რათა წარუდგინონ შემუშავებული სისტემა კლასის დანარჩენ ნაწილს. ამისთვის მათ ურიგდებათ მარკერები, საპრეზენტაციო პლაკატები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

აღსანიშნავია, რომ მეთოდით გათვალისწინებული საპრეზენტაციო პლაკატის მომზადება მხოლოდ ვიზუალურ ეფექტზე გათვლილი აქტივობა არ არის. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი სასწავლო-შემეცნებითი ფუნქცია აკისრია და კარგად ავითარებს ტექსტის ვიზუალიზაციის, სივრცითი, თანამშრომლობითი, საპრეზენტაციო აქტივობისთვის საჭირო უნარებს. მოსწავლეები დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში მუშაობენ თავიანთ პოსტერებზე და გეგმავენ პრეზენტაციას. თუ რომელიმე ჯგუფი ადრე დაასრულებს მუშაობას, მასწავლებელი სთხოვს, ისევ მიუბრუნდნენ ტექსტს, ან ლექსიკონში მოძებნონ შედარებით რთული სიტყვების განმარტებები.

მას შემდეგ, რაც ჯგუფები დაასრულებენ საპრეზენტაციო პლაკატებზე მუშაობას, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის პოსტერს, სადაც ასახულია მათ მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის სისტემა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდი „სიტყვათა კლასიფიკაცია“ სწორედ ლექსიკური მარაგის გამომუშავებაზე, კოგნიტური და ლინგვისტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. სიტყვების მთლიან კონტექსტთან მიმართების შედეგად, მოსწავლეები მკაფიოდ იაზრებენ ტექსტის ფორმის, შინაარსის, კომპოზიციური ქარგისა და ლექსიკურ-გამომსახველობითი საშუალებების მნიშვნელობას.

SQ3R

მეთოდის/სტრატეგიის მოკლე აღწერა: სტრატეგიის აბრევიატურა ხუთ სიტყვას მოიცავს: Survey - გადახედე, Question - დასვი შეკითხვები, Read - წაკითხე, Recite - გადმოეცი, Review - განიხილე. ეს ტექსტის გაგების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ეფექტური სტრატეგიაა. კითხვის დაწყებამდე მოსწავლეები უსმენენ მასწავლებლის მოკლე



ლექციას. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ამავე თემაზე ტექსტს ან მის ერთ მონაკვეთს. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები მთელ კლასში ან მცირე ჯგუფებში მართავენ დისკუსიას მოცემულ საკითხზე. დისკუსია მოიცავს შედარებას ლექციის შინაარსსა და წაკითხული ტექსტის შინაარსს შორის. ეს არის აქტიური სწავლის სტრატეგია, რომელიც ერთ თემაზე განსხვავებული ინფორმაციის დაგროვებისა და განსხვავებული შეხედულებების (ავტორი, მასწავლებელი, მოსწავლეები) გამოხატვის პროცესში რთავს მოსწავლეებს.

მეთოდის/სტრატეგიის დანიშნულება

- ეხმარება მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტის გააზრებაში;
- ქმნის საბაზისო ცოდნას ტექსტის წაკითხვამდე;
- საშუალებას აძლევს პრობლემურ მკითხველებს, ჩაერთონ დისკუსიაში.

რომელ ფაზაზე ვიყენებთ სტრატეგიას?

- ტექსტის წაკითხვამდე
- კითხვის პროცესში
- წაკითხვის შემდეგ

მეთოდის/სტრატეგიის წარმართვა

წაკითხვამდე მოსწავლე გადახედავს ტექსტს:

- ა. სათაურს და ქვესათაურებს
- ბ. სურათის მინაწერებს, ცხრილებს, გრაფიკებს და რუკებს
- გ. წინასწარ მოცემულ ტერმინებს
- დ. შესავალ და დასკვნით აბზაცებს
- ე. შეჯამებას

გადახედვის დროს მოსწავლე აყალიბებს შეკითხვებს:

- გადააკეთებს სათაურს და ქვესათაურებს შეკითხვებად
- კითხულობს შეკითხვებს ტექსტის დასაწყისში ან ბოლოში
- საკუთარ თავს უსვამს შეკითხვას: „რა ვიცი უკვე ამ საკითხის შესახებ?“

კითხვის პროცესში მოსწავლე:

- ა. მოიძიებს პასუხებს თავდაპირველად დასმულ შეკითხვებზე
- ბ. პასუხობს ქვეთავის თავში ან ბოლოში დასმულ შეკითხვებს
- გ. ხელახლა კითხულობს სურათებზე მინაწერებს, ცხრილებს, გრაფიკებს და ა. შ.
- დ. ყურადღებას ამახვილებს ხაზგასმულ, დახრილ და „გაბოლდებულ“ სიტყვებსა და ფრაზებზე.
- ე. შეანელებს კითხვას რთულ მონაკვეთებთან.
- ვ. ჩერდება და ხელახლა კითხულობს იმ მონაკვეთებს, რომლებიც გაუგებარია.
- ზ. კითხულობს მხოლოდ თითო მონაკვეთს და გადმოსცემს მის შინაარსს.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლე:

- ა. ზეპირად შეაჯამებს წაკითხულს საკუთარი სიტყვებით
- ბ. წერს წაკითხული ინფორმაციის მოკლე ვარიანტს საკუთარი სიტყვებით
- გ. მარკერით მონიშნავს ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთებს.

სტატიის ბოლოს ჩამოვთვლით იმ ძირითად საორიენტაციო ამოცანებს, რომლებზე ფოკუსირებაც საგრძნობლად დააჩქარებს მოსწავლეებს შორის საინფორმაციო ტექსტების კითხვის უნარების განვითარებას და აკადემიური წარმატებების მიღწევას ყველა საგანში.



რის გაკეთება შეუძლია განათლების სისტემას და სკოლას?

- საინფორმაციო ტექსტის კითხვისა და წერის უნარების შეტანა ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებში დაწესებითი საფეხურის დაბალ კლასებში;
- სკოლების უზრუნველყოფა მრავალფეროვანი თემატიკისა და მზარდი სირთულის საინფორმაციო ტექსტებით (როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული);
- მასწავლებლების უზრუნველყოფა სასწავლო სტრატეგიებით ტრენინგისა და სპეციალური ლიტერატურის მიწოდების გზით.

რის გაკეთება შეუძლია მასწავლებელს?

- საინფორმაციო ტექსტთან მუშაობის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების მოსინჯვა;
- საინფორმაციო ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გაცნობიერება;
- პროფესიული განვითარება;
- სტრატეგიების დემონსტრირება და სწავლება;
- უკუკავშირი და შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბესელია, პაპავა, 2011 - ნ. ბესელია, პ. პაპავა. წიგნიერება დაწესებით კლასებში. მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო. 2011

კითხვის ეფექტური მეთოდები, 2010 - კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2010.

მასწავლებელი, 2010 - ჟურნალი „მასწავლებელი“ №3 (9), 2010.

ჯულიანი, ბერნისი, 1981 - Cullinan E. Bernice. Literature and the Child. HBJ. 1981

Helping ESL students understand written texts. A guide to learning English.
<http://esl.fis.edu/teachers/support/commun.htm>

Just Read Now! SQ3R <http://www.justreadnow.com/strategies/sq3r.htm>

Reading Methods: SQ3R. Academic Resource Center. <http://www.arc.sbc.edu/sq3r.html>

Semantic Mapping. http://literacy.kent.edu/eureka/strategies/semantic_mapping.pdf



ნაირა ბეპიევი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

შედარებითი გრამატიკა ბილინგვური სწავლების დისკურსში (ქართული და ოსური ენების მაგალითზე)

აბსტრაქტი

ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება კერძოდ, ირანულ ჯგუფს, ქართული ენა კი – კავკასიურს. ბილინგვური სწავლების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ორი ენის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებები. აუცილებელია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიუანსების წარმოჩენა, მათი გათვალისწინება, შედარებითი ანალიზი.

ცნობილია, რომ ქართული ზმნას მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალება აქვს, წინადადებაში მაკოორდინირებელი როლიც სწორედ მას ეკისრება. სხვა ენებში ზმნას უჭირს ყველა იმ ნიუანსის გადმოცემა, რაც ქართულ ზმნას აქვს, (პირის რაგვარობის წარმოჩენა, კონტაქტი და სხვ.).

ბილინგვური სწავლების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ზმნის თავისებურებების სათანადოდ გადმოცემა. ასევე, გასათვალისწინებელია სახელებისა თუ სხვა მეტყველების ნაწილთა თავისებურებები.

მნიშვნელობა ენიჭება (შესასწავლი ენების) შედარებითი გრამატიკის აუცილებლად გასათვალისწინებელი კურსის გაცნობა-შესწავლა, რაც მათ დიდად დაეხმარება ენების წარმატებულად დაუფლებაში.

ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება, კერძოდ კი - ირანულ ჯგუფს, ქართული ენა კი - კავკასიურს. ბილინგვური სწავლების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ორი ენის სტრუქტურული, ენობრივი თავისებურებები. აუცილებელია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიუანსების წარმოჩენა, მათი გათვალისწინება, შედარებითი ანალიზი. ცნობილია, რომ ქართულ ზმნას საკმაოდ მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალება აქვს, წინადადებაში მაკოორდინირებელი როლიც სწორედ მას ეკისრება. ზოგიერთ სხვა ენაში ზმნას უჭირს ყველა იმ ნიუანსის გადმოცემა, რაც ქართულ ზმნას აქვს, (პირის რაგვარობის წარმოჩენა; სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ურთიერთმიმართების საკითხი; კონტაქტი; ქცევის კატეგორია და სხვ.).

ბილინგვური სწავლების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ზმნის თავისებურებების გადმოცემა სათანადოდ. კერძოდ, გარდამავალი ზმნის შესატყვისი სუბიექტის ბრუნვის საკითხი. გარდამავალი ზმნის სუბიექტი I, II და III სერიის ზმნასთან ქართულ ენაში სამ ბრუნვაში გვხვდება; I სერიის ზმნასთან ის სახელობით ბრუნვაში დგას, მეორე სერიის ზმნასთან მოთხრობით ბრუნვაშია, ხოლო მესამე სერიის ზმნასთან - მიცემითში. განსხვავებით ქართული ენისაგან, ოსურ ენაში მოთხრობითი ბრუნვა არა გვაქვს და სუბიექტი მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დგას (იშვიათად ნათესაობითში). მოქმედი I სერიის ზმნასთანაც სახელობით ბრუნვაში დგას და II და III სერიის ზმნებთანაც. ოსურში ბუნებრივია: *лѣг худы* კაცი იცინის, *лѣг бахудти* კაცი გაიცინა



(ნაცვლად - კაცმა გაიცინა). ოსური ენის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ბუნებრივია ასეთი წარმოთქმა: *მამალი ყივის, მამალი იყივლა, მამალი უყივლია*.

ქართულ ენაში კონტაქტი ზმნის ის ფორმაა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს შუალობითი და უშუალო კონტაქტი.

შუალობით კონტაქტს აქვს თავისი მაწარმოებლები: **-ინ, -ევ, -ეინ, -ვინ, -ეინ**.

ოსურ ენაში შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად ზმნის საწყისი ფორმაა გამოყენებული, რომელსაც დაერთვის დამხმარე ზმნა **кѣны - аразын ёй ын кѣны - აკეთებინებს, амѣлын ёй ын кѣны - აკვლევინებს**.

იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ისედაც მეშველზმნიანია, უშუალო კონტაქტის გამოსახატავად ზოგ შემთხვევაში კიდევ ერთხელ დაერთვის საწყისი მეშველი ზმნა.

хѣрын кѣны - აჭმევს, ныв ын кѣны - უხატავს.

хѣрын ын кѣнын кѣны - აჭმევინებს; ныв ын кѣнын кѣны - ახატვინებს.

ასეთ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის სუბიექტი (ის) რეალურად მოქმედ პირს (მას), ირიბ ობიექტს ასრულებინებს მოქმედებას.

ქართულ ენაში ზმნა გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებასაც. ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი; ობიექტი მოქმედ პირს, სუბიექტს ეკუთვნის; ერთი ობიექტი ეკუთვნის მეორეს ან მისთვის არის განკუთვნილი. ამის მიხედვით გვაქვს სამი ქცევა: საარვისო (*ვაშენებ*), სათავისო (*ვიშენებ*) და სასხვისო (*გუშენებ*). ანუ, რაც იგივეა, სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო (ა. შანიძე). ქცევის სხვადასხვა ფორმა ქართულში ზოგჯერ პრეფიქსებით არის გადმოცემული (*აკეთებს, ი-შენებს, უ-წერს*), ზოგჯერ მხოლოდ ფორმით (*წერს*).

როგორ გადმოიცემა ქცევის სხვადასხვა ფორმა ოსურ ენაში?

ოსურ ენაში ქცევას ზმნის ფორმა ვერ გადმოსცემს. პრეფიქს-სუფიქსების დართვით, ზმნის რომელიმე ფორმით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ქცევის ნებისმიერი ფორმის გადმოსაცემად აუცილებელია ზმნას დავურთოთ შესაბამისი სახელები ან ნაცვალსახელები. *მან სახლი ააშენა - Уый хѣдзар самадта* (საარვისო ქცევა - *никайон архайд*), *მან თავისთვის სახლი ააშენა* *Уый хѣдзар самадта йѣхицѣн* (სათავისო ქცევა - *хион архайд*), *მან მას სახლი აუშენა* *Уый кѣмѣндѣр хѣдзар самадта* (სასხვისო ქცევა - *искайон архайд*). ერთ შემთხვევაშიც, მეორე შემთხვევაშიც და მესამე შემთხვევაშიც ააშენა (*самадта*), ერთი და იმავე ფორმით არის გადმოცემული. კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობის გადმოსაცემად ოსურ ენაში ზმნა არ იცვლის ფორმას, ფორმას იცვლის სახელი ან შესაბამისად ნახმარი ნაცვალსახელი.

სათავისო ქცევის გადმოსაცემად ოსურში აუცილებელია კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჩართვა. აქ რამდენიმე შემთხვევაა ცალ-ცალკე განსახილველი:

1. როცა ზმნის მოქმედება I პირისთვისაა განკუთვნილი I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელია ნახმარი (პირველი პირის პირის ნაცვალსახელთან ერთად):

ѐз мѣхи дасын მე ვიპარსავ

სათავისო ქცევის გამოხატვის დროს აუცილებელია ზმნასთან ერთად ვისმართ პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ერთად. ავიშენე ფორმა გადმოიცემა I პირის პირის ნაცვალსახელი + I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა (საარვისო ქცევაში):

მე სახლი ავაშენე ჩემთვის (სახლი ავიშენე) ѐз мѣхицан хадзѣр самѣдтон.

ასეთივე მიმართებაა სხვა შემთხვევებშიც.

რაც შეეხება სასხვისო ქცევას, აქ შემდეგნაირი კონსტრუქცია გვაქვს:

1. I პირის პირის ნაცვალსახელი + მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა (უღლებადი ფორმა, საარვისო ქცევა);

მე მისთვის სახლი ავაშენე (სახლი აგუშენე) ѐз уыман хадзѣр самадтон

2. II პირის პირის ნაცვალსახელი + მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა;

შენ მისთვის სახლი ააშენე (სახლი აუშენე) ды уыман хадзѣр самадтай.



3. III პირის პირის ნაცვალსახელი + მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი + ზმნა;

მან მისთვის სახლი ააშენა (სახლი აუშენა) уый уыман хадзѣр самадтѣ.

уый манѣн хадзѣр самѣдтѣ მან ჩემთვის სახლი ააშენა (ამიშენა).

уый дауѣн хадзѣр самѣдтѣ მან შენთვის სახლი ააშენა (ავიშენა).

уый уымѣн хадзѣр самѣдтѣ მან მისთვის სახლი ააშენა (აუშენა).

უარყოფითი ნაწილაკები **არ** და **ვერ** ქართულში მოქმედების ნიუანსობრივ სხვადასხვაობას გამოხატავენ. მათი დართვა ზმნით აღნიშნულ მოქმედებას უარყოფით კონტექსტს ანიჭებს, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულს. კერძოდ არ ნაწილაკი ზმნასთან ერთად აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, როდესაც სუბიექტს არ სურს მოქმედების შესრულება, მოქმედება მისი ნებელობის შესაბამისია: *არ დავეწერ!* *არ დავხატავ!* *არ შევჭამ!* ასეთ ნათქვამს კატეგორიულობის ნიუანსს **არ** ნაწილაკი სძენს. ხოლო **ვერ** ნაწილაკი, რომელიც ასევე უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ასეთი კატეგორიულობისაგან დაცლილია, ის აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც სუბიექტის ნებელობის მიუხედავად, შესაძლებელი არაა: *ვერ დავწერ, ვერ დავხატავ, ვერ შევჭამ.* ოსურ ენაში უარყოფითი ნაწილაკი **ნე** გამოხატავს ორივე ნიუანსს – კატეგორიულსაც და შესაძლებლობიდან გამომდინარესაც.

ნე ныфыстон არ დავწერე – კატეგ. ნიუანსი;

ნე ныфыстон არ დამიწერია – ნეიტრ, ნიუანსი;

ნე ныфыстон ვერ დავწერე – შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში ოსურ ენაში მოქმედი ამატებს სიტყვებს (არ შემეძლო), რითიც ის განმარტავს, რომ არ შეეძლო დაწერა (სხვადასხვა მიზეზთა გამო).

ოსურში დასტურდება როგორც წინდებული (Разѣвѣрдтѣ, Раздзырдтѣ) ისე უკუდებულები ანუ თანდებულები (Фѣცѣвѣрдтѣ, Фѣцдзы-рдтѣ). როგორც წინდებული, ისე უკუდებული თანდებულს წარმოადგენს, რომელიც „დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდგომარეობა, მიმართულება, დანიშნულება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან“ (შანიძე, 1969).

უკუდებულებთან შედარებით წინდებულები ოსურში მხოლოდ რამდენიმეა, კერძოდ:

ѣд - თან, - იან-ად უკუდებულები (თანამედროვე ქართულში თანდებული პრეფიქსად იშვიათია. სპეციალურ ლიტერატურაში უკუდებულს, ჩვეულებრივ, თანდებულს უწოდებენ).

ѣд-гѣрзтѣ - იარადიანად; ѣд-дзаума - ნივთებიანად

წინდებული *ѣд* მხოლოდ არსებით სახელებს დაერთვის და ისიც მხოლოდ სახელობით ბრუნვაში. დაუშვებელია მასა და სახელს შორის სხვა სიტყვის ჩართვა (ახვლედიანი, 1968, 296).

წინდებული *ѣд* ოსურში ცნობილია, როგორც არაპროდუქტიული წინდებული, ხოლო *ѣნѣ* - როგორც პროდუქტიული (გაბარაევი, 1987, გვ. 48).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სუფიქსებს *-იან, -ოსან, -ოვან, -იერ*, რომლებიც ქონების სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია ქართულში, ოსურში შეესატყვისება სუფიქსი *-джын*; შდრ.: *дур-джын* - ქვიანი; *фыд-джын* - ხორციანი.

ѣნѣ - უ - ო; უ; ѣнѣ-зѣнѣг - უ-შიელ-ო; ѣнѣ-мат - უ-დარდ-ო (უდარდელი).

წინდებული *ѣნѣ* სახელებთან სახელობით ბრუნვაში დგას (ეს წინდებული მნიშვნელობით ახლოს არის ქართულ ცალკე მდგომ თანდებულთან - გარეშე):

განსხვავებით *ѣд* წინდებულისაგან, *ѣნѣ* წინდებულსა და მასთან თანმხლებ სიტყვას შორის ზოგჯერ შეიძლება იდგეს მსაზღვრელი, მათ შორის ნაცვალსახელიც. (აბაევი, 1970, 296).



აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოსურში ёнё წინდებულს ზოგჯერ ენაცვლება მისი შემოკლებული ვარიანტი ё, რაც იმავე მნიშვნელობით იხმარება (აღნიშნავს უყოლობა-უქონლობას) (აბაევი, 1970, 678). ё-дзар - უ-სახლკარ-ო; ё-дых - უ-ღონ-ო.

გარდა ამისა, ოსური ენის ზოგი მკვლევარი გამოყოფს მესამე წინდებულსაც фёйнё, რომელიც რაოდენობის სემანტიკას გამოხატავს (მელითი, 2003, 235). წინდებული фёйнё (მნიშვნელობით უახლოვდება - თითო ან ერთი... (ერთი ხუთი, ერთი ოცი, ერთი სამი ვაშლი მომცა) უმეტესად სახელობით ბრუნვაში დგას, თუმცა სხვა ბრუნვებშიც გვხვდება.

ერთმარცვლიანი თანდებულები - ვით, - თან, - ზე - ში, - თვის - გან (დან) ქართულში სახელთან არის შერწყმული. ასეთი სახის თანდებულები ოსურ ენას არა აქვს. ამ თანდებულთა ფუნქციას ოსურში გარკვეული ბრუნვის ნიშნები ასრულებენ (და არა თანდებულები).

შდრ.: хадзёрай - სახლივით; хадзёрёй -სახლიდან.

- გან თანდებულიანი (ნათ. ამხანაგისა - გან) და -დან/იდან თანდებულიანი (მოქმ. წყაროდან; სოფლიდან) სახელებს ქართულში ერთმანეთისაგან განსხვავებული კითხვები დაესმით: ვისგან? საიდან?

ორივე ეს სახეობა ოსურში ნათესაობითი ბრუნვის ერთი ფორმით არის გადმოცემული. არის პირიქითაც, როცა ქართულის ერთ თანდებულს ოსურში ორი შესატყვისი აქვს.

მაგ.: სოფელში წავედი - хъаутам ацыдтан, სხვა ფორმაა - სოფელში ვარ - хъёуты дён სოფელში ვარ), -ში თანდებულია გამოყენებული ქართულში სტატიკის დროსაც და დინამიკის დროსაც. ოსურში ეს ფორმები აშკარად განსხვავებული ბრუნვის ფორმებით გადმოიცემა. хъаутам - სოფელში მივდივარ; хъёуты - სოფელში ვარ

რუსული: В школе (находится)

В школу (ходит)

საფიქრებელია, რომ ოსურში, მისი განვითარების ადრეულ საფეხურზე დღევანდელთან შედარებით უფრო მეტი თანდებული უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს ადასტურებს ოსური ენის დიგორულ დიალექტში შემორჩენილი ზოგიერთი ფორმა, რომელთა ნაწილი სალიტერატურო ენაშიც არის დამკვიდრებული. ასეთად გვესახება, მაგალითად:

Раз-дарён (წინსაფარი); дёл-базыр (ფრთებს ქვეშ); дёл-барад (დამოკიდებულება); уёл-арв (ზეცა).

როგორც ვნახეთ, ქართული ზოგიერთი თანდებულის ფუნქციას ოსურში წინდებული და თანდებული ასრულებს. ზოგ შემთხვევაში ქართული თანდებულიანი ფორმა ოსურში ბრუნვის ნიშნით არის გადმოცემული. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ოსურ ენაში ზმნა ვერ გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას სხვა მეტყველების ნაწილების დაუხმარებლად. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ქართულთან მიმართებით, სადაც ზმნა ამ ფორმებს უმეტეს შემთხვევაში სათანადო ნიშნებით გადმოსცემს. ოსურიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს საჭიროა ასეთი ფორმები გადმოიცეს შესაბამისი ქცევის ფორმით (სახლი ავიშენე და არა სახლი ავიშენე ჩემთვის).

ამრიგად, ბილინგვური სწავლების დროს აუცილებელია (შესასწავლი ენების) შედარებითი გრამატიკის აუცილებლად გასათვალისწინებელი კურსის შესწავლა, შესასწავლ ენათა ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სხვა სახის თავისებურებების გაცნობა, რაც მსმენელებს, ამ ენათა შესწავლის მსურველებს დიდად დაეხმარება ენების წარმატებულად დაუფლებაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

შანიძე, 1969 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ტ. I. თბ., 1969.



- ახვლედიანი, 1968 - Грамматика осетинского языка, т. I, под редакцией проф. Г.С. Ахвледиани, Орджоникидзе, 1968.
- აბაევი, 1970 - В. Абаев, Краткий грамматический очерк осетинского языка в книге Осетинско-русский словарь, Орджоникидзе, 1970.
- მშობლიური ლიტერატურა, 1974 - Мадёлон литературё, Цхинвал, 1974.
- გაბარაევი, 1987 - Габараев Н. Я. Ирон ёвзаг, ахуырġёнġн чиныг 5-6 кълġстġн, Цхинвал, 1987.
- თახაზთი, 1991 - Тахъазты Т., Ирон Ёвзаг, Дзġуджыхъġу, 1991.
- მედოითი, 2003 - Медойты Б. Г., Нырыккон ирон ёвзаг морфологи, Цхинвал, 2003.

ზეინაბ გვარიშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ბათუმი, საქართველო

„თარჯიმნის ცრუ მეგობრების“ პრობლემა მეორე ენის შესწავლის პროცესში

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია, გააშუქოს ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ქართულენოვანი სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლის პროცესში. ერთ-ერთ სირთულეს „ცრუ კოგნატები“ ანუ ე.წ. „თარჯიმნის ცრუ მეგობრები“ წარმოადგენენ. აღნიშნული სიტყვები ფორმით (ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურით) მსგავსს, თუმცა სემანტიკური თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავებულ წყვილებს წარმოადგენენ. ისინი ხშირ შემთხვევაში არა ადეკვატურად, ზოგჯერ კი არაზუსტად აღიქმებიან ინგლისური ენის ქართულენოვანი შემსწავლელების მიერ, განსაკუთრებით ენის შესწავლის პირველ ეტაპზე. თუმცა ეს პრობლემა არ კარგავს თავის აქტუალობას ენის შესწავლის შემდგომ ეტაპებზეც. იმდენად, რამდენადაც, ქართულენოვანი შემსწავლელები ეყრდნობიან აღნიშნული სიტყვების საერთო კოგნიტურ ბაზაში, ხშირ შემთხვევაში ეროვნულ დისკურსში დაფიქსირებულ მნიშვნელობებს, რასაც ისინი კონცეპტების არაადეკვატურ, არაზუსტ თარგმნამდე მიჰყავთ.

ზოგადად გამოყოფენ „ცრუ მეგობრების“ ორ ტიპს: სრულსა და ნაწილობრივს. განსაკუთრებულ სირთულეს ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც, აღნიშნული წყვილების გარკვეული მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს თუმცა შესაძლებელია ისეთი მნიშვნელობის არსებობაც, რითაც ისინი არ გვხვდებიან მეორე ენაში.

როგორც კვლევებმა აჩვენა, სტატიაში დასმული პრობლემა აქტუალურია ენის შესწავლის ყველა ეტაპზე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი არ უნდა რჩებოდეს მასწავლებლებისა და ენის შემსწავლელთა ყურადღების მიღმა. იმდენად, რამდენადაც სემანტიკური სხვაობა „ცრუ მეგობრების“ წყვილებს შორის ნათლად ჩანს კოლოკაციებში, მათი სწავლება სწორედ რომ ინგლისურ და ქართულ შესიტყვებებში უნდა ხდებოდეს რაც იმთავითვე გამიჯნავს და ნათელს გახდის ფორმით მსგავსი ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ დატვირთვას ქართულ და ინგლისურ ენებში.

წინამდებარე კვლევის მიზანია, გააშუქოს ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ქართულენოვანი სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლის პროცესში. ერთ-ერთ სირთულეს *ცრუ კოგნატები* ანუ ე.წ. „თარჯიმნის ცრუ მეგობრები“ წარმოადგენენ. აღნიშნული სიტყვები ფორმით (ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურით) მსგავსს,



თუმცა სემანტიკური თვალსაზრისით ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავებულ წყვილებს წარმოადგენენ. ისინი ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურად, ზოგჯერ კი არაზუსტად აღიქმებიან ინგლისური ენის ქართულენოვანი შემსწავლელების მიერ, განსაკუთრებით ენის შესწავლის პირველ ეტაპზე. თუმცა ეს პრობლემა არ კარგავს თავის აქტუალურობას ენის შესწავლის შემდგომ ეტაპებზეც. იმდენად, რამდენადაც ქართულენოვანი შემსწავლელები ეყრდნობიან აღნიშნული სიტყვების ზოგად კონიგურ ბაზაში, ხშირ შემთხვევაში - ეროვნულ დისკურსში დაფიქსირებულ მნიშვნელობებს, რასაც ისინი კონცეპტების არაადეკვატურ, არაზუსტ თარგმანად მიჰყავთ. ამიტომაც, რომ ამ წყვილებს ხშირად „გარდაუვალ მახეებს“ უწოდებენ (ლალო, 1967, გვ.84) ენის სწავლების პროცესში ისინი, ერთი მხრივ, აჩვენებენ ენის შემსწავლელის არასრულყოფილ ენობრივ დონეს, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულმა წყვილებმა შეიძლება საგრძნობლად დაახარალოს არამართო კომუნიკაცია ენის შემსწავლელთა შორის, არამედ გაართულოს ენის სწავლების პროცესიც. მოყვანილი მიზეზები თვალსაჩინოს ხდის აღნიშნული პრობლემის აქტუალურობასა და მისი კვლევის აუცილებლობას.

„ცრუ მეგობრების“ საკითხს სხვადასხვა ენაში არაერთი საინტერესო კვლევა მიეძღვნა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბუდაგოვის, ნეილის, ჩაკონის, გუტენბერტისა და სხვათა შრომები, თუმცა, მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, საკმაოდ მწირია კვლევები ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობრების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცრუ მეგობრები ფორმით მსგავს, თუმცა შინაარსით ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ. მათ შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე ეტიმოლოგია, მაგრამ, შესაძლებელია, ისინი კონკრეტულ ენებში სხვადასხვა ენის გავლითაც იყვნენ შესული.

პრინსლო და შრივერი სემანტიკური გადაფარვის თვალსაზრისით გამოყოფენ „ცრუ მეგობრების“ ორ ტიპს: აბსოლუტურს და ნაწილობრივს. აბსოლუტური ცრუ მეგობრები ფორმით (ორთოგრაფიული და ფონეტიკური თვალსაზრისით) მსგავს და შინაარსობრივად განსხვავებულ წყვილებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ისინი არასოდეს გვხვდებიან ერთსა და იმავე კონტექსტში და ნაკლებ პრობლემას წარმოადგენენ ენის შემსწავლელთათვის. თუმცადა, ენის სწავლების საწყის ეტაპზე, შესაძლოა, მშობლიური ენის ჩარევის გამო, ადგილი ჰქონდეს ფსიქოლინგვისტურ პრობლემას. აბსოლუტური ცრუ მეგობრების მაგალითებია: ინგლისური „talon“ და ქართული „ტალონი“; ინგლისური „order“ და ქართული „ორდერი“; „fabric“-„ფაბრიკა“; „velvet“- „ველვეტი“.

ნაწილობრივი ცრუ მეგობრების პრობლემა თავს იჩენს არა მარტო ენის შესწავლის საწყის, არამედ შემდგომ ეტაპებზეც და შემსწავლელის არასრულ ენობრივ კომპეტენციაზე მიუთითებს. აღნიშნული წყვილების განსაკუთრებული სირთულე იმითაც აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მარტო ფონოლოგიურ ან/და ორთოგრაფიულ მსგავსებას, არამედ ნაწილობრივ სემანტიკურ გადაფარვას, ანუ, შესაძლებელია, ლექსიკური წყვილის მნიშვნელობები გარკვეულწილად ემთხვეოდეს ერთმანეთს, თუმცა, შესაძლებელია, ისეთი მნიშვნელობის არსებობაც, რომლებითაც ისინი არ გვხვდებიან მეორე ენაში. ასე მაგალითად, ინგლისური ზედსართავი სახელი „accurate“-ს შეესაბამება ქართული „აკურატული“ თუმცა, ისეთი მყარი შესიტყვებების თარგმანის დროს როგორცაა „აკურატული ადამიანი“ უმჯობესია სიტყვა „accurate“ ვთარგმნოთ ინგლისური „tidy“ ან „orderly“-ით, იმდენად, რამდენადაც ქართულ მენტალობაში, რუსული ენის ზეგავლენის გამო ამ სიტყვამ დამატებითი კონოტაცია შეიძინა და „მოწესრიგებული“, „კოსტა“-ს მნიშვნელობით გამოიყენება. ინგლისური „delicate“-საგან განსხვავებით ქართულ „დელიკატურ“-ს ორი მნიშვნელობით ვხვდებით: 1. თავაზიანი; 2. ის რაც წინდახედულ, ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს“ (ჭაბაშვილი, 1989, გვ.120) ხოლო რაც შეეხება აღნიშნული სიტყვის ისეთ ინგლისურ მნიშვნელობებს როგორებიცაა „დახვეწილი, ნატიფი, ნაზი“ ის ქართული „დელიკატურისთვის“ არ არის დამახასიათებელი. ინგლისურ ზედსართავ სახელს „dramatic“ ქართული „დრამატული“ შეესაბამება, მაგრამ აღნიშნული წყვილს შორის ნაწილობრივი სემანტიკური გადაფარვა თავს იჩენს ისეთი მყარი შესიტყვების თარგმანის



დროს, როგორცაა მაგალითად ” dramatic view” (e. g: dramatic view of the Alps) ამ შემთხვევაში სიტყვა “dramatic“-ს ქართული „ამაღელვებელი” შეესაბამება და არა „დრამატული“, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული სიტყვა ქართულ დისკურსში, უმეტესწილად, „მოქმედების, მდგომარეობის დაძაბულობის“ მნიშვნელობით გვხვდება.

ნაწილობრივი ცრუ მეგობრები სემანტიკური გადაფარვის მიხედვით შესაძლებელია სამ ქვეჯგუფად დაიყოს ესენია: 1. სეგრეგაციის, 2. ურთიერთგადაფარვის და 3. ინკლუზიის (ო' ნეილი, 1994, გვ.109). სეგრეგაციული წყვილების შემთხვევაში ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათაგან არცერთი არ კვეთს ერთმანეთს ორ ენაში; სემანტიკური ურთიერთგადაფარვის შემთხვევაში ადგილი აქვს რამდენიმე, მაგრამ არა ყველა მნიშვნელობის დამთხვევას. ინკლუზიის შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა სიტყვის ყველა მნიშვნელობა ორივე ენაში, მაგრამ შესაძლებელია ორი ენიდან რომელიმეს ჰქონდეს დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობა.

ინგლისურ-ქართული „ცრუ მეგობრების” სეგრეგაციის ქვეჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ წყვილი „პათეტიკური” - “pathetic”, სადაც ქართული ლექსიკური ერთეული არანაირ სემანტიკურ მსგავსებას არ ამჟღავნებს ინგლისურ “pathetic”-თან რომელიც ინგლისურ ენაში საცოდავს, შესაბრაღისს ნიშნავს ქართულში კი „მგზნებარეს, ამაღელვებელს”. ამავე ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან წყვილები: „ექსტრავაგანტული“ და „extravagant“, რაც ინგლისურში დეროგაციული მნიშვნელობით გამოიყენება და „მფლანგველს“ ნიშნავს; „ინტოქსიკაცია“ და „intoxication“, რომელიც, ქართული ენისაგან განსხვავებით, ინგლისურში ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ თრობას ნიშნავს.

სემანტიკური ურთიერთგადაფარვის მაგალითები, ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობრების შემთხვევაში, ინგლისური ლექსიკური ერთეულების პოლისემანტურობის ჭრილში უნდა განვიხილოთ, რადგანაც, ინგლისური ენა ლექსიკური ერთეულების პოლისემანტურობით მკვეთრად განსხვავდება ქართული ენისაგან. შესაბამისად, „ცრუ მეგობრების“ ინგლისურ მეწყვილეს ქართულ ენაში არსებულ სიტყვასთან საერთო ერთი მნიშვნელობის პარალელურად, შესაძლოა, ჰქონდეს ორი ან ორზე მეტი დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, სიტყვები „agony” და „აგონია” - აქ ინგლისური „agony“-ის ხუთი მნიშვნელობიდან: „1. ფიზიკური და სულიერი ტანჯვა; 2. უეცარი ძლიერი ემოცია; 3. დაპირისპირება; 4. ბრძოლა; 5. სულთმობრძავის მდგომარეობა” - ქართული „აგონია” მხოლოდ მესამეს შეესაბამება; ქართული კოგნატი ინგლისურთან მსგავსებას მხოლოდ იმ ერთ მნიშვნელობაში ამჟღავნებს, რა მნიშვნელობითაც შემოვიდა, ასიმილირდა და დაფიქსირდა იგი ქართულ ენასა და ცნობიერებაში, კერძოდ კი, „სულთმობრძავის მდგომარეობა”, დანარჩენი მნიშვნელობები შესატყვის ქართულ ეკვივალენტს მოითხოვს. ქართული „აკორდი” და ინგლისური “accord” ერთ მნიშვნელობაში - „ნოტების პოლიფონიური შერწყმა” - ამჟღავნებს სემანტიკურ ურთიერთგადაფარვას; დანარჩენ ინგლისურ მნიშვნელობებს კი ქართული „შეთანხმება”, „ერთიანობა”, „ჰარმონია” შეესაბამება.

ინკლუზიის მაგალითები განსაკუთრებით კარგად ასახავს ერის კოგნიტურ სფეროში შემავალ კულტურულ კონცეპტებს. ასე, მაგალითად, ქართული „ამბიციური“, ინგლისური „ambitious“-ისგან განსხვავებით, არ მოიცავს დადებით კონოტაციას და არ ნიშნავს „მიზანდასახულს“; ის დეროგაციული მნიშვნელობით იხმარება და „პატივმოყვარეს“ ნიშნავს. სიტყვა „ფამილარულს” ქართულ ენაში, ინგლისურისაგან განსხვავებით, მხოლოდ უარყოფითი შეფასებითი დატვირთვა გააჩნია. აღნიშნული ქვეჯგუფების აღმოცენების მიზეზი ამ სიტყვების ენაში შემოსვლის გზებსა და წყაროებში უნდა ვეძებოთ. ორივე ენამ, შესაძლოა, ისესხოს სიტყვა ერთი და იგივე ენიდან, მაგრამ შემდგომ თითოეულ კონკრეტულ ენაში, მოცემულ სიტყვას თავისი სემანტიკური, კონცეპტუალური განვითარების ისტორია გააჩნია. ასე მაგალითად, ორივე, ქართული „პათეტიკური“ და ინგლისური “pathetic” ბერძნული “pathetikos”-იდან მომდინარეობს. ბერძნულ ენაში აღნიშნულ სიტყვას „მგრძობიარეს“, „მგზნებარეს” მნიშვნელობა გააჩნია. ინგლისურ ენაში მოცემულმა სიტყვამ, ენის განვითარებასთან ერთად, სემანტიკური ცვლილება განიცადა და



თანამედროვე მნიშვნელობით - „საწყალი/საცოდავია“ - აღნიშნული სიტყვა 1737 წლიდან ფიქსირდება ინგლისურ ლექსიკონში (სკიტი, 1993, გვ. 327); ხოლო რაც შეეხება ქართულ ენაში აღნიშნული ლექსიკური ერთეულის შემდგომ ენობრივ ისტორიას, მოცემულმა სიტყვამ შეინარჩუნა პირვანდელი მნიშვნელობა და თანამედროვე დისკურსშიც თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენება. თავის მხრივ, აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო ქართულ-ინგლისური ცრუ კოგნატის წარმოქმნას.

ცრუ მეგობრების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა ენებში ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვა ენებიდან სესხებაც გახდეს. ასე მაგალითად, ინგლისური “extravagant” ლათინური ენიდან იქნა ნასესხები „მოხეტიალეს“ მნიშვნელობით, შემდგომ, სემანტიკური გაფართოების შედეგად, სიტყვის მნიშვნელობა რადიკალურად შეიცვალა და დღესდღეობით იგი „მფლანგველის“ მნიშვნელობით გამოიყენება. რაც შეეხება ქართულ „ექსტრავაგანტულს“, რომელიც, თავის მხრივ, ფრანგული ენიდან იქნა ნასესხები, იგი ინარჩუნებს ფრანგულ ენაში ამ სიტყვისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობას „ექსცენტრიული, უცნაური“.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ აღნიშნული საკითხი უდავოდ საყურადღებოა და ის უნდა იქნას გათვალისწინებული მეორე ენის შესწავლის პროცესში.

იმისთვის, რომ დაგვედგინა ძირითადი შეცდომები, რომლებსაც ინგლისური ენის ქართულენოვანი შემსწავლელები უშვებენ „ცრუ მეგობრებთან“ მიმართებით, მიზანშეწონილად ჩავთვალოთ ჩაგვეტარებინა კვლევა ტესტებზე დაყრდნობით. კვლევის (და შესაბამისად - ტესტების) მიზანი იყო, გაგვეცა პასუხი რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე: 1. არის თუ არა სტატიაში დასმული პრობლემა აქტუალური ქართველ ენოვანი სტუდენტებისთვის; 2. კერძოდ, რა ტიპის პრობლემებს ვაწყდებით ამ საკითხთან მიმართებით; 3. რა მეთოდოლოგიური გზები არსებობს მოცემული პრობლემის დასაძლევად. აღნიშნული საკითხების კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს:

- ყველაზე ხშირად გამოყენებადი ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობრების შემცველი ტესტების შედგენა;
- სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაკომპლექტება;
- შეგროვებული მონაცემების დამუშავება და დასკვნების გაკეთება.

საწყის ეტაპზე შეირჩა საყურადღებო და ყველაზე ხშირად განმეორებადი ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობრები და მათზე დაყრდნობით შედგა ტესტები სხვადასხვა ენობრივი საფეხურის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის. სამიზნე ჯგუფებად შეირჩა სხვადასხვა ენობრივი დონის მქონე ორი ჯგუფი. პირველი სამიზნე ჯგუფი შედგებოდა 20 ზღვრული დონის (pre-intermediate) სტუდენტისაგან, რომელთაც დაურიგდათ გადასათარგმნად 17 „ცრუ მეგობრის“ შემცველი 15 წინადადება ინგლისურ ენაზე:

Provide Georgian translation for the words in bold:

1. He provided us with actual (-----) facts.
2. He used to retell us about this anecdote (-----) in my childhood.
3. She felt a sudden pain, it seemed that it was angina(-----)
4. The only valuable thing left in the house ,was his china cabinet(-----)
5. Usually compositor (-----) arranges type for printing.
6. He holds several concurrent (-----) exhibitions.
7. He held curious(-----) inquiry
8. His novels(-----) will survive over decades (-----)
9. Silk fabric (-----) is my favorite one.
10. He is the most genial (-----) boy I have ever met.
11. He is an intelligent (-----) boy.
12. It was obvious, that the picture he presented, was an accurate replica(-----)
13. He could not manage to take falcon out of eagles talon(-----)
14. Nothing makes person so virtuous (-----) as charity.
15. She offered me tea with biscuits (-----) and marmalade (-----)

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
 Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges



ტესტის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ:

ვერცერთმა სტუდენტმა (0%) ვერ შესძლო სწორად ეთარგმნა სიტყვები: „actual“, „angina“, „cabinet“, „concurrent“, „replica“, „talon“ მშობლიური ენის ინფერენციის გამო. ამ განცხადების გაკეთების უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ყველა სტუდენტმა აღნიშნული სიტყვები ქართული მნიშვნელობებით გადმოიტანა წინადადებებში, კერძოდ: „angina“ ითარგმნა, ნაცვლად „სტენოკარდიული შეტევისა“, როგორც „ანგინა“, „cabinet“, ნაცვლად „კარადისა“, როგორც „კაბინეტი“; „concurrent“, ნაცვლად „ერთდროულად მიმდინარესა“, როგორც „კონკურენტი“, „replica“, ნაცვლად „ზუსტი ასლისა“, როგორც „რეპლიკა“; „talon“ ნაცვლად „კლანჭისა“, როგორც „ტალონი“;

სტუდენტების მხოლოდ 5% სწორად თარგმნა სიტყვები: „compositor“; „genial“; „virtuous“; „ambitious“; და „marmalade“ დანარჩენმა 95% სიტყვა „compositor“-ს შეუსაბამა, ნაცვლად „ამწყობისა“, სიტყვა „კომპოზიტორი“; „genial“-ს, ნაცვლად „მხიარულისა“, „გენიალური“; „virtuous“-ს, ნაცვლად „კეთილისმყოფელისა“ ვირტუოზული; „marmalade“ ნაცვლად „ციტრუსის ჯემისა, ითარგმნა, როგორც „მარმელადი“;

სტუდენტების 10%-მა სწორად თარგმნა სიტყვა „anecdote“ ხოლო, დანარჩენი 90%-ის შემთხვევაში იგი ითარგმნა, ნაცვლად „თავგადასავლისა“, როგორც „ანეკდოტი“;


14% სწორად თარგმნა სიტყვა „curious“; დანარჩენმა 85%-მა თარგმნა იგი, ნაცვლად „ცნობისმოყვარისა“, როგორც „კურიოზი“;

სტუდენტების 20%-მა გაართვა თავი სიტყვების „decade“ და „novel“-ის სწორად თარგმანს, ხოლო 80%-მა სიტყვა „decade“-ს შეუსაბამა, ნაცვლად „ათწლეულისა“, ქართული დეკადა, რომელიც 10-დღიან დროის მონაკვეთს ნიშნავს; ხოლო სიტყვა „novel“ -ს, ნაცვლად „რომანისა“, ქართული „ნოველა“ შეუსაბამეს;

მართალია, სტუდენტების 27%-მა სწორად თარგმნა სიტყვა „fabric“, მაგრამ 73%-მა იგი, ნაცვლად „ქსოვილისა“, თარგმნა, როგორც „ფაბრიკა“;

36%-მა სწორად თარგმნა სიტყვა „intelligent“, ხოლო დანარჩენმა 64%-მა აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს, ნაცვლად „ინტელექტუალურისა“, „ინტელიგენტი“ შეუსაბამა;

დასკვნის სახით ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 340 წინადადებიდან ადეკვატურად მხოლოდ 32-მა (9%) ითარგმნა.



მეორე სამიზნე ჯგუფი შედგებოდა 20 მაღალი საშუალო დონის (upper intermediate) სტუდენტისაგან. მათ დავალებად მიეცათ ქართულიდან ინგლისურ ენაზე ეთარგმნათ ნაწილობრივი „ცრუ მეგობრების“ შემცველი 8 წინადადება:

შემოხაზეთ გამუქებული სიტყვების შესაბამისი ინგლისური ეკვივალენტი:

1. ის საკმაოდ ექსტრაგავანტული ადამიანია.

- a. eccentric
- b. extravagant
- c. odd

2. ყველა მოიხიბლა მისი პათეტიკური გამოსვლით.

- a. passionate
- b. Pathetic
- c. enthusiastic

3. იმ საღამოს გამორჩეულად გაღანტური იყო.

- a. courteous
- b. gallant
- C. refined

4. ნელი აკურატული აღამიანია.

- a. punctual
- b. accurate
- c. diligent

5. ბაბუა თავის ამუნიციას კარადაში ინახავს.

- a. serviceman outfit
- b. ammunition
- c. armament

6. ვფიქრობ, გამეფებული რუტინა პროგრესს აფერხებს.

- a. stagnation
- b. routine
- c. monotony

7. მისი სისუსტე ინტოქსიკაციის შედეგია.

- a. poisoning
- b. intoxication
- c. sickness

8. ის ღირსეული პედაგოგია.

- a. teacher
- b. pedagogue
- c. trainer

ტესტების შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ:

ვერცერთმა სტუდენტმა (0%) ვერ გაართვა თავი სიტყვა „ექსტრავაგანტულის“ სწორ თარგმანს, იმდენად, რამდენადაც ყველა სტუდენტმა აღნიშნულ სიტყვას ინგლისური „extravagant“ შეუსაბამა, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ნიშნავს „მფლანგველს“ და არა „ექსცენტრიულს“;

35%-მა სიტყვებს „enthusiastic“, „poisoning“ მოუძებნა შესაბამისი ინგლისური ეკვივალენტები – „enthusiastic“, „poisoning“ მაგრამ დანარჩენმა 65%-მა ინგლისური „pathetic“ და „intoxication“ მიიჩნია სწორ ეკვივალენტებად;

სტუდენტების 38%-მა სიტყვები „გაღანტური“ და „პედაგოგი“ სწორად თარგმნა თუმცა დანარჩენმა 62%-მა, ნაცვლად აღნიშნული ერთეულების სწორი თარგმანებისა (გაღანტური – „courteous“, პედაგოგი – „teacher“) არჩევანი ინგლისურ „pedagogue“—სა და „gallant“—ზე გააკეთეს; მაშინ, როცა ინგლისური „pedagogue“ დეროგაციული მნიშვნელობით იხმარება და მკაცრ, პედანტ მასწავლებელს ნიშნავს, ხოლო ინგლისური სიტყვა „gallant“ არა უბრალოდ ზრდილს, არამედ წარმოსადგეს, ქაღალტონების მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიან მამაკაცს, მექალთანეს ნიშნავს.



ნახევარზე მეტმა (55%) სტუდენტმა სწორი ეკვივალენტი შეურჩია სიტყვა „რუტინას“ (რუტინა – “stagnation”); დანარჩენმა 45%-მა კი აღნიშნულ სიტყვას ისევ ინგლისური “routine“ შეუსაბამა, რადგან მისთვის უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ინგლისურ ენაში მოცემულ ლექსიკურ ერთეულს არ გააჩნია ისეთივე დეროგაციული სემანტიკური შეფერილობა, როგორც ქართულ ენაში;

რეზიუმის სახით, ტესტების შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ადგილი აქვს არა მარტო მშობლიური ენის ინტერფერენციის პრობლემას, არამედ ნახესებო სიტყვების მშობლიურ ენაში არსებული დენოტაციური მნიშვნელობებისა და ინგლისურ ენაში მოცემული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების აღრევასაც. შესაბამისად, 160 წინადადებიდან, სწორად მხოლოდ მხოლოდ 41 (26%) ითარგმნა.

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, პასუხი გავცეთ სტატიის თავში დასმულ კითხვებს: წარმოადგენენ თუ არა ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობრები ენის შემსწავლელთათვის რეალურ პრობლემას? არსებობს თუ არა ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები?

როგორც კვლევების შედეგებმა აჩვენა, სტატიაში დასმული პრობლემა აქტუალურია ენის შესწავლის ყველა ეტაპზე. ენობრივი თვალსაზრისით, სტუდენტები აწყდებიან აღნიშნული ერთეულების არცოდნის და მათი არასწორი გამოყენების პრობლემას. საკმაოდ დიდია მშობლიური ენის გავლენის ალბათობა ენის სწავლების პირველ ეტაპზე, თუმცა, აღნიშნული პრობლემა არც შემდგომ ეტაპებზე კარგავს თავისი აქტუალურობას. ამ პრობლემას თან ერთვის ის ფაქტორიც, რომ სტუდენტების 74%-ზე მეტმა არ იცის სემანტიკური სხვაობა მშობლიურ ენასა და ინგლისურ ენაში არსებული უცხოური ლექსიკის მნიშვნელობებს შორის და პირდაპირ, ორთოგრაფიული და ფონოლოგიური მსგავსების საფუძველზე აკეთებს შესაბამისობას (“extravagant”, “actual”, “intoxication”, “accurate”, “pathetic”), რაც, პრაგმატიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად აზარალებს კომუნიკაციის პროცესს. მშობლიური ენის ინფერენციის პრობლემა მნიშვნელოვნად კლებულობს, როდესაც მასწავლებელი ახალი ლექსიკის გაცნობასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს მსგავსი ლექსიკური ერთეულის მშობლიურ ენაში არსებობის ფაქტზე და იმთავითვე ხაზს უსვამს მათ შორის სემანტიკური დატვირთვის მსგავსება-განსხვავების ფაქტს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ლექსიკურ ერთეულებს ენებში სხვადასხვა სემანტიკური და ემოციური დატვირთვა გააჩნიათ. ასე მაგალითად, უადგილო იქნება ინგლისურ წინადადებაში ქართული ენისათვის დადებითი დენოტაციისა და კონოტაციის მატარებელი სიტყვის „პედაგოგის“ “pedagogue”-თი ჩანაცვლება ინგლისურ ენაში ამ სიტყვის უარყოფითი სტილისტური დატვირთვის გამო (pedagogue - pedant person (ფაულერი, 1960, გვ. 877)) და პირიქით, ქართული სიტყვა „მიტინგი“, რომელსაც განსაკუთრებით ბოლო ისტორიულ პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო, უარყოფითი კონოტაცია გააჩნია, ითარგმნოს როგორც „meeting“, რომელსაც, როგორც ვიცით, ნეიტრალური დატვირთვა აქვს ინგლისურ ენაში და საქმიან თავშეყრას აღნიშნავს. როგორც ზემოთ ვთქვით, სემანტიკური სხვაობა „ცრუ მეგობრების“ წყვილებს შორის ნათლად ჩანს კოლოკაციებში, ამდენად, მათი სწავლება სწორედ ინგლისურ და ქართულ მყარ შესიტყვებებში უნდა ხდებოდეს, რაც იმთავითვე გამოიწვევს და ნათელს გახდის ფორმით მსგავსი ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ დატვირთვას ქართულსა და ინგლისურ ენებში. მაგალითად, თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ ქართულ და ინგლისურ კოლოკაციებს სიტყვა „დრამატულთან“ მიმართებით, ნათელი გახდება ზემოთქმულის მართებულობა: dramatic change; dramatic possibility, dramatic progress და დრამატული თეატრი, დრამატული მსახიობი, დრამატული ნაწარმოები, დრამატული წრე; ან კიდევ სიტყვა „ფამილარული“ - familiar sight, familiar face, familiar topic, და ფამილარული ტონი, ფამილარული ქცევა, ფამილარული მიმართვა. ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობართა წყვილი „აქტუალური“ და „actual“: აქტუალური თემა, საკითხი, პრობლემა და in actual fact, actual number, actual investment, actual exports. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების საწყის ეტაპზე განსაკუთრებით ეფექტურია აუდიოვიზუალური დამხმარე მასალების გამოყენება,

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



რაც გაადვილებს არა მარტო ახალი ლექსიკური მასალის ათვისებას, არამედ იმ სემანტიკური დენოტაციური და კონოტაციური სხვაობების დანახვას, რომლებიც გაადვილებს ბუნებრივ გარემოში შესწავლილი მასალის პროდუცირებას და აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აკულენკო, 1979 - Акуленко В.В. О Ложных друзьях переводчика.изд. Советская энциклопедия. Москва, 1979.
- ბუდაგოვი, 1957 - Будагов Р.А. Ложные друзья переводчика //Человек и его язык. - Москва., 1976.
- ლადო, 1957 - Lado R. (1957) Linguistics Across Cultures. Ann Arbor: The University of Michigan Press
- ო'ნეილი, 2010 - m.O'Neill, M., & Casanovas, C., (1994): False Friends: A Historical Perspective and Present Implications for Lexical Acquisition. Vol.: 8. Retrieved January 22nd, 2010
- რუფუსი, 2009 - .h. Rufus, H. Gouws, Prinsloo, D.J. & De Shryver, G. M. (2004). Friends will be Friends – True or False. Lexicographic Approaches to the Treatment of False Friends. Retrieved March 25,2009

გამოყენებული ლექსიკონები:

- თეხელაშვილი ზ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი გამომცემლობა „ მერიდიანი “ თბილისი, 2007
- სკიტი. m.Skeat. W. Concise Dictionary of English Etymology. Wordsworth Reference, 1993
- ფაულერი. კ. ოწლერ . თჰე ჩონცისე ხფორდ იცტიონარყ, ჩლარენდონ რესს, 1960
- ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გამომცემლობა „ განათლება “ თბილისი, 1989

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



თამარ გოგოლაძე

მარია შერაზადიშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

გორი, საქართველო

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების
პრაქტიკული გამოცდილებიდან

აბსტრაქტი

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები ერთგვაროვანი ეთნოსით დასახლებული სახელმწიფოებისათვის ფრიად განსხვავდება ისეთი ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკისაგან, სადაც ძირითადი მოსახლეობის გვერდით გვხვდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ენა, კულტურა, ტრადიცია. საბჭოთა კავშირის შეშატონების შემდეგ საქართველოსათვის ამ პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი, რამაც განაპირობა კიდევ როგორც ქართველისათვის, ისე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობისათვის რუსული ასიმილაციური საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებაც.

1990-1991 წლებიდან თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის წყალობით ჩამოყალიბდა ქართული ენის წრე გორის სამუსიკო სასწავლებელთან არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის, რომელმაც ერთ წელს იარსება და საინტერესო შედეგები თუ პრაქტიკული გამოცდილება მოგვცა.

2010-2011 სასწავლო წლიდან ჩავერთეთ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში, რის პრაქტიკული მომენტების წარმოდგენაც ვცადეთ წინამდებარე ნაშრომში.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები ერთგვაროვანი ეთნოსით დასახლებული სახელმწიფოებისათვის ფრიად განსხვავდება ისეთი ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკისაგან, სადაც ძირითადი მოსახლეობის გვერდით გვხვდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ენა, კულტურა, ტრადიცია. ეს პრობლემა საქართველოსათვის საუკუნეთა განმავლობაში იყო აქტუალური. იგი ხშირად იყო დამოკიდებული მეზობელი ქვეყნების გავლენა-ბატონობასა თუ მიკერძოებულობაზე და ლოიალობას იჩენდა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების, ცალკეული ოჯახებისა თუ პიროვნებების მიმართ. მაგალითად, სპარსელი ან თურქი მკვიდრდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და „იოლად გადიოდა“ (ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე) რამდენიმე სიტყვის ან კომუნიკაციისათვის აუცილებელი პროფესიული თუ სხვა ლექსიკის, დამახინჯებული ფრაზების, გამოთქმების წყალობით. დომინანტი ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა, დაკავშირებული იყო მის სარწმუნოებრიობასთან, რამდენადაც ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა: „ქართლად



ფრიალი ქუყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო „კვრიელჭსონი“ ბერძნულად ითქუმის“ (მერჩულე, 1999, 162). ამავდროულად თვით ქართველი, ძირითადად, რამდენიმე ენას ფლობდა ქართული ენის გარდა, ვიდრე XIX საუკუნემდე (მაგალითისათვის: პოეტი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე ფლობდა თურქულ, სპარსულ, რუსულ, ფრანგულ ენებს). ასე რომ, სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოყენება არ ქმნიდა პრობლემას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე XIX საუკუნემდე, ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, როცა იმპერიის ასიმილაციური „ენობრივი პოლიტიკის წყალობით“ ქვეყანა თავისი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად იძულებული გახდა ეცნო მესამე ენის (რუსული ენის) დომინანტი ჯერ ინსტიტუციონალურ, შემდგომ კი საგანმანათლებლო დონეზეც.

ეს პროცესი უფრო გართულდა ე.წ. „საბჭოურ ეპოქაში“, როდესაც ყველა ეთნიკური ჯგუფის ან ეროვნების ნებისმიერი მოქალაქისათვის ქართული ენის შესწავლა სამეცნიერო გულისხმობდა (მშობლიურისა და რუსულის გარდა). აქაც წლობით გრძელდებოდა დაშვებული შეცდომების გამეორება-განმტკიცება: არაქართულენოვანი პირები სახლდებოდნენ, იწვევდნენ მუშაობას, ქმნიდნენ ოჯახებს, მრავლდებოდნენ და სწორედ „ენის ბარიერის“ წყალობით უახლოვდებოდნენ ქართულ სამყაროს, ქართულ ყოფასა და კულტურას. არაიშვიათად ეს პროცესი იღებდა აგრესიულ ხასიათსაც. არაქართულენოვანი მოსახლეობა ბრაზს, გულისწყრომას, სიხარულს გამოხატავდა ძირითადად რუსულ ენაზე, რაც, მისი აზრით, გასაგები იყო ამ ენის მცოდნე ქართველისთვისაც. ეს პროცესი კი, თავისთავად, ქართულ სამყაროსთან გაუცხოების პარალელურად, იწვევდა გაუცხოებას საკუთარ მშობლიურ ენასა და კულტურასთან, ნებისმიერი მარტივი ტექსტი (აფიშა, განცხადება) ქართულ ენაზე მათთვის იყო უცხო და გაუგებარი.

„საბჭოურ ეპოქაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება რუსულენოვან სკოლაში მიმდინარეობდა ცალმხრივად, სტიქიურად, ძირითადად ენასთან დაქვემდებარებაში, ენის სწავლების შედარებით თანმიმდევრულობის პარალელურად; ტექსტებისა და, კერძოდ, მხატვრული ტექსტების შერჩევა ხდებოდა ნაკლებად მიზანმიმართულად, ხშირად უსისტემოდ, ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ლიტერატურის პროგრამების ხელგონური პარალელიზაციით. ქართული ტექსტის შესწავლის მიღმა რჩებოდა მისი მხატვრული თუ იდეური ღირებულება (ან პირიქით, იკვეთებოდა მხოლოდ იდეური), ენის, ერის ტრადიცია.

აღნიშნული პროცესი შედარებით სისტემურ იერს იღებს დამოუკიდებელი საქართველოს არაქართულენოვან საჯარო სკოლებში, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, სასკოლო რეფორმის პერიოდში. მაგრამ აქაც იგი კვლავ უფრო ხშირად რუსული ენისა და ლიტერატურის „მეშვეობით“ მიდის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებამდე, საქართველოს, იქ მცხოვრები არაქართულენოვანი ეროვნებების ტრადიციის, ეთნიკური რეალობის შემეცნების გარეშე, რაც განსაკუთრებით რთულია საშუალოგანათლებლამიღებული სხვადასხვა ერის ადამიანთა ნორმალური ცხოვრების, დასაქმების თუ უბრალოდ, ინტეგრაციისათვის. სწორედ XX საუკუნის 90-იან წლებში (1990-1991 წ.წ.) გორის იმდროინდელი გამგებლის, ომარ ჩუბინიძის ინიციატივით, გორის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორთან, სანდო კაჭარავასთან შეთანხმებით, გადაწყდა ჩამოგვეყალიბებინა ქართული ენის შემსწავლელი წრე. აქ უკვე სახელმწიფოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, ცხადი და აუცილებელი გახდა ქართულ ენაზე წერა-კითხვის ცოდნის მიღება საქართველოში მცხოვრებ და სხვადასხვა დაწესებულებებში რუსულ ენაზე მომუშავე პირებისათვის. ამიტომ გაკეთდა განცხადება, რომლის თანახმადაც ვიწვევდით სამეცადინოდ კვირაში ორჯერ ყველა ასაკისა და პროფესიის ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.



შეიკრიბა 20-მდე სხვადასხვა ასაკის, პროფესიის ადამიანი, მათ შორის, ერთი ოჯახის რამდენიმე წევრი (დედა, შვილი, შვილიშვილი), რომლებიც დიდი დაინტერესებით მოეკიდნენ სწავლის პროცესს. წერა-კითხვის სწავლების პარალელურად მიმდინარეობდა საუბრები ქართულ კულტურაზე, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებზე, ქართულ ლიტერატურაზე. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ დავიწყეთ აღწერით და თხრობით ტექსტებზე მუშაობა. განსაკუთრებით შედეგიანი იყო აღწერითი ტიპის ტექსტები და ანდაზა-აფორიზმები. აქ პირველად დაინახეს მსმენელებმა წლობით მათთვის სრულიად უცნობი ერის სიბრძნე, სილამაზისა და შრომისადმი დამოკიდებულება. მსგავსი კურსები გაიხსნა და ორი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა იმ დროისათვის გორში მრავალეროვანი კოლექტივით ცნობილ ბამბუელის საწარმოო გაერთიანებაში. ორი წლის შემდეგ კურსების მუშაობა შეწყდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო.

წლების განმავლობაში აღნიშნულ პრობლემებზე, კერძოდ, ბილინგვიზმის და, საერთოდ, საგანმანათლებლო პოლიტიკის საკითხებზე ფიქრს, მსჯელობას, უცხოური გამოცდილების გაცნობა-გაზიარებას მოჰყვა კიდევ 2008 წლის დეკემბერში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრისა“ და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალებშიც მკაფიოდ განისაზღვრა სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. „ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა პირდაპირაა მიბმული ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტიდან გამომდინარეობს. საქართველოს რეალობაშიც ენობრივი პოლიტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისათვის და, შესაბამისად, კომპლექსურ და ერთიან მიდგომას მოითხოვს“, – ნათქვამია ერთ-ერთი მოხსენების შესავალში (გაბუნია, 2008, გვ. 3). ამ მასალებში მკვეთრად წარმოჩნდა მულტილინგვური განათლების (რომელიც საქართველოს განათლების რეფორმის შემადგენელ ნაწილად იქცა) დასაწყებად აუცილებელი სამნაწილიანი კონტექსტი: 1. პოლიტიკური, 2. საკანონმდებლო, 3. თეორიული. განისაზღვრა მულტილინგვური განათლების პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლებიც (განსაზღვრა და დემოგრაფიული მდგომარეობა, საბჭოთა მემკვიდრეობა და საბჭოთა კავშირის ნგრევა, საგანმანათლებლო რეფორმა). აქვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, როგორც ჩანს, ქართულის, როგორც მეორე ენის პრობლემის მოსაგვარებლად „უფრო სტრატეგიული ღონისძიებებია გასატარებელი, რათა ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებს მიეცეთ განათლების თანაბარი შესაძლებლობა უმრავლესობასთან მიმართებით“ (გაბუნია, 2008, გვ. 5). ამ შემთხვევაში ძირითად საკითხად იქცა ის, რომ მულტილინგვური განათლება, ან ზოგიერთი საგნის ქართული ენის საშუალებით სწავლება იქცეს ამ სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზად.

საკანონმდებლო კონტექსტიდან გამომდინარე, „საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად უსვამს ხაზს სახელმწიფო ენის მნიშვნელობას სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროებში და, ამასთანავე, ქმნის გარანტიებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად, მათ შორის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება (გაბუნია, 2008, გვ. 6).

აღნიშნულ კონფერენციაზე გამოიკვეთა ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესაძლებლობების გაუმჯობესების გზებიდან მნიშვნელოვანიც: „ქართულისა და უცხო ენის ტესტის დამსახურებაზე (Marit) დაფუძნებული სისტემის შესაქმნელად უპრიანი იქნება აბიტურიენტების ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ უნარების ტესტზე დაყრდნობით მოხდეს“ (ტაბატაძე, 2008, გვ. 19), ხოლო შემდგომ კი სახელმწიფო ენის, როგორც მეორე ენის სწავლების განხორციელებაც.



ბუნებრივია, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის საბჭოში შემუშავებული სტანდარტებისა თუ რეკომენდაციების გამოყენებასაც, რომლის ძირითადი პროექტია „ევროპული ენობრივი პორტფოლიო“. ამ პროექტის კოორდინატორის, მარია ოძელის განცხადებით, 2001 წლიდან იწყება ევროსაბჭოს მიერ აღნიშნული პროექტის მეორე ეტაპი პოსტსაბჭოურ სივრცეში. ენობრივი პასპორტით განსაზღვრულია კრიტერიუმები: აუდირება, წაკითხვა, დიალოგი, მონოლოგი, წერა და დონეები. მომზადდა და გამოიცა ევროსაბჭოს ათი მნიშვნელოვანი დოკუმენტიც. კონფერენციის მასალებში განისაზღვრა მეორე ენის სწავლების თეორიული ასპექტები. ამას მოჰყვა 2010 წლიდან პროექტის - „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების“ ტრენინგები და საკითხავების (Readers) გამოცემა.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მეორე ენა უნდა გახდეს ინსტრუმენტი, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს ეზიაროს სხვა კულტურას, განსაზღვროს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და შეითვისოს ქცევის ტიპი, დამახასიათებელი ამ კულტურის წარმომადგენელთათვის. მხოლოდ ასე თუ შეიძლება გახდეს სტუდენტი კულტურათშორისი დიალოგის სრულფასოვანი წევრი. ცნობილია, რომ ენას ზოგი იოლად სწავლობს, ზოგი - ძნელად. სწავლების პროცესში პედაგოგი ეძებს ისეთ გზებს, რომელთა მეშვეობითაც ენის სწავლება იქნება ეფექტური და სასარგებლო. „ენისადმი სიყვარულს ვერ ასწავლი, სიყვარული შეიძლება მხოლოდ აღძრა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ენისადმი სიყვარულის აღძვრის მეთოდების ცოდნა“ (შჩუკინი, 1990, გვ. 7).

ენის სწავლების ძირითადი მეთოდები პირობითად ორ დიდ ჯგუფად ერთიანდება - ესაა კომუნიკაციის პროცესში ინტუიციური ათვისება (საკომუნიკაციო მეთოდები), ან ენაში არსებული წესების, ლექსიკური და გრამატიკული წყობის შეგნებული ათვისება (ტრადიციული მეთოდი). არსებობს კი უნივერსალური მეთოდი? უნივერსალური მეთოდი არ არსებობს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ერთი მეთოდი არ იძლევა პირდაპირ შედეგს. ნებისმიერი მეთოდის გამოყენება ჯერ გარკვეული სასწავლო ქმედების სტიმულირებას იწვევს, მხოლოდ ამის შემდეგ როგორც შედეგს, ვიდრე შესაბამის ცოდნას.

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას ამოსავალია სტუდენტი, როგორც სასწავლო პროცესის (ქმედების) სუბიექტი და როგორც კულტურათშორისი დიალოგის სუბიექტი, თავისი ინდივიდუალური ხედვით, მოტივებით, ემოციებით, ინტერესებით და მოთხოვნებებით.

2010-2011 სასწავლო წლიდან მივიღეთ პირველი სომხურენოვანი სტუდენტი. ვინაიდან მუშაობა გვიხდებოდა ერთ სტუდენტთან, პრაქტიკულად თავიდანვე გამოირიცხა ჯგუფური მუშაობის და როლური თამაშების მეთოდები. ამიტომ ჩვენ ვცადეთ გამოგვეყენებინა ტრადიციული მეთოდოლოგიის ელემენტების (მარტივიდან რთულისაკენ, ადვილად გასაგებიდან - ძნელადგასაგებისაკენ) პარალელურად ინტერაქტიურ-კომუნიკაციური მეთოდოლოგია, რომელიც წარმოგვიდგება ფორმალური აკადემიური სწავლის სახით. სწავლების პირველ ეტაპზე, ბუნებრივია, ხდებოდა საბაზო კომუნიკაციური უნარების განვითარება, ისიც არატრადიციული ინსტრუქტაჟით. ეს მეტად ძნელი აღმოჩნდა, რამდენადაც სტუდენტი არ ფლობდა თითქმის არც ერთ ენას (მცირე საკომუნიკაციო ლექსიკის გარდა), გარდა მშობლიურისა, თუმცა იცოდა ანბანი. აქ განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია ჩვენი უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა, რომელიც ორი წლის წინ ჩაირიცხა გორის უნივერსიტეტში და დამოუკიდებლად შეძლო ქართული ენის შესწავლა და რომელთან ერთადაც ცხოვრობს ჩვენი ახლადჩარიცხული სტუდენტი. ახლადჩარიცხულ სომხურენოვან სტუდენტს, პირობითად, ვუწოდებთ X, ხოლო დამოუკიდებლად შემსწავლელ სტუდენტს - Y. ეს ორი სტუდენტი სხვადასხვა რაიონიდან იყო - ერთი ნინოწმინდიდან, მეორე - ახალქალაქიდან. მიუხედავად ამისა, მათთან მუშაობა გულისხმობდა უმცირესი



საკომუნიკაციო ბაზისის მქონედან (სავარაუდოდ A1) საკმაოდ დონის (სავარაუდოდ B2) სტუდენტთან მუშაობას, რაც, ერთი მხრივ, ემსახურებოდა დახმარებას X-ისათვის, მეორე მხრივ, Y-ისათვის ახალი ლექსიკური მარაგის, ფრაზეოლოგიზმების და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. ლექციის გარეშე საუბრებში გამოიკვეთა Y-ის ძირითადი მიზნები და ამოცანები ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებით. მან ჩარიცხვის შემდეგვე გაიარა მოსამზადებელი კურსი თსუ-ში, შემდგომ მოხვდა სრულიად უცხოენოვან გარემოში და, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დაიწყო ენის გაგება - შესწავლა. მისთვის ცხადი იყო, რომ თუ არ შეისწავლიდა სახელმწიფო ენას, მისი მეგობრების და მეზობლების მსგავსად, მოუხდებოდა სომხეთის რესპუბლიკაში გამგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად, იქიდან დაბრუნებულს კი გაუჭირდებოდა ინტეგრაცია და სამსახურის მოძიება ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში. ამავდროულად, ის ვერ შეძლებდა, ოჯახის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფოში სწავლას. სწორედ ამან განაპირობა მისი სწრაფვა - შეისწავლოს ქართული ენა, რომ შეძლოს არამარტო პროფესიის დაუფლება, არამედ სწორი ინტეგრაცია საკუთარ საცხოვრებელ ადგილას ან, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში.

X-ისათვის იგივე პრობლემები იდგა, მხოლოდ ნაკლები სიბეჯითე და ენობრივი დეფექტები (სოფმატიზმი) ხელს უშლიდა ენის დაუფლებაში. მუშაობა მასთან იყო რთული, რადგანაც ჩვენ, პედაგოგები, არ ვფლობდით მის მშობლიურ ენას და, ბუნებრივია, საწყის ეტაპზე გვიჭირდა მისთვის ახსნა თუნდაც მარტივი კომუნიკაციის ან საკითხავის დონეზე. მოსმენის სწავლების პროცესში ჩვენმა სტუდენტმა შეითვისა ლექსიკა და შეძლო მარტივი კომუნიკაციების განხორციელება უცხო გარემოში. სწავლებისას გამოყენებული იქნა „სკაფოლდინგის“ ელემენტები და ისეთი სტრატეგიები, როგორც იყო კითხვის დასმა, შესხენება, ილუსტრირება და ისეთი ვიზუალური რესურსები, როგორცაა თვალსაჩინოება, უსტიკულაცია, კონტროლი აზრის გაგებაზე, პერიფრაზირება. ამან უზრუნველყო სტუდენტის უწყვეტი და აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესებში. ასევე გამოყენებული იქნა სრული ფიზიკური რეაქციის მეთოდი (ძირითადად „შენატანი“, ღუმილის პერიოდი“, გრამატიკაზე კონცენტრირების ნაცვლად რელევანტურ შინაარსზე დაყრდნობა და სხვ.). აღნიშნული მუშაობის შედეგად X-ს განუვითარდა მოსმენისა და მეტყველების უნარები, კითხვა-წერის უნარი. ამ მხრივ მას მიეცა არასომხურენოვან სივრცეში ინტეგრაციის საშუალება. საბოლოო გამოცდების შედეგების მიხედვით, სტუდენტს გააჩნია, სავარაუდოდ, A2 დონის ცოდნა ქართულში, როგორც მეორე ენაში. მაგრამ შემდგომი სწავლების გასაუმჯობესებლად პრობლემებმა მაინც იჩინა თავი. ეს პრობლემები ძირითადად ეხება მარტივი სინტაქსური კონსტრუქციებიდან რთულ ფრაზეოლოგიზმებით დატვირთულ ტექსტებზე გადასვლას, რაც მოითხოვს სათანადო მეთოდოლოგიის შემუშავებას.

რაც შეეხება სილაბუსსა და სახელმძღვანელოებს, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ბათუმის შეხვედრის მასალებიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა კახა გაბუნია, გიული შაბაშვილის, ნინო შარაშენიძის, ნანა შავთვალიძის და სხვათა სანიმუშო მასალები და საკითხავები. ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე საგნის სილაბუსსა და საკითხავზე. სწავლების პირველი სემესტრი მეტად საპასუხისმგებლოა როგორც ლექტორ-მასწავლებლის, ისე სტუდენტისათვის. ამიტომ ამ ეტაპზე შერჩეული საგნები - წერა-კითხვა, მოსმენა-ლაპარაკი ენის საწყისი ბარიერის ორთოეპიული და ორთოგრაფიული სიზუსტით აღქმის უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება. ჩვენ საანალიზოდ შევარჩიეთ მოსმენა. აღნიშნული კურსი, სილაბუსიდან გამომდინარე, მიზნად ისახავდა ქართული ენის პრაქტიკულ გამოყენებას მთელი რიგი ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



წარმართვის უნარ-ჩვევებს, ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების შეთხზვის, გადმოცემის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარებს. უნდა განვითარებულიყო კოგნიტური, სოციალური, სისტემური, საკომუნიკაციო უნარები. ყოველივე ეს ჯდება 5 კრედიტის ანუ კვირეული დატვირთვის 3 საათის ჩარჩოში. თუმცა აქედან 1 საათი სალექციო უნდა ყოფილიყო, სამივე საათი წარმოსდგა ლექცია-პრაქტიკულის ანუ ლექცია-საუბრის ფორმად. ჩვენი აზრით, ასეთმა ფორმამ უკეთესი შედეგი გამოიღო. თითოეული საკითხი იშლებოდა პრაქტიკულ ასპექტებად და სტუდენტს საშუალება ეძლეოდა ყოველმხრივ, დროულად, გააზრებულად აღექვა იგი 3 საათის განმავლობაში. შესანიშნავად იყო შერჩეული ნაცნობი ლექსიკის შემცველი ლექსების, დიალოგებისა თუ მცირე მოცულობის თხრობითი ტექსტები; ხმის ტემბრით, ინტონაციით პერსონაჟის ამოცნობა. აქ მობილურმა კავშირმა შეასრულა თავისი როლი. პირველივე კონტაქტიდან სტუდენტი ცნობდა ლექტორის ხმას და შედარებით ნელი ტემპით საუბრიდან თითქმის იგებდა საუბრის აზრს. საუბრის ტემპის შემდგომი აჩქარება არაიშვიათად ჩაგვირთავს ტელეფონით კომუნიკაციისას. მოკლე და მარტივი შეტყობინებები თანდათან გადავიდა რთული ფრაზების აღქმამდე. პირველი შუალედური შეფასებისას აქცენტი კეთდებოდა დიალოგებზე (ბაზარში, საპარკმახეროში, ქუჩაში, ტელეფონზე); მეორე შუალედური შეფასებისათვის უკვე გამოყენებული იქნა ჩაწერილი აუდიოტექსტის (საინფორმაციო ჩართვის) მოსმენა და გაგება, ტელეგადაცემის ნაწყვეტის აღქმა-გაგება და, ბოლოს, კომპიუტერის მონიტორიდან მოსმენილი ტექსტის, ჩანაწერის გაგება - საპასუხო ტექსტით.

საგამოცდოდ შერჩეული ტექსტები ემსახურებოდა სტუდენტში შესწავლილი მასალის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსატყობს, ქმედებაზე ორიენტირებულს. სახელმძღვანელო-საკითხავის შემდგომი ტექსტები რთულდებოდა, აქ საჭირო ფრაზეოლოგიზმები შედარებით ძნელად ჯდება სტუდენტის „საბაზისო მარაგში“, მაგრამ, ვფიქრობთ, ის მეტ-ნაკლებად, თავისთავად შეუწყობს ხელს მარტივიდან რთულზე გადასვლას, ადვილად გასაგებიდან რთულის აღქმასაც და აზრის გამოტანას მოსმენილის ირგვლივ. ვფიქრობთ, აღნიშნულმა საკითხავმა საგანში „მოსმენა“ გაამართლა თავისი დანიშნულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბუნია, 2008 - კ. გაბუნია, ენობრივი პოლიტიკა და საქართველოს განათლების სისტემა, კრებულიდან: I სამეცნიერო კონფერენციის მასალები (სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საგანმანათლებლო სივრცეში), 2008, გამომცემლობა საიმედო.
- მერჩულე, 1999 - გრიგოლ მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, კრებულიდან: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1999, თბ., მეცნიერება.
- ტაბატაძე, 2008 - შ. ტაბატაძე, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, კრებულიდან: I სამეცნიერო კონფერენციის მასალები (სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საგანმანათლებლო სივრცეში), 2008, გამომცემლობა საიმედო.
- შუკინი, 1990 - Шукин А, Методика преподавания русского языка как иностранного, 1990, Москва.



ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ენობრივი მიქსი და ქართული ენის სწავლების ზოგიერთი ასპექტი

აბსტრაქტი

ქართული ანბანის გრაფიკა უძველესი დროიდან ფორმირდებოდა და ვითარდებოდა. ქართული ანბანი ორიგინალური, სხვა ანბანებისაგან სრულიად გამორჩეული და განსხვავებულია. თუმცა, ლათინური შრიფტის უნივერსალური გამოყენების თანამედროვე მსოფლიო ტენდენცია გარკვეული პოეტური თუ სარეკლამო ექსპერიმენტების სახით ჩვენს ენაშიც იჩენს თავს.

ამ კუთხით ძალზე საინტერესოა პოეტური ექსპერიმენტები. დავით-დევი გოგიბედაშვილის ლექსის სათაური ქართულსა და ლათინურ შრიფტს თუ სიტყვათა თამაშს ერთნაირად იტევს. “სიახLOVE”.

დავით (დევი) გოგიბედაშვილს ეკუთვნის მსგავსი ექსპერიმენტული სათაურის კიდევ ერთი ტექსტი: “სიახLOVE სიSHORE”.

მსგავსავე ექსპერიმენტს სათაურში გვთავაზობენ სხვა ავტორებიც: გიორგი ლორთქიფანიძე – იდეაfix; კოკა არჩვაძე, მოთხრობა “COM.ისია” და სხვ.

ენობრივი მიქსი სარეკლამო აბრეშუკ ხშირად ფიგურირებს. განხილვით, გეო-Print და სხვ. ფორმულირებული ტექსტები პირველ რიგში, სწორედ გრაფიკული მრავალფეროვნებით იქცევა მკითხველის/მომხმარებლის ყურადღებას. მსგავსი დაწერილობის ტექსტები საინტერესოა თავისი განსხვავებულობით ქართული ანბანის/ენის არმცოდნეთათვისაც.

ფიქრობ, შესაძლებელია ენობრივი მიქსის, ენობრივი ექსპერიმენტების გამოყენება ქართული ენის სწავლების დროს გარკვეული ილუსტრაციების სახით.

ბილინგვური სწავლება, ეფუძნება რა ერთი ენის გრამატიკულ, ფონეტიკურ, ლექსიკურ თუ გრაფიკულ ასპექტებს, მეორე ენის სწავლებისას შესაძლებლობების მიხედვით იყენებს შესწავლილი ენის ასპექტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო მახასიათებლები, უნივერსალიები თუ ტიპოლოგიური მსგავსებანი, რაც სწავლების პროცესში შესაძლოა დამხმარე მასალად, ზოგ შემთხვევაში კი გარკვეული ენობრივი ნიუანსის შესწავლის საფუძველიც გახდეს.

მეორე ენის სწავლების ერთ-ერთი თეორეტიკოსის, სკრინერის მიხედვით, ენის შესწავლის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონტექსტი, ანუ ის, თუ რა გარემოდან, რა გამოცდილებიდან, რა კონტექსტიდან ხდება ენის შესწავლა. “ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის ენობრივი ქცევა გაკონტროლებულია ადამიანების მიერ და მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებს ფუნქციურ ანალიზს. ფუნქციურ ანალიზზე დაყრდნობით, სკრინერმა შექმნა “სამპირობიანი მოდელი” ენობრივ ქმედებებთან მიმართებით (წინაპირობა - ქმედება –



ქმედებაზე რეაქცია). სკინერი მიიჩნევდა, რომ ინდივიდის ენობრივი ქმედება განპირობებულია ინდივიდის არსებული გარემოთი, წარსული ქმედებებითა და გენეტიკური ისტორიით” (ტაბატაძე, შუბითიძე 2010, გვ. 2).

შესაბამისად, გრაფიკული ექსპერიმენტები ბილინგვური სწავლების დროს ენის შესწავლის ადრეულ სტადიაზე შესაძლებელია თვალსაჩინოების ნიმუშად გამოდგეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მეორე ენის შესწავლის დროს კითხვისა და წერის კომპეტენცია ბევრად უფრო ნელა ვითარდება მეტყველებასთან შედარებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მეორე ენის შემსწავლელთა უმეტესობას ადრეული ასაკიდანვე უწევს უცხო ენის გრაფიკული გამოსახულებების აღქმა ნაცნობი სამარკო ნიშნების, აბრების, სარეკლამო ტექსტების სახით. აღნიშნულია, რომ “უცხო/მეორე ენის შემსწავლელ კლასში მრავალფეროვანი ნაბეჭდი / დაწერილი ტექსტებით გამდიდრებულ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვის სწავლისათვის საჭირო რესურსების უზრუნველსაყოფად... საკლასო ოთახში ტექსტთან შეხება გარკვეულად ანაზღაურებს იქამდე არარსებულ ან არასაკმარის გამოცდილებას” (კროუფორდი, პაპავა 2010, გვ. 18).

ქართული ანბანის გრაფიკა უძველესი დროიდან ფორმირდებოდა და ვითარდებოდა. როგორც ცნობილია, მან განვითარების სამი საფეხური განვლო (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული). ქართული ანბანი ორიგინალური, სხვა ანბანებისაგან სრულიად გამორჩეული და განსხვავებულია. ძნელია ქართული ანბანის შედარება ან შეერევა სხვა ენის/ენების ანბანში, თუმცა ლათინური შრიფტის უნივერსალური გამოყენების თანამედროვე მსოფლიო ტენდენცია გარკვეული პოპტური თუ სარეკლამო ექსპერიმენტების სახით ჩვენს ენაშიც იჩენს თავს.

ამ კუთხით ძალზე საინტერესოა პოპტური ექსპერიმენტები. დავით-დეფი გოგიბე-დაშვილის ლექსის სათაური ქართულსა და ლათინურ შრიფტს თუ სიტყვათა თამაშს ერთნაირად იტყვის. მოვიტანთ ტექსტის რამდენიმე სტრიქონს:

სიახLOVE

“შთაბეჭდილებად რამე ახალი
მე დამჭირდება შენთან სიახLove
და თუ შევწყვიტე ფიქრი გნახავდი,
ჩემი სიცოცხლე დღეს სხვას ვათხოვე.

მახსოვს დღეები და ადგილები,
მე ყველა მიყვარს, თუ ვინმე მახსოვს,
თუ ჩემს სიყვარულს დავაკვირდები
აქვე გიპოვი და აღარასდროს
აღარ ვინანებ, რომ აქ ვიცხოვრე”...

ქართველი მკითხველი ლექსის სათაურს კითხულობს ქართული შესაბამისობით – ლექსის სათაური აღიქმება ქართული სიტყვის მიხედვით: სიახლოვე, მიუხედავად იმისა, რომ ლათინური შრიფტით დაწერილი ბოლო ოთხი ასო ინგლისურ ენაზე იკითხება არა როგორც ლოვე, არამედ – ლავ.

დავით (დეფი) გოგიბედაშვილს ეკუთვნის კიდევ ერთი მსგავსი ექსპერიმენტული სათაურის ტექსტი: “სიახLOVE სიSHORE”. ტექსტი ასე სრულდება: “გადავაბიჯე გზასაც და გზებსაც, შენი სიშორეც უკან შემომრჩა, ხვალ სად იქნები, იქ უკვე დღეს ვარ, ბგერებს ვიფერებ ყვითლად და ლურჯად, შენ გამიფიქრე და შენთანა ვარ, მე დროს ვაჯობე, სხვა რამ ვიშოვე, ახლა სიშორეც აღარსადაა, ჩვენ სიახLOVE-ს მყოფი სიSHORE”. უნდა ითქვას, რომ ავტორი აქაც სიტყვათა თამაშის ხერხს მიმართავს. სიSHORE ორმაგი შინაარსის შემცველია. ქართული სიშორე და ინგლისური sea shore, ანუ ზღვის ნაპირი.



ლექსს “სიახLOVE” გარკვეული წარმატება ხვდა პოეზიის მოყვარულთა შორის იმდენად, რომ 2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გაიმართა პოეზიის საღამოები სწორედ მსგავსივე სახელწოდებითა და დაწერილობით.

ქართულ კინოთეატრებში რამდენიმე წლის წინ გადიოდა რეჟისორ მაიკლ ნიკოლსის ფილმი “სიახლოვე” (შდრ. ინგლ. “Closer”, 2004. რუსულად – “Близость”) – რომელიც სასიყვარულო მელოდრამაა. ფილმის სათაური კინოთეატრის აფიშებზე შემდეგნაირად იკითხებოდა: “სიახLOVE”.

მკვლევარი ცირა კილანავა სტატიაში: “ენობრივი ექსპერიმენტები ქართულ მასკულტურაში”, უკვირდება რა რეკლამას, როგორც მასკულტურის ერთ-ერთ ელემენტს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რეკლამის ენობრივ გაფორმებას, ლექსიკურ ელემენტთა პოლისემანტიკურობას. მკვლევარს საინტერესოდ მოჰყავს რამდენიმე ტექსტი. მათ შორის, რეჟისორ მაიკლ ნიკოლსის ფილმის ქართული თარგმანისა და დაწერილობის ვერსიაც და განმარტავს: “მიქის ტიპის ამგვარ ექსპერიმენტთა განსაკუთრებულობა სწორედ ისაა, რომ სხვადასხვა ენის (შესაბამისად, კულტურის) ელემენტთა საშუალებით ერთი აღსანიშნი ორგვარად გამოიხატება ისე, რომ შენარჩუნებულია ცნების ერთადერთობა. ესაა ინტერტექსტუალური მოდელების განსაკუთრებული კომბინაციით შექმნილი ახალი, მულტიენობრივი ერთეული, რომელიც, მინიმუმ, ორ ენაზე იკითხება.

ამის გათვალისწინებით, საქმე გვაქვს არა მხოლოდ მულტიენობრივ, არამედ, ამასთან, ინტერენობრივ (და შესაბამისად, ინტერკულტურულ) მოვლენასთან.”

მსგავსსავე ექსპერიმენტს სათაურში გვთავაზობენ სხვა ავტორებიც: გიორგი ლორთქიფანიძე “იდეაfix”; კოკა არჩვაძე, მოთხრობა “COM.ისია”, დიანა ანფიმიადი, “newოდისეა” და სხვ.

ენობრივი მიქსი სარეკლამო აბრეშუც ხშირად ფიგურირებს. გასანდი, გეო-Print და სხვ. ფორმულირებული ტექსტები პირველ რიგში, სწორედ გრაფიკული მრავალფეროვნებით იქცევიან მკითხველის/მომხმარებლის ყურადღებას. მსგავსი დაწერილობის ტექსტები საინტერესოა თავისი განსხვავებულობით ქართული ანბანის/ენის არმცოდნეთათვისაც.

ვფიქრობ, შესაძლებელია ენობრივი მიქსის, ენობრივი ექსპერიმენტების გამოყენება ქართული ენის სწავლების დროს გარკვეული ილუსტრაციების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგიბედაშვილი - დავით (დევი) გოგიბედაშვილი: <http://www.lib.ge/authors.php?432>
კილანავა - ცირა კილანავა, ენობრივი ექსპერიმენტები ქართულ მასკულტურაში: http://lib.ge/body_text.php?8401
კროუფორდი, პაპავა, 2010 - მეორე ენის ათვისებისა და კითხვის სწავლების სტრატეგიები დაწყებით ფაზაზე, ჟურნ. ბილინგვური განათლება 2010, №4
ტაბატაძე, შუბითიძე, 2010 - მეორე ენის სწავლისა და ათვისების თეორიები, ჟურნ. ბილინგვური განათლება 2010, №4



რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი, საქართველო)

ჰარუნ ჩიმქე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო)

-ზე და -ში თანდებულის ფორმათა გადმოცემასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულსა და თურქულში

აბსტრაქტი

ქართულში თანდებული ფუნქციურად მრავალფეროვანია. იგი გამოხატავს საგნის ადგილმდებარეობას, მიმართულებას, მსგავსებას, დროს, შედარებასა და სხვ. თანდებულები ქართულში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სხვა ენებში წინდებულები ან ბრუნვის ნიშნები. ენათა შესწავლისას არსებულ სირთულეთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს -ზე და -ში თანდებულის ფორმათა გადმოცემა.

-ზე და -ში თანდებულის ფორმათა გამოყენებისას თავს იჩენს წინააღმდეგობები როგორც საკუთრივ ქართულში, ასევე თურქულად მოლაპარაკე ქართველისა და, პირიქით, ქართულად მოსაუბრე თურქის მეტყველებაში.

ქართულის -ზე და -ში თანდებულებს თურქულში დამოუკიდებელი ბრუნვის ნიშნები შეესატყვისება, კერძოდ, როცა მიმართულებაა გამოხატული, მაშინ არის მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-e), ხოლო ადგილ-მდებარეობის გამოხატვისას - ადგილობითი ბრუნვის ნიშანი (-de). იშვიათად შეიძლება იყოს გამოსვლითი ბრუნვის ნიშანიც (-den). მაგალითები: Ben eve gidiorum (მე სახლში მივდივარ) - მიცემითი (მიმართულებითი) ბრუნვა; Ben evdeyim (მე სახლში ვარ) - ადგილობითი ბრუნვა; Pencereden baksın (ფანჯარაში გადმოიხედოს) - გამოსვლითი ბრუნვა.

ქართულში თანდებული ფუნქციურად მრავალფეროვანია. „იგი გამოხატავს საგნის ადგილმდებარეობას, მიმართულებას, მსგავსებას, დროს, შედარებასა და სხვ. თანდებულები ქართულში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სხვა ენებში წინდებულები“ (მარტიროსოვი, 1946, გვ. 203) ან ბრუნვის ნიშნები. ენათა შესწავლისას არსებულ სირთულეთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს -ზე და -ში თანდებულის ფორმათა გადმოცემა.

„ძველ ქართულში შინა თანდებულის ფუნქცია უფრო გამოკვეთილი იყო. მაგალითად: იყოფოდა მცხეთასა შინა (ადგ.) და: წარემართა მცხეთას (მიმართ.)“ (საღინაძე, 2008, გვ. 66). რაც შეეხება -ზე თანდებულს, მან V-XI საუკუნეებიდან დღემდე ლექსიკური მნიშვნელობა



საგრძობლად შეიცვალა. იგი გამდიდრდა ფუნქციურადაც. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ზე დართულმა მიცემითმა შეიძლება გამოხატოს: ინტერესი, ადრესატი, თანაობა, დანიშნულება, ინსტრუმენტალისი, მსგავსება, მიწვევითობა, გამონაკლისობა, მიმართულება, ლოკალიზაცია, ადგილმყოფობა, საგნის ზედაპირზე, საგანთან სიახლოვე, ფარდობითი დრო და სხვა.

როგორც აღინიშნა, თანდებულები ქართულში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სხვა ენებში წინდებულები. საინტერესოა, რომ ქართულის -ში და -ზე თანდებულებს თურქულში დამოუკიდებელი ბრუნვის ნიშნები შეესატყვისება, კერძოდ, როცა მიმართულებაა გამოხატული, მაშინ მიცემითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო ადგილმდებარეობის გამოხატვისას - ადგილობითი ბრუნვის ნიშანი. იშვიათად შეიძლება იყოს გამოსვლითი ბრუნვის ნიშანიც. ძველ ქართულში განსხვავებულად გამოიხატებოდა მიმართულება და ლოკატივი. დღეს ასე არ არის (ქალაქში/ქალაქს მივდივარ). ლოკატივი და მიმართულება თანამედროვე ქართულშიც ასე რომ ყოფილიყო, უფრო გასაგები იქნებოდა. ალბათ, ამიტომ იჩენს თავს -ზე და -ში თანდებულიან ფორმათა გამოყენებისას წინააღმდეგობები როგორც საკუთრივ ქართულში, ასევე თურქულად მოლაპარაკე ქართველისა და, პირიქით, ქართულად მოსაუბრე თურქის მეტყველებაში.

თურქული ენის სამმართველოს მიერ გამოცემული თურქული ენის გრამატიკის (ბანგუოლუ, 2000, გვ. 115) მიხედვით, რომლის ავტორია თაჰსინ ბანგუოლუ, თურქულში ბრუნვათა სახელწოდება ვინ კითხვითი ნაცვალსახელის მოსალოდნელი პასუხის მიხედვით არის. გამოიყოფა 6 ბრუნვა:

1. ვინ ბრუნვა (Kim) – სახელობითი - ev (სახლი).
2. ვის ბრუნვა (Kimi) – ბრალდებითი - evi (სახლს - სახლი).
3. ვის ბრუნვა (Kime) – მიცემითი - eve (სახლს).
4. ვისში (-ზე) ბრუნვა (Kimde) – ადგილობითი - evde (სახლში / -ზე).
5. ვისგან ბრუნვა (Kimden) – გამოსვლითი - evden (სახლიდან).
6. ვისი ბრუნვა (Kimin) - ნათესაობითი - evin (სახლის).

ვის (Kime) ბრუნვა გამოხატავს შესვლას. ვისში (/ ვისზე) ბრუნვა (Kimde) სახელის გაჩერებასა და დარჩენას გამოხატავს. ვისგან ბრუნვა (Kimden) კი გამოსვლითია და გამოსვლას აღნიშნავს.

ეს სამი ბრუნვა დროსა და სივრცეში ადგილისა და მიმართულების გამომხატველი ბრუნვებია. ამ ბრუნვებით სახელები ზმნით აღნიშნულ მოქმედება-მდებარეობასაც გამოხატავს. ამიტომ ამათ ადგილისა და მიმართულების ბრუნვებსაც უწოდებენ. ეს ბრუნვები ზოგიერთი ზმნიზედის შედგენაშიც მონაწილეობს. მაგალითად: Akşama gelirim (საღამოს მოვალ).

თურქული ენის სახელმძღვანელოს მიხედვით, ბრუნვის ნიშნები ასე განიშარტება: ბრუნვის ნიშნები არის ისეთი ბოლოსართები, რომლებიც სახელებს დაერთვის, აკავშირებს მათ ზმნასთან და გამოხატავს მოქმედებას, ადგილსა და მიმართულებას. თურქულში არსებული 6 ბრუნვის სხვაგვარი სახელდება ასეთია:

1. Yalın Hal (სახელობითი ბრუნვა, სუფთა ძირი)
2. ბრუნვა -i - ბრალდებითი ბრუნვა
3. ბრუნვა -e - მიცემითი ბრუნვა
4. ბრუნვა -de - ადგილობითი ბრუნვა
5. ბრუნვა -den - გამოსვლითი ბრუნვა
6. ბრუნვა -in - ნათესაობითი ბრუნვა.



ქართულის -ში და -ზე თანდებულების შესატყვისი თურქულში -e, -de, -den ბრუნვის ნიშნებია და ისინი იმდენად გამოკვეთილია, რომ ბრუნვებს ამ სახელებით მოიხსენიებენ და ეს სახელწოდებები უფრო გაგრძელებულია.

სხვა თვალსაზრისით თურქულში 9 ბრუნვასაც გამოყოფენ. ზემოთ აღნიშნულთაგან განსხვავებულია 3 ბრუნვა: 1. Vasita Hali - პირდაპირ ითარგმნება, როგორც *საშუალება*, მაგრამ ეს ბრუნვა ქართულის მოქმედებითი ბრუნვის შესატყვისია. 2. Eşitlik Hali (ლათ. Ekvativ, მათანასწორებელი) - ვითარებითი. 3. Yön gösterme Hali (ლათ. Direktiv) - გამოხატავს მიმართულებას (ზევით, შიგნით, გარეთ...). ეს თვალსაზრისი გატარებულია თურქული ენის გრამატიკაში (ბანგუოლუ, 2000, გვ. 115), რომელიც უმაღლესი სასწავლებლებისთვის არის განკუთვნილი. ზემოთ დასახელებული გრამატიკები (რომლებშიც ექვსი ბრუნვაა გამოყოფილი) კი სკოლებში ისწავლება.

ზმნიხედების გადმოცემისას შეცდომები გვხვდება როგორც თურქულად მოლაპარაკე ქართველთა, ისე ქართულად მოსაუბრე თურქების მეტყველებაში. მაგალითად, ქართველისათვის ქვევით ვარ და ქვევით მივდივარ არის ერთი; თურქულში კი ორივეს უნდა დაერთოს შესაბამისი ნიშანი: Aşağıdayım (ქვევით ვარ) Aşağıya gidiyorum (ქვევით მივდივარ).

ქართულის -ზე და -ში თანდებულებს თურქულში დამოუკიდებელი ბრუნვის ნიშნები შეესატყვისება, კერძოდ, როცა მიმართულებაა გამოხატული, მაშინ არის მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-e), ხოლო ადგილ-მდებარეობის გამოხატვისას - ადგილობითი ბრუნვის ნიშანი (-de). იშვიათად შეიძლება იყოს გამოსვლითი ბრუნვის ნიშანიც (-den). მაგალითები: Ben eve gidiyorum (მე სახლში მივდივარ) - მიცემითი (მიმართულებითი) ბრუნვა; Ben evdeyim (მე სახლში ვარ) - ადგილობითი ბრუნვა; pencereden baksım (ფანჯარაში გადმოიხედოს) - გამოსვლითი ბრუნვა.

ქართულში -ში ძირითადად შინაგან სივრცეს გულისხმობს, -ზე კი - ზედაპირს (შანიძე, 1980, 601). ქართულის შემსწავლელი თურქისთვის ნათელია გამოთქმები: საწოლში ზის - საწოლზე ზის. აგრეთვე: ზღვაში ჩასვლა (ცურვა) - ზღვაზე წასვლა (დასვენება); მთაზე ვარ (ავდივარ) - მთაში/მთიან მხარეში ვარ (მივდივარ). თუმცა არის შეუსაბამობის მაგალითები: კათედრაზე ვარ (მივდივარ) - არ ითქმის: კათედრაში ვარ (მივდივარ); გამოცდაზე ვარ (მივდივარ); ლექციაზე ვარ (მივდივარ). თურქი იტყვის: კათედრაში, გამოცდაში, ლექციაში ვარ (მივდივარ). მას წინააღმდეგობა ექმნება -ზე თანდებულებიან სახელთან.

ქართულში ერთი მხრივ არის: კონცერტზე დასასწრებად მივდივარ (Konsere gidiorum). მეორე მხრივ: კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მივდივარ (konserde rol aliyor). -ზე თანდებულებიანი ფორმა გამორიცხავს შიგნით მყოფობას, თუმცა სასაუბრო ენაში შეიძლება შეგვხვდეს კონცერტში მივდივარ გამოთქმაც. თურქის წინაშე თავს იჩენს პრობლემა, მსგავს შემთხვევაში რომელი თანდებული უნდა გამოიყენოს. იგი იტყვის: კონცერტში ვარ (მივდივარ).

ქართველის მეტყველებაში არსებულ წინააღმდეგობაზე მიუთითებს, აგრეთვე, მაგალითები, რომელთაგან პირველი მიჩნეულია უმართებულოდ, მეორე - მართებულად: *აუზზე დადის - აუზში დადის, ბაზარზე დვას - ბაზარში დვას, ბინაზე იძყოფება - ბინაში იძყოფება, დიდუბეზე/ვაკეზე ცხოვრობს - დიდუბეში/ვაკეში ცხოვრობს, ქორწილზე მიიწვია/მიიპატიუა - ქორწილში მიიწვია/მიიპატიუა, ქუჩაზე მიდიოდა/ვედო - ქუჩაში მიდიოდა/ვედო...* ან პირიქით: *გზაში დაყრილი - გზაზე დაყრილი, გზაში მიდის - გზაზე მიდის, წიგნის ბაზარში გამოხნდა - წიგნის ბაზარზე გამოხნდა* (ქირია ჭ. და ქირია, ნ. 2008, გვ. 97-106); გადაცემაში „ლამის შოუ“ წამყვანმა ო. ტატიშვილმა კარგად გამოხატა -ზე და -ში თანდებულებიან ფორმებთან დაკავშირებული პრობლემები, როცა დაფიქრდა და აღნიშნა: „Facebook-ზე ვარ შესული, თუ - Facebook-ში, რა მნიშვნელობა აქვს“ და სუბრობით



დააყოლა: „*ხერეღედ ვარ შესული და იყოს Facebook-ზე...*“; იქვე სხვადასხვა თანდებულთ წარმოთქვა იგივე სიტყვა: „*შესული ვარ Facebook-ში...*“ ან: „*ამიტომ დაერეგისტრირდი Facebook-ში*“ (გადაც. „*ღამის შოუ ო. ტატიშვილთან ერთად*“ (ტელეკომპ. „იმედი“, 09.05.2011);

ამბობენ: *საბურთალოზე ვარ, მაგრამ: ვაკეში ვარ.* არ ითქმის: *საბურთალოში ვარ ან: ვაკეზე ვარ* (ამ კონკრეტულ შემთხვევაში). შდრ.: *მას სახლი ვაკეში* (თბილისის ერთ-ერთი უბანი) *აქვს* და: *მისი სახლი ვაკეზე* (საზოგ. სახ.) *დგას*; ასევე: *ფანჯარაში ფარდა არის* და: *ფანჯარაზე ფარდა არის*; *დაბადების დღეზე ვარ* და: *დაბადების დღეში ვარ* (გორის სახელმწ. უნივერსიტ. სტუდ.);

გადაცემაში „ღმის შოუ“ ერთ-ერთმა დამწყებმა ქართველმა დიზაინერმა განაცხადა: *მაგისტრატურაზე ვარ სამხატვრო აკადემიაში* (ტელეკომპ. „იმედი“, 12.05.2011); *მაგისტრატურაზე ვაბარებ* (აკაკი წერეთლის სახელმწ. უნივერსიტ. სტუდ.)...

ქართულად მეტყველი თურქის წინაშე დგება პრობლემა, მსგავს შემთხვევაში რომელი თანდებული უნდა გამოიყენოს. როგორც უკვე აღინიშნა, თურქულში ადგილი და მიმართულება ბრუნვის ნიშნებით მკაფიოდ არის გამოხატული: მიმართულებას -e ბრუნვის ნიშანი აღნიშნავს: *Konsere gidiyorum*, ადგილს კი -de: *Konserde rol aliyor*. როცა მიმართულებაა გამოხატული, მაშინ ყოველთვის -e ბრუნვის ნიშანი იქნება, ხოლო, როცა ადგილი -de. ქართულად მოლაპარაკე თურქი იტყვის: *მივდივარ ან / კონცერტში ვარ*.

ქართული ენის შემსწავლელი თურქის მეტყველებაში არსებულ შეცდომებს სხვადასხვა საფუძველი აქვს:

1) გარედან შიგნით მიმართულების აღქმა და შესაბამისად სახელის -ში თანდებულთ გაფორმება: *პიენიკში ვიყავი, კასეტაში ჩაწერა...*

2) ზედაპირის აღქმა და -ზე თანდებულთ გაფორმება: *სახეზე* (თავზე, ზურგზე...) *ჩარტყმა*; *კალთაზე* *ჩაისვით...*

3) -ზე და -ში თანდებულთა აღრევა: *ტელევიზორზე ვიხილეთ; ჟურნალზე ჩანთა ვნახე დახატული; 15 აპრილზე მივდივარ...*

4) ანალოგია: *საღამოზე უნდა ვიმეცადინო; სავარძელზე ჩაჯდომა* (სკამზე, მერხზე, დივანზე დაჯდომა); *არ შემიხედავს საათზე* (არ დამიხედავს საათზე)... ეს უკანასკნელი გამოთქმა იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ ქართულში იმავე შინაარსის სხვადასხვა გამოთქმაა გავრცელებული: *საათზე არ დამიხედავს* (ამის ანალოგიით უნდა იყოს ზემოაღნიშნული გამოთქმა გაჩენილი) და: *საათს დავხედე*.

-ში თანდებულიანი ფორმები გამოხატავს სივრცეს, შინამყოფობას, -ზე თანდებულიანი კი - გარემყოფობას: *ქუჩაში/ვზაში ვარ // ვზაზე ვარ; ნინოშვილის ქუჩაზე (ნინოშვილზე) // ნინოშვილის უბანში // ნინოშვილის 90 ნომერში ვარ (მივდივარ)*. ამ გამოთქმათაგან თურქისთვის ქართული ენის შესწავლისას წინააღმდეგობრივია -ზე თანდებულიანი სახელი.

-ჩა ზმნისწინი ძირითადად ზევიდან ქვევით მიმართულებას გამოხატავს. ქართულში არის, ერთი მხრივ: *სახეში* (თავში, ზურგში) *ჩარტყმა*; *კალთაში* *ჩაისვით*; მეორე მხრივ, *რიყეზე* *ჩასვლა*, *სანაპიროზე* *ჩასვლა*. -ჩა ზმნისწინიანი ფორმებთან -ზე თანდებულიანი სახელები თურქისთვის გასაგებია, მაგრამ მისთვის ისევე გაუგებარია გამოთქმა: *კასეტაზე ჩაწერა, როგორც სახეში, თავში, ზურგში ჩარტყმა*.

თანდებულის პირველი და ძირითადი ფუნქციაა, დაამყაროს გარკვეული მიმართება სახელსა და სახელს შორის ან სახელსა და ზმნას შორის. ზოგჯერ თანდებულები წარმოქმნის ელემენტთა როლში გვევლინებიან და სიტყვათა წარმოებელი აფიქსის სტატუსს იძენენ. თანდებულის ამ ფუნქციაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები, კერძოდ: ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ქართულს შეუძლია თანდებულდართული ფორმა არსებითი სახელის ფუძედ აქციოს და გამოიყენოს ზედსართავის საწარმოებლად (შანიძე, 1980, გვ. 116).

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
 Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges



თანდებულები მონაწილეობენ ზმნიზედის წარმოებაშიც. ზმნიზედებია თანდებულდართული მიცემითი (შუაში, განზე) და მოქმედებითი (გვერდიდან, შიგნიდან).

პროფ. თ. უთურგაიძე ზმნიზედად მიიჩნევს ყველა იმ თანდებულდართულ სახელს, რომელიც წინადადებაში გარემოების ფუნქციით გამოდის. მისი აზრით, ქალაქში, სახლში, ქალაქზე, ქალაქიდან იმავე კვალიფიკაციის მქონეა, რაც ზმნიზედები თავში, შუაში, ბოლოში (უთურგაიძე, 1986, გვ. 91-92).

როგორც არ. მარტიროსოვი მიუთითებს, ძველ ქართულში თანდებული შინა დაერთვოდა უფორმო სიტყვებსაც: მუნ, აქა. მაგალითად: „*პონ აქა შინა მრავალი სარგებელი*“. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აჭარულის მონაცემები: „(აჭარულში) აქ, მაქ ჩვეულებრივ, წარმოდგენილია -ში ან -ზე თანდებულებით: აქ-ში, აქ-ზე > აგ-ზე (ჯორბენაძე, 1989, გვ. 566).

თურქულში აუცილებლად უნდა გამოიხატოს კონკრეტული ბრუნვა ზმნიზედასთანაც: მიმართულების გადმოსაცემად გამოიყენება ბრუნვის ნიშანი -ა/-ე: Bura (აქ), Ora (იქ) (მიც. ბრუნვა), ხოლო ადგილმდებარეობის (ადგილსამყოფელის) გამოსახატავად -da/-de: Burda (აქ), Orda (იქ) (ადგ. ბრუნვა).

სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება:

მიცემითი / მიმართულებითი		ადგილობითი
წინ:	Önüne	Önünde
უკან:	Arkasına	Arkasında
ქვევით:	Altına	Altında
ზევით:	Üstüne	Üstünde
გვერდით:	Çyanına	Yanında

როგორც ქართული, ისე თურქული ენის სწავლებისას -ზე და -ში თანდებულიან სახელთა გადმოცემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია. ეს საკითხი მომავალში უფრო გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

მარტიროსოვი, 1946 - არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.

საღინაძე, 2008 - ძველი ქართული ენა. თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008.

უთურგაიძე, 1986 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი. თბილისი: მეცნიერება, 1986.

ქირია ჭ., ქირია ნ., 2008. ქართული ენის მართლწერის საკითხები. თბილისი: მერიდიანი, 2008.

შანიძე, 1980 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები; თხზ. III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.

ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი: მეცნიერება, 1980.

ბანგოლუ, 2000 - Banguoğlu, T., Türkçe'nin Grameri. Ankara: Türk Dili Kurumu Yayınları, 2000.



ინგა სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**„იმიტომ“ კორელატის ფუნქციური ცვლილებისათვის
თანამედროვე ქართულში**

აბსტრაქტი

ქართული ენის დონეზე მიზნისა და მიზეზის გარემოებებით დამოკიდებულ წინადადებათა სტრუქტურა არსებითად ერთგვაროვან ფორმაშია მოქცეული, შინაარსობრივ განსხვავებას ლექსიკურ ერთეულთა შერჩევა ქმნის; უფრო ნათლად კი: დასახელებულ წინადადებათა სემანტიკურ-ფორმობრივი მოდელირება დამოკიდებულია მთავარ წინადადებაში გამოყენებული კორელატისა და მასზე დაქვემდებარებული კავშირის ლექსიკურ ფორმაზე (იმიტომ...+ რადგან//რომ - გამოხატავს მიზეზის შინაარსის კონსტრუქციას; ხოლო იმისთვის...+ რათა//რომ - მიზნისას).

ფაქტია, რომ სემანტიკურ-ფორმობრივი მხარის მოწესრიგება, კერძოდ, მიზნისა და მიზეზის შინაარსთა გამიჯვნა, თანამედროვე ენაში აღარ კმაყოფილდება მისათითებელი სიტყვისა და კავშირის ურთიერთმიმართებას, იგი სინტაქსურ საზღვარს იფართოებს და ამგვარ კონსტრუქციებში სიმძიმის ცენტრი დამოკიდებული წინადადების ზმნაზე გადააქვს. ზმნის მოქმედების სავარაუდო, ე.წ. კავშირებითი შინაარსი და ფორმა, რომლებიც დამოკიდებულ წინადადებაში ჩნდება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოქმედების მიზანს, რის გამოც პარალელურ სტრუქტურულ ფორმებად მკვიდრდება შემდეგი კონსტრუქციები - „ფანქარი იმისთვის ვიყიდე, რომ დახატოს“; ან: „ფანქარი იმიტომ ვიყიდე, რომ დახატოს“.

ამრიგად, ნათელია, რომ რთულ წინადადებაში მიზეზისა და მიზნის გამოხატვის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს კორელატი კი არ წარმოადგენს, არამედ მას დამოკიდებულ წინადადების ზმნა-შემასმენლის ფორმა განსაზღვრავს.

სიტყვათა შეკავშირების ლექსიკო-გრამატიკულ მექანიზმთა შესწავლა კონკრეტული ენის ფარგლებში, ჩვეულებრივ, ნათელს ჰყენს ხოლმე ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელ თითოეულ თავისებურებას, რომელიც არასოდეს განიხილება, როგორც ცალკე აღებული სინტაქსური ოდენობა, რადგან წინადადება, მარტივი იქნება ის თუ რთული, მთლიანი ენობრივი სტრუქტურაა, მისი მოდელირება კი სემანტიკური, უფრო ზუსტად, კომუნიკაციური ფუნქციით არის მოტივირებული. ლექსიკური და მორფოლოგიური დონეების აქტიური გამოყენებით სრულიად ახალ, გაცილებით რთულ, ენობრივ ერთეულს ვიდებთ და მას ჩვენ სხვაგვარად წინადადებას ვუწოდებთ. აზროვნების ეს უადრესად საინტერესო ლოგიკურ-გრამატიკული ფორმა თავის თავში მოიაზრებს სრუქტურულ ერთეულებსა (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ წინადადების მთლიან სტრუქტურას) და ლექსიკურ ორგანიზაციას, რომელშიც სიტყვათა შეხამებული წესრიგი ლოგიკური თანმიმდევრობით არის განსაზღვრული.

სინტაქსური კვლევის მთავარ მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა ის, თუ რა სახის (ლექსიკური თუ გრამატიკული) სიტყვათერთეულები ქმნიან წინადადებას, ან როგორ განლაგდებიან ისინი დასრულებული აზრის მთლიან ქსოვილში. მწიგნობრული ენის ხანგრძლივმა ტრადიციამ და ქართული სალიტერატურო ენის 16-საუკუნოვანმა განვითარების უწყვეტობამ, ფაქტია, რომ მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული წინადადების შესაძლებლობანი - გააფართოვა წინადადების წევრთა გადანაწილების სტრუქტურული ფარგლები და ლექსიკურ ერთეულთა შერჩევის გაცილებით მეტი შესაძლებლობა წარმოქმნა. აქედან გამომდინარე, ქართული ენის რთული ქვეწყობილი წინადადების შესწავლა თავის აქტუალობას არ კარგავს, თუმცა როგორც ფ. ერთეულიშვილი აღნიშნავს:



„ქვეწიფობილი წინადადების შესწავლასთან არა ერთი სიძნელეა დაკავშირებული. საჭიროა პირველ რიგში თვალსაზრისი, სინტაქსური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართოს კვლევა-ძიება, თვალსაზრისები კი საერთოდ სინტაქსის ობიექტის მიმართ დღეისათვის, როგორც ცნობილია, განსხვავებულია; საჭიროა თვალსაზრისთა შორის შედარებით მიზანშეწონილის გაზიარება, დაზუსტება და კონკრეტულ ენობრივ მასალაზე მუშაობისას შესაბამისი პრინციპების დაცვა“ (ერთელიშვილი, 1963, გვ. 4).

იმის გამო, რომ „სინტაქსი იკვლევს ენაში ისტორიულად შემუშავებულ ზოგად წესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სიტყვათა შეკავშირებასა და წინადადების ტიპების მიღებას“ (კვაჭაძე, 1966, გვ. 6), ჩვენი დაინტერესებისა და კვლევის ობიექტს ქართულ ენაში დამკვიდრებული მიზეზისა და მიზნის გარემოებებით დამოკიდებული წინადადების ფორმობრივი (ვგულისხმობთ სინტაქსურ ფორმას) მოდელები და ის ლექსიკური საშუალებანი წარმოადგენს, რომლებიც დასახელებულ სახეობებში იჩენს თავს.

თავის დროზე ჰიპოტაქსის გენეზისთან დაკავშირებით გ. როგავა შენიშნავდა, რომ დამოკიდებული წინადადება თავისი წარმოშობით კითხვითი წინადადებიდან მომდინარეობდა და, რომ „ქვეწიფობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვით წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“ (როგავა, 1948, გვ. 365). გამოთქმული მოსაზრება ნაკლებად არის სადავო, რადგან, მართლაც, „ქვეწიფობილი წინადადების წევრ-კავშირები და კავშირები იგივე კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიხედებია, რომლებიც კითხვით წინადადებაში გვხვდება“ (ერთელიშვილი, 1963, გვ. 196). ქართველ მეცნიერთა აზრით, ასეთ ნაცვალსახელებად, უპირველესად, მოიაზრებიან - ვინ, რა, რომელი, სად და სხვა ნაცვალსახელები.

რთული ქვეწიფობილი წინადადების (ფ. ერთელიშვილის ტერმინოლოგიით „დაქვემდებარებული წინადადების“) შესწავლა ფაქტობრივ წარმოუდგენელია მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ურთიერთმიმართების გარეშე, მისი სახეობების გამოჯვანაც ხომ ამ ლოგიკურ-აზრობრივი და ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების სინთეზის შედეგად ხორციელდება. ამავე საზოგადო ენობრივი პრინციპის დაცვის შედეგადაა მიღებული ის სინტაქსური ჯგუფები, რომლებიც მიზნისა და მიზეზის გარემოებებით დამოკიდებულ წინადადებად იწოდებიან.

საქმე ის არის, რომ ქართული ენის დონეზე მიზნისა და მიზეზის გარემოებებით დამოკიდებულ წინადადებათა სტრუქტურა არსებითად ერთგვაროვან ფორმაშია მოქცეული, სემანტიკურ განსხვავებას ლექსიკურ ერთეულთა შერჩევა ქმნის; უფრო ნათლად კი: დასახელებულ წინადადებათა სემანტიკურ-ფორმობრივი მოდელირება დამოკიდებულია მთავარ წინადადებაში გამოყენებული კორელატისა და მასზე დაქვემდებარებული კავშირის ლექსიკურ ფორმაზე (იმიტომ...+ რადგან//რომ - გამოხატავს მიზეზის შინაარსის კონსტრუქციას; ხოლო იმისთვის...+ რათა//რომ -მიზნისას). ლექსიკური მახასიათებლები, რომლებსაც ჩვენ სხვაგვარად შეიძლება კორელატები და კავშირები ვუწოდოთ, ფაქტია, რომ მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ წინადადების შინაარსობრივ ხასიათს, მაგრამ რა განსაზღვრავს მათს ფორმას?! ეს წარმოადგენს იმ მთავარ კითხვას, რომელზე პასუხის გაცემაც უმთავრეს სინტაქსურ ამოცანად გვესახება.

ვიდრე მიზეზისა და მიზნის გარემოებებით დამოკიდებული წინადადების ფორმობრივ ანალიზსა და მათში „იმიტომ“ (//„ამიტომ“ // „მაგიტომ“) კორელატის ფუნქციას გავარკვევდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სქემატურად გამოვსახოთ ის ლექსიკური შესაძლებლობანი, რომლებიც თითოეულ მათგანსა აქვს.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



მთავარი წინადადება

კორელატები - ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ / ამის გამო, მაგის გამო, იმის გამო



დამოკიდებული წინადადება

კავშირები - რადგან[აც], რომ, იმიტომ რომ, ვინაიდან, რაკი

მიზნის გარემოებით დამოკიდებული რთული წინადადება:

მთავარი წინადადება¹

კორელატები -- ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, მისთვის



დამოკიდებული წინადადება

კავშირები - რათა, რომ

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რადგან//რადგანაც კავშირები საშუალო პერიოდის ძეგლებიდან გვხვდება და მას მიზეზით დამოკიდებული წინადადების მთავართან მიერთება-დაქვემდებარების ფუნქცია აკისრია (ერთელიშვილი, 1963, გვ.141). ამ თვალსაზრისით არც ახალ ქართულს შეუტანია რაიმე სახის ცვლილება დამოკიდებული წინადადების კავშირში; ასეთივე ვითარებაა რათა კავშირის შემთხვევაშიც. უკვე ძველ ქართულში „რადთა კავშირი იხმარება მნიშვნელობით „რათა, რომ“; დამოკიდებული წინადადება, რომელიც ამ კავშირს შეიცავს მიზნის გარემოებითა და მთავარი წინადადების მომდევნოდ აქვს ადგილი მიხენილი“ (ერთელიშვილი, 1963, გვ.126). მართლაც, ფაქტია, რომ ძველი ქართულიდან დღემდე მცირეოდენი ცვლილებაც კი არ განუცდიათ იმ კავშირებს, რომლებიც მიზეზისა და მიზნის შინაარსთა საკლასიფიკაციოდ აქვს ენას შერჩეული და, რომლებიც ერთი კითხვითი ნაცვალსახელიდან - „რა“ ფორმიდან - მომდინარეობის მიუხედავად, სემანტიკურ-ფუნქციურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (რა → რა-დ-გან [ვით. ბრ-ვის თანდებულიანი ფორმა]; რა → რა-დთ-ა → რა-თა [მოქმ. ბრ-ვის ფორმა]). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიზეზ-მიზნის გამოხატვის თვალსაზრისით ქართულ ენას საზიარო მაკავშირებელი ლექსემაც აქვს და ეს „რომ[ე]“ კავშირია; რომელიც, რა თქმა უნდა, არ იფარგლება მხოლოდ მიზეზისა და მიზნის გარემოებებით დამოკიდებულების აღნიშვნით, მისი ფარგლები გაცილებით ფართოა და სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებშიც გვხვდება (დროის; ვითარების, პირობით და სხვ.). ამრიგად, თანამედროვე ქართულში „რომ“ კავშირის ნეიტრალური ხასიათი ექვს არ

¹ შენიშვნა: ლ. კვაჭაძის სახემძღვანელოში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, როგორც ჩანს, გამორჩენილია მე-2 პირისადმი მიმართული კორელატები: „მაგისთვის“, „მაგის გამო“. მეცნიერი წერს: „თანამედროვე ქართულში „ამისთვის“, „იმისთვის“, „მისთვის“ მიზნის ზმნიხედებია, „ამიტომ“, „იმიტომ“, „ამის გამო“, „იმის გამო“ - მიზეზისა (კვაჭაძე, 1966, გვ. 402)



იწვევს. ის ზოგადი მნიშვნელობის მქონე მაკავშირებელი საშუალებაა და ამიტომაც თავისუფლად ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის სინტაქსური დაქვემდებარებების დროს.

განსხვავებულ ვითარებაა, როცა საქმე მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადების ერთი წარმოშობის, პირთა მიმართების (სავარაუდოდ, საორიენტაციო წინაპოზიციური ხმოვნების - ა-; ი-) მქონე მისათითებელ ლექსემებს შეეხება; ესენია: „ამიტომ“, „მაგიტომ“, „იმიტომ“. პრობლემა ის არის, რომ დასახელებული კორელატები როგორც სასაუბრო, ისე სამწერლობო ენაში ორი ფუნქციით გვხვდება: ამთგან პირველი მისი ორგანული, სემანტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე ფუნქციაა და მიზეზის აღნიშვნას ემსახურება; ხოლო მეორე ფუნქცია - მიუთითოს დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული მოქმედების მიზანი - სემანტიკურად აცდენილია ამიტომ//მაგიტომ//იმიტომ კორელატების პირველად შინაარსობრივ გააზრებას, მიზეზის ჩვენებას და რამდენადმე საზიარო სინტაქსურ ერთეულად არის ქცეული; ანუ ახალი ქართულის დონეზე დასახელებულ სინტაქსურ საშუალებებს შესწევთ უნარი, შეითავსონ როგორც მიზეზის, ისე - მიზნის ფუნქციები ისე, რომ ამ ორი განსხვავებული შინაარსობრივ-სინტაქსური წინადადების არც ფორმობრივი და არც - სემანტიკური აღრევა არ მოხდეს (ვგულისხმობთ აღრევას როგორც მოსაუბრე, ისე - მიმღები, მსმენელი პირის მიერ). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ენობრივი სიტუაცია დიაქრონიული თვალსაზრისით მაინცა და მაინც სახარბიელო არ არის, ფაქტია, რომ ენობრივი ტენდენცია ამ კუთხით არის მიმართული და ამიტომ//მაგიტომ//იმიტომ კორელატთა შინაარსობრივი ნეიტრალიზაციის ფონზე ვითარება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი -- ენის სინქრონიული მდგომარეობა დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით სწორედ ასე გამოიყურება. ვფიქრობთ, რომ ნორმატიული ენის აკრძალვის მიუხედავად, არაფერი იცვლება და ქართული ენის მიერ არჩეულ პოზიციასზე - დასახელებულ კორელატებს ორივე ფუნქციის გამოხატვა დაკისროს - ვერ შემოქმედებს. სინტაქსურ ფორმათა აღრევასთან დაკავშირებით ლ. კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ წერს: „...მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მისათითებლად მთავარში მიზნის ზმნიზედა უნდა ვიხმართ, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში კი - მიზეზისა. მაგრამ ვხვდებით ამ ზმნიზედების ერთიმეორის ნაცვლად გამოყენებას, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიხედვით დაუშვებელია“ (კვაჭაძე, 1966, გვ.402); მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს დაუშვებლობა სრულიად უძღურია იმ ენობრივი ტენდენციის მიმართ, რომელიც, ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული ენის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება.

ერთი მწერლის ენობრივი ანალიზიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად წარმოჩნდეს რეალური ვითარება ახალი ქართული ენისა. ჩვენ ასეთად გალაკტიონ ტაბიძის ენა შევარჩიეთ და „იმიტომ“//„ამიტომ“ კორელატის გამოყენების სტატისტიკასთან ერთად დასახელებულ ლექსემათა ფუნქციურ გადანაწილებასაც მივადევნეთ თვალს. აღმოჩნდა, რომ „იმიტომ“//„ამიტომ“ კორელატების გამოყენების თვალსაზრისით სურათი საკმაოდ ჭრელია და ის ორივე - მიზეზისა და მიზნის - შინაარსობრივი დატვირთვით ფუნქციონირებს (რა თქმა უნდა, კონტექსტური დატვირთვიდან გამომდინარეობს). მაგალითად:

მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებები:

„მხოლოდ იმიტომ გავიხსენე და მოგიგონე/ რომ შენში ვმარხავ მთელ არყოფილ ბედნიერებას“: გალაკტი., I, 187.

„დუმილი გახდა ვიჭრო გალია/... მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია“: გალაკტი., II, 105.

„ეგ იმიტომ, რომ მასა არ გიყვარს“: გალაკტი., III, 96.

„სიკვდილით სჯიან...მხოლოდ იმიტომ/ რომ რემედასის აღმოუჩინეს წიგნი წვერობის“: გალაკტი., IV, 65.

„არ უკოცნია, არა იმიტომ/ რომ ალერსი არ ესიამოვნა/ არამედ მისთვის, რომ შეუშინდა/ განმეორებულ კოცნათ მოწყენას“: გალაკტი., IV, 210.



„აღბად, იმიტომ ხომალდის აფრით, იღუმაღლ წყენით... ვერ მოახერხებს გული ვერაფრით“: გალაკტი, IV, 215.

„ეს იმიტომ, რომ/ უხეში გრძნობით/ უეცრად, არა/ თანდათანობით/ მიათრევს აკენებს“: გალაკტი, XI, 234.

„ისინი ცდილობდნენ, რომ ყველა ქართველი კათოლიკეები გამოეცხადებინათ სომეხ კათოლიკეებად, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი სალოცავად მიდიოდა სომხურ ეკლესიებში“: გალაკტი, XII, 43.

„მე ამის შესახებ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ეს ხელის ჩამორთმევა მეკუთვნოდა არა მე, არამედ მთელ საბჭოთა მწერლობას“: გალაკტი, XII, 127.

მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადებები:

„მე მინდა ვწერო მხოლოდ საგანზე და საგნის გამო და მე არ მინდა ვწერო მხოლოდ იმიტომ, რომ ვწერო“: გალაკტი, XII, 158.

„უცქეროდა ქვეშიდან კიბით ჩამომავალ ქალებს. ალბათ იმიტომ, რომ დაენახა შიშველი მუხლები ქალისა“: გალაკტი, XII, 309.

„ის სვამდა ღვინოს ... შეიძლება იმიტომაც, რომ ამით მოესპო სოცოცხლე“: გალაკტი, XII, 69.

„ამიტომ სწრაფად, ამიტომ მალე გადავაბიჯოთ“: გალაკტი, III, 417.

„დამაშორა ბედმა შენს მწუხარებას, შენ იმიტომ, რომ ლეონორა არ გიშლიდეს ტარებას“: გალაკტი, II, 453.

წინადადებების ფორმობრივ აგებულებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ „იმიტომ“//„ამიტომ“ კორელატა სემანტიკური დატვირთვა (გვულისხმობთ პირველად მნიშვნელობას) მნიშვნელოვნად არის შესუსტებული და ის, როგორც ლექსიკური სემანტი, ნეიტრალური ფუნქციისაა, რასაც ვერ ვიტყვით მის სინტაქსურ ფუნქციაზე - წარმოადგენდეს მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვას, რომელზედაც დამოკიდებული წინადადების შინაარსობრივ-გრამატიკული სტრუქტურა უნდა დაშენდეს. როგორც ჩანს, მთავარი წინადადების კორელატიზაცია, ანუ კორელატი გაფორმება, საკმარისად ძლიერი კოორდინატორია რთული წინადადების მოდელირების პროცესში და მის დაკარგვას ენა ძნელად თუ ეგუება. საქმე ის არის, რომ სინტაქსური თვალსაზრისით, ენობრივი პროცესი გაცილებით შორს არის წასული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. კერძოდ, მიზეზისა და მიზნის შინაარსთა განსხვავებულობის გამოხატვა არ კმაყოფილდება მხოლოდ კორელატისა და კავშირის შეწონასწორებულ ლექსიკურ-სინტაქსურ შეკავშირებასა და მათს ურთიერთმიმართებას; საზღვრები გაცილებით ფართოა და სინტაქსურ აქცენტთა შორის ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიურ ფორმას აქვს დაკისრებული. აშკარაა, რომ კონსტრუქციებში, რომლებშიც დამოკიდებული წინადადების ზმნა თუობით-სავარაუდო, ანუ ე.წ. კავშირებითობის შინაარსის შემცველია (ამ ფუნქციით ძირითადად II კავშირებითისა და II თურმეობითის ფორმები გამოიყენება), უცილობლად მიზანი გამოიხატება და არა - მიზეზი; ხოლო თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი თხრობით კილოშია მოცემული, საქმე მიზეზის გამომხატველ სტრუქტურასთან გვაქვს. საილუსტრაციოდ რომელიმე, ერთი მაგალითის განხილვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ნათქვამში დავრწმუნდეთ. ახლა განვიხილოთ კომბინაციები, რომლებიც დასაშვებია რთულ წინადადებაში მიზეზისა და მიზნის შინაარსთა გამოხატვის კუთხით.

მიზეზის წინადადებათა ვარიანტები ერთი წინადადების ფარგლებში:

- ეძინება ალბათ იმიტომ, რომ ადრე დგება (აწმყო - თხრობითი კილო);
- ეძინებოდა ალბათ იმიტომ, რომ ადრე დგებოდა (უწვევტელი - თხრობითი კილო);
- დაეძინა ალბათ იმიტომ, რომ ადრე ადგა (წვევტელი - თხრობითი კილო);
- დასძინებია ალბათ იმიტომ, რომ ადრე ამდგარა (I თურმეობითი - თხრობითი კილო).



აზრობრივ-სინტაქსურ მდინარებაში არსებითი ცვლილების შეტანის ძალა, როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის კავშირებითობის გამომხატველ ფორმას დაეკისრება, როცა კორელატი უცვლელი დარჩება (მის ცვლილებას აზრი აღარც აქვს) და მიზეზის შინაარსს მიზნისა ჩაენაცვლება:

[და]იძინებს ალბათ იმიტომ (//იმისთვის), რომ ადრე უნდა ადგეს (II კავშირებითი);

ან:

[და]იძინებს ალბათ იმიტომ (//იმისთვის), რათა ადრე ადგეს.

ამავე ტიპისა იქნება:

მიკროფონთან იმიტომ მიდის, რომ თავისი აზრი გამოხატოს.

იმიტომ [და]უბუჭდავს წერილებს, რომ სახელი მოუხვეჭოს.

მიზნის გამოხატვის ძალა აქვს II თურმეობითსაც:

ასე იმიტომ მოიქცა, რომ სხვას დაენახა.

მიკროფონთან იმიტომ მივიდა, რომ თავისი აზრი გამოეხატა.

წერილები იმიტომ დაუბუჭდა, რომ მისთვის სახელი მოეხვეჭა;

და სხვ.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ II თურმეობითის „კილო ჩვეულებრივ თხრობითია. მაგრამ ხშირია მისი გამოყენება III კავშირებითის ნაცვლადაც: იგი იხმარება ისეთი მოქმედების გადმოსაცემადაც, რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ რომელიც ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესრულებისთვის. ამ შემთხვევაში მისი კილოა არა თხრობითი, არამედ პირობითი და აქტის ელემენტი (უნახაობა) ფორმაში აღარ არის“ (შანიძე, 1980, გვ. 222). ქართულ ენაში II თურმეობითის მიერ კავშირებითის შინაარსის გადმოცემა მწკრივის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და იგი ერთი ფორმის ფარგლებში თხრობით კილოსთან იზიარებს შემასმენლის მორფოლოგიურ ფორმას. ფაქტია, რომ მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების სინტაქსური სტრუქტურა ვერ ძღვება პირობითი, სათუო-სავარაუდო შინაარსის გამომხატველ ფორმათა გარეშე და რთული, როგორც მთელი, წინადადების მოდელირებისას განსაკუთრებულ სინტაქსურ აქცენტს თავის თავზე იღებს; თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში მთავარი წინადადებისა და მისი კორელატის გრამატიკული შესაძლებლობა, მათი ენობრივი პოტენცია მაკოორდინირებელი სინტაქსურ-აზრობრივი ელემენტის ფუნქციას ასრულებს და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის ფორმას სწორედ ის მართავს. მიზნის სემანტიკა დამოკიდებულ წინადადებაში ზმნით გამოხატული მოქმედების თუობითობას განსაზღვრავს და ამით მთქმელის მიერ მისი შესრულების ალბათობის დაშვებას აფიქსირებს - შესრულდება კი დასახული მიზანი? - ასე უყურებს ენობრივი აზროვნება მიზნის გარემოებით დამოკიდებული რთული წინადადების ლოგიკას და სინტაქსურ ფორმასაც დასახელებულ შინაარსს უსადაგებს - დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითის ფორმას მიმართავს.

ცალსახად ცხადია, რომ ქართულ ენას რთული წინადადების ფარგლებში მიზნის გამოხატვის საკუთარი, მყარად ჩამოყალიბებული სტრუქტურა აქვს, რასაც მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელთან შეწონასწორებული (შეფარდებული) დამოკიდებული წინადადების ზმნის კავშირებითობა შეაპირობებს. ფაქტია, რომ სიტყვათშეხამების ამ ფაქტორს იმდენად ძლიერი სინტაქსური შესაძლებლობა აქვს, რომ კორელატების ჩანაცვლება-აღრვეის პროცესი (ვგულისხმობთ მიზნის კორელატების მიზეზის კორელატებით ჩანაცვლებას) როგორც ზეპირ, ისე სამწერლობო ენაში უმტკივნეულოდ მიდის და დღეს სასაუბრო მეტყველებაში „იმიტომ“ მისათითებელი ზმნიზედის მიზნის



ფუნქციით გამოყენების სტატისტიკა, სავარაუდოდ, რამდენადმე აღემატება კიდევ „იმისთვის“//„ამისთვის“ კორელატთა ხმარებას. მაგ.:

შარშან ინგლისში იმიტომ გავემგზავრე, რომ მოხსენება წამეკითხა.

ან:

მიწა საგულდაგულოდ იმიტომ დავბარე, რომ კარგი კარტოფილი მოვიყვანო (ან: მომეყვანა);

და მისთ.

რა თქმა უნდა, დასახელებული პროცესი კითხვით წინადადებებში კითხვითი სიტყვების აღრევის მიზეზიც ხდება: რატომ მიდიხარ? - საქმის გასაკეთებლად (ე.ი. იმიტომ რომ საქმე გავაკეთო); უნდა იყოს: რისთვის მიდიხარ? - საქმის გასაკეთებლად (ან: იმისთვის, რომ საქმე გავაკეთო).

უნდა ითქვას, რომ ფუნქციური გადანაწილების ამგვარი შემთხვევა დიაქრონიული თვალსაზრისით ქართული ენის მასალაში ერთადერთი არ არის, მაგალითად, ისტორიულად დროის აღმნიშვნელი „რახან“ დღეს მიზეზს გამოხატავს. ფ. ერთელიშვილი წერს: „ამ ზმნიზედის შედგენილობა მარტივია: რა-ხან. ხან აქ „ხან“-ს, „დროს“ ნიშნავს; მაშასადამე, თავდაპირველად რახან ზმნიზედა დროის აღმნიშვნელი ყოფილა, მას „როცა, როდესაც“ ზმნიზედის სინონიმური მნიშვნელობა ჰქონია... საშუალ ქართულში იძენს ის მიზეზის ზმნიზედის მნიშვნელობას, ზოგჯერ კი ძნელი გასარჩევად არის რა ფუნქციითაა ის ნახმარი წინადადებაში - დროისა თუ მიზეზის ფუნქციით“ (ერთელიშვილი, 1963, გვ. 177). ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულის დონეზე „რახან“ ზმნიზედის გამოყენება დროის მნიშვნელობით ფაქტობრივ არც ხდება. იგი მხოლოდ და მხოლოდ მიზეზს აღნიშნავს და, მიუხედავად დიაქრონიულად სრულიად განსხვავებული ფუნქციისა (აღნიშნა დრო), მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში „რადგან“ ფორმის გვერდით საკმაოდ პროდუქტიულად ფუნქციონირებს. მაგ.,

„ტალღებისაკენ/ მკერდმიშვერილი/ დაიდრა, რახან/ ჰგავს ახალთ-ახალ/ წიგნს, სულ ეხლახან/ რომ დაწერილა“: გალაკტი, XI, 25.

შდრ.: დროის ფუნქციის მქონე „რა ხანი ა“ [//„რა დრო ა“] -ს;

„ჩემ მიერ განცხადება მიცემულია რახანია და ის ამბობს სულ: ხვალ! ხვალ“: გალაკტი, XII, 367.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მიზეზისა და მიზნის ფუნქციითა გამოხატვის აღრევა რთული წინადადების ფარგლებში თანამედროვე ეტაპზე დაწყებულ მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. ჰაგიოგრაფიული თხზულების - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ (Xს.) - ერთ ეპიზოდში ვკითხულობთ:

„არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათჳს ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათჳს, რამეთუ თჳნიერ განზრახვისა მათისა მძღაჲრ სამცხისა ერთი ძჳ თჳსი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა“ („ხანძთელის ცხოვრება“, 1946, გვ. 129).

„მაშინ მიზეზისათჳს ზაკუვით მოსთხოვა სანატრელსა ამას მეფესა დაჲ ერთი, სახელით ელენე, რამეთუ შუწნიერებისა და უზომოდსა სიკეთისა მისისათჳს ჳმა-განსმენილ იყო. რამეთუ ჰგონებდა მძღაჲრი იგი არა მიცემასა მისსა ქრისტიანობითა მიზეზითა“ (XVIIIს. „ლუარსაბის მარტვილობა“, 1946, გვ. 410).

ორივე ზემოთ მოყვანილ მაგალითში -თვის თანდებულებიანი ფორმების გამოყენება მოქმედების მიზნის გამომხატველი უნდა იყოს, არადა საქმე მიზეზთან რომ გვაქვს, ამაზე, ერთი მხრივ, „რამეთუ“ კავშირი, ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი სახელი „მიზეზი“ - მიუთითებს. ამრიგად, უკვე ძველ ქართულსა და გვიანდელ სალიტერატურო ენაში მიზეზ-მიზნობრიობის აღნიშვნა საკმაოდ არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს და ქვეწყობის პროცესში მიზეზისა და მიზნის გრამატიკულ საშუალებათა ჩანაცვლება უცხო ნამდვილად არ არის.

ახლა მოვიყვანოთ მაგალითს, რომელშიც -თვის თანდებულის გარეშე ხდება მიზეზის გამოხატვა:

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



„დაენერგა... და ჭეშმარიტად გულსმოდგინებისა თქვენისა საქმე, რამეთუ მცირითა მით მიზეხითა, რომელი იყო დამტკიცებულ გულთა თქვენთა სარწმუნოებად, გამოაცხადეთ იგი უღმრთოთა ზედა“ (IX ს. „კონსტანტი კახი“, 1946, გვ. 79).

ამასთან, ძველ ქართულში -თვის თანდებული შინაარსობრივად ზოგჯერ -გამო ს ბადალი გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებაა:

„ხოლო წმიდასა მას ენება, რადთა ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშწნა ეკლესიად. და ძმად მისი იოვანე და სხუანი ძმანი იტყოდეს: „ნუ , წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს და ძმანი ესე შიშუელ და გლახაკ“. რომლისათვისცა იქმნა ცილობად შორის მათსა...“ („ზარზმელის ცხოვრება“, 1946, გვ. 94).

„ხოლო ამასა ნეტარსა დადაცათუ აქუნდა სიყუარული მდღელობისად, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათვის ჰასაკისა მისისა“ („ხანძთელის ცხოვრება“, 1946, გვ. 101).

ამრიგად, დიაქრონიულმა სურათმაც ნათლად გვაჩვენა ის, რომ მიზეხისა და მიზნის ფუნქციათა გამოხატვა არც ძველი ქართული სამწერლობო ენის დონეზე წარმოადგენდა მოწესრიგებულ სისტემას. დანიშნულების ფუნქციის მქონე -თვის თანდებული -გამო თანდებულს თავისუფლად ენაცვლებოდა, თავად -გამო კი გამოყენების თვალსაზრისით რამდენადმე შევიწროვებულ იყო. „გამო - აღნიშნავს მიზეხს: ავადმყოფობის გამო, სიკვდილის გამო და სხვ., ზოგჯერ უდრის „შესახებ“-ს: ამ საქმის გამო, მოლაპარაკების გამო და მისთ.“,- წერს აკ. შანიძე (შანიძე, 1980, გვ. 602).

-გამო თანდებულის -თვის თანდებულით ჩანაცვლების ძველქართულისეული ენობრივი მონაცემი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მიზნისა და მიზეხის გამომხატველ საშუალებათა ერთგვაროვნება დასაშვებ ენობრივ სემანტიკურ ფარგლებში იჯდა და შინაარსთა გადმოცემის პროცესს არ აფერხებდა.

ამრიგად, „იმიტომ“//„ამიტომ“ კორელატთა მიზნის ფუნქციით გამოყენების თანამედროვე შემთხვევა ქართული ენის საერთო ტენდენციის ამსახველ მოვლენად უფრო უნდა განვიხილოთ, ვიდრე - კონკრეტულ ენობრივ კანონდარდვევად. დღეს ის მიზეხისა და მიზნის ფუნქციათა საზიარო მისათითებელ ზმნიზედად არის ქცეული, აქტიურად მონაწილეობს როგორც ერთი სახეობის (მიზეხის), ისე - მეორე შინაარსობრივ-სინტაქსური სტრუქტურის (მიზნის) შექმნის პროცესში და ნორმათა აკრძალვის მიუხედავად, საკუთარ პოზიციას არ თმობს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ერთელიშვილი, 1963 - ერთელიშვილი ფ., რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში (ჰიპოტაქსის საკითხები), თბ., 1963, თსუ გამომცემლობა.
კვაჭაძე, 1966 - კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გამომც. „განათლება“.
როგავა, 1948 - როგავა გ., ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 8, ქუთაისი, 1948.
შანიძე, 1980 - შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ.3, თბ., 1980, თსუ გამომცემლობა.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



გამოყენებული წყაროები:

- გალაკტიონი, 1966-1975 - გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.1, თ., 1966; ტ.2, 1966; ტ.3, 1966, ტ.4, 1966, ტ.9, 1973, ტ.10, 1975, თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
- „ზარზმელის ცხოვრება“, 1946 - ბასილ ზარზმელი - „ცხოვრება და მოქალაქეობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“, კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ), თბ., 1946, გვ. 86-98, თსუ გამომცემლობა.
- „კონსტანტი კახი“, 1946 - “ანონიმი ავტორი - „ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კონსტანტისი ქართველისა, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარისა მიერ“, კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ), თბ., 1946, გვ. 407-416, თსუ გამომცემლობა.
- „ღუარსაბის მარტვილობა“, 1946 - ბესარიონ კათალიკოზი - ღუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ღუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოდსა მიერ, სპარსთა მეფისა“, კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ), თბ., 1946, გვ. 407-416, თსუ გამომცემლობა.
- „ხანძთელის ცხოვრება“, 1946 - გიორგი მერჩულე - ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ), თბ., 1946, გვ. 44-53, თსუ გამომცემლობა.



რამაზ ქურდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ერთი სახის დერივატთა წარმოების სამართო წესის შესახებ ქართულსა და ინგლისურში

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ზმნური ფორმაწარმოებისა და ერთი ტიპის სიტყვაწარმოების ტიპოლოგიური მსგავსებანი ქართულსა და ინგლისურ ენებში, რის გათვალისწინებაც ერთგვარად გააადვილებს ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის სწავლებას ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.

ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის სწავლებას არც ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. არსებობს სპეციალური სახელმძღვანელოები და მეთოდური მითითებანი ამ მიმართულებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა საკითხი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და ქართული გრამატიკის სწავლების ბევრი უბანი ჯერ კიდევ მოითხოვს შემდგომ დამუშავებას ამ მიმართულებით. ეს მით უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც ქართულის, როგორც მეორე (უცხო) ენის სწავლების დროს არაქართველ სტუდენტთა მშობლიური ენის როლს ვითვალისწინებთ. ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ტიპოლოგიურ მსგავსებათა გამოვლენა ქართულ ენასა და შემსწავლელთა მშობლიურ ენას შორის.

ჩვენს ნაშრომში დასმული საკითხები მეორე ენის სწავლების მეთოდებს ეხება. აქ ერთი კონკრეტული ტიპოლოგიური მაგალითის მიხედვით ნაჩვენებია, თუ რას უნდა ითვალისწინებდეს მასწავლებელი, როგორ უნდა ხსნიდეს თეორიულ მასალას, რაზეც შედეგ უნდა აფუძნებდეს პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს.

ცნობილია, რომ ტიპოლოგიურ მსგავსებათა ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორე ენის სწავლების დროს. მშობლიურ ენასა და შესასწავლ (ანუ სამიზნე) ენას შორის გამოვლენილ ტიპოლოგიურ მსგავსებებს მნიშვნელოვნად შეუძლიათ გააადვილონ ენის სწავლება.

ჩვენი ნაშრომი გამიზნულია ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის. კერძოდ, ჩვენ ერთი ტიპის დერივატთა წარმოების საერთო წესს განვიხილავთ ქართულსა და ინგლისურში, რაც, ვფიქრობთ, უფრო გასაგებს და ადვილად შესასწავლს გახდის ქართული სიტყვაწარმოების ნიმუშებს. აქვე ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ინგლისურენოვან სტუდენტთა შორის უშუალოდ პრაქტიკული ქართულის შემსწავლელთა გარდა, არიან ლინგვისტი სტუდენტებიც, რომელთათვისაც ქართული ენის ტიპოლოგიურ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი სანალიზო სიტყვაწარმოების ნიმუშები როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში ზმნური წარმოშობის დერივატებია. თვით ეს ფაქტიც უაღრესად საინტერესოა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების თვალსაზრისით, რადგან, როგორც ამას ადრევე აღვნიშნავდით, ზმნურ ფორმათა წარმოების წესშიც მეტად საინტერესო ტიპოლოგიური მსგავსება შეინიშნება ქართულსა და ინგლისურ ენებს შორის. ზემოთ აღნიშნული დერივატების განხილვა გვინდა დავიწყოთ სწორედ ქართული და ინგლისური ზმნური ფორმების ტიპოლოგიური მსგავსებით, რადგანაც ეს დერივატები ორსავე ენაში გარკვეული ტიპის ზმნურ ფორმებს ემყარება.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



ნებისმიერ ენას ზმნურ ფორმათა დაჯგუფების თავისი პრინციპები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული და ინგლისური სხვადასხვა ოჯახის ენებია, ამ ენათა ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას ერთგვარი ტიპოლოგიური მსგავსება გვხვდება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ორსავე ენაში ფუძისეულ ხმოვანმონაცვლეობას ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას გაბატონებული მდგომარეობა უნდა ჰქონოდა ამ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურზე.

კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფუძისეული ხმოვნის აბლაუტური მონაცვლეობა. აბლაუტი ქართულში, მსგავსად ინდო-ევროპული ენებისა, მორფოლოგიური ფუნქციის მქონეა, იგი გამოყენებულია სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიის საწარმოებლად, ე. ი. ასეთი ხმოვანთმონაცვლეობა ფუნქციურად აფიქსებს უტოლდება. ამდენად, აბლაუტის სხვადასხვა საფეხური შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიათა საწარმოებლად გამოყენებული დამატებითი მორფემები ძირითად მორფემებთან (აფიქსებთან) ერთად (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 175-179).

დღეისათვის ქართული ზმნის უღლება ფაქტობრივად აწმყო-წყვეტილის თემათა წარმოების ორ წესს ექვემდებარება: 1. აფიქსურს (კერძოდ, სუფიქსურს). აწმყოსა და მასზე დამყარებულ ფორმებს აწარმოებენ თემატური სუფიქსები: -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ; 2. ფუძის ხმოვნის ფუნქციონალურ მონაცვლეობას - აბლაუტს (აწმყოს ფუძეში - ე, აირისტში - ი; ან აწმყოს ფუძეში - 0, აორისტში - ა ან ე). პირველი სისტემა გაბატონებულია და ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავს, მეორე კი, ისტორიულად გავრცელებული, დღეს იშვიათია. თანამედროვე ქართულში აშკარაა ტენდენცია „ზმნის უღლების სისტემაში ოდესღაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობის ნაშთების გადაშენებისა და თემათა განსხვავების ერთიან, აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა“ (მელიქიშვილი, 1979, 84).

თანამედროვე ქართულში აფიქსური წარმოების მაგალითისათვის შეგვიძლია ნებისმიერი თემატური ფუძე დავასახელოთ, მაგ.: ხატ-ავ-ს / დახატ-ა, ხოლო აბლაუტური წარმოებისათვის - ე. წ. დრეკადი, ე - ი მონაცვლეობის დრეკ-ს / დრიკ-ა და კუმშვადი 0 - ა / ე მონაცვლეობის თლ-ი-ს / (გა)თალ-ა, ვ-ჭრ-ი / (გა)-ვ-ჭერ-ი ფუძეები.

მსგავსი ტენდენცია გვაქვს ინგლისურშიც. კერძოდ, თანამედროვე ინგლისური ზმნა ძირითადად ორი გრამატიკული ჯგუფით წარმოდგება. ერთი, რომელიც აფიქსაციით იწარმოება, და მეორე, რომელიც წარმოების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

პირველს, რეგულარულ (წესიერ) ზმნებს ისტორიულად სუსტ ზმნებს უწოდებენ, ეს ზმნები ნამყოს და ნამყო დროის მიმდევობას -ed სუფიქსით აწარმოებენ: to paint - ხატვა, paint-ed - (მან) დახატა, paint-ed - დახატული.

არარეგულარულ (არაწესიერ) ზმნებს ისტორიულად ძლიერ ზმნებს უწოდებენ, ფორმაცვალების დროს ესენი არ მისდევენ ზემოაღნიშნულ აფიქსურ წესს და წარმოების მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. ორ ასეულამდე არარეგულარულ ზმნას ასახელებენ, რომელთაც შემდეგნაირად აჯგუფებენ:

1. არარეგულარული ზმნები, რომელთაც სამი მთავარი ფორმიდან (საწყისი ფორმა - ინფინიტივი, ნამყო და ნამყოს მიმდევობა) სამივე სხვადასხვა აქვთ: speak - spoke - spoken - ლაპარაკი.
2. არარეგულარული ზმნები, რომელთაც ზემოაღნიშნული სამი მთავარი ფორმიდან ორი იდენტურია. ამ შემთხვევაში სამ ქვეჯგუფს გამოყოფენ: ა) ნამყო და ნამყოს მიმდევობა იდენტურია, ხოლო ინფინიტივი კი განსხვავებული: bring - brought - brought - მოტანა, ბ) ინფინიტივი და ნამყოს მიმდევობა იდენტურია, ხოლო ნამყო განსხვავებული: come - came - come - მოსვლა, გ) ინფინიტივისა და ნამყოს ფორმები იდენტურია, ნამყოს მიმდევობა კი განსხვავებული: beat - beat - beaten - ცემა.
3. არარეგულარული ზმნები, რომელთა ზემოაღნიშნული სამივე ფორმა იდენტურია: put - put - put - დადება.

ზმნათა დიდი უმრავლესობა ინგლისურში რეგულარული წარმოების აფიქსურ წესს მიჰყვება (გოქსაძე, მამაცაშვილი, გიგინეიშვილი, 1992, 89-91).



საყურადღებოა, რომ ინგლისურ არარეგულარულ ზმნათა დიდი ნაწილი ზემოაღნიშნულ მთავარ ფორმებს: ინფინიტივს, ნამყოს და ნამყოს მიმღეობას ხმოვანთა მონაცვლეობით განარჩევს, ის ზემოთ: speak - spoke - spoken და სხვ.

ამრიგად, აქ უკვე ვლინდება პირველი ტიპოლოგიური მსგავსება ქართულსა და ინგლისურ ზმნურ ფორმაწარმოებას შორის. სახელდობრ, ორსავე შემთხვევაში ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ზმნურ ფორმათა გასარჩევად ზმანთა გარკვეული ნაწილისათვის გამოყენებულია ხმოვანმონაცვლეობა, რომელიც შემდეგ აფიქსურმა წარმოებამ შეცვალა. აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც აფიქსური, ასევე აბლაუტური წარმოების წესები ქართულსა და ინგლისურში სხვადასხვაა.

მაშასადამე, ზმნურ ფორმათა წარმოების აბლაუტური წესი დღეისათვის ორივე ენაში ნაშთის სახით არის შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსება თვით ქართული და ინგლისური ხმოვანმონაცვლე ზმნების მთავარ ფორმათა წარმოებაშიც შეინიშნება. კერძოდ, ქართული ე - ი ტიპის დრეკადი და 0 - ა / ე ტიპის კუმშვადი ზმნების ნამყოს მიმღეობა ემყარება იმ ფუძეს, რომელიც წარმოდგენილია აწმყოს ფორმებსა და საწყისში (და არა ნამყოში):

ა) ე - ი ტიპის დრეკადი ფუძეები:

აწმყო	ნამყო	საწყისი	ნამყოს მიმღეობა
გლეჯ-ს	გლიჯ-ა	გლეჯ-ა	და-გლეჯ-ილ-ი
დრეკ-ს	დრიკ-ა	დრეკ-ა	გა-დრეკ-ილ-ი
კრეფ-ს	კრიფ-ა	კრეფ-ა	და-კრეფ-ილ-ი

ბ) 0 - ა / ე ტიპის კუმშვადი ფუძეები:

აწმყო	ნამყო	საწყისი	ნამყოს მიმღეობა
შლ-ი-ს	გა-შალ-ა	შლ-ა	გა-შლ-ილ-ი
ვ-ცრ-ი	გა-ვ-ცერ-ი	ცრ-ა	გა-ცრ-ილ-ი

ეს წარმოება ერთგვარ ანალოგს პოულობს ინგლისურ ენაში. კერძოდ, ინგლისურ არარეგულარულ ზმნათა ნაწილი ნამყოს მიმღეობაში წარმოგვიდგენს იმ ფუძეს, რომელიც გამოყენებულია ამავე ფორმათა ინფინიტივში და არა ნამყოში:

ა) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვნიანი ფუძე, რაც ინფინიტივშია, ბოლოს კი ემატება -en დაბოლოება. ამ შემთხვევაში სამივე ფორმა სხვადასხვაა.

ინფინიტივი	ნამყო	ნამყოს მიმღეობა
to give	gave	given მიცემა
to eat	ate	eaten ჭამა
to see	saw	seen დანახვა

ბ) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვნიანი ფუძე, რაც ინფინიტივშია, მაგრამ არ ემატება -en დაბოლოება. ამ შემთხვევაში ორი ფორმა – ინფინიტივი და ნამყოს მიმღეობა იდენტურია.

ინფინიტივი	ნამყო	ნამყოს მიმღეობა
to become	became	become გახდომა
to come	came	came მოსვლა
to run	ran	run სიარული



საინტერესოა, რომ ინგლისურში ვხვდებით არარეგულარულ ზმნათა ნამყო დროის მიმდებარეობებს იმ ხმოვნიანი ფუძით, რაც ნამყოში გვაქვს და არა ინფინიტივში. ასეთი მიმდებარეობები გვხვდება როგორც -en სუფიქსით, ასევე მის გარეშე: speak - spoke - spoken - ლაპარაკი; wear - wore - worn - ტარება, ხმარება.

ამისი ანალოგის დასახელებაც შეიძლება ქართული ხმოვანმონაცვლე ზმნების მაგალითზე, ეს იმ შემთხვევაში, თუ ხმოვანმონაცვლე ზმნებს აწმყოს ფორმებში პარალელური ვარიანტები მოეპოვება: კრეფ-ს, კრეფ-ავ-ს, კრიფ-ავ-ს, რასაც შემდეგ ემყარება საწყისი და მიმდებარეობა: კერძოდ, ქართული დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით ხმოვანმონაცვლე ზმნების შემდეგი ი ხმოვნიანი ფუძის მქონე მიმდებარეობაც დასტურდება: გა-კრიფ-ულ-ი, შდრ. ნამყო: (მო)კრიფა და სხვ. (ქურდაძე, 2005, 114).

საყურადღებოა, რომ როგორც ქართულში ასევე ინგლისურში ხმოვანმონაცვლე ზმნათა მთავარ ფორმებში გამოვლენილი აბლაუტის სხვადასხვა საფეხურიანი, ანუ სხვადასხვა ხმოვნიანი ფუძე გამოყენებულია სახელთა სიტყვაწარმოებითი ფუნქციით.

სახელდობრ, ქართულში გვაქვს სახელები, რომლებიც ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლე ზმნათა აწმყოსა და მასზე დამყარებულ ფორმათა ფუძეებიდან. კერძოდ, ე ხმოვნიანი ფუძეებიდან იწარმოება. მაგ.:

დენი (ადენს - აღინა ზმნიდან),

ზნეკი (ზნექს - ზნიქა ზმნიდან),

წნეხი (წნეხს - წნიხა ზმნიდან) და სხვ.

სახელები, რომლებიც ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნამყოს ფუძეებიდან, ი ხმოვნიანი ფუძეებიდან იწარმოება. მაგ.:

ბზიკი (ბზეკს - ბზიკა ზმნიდან),

ლხინი (ალხენს - აღხინა ზმნიდან),

ცქვიტი (ცქვეტს - ცქვიტა ზმნიდან) და სხვ.

ამ სახელთა წარმოების თავისებურებანი და სრული სია ქართულში წარმოდგენილი გვაქვს ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა ინდექსში, რომელიც ერთვის ჩვენსავე ნაშრომს „ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში“ (ქურდაძე, 2005).

ასეთივე ვითარება დასტურდება ინგლისურ ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა მიხედვითაც. კერძოდ, გვაქვს სახელები, რომლებიც ემყარება ხმოვანმონაცვლე ზმნათა ინფინიტივის ფუძეს, რომელიც ასევე აწმყო-მყოფადის ფორმების საწარმოებლად გამოიყენება. მაგ.:

Blow ტრაბახი, კოკაინი (ჟარგ.), (blow - Blew ზმნიდან, რაც ბერვას ნიშნავს);

Drive გზა, (drive - დროვე ზმნიდან, რაც წაყვანას, მგზავრობას, გარეკვას, მანქანის ტარებას ნიშნავს);

Eat საჭმელი, (eat - ate - ჭამა ზმნიდან);

Fall შემოდგომა (fall - fell - დაცემა, ჩამოვარდნა ზმნიდან) და სხვ.

ინფინიტივის ფუძის მქონე დერივატების არსებობა ინგლისურში არ არის გასაკვირი (ისევე, როგორც ქართულში საწყისისა და აწმყოს ფუძის მქონე დერივატების არსებობა), რადგან ინფინიტივი ზმნის უპირო ფორმაა და ამდენად უკვე სახელური თვისების მატარებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ზოგ ასეთ ფორმას დერივატები მოეპოვება ნამყოს ფუძითაც. მაგალითად,

Broke უფულობა, უსახსრობა (break - broke - გატეხვა ზმნიდან);

Chose კერძო საკუთრების ნაწილი, ნივთი (choose - chose - ამორჩევა ზმნიდან);

Struck დახურული ან მუშათა გაფიცვას დამორჩილებული ფაბრიკა, ან ასეთი ფაბრიკის თანამშრომელი (strike - struck - გაფიცვა) და სხვ.

ზემოაღნიშნულ ინგლისურ დერივატებს სხვადასხვა მნიშვნელობები აქვთ. ეს მაგალითები ჩვენ ინტერნეტში არსებული ლექსიკონიდან მოგვყავს. იხ.: <http://www.merriam-webster.com/dictionary/drive>



მსგავსი დერივატები სხვა არახმოვანმონაცვლე არარეგულარულ ინგლისურ ზმნებსაც მოეპოვება. საერთოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოსავლენი და აღსაწერია ასეთი დერივატების სრული სია ინგლისურში. რა თქმა უნდა, ასეთი დერივატების სრული აღწერა და შესაბამის ზმნურ ფორმებთან მიმართებათა გარკვევა აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია ინგლისურისათვის. ამასთანავე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისური ენის მრავალი დიალექტური ნაირსახეობა არსებობს დღეისათვის მსოფლიოში, სავარაუდოა, რომ ამგვარ დერივატთა რაოდენობა და სემანტიკური მრავალფეროვნება კიდევ უფრო გაიზრდება.

ბუნებრივია, აღნიშნულ ინგლისურ დერივატთა სრული ანალიზი ერთ სტატიაში ვერ მოხერხდება და, ფაქტობრივად, ეს არცაა ჩვენი მიზანი.

ჩვენი ნაშრომი ინგლისურენოვან სტუდენტთათვის ქართულის სწავლებას ეხება და მასში ქართულ და ინგლისურ ზმნური ფორმაწარმოების საერთო ტენდენციების საფუძველზე გამოვლენილია ერთი ტიპის ტიპოლოგიურად მსგავსი სიტყვაწარმოება ქართულსა და ინგლისურში. ვფიქრობთ, ქართული ენის მასწავლებელს შეუძლია ეს მსგავსება ეფექტურად გამოიყენოს ინგლისურენოვან სტუდენტებთან მუშაობისას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1965.
- გოქსაძე, მამაცაშვილი, გიგინეიშვილი, 1992 - ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის კურსი, წიგნი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992.
- ინტერნეტში არსებული ინგლისური ენის ლექსიკონი, “ვებსტერი”, <http://www.merriam-webster.com/dictionary/drive>
- მელიქიშვილი, 1979 - დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. № 1, თბ., 1979.
- ქურდაძე, 2005 - რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.



რუსუდან ზეკლაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქართული ზმნების კლასიფიკაცია ბერმანშლენოვან სახელმძღვანელოებში

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ქართული ზმნების კლასიფიკაციის საკითხი უცხოელებისთვის შედგენილ გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში და გამოვლენილია მათ შორის განსხვავება-მსგავსება. კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავალში“ და ჰაინც ფენრიხის „ქართული ენის მოკლე გრამატიკაში“, აკაკი შანიძის მსგავსად, ზმნათა საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია გვარი, თუმცა მათ შეხედულებებში სხვაობაც შეინიშნება. კიტა ჩხენკელის სახელმძღვანელოსა და ლექსიკონში წარმოდგენილია ზმნათა ინდექსაციის სისტემა, რომელიც ეყრდნობა გარდამავლობას, გვარსა და სხვა ზმნურ კატეგორიებს. ხაზგასმულია, რომ კიტა ჩხენკელი უღლების მეხუთე ტიპად გამოყოფს ირიბ (ინვერსიულ) ზმნებს. ყურადღებაა გამახვილებული ზმნური კატეგორიების სწავლების თანამიმდევრობაზე ამ ავტორთან. ჰაინც ფენრიხის ნაშრომის ერთ-ერთ დამსახურებად ჩათვლილია ზმნის აგებულებაში ფორმანტთა ერთიანი სქემის წარმოდგენა და ზმნების კლასიფიკაციაში განსხვავებული შეხედულების ასახვა (აქვს/ჰყავს ტიპის ზმნათა ინვერსიულობის აღიარება, მედიოაქტივთა მოთავსება აქტიურ ზმნათა რიგში).

ნაშრომში გაანალიზებულია ზმნების კლასიფიკაცია აბულაძე&ლუდენის სახელმძღვანელოსა და ზმნურ ტაბულებში (ხოტივარი-იუნგერი&მელიქიშვილი&ვიტკეი), რომლებშიც გამოყოფილია უღლების სამი ტიპი, დ. მელიქიშვილის დიათეზების მიხედვით. ამ კლასიფიკაციის საფუძველია არა მარტო ზმნების მორფოლოგიური აგებულება (სტრუქტურა), არამედ სინტაქსური კონსტრუქცია (სუბიექტის ბრუნვა და ვალენტობა). ბოლოს ხაზგასმულია, რამდენად მნიშვნელოვანია ზმნების ინდექსაციისა და პარადიგმების თანამიმდევრული სისტემის ჩამოყალიბება უცხოელთათვის ქართული ენის სწავლებაში.

ევროპელთა დაინტერესებას ქართული ენით ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ შემსწავლელებს ყოველთვის განსაკუთრებით უჭირთ ქართული ზმნების მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ სირთულეებში გარკვევა. უცხოელები ხშირად ვერ ახერხებენ ზმნების დამოუკიდებლად უღლებას ან უღლებადი ფორმების სწორად ამოცნობას.

ამ სირთულეების გამო XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ქართული ზმნა ჯერაც ჩამოუყალიბებელია, მისი შესწავლა და გაგება შეუძლებელია, უღლებაში არავითარი სისტემა არ შეინიშნება და ბევრ საკვანძო საკითხზე ერთმანეთში გრამატიკოსებიც ვერ შეთანხმებულან (ღირი, 2004, გვ. 3; ჩხენკელი, 1958, 1, გვ. XXXI). გარდა ამისა, გერმანელი მეცნიერი ადოლფ ღირი წუხდა: „უცნაურია და ძალიან დასანანი, რომ სწორედ კავკასიური ენებია ასე ნაკლებად შესწავლილი და ლინგვისტთა

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



უმრავლესობისთვის „ტერა ინკონიტა“-ს წარმოადგენს... კავკასიურ ენათა შესწავლა მოგვცემს გასაღებს ბევრი ისტორიული, მაგრამ ნაკლებად ცნობილი ენის წვდომისთვის“ (ღირი, 2004, გვ. VII; ჩხენკელი, 1958, 1, გვ. XXIII). მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ სწორედ ზმნის სწავლება უქმნის დღესაც ყველაზე მეტ თავსატეხს სახელმძღვანელოს შემდგენლებს არაქართველთათვის, რადგან ძნელია, მარტივად და გასაგებად აიხსნას ზმნური კატეგორიები, მათი წარმოება და ფუნქციები. სწავლებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქართული ზმნების სწორი კლასიფიკაცია, რადგან ეს იძლევა ზმნის ფორმაცვლილების გასაღებს.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გერმანიაში შედგენილი სასწავლო მასალის მიმოხილვა ამ თვალსაზრისით. ცნობილია ქართული ენის რამდენიმე გერმანულენოვანი სახელმძღვანელო: კიტა ჩხენკელის, ჰაინც ფენრიხის, ლია აბულაძისა და ანდრეას ლუდენის, შტეფი ხოტივარი-იურგენის, დამანა მელიქიშვილისა და ლია ვიტკის. ამ წიგნებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ზმნების დახასიათებას, უღლებასა და კლასიფიკაციას. ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა ავტორის კლასიფიკაცია განსხვავებულია, რადგან თვით ამოსავალი პრინციპი განსხვავდება.

კიტა ჩხენკელმა 1958 წელს შვეიცარიაში გამოსცა „ქართული ენის შესავალი“ და გააცნო ევროპელებს ჩვენი ენის გრამატიკული სისტემა. საყურადღებოა მისი შენიშვნა: „ქართული ზმნის კლასიფიკაცია მხოლოდ მისი სხვადასხვაგვარი შინაგანი შინაარსის მიხედვით მოუხერხებელია“ (ჩხენკელი, 1960-1965, გვ. XXIV). ამიტომ მეცნიერი უპირატესობას ანიჭებს ფორმობრივ მხარეს, როცა ზმნა შინაარსით გარდაუვალია, ფორმით კი გარდამავალს ჰგავს (მაგ., ვამთქნარებ, დავამთქნარებ) ანდა შინაარსით გარდამავალი ზმნა - გარდაუვალს (ვიყიდულობ - ვიყიდი). ასეთ შემთხვევებში ზმნა დახასიათებულია ფორმის მიხედვით.

ავტორი ქართულში გამოყოფს ზმნების ორ ძირითად კლასს (Verbarten, Verbklassen): I. გარდამავალსა და II. გარდაუვალს. გარდაუვალში, თავის მხრივ, შეჰყავს ოთხი ქვეჯგუფი: პასივები (Passiva), საშუალო ზმნების (Mittelverben) აბსოლუტური და რელატიური ფორმები, მდგომარეობის პასივები (Zustandspassiva) და ინვერსიული ზმნები (Indirekte Verben). ეს კლასიფიკაცია ჰგავს აკ. შანიძისეულს, მაგრამ არ იმეორებს მას ზუსტად, რადგან ცალკეა გამოყოფილი ირიბი (ობიექტური ანუ ინვერსიული) ზმნები. უღლების ტიპი ხუთია, ხოლო ქვეტიპები გამოყოფილია ქცევის, სიტუაციის, ირიბობიექტური პირის ნიშნებისა და კაუზატივის მარკერების მიხედვით. სიმბოლოებად შერჩეულია ლათინურიდან ნასესხები სათანადო გერმანული ტერმინის პირველი ასოები (იხ. სქემა 1):

I უღლება - გარდამავალი ზმნები (Transitive Verben): თ1 - საარვისო ქცევა: წერს, აკეთებს, ასხამს; თ2 - სათავისო ქცევა: იწერს, იკეთებს, ისხამს; თ3 - სასხვისო ქცევა: უწერს, უკეთებს, უსხამს; თ4 - საზედაო (სათანაო) სიტუაცია: დააწერს, მოასხამს; თ5 - ირიბობიექტური პირის ნიშნის: მისწერს; V - კაუზატიური ზმნები: აწერინებს, აკეთებინებს, მოასხმევინებს, აშენებინებს...

II უღლება - ე. წ. დინამიკური ვნებითის ზმნები (Passive Verben):


აბსოლუტური (ერთპირიანი) ფორმები: 1 - ინიანი: იწერება, იპარება, იბადება; 2 - დონიანი: თეთრდება, სახელდება, ბერდება, შავდება; 3 - ებიანი (უნიშნო): კვდება, შრება, თბება.



რელატიური (ორპირიანი) ფორმები: RP1 - ენიანი: ემალება, ეპარება, ებადება; RP2 - ირიბობიექტური პირის ნიშნიანი: სცილდება, სჯერდება, ჰბარდება; RP3 - სასხვისო ქცევის: უშავდება, უთეთრდება, უშრება; RP4 - სიტუაციის ნიშნიანი: აშრება, ახმება.

III უღლება - საშუალო გვარის აქტიური ზმნები (ე. წ. მედიოაქტივები MV - Mittelverben): ცოცხლობს, მეფობს, კამათობს, ჩხუბობს.

სქემა N1: ზმნების კლასიფიკაცია კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავალში“



რელატიური: RMV1 - ირიბობიექტური პირის ნიშნიანი: სდარაჯობს, ჰყარაულობს, დასჭიკტიკებს; RMV2 - ობიექტური ქცევისა: უგალობს, უჭიკტიკებს, უღიმის; RMV3 - საზედაო სიტუაციისა: ადგას; RMV4 - ენიანი: ეწვის, ესმის.



IV უღლება - სტატიკური ვნებითები (ე. წ. მდგომარეობის პასივები - Zustandspassiva): ZP1 - საარვისო ვერსია: წერია, აგდია, აფენია; ZP2 - სასხვისო ვერსია: უწერია, უგდია, უფენია; ZP3 - სახედაო სიტუაციისა: აწერია, ახატია.

V უღლება - ე. წ. ინვერსიული ზმნები (ანუ ირიბი ზმნები - Indirekte Verben): IV1 - ირიბობიექტური პირის ნიშნით: სძულს, ჰყავს, ჰქონდა; IV2 - ობიექტური ქცევა: უყვარს; IV3 - სიტუაციის ნიშნით: ახსენდება, აგვიანდება; IV4 - ენიანი პასივის ფორმისა: (რა) ეხუმრება, (რა) ემღერება.

წიგნში ყურადღება ექცევა მასალის მიწოდების თანამიმდევრობასაც: ჯერ განხილულია გარდამავალ ზმნათა პირველი და მეორე სერიის ფორმები, ხოლო სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე - ე. წ. ინვერსიული ზმნები, ობიექტური პირის ნიშნები და მესამე სერიის ფორმები. ირიბ ზმნებთან ავტორი დაწვრილებით განმარტავს ინვერსიულობის არსს, გრამატიკული და სემანტიკური სუბიექტ-ობიექტების მიმართებას. ბოლოს ის ანალიზებს თავისებურად უღლებად ანუ ფუძემონაცვლე ზმნებსაც (არის, აქვს, ჰყავს, ზის, მოდის).

მწკრივების ჩამონათვალი ტრადიციულია, ოღონდ პრეზენტულ ჯგუფში (ავტორის ტერმინით, I დროითი ჯგუფი - I Zeitgruppe) აღარაა გამოყოფილი ორი წრე, მწკრივები კი დაწვრილებულია შემდეგნაირად:

ა. Präsens - აწმყო, ბ. Futurum - მეოფადი, გ. Imperfekt - უწყვეტელი, დ. Konditionalis - ხოლმეობითი, ე. Konjunktiv I: Präsens Konjunktiv I - ა. პრეზენტული კონიუნქტივი; Futurum Konjunktiv - ბ. ფუტურუმის კონიუნქტივი.

კიტა ჩხენკელი ქართული ზმნების ინდექსაციის პრინციპი ბოლომდე გაატარა ვრცელ ქართულ-გერმანულ ლექსიკონში, რომელიც ამ სახელმძღვანელოს უშუალო და ორგანული გაგრძელებაა. ყველა ზმნასთან მითითებულია უღლების ტიპი ზემოთ ჩამოთვლილი სიმბოლოების შესაბამისად და ზმნები დალაგებულია ბუდობრივი პრინციპით (ძირების მიხედვით, ვერსიისა და კაუზაციის გათვალისწინებით), რაც იმ დროისათვის ახალი სიტყვა იყო ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „მთავარი იყო, მეპოვა ახლებური გზა ქართული ზმნის წარმოჩენისა, რომლის მეშვეობითაც ზმნა არა მარტო ყოვლისმომცველად უნდა გაანალიზებულიყო, არამედ ეს გაკეთებულიყო რაციონალურად. რაკი ქართულ ენას სახელი გაუვარდა, როგორც ძნელს, რთული ზმნური სისტემის მქონეს, საჭირო იყო ამ ფორმათა ლაბირინთში ცოტაოდენი სინათლე მაინც შეგვეტანა“ (ჩხენკელი, 1960-1965, გვ. XIX-XX).

კიტა ჩხენკელი ასაბუთებს, რატომ არაა მიზანშეწონილი ლექსიკონში საწყისის ამოსავალ ფორმად შერჩევა და მის მიხედვით ზმნათა გაწყობა. მიზეზებად ის ასახელებს მასდარში ვერსიის არქონას, აქტიური და პასიური ფორმების, პირიანობის განურჩევლობას, მისგან ზმნის უღლებადი ფორმების წარმოების შეუძლებლობას, ზოგიერთი ზმნის შესაბამისი მასდარის არარსებობას და სხვ. (იხ. ჩხენკელი, 1958, 1, გვ. 623-628).

ჰ. ფენრიხის „ქართული ენის მოკლე გრამატიკა“ პირველად გამოიცა 1986 წელს. მასში გამოყოფილია ზმნების 4 ტიპი: 1. გარდამავალი აქტივები (ხატავს); 2. პასივები (ი-ება/ი-ევა: იხატება, იგლიჯება, ირევა, ინგრევა; -ები: თბები, -დ-ება: წითლდება, პატარავდება); 3. გარდაუვალი აქტივები (მუშაობს, დარაჯობს, ყვირის) და 4. გრძნობა-აღქმის ზმნები (უყვარს, სძულს, უნდა). ავტორი იხილავს ზმნების შემდეგ ჯგუფებსაც: ბუნების მოვლენების აღმნიშვნელს (თბილა, ცივა, მოთოვს, წვიმს), არარეგულარულს (არის, აქვს, ჰყავს, მიდის, ივლის, აძლევს, დგას, წევს, ზის, სურს, სვამს, ვარდება, ბრძანდება, ჰგავს) და მეტყველების სემანტიკის ზმნებს (ამბობს, ეუბნება) (ფენრიხი, 1986, გვ. 71-134). ეს დაყოფა ძირითადად ეფუძნება აკ. შანიძისეულს, მაგრამ ზუსტად არ ემთხვევა, რადგან ავტორი საუბრობს პირის ნიშნების ინვერსიაზე უყვარს ტიპის ზმნებშიც. გარდა ამისა, ენიან ფორმებში ე-ს არ მიიჩნევენ ვნებითის ნიშნად.

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ამ ჯგუფების ზმნათა უღლების თავისებურებები.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
Issues of State Language Teaching:
Problems and Challenges



წიგნში მოცემულია ქართული ზმნის აგებულების ზოგადი სქემა, რომელშიც გამოყოფილია 21 ფორმანტი: ზმნისწინების სამი ჯგუფი (1 - წინა-, ზე-, 2 - და-, აღ-, გა-, შე-, წა-, 3 - მო-), სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ-, ობიექტური პირის პრეფიქსები (მ-, გ-, გვ-, ჰ), ე. წ. მახასიათებელი ხმოვნები (ხმოვანპრეფიქსები: ა, ე, ი, უ), მიმდებარე პრეფიქსი „მ“, ძირი ან მარტივი ფუძე, ფუძის სავრცობი „ა“, მასდარის სუფიქსები (-ომ, -ოლ), ვნებითის სუფიქსი „-დ“, აწმყოს ფუძის ფორმანტები (-ებ, ობ, -აგ-, -ამ, -ი, -ემ, -ოფ), კაუზაციის ნიშნები (-ევ, -ინ), კაუზაციის აწმყოს ფორმანტი -ებ, მიმდებარე სუფიქსი -არ, პასივის ფორმანტები აწმყოში (-ებ, -ევ, -ობ), პრეზენსული სავრცობები (-ოდ, -დ), ჩანართი -ნ, მწკრივის ნიშნები (-ი, -ო), პირისა და რიცხვის სუფიქსები (-ს, ა, -ეს, -ნენ), ჩანართი -ი, დამხმარე ზმნები (-ა, -ვარ, -იყავი), რიცხვის ნიშანი (-თ), ირიბი ნათქვამის ნიშნები (სხვათა სიტყვის ნაწილაკები -ო, თქო).

სქემაში ჩამოთვლილია შესაბამისი ზმნების თითო მაგალითი: ჭამ, დავახატვინებ, წინააღმდეგნენ, (რა ძალა) მადგას, მოჰკვდომია, ელლაბუცებოდა, დავათვალიერებინებდნენ, გავიყინები, შეემცდარიყავი, უბრძოლნიათ, დაქალდაო, დაგიხატავართ, ზეწამოიჭრა, მოგვაშლევინეს, გამომიყვანო-თქო.

2006 წელს გამოქვეყნდა ლ. აბულაძისა და ა. ლუდენის სახელმძღვანელო, რომელიც გამიზნულია სამეცნიერო ქართული ენის დასაუფლებლად სასაუბრო ტექსტების მეშვეობით. თანდართულ გრამატიკულ ცნობარში ზმნები დაყოფილია უღლების სამ ტიპად (პროფ. დ. მელიქიშვილის დიათეზების თეორიის მიხედვით):

1. პირველი უღლება: ბრუნვაცვალებადი სუბიექტის მქონე გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები (ე. წ. აქტიური საშუალო ზმნები);
2. მეორე უღლება: უცვლელი სუბიექტის მქონე გარდაუვალი (ნასახელარი, ნაწარმოები) და პასიური (დინამიკური, სტატიკური) ზმნები, ასევე გერმანული უკუქცევითი ზმნების ეკვივალენტური ფორმები;
3. მესამე უღლება: მიცემითბრუნვიანი სუბიექტის მქონე ირიბი ანუ ინვერსიული ზმნები.

მეორე უღლების ზმნებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში მათ აკუთვნებენ ვნებით გვარს, თუმცა უცხოელს ამის გაგება უჭირს, რადგან გერმანულად თარგმნისას ისინი ხშირად არაა პასივები (აბულაძე, ლუდენი, 2006, გვ. 204).

მართალია, გრამატიკული ცნობარი არც ისე ვრცელია, მაგრამ კარგადაა გადმოცემული ქართული ენის სპეციფიკა და ზმნების თავისებურებები. სახელმძღვანელოს ავსებს შემდეგი ზმნების უღლების ნიმუშები (აბულაძე, ლუდენი, 2006, გვ. 245-323): არის, ხატავს, იხატება, (ხატია), აქვს, ჰყავს, შვრება, უნდა, დგას, ზის, მიდის, იცის, უყვარს, ესმის, უსმენს, აძლევს, კვდება, ეძებს, სძინავს, ლაპარაკობს, ელაპარაკება, ამბობს, ეუბნება და სხვ. მითითებულია მასდარისა და მიმდებარის ფორმები.

2010 წელს გამოვიდა შ. ხოტივარი-იუნგერის, დ. მელიქიშვილისა და ლ. ვიტკის „ქართული ზმნური ტაბულები“, რომელშიც გამოყოფილია ზმნების 3 ტიპი. წიგნის თეორიულ საფუძვლად იქცა ზმნათა დაჯგუფება სამ დიათეზად დამანა მელიქიშვილის ნაშრომების მიხედვით, განსხვავებით გვარებად დაყოფის პრინციპისაგან. დიათეზა ემყარება როგორც ზმნის სტრუქტურას, ისე მის კონსტრუქციას, მოიცავს გვარს, ვერსიას, კონვერსიასა და ინვერსიას, ზმნათა სტატიკურობა-დინამიკურობას, ასევე ითვალისწინებს აქტანტთა ბრუნვაცვალებადობასა და სემანტიკას.

წიგნში 800 ზმნასთან მითითებულია უღლების ტიპი და პარადიგმა, შესაბამისი მასდარი, ძირითადი დროითი ფორმები (აწმყო, აორისტი, პერფექტი ანუ I თურმეობითი) და ლოგიკური სუბიექტის ბრუნვა. ამ მონაცემების დახმარებით შესაძლებელია სხვა ზმნისწინებით ნაწარმოები მსგავსი სტრუქტურის ზმნების სწორად უღლება. გერმანული ზმნების ანბანურ რიგში შეიძლება ვიპოვოთ შესაბამისი ქართული ზმნა, დავადგინოთ მისი უღლების ტიპი და მოვქებნოთ ნიმუშიც. ამ ინდექსაციით უცხოელი ადვილად გაერკვევა ქართული ზმნების სირთულეებში, დამოუკიდებლად აუღლებს და გამოიყენებს მათ.

წიგნის ძირითადი ნაწილი ზმნების ტაბულებს უკავია (ხოტივარი-იუნგერი და სხვ., 2010, გვ. 30-95), შემდეგ მოცემულია პარადიგმები დიათეზების მიხედვით (იქვე, გვ. 95-137), ბოლოს კი - განსაკუთრებულ ზმნათა სია თარგმანითურთ (იქვე, გვ. 137-160).



მაგალითად, anziehen (ჩაცმა - იცვამს, ჩაიცვა, ჩაუცვამს), I დიათეზის 34-ე პარადიგმაში შედის. ვარტყამ ზმნის მოდელის მიხედვით (ხოტივარი-იუნგერი და სხვ., 2010, გვ. 116) შესაძლებელია მისი უღლება. ტაბულებში პოლისემიურ გერმანულ ზმნასთან მითითებულია ქართული ეკვივალენტები: ablegen ზმნას ქართულად შეესაბამება ორი მნიშვნელობა: ablegen (Examen) - გამოცდის ჩაბარება; ablegen (Kleidung) - გაიხდის (ტანსაცმელს); ablehnen-თან მითითებულია: უარყოფს, უარს ამბობს; abnehmen (Gewicht) - გახდება (წონაში დაიკლებს), მაგრამ abnehmen (Brille) - მოიხსნის (სათვალეს).

შტეფი იუნგერ-ხოტივარი დიათეზის ნაცვლად იყენებს ტერმინ „უღლების ტიპს“ და გამოყოფს ამ კლასიფიკაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს: ლოგიკური სუბიექტის ბრუნვას (ანუ სინტაქსურ კონსტრუქციას). დ. მელიქიშვილის ნაშრომის 8000 ზმნიდან უმრავლესობა I დიათეზას განეკუთვნება (5300 ზმნა, განაწილებული 34 ქვეჯგუფში), II-ში მისი ნახევარია (2300 ზმნა, 18 ქვეჯგუფი), ხოლო III დიათეზა მცირერიცხოვანია (სულ 280 ზმნა, 14 ტიპი).

I დიათეზაში შედის R-0 სტრუქტურის მქონე და ცვალებადი (ერგატიული) სინტაქსური კონსტრუქციის ზმნები, რომელთა სუბიექტი ბრუნვაცვალებადია: აწმყოს დროით ფორმებში (I სერიაში) დგას სახელობითში, აორისტის ჯგუფში (II სერიაში) - მოთხრობითში ანუ ერგატივში, პერფექტის ჯგუფში (III სერიაში) - მიცემითში. მაგალითად: ის წერს - მან დაწერა - მას დაუწერია; ის მღერის - მან იმღერა - მას უმღერია; ასეთი ზმნებია: ვწუხვარ, ვყვფ, ვფრენ, ვცეკვავ, ვტრიალებ, ვიძინებ, ვცხოვრობ, ვპატრონობ, დავეიერნობ... ვწერ, ვხატავ, ვაქებ და სხვ.

II დიათეზის ზმნები დ+ი სტრუქტურისაა. მათ სტაბილური კონსტრუქცია (ნომინატიური) აქვთ, რადგან სუბიექტი ყველა სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას: ვიწერები/ ვეწერები, ვიდრიკები, ვიზრდები, ვსველდები, ვეჯიბრები, ვთბები...

III დიათეზის ზმნები უმეტესად გრძნობა-აქმის გამომხატველია (ე. წ. აფექტური). მათთან ლოგიკური სუბიექტი ყოველთვის მიცემითში დგას და გრძნობის განმცდელია (სუსტი ნებელობისა): მაცვია, შემიძლია, მომწონს... უყვარს, სცივა, ემღერება, ავიწყდება...

თავისებურ ზმნათა შორის ჩამოთვლილია: მწკრივში ფუძემონაცვლე (არის, შერება, დევს, ამბობს, მიდის, მოაქვს, ზის), პირში მონაცვლე (თქვა - ბრძანა, მობრძანდა, ბრძანდება, მიართვა, გეახელი), რიცხვში მონაცვლე (აბია - ასხია, უგდებს - ყრის, დებს - აწყობს, ზის - სხედან...), სულიერ-უსულთ ობიექტებთან განსხვავებული ფუძის ზმნები, რომლებიც გერმანულში ერთი ფუძით გამოიყენება, რაც უცხოელებს სირთულეს უქმნის: haben (აქვს - ჰყავს), stellen (დადგამს - დააყენებს), nehmen, mitnehmen (აიღებს - აიყვანს), legen - hinlegen (დადებს - დააწვენს). ნაუღლებია რამდენიმე არაწესიერი და თავისებური ზმნა (იცის, უწყის, მისცემს, დგას, წევს, ჰყავს, ჰგავს), განსაკუთრებული ზმნები (მოაქვს, მოჰყავს, მივლივარ, კითხულობ, მიხარია, ვაძლევ, მყავს...).

ფიქრობთ, გერმანიაში გამოცემული „ქართული ზმნის ტაბულები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო მასალა გახდება ქართული ენის შემსწავლელთათვის. კარგი იქნება, რომ ამ ტიპის ცნობარი ზმნათა ინდექსაციითა და უღლების ტაბულებით საქართველოშიც გამოიცეს.

როგორც ვხედავთ, კიტა ჩხენკელისა და ჰაინც ფენრიხის კლასიფიკაციაში პირველი სამი ჯგუფი იდენტურია. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ ენიან ზმნებში ჰ. ფენრიხი ე-ს მიიჩნევს ირიბი ობიექტის მისათითებელ ნიშნად. რაც შეეხება ლ. აბულაძისა და შტეფი ხოტივარი-იუნგერის კლასიფიკაციას, ორივე ეყრდნობა პროფ. დ. მელიქიშვილის დიათეზების თეორიას, რომლის მიხედვითაც, ზმნების დაჯგუფების საფუძველია როგორც მორფოლოგიური სტრუქტურა, ისე სინტაქსური კონსტრუქცია. ეს საშუალებას იძლევა, რომ ე. წ. მედიოქტივები მოთავსდეს პირველ ჯგუფში, ხოლო ინვერსიული ზმნები - მესამეში.

განხილული ნაშრომები კიდევ ერთხელ მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული ზმნების უღლების გასააზრებლად უცხოელებისთვის სწორი კლასიფიკაცია და თანამიმდევრული სისტემა.

სქემატურად ქართული ზმნების კლასიფიკაცია განხილულ სახელმძღვანელოებსა და ცნობარებში ასე გამოიყურება (სქემა 2; მდრ. ვებგვერდი: <<http://www.kartuli.net/verben.html>>



სქემა 2: ქართული ზმნების კლასიფიკაცია გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში			
კიტა ჩხენკელი	ჰაინც ფენრიხი	აბულაძე/ლუდენი	შტეფი ხოტივარი-იუნგერი, დამანა მელიქიშვილი, ლია ვიტკო
1. გარდამავალი ზმნები – პირველი უღლება	1. გარდამავალი აქტივი	1. გარდამავალი და აქტიური საშუალო ზმნები	პირველი ტიპი I. გარდამავალი და გარდაუვალი აქტიური ზმნები (ბრუნვაცვალებადი სუბიექტით)
2. პასიური ზმნები – მეორე უღლება ა) ინიანი; ბ) უნიშნო; გ) დონიანი; დ) ენიანი; ე) მდგომარეობის პასივი.	2. პასივი ა) ინიანი; ბ) ებიანი; გ) უნიშნო;	2. გარდაუვალი და პასიური ზმნები – მეორე ტიპი ა) ნასახელარი და ნაწარმოები ზმნები; ბ) დინამიკური პასივები; გ) სტატიკური პასივები; დ) შინაარსით რეფლექსური ზმნები	2. გარდაუვალი პასიური ზმნები (ბრუნვაცვალებადი სუბიექტით) – მეორე დიათეზა
3. საშუალო ზმნები – მესამე უღლება	3. გარდაუვალი აქტივი		
4. მდგომარეობის პასივები – მეოთხე უღლება	4. გრძნობა-აქტის ზმნები		
5. ირიბი ზმნები – მეხუთე უღლება	5. არაწესიერი ზმნები	3. ირიბი ანუ ინვერსიული ზმნები – მესამე ტიპი	3. ინვერსიული ზმნები (მიცემითბრუნვიანი სუბიექტით) – მესამე დიათეზა

შეიძლება ითქვას, გერმანულენოვან სახელმძღვანელოებსა და ცნობარებში თავიდანვე ჩანს ავტორთა სურვილი, რომ ზმნების ძირითადი ტიპების გამოყოფით გაუადვილონ უცხოელებს ქართული ენის სწავლება. თითოეული ნაშრომი ანგარიშგასაწევია და სწავლების პრაქტიკა - განსაზოგადებელი. შეიძლება ავტორთა ზოგიერთი მოსაზრება დღეს საკამათო მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს არ ამცირებს ამ ნაშრომების მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 2006 - ABULADZE, L. & LUDDEN, A., 2006, Lehrbuch der georgischen Sprache, Helmut Buske Verlag GmbH, Hamburg.
 დირი, 1904 - DIRR, A., 1904, Grammatik der modernen georgischen Sprache, Wien und Leipzig.
 ფენრიხი, 1986 - FÄHNRICH, H., 1986, Kurze Grammatik der georgischen Sprache, Verlag Enzyklopädie Leipzig.
 ჩხენკელი, 1958 - TSCHENKELI, K., 1958, Einführung in die georgische Sprache, Bd.1: Theoretischer Teil; Bd. 2: Praktischer Teil (Chrestomathie, Texte, Übungen), Zürich, Amirani-Verlag.
 ჩხენკელი, 1960-1965 - TSCHENKELI, K., 1960-1965, Georgisch-Deutsches Wörterbuch, in 26 Lieferungen, Zürich (Switzerland), Amirani-Verlag.
 ჩხენკელი, 1965-1974 - TSCHENKELI, K., 1965-1974, Wörterbuch der georgischen Sprache, 3 Bd, Zürich.
 ხოტივარი-იუნგერი და სხვ., 2010 - CHOTIWARI-JÜNGER, St., & MELIKISCHWILI, D., & WITTEK, L., 2010, Georgische Verbtabelle, Helmut Buske Verlag GmbH, Hamburg.
 ვებგვერდი: <http://www.kartuli.net/verben.html>



სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching;
Problems and Challenges**





SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

Issues of State Language Teaching; Problems and Challenges

International Conference

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY



**CENTER FOR CIVIL INTEGRATION
AND INTER-ETHNIC RELATIONS**

Tbilisi / Batumi
14-15 July, 2011
225



Ekaterina Protassova

University of Helsinki, Finland

Multilingual Education in Finland (with a special focus on the Russian language)

ABSTRACT

The present article tries to connect the language education policy in Finland with its historical development. Finland has always been a multilingual country, and the combination of languages in the school curriculum followed the necessities of power and economics. The numerous successes in the international PISA competitions are explained through teaching of languages and mathematics at school. The current state of foreign and second language acquisition is demonstrated in depth through example of Russian in education.

The historical perspective

The first settlers came to Finland approximately 8.000 B.C., supposedly, following the melting snow of the ice age. The Finno-Ugric people arrived from the Ural area between Europe and Asia, and there were Baltic and Germanic speakers arriving from the shores of the Baltic Sea. The Swedes lived on the modern territory of Finland for more than eight centuries, and vice versa, Finnish-speaking peoples moved to Sweden. Finland was part of Sweden until 1809, for 600 years. Ordinary people spoke various Finnish and Swedish dialects, and the upper classes could use several languages. For the official purposes, Latin (mostly for documents) and afterwards Swedish were employed.

Under many rulers, Russia and Sweden fought over Finland, dividing the country and expanding the own religious influence. As a result of Napoleonic wars, Finland became part of Russia and remained so until 1917. Enjoying the rights of an autonomous Grand Duchy, Finland was administered by the Senate, an own government, while the Emperor of Russia was proclaimed the Grand Duke of Finland. Under the Russian rule, the Finnish language, currency, army, culture and economy strengthened. Swedish and partly Russian became the official languages until 1863, when the Finnish language received the status of an official language (equality was achieved in 1982) in the autonomous Finnish part of the Russian Empire. The practically dominant language systematically and rapidly developed into a language of administration, journalism, fine literature and science. Many members of the Swedish-speaking Fennoman movement were prepared to learn and use Finnish at home and in public, ready to work for the interests of the majority (Lindgren et al. 2011). The Russian language as the third official language in the country played only a small role, although the Finns remember how they struggled against the attempts to the forced Russification at the beginning of the 20th century.

A general strike in 1905, the revolution of 1917 and the civil war in 1918 supported the independence of Finland from Russia (declared on December 6, 1917) and the development of an own Finnish culture, and so was in the recent times the challenge with the European Union. Since 1841, the Finnish language was taught as a subject in schools, but now, a tendency to education and schooling in this dominant language of the population occupied a key position in the nation's progress.

For the Swedish-speaking elite, the Finnish language was not cultural enough if compared to other European languages, but it was politically important. For the Finnish-speaking majority, the Swedish language was the language of the old upper classes, making them feel the inferiority of their own identification. The recent fight for the abolition of the obligatory examination in the forced Swedish language and the possibility to in-



introduce another language into its place (for example, a neighbour language) has its roots in the past (Buchberger 2002).

The Winter War (1939-1940) against the Soviet Union and its Continuation (1941-1944) were followed by joining the anti-Hitler coalition. Finland had to concede Karelia and a few other territories, receiving the 430.000 evacuated persons (mostly Finnish- and Russian-speaking) in the main territory. The after-war economic flourishing was due to a balanced policy towards socialist and western countries that led to blossoming of the public education, healthcare and social security systems. In the late 1980s, Finland revised its foreign policy; it became a member of the European Union in 1995.

The structure of the population and the language policy

The linguistic homogeneity of Finland is caused by the fact that the native language of 92 % of its population is Finnish, which is part of the Finnic subgroup of the Uralic languages, one of the official EU languages not of Indo-European origin. Russian has no status in the EU, although about 6 millions of its citizens speak this language as their mother tongue, and about 7% might be competent in it to some extent.

Before World War II, as in most countries, the German language was usually the first foreign language in the school. Nowadays, in Finland, about 63% of the population can speak English as a foreign language, 18% German, 3% French, 2% Spanish, 1% Italian, 2% Russian (Eurobarometer 2006). Multilingual Finnish citizens competent in at least three, often four, languages has been a reality in the Finnish education system since the early seventies, with English taking sequentially the role of the most important foreign language. The younger generation in the northern European Countries is able to communicate in English because English has the position of a first or second foreign language in the curricula of all primary or secondary schools in these countries. In this role, English has increasingly substituted the unofficial so-called Scandinavian language.

Learning of the two domestic and many foreign languages is a very important part of the Finnish educational system, providing, to my opinion, its most important key to success in the PISA-evaluations. Usually, it is not mentioned in the reports as a crucial factor of effective cognitive development (cf. PISA; Levine 2011). Yet, the experience of the best Russian schools specializing in mathematics, foreign language learning and trying to introduce sports were the principles leading to very high results of the pupils (cf. the school programs by Andrei Kolmogorov).

The two national languages of Finland are Finnish and Swedish. The language policy has been always to give equal rights for both the Finnish-speaking and the Swedish-speaking population. The percentage of the Swedish speaking population (Swedish-speaking Finns) was in the first decades of the 20th century around 10%, and has reduced to around 6%. They live predominantly in the coastal west-southern areas and partly in the big cities. Swedish remains the only official language in the autonomous Åland (Åland in figures 2011). Finnish constitution guarantees the same cultural and economic rights to both language groups.

In the northern Lapland, the indigenous Sámi people number around 1.800. Actually, three Sámi languages are spoken in Finland: Northern Sámi, Inari Sámi and Skolt Sámi; they are familiar to only a quarter of the Sámi population (0,03% of the whole population of the country). Efforts are undertaken to revitalize and modernize these languages; the language nest method has been efficiently adapted (Anarâš; Lehtola 2002; Pasanen 2010; Sámi in Finland).


Additionally, the recognized regional and minority languages are Romani (Finnish Romani is spoken by 5.000-6.000 people), Tatar (Finnish Tatar minority of about 800 people who moved to Finland in the times of autonomy), Yiddish (as the supposed language of some hundred Jews who settled down in Finland during the Russian rule) – all of them are actually bilingual – and the Finnish Sign language. The degree of bilinguality was never measured on the all-nation scale. It is worth to mention that the life of minorities and their language use become often a topic of popular articles (e.g., Lindgren 2011).

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები:
 პრობლემები და გამოწვევები
**Issues of State Language Teaching:
 Problems and Challenges**




The Finland's Romani are provided with the same education as the majority population, their language enjoying the status of a non-territorial minority should be safe within the European Framework Convention for the Protection of National Minorities. Nevertheless, this group has difficulties both with access to the higher educational level and with maintenance of the own language (Finitiko romaseele 2004).

Table 1. **Country of birth, citizenship and mother tongue of the population (OSF1)**



About 140 immigrant languages are spoken in Finland today; they include, among others, Russian (1.0%), Estonian (0.3%), English, Somali, Arabic, Kurdish, Albanian and Chinese. Altogether, about 2,7% speak immigrant languages. The right of minority groups to maintain their culture and language is protected by the constitution.


Table 2. **The largest groups by native language 2000 and 2010 (OSF2)**



In the history, Finns often were migrating from the country; in the recent time, the net immigration surpasses the emigration.



Table 3. Immigration, emigration from 1971 till 2010 (in thousands of people) (OSF3)



Finland had to develop its own strategy towards linguistic diversity through an elaborated system of teaching and exercising languages (Lähteenmäki, Vanhala-Aniszewski 2010). The fundament of this multifaceted approach is, in my mind, the own history and the practical experience of the many centuries of multilinguality.

Teaching of languages in the school system

The language of instruction in the Finnish educational institutions can be Finnish or Swedish on all educational levels, from the day care centre on. As a matter of fact, the institutions have either Finnish or Swedish as their languages of instruction. Some upper secondary vocational institutions and universities are bilingual; for example, the University of Helsinki is a university where students may use Swedish at all occasions if they want to do so, and there are special lines for the bearers of the Swedish language at some departments. Sámi is the language of instruction in some institutions of the general and vocational training in the Sámi-speaking municipalities.

More and more the speakers of Swedish had to communicate with the speakers of Finnish, and their bilingualism developed to a high degree. The number of mixed marriages also grow (today, a half of all marriages with Swedes are mixed). Despite of the school system of its own, the Swedish-speaking population had problems to maintain the mastery of their mother tongue at a sufficient level. Most of them learned Finnish already at home, in the neighbourhood or at school (Björklund 2002). The University of Vaasa also promotes bilingualism (Aschan 2011).

The Finnish foreign language instruction follows the time allocation prescribed by the government, presenting two levels of language teaching. A1 denotes the language learned from the lower stage which is obligatory to all students. A2 denotes the optional language that is also learned early. B1 denotes the language learned from the upper stage which is obligatory. B2 denotes the language that starts in the upper secondary school. B3 denotes the voluntary language at the same stage. In order to complete the upper secondary schooling, at least one A1 and one B1 should be learned, including the other national language of the country. The



facultative languages must not necessarily be evaluated at the leaving examination (Structure of Education System in Finland).

